K 275 925
3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ჭელიძე

ბულბულისპირი

ლირიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ფულეისკირი

სასანდელი

მოთხრობები

ნოველები

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თ ბ ი ლ ი ს ი — 1983

Г2
899.962.1—3
წ. 863

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ წულეისკირის ამ კრებულში შევიდა ადრე გამოქვეყნებული მოთხრობები და ნოველები, აგრეთვე, ვრცელი მოთხრობა „ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი“.

მოთხრობებსა და ნოველებში წინა პლანზეა წამოწეული ჩვენი ადამიანის რთული სახე-ხასიათი, დიდი შინაგანი ძალა, სიმართლე და მაღალი ზნეობრივი სისპეტაკე, პერსონაჟების ფართო სულიერი სამყარო და მუდამ სიმართლისა და პატიოსნებისაკენ სწრაფვა.

მხატვარი
ზურაბ ფოლრჩხიძე

70302—184
Ц——————— 306—83
М 601 (08) 83

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოთხრობები

ნოველები



დავით აღმაშენებლის ქვა

1

პანტე მასწავლებელმა აღმართი ამოათავა, საკუთარ გულისცემას ყური მიუგდო, შეამოწმა, გული სტკიოდა თუ არა, უკვირდა, რომ არაფერი სტკიოდა. კენჭივით კაცი იყო, ჭინკასავით მოხუცი.

პენსიაში რომ გავიდა, თავის კარ-მიდამოს უვლიდა, ძროხას აბალახებდა ხურგებზე. ვერ მოისვენა, საზოგადო საქმე, როგორც მისი მეუღლე იტყოდა ხოლმე, „საინტრიგანო" მაინც იშოვა, ოხვამეკარის მოვლა-პატრონობა დაივალა. ვინ დაავალა? ვინ სთხოვა? რისთვის აიტკივა აუტკივარი თავი? ასე ფიქრობდა პანტეს დიდი ოჯახი, მაგრამ პანტე ასე არ ფიქრობდა; ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე უნდა ეკეთებინა და გამოიძებნა კიდეც. სოფლის ბოლოს, მთაზე, ძველისძველი წმინდა გიორგის ოხვამე — სალოცავი იდგა. ამ პატარა საყდრის გამო, ძველად აქაურობას, მთელ სოფელს ოხვამეკარს ეძახდნენ. ჩვენს დროში კი სოფელს პირველი მაისი დაარქვეს, ოხვამეკარი ამ გორაკსა და საყდარს შერჩა.

პანტე საყდრისკენ მიდიოდა, მთის ფერდზე საცალფეხო ბილიკს მისდევდა, მოკლეზე ჭრიდა, აქედან მხოლოდ პანტე ადიოდა ოხვამეკარში, ეს პანტეს გზა იყო.

მიდიოდა და ძველისძველ წმინდა ალაგზე — ოხვამეკარზე ფიქრობ-

და, „ბერძნული სიტყვა „ეკლესია“ მეგრულმა ვერ იგუა... თექვამეტი საუკუნე ებრძოდა „ეკლესია“ „ოხვამეს“, მაგრამ ვერაფერი [illegible] ხალხმა მაინც ძველი სიტყვა, წარმართული „ოხვამე“ ამ[illegible] „ეკლესიას“. რა სალოცავები გვქონდა ასეთი? — ეკითხებოდა თავისთავს პანტე,—რანაირი იყო ნეტა ის ხვამა (ლოცვა) წარმართულ ბომონებში რომ სრულდებოდა, რატომ ვერ შეელია ხალხი ოხვამეს?“... პანტე დინჯად ადიოდა აღმართზე და ოხვამეკარს შორიდან შესცქეროდა: ეკლესიის ეზოში უზარმაზარი ძელქვა იდგა, ტოტებგაშლილი ძელქვა მთლიანად ფარავდა გასულ საუკუნეში აშენებულ პატარა სალოცავს. სოფლიდან მხოლოდ მოთეთრო-მოყვითალო ქვით ნაგები სამრეკლო მოჩანდა. სამრეკლოს სახურავი ჩამოქცეოდა, კედლებიღა დარჩენილიყო. ეს კედლები ასვეტილიყვნენ თვალსაწიერზე, თითქოს წარსულის სადარაჯოზე დგანანო, წვიმასაც უძლებდნენ, ქარსაც, თოვლსაც და ყინვასაც. შორიდან თეთრი კედლები თეთრ ციხესიმაგრეს ჰგავდა. ძელქვას კი სამრეკლოს თეთრი კედლებისთვისაც მიეწვდინა თავისი ტოტები. ძელქვა მფარველი ანგელოზივით ადგა ოხვამეკარს თავზე. პანტეს ძელქვაზე ხალხური თქმულება ახსენდებოდა და გუნებაში ეღიმებოდა. თურმე ძველად ძელქვის ადგილას მუხა მდგარა, მუხა აქაურობის სალოცავი კერპი ყოფილა. შემოსეულ მტერს მუხა ცეცხლში დაუწვავს, როცა მეორეჯერაც და მესამეჯერაც დაუწვავს, ხალხს მუხის ადგილას მტრის თვალის ასახვევად, ძელქვა უხარებია. ძელქვის ძირას იკრიბებოდნენ თურმე და მუხაზე ლოცულობდნენ. ოხვამეკარი ლეგენდებსა და თქმულებებში იყო გახვეული. აქ ყოველ ხეს, ბუჩქს, ქვას, ყოველ გოჯ მიწას თავისი ისტორია ჰქონდა, თავისი წარსული. ამიტომ იტვირთა პანტემ აქაურობის პატრონობა. გაწმინდა, გაასუფთავა ოხვამეკარის მისადგომები, ეკლესიას კარი შეაბა, შემოღობა, ჭიშკარიც კი დაჭედა ფიცრებისაგან და დაკიდა, კლიტე დაადო, ალაგეც გააკეთა ჭიშკრის გვერდით. მიგდებულ-მიყრუებული ძველი სალოცავი მართლა კულტურის ძეგლს დაამგვანა.

ადრე ოხვამეკარი არავის ახსოვდა, თვით პანტეც კი იშვიათად ამოდიოდა დანგრეული საყდრისა და სამრეკლოს სანახავად. არ ეცალა, მომავალი თაობის აღზრდა ეკისრა, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა საშუალო სკოლაში. დღე და ღამე სკოლაში იყო, ბავშვს ზედ გადაყვებოდა და საგანს შეასწავლიდა, მშობლებს თავს აბეზრებდა, თქვენმა ბავშვმა ქართული არ იცის და ყურადღება მიაქციეთო, ზოგჯერ არამკითხე მოამბესავით უხეირო მშობელს ცეცხლს შეუნთებდა, ბავშვს ასე და ასე უნდა მოექცეო. სოფლისა და რაიონის ხელმძღ-

ვანელობას ხომ გულისჭირი გაუჩინა ეს არ გვივარგა, ის არ გვივარგაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამარჯობა შენი! — შემოესმა უცებ პანტეს და ფიქრებიდან გამოერკვა.

— ოჰ, ნოე ხარ? — გაუხარდა მეგობრის დანახვა, — რა გინდოდა აქეთ? — გაიკვირვა პანტემ და ხელი ჩამოართვა.

— თხა დამეკარგა, ტურის შესაჭმელი, თეთრი თხაა, ხომ არ შეგხვედრია?..

— არა, — გაიცინა პანტემ.

— არავინაა შინ, ჩაიშია ყველა. — თავი იმართლა ნოემ. — პანტე, შენთან საქმე მქონდა, კარგია რომ შეგხვდი, — უცებ შეცვალა საუბრის თემა. მკლავში მოჰკიდა ხელი, დიდი მოწიწებითა და უთქმელი პატივისცემით გადაიყვანა გზიდან, ფერდობზე ცალკე იდგა ტოტებგაშლილი ბებერი ბჟოლა, იმ ბჟოლას კუნძებივით ფესვები ჩაესო მიწაში. ერთ კუნძზე თვითონ ჩამოჯდა, მეორისკენ ხელი გაიშვირა, შენ აქ გვერდით მომიჯექიო, ანიშნა, ამოიღო სიგარეტი და გაუწოდა.

— მითხრეს, ოხვამეკარს დარაჯობსო, — საიდუმლოსავით უთხრა ნოემ.

— კი, — ცივად მიუგო პანტემ.

— გაძლევენ მერე რამეს?..

— აპა! — თქვა პანტემ და მეგობრის მოჩერებულ მზერას თვალი მოარიდა.

— აჩქარდი შენ, პანტე... — დუმილის შემდეგ უთხრა თანაგრძნობით ნოემ, — გაცხარდი და შეცდომა ჩაიდინე, სკოლის მიტოვება ახლა შეიძლებოდა?.. პირდაპირ მითხარი, პანტე, ხომ ნანობ?

— არა, — კვლავინდებურად ცივად უთხრა პანტემ.

— ნუ გრცხვენია, აწიც არ არის გვიან, რომ იცოდე. თუ ნებას მომცემ, ხვალვე ვეტყვი დირექტორს, განათლების განყოფილებაშიც წავალ და ხელად დაგაბრუნებენ. ეს მარტო ჩემი აზრი კი არ არის...

— აბა, კიდევ ვისია, — ჩაიცინა პანტემ.

— რა გაცინებს... სკოლა არ უნდა მიგეტოვებინა! მე შენ უფრო ვაჟკაცი მეგონე, რაც მართალია, მართალია.

— ჰო, კაი, კაი!.. კარგი კაცი ხარ შენ, ნოე, და გაანებე თავი მაგას, ძველ იარებს ნუ გამიხსნი, შენ ის მითხარი, ახალი რა არის სკოლაში.

— ა, ხომ არავინაა ახლა აქ? — უცებ კილო შეიცვალა ნოემ, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, — გულახდილად მითხარი, რატომ წამოხვედი სკოლიდან?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— იცი შენ ჩემი წამოსვლის მიზეზი და არ გინდა ხელახლა ძიება, — მშვიდად მიუგო პანტემ.

— არა, არ ვიცი! — ჩააცივდა ნოე. პანტე, ჩუმად იჯდა კუბოზე და სიგარეტს უწადინოდ აბოლებდა, პასუხის გაცემას არც აპირებდა.

— რა მოხდა ასეთი? — რაკი პანტე ხმას არ იღებდა, ნოემ ფიქრი ხმამაღლა განაგრძო:

— ერთი ქულით ნიშანი აუწიეო გთხოვეს, ატესტატი უფუჭდებოდა ბავშვს. არ იყო ეს დიდი ცოდვა, არა!..

— აბა მადლია! შენ, ნოე, ამბობ ამას?.. აი, რატომ წამოვედი სკოლიდან! ერთი ადამიანიც კი არ მოიძებნება, ვისაც ნამდვილი აღმზრდელის სინდისი გააჩნია. ასეთ სკოლაში მუშაობა არ შემიძლია.

პანტე ისე გაცხარდა, ველარ დაჯდა, თავზე დაადგა ნოეს და ხელების ქნევით დაუწყო მტკიცება, თუ როგორ დაეშვა უფსკრულისაკენ სკოლა.

— ყმაწვილი მოსწავლე აღარაა, განებივრებული ზარმაცი და უსაქმურია, სწავლა არ უნდა, ყანაში მუშაობა არ უნდა, გაკვეთილს ჰკითხავ და არ იცის... დატუქსავ, შეარცხვენ კლასის წინაშე — შედეგი არ არის, მშობელს დაიბარებ, არ მოდის. სახლში მიაკითხავ, გემალება მშობელი... მერე მთელს რაიონში ცნობილ პატიოსან კაცს გიგზავნის მოციქულად. ჩემს შვილს როგორმე ნიშანი აუწიეო... ამასაც არ გაკმარებს და რაიონში უფროსობას აწუხებს. იქიდან კი გსაყვედურობენ, ბავშვებს ვერ უვლითო.

— კარგი ახლა, ნუ იცი გაზვიადება! არავის დაუძალებია ნიშანი გადაუკეთეო, უბრალოდ, შემოგთავაზეს, თუ შესაძლებელია, ხელი ვუბიძგოთო, მეტი არაფერი.

— მეტი არაფერი ხომ? კლასში როგორ უნდა შევსულიყავი მერე? იმ ბავშვებისათვის, ვისაც სიმართლეს ვუქადაგებთ, სიწმინდეს ვასწავლით — თვალებში როგორ უნდა შემეხედა?.. ვერა, ჩემო ნოე, ვერა...

— პანტე, მომისმინე, პედაგოგები ვართ ჩვენ და ხანდახან მოსწავლის აღზრდისათვის, მისი მომავლისათვის პატარა დათმობაზე უნდა წავიდეთ ხოლმე.

— რა დათმობაზე? რატომ უნდა წავიდე დათმობაზე? რას ნიშნავს დათმობა? — არ ეკუთვნის ხუთიანი და დავუწერო ხომ? ესე იგი, მოვატყუო დანარჩენი მოწაფეები, მთელი კლასი, მეგობარი პედაგოგები, უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ის ბავშვი აპირებს სწავლის გაგრძელებას, მთელი საზოგადოება შევიყვანო შეცდომაში?.. არა, ჩემო ძმაო, არა! — ასეთი დათმობა მე არ შემიძლია. თუ საიმედო მომავალი თა-

ობის აღზრდა მართლა გვწადიან, პირველ ყოვლისა, სკოლიდან უნდა გავაძევოთ სიცრუე. აღზრდის ყველაზე დიდი მტერი სიცრ[illegible]

— მერე? თუ სკოლას მიატოვებ, როგორღა გააძევებ[illegible]ბა სკოლიდან წავიდეს შენისთანა პედაგოგი! ბავშვებს თავი დავანებოთ, მასწავლებლებს სჭირდება შენი რჩევა-დარიგება. კარგად დაფიქრდი, პანტე, კარგად! მანკიერი თითო-ოროლაა, უმრავლესობა კარგია... კაი, სკოლა ჯანდაბას! — თქვა უცებ ნოემ და თვალები გამომცდელად მიასო პანტეს, — ოჯახი როგორ ითმენს შენს უმუშევრობას...

— რა უმუშევრობას? რას ამბობ, ნოე, არ გრცხვენია, დღედაღამე ვმუშაობ მე...

— არა, — უკან დაიხია ნოემ, — ხელფასი რომ არ მოგაქვს სახლში, იმას გეკითხები...

— პენსია ხომ მაქვს, მყოფნის...

— აბა, იცი, რას გეტყვი, — ბოლოს მაინც გამოტყდა ნოე, — გამომგზავნეს შენთან, ოღონდ შენ თხოვეო, ასე მითხრეს, ჩვენი სახელი არ ახსენოო.

— ვინ გამოგაგზავნა?..

— რად გინდა ვინ გამომგზავნა. მიაფურთხე ეშმაკს და ხვალ დილით ჩამოდი რაიონში.

— აბა, თხა დამეკარგაო?

— რა ვიცი, პანტე, რა ვიცი, უცნაური კაცი იყავი ყოველთვის... ცოტა გვეშინია კიდეც შენი, თხა კი არა, ათასი რალაცა მოვიგონე, ამას ვეტყვი, იმას ვეტყვი-მეთქი ვიფიქრე.

პანტეს მოეწონა მეგობრის გულახდილობა, კმაყოფილმა გაუწოდა ხელი გამოსამშვიდობებლად.

— დაუფიქრდი, კიდევ ერთხელ გთხოვ, — უთხრა ერთხელაც ნოემ და თავდაღმართზე დაეშვა. პანტეს არაფერი უთქვამს. ჩაღუნა თავი და ღმართს აუყვა. ნოეს ამგვარმა გამოცხადებამ ააფორიაქა ბერიკაცი, ძველი იარები მართლა აეშალა.

პანტემ ფიქრში გალია ოხვამეკარის ღმართი. ალაგეზე გადააბიჯა და ეკლესიის ეზოში შევიდა, ხის ძირას შედგა, მდელოზე დაყრილ ნასუფრალსა და ნაგავს დააშტერდა. ხელად გადაავიწყდა ნოე, სკოლა, პედაგოგები... ახალმა ფიქრმა და საზრუნავმა მოიცვა მისი გონება; წუხელ მის მიერ დალაგებულ-დაკვანწილი საყდრის ეზო საღორედ უქცევიათ მოქეიფეებს. თავი გადააქნია, ჩაიცვა სამუშაო ხალათი და საქმეს შეუდგა. ჯერ ნამუსრევი აალაგა. საყდრიდან ცოცხი გამოიტანა და დავით ღმაშენებლის ქვა გადაგავა, თან ფრესკებს გაუბა საუბარი:

— უნდა გვაპატიოთ, წმინდა მამებო! ამ უბირ და უმეცარ მოქეიფეთ ჭკუა არ მოეკითხებათ, არ ესმით რასაც სჩადიან. პირუტყვივით წუთისოფელს ისე გალევენ, ერთხელ არ იკითხავენ ვინ ბრძანდ—მათი წინაპრები, რატომ დგას ეს საყდარი აქ, როდიდან დგას, ვინ ააგო... ოღონდ მუცელი ამოიყორონ და სხვა არაფერი აწუხებთ.

თქვენ თვითონ განსაჯეთ, გარდა პირუტყვისა, ვინ იკადრებს ამას? პირუტყვს კი ღმერთი არ განიკითხავს პირუტყვობისათვის. მაგრამ არაფერია, სოფელი დიდია, სოფელი მარტო ამათი როდია...

გუშინწინ გადავგავე, გავასუფთავე აქაურობა, წუხელ ისევ გაუბინძურებიათ. აქ ამოსვლა კი არ მეზარება, გული მწყდება. ვინც წინაპართა საფლავებს პატივს არ სცემს, იმას როგორ მოვთხოვოთ ვაჟკაცობა, რაინდობა, სამშობლოს სიყვარული, პატიოსნება... ყველა ეს სათნოება კი ადამიანს ამშვენებს.

ამ სათნოებათა გარეშე ადამიანი ნადირს ემსგავსება, სოფელი კი უდაბნოს, სადაც ეს ნადირები დათარეშობენ.

როცა თქვენთან ვსაუბრობ, სულში სწორედ უწმინდესი გრძნობანი იღვიძებენ: ასე მგონია, მართლა გელაპარაკებით, მართლა აიდგამთ ენას და დარბაისლური ქართულით წარსულის ამბებს მომიყვებით...

ჩუ! რაღაც ხმები ისმის... ალბათ ისევ საქეიფოდ ამოდიან... იქეიფე, — ახლა იმ „მებს“ ელაპარაკება პანტე, — გაიხარე, შე კარგო დედმამისშვილო... — ვინ დაგიშლის! მაგრამ წინაპართა სულებს ნუ შეაწუხებ, ნუ წაბილწავ საფლავებს...

ესენი შენგან მეტს არაფერს მოითხოვენ, ნუთუ ესეც არ შეგიძლია?...

ხმები სულ ახლოს გაისმა, პანტე ძელქვის უკან დაიმალა. იქიდან უთვალთვალებს მოსულთ. ახალგაზრდები დავით აღმაშენებლის ქვას მიადგნენ.

„ინტრიგანია, ხომ იცი, მაგის ამბავი, აქეთ ცხოვრობს სადღაც, მივიდეთ და ვკითხოთ...“ — გარკვევით გაიგონა პანტემ და ხმა იცნო, მისი მეზობელი, ნამოწაფარი ბუჭუ უნდა ყოფილიყო, მეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა, აქ რისთვის ამოსულაო, გაუკვირდა.

„ქვა არის, სხვა ხომ არაფერია, რად უნდა კითხვა?“ — უპასუხა მეორე ხმამ.

სამრეკლოს გვერდით უზარმაზარი ყვითელი ქვა ეგდო, ოდითგანვე ეგდო აქ ეს ქვა. თითქოს მიწას, სამრეკლოს და ძელქვას ერთმანეთთან აკავშირებდა. ქვას ცალ გვერდზე ხავსი მოსდებოდა, მიწაში ჩაზრდილიყო და მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა. ამ ქვას უტრიალებდნენ,

ზომავდნენ, აწევა სცადეს, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს. პანტემ სამრეკლო იფარა და სულ ახლოს მივიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მივიდეთ-მეთქი გეუბნები, მაგის ყბაში ჩემი მტერი ჩავარდა.

„რომ მიხვალ და ჰკითხავ, უარესია, თავს დაიფასებს. ქვა ტყე-ღრეში აგდია, რა შუაშია პანტე — ინტრიგანი“...—დაცინვით, დამარცვლით წარმოთქვა მაღალმა ახმახმა კაცმა და ქვიდან ღობემდე მანძილი ნაბიჯით გადაზომა. პანტემ ის მეორეც იცნო: ისიც მისი ნამოწაფარი იყო, ვაჟო ერქვა, ახლა საკონსერვო ქარხნის მანქანაზე იჯდა.

„უკან მოგატანინებს, იცოდე!“

„შეუშინებიხართ მაგ ქარაქუცას... რას ჰქვია მომატანინებს! ეს ეკლესია ხალხისაა, შემოულობია თავისთვის!.. ერთმა ინტრიგანმა მთელი სოფელი დაგიბრიყვათ? მოდი აქ!“—ვაჟომ ბუჭუს დაუძახა, ხელები დაიკაპიწა. „როგორმე მიწას მოვწყვიტოთ... ჩაკირულია მიწაში“.

ორივენი დაეჯაჯგურნენ ქვას, ვერ მიუდგნენ, თავიდან სცადეს...

პანტემ იცოდა ინტრიგანს რომ ეძახდნენ, ენამყრალი კაცი ვარ, ალბათ ინტრიგანიცო — გაიკრიტიკებდა ხოლმე ხანდახან თავს. ხანდახან კი გაამაყდებოდა: სიმართლის მთქმელი რომ ვარ, ინტრიგანს იმიტომ მეძახიანო. ასე იყო თუ ისე, პანტე სიტყვა „ინტრიგანს“ საალერსო სიტყვასავით შეჩვეოდა.

ის კი არ უკვირდა, ინტრიგანს რომ ეძახდნენ, მისი ყოფილი მოწაფეები უმიზეზოდ რომ ლანძღავდნენ, ეს აწუხებდა, რატომ, რისთვისო — ნაღვლიანად ეკითხებოდა თავისთავს. ბიჭები კი ქვას ეჯაჯგურებოდნენ, თან მოურიდებლად, ხმამაღლა ლანძღავდნენ მასწავლებელს.

„წერს თურმე, რაც პენსიაში გავიდა, დღე და ღამე წერს“.

„მწერალი“ ყოველთვის იყო, გაკვეთილებზეც „წერდა“, ხომ გახსოვს?“

„საკუთარ შვილს, ანდრის უჩივლა თურმე...“ — ხითხითებდნენ ბიჭები.

„საკუთარ შვილს უჩივლაო, ღმერთო ჩემო, რას არ გაიგონებს კაცი!“ — თავზარი დაეცა პანტეს. თვალსა და ყურს არ უჯერებდა, გაოგნებული, წელში მოხრილი იდგა საფარში და თანასოფლელებს თვალს არ აშორებდა.

„დათიკო ვასილიჩს მაგი უარს ვერ ეტყვის“... — ვაჟო ქვის ქვევით ხელის შესაყოფ ადგილს ეძებდა, ხელს უფათურებდა ხავსიან ქვის ძირს, თან ბუჭუს ელაპარაკებოდა. „დათიკოს სახელს რომ ვუხსენებთ, ჩაუვარდება კაპუ...“

„მაინც რა მძიმეა, — თქვა ბუჭუმ, წამოდგა და ქურდულად გაიხედ-
გამოიხედა, — რომც დავაგოროთ, ამ ღობეს რას უშობი“.

„უნდა გავხსნათ, — ვაჟო წამოდგა, მავთულის ღობეს ... და
ძირს ჩაიხედა, — „ერთი თუ დაიძრა, სულ რიხინ-რიხინით ჩავა მან-
ქანამდე“, — ვაჟომ ჯიბიდან რკინის საკვნეტი ამოიღო. „შეიარაღებუ-
ლი მოსულა... უნდა გამოვიდე საფარიდან“, — ხელად გადაწყვიტა
პანტემ და ჩაახველა, ქვის ქურდებს თავზე დაადგა. ცოტა ხანს საფარ-
ში ყოფნა ერჩია, კარგად გაიგებდა ყველაფერს, მაგრამ რაკი ვაჟომ
მავთულის ღობის გაჭრა მოინდომა, ვერ მოითმინა და გამოვიდა. გადა-
ყვა მაგ ღობეს, ჯერ მავთული ძლივს იშოვა, შემდეგ ბოძები, შემდეგ
მარტოკამ იწვალა ამ კლდე-ღრეში და გაჭირვებით შემოღობა, შემო-
აკავა აქაურობა. ვიღაცა ვაჟოს ვერ დაანებებდა მის ნაცოდვილარს,
მართლაც, ვაჟომ, პანტეს თვალი მოჰკრა თუ არა, მავთულისკენ გაშ-
ვერილი რკინის საკვნეტი დამფრთხალმა ჯიბეში ჩაიდო. ბუჭუს საქ-
ციელი წაუხდა, პანტე მაინც მათი მასწავლებელი იყო და რიდი და
კრძალვა შემორჩენოდათ. პანტეს გაუხარდა ბიჭებს რომ საქციელი
წაუხდათ, მთლად ღვთისგან გავარდნილები არ ყოფილანო. გაიფიქრა.

— გამარჯობა თქვენი!.. — უთხრა მშვიდად და იმ მოსაპარავ ქვაზე
ჩამოჯდა. პანტეს ისეთი სახე ჰქონდა, ისე იქცეოდა, თითქოს არაფრად
თვლიდა ქურდებთან შეხვედრას, თითქოს არაფერი გაეგონა, არაფე-
რი წყინდა. სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა. ბიჭები ადგილზე გახევებუ-
ლიყვნენ. პანტეს არ მოელოდნენ. ასე უცებ საიდან გაჩნდაო, გაკვირ-
ვებულები უყურებდნენ ერთმანეთს.

— რაზე შეწუხებულხართ, ბიჭებო? — იკითხა პანტე მასწავლე-
ბელმა.

— დათიკო ვასილიჩმა გამოგვგზავნა. ეს ქვა მინდაო, — თქვა რი-
ხიანად ვაჟომ, — უნდა წავუღოთ, თუ დავძარით ადგილიდან, ჰი-ჰი! —
სულელივით გაიღრიჭა.

პანტემ მას თვალი მოარიდა. შორს მთებს გახედა და ჩაფიქრდა.
თითქოს რაღაც დიდი გადაწყვეტილება უნდა მიიღოსო, გაჩუმებული
იჯდა დიდხანს. ბოლოს ბიჭებს მტკიცედ უთხრა:

— ამ ქვის წაღება აქედან არ შეიძლება, ბიძიებო...

ასეთი ლმობიერ, მშვიდ პასუხს პანტესაგან არ მოელოდნენ, ბუჭუს
გულიც კი მოუბრუნდა მასწავლებლისაკენ, თვალი ვერ გაუსწორა, ვა-
ჟოს შეხედა საყვედურით და ხელად ყველაფერი მას გადააბრალა.

— აა, ხომ გითხარი!..

სამარისებური დუმილი ჩამოვარდა, პანტეს ბუჭუს მლიქვნელური

უკანდახევა სულ არ მოეწონა. ზურგს უკან ბუჭუც კარგა გვარიანად ლანძღავდა, პირისპირ კი ცდილობდა, თავი ანგელოზად მოეჩვენებინა.

— რატომ არ შეიძლება? — გაიცინა ვაჟომ, — ქვაა, სხვა ხომ არაფერია?

— ეს ეკლესია კულტურის ძეგლია, ვისაც რა მოუნდება, ის რომ წაიღოს, აქ არაფერი დარჩება, — მიუგო პანტემ.

— ეკლესიას ვინ რას ერჩის, ჩვენ ქვა გვინდა, ბატონო პანტე.

— ქვის წაღება არ შეიძლება სწორედ.

— რატომ მაინც, რატომ? — დაინტერესდა ვაჟო, — დირექტორმა იცის, ელაპარაკა ვასილიჩი. აგერ ჰკითხეთ კაცს... — ვაჟომ ბუჭუს შეხედა.

— კი, ბატონო პანტე, იცის, — დაუდასტურა ბუჭუმ, — მე მითხრა, მიეცით, ოღონდ, პანტეს ჰკითხეთო, თქვენი შვილიც, ანდრიც იქ იყო.

— ვინ დირექტორმა გითხრათ? — თვალები მოწკურა პანტემ.

— მეურნეობის დირექტორმა, ჟორა ივანიჩმა.

— ვინ ჰკითხავს მეურნეობას?! — ჩაიქირქილა პანტემ, — ამას თავისი უფროსი ჰყავს.

— იმ უფროსსაც ვნახავთ, ბატონო, თქვენ არხეინად იყავით, ვასილიჩს უარს ვინ ეტყვის! მთელი რაიონი მისი არ იყო? რომ ნდომოდა, მთლად წაიღებდა ამ ეკლესიას სახლში, — უთხრა ვაჟომ.

— რად უნდა ეს ქვა მაინც? — ჰკითხა ბიჭებს პანტემ.

— მარნისთვის უნდა.

— მარნისთვის?

— ჰო, მაგიდის მაგივრად, — ვაჟომ ქვას ფეხი მიადო, — ხუთიექვსი კაცი დაეტევა გაჭირვებაში. იცით, რა მარანი აქვს? — ჩვეულებრივი მაგიდის დადგმა არ ივარგებს იმ მარანში.

— ეს უბრალო ქვა არ არის, ვაჟო ბატონო!.. მარანში რომ დავდგათ.

— ქვა, ქვაა, ბატონო პანტე, მთლად ყრუები ჩვენც არა ვართ...— ვაჟომ ცალი ხელით დოინჯი შემოიდგა და პანტეს დახედა.

— ეს დავით აღმაშენებლის ქვაა, ამაზე ძვირფასი აქ არაფერია,— უთხრა პანტემ.

— ვიღაცის რომაა, რაღაცა რომაა, იმიტომ უნდა სწორედ, — მიუგო ვაჟომ, — ვასილიჩის მარანი თქვენ მართლა მარანი ხომ არ გგონიათ, — მუზეუმში არაა იმდენი რამეები, რამდენიც იქაა.

— ეს არის აღმაშენებლის ქვა? — ბუჭუმ ქვას ფეხი დააბიჯა და სინჯვა დაუწყო, — მეც გამიგია, აღმაშენებელმა ამოიტანა [illegible].

ბუჭუ ეშმაკობით და ფარისევლობით აპირებდა პანტეასთან [illegible] ენა გამოენახა. ვითომ ქვის ამბავი აინტერესებდა, ქვას და პანტეს გარს უვლიდა.

პანტე წამოდგა. სამრეკლოსთან ახლოს მივიდა და ბიჭებს დაუძახა:

— მოდით აგერ! — ხელი სამრეკლოს ჩამონგრეული სახურავისკენ გაიშვირა, — ე, იქიდანაა ჩამოვარდნილი.

სამრეკლო დიდი თლილი ქვისაგან იყო ნაგები, ერთი ქვა მართლაც აკლდა. ვაჟს და ბუჭუს დანგრეული სამრეკლო ადრეც ენახათ, ამ ქვის ამბისთვისაც მოეკრათ ყური, მაგრამ არ სჯეროდათ, და ამიტომ, არც ახსოვდათ ხეირიანად თუ რატომ ერქვა ქვას დავით აღმაშენებლის სახელი.

პანტემ პირადი წყენა გადაივიწყა, გულით მოუნდა აეხსნა თუ რატომ არ შეიძლებოდა ამ ქვის აქედან წაღება. პანტე ფიქრობდა, რომ თანასოფლელებმა არ იცოდნენ ამ ადგილის ისტორია, არ გაეგებოდათ აქაურობის მნიშვნელობა, თუკი ბიჭებს სულში ჩაუძვრებოდა და გულს გადაუშლიდა, თუ წარსულის ნამდვილ სურათს დაუხატავდა, ქვას ხელს არ ახლებდნენ, პანტეს ბოდიშს მოუხდიდნენ და შერცხვენილები საიდანაც მოვიდნენ, იქით წავიდოდნენ. მაშინ პანტე ბიჭებს ყველაფერს აპატიებდა.

— ეს ადგილი ჩვენს წინაპრებს წმინდა ადგილად მიუჩნევიათ ოდითგანვე. — დაიწყო პანტემ. — ადრე აქ წმინდა მუხა მდგარა, რომელიღაც ღმერთის პატივსაცემად ოხვამე — სალოცავი ჰქონიათ. შემდეგ წმინდა გიორგის ეკლესია აუშენებიათ, ახლა რომ დგას ის კი არა, დიდი ტაძარი ყოფილა ასეთი ქვით ნაგები, — პანტემ სამრეკლოს ყვითელ ქვას მოუტყაპუნა ხელის გული, სამრეკლოს გარს უვლიდა, თან ძველ ამბავს ყვებოდა, ბიჭები მორჩილად დაჰყვებოდნენ წინ და უკან. ის წმინდა საყდარი სარკინოზებს (ურჯულოებს) დაუნგრევიათ და ცეცხლი წაუკიდებიათ. გადარჩენილა, ა, ეს სამრეკლო... — პანტემ კვლავ დაუტყაპუნა ხელისგული სამრეკლოს, შეჩერდა, სამრეკლოს სიძველისათვის ხაზი რომ გაესვა. — ახლა რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ? — ჰკითხა ბიჭებს, — მეოცეში ხომ?.. ცამეტი საუკუნის წინ მომხდარა ეს ამბავი. ცამეტი საუკუნე ხუმრობა არ არის. შემდეგში, როცა დავით აღმაშენებელმა დამპყრობლები გარეკა, ბერებს მოუძებნიათ თავიანთი ძველისძველი სავანე და მისი აღდგენა უცდიათ, თურმე თვითონ ეზიდებოდნენ კირს, წყალს, ქვას, ქვიშას. დულაბს თვითონ

ასხამდნენ და ქვებსაც თვითონ აწყობდნენ. ხელოსნები არ ჰყოფნათ, ქუდზე კაცი მტერს ებრძოდა და ეკლესიებისათვის არ ეცალათ.

სალაშქროდ მიმავალ დავით აღმაშენებელს აქ ჩამოუვლია, ალბათ საწყალი ბერები როგორ ეჭიდებოდნენ ამ ქვას. ჩამომხტარა ცხენიდან, ამოსულა ფერდზე, დაუვლია ხელი ქვისთვის, მაღლა აუტაცნია და იმ ადგილას, საცა ახლა ქვა აკლია, შემოუდვია. ბერებს მადლობა უთქვამთ, დავითი კი ამხედრებულა თავის ბედაურზე, ლაშქარს წინ გაძღოლია და თავისი გზით წასულა. ბერებს ქვა კედელში ჩაუშენებიათ, მაგრამ დუღაბი არ ჰქონიათ ძველებური და ქვა დროთა განმავლობაში კვლავ ძირს ჩამოვარდნილა.

— ზღაპრებისათვის გვცალია ახლა ჩვენ? — ხმადაბლა გადაულაპარაკა ვაჟომ ბუჭუს.

პანტემ ეს გაიგონა და აენთო, რაც ითმინა, ერთ წამში წყალში ჩაყარა. ბიჭებს გაცეცხლებული თვალები უჩვენა.

— თქვენ გგონიათ მე მცალია?.. — შეუღრინა და გადმოსკდა. წამოვიდა, ითქვა სათქმელი.

— ვინ დათიკოო, ვინ ვასილიჩიო, ან თქვენ ვინა ხართ, ამდენს რომ გებოდიშებით, ხელი არაფერს ახლოთ, ეს ყველაფერი ხალხისაა, უფრო ძვირფასი და ღირებული, ვიდრე თქვენი მეურნეობა და საკონსერვო ქარხანაა, — მიახალა უცებ და ქვაზე დაჯდა, — გესმით თუ არა!

პანტეს გაფიცხებამ ვაჟო გააღიზიანა.

— აქამდე ვართ თქვენი ჭკუის სწავლებით! — ვაჟომ ნიკაპზე მიიდო ხელი, — თქვენი წყალობით ყველაფერი გვესმის და ყველაფერი ვიცით... — უთხრა დაცინვით.

— თუ გესმით და იცით, აქ საქურდავად რა სინდისით ამოხვედით?! მთელი სოფელი თქვენი არ არის? ეს ერთი მტკაველი მიწა, ეს ძველი ეკლესია, ეს ქვა და ხე დაანებეთ წინაპრებს!

— საქურდავადო?! — შესძახა ვაჟომ, თვალები გადმოკარკლა და ბუჭუს შეხედა.

— უთხარი რამე თორემ, თვალებში სინათლე დავკარგე, ბუჭუ!

— მაგას რატომ კადრულობთ, ბატონო პანტე, ჩვენ ქურდები არა ვართ! გამოგვაგზავნეს და რა გვექნა... — თქვა ბუჭუმ უკმაყოფილოდ.

— როგორ თუ ქურდები არა ხართ? აბა, მე ვიგონებ? ეს ქვა არ მიგქონდათ სახლში, ახლა, ამ წუთში?

— ქურდი ჩემთვის ჯერ არავის დაუძახია!.. — იყვირა კვლავ ვაჟომ, ეკლესიის კედელთან მიყრილ ხარახურიდან დაჟანგული რკინის

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მილი გამოათრია, პანტეს თვალწინ მაღლა ასწია, ჯერ რკალივით მოხარა, შემდეგ თანდათან ბოლოები ერთმანეთს მიუახლოვა, ბოლოს დაგრიხა, დაგრიხა და პანტეს ფეხებთან დაუგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იყო, ბიძიკო, რაზე გრიხავ მაგ ჟანგიან რკინას, მაშინებ?.. ლონეს მიჩვენებ?.. თუ ლონიერი ხარ, აგერაა ეს ქვა, ორივემ ერთად ვერ ასწიეთ ხომ ნახეთ? ერთი კაცი სწევდა მაგას ძველ დროში...

გასაკვირია პირდაპირ, საქურდავად დადიხართ, ზედ ქურდობაზე დაგიჭირეთ და ქურდი რომ დაგიძახეთ, ეს გწყინთ? ამიტომ გრიხავ „ჟეშტებს“? — პანტემ ჩაიქირქილა და ვაჟოს თვალი თვალში გაუყარა.

— მომაშორე, ბუჭუ, ეს კაცი, გეუბნები მე შენ, თორემ... — შესძახა ვაჟომ და პანტესაკენ გაიწია. ბუჭუ წინ გადაუდგა.

— თორემ რა?.. — ხახვი არ დამაჭრა, ბიძიკო, ყურებზე! — მშვიდად უთხრა პანტემ, — წავალ ახლა მილიციაში და სახალხო ქონების ქურდობისათვის ორივეს დაგაჭერინებთ.

— მაგაში ვერ გაჯობებთ ვერავინ! — უთხრა ბუჭუმ, მასაც აევსო მოთმინების ფიალა.

— გული არ გამიხეთქო. — გამოაჯავრა შორიდნა ვაჟომ. — ქვის ქურდობისთვის კი არა, ოქროს ქურდობისთვის ვერ იჭერენ დღეს ადამიანს. წავიდა ის დრო, შენისთანა შპიონები რომ პარპაშობდნენ...

შპიონი... პანტეს გული ჩაწყვიტა ამ სიტყვამ, ინტრიგანობა არ ეყოფოდა, შპიონის სახელიც რომ მიუმატეს? ვირისგან წიხლი რა საწყენია, დაიმშვიდა თავი პანტემ.

— რას ილრინება ეს ბიჭი, თუ კაცი ხარ, — ბუჭუს ვითომ დაუყვავა პანტემ, — არა ხართ ქურდები? მეცნიერები ხართ? მწერლები ხართ? პედაგოგები ხართ? რა გიწოდოთ, თქვენ თვითონ მითხარით...— ბუჭუს ჩააცივდა პანტე. რაკი ვაჟო ლანძღვა-გინებაზე გადავიდა.

— ყველა პედაგოგი და მწერალი ხომ არ იქნება, ბატონო პანტე,— ბუჭუსაც დავიწყებოდა მასწავლებლის პატივისცემა და უკვე აგდებულად ელაპარაკებოდა.

— ქურდები არა ხართ, აბა?.. — არ ეშვებოდა პანტე. დამამცირებელ დაკითხვას მარჯვედ განაგრძობდა.

— არა ვართ, არა! — მიაყვირა ბუჭუმაც.

— აბა, აქ ჩემს სანახავად ამოხვედით?

— არ გვინდა ეს ქვა, ბატონო, მივდივართ ხომ ხედავ?..

— თქვენ კი მიდიხართ, მაგრამ ქურდებს ასე გზა-შარაზე არ უშვებენ!.. — პანტე სიტყვა „ქურდს“ შოლტივით უტყლაშუნებდა მა[illegible]

— ქურდიცა ხარ, შპიონიცა ხარ და ინტრიგანიც! — მიახალა მოთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინებადაკარგულმა ვაჟომ პანტეს. პანტემ თავისი ერთხელაც მოიქნია თვალების მრისხანე დაკვესებით.

— ქურდი ხარ და, რა გიყო, ბიძია, პროფესორს ხომ ... ხებ, რაზე გწყინს, არ ვიცი?.. — ჩაიხითხითა ბიჭების გასამწარებლად.

— უუხ! — შესძახა ვაჟომ, მობრუნდა, თვალებგადმოქაჩული მიაჩერდა პანტეს და მუშტზე იკბინა. ბუჭუმ ვაჟო მოქაჩა და წაიყვანა. — პანტემ არ მოგვცა-თქო, ვუთხრათ ვასილიჩს, მორჩა და გათავდა, — ამშვიდებდა ვაჟოს ბუჭუ, — ბოლოსდაბოლოს, წერილობითი ნებართვა მოვუტანოთ...

ვაჟო ბუჭუს ყურს არ უგდებდა, უკან-უკან იყურებოდა და უკანასკნელი სიტყვებით იგინებოდა.

— ამის!.. უხ, ამის!..

— ეს თხობელი! ეს ინტრიგანი!.. ეს სოფლის მუწუკი!..

როცა ეკლესიის ეზოს გასცდნენ, ალაგეზე გადავიდნენ, თავდალმართზე დაეშვნენ და თვალს მიეფარნენ, პანტე კვლავ დავით ალმაშენებლის ქვაზე ჩამოჯდა, სიგარეტი გააბოლა და ფიქრებს მიეცა: „როგორ ეწყინათ, ნამდვილი სახელი რომ დავუძახე. ერთიც და მეორეც როგორ აპილპილდა... ვინ არიან ესენი? თითქოს ქურდებს მართლა ვერ დავუძახებთ... ვერც იმას ვიტყვით რომ დიდ დანაშაულს სჩადიან და სახელმწიფოს ზიანს აყენებენო. უჰ, რა კარგად იქცევიან, რა სიკეთეს სჩადიანო — ამის თქმაც გაგვიძნელდება. მაშ, ვინ არიან, სახელად რა ჰქვიათ?...

ყაჩაღები? — არა.

უსაქმურები? — არა.

კეთილსინდისიერი მშრომელები? — არა.

ხულიგნები? — არა.

აი, ასეთი, უწყინარი, სულიერად დაკოდილი არამზადები უფრო საშიშნი და ვერაგნი სჩანან საზოგადოებისათვის, ვიდრე სისხლის სამართლის დამნაშავენი. უბედურება ის გახლავთ, რომ ისინი ჩვენი საზოგადოების წიაღში წარმოიშობიან, ჩვენს ოჯახებში იზრდებიან, სკოლაში მათ ჩვენ ვასწავლით, მე ვარ მათი მასწავლებელი...

დიდი აკაკისა არ იყოს „სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ...“ სხვას ვერავის გადავაბრალებ მათ უვიცობას, უზნეობას, უთვისტომობას.

მაინც როგორ მოხდა, რატომ მოხდა რომ ბუჭუ და ვაჟოსთანებიც გავზარდე, განა მე მათ არ ვასწავლიდი პატიოსნებას, კეთილზნეობას, სამშობლოს სიყვარულს... ვასწავლიდი, ისინი კი არ სწავლობდნენ, ჩემი ხმა რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...

რატომ? რატომ ხდებოდა ასე? — ეს არის მთავარი... იმიტომ, რომ ეს ქვა ბევრჯერ დავანებე იმათ, ვერ გამოვიჩინე სიმტკიცე, სიბეცეც შევალახინე, ღირსება შევაბღალინე და აჰა, შედეგმაც არ დააყოვნა.

ღირსებააყრილი, უპრინციპო, თვითონ უზნეო მასწავლებელი ვერ გაზრდის ზნეკეთილ თაობას, თუნდაც ამიტომ ვერ დავანებებ ამ ქვას ვერავის.

ეს უბრალო, უტყვი ქვა ქვეყნიერებას მეტს ეუბნება, ვიდრე ზოგიერთი მეტყველი თანამემამულე.

ეგდოს ეს ქვა აქ, ვინ იცის რისთვის დაგვჭირდეს, რის საბუთად გამოგვადგეს. ეს ჩვენი ისტორიაა... ჩვენი საუნჯეა...

არ ღირს მაგათზე ფიქრი! — დაასკვნა უცებ და ჩამავალ მზეს გახედა. შემოდგომის თბილი დღე იდგა. დასავლეთი სისხლისფრად შეეღება ბარჩხალა მზეს, მოტაროსე მზის ჩასვლა სიამოვნებას ჰგვრიდა მოხუცს. არ უნდოდა ფიქრი იმაზე, რაც მოხდა: არც ვასილიჩის, არც სხვა ვინმეს გახსენება არ უნდოდა. აქედან თვალთუნახავი, მომაჯადოებელი, მართლაც რომ ზღაპრული და ლამაზი იყო კოლხეთის დაბლობი. კოლხეთს გასცქეროდა. დასავლეთი წითლად ღუოდა. სიწითლე თანდათან ოქროსფერში გადადიოდა. სამხრეთსა და ჩრდილოეთს ოქროსფერი გადაჰკრავდა, აღმოსავლეთი კი ცისფრად ხასხასებდა, მზის სხივი ვერ სწვდებოდა აღმოსავლეთს. დიდხანს იჯდა ნირვანში გადასული, ტკბილ ფიქრებსა და მოგონებებში წასული.

ძელქვის ხეზე ფრთაჭრელი ჩხიკვი შემოჯდა. დასჩხავლა და დასჩხავლა პანტეს, განგაში ატეხა: რა გაქვს სადარდებელი, მოხუცო, ჩვენ, ბუნების შვილები, შენთან ვართო. თითქოს ჩხიკვის ჩხავილმა გამოაფხიზლაო, წამოდგა, ეკლესიის ეზოში დაბმული ძროხა ახსნა, აქ ამოჰყავდა საბალახოდ. მას შემდეგ, რაც აქაურობა შემოაკავა, ეკლესიის ეზოში ხასხასა ბალახი იზრდებოდა.

ახსნა რქაჩამოტეხილი თვალშავა ძროხა, თოკი ხელზე დაიხვია, ეკლესიის მიდამო ერთხელაც შეათვალიერა, კვლავ დაადო კლიტე თავის დაჭედილ ხის კარს. ალაგე, სადაც ქურდები გადავიდნენ, წინადღით განაკაფი ეკალბარდით გადაქუცა, ძროხას წინ გაუძღვა და ფერდობის ბილიკით ნელა გაუდგა გზას შინისაკენ.

2

ოხვამეკარიდან დაბრუნებულმა პანტემ, თავისი ეზოს ჭიშკარი შეაღო, ძროხა შიგ შეიყვანა, კარის ჩასაკეტად რომ მიბრუნდა, პირუტყვმა თავი წაართვა და ჭისკენ გაიქცა. შეგჭამა მგელმაო, მიაძახა, რკინის

პატარა ურდული სწრაფად გააჩხაკუნა და გამოუდგა. ძროხა ჭის თავ-
თან შეჩერდა, პატრონს მოხედა და დაიზმუილა, ისეთი თვალებით უყუ-
რებდა, ისე წრიალებდა და ზმუოდა ჭის თავზე, ლამის ენა ამოედგა:
მწყურია, ადამიანო, მთელი დღე წვეთი წყალი არ ჩამსვლია, ჩქარა
წყალი დამალევინეო. პანტე სამზადში შევიდა, სამზადის კარადა გამო-
აღო და მონარჩენ ღომსა და ჭადს დაუწყო ძებნა. შემდეგ კარდალები
და სათლები ააჩხაკუნა. ძროხისთვის განკუთვნილი სათლი გადმოიღო.
ღერღილას გამონარეცხი ჩაესხათ და შეენახათ. პანტემ სათლში ღო-
მისა და ჭადის ნატეხებიც ჩაყარა, შიგ ხელი ჩაყო, მოურია... კარდა-
ლებისა და სათლების ხმაურზე კრიახით, წიავით, ყიპყიპითა და ჭყვი-
ტინით სამზადის კარს მოეჯარნენ ქათმები, იხვები, ინდაურები, უღლი-
ანი ღორი და წიწილები. საღამო ხანი იყო. ღორ-ქათამი დაპურებას
მოითხოვდა.

— აქშა! აქშა! — გაჰყვიროდა სამზადში პანტე, — შეგჭამათ ტუ-
რამ! — წიხლებს უქნევდა და გარეთ ერეკებოდა სამზადში შემოვარ-
დნილ უღლიან ღორებს, ქათმებსა და იხვებს, ფეხებში ებლანდებოდა
წიწილები.

— აქშა, თქვე უპატრონოებო! შვილები ვის არა ჰყავს, მაგრამ
ქათმებს შიმშილით არავინ ხოცავს, — ხმამაღლა, რძლის გასაგონად,
გაიძახოდა პანტე.

რძალი ოდაში ეგულებოდა, ნელი ერქვა. მართლა ნელია, ეს ოჯახ-
აშენებულიო, — ხმამაღლა თქვა უადგილო ადგილას.

— ორი ცოლი ვის მოუყვანია, რომ შენთვის მიეცათ! — ვითომ
შვილთან გააბა კამათი, მაგრამ ეს „კამათიც“ რძლის გასაგონად იყო
წამოწყებული. სამზადსა და ჭას შორის მიდი-მოდიოდა და თავისთვის
ხმამაღლა ჯაჯღანებდა:

— ყველგან, მთელ საქრისტიანოში, ერთი ქალი უვლის ოჯახს, ჩემ-
თან ორია, მაგრამ ქათმები მაინც მე უნდა დავაპურო, მამაკაცმა...

ძროხას წყალი დაალევინა, ღორი საღორეში შეიტყუა, ერთი ტარო
სიმინდიც შეუგდო, ქათმებს საკენკი დაუყარა, ძროხა სამზადის სვეტ-
ზე მოსაწველად მიაბა, ცარიელი სათლი სამზადში შეიტანა, სამზადის
წინ თავის გრძელ სკამზე დაჯდა და ქალების მოლოდინში საკენკზე
მისეულ ქათმებს, იხვებსა და ინდაურებს ცქერა დაუწყო.

— ჯურჯა! — შესძახა უცებ და ოდისკენ გაიხედა, შვილიშვილს
ეძახდა, მართლა ჯურჯა კი არ ერქვა. რეზოს ეძახდნენ, ბაბუამ შეარქვა
ჯურჯა, ვითომ ჩაკირულ-ჩაგვირისტებული — ჯურჯა გლეხკაცი მეზრ-
დებაო, სინამდვილეში კი პატარა რეზო ჭიასავით წვრილი, ფერგამქრა-
ლი, უჭმელ-უსმელი ბიჭი იყო, ხშირად ავადმყოფობდა, მშობლები ზედ

აკვდებოდნენ, ნიავს არ აკარებდნენ, მაგრამ მაინც უდღეურივით გამოიყურებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯურჯა! — ერთხელაც დაუძახა. ოდის უკანა კარზე ქვის კიბის თავზე წელს ქვევით სულ ტიტველი, მაკარონივით წვრილ ფეხებზე შემდგარი „ჯურჯა“ გამოვარდა, დედას გამოქცეოდა.

— შენ მაინც სადა ხარ, ბაბუა? — საყვედური უთხრა პანტემ, მეტი ვერაფრის თქმა მოასწრო. ბავშვს დედაც თან მოჰყვა ჩხუბითა და წყრომით.

— გამიღვიძეთ ავადმყოფი ბავშვი! — ჩამოსძახა პანტეს რძალმა, — მეც გამაღვიძეთ! რა დავაშავეთ ასეთი, რა არის ვითომ, სახლში ყოველთვის ყვირილ-ყვირილით რომ მოდიხართ, ვის აშინებთ? — მე თქვენ უპატრონო ხომ არ გგონივართ?!..

პანტეს რძალი ნელი, ანუ როგორც შინაურებში ეძახდნენ ნელიკო, მაღალ-მაღალი გამხდარი ქალი იყო, შაკიკი ჰირდა და სულ თავშეხვეული იწვა, ისე შემოიბურავდა ჭინჭებს მხოლოდღა წვეტიანი ცხვირი მოუჩანდა. ანჩხლი და ჭირვეული ზოგჯერ სულ უმიზეზოდ კაპასობდა, გაკაპასებულს ცხვირის წკვინტი უწითლდებოდა და პირიდან ავი სიტყვები ამოსდიოდა.

პანტემ თავი აიღო და რძალს თავშეკავებული სიბრაზით ასძახა:

— ზედმეტს ხომ არ კადრებთ თქვენს თავს, ბატონო რძალო?—ამ სიტყვებში მუქარაც გამოკრთოდა და ირონიაც. ნელის ეს არ გამოეპარა და აენთო:

— რა არის ზედმეტი? რომელი ვთქვი ზედმეტი?..—აიჩემა და აიჩემა და მამამთილს მაღლიდან თითის ქნევაც კი დაუწყო, — დია, ზედმეტიო, რა მითხრა ეს, რა?.. მოსვენება არა გვაქვს თქვენს ხელში, არც მე და არც ჩემს ბავშვებს, ჩემი ქმარი სულ გადავარდნილია სახლიდან და ეს კიდევ მეუბნება ზედმეტიო... საჭმელი ჩვენ არა გვაქვს, სასმელი ჩვენ არა გვაქვს, სახლი გვაქვს ვითომ, მაგრამ თავზე გვენგრევა, მანქანა ჩვენ არა გვაქვს და არაფერი, ძილი რომ ძილია, ისიც კი არა მაქვს... ერთი წუთით დავხუჭავ თვალს და ყვირილია... ზედმეტიო, ეს მეუბნება, ესე იგი ხმა რა ამოიღოო, კატორღაში ცხოვრება მოითმინე მუნჯურადო... ამათ მე მართლა უპატრონო ხომ არ ვგონივარ, ახლავე გავუგზავნი ტელეგრამას მამაჩემს აბაშაში და ე, ვნახოთ მერე!..

ნელი მამამთილს არ ელაპარაკებოდა, იქეთ ეზოს გადაღმა მეზობელს მოჰკრა თვალი და იმის გასაგონად გაჰკიოდა ხმამაღლა. პანტე წამოდგა და უსიტყვოდ გაეცალა რძალს. შეპასუხება შედეგს არ გამოიღებდა, გაცლა ამჯობინა.

ნელიმ რეზო ოთახში ძალით შეათრია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეზომ ტირილი მორთო, თანდათან მოუმატა და მოუმატა, დაწოლა არ უნდოდა:

— გაჩუმდი! არ გამიღვიძო ბავშვი, შე არ დასაცალებელო! — მიმოესმა პანტეს რძლის ხმა. — ოცდათვრამეტი გაქვს სიცხე, გაჩუმდიმეთქი, გეუბნები!

რაკი ოდას კარ-ფანჯრები ღია ჰქონდა, გაფაჩუნებაც კი ისმოდა გარეთ.

რეზომ ხმა გაკმინდა, მაგრამ ახლა გიას ტირილის ხმა მოისმა, გია აკვანში იწვა, ისიც მიზეზიანი ბავშვი იყო, სუ დედა, სუ დედაო, უთხრა ნელიმ და აკვანს რწევა დაუწყო. აკვნის რწევის ხმამაც კი გამოაღწია გარეთ.

მზე ჩასულიყო. ადრიანი შემოდგომის მშვიდი, წყნარი საღამო იდგა. სამზადის სვეტზე მიბმული, გამაძღარი ძროხა არ იცოხნებოდა, იქით იყურებოდა, სადაც ხბო ეგულებოდა, ხანდახან დაიზმუვლებდა,— შვილს ეძახდა, ხბოც იმ წამს გამოეხმაურებოდა ვენახიდან. ვენახის პირებზე დაებათ საღარი ბოჩოლა.

ორლობეებში ნელა მოიპარებოდა ღამე. პანტე სამზადის წინ თავის გრძელ სკამზე ჩამოჯდა ისევ და სიგარეტი გააბოლა. შვილიშვილზე ფიქრობდა: „რა მოუვიდა ნეტა, სულ ავადაა ეს მამაძაღლი, მამამისიც ასე იყო, მაგრამ გაიზარდა, კაცი დადგა...“

ამ ფიქრებში რომ იყო, ჭიშკარი გაიღო და ნათელა შემოვიდა, გაუხარდა მეუღლის დანახვა, ოღონდ არ შეიმჩნია, საცა იჯდა, იქიდან არ ამდგარა. ცოლიც წამართვეს ამ სიბერეშიო, გაიფიქრა.

ნათელა ქმარ-შვილს გადაყოლილი ქალი იყო, ხუთი შვილი გამოზარდა. ხუთივე გზაზე დააყენა, ზოგი თბილისში დააბინავა, ზოგი — რაიონში. ანდრი დარჩა მშობლებთან და ანდრის ცოლ-შვილის მოვლა-პატრონობას შეალია სიბერეში თუ რამ ძალა და ღონე შერჩა.

დღესაც ანდრის გამო იყო ჩაის საკრეფად წასული. ანდრი პირველი მაისის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მთავარ აგრანომად მუშაობდა, მეურნეობის დირექტორი და სხვა ხელმძღვანელები არ წუხდნენ იმდენს, რამდენსაც ანდრი განიცდიდა და დარდობდა მეურნეობის ავ-კარგს, მეურნეობის გეგმის შესრულება სიზმრად გადაქცეოდა. შინ და გარეთ სულ გეგმებზე ლაპარაკობდა.

ნათელას, უკვე თმაგადათეთრებულ პედაგოგს, აღარ შეჰკადრებდნენ, ბავშვები ჩაის საკრეფად წაიყვანეო. თვითონ ნათელამ გამოთქვა სურვილი, რაკი მისი ოჯახიდან არავინ მუშაობდა მეურნეობაში, გულს

ეთანალრებოდა, ანდრის ვინმე ამას წამოაყვედრისო და როგორც კი საშუალება მიეცემოდა, მაშინვე გარბოდა ჩაის საკრეფად. [illegible] გამოდიოდა სამუშაოდ, ნათელა თავისი სადამრიგებლო [illegible] ველი მიდიოდა ოჩაიეში, ერთხელ პანტესაც არ მისცა საშველი და ვენახის სათოხნად გაგზავნა (მეურნეობას ვენახის ფართობებიც ჰქონდა), რა ვუყოთ მერე, პენსიაზე რომ ხარ, ანდრის ხათრით წადი, ხომ ხედავ, შინ არავინ რჩებაო. პანტე ერთი ორჯერ მართლაც წავიდა თანასოფლელთა დასახმარებლად, მაგრამ იქ მეზობლებს კამათი და დავა აუტეხა, ასე თოხნა არ შეიძლება, ვენახს დაღუპავთო. აჰყვნენ, დაჰყვნენ და საქმე იქამდე მივიდა, საცა პანტე თოხს დაჰკრავდა, იმ არემარეს ახლოს არავინ ეკარებოდა. მარტოკა მუშაობდა. ბოლოს ანდრიმ თხოვა მამამისს, თოხნა და ბარვა შენი საქმე არ არის, ოჯახს მოუარეო. პანტე მიხვდა, შვილი მეზობლებმა გამომიგზავნესო, ეწყინა და მას შემდეგ მეურნეობას არ გაკარებია.

ნათელა ჭიშკარში რომ შემოვიდა, ნამდვილი ჩაის მკრეფავივით წინსაფარი ეკეთა და ჩაის კალათა მოჰქონდა. ახლოს მოსვლა აცალა.

— ხო-ხო-ხო, ააშენეთ ალბათ ქვეყანა! — ჩაიქირქილა თავისებურად — მაგ უსაქმურ საქმეს გერჩია ძროხა მოგეწველა დროზე, გასკდა ბღავილით, გაუშრა რძე... ხომ ხედავ, სულ დაღამდა, რაფერ მოწველი ამ სიბნელეში.

— ავანთებ სინათლეს და არ იქნება სიბნელე, — მოუჭრა ნათელამ მშვიდად, კალათა კუთხეში მიდგა, ელექტრონი ჩართო და სამზადი გაანათა.

— აუშვი ხბო, — ქმარს გამოსძახა.

პანტეს არ მოეწონა ნათელამ რომ ასე გააბიაბრუა და ახალი ბრალდება წაუყენა.

— ჩვენი ოჯახი ახლა ოჯახს ჰგავს? ძროხა მოუწველავია, ხომ გესმის, ღორი როგორ ჭყვირის საღორეში, ამ ქათმებს და ინდაურებს ხომ ხედავ, რა მთვრალებივით დაბორიალებენ მინდორში? აღარ იბუდებენ, შიათ, იქნება წყურიათ კიდეც, ვინ იცის... ვინ არის პატრონი! ხის ძირას რა დევს, ეგერ?..

პანტე წამოდგა, სამზადში შეიხედა და ცოლი საჩეხში გამოიყვანა:

— გეკითხები, რა დევს-მეთქი იქ ბუოლის ძირას, — თითი გაიმვირა ბუოლისაკენ.

— რა დევს და სკამი დევს, რა მოხდა მერე?..

— არაფერი მოხდა? აბა, არ შევიტანოთ სკამი შინ?

— ოხ, ვინ ამბობს მაგას, პანტე, რა მოგვიდა, კაცო, მარილი სულ დაბერდი?..

— დავბერდი, ო, დავბერდი, ა, ეს წიწილები გარე-გარე რომ დადიან — წალებენ, პატრონი არ უნდა ამათ? ინდაურის ჭუკები რამდენი ხანია არ დაგითვლიათ...

— კარგი, პანტე, გული ნუ წაიღე, ჩვენ მოსამსახურე ხალხი ვართ, ჩვილი ბავშვები გვყავს, ოჯახში ბევრი საქმეა, ფეხიფეხგადადებული შენი ცოლი არავის უნახავს. თეატრში მე არ დავდივარ და კინოში, ვერ გავწვდი ყველაფერს ალბათ.

— მეც იმას გეუბნები, რომ ვერ გაწვდი, ახალგაზრდებმა, კეთილი ინებონ და დაგვეხმარონ.

— ახალგაზრდები მუშაობენ, ცხვირით მიწას ხნავენ და მეტი რა ქნან?

— კი, მუშაობენ.... ის შენი ამორჩეული რძალი მაინც დღე და ღამეს ასწორებს მუშაობით, — პანტემ ხმას დაუწია. — ბავშვებს დაათრევს მთელი დღე კატის კნუტებივით, იმათაც ვერ უვლის ხეირიანად, რეზოს ოცდათვრამეტი აქვს სიცხე...

— უჰ, რატომ? მოუკვდა ბებია! წადი, აუშვი ხბო და მოვწველი ამ ოხერს... ნელი! ნელი! — გასძახა რძალს, — გამომხედე ერთი! რა ჭირს ბავშვს?.. — სახლიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— აწი რა ფასი აქვს, მოწველი თუ არ მოწველი... — უთხრა პანტემ ცოლს.

— აბა, ასე ვიდგეთ და ვიდავოთ დილამდე? გასაკვირია შენი საქმე, ღმერთმანი.

— მეც მაგას გეუბნები, რომ გასაკვირია, შვილები, ვინც ვარგოდა, აქეთ-იქით დამიფანტე, აიჩემე ანდრი, ანდრიო და ჰა, შენი ანდრი, შინ ის არ ვარგა და გარეთ მონასავით დასდევს უკან უფროსებს... ცოლი მომიყვანა და კუტივით სულ ოთახში ზის, შვილები გააჩინა და უდღეურებია!..

— სუ, სუ, სუ! — იკივლა ნათელამ, — პირზე ხელი მიიფარე!.. ქმართან მიიჭრა და თვითონ ააფარა ხელი ტუჩებზე.

— არ გრცხვენია, ანდრიზე მაგას რომ ამბობ?.. შენ გგონია, ნერვები მე არა მაქვს? — შაგრამ ვითმენ. დღეს მთელი დღე ლუკმა არ ჩამსვლია პირში, ოთხი გაკვეთილი ჩავატარე, მერე თათბირი გვქონდა და იქ ვიჯექი ერთი საათი, მერე კიდევ ბავშვები წავიყვანე ჩაიში, შინ მოვედი და მეჩხუბები...

ისინი სამზადის წინ, საჩეხის შუა სვეტთან იდგნენ ერთმანეთის

პირისპირ და ხმადაბლა, ცხარედ კამათობდნენ, ვითომ ოდაში ოთახს არ გაიგონოსო.

ნათელას ხელში რძის ჩასაწველი სველი ქოთანი ეჭირა. ამ ქოთანს ისე უხერხულად იქნევდა, კაცს ეგონებოდა, საჩეხის სვეტს მიახლის და მიამტვრევსო.

— კარგი, ჰო, ქოთანი არ დაამტვრიო, — უთხრა პანტემ. — გატრიალდა და ხბოს მოსაყვანად წავიდა. ნათელამ ძროხას ცური ჩამობანა, ფუნაზე დაწოლილიყო და დასვროდა. ამასობაში ხბომ მოირბინა და გავეშებული ეცა რძით გატიკნულ ძუძუსთავებს.

ნათელა ძროხას მიუცუცქდა, ქოთანი შეუდგა და ხბოს რძე მოაგანინა. ამასობაში პანტეც მოვიდა, ძროხას ხბო მოაშორა და სამზადის სვეტზე მიაბა. თვითონ თავის გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ძროხის წველას დაუწყო ცქერა.

უჩუმრად მოწველეს ძროხა, უჩუმრად მიალაგ-მოალაგეს, რაც მისალაგებელ-მოსალაგებელი იყო და დამდურებულებივით ამოვიდნენ ოდაში.

ნელი რეზოს მიწოლოდა, დავაძინებო ეფიქრა და თვითონაც ჩაძინებოდა.

პანტე თავის ოთახში გავიდა, შუქი აანთო, სათვალე გაიკეთა და ჟურნალ-გაზეთებს დაუწყო თვალიერება. წაკითხული ჰქონდა, მაგრამ მაინც ათვალიერებდა, იქნება, საინტერესო ცნობა ან სტატია გამომრჩაო. ნათელამ გაზქურაზე სარძე ქვაბი შემოდგა, ბავშვებისათვის რძე აადუღა, იქნება გაიღვიძონ და თითო ჭიქა თბილი რძე დალიონო. სავახშმოდ სუფრის გაშლას რომ შეუდგა, უკანა კიბეზე ფეხაკრეფით ამოვიდა ანდრი, ფრთხილად შეაღო სასადილო ოთახის კარი და დედას თავზე დაადგა.

— უჰ, როგორ შემაშინე, რანაირი შემოსვლა იცი, შეგირცხვა ცხვირი! — შესძახა ნათელამ.

— მამა მოვიდა? — იკითხა ანდრიმ, დედის შეშფოთებას ყურადღება არ მიაქცია.

— ეგერაა, ოთახში... რა იყო, რა ამბავია?..

— არაფერი... — თქვა ანდრიმ და მამასთან შევიდა. პანტე წამოწოლილი კითხულობდა გაზეთს, შვილი რომ შემოვიდა, სათვალეს ზემოდან ერთი გახედა და კითხვა განაგრძო.

— მამა, რატომ არ მიეცი იმათ ის ქვა... — შემოვიდა თუ არა, პირდაპირ დაიწყო ანდრიმ. პანტემ შვილს სიტყვა ბანზე აუგდო, მისკენ არც მიუხედავს ისე უთხრა:

— რეზოს სიცხე აქვს...

ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვაზე პანტეს საუბარიც კი არ უნდოდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ანდრი მაგიდას მიუჯდა, ... ყვით ჩამოეყრდნო, კარგა ხანს იჯდა გარინდებული, არ იცოდა, ... მიდგომოდა მამას, ზოგჯერ ეს ჩია კაცი სალიკლდესავით აიმართებოდა ხოლმე და მაშინ ვერც ძალით და ვერც ნებით ვერ მოდრეკდით.

— ხომ არ დაგავიწყდა დათიკო ვასილიჩი ვინც არის?..

პანტე ხმას არ იღებდა, გაზეთს უყურებდა, უკვე აღარ კითხულობდა, ანდრის აჩვენებდა, თავი დამანებე, შენთვის არ მცალია, გაზეთს ვკითხულობ. არ უნდოდა შვილთან არასასიამოვნო საუბრის წამოწყება. ანდრი კი არ ეშვებოდა.

— ის ქვა დათიკო ვასილიჩს უნდა მისცე, მამა, სხვა გზა არ არის,— ახლა უკვე ხვეწნის კილოთი უთხრა ანდრიმ.

შვილის კილო პანტეს არ მოეწონა, ერჩია, შვილი შეკამათებოდა, შებრძოლებოდა, თხოვნა და მუდარა ამ საქმეში, პანტეს აზრით, სულ მთლად მოუთმენელი და დაუშვებელი იყო.

— არ მესმის, რა ქვაზე ლაპარაკობ? — ცივად უთხრა პანტემ და გაზეთი გვერდით გადადო. ტახტზე წამოჯდა.

— ახალი წლიდან დირექტორის მოადგილის შტატი გვექნება, ოცი მანეთი მომემატება... — საიდუმლოსავით უთხრა მამას ანდრიმ.

— მერე რა შუაშია აქ ქვა?

— ჩვენი დირექტორი დათიკო ვასილიჩის დანიშნულია, ხომ იცი ეს შენ. ერთი სიკვდილი გავათავე ბიჭები ხელცარიელი რომ დაბრუნდნენ. პანტემ კინაღამ დაგვხოცა, ასე უთხრეს დირექტორს. მინდორში რამდენი ქვა აგდია, იმის აღრიცხვა და შენახვა რა ჩვენი საქმეა, მამა.

— ის ქვა სხვა ქვაა, — შეაწყვეტინა პანტემ შვილს და წამოდგა. ისიც მაგიდას მიუჯდა. სათვალე მოიხსნა და გვერდით დაიდო.

— მართალი ხარ, ჩვეულებრივი ქვა არ არის, მაგრამ მამა ხარ და ჩემს მდგომარეობაშიც უნდა შეხვიდე, — უკან დაიხია უცებ ანდრიმ, — თუ შენებურად კრიჭაში ჩაუდგები ჩემს დირექტორს, დათიკო ვასილიჩს და სხვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მე დირექტორის მოადგილეობას დავკარგავ.

— რატომ დაკარგავ!

— როცა ადამიანი სიკეთეს გიკეთებს, შენც სიკეთით უნდა გადაუხადო. დირექტორი კარგი თვალით მიყურებს, რაიონშიც ყურადღებით მექცევიან, შენ კი შენი შვილის კეთილისმყოფელებისათვის ქვა არ გემეტება. აი, რატომ დავკარგავ!..

— ნუთუ ასეთ მნიშვნელობას აძლევენ ამ ქვას, თუ შენ აზვიადებ?

— სწორედ აძლევენ, დირექტორმა თქვა, ესო პრესტიჟის საქმეა. პანტე ისე იქცევა, თითქოს მის მეტს ეს ქვეყანა არავის ეკუთვნოდეს. ნამდვილში ხომ ყველამ კარგად ვიცით, პანტე ვინც არისო.

— მერე შენ რა უთხარი.

— რა უნდა მეთქვა?

— შენ იქ იყავი, როცა ეს სიტყვები ითქვა?

— კი, იქ ვიყავი, მოვკვდი, გავთავდი კაცი, რა მქონდა სათქმელი, დათიკო ვასილიჩი იყო ჩამოსული რაიონიდან და კანტორის წინ ვიდექით: მე, ვასილიჩი, დირექტორი, ვაჟო და ბუჭუ. ვასილიჩი რაიონში მიდიოდა და იმას ვაცილებდით. ძალიან გთხოვ, მამა, მაგ ქვისთვის სოფელს ნუ ააწრიალებ და მთელ რაიონს ნუ გადამკიდებ.

— ის ქვა დავით ალმაშენებლის ქვაა, ბიჭო.

— ვიცი, მაგრამ დღეს ასეა საჭირო.

— „დღეს ასეა საჭირო", — გამოაჯავრა პანტემ, — რატომაა ვითომ დღეს ასე საჭირო, რატომ მაინცდამაინც დღეს, ვითომ დღეს სხვა დღეა? ჩვეულებრივი ადამიანური საუბარიც კი გადაგავიწყდა!.. რად გინდა დირექტორის მოადგილეობა, მთავარი აგრონომი ხომ ხარ?

— აბა, სულ ასე ვიყოთ? დედა პედაგოგი, მამა პედაგოგი, მეულლე პედაგოგი, თვითონაც აგრონომი, ყველა რიგითი, ყველა ჩვეულებრივი და გაჭირვებული? სულ მუდამ შთამომავლობიდან შთამომავლობამდე? პატარა არ გავინძრე? დღეს დირექტორის მოადგილე ვიქნები, ხვალ დირექტორი, ზეგ შეიძლება რაიონში წამიყვანონ, მასზეგ კიდევ უფრო ზევით...

— მოიცა! გონს მოდი, თავი არ გაიმასხარაო, თორემ ზევით კი არა, ქვევით წახვალ! — ხმას აუწია პანტემ.

— კარგი, ზევით არ წავალ... დირექტორის მოადგილეობა ხომ შემრჩება. მაინც კარგია, ხელფასიც მეტი მექნება... — მელიასავით დაეკრიჭა, ვითომ მამას კი არა, რომელიღაც უფროსს ეფარისევლებოდა. პანტეს ელდა ეცა.

— ასე ძალიან გინდა, ბიჭო, მოადგილეობა? — ჩაიქირქილა პანტემ თავისებურად. ანდრი მამის ქირქილს არაფრად აგდებდა, მას ახლა ვერაფერი შეაჩერებდა — როგორმე მამა დაეყოლიებინა და ის წყეული ქვა ხვალვე გაეგზავნა მეურნეობის მანქანით რაიონში დათიკო ვასილიჩისათვის.

— ძალიან მინდა, მამა, ძალიან, თავს მოვიკლავ, ის ადგილი რომ დავკარგო, ხუთი წელიწადია ველოდები, — ფეხზე წამოდგა ანდრი, —

ვასილიჩის სიძე, ხომ იცი, ვინც არის? — ჩურჩულით უთხრა მა-
მას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სიძე არ არის ის. — ცივად უთხრა პანტემ.

— დეიდაშვილის ქმარია და შენ რაც გინდა ის დაუძახე, იმიტომ მოსპო, იმიტომ გაანადგურა, ვითომ რა ობიექტური კაცი ვარ, ბიძასაც კი აღარ ვინდობ.

— კაი მოსპობაა, საკონსერვო ქარხნის დირექტორობა.

— სასტიკი საყვედური აქვს, უკანასკნელი გაფრთხილებით.

„ყველაფერი იცის, — გაიფიქრა პანტემ. — ვინ ვისი დეიდაშვილია, ვის რატომ მისცეს საყვედური, ნუთუ მართლა აინტერესებს კარიერა?“ პანტეს უყვარდა ნამდვილი სახელმწიფო და სამეურნეო მოღვაწეობისათვის თავგამოდებული ადამიანები, თუ მის შვილს სურდა, რაიონს თუ არა, სოფელს მაინც ჩადგომოდა სათავეში და საზოგადო საქმე ეკეთებინა, პანტე ამას მიესალმებოდა. როცა ადამიანს მიზანი ჰქონდა და ამ მიზნისთვის თავს არ ზოგავდა, დაუცხრომლად, შეუპოვრად მიიწევდა მისკენ, ასეთ ადამიანს თანაუგრძნობდა, კარიერისტს ვერ დაუძახებდა... პანტე ყურადღებით აკვირდებოდა შვილს.

— დაჯექი, ფეხზე რას დგახარ, — უთხრა ბოლოს, — გულწრფელად გინდა დაწინაურება?

ანდრი კვლავ მიუჯდა მაგიდას, სიგარეტი ამოიღო, საფერფლე ახლოს დაიდგა და გააბოლა.

— მინდა კი არა, ღამე მესიზმრება, ვითომ დირექტორის მოადგილე ვარ და კაბინეტში ვზივარ გამოჭიმული.

— კარგი, ვთქვათ, დაგნიშნეს დირექტორის მოადგილედ, — უთხრა უცებ პანტემ, — შემდეგ დირექტორადაც დაგნიშნეს, ბოლოს რაიონში წაგიყვანეს და მთლად რაიონი ჩაგაბარეს, რას იზამდი?

— რას ვიზამდი, — გაიცინა ანდრიმ, არ მოელოდა ასეთ შეკითხვას. ამოვისუნთქავდით და ის იქნებოდა ერთხელ და სამუდამოდ! ცოლ-შვილს ლიკანში გავუშვებდი, ხომ ხედავ, ბავშვები სულ ავადმყოფობენ... ამ სახლს მოვუმატებდი... აგარაკს ავიშენებდი სადმე...

პანტე გულის სიღრმეში ამგვარ პასუხს მოელოდა, შვილს ხომ ხუთი თითივით იცნობდა. გარდა თავისი ცოლ-შვილისა, არაფერი აინტერესებდა, არაფერი ადარდებდა. ნუთუ ყველა მისი აღზრდილი, ყველა მისი მოწაფე ანდრივით ფიქრობდა?

— აბა, დღე და ღამე მეურნეობაში რომ ხარ, მთელი სოფლის საწუხარი შენ რომ გაწუხებს, ეს ყველაფერი ტყუილია?..

— რატომაა ტყუილი? — გაოცდა ანდრი. — თუ მეურნეობაში საქ-

მე კარგად გვექნება, მომავალი წლიდან დირექტორის მოადგილედ უსათუოდ დამნიშნავენ. ცოლ-შვილსაც ლუკმა პურის ფული მოიმატებ-ება. თუ ცუდად გვექნება, შეიძლება საქმე სხვანაირად მეტრიალდეს...

— ასე უჭირს ახლა შენს ცოლ-შვილს? — არ მოეშვა პანტე.

— უჭირს, აბა, არ უჭირს? — იცი, ხალხი როგორ ცხოვრობს? შენ გადაყევი მაგ ოხვამეკარს, ორი თვეა, პენსია სახლში არ მოგიტანია, ნელი ბიულეტინზეა, ისედაც ორი კაპიკი ეძლევა... ჩემი და დედაჩემის ხელფასი კიდევ ვერ გაწვდა ყველაფერს, ნელის პალტო აქვს საყიდელი, ფეხზეც არ აცვია. ბავშვები სულ ავად რომ არიან, ავარაკი ჭირდებათ, ერთი სიტყვით, არ ვიცი... საშველი არ არის...

ანდრი იდაყვებს დაეყრდნო, ხელისგულები საფეთქლებს შეუდგა თითქოს დიდი ჯაფისაგან ცოტა ხნით შეისვენაო, გაყუჩდა, მაგიდას დააჩერდა გარინდებული.

— მაშ, შენი აზრით, მთელი შენი აწმყო და მომავალი ეკლესიის ეზოში ქვა რომ აგდია, იმ ქვაზე ჰკიდია? — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ჰკითხა პანტემ.

— ასე გამოდის, — მიუგო ანდრიმ და მავედრებელი თვალები მამას მიაპყრო.

— თანაც ჩვენ თვითონ უნდა გავუგზავნოთ?

— აჰ, არა! თვითონ მოვლენ, მაგისთვის ვინ შეგაწუხებს! — შესძახა გახარებულმა ანდრიმ, — ოღონდ ეს საქმე არ გაახმაურო, თუ გიყვარდე, ხომ იცი, ხალხის ამბავი, ათას კუდს გამოაბამენ მაგ ქვას. თვითონ მოვლენ, მთლად დათიკო ვასილიჩი მოვა თავისი ფეხით, ისე... უკეთესი იქნება, რა თქმა უნდა, თუ ჩვენ გავუგზავნით, მაგრამ... რა ვიცი... როგორც გინდა... — ანდრი თვალებანთებული შეჰყურებდა მამას, ეგონა, რომ ბოლოსდაბოლოს დაითანხმა.

— მაინც რატომ დაინტერესდნენ ასე ამ ქვით? — ჰკითხა ერთხელაც პანტემ.

— ეს, რა ჩვენი საქმეა, მამა! ჩვენ მივცეთ და ჯანდაბამდის გზა ჰქონიათ...

— უნდა ვიცოდე, რისთვის უნდათ ქვა, ჰკითხე, დასამალი რა არის! — გვითხრან და მერე ვნახოთ...

— ვნახოთო?.. — უცებ მოუკვდა გული ანდრის, — კიდევ ვნახოთოს ამბობ, კაცო? გავგიჟდები და ის იქნება!

— რატომ გაგიჟდები?! გვითხრან რისთვის უნდათ და მივცემ... მეტი რა ვქნა?..

— რა მნიშვნელობა აქვს, რისთვის უნდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქვს ალბათ..

ანდრიმ არ იცოდა ეთქვა, თუ არ ეთქვა. ის რაც ვაჟომ მოიფიქრა, ანდრიმ უცებ ვერ მოისაზრა და მამას სიმართლე უთხრა:

— თურმე დათიკო ვასილიჩი თავის ცნობილ მარანში ბუხარს აკეთებს, რა საჭიროა ბუხარი მარანში, — გულითადობისათვის კანში ძვრებოდა ანდრი, მამის გულის მოგება უნდოდა და მის მოსაწონ აზრებს გამოთქვამდა თავისი ჭკუით, — მაგრამ ხომ იცი, ხალხს ქონი აწუხებს, ფული აქვს და ბუხარს · რატომ ჭიშკართან არ გაიკეთებს, — ნაძალადევად გაიცინა. — დათიკო ვასილიჩი მოქეიფე კაცია, ბუხრის პირას ქეიფი უყვარს... ერთხელ ვიყავი მის მარანში, დირექტორმა წამიყვანა, ეს სასწაულია, ზღაპარია, საწნახელში მანქანა ადამიანივით ჩადგება და ყურძენს რომ დაწურავს, წვენი საწნახელიდან ღარში გადადის, ღარით კი ქვევრში ჩადინდება დაწურული, კამკამა წვენი. ერთი ქვევრი რომ აივსება, ზიარი ჭურჭლის პრინციპით, მეორეც ივსება. ავტომატიკისა და მექანიკის უკანასკნელი სიტყვითაა ყველაფერი მოწყობილი. ბუხარი აქვს, მაგრამ მეფური ბუხარი უნდა გავიკეთოო, ამბობს. ის ქვა თურმე შიგნით ფერადია, იმ ბუხრის მოსაპირკეთებლად უნდა, მგონი.

— ოოო!.. — შესძახა პანტემ და წამოდგა, — იმ გარეწარმა კი მითხრა, მარანში მაგიდის მაგივრად უნდაო.

— ვინ გარეწარმა?

— აი, იმან, ვაჟოა თუ ჭადის ნატეხია...

— მაგიდის მაგივრადო? — ჩაფიქრდა ანდრი, მიხვდა რომ შეცდა, მაგრამ გვიანღა იყო.

— მაგ ქვას ვერ მოგცემთ. — გადაჭრა უცებ პანტემ და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

— შეიძლება, მართლა მაგიდად უნდათ, ჰა? — დაფრთხა ანდრი, — გაბორებული მიაჩერდა მამას. — ვაჟომ უკეთესად იცის, მოურავივით მის სახლშია დღე და ღამე. მე რაღაცას მოვკარი ყური, ის რა სარწმუნოა. — სულ მთლად დაიბნა, აირ-დაირია ანდრი.

— ვიცოდი, რისთვისაც უნდოდა, იმიტომ არ მივეცი, — ჩაიქირქილა პანტემ, — ის დავით აღმაშენებლის ქვაა..

— კარგი, მამა, კარგი, გვეყოფა რაც გვჭირს... გთხოვ, ძალიან გთხოვ, გემუდარები, თუ გინდა, დაგიჩოქებ, — შესძახა უცებ და მუხლებზე დავარდა, პანტე გაოცებული დააჩერდა შვილს.

— სულ მთლად გაგიჟდი, ხომ? დაკარგე თავმოყვარეობა, სინდისნამუსი! — ხმას აღწია პანტემ შვილის საქციელით თავზარდაცემულმა და აღშფოთებულმა.

— მომისმინე, მამა...

— არ მსურს მოსმენა, ადექი და გადი აქედან, მომშორდი! — იყვირა პანტემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმაურზე ნათელა შემოვარდა. ნათელას ნელიც შემოჰყვა. ნელის თავი ისე შეებურა თითქოს კალათა ადევსო, მორგვივით თავი შემოჰყო ოთახში და ბუზღუნით შემოვიდა:

— რა ამბავია, რა მოხდა ახლა, ერთ წუთში? დავხუჭე თვალი და ყვირილი!... რა გაყვირებთ, რაშია საქმე! — ქმარს ეცა ნელიკო. ანდრიმ ცოლს ზედაც არ შეხედა, წამოდგა და მამისკენ გაქანდა

— მომისმინე-მეთქი, გეხვეწები! — ახლა ანდრიმ აუწია ხმას.

— რა მოგვიდათ, რა მოხდა! — მამა-შვილს შორის ჩავარდა ნათელა, გაოცებული უყურებდა ხან ქმარს, ხან შვილს.

— ცაცხვის ისტორია გამეორდება, იცოდეთ! — მთელი ხმით შეჰყვირა ანდრიმ. — ხომ გახსოვთ, ცაცხვისთვის რა გადაგვხვდა! — ქალებს მიუბრუნდა, დამხმარეს ეძებდა, — იმდენი იჩივლა და იინტრიგანა ცაცხვი მოჭრესო, მთელი ქვეყანა გადაიკიდა. ეკითხებოდა ვინმე, ჩინ-მედალი მისცეს მაგისთვის? ბუნების ქომაგი! ახლა ქვა აქვს აჩემებული!

— ქვაა? — გაიოცა ნათელამ, — რა ქვა? — თვალები დაწკურა და ზურგით მდგარ ქმარს გახედა განრისხებულმა.

— დავით ალმაშენებლის ქვაა, გაიძახის და არავის ანებებს, რაღაცა ქვა აგდია თურმე იმ დასაქცევში... თანაც დათიკო ვასილიჩს უნდა!

— დათიკო ვასილიჩს? — შესძახა ნელიმ, გაბუტული იდგა კუთხეში, ქმარს შორიდან აგულიანებდა თვალებით.

— ის ქვა ისტორიული ქვაა, მაგის სახლში წაღების ნება არავის არა აქვს, მორჩა და გათავდა! — თქვა პანტემ, მერე ცოლს შეხედა და უთხრა: — წამოდი, დამალევინე ჩაი! სასადილო ოთახში გაწყობილ სუფრას მიუჯდა და ჩაის ჭიქაში ფერი ჩაისხა. ამით უნდოდა უსიამოვნო საუბრისათვის წერტილი დაესვა, თორემ ბოღმისაგან გულზე სკდებოდა, სულ არ იყო ვახშმობის გუნებაზე.

— ვითომ რას აკეთებ მაგით, — გამოსდია მამას ანდრიმ სასადილო ოთახში. ნელიც შემოვიდა და მგლოვიარესავით გულზე ხელებდაკრეფილი დადგა შორიახლოს.

— კულტურის ძეგლი შვილზე უფრო გიყვარს?..

ნათელამ ცხელი ჩაიდნით ჩაი ჩამოასხა ჭიქებში, თან ანდრის ამშვიდებდა თავის ჭკუით.

— კარგი, ანდრი, დაჯექი, ჩაი გაგიცივდება, რა ძეგლიო, რა ქვაო, გადამრევს ეს ხალხი...—რძალს გადახედა ნათელამ. ვითომ შენ მაინც ამიხსენი რაშია საქმეო. პანტე გაჩუმებული იდგა, თავი მაღლა აეწია. წევია.

ბიბლიოთეკა

— არავინ და არაფერი შენ არ გიყვარს, მარტო შენი ხელობა გიყვარს! — შესძახა ანდრიმ ნერვიულად, თვალები გადმოკარკლა და სათქმელს გული ამოაყოლა, — ინტრი-გა-ნობა!

პანტემ შვილს ახედა, — კედელივით გათეთრებული იდგა თავზე.

— ანდრი, წამოდი აქეთ, — უთხრა ხმადაბლა ნელიმ და ხელი მოჰკიდა მკლავზე. ანდრის წასვლა არ უნდოდა.

— ანდრი, დედა, ცუდად ხარ? ფერი წაგივიდა! — აწრიალდა ნათელა და შვილს წინ დაუდგა. მერე ქმარს მოხედა და დაუცაცხანა, — რა ქვაა ასეთი, კაცო, რა გააჭირე საქმე!—თუმცა ხეირიანად არ იცოდა, რისთვის ეჩხუბებოდა ქმარს. რაკი ანდრი შეედავა მამას, ნათელაც აჰყვა შვილს. ანდრი უწესოს და ურიგოს არავის ჰკადრებდა, იფიქრა, ალბათ პანტემ რაღაც დააშავაო.

— ვითომ შენს მეტი არავინ სცემს პატივს დავით ალმაშენებელს? ვითომ შენ ერთმა იცი ყველაფერი, სად რა ქვა დევს ამ სოფელში, სად რა ციხის ნანგრევია? — გაჰყვიროდა ანდრი.

ანდრი ქალებმა ბავშვების ოთახში შეიყვანეს და პირზე ხელი დააფარეს. ბავშვები არ გააღვიძოო. ბავშვებმა მაინც გაიღვიძეს, გია ტიროდა, ნელი აკვანს ურწევდა, თან ანდრის ეხვეწებოდა, გაჩუმდიო, ანდრი გაჩუმებას არ აპირებდა. ქალებს გამოექცა და მამას ჯიქურ მიეჭრა:

— ვინა ხარ შენ? ძეგლის მცველი ხარ? ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე ხარ?.. კულტურის განყოფილების გამგე ხარ თუ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი? ვინ დაგავალა ოხვამეკარის მოვლა?..

— არც ერთი ვარ, არც მეორე, არც მესამე, მაგრამ იმ ქვას არ მოგცემთ, გითხარი მე შენ! — შეაგება გაცეცხლებულ შვილს პანტემ და ცხელი ჩაი ხრუპით მოსვა.

— არ მომცემ, იმიტომ რომ კარიერისტი ხარ!..

— ოჰო, ჰო, ჰო, ესეც ახალი ამბავი! კარიერისტიც ვყოფილვარ!— გაიცინა პანტემ.

— რა? არა ხარ? პედაგოგობით ვერაფერს მიაღწიე, ადმინისტრაციულ სამუშაოზე ვერ ივარგე...

— რა ადმინისტრაციულ სამუშაოზე?

— ხომ იყავი სკოლის დირექტორი? — ექვს თვეში ნიჩაბზე დაგვეს. ახლა ეს ოხვამეკარი აიჩემე, ამით გინდა, სახელი მოეხვეჭო. ეროვნული ბიბლიოთეკა
თომ პენსიაზე ვარ, მაგრამ საზოგადო საქმეს მაინც ვაკეთებ. ეს ... ყიდლოდ და უანგაროდ, არა? სოფელს კი ატყუებ, მაგრამ მე ხომ ვერ მომატყუებ, ვერც მეურნეობის ხელმძღვანელობას მოატყუებ, იცოდე, ვერც რაიონს, ყველამ ყველაფერი იცის.

— რა იციან, მაინც რა? — დაინტერესდა პანტე, ჩაის სმას მორჩა, ჭიქა და ლამბაქი გვერდით მიდგა, წინ საფერფლე დაიდგა და სიგარეტს მოუკიდა.

ბავშვების ოთახში რეზოს ტირილიც გაისმა, ხმაურზე გამოიღვიძა და მიზეზობდა ავადმყოფი ბავშვი.

— ჩუმად ანდრი, ჩუმად, დამიწიოკეთ ბავშვები! არ გრცხვენიათ?— გასძახა ქმარს და შვილს ნათელამ. ანდრიმ საზარელი სიტყვების თქმას უმატა და უმატა, ნათელამ ატირებული ბავშვი მიატოვა და სასადილო ოთახში გამოვიდა. ნელიმ აკვანი რეზოს საწოლთან მიაჩოჩა და ბავშვებს შუაში ჩაუჯდა, ხან ერთს ამშვიდებდა და ხან მეორეს. ნათელა ანდრისთან მივიდა, მოჰკიდა ხელი და მაგიდასთან დასვა.

— გაგიცივდა ჩაი, დალიე და მერე იკამათეთ!..

ანდრი დედას უნებლიეთ დაჰყვა, სკამზე კი დაჯდა, მაგრამ არც დაჯდომა უფიქრია და არც ჩაის დალევა. დაჯდა თუ არა, იმ წამს წამოხტა ფეხზე და რაც გულში ჰქონდა, რაც სოფლის ხელმძღვანელობისაგან გაეგონა, მამას გადააფერთხა:

— იციან, ბატონო, რა საზოგადო მოღვაწეც ხარ, რა ძეგლებისა და ბუნების მეგობარიც!.. იცი-ან-მეთქი. ის ოხვამეკარი რომ შემოაკავე და შიგ შენი ძროხის საბალახო და სადგომი რომ გამართე, ისიც იციან... პანტემ სახელმწიფო მიწა თავისი საქონლისათვის შემოაკავაო, ასე ამბობენ.

პანტე ყველაფერს მოელოდა, მშვიდად აიტანდა ინტრიგანის, კარიერისტის, ცრუმოღვაწის, ცრუადამიანის სახელს, ამას კი, რაც შვილმა ახლა აკადრა, ვერ მოითმენდა, ცოდვა იყო პანტე — განა ძროხისთვის შემოაკავა ოხვამეკარი? ეს ანდრის აზრი არ იყო, ანდრი ამას ვერც მოიფიქრებდა და არც მოიფიქრებდა. ანდრი არ იყო ასეთი. ეს სწორედ სოფლის ხელმძღვანელობის მონაჭორი გახლდათ. პანტეს გული ეტკინა და თავი ჩაღუნა. რა ეთქვა, რა ეპასუხა შვილისთვის?.. ძროხას მართლა აძოვებდა ეკლესიის ეზოში. ხანდახან უშობელსაც შედენიდა ხოლმე. ეზოში ძროხის დასაბმელი ადგილი არ ჰქონდათ, სადღაც ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დაებათ ძროხა, უძროხოდ კი ვერ ივარგებდნენ, ორი ჩვილი ერ-
ძეოდ როგორ გაეზარდათ.

— კარგი, ვთქვათ, მე საზიზღარი კაცი ვარ, — თქვა ბოლოს ვან-
ტემ — ინტრიგანი ვარ, კარიერისტი, ცრუმოლვაწე და ასე შემდეგ,
ყველაფერს ამას რა კავშირი აქვს ქვასთან.

— ის კავშირი აქვს, რომ ნამეტანს ნუ გავყოყოჩდებით, ქვეყნის
უკეთესად თავი ნუ მოგვაქვს, საკუთარ თავსაც შევხედოთ კრიტიკუ-
ლად, როცა ჩვენს ნამდვილ სახეს დავინახავთ, მაშინ არ გაგვიჭირდება
დათმობა. შვილის მდგომარეობაში შესვლა.

სკოლის ისტორიაც ხომ გახსოვს? — დედას დაუწყო მტკიცება ან-
დრიმ — ტყუილს ბავშვებს ვერ ვეტყვიო, აიჩემა და წამოვიდა სკოლი-
დან, ულუკმაპუროდ დაგვტოვა! მაგაზე ნაკლები ბიჭები ვართ ტყუილს
რომ ვამბობთ?.. გვჭირდება ეს ტყუილი ოჯახისთვის, საქმისთვის... ადა-
მიანისთვის!..

— ანდრი, დედა, ამას რას ეხვეწები, — უთხრა ნათელამ შვილს, —
მეურნეობის ხელმძღვანელები თქვენ ხომ ხართ, ადექით და გაუგზავ-
ნეთ ის ქვა დათიკო ვასილიჩს.

— დაგვანებოს და გავუგზავნით, დაუკითხავად რომ გავუგზავნოთ,
მერე მაგას შენ დაამაგრებ? იმ ცაცხვის და სკოლის გამო, ხომ გახსოვს,
რამდენი წერა, ვიდრე სკოლიდან არ გამოაგდეს, არ მოისვენა.

— კარგი, დედა, ანდრი, ასეთი კვახე სიტყვების თქმა როდის ეცო-
დი შენ! გეყოფა ახლა! — გაუწყრა შვილს ნათელა, — კი არ გამოაგ-
დეს, თვითონ დაწერა განცხადება და პენსიაში გავიდა:

— ცაცხვი ხომ მოჭრილი იყო, რომ ჩიოდა რა, იმ ცაცხვს მთავრო-
ბა გაამთელებდა?.. — დედას ჩააცივდა ანდრი, — შენ მითხარი, რა აზ-
რი ჰქონდა საჩივარს!.. ის აზრი ჰქონდა, რომ ვითომ მე ვარ სოფლის
მოჭირნახულე და სხვას კი ფეხებზე ჰკიდიაო. მართალია ეს? არა, არ
არის მართალი! ჩვენ დღე და ღამე ჩაის პლანტაციაში ვყრივართ, დღე
და ღამეს ვასწორებთ, ოფლს ვღვრით, ვშრომობთ, ვანგარიშობთ, ვგეგ-
მავთ, წინასწარ ვიცით, ორიათას წელს სოფელში რამდენი ჰექტარი
ჩაის პლანტაცია გვექნება, რამდენი ჰექტარი ვენახი, რამდენ ძირ თუ-
თის ხეს გავახარებთ, ისიც კი ვიცით. ვითომ ამას უფრო უყვარს სოფე-
ლი, ვიდრე ჩვენ? სიმართლე გინდათ გითხრათ? — შესძახა უცებ ან-
დრიმ.

— არ გვინდა, არა, დედა, გვეყოფა! დაჯექი, ჩაი დალიე, ახალს
დაგისხამ, რა მოგვიდა ამ საღამოს!.. — ნათელა ოთახში ადგილს ვერ
პოულობდა, ხან თეფშებს რეცხავდა, ხან ჩაის ასხამდა, გაკვირვებუ-

ლი უყურებდა ხან შვილს, ხან ქმარს. კარგად ვერ მიმხვდარიყო ანდრის გაბოროტების მიზეზს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვი ბარემ, ყველაფერი თქვი! — უთხრა პანტემ ბოლოს, გულზე მოგეშვება.

— შენ შენი თავის მეტი არავინ გიყვარს! ეგოისტი ხარ! — მიახალა მამას ანდრიმ.

— კარგი-მეთქი ახლა! — შეჰკივლა ნათელამ, მოჰკიდა შვილს ხელი და ძალით გაიყვანა ოთახიდან. ბავშვების ოთახში მის ცოლს ჩააბარა, თვითონ პანტესთან გამოვიდა. ეცოდებოდა ქმარი, ანდრიმ გადააჭარბა, ასეთი მწარე ლანძღვა-გინების ღირსი არ იყოო, ფიქრობდა გულში, მაგრამ პანტესთვის არ უგრძნობინებია, პირიქით, შვილის მხარე დაიჭირა და ქმარი დატუქსა:

— მოუკვდა პატრონი მაგ ქვას, მაგისთვის იშლით ნერვებს? მიეცი და გაათავე!..

პანტე ჩაფიქრებული იჯდა, სიგარეტს აბოლებდა დინჯად და იმაზე ფიქრობდა, რა ექნა, რა ეღონა ხვალ... ჩანდა, რომ ანდრის იმ ქვის გამო უფროსობა გაუწყრა. ანდრი ამას ვერ აიტანდა, სულ ჩხუბი და უთანხმოება ექნებოდა ოჯახში.

— რას ზიხარ ახლა აქ, ხომ ივახშმე, წადი, დაწექი, დაისვენე... სხვასაც უნდა ჩაის დალევა... უსაყვედურა ნათელამ ქმარს.

— მე არავის არ ვუშლი, ვისაც უნდა, მობრძანდეს და დალიოს... ე, რამ სიფართეა ეს მაგიდა, — პანტემ ხელი ნერვიულად გაიქნია, ვითომ ცოლს მაგიდის სიფართე უჩვენა.

— უჰ, როგორ გაგვიმწარე სიცოცხლე და როგორ გაგვტანჯე! — ამოიდუდღუნა ნათელამ და ცრემლები გადმოყარა.

პანტემ ერთი შეხედა ცოლს უკმაყოფილოდ, წამოდგა და თავის ოთახში გავიდა.

3

მეორე დღეს პანტეს შინ არაფერი უთქვამს, დილით წავიდა და დაიკარგა. მთელი დღე ოხვამეკარში იყო, იჯდა დავით ალმაშენებლის ქვაზე და ფიქრობდა, ხანდახან ეკლესიის კარს შეაღებდა, გულმოდგინედ ათვალიერებდა ყოველ კუთხე-კუნჭულს, თითქოს ემზადებოდა, თითქოს სანუკვარი ოცნების ასრულების ჟამი დამდგარიყო, რაღაცას ზომავდა, რაღაცას აჭედებდა. ჰგვიდა, ბერტყავდა, მთელი დღე დაფუსფუსებდა. ეკამათებოდა შვილს, ცოლს, ნოეს, სკოლას, სოფელს,

მთელ ქვეყანას. „შენზე ნაკლები ბიჭები ვართ ტყუილს რომ ვამბობთ! ეს რა მითხრა? მოწიფულ კაცს ეკადრება ტყუილის თქმა? მით უფრო, მოძღვარმა თუ შეიძლება თავისი მოწაფეები მოატყუოს?.. ...ქი — ვუთხარი იმათ, ავდექი და დავწერე განცხადება. იმ დღეს ბედნიერი კაცი ვიყავი... ერთხელ და სამუდამოდ დავუსვი წერტილი უზნეობას, ლაჩრობას... მოვიქეცი ისე, როგორც მწამდა და მჯეროდა... ერთ კაცს, სხვა მეტი არაფრის გაკეთება შეუძლია“... პანტეს რაღაც გაახსენდა. საყდრის ბნელ კუთხეში თაღჩას მიადგა, იქ დამტვერილი საეკლესიო წიგნები ელაგა, მათ შორის ერთი წიგნი არ ჰგავდა ძველს. გამოიტანა სინათლეზე... ილია ჭავჭავაძის „ერი და ისტორია“ იყო. გადაშალა და ხმამაღლა წაიკითხა:

„შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი ავად. რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე. უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდ მხნე და გამრჯელი იყოს, ამ წუთისოფელში ვერას გახდება“.

პანტემ წიგნი დახურა და ფიქრი განაგრძო: „მატყუარა დავით აღმაშენებელი, ან ცულლუტი ცოტნე დადიანი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს? შეიძლება დავუშვათ, რომ თუნდაც გაჭირვების ჟამს დავით აღმაშენებელი ცრუობდა? ...როცა დიდი და პატარა ცრუობს, — ცულლუტობა, ტაკიმასხარაობა, ლაზღანდარობა — სათნოებად არის მიჩნეული, — ეს იმას ნიშნავს, რომ დარეკა ჟამმა მეორედ მოსვლისა“.

წიგნი თავის ადგილას ჩამოდო და საყდრიდან გამოვიდა.

შინ გვიან შებინდებისას დაბრუნდა, უბრად დაწვა და დაიძინა.

შინაურებისთვის ხმა არ გაუცია. ერთი ნაჭერი პური გალოღნა ჩუმად ოთახში, არ უნდოდა ჭამა, წყალს სვამდა ხშირ-ხშირად. გულგასიებულს კრიჭა შეკვროდა.

მეორე დღეც ასე გაატარა მარხვასა და მარტოობაში, მესამე დღეს გარეგარე დადიოდა. ბოლოს ტახტი წაიღო ოხვამეკარში, იქ სამუშაო მაქვს, ვიღლები და წამოწოლა მინდაო, შემდეგ ნაბდისძველა გააპარა სამზადში რომ ეგდო. თანდათან გამოეთიშა, გამოეყო ოჯახს, თუმცა თავის წილ საქმეს არ ღალატობდა, ძროხასაც აბალახებდა, წისქვილშიც მიჰქონდა და გაზის ბალონებისთვისაც მიდიოდა სოფლის ცენტრში ძველებურად, ჩუმჩუმად კი საყდარში ბინას იდებდა. თანდათან იქ სკამიც აიტანა და მაგიდაც, საბანიც და ლეიბიც. რომ გამოეცხადე-

ბინა, შინიდან წასვლას ვაპირებ, ანდრისთან ცხოვრება არ შეგიძლიაო, სოფელში მითქმა-მოთქმა ატყდებოდა, პედაგოგი კაცი ბერივით რომ გამოიკეტებოდა ეკლესიაში, ხალხი, ვინ იცის, რას იტყოდა, ნანა-ბებერ-ბებერ გადაბარგდებოდა, ოხვამეკარსაც უკეთესად მოუვლიდა და ანდრისაც შურს იძიებდა. ეკლესიის გადაღმა მღვიმე-პალატი ეგულებოდა. იმასაც მიხედავდა, მისი ვარაუდით, იქ ბერების სადგომი უნდა ყოფილიყო, ან შესაწირავების შესანახი ბუნებრივი მაცივარი. აღმაშენებლის ქვასაც უკეთ უდარაჯებდა. თავის ოჯახს, შვილიშვილებსაც, ცოლსაც არ მიაკლებდა ყურადღებას, იქაც იქნებოდა და აქაც, ზამთარში ალბათ ვერ გაძლებდა ამ ცივ კედლებში, ზამთარს თავის ოდაში გაატარებდა. ასე ფიქრობდა პანტე, ნათელას ოხვამეკარის გაგონებაც კი არ უნდოდა, მაგრამ რა ექნა? რაკი კაცი გადაგებული იყო ამ დანგრეულ ეკლესიაზე, რაკი ნანგრევების მოვლა ამ სიბერეში მოთხოვნილებად ქცეოდა, ვერ ჰკადრებდა წინ გადადგომოდა. ვერც გადაუდგებოდა, ქმარს კარგად იცნობდა, რომ აიჩემებდა, ეშმაკი ვერ გადაათქმევინებდა.

როცა პანტემ შინიდან საწოლიც კი გაზიდა, როცა ერთ მშვენიერ ღამეს შინ არ დაბრუნდა, ნათელა ადგა და ოხვამეკარს მიაკითხა, ხომ ამდენს ლაპარაკობდა პანტე მამა-პაპათა წმინდა ალაგზე, ნათელა ერთხელაც არ დაინტერესებულა საკუთარი თვალით ენახა თუ რა იყო ეს წმინდა ალაგი. ნათელას ენანებოდა უაზროდ დახარჯული ქმრის პენსია, ფუჭად გაწეული შრომა. ბოსტანი გამითოხნე აგერ, თუ შეგიძლიაო, ქმარს ეჯუჯღუნებოდა. როცა შეატყო, რომ პანტე აღარ ხუმრობდა, ადგა და მიაკითხა. ოხვამეკარის აღმართი კვნესითა და წელის თრევით ამოათავა. ერთი ორჯერ მიაწყევლა კიდეც ქმარი ასეთი ახირებული ქცევისათვის და, როგორც იქნა, მიადგა ეკლესიის ეზოს. პანტე ამდგარიყო, ხელში წალდი ეკავა: და ხელმოჩრდილებული გასცქეროდა აღმართში ამომავალს.

— ოჰჰ, შენა ხარ! — შორიდან დაუძახა პანტემ ცოლს, გაუხარდა რომ ამოაკითხა, — შეგეშინდა? ხომ გითხარი, ღამეს იქ გავათევ-მეთქი... — ნათელამ პანტეს მიერ დაჭედილი ხის კარი შეაღო და ეზოში შევიდა. აქეთ-იქით იყურებოდა, არაფერს ამბობდა.

— წამოდი, აქეთაა ის ქვა, — უთხრა პანტემ და ცოლს ხელი მოჰკიდა.

— ქვა კი არა, წუხელ სად იწექი, ის მაჩვენე, — უთხრა ნათელამ, ხელი წაართვა და ეკლესიისაკენ წავიდა. შეაღო დაჟანგული რკინის კარი და შიგ შევიდა, პანტეც შეჰყვა. პატარა საგვარეულო ეკლესიაში

საოცარი სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. ნათელას სხვა დროსაც ენახა ნაგვით სავსე, ვირთხებისა და ღამურების საბუდარი ფერდებ-ჩალეწილი ეს საყდარი, თვალებს არ უჯერებდა, ისე დაელაგებინა [illegible] დაესუფთავებინა იქაურობა პანტეს. საკათაკმევლოს [illegible] დით, ეკლესია ჯვარის ფორმას იღებდა, ორივე კედელი შეწეული ჰქონდა. იმ შეწეულ კედლებში სარკმლები გაეჭრათ.

— აი, ჩემი საწოლი, — პანტეს სარკმლიან კედელთან დაედგა ტახტი და ლოგინიც ზედ გაეშალა. იქვე საწოლთან თავისი ძველისძველი „ცენტრალკა“ მიეყუდებინა. ნათელა თოფს დააჩერდა. თოფი იქ ოდის სარდაფში ეგულებოდა, თურმე აქეთ წამოუღია, „გაუფერია“, — გაიფიქრა ნათელამ. ცენტრალკას ლულა უპრიალებდა, ნათელას ჩაჟანგებულ-ჩაშავებული ახსოვდა. „რა აქვს აქ სათოფო“...

— რას იცავ აქ, პანტე, არ გრცხვენია? სულ გამოსულელდი და გამოთაყვანდი?.. — საყვედური უთხრა ნათელამ.

— მოდი აქ, — უთხრა პანტემ, სიტყვა ბანზე აუგდო, — აქ საკურთხეველი იყო ალბათ, აქ სამკვეთლო... კანკელი არ დგას და იმიტომაა ასე მინდორივით... სამკვეთლოს კედელი გამოენგრია ვიღაცას, მე ამოვაშენე.

— სახლიდან წამოიღე აგურები!..

— არა, აგურები აქ ეყარა... ზევით აიხედე! პანტემ თაღისკენ გაიშვირა ხელი, — აქ გამოტეხილი იყო ამ სიფართეზე... ავედი ზევით და შიფერი დავაფარე.

— შიფერიც სახლიდან წამოიღე ალბათ!

— შიფერი კი, აგური არ წამომიღია, რომ წამომეღო, ხომ იცი, არ დაგიმალავდი... შიფერი ქვეყანაზე არ იშოვება და რა მექნა, ერთი ცალი შიფერი დიდი არაფერია! ახლა აქეთ წამოდი, — პანტე გახარებული უყვებოდა ცოლს, თუ რა გააკეთა საყდრისათვის, — აქ, ხომ გახსოვს, კაცის სიმაღლეზე ეყარა ნაგავი, ერთი კვირა ვეზიდებოდი გარეთ, ხევში გადავყარე. აქეთ წამოდი ახლა, ეს ხომ ნანახი გაქვს შენ, — პანტემ ნათელა ფრესკებთან შეაჩერა, — ჯაავების წინაპრები გახლავს!.. ეს ამ მონასტრის წინამძღვარი ყოფილა, ეს კიდევ მისი მსახური, გურკოჩია ჯაავა, ამ საყდარს დააკვდა თურმე, მოკლეს ამის დაცვისათვის, იმიტომაც მიუხატიათ წინამძღვარის გვერდით. ეს ამბავი სოფელში არავის ახსოვს ჩემს მეტს.

— სადმე წერია, თუ შენი მოგონილია?! — უკმეხად უთხრა ნათელამ.

— მოგონილი კი არა, ჩემი გამოკვლეულია, — ამაყად მიუგო პანტემ.

— ჰო, კარგი, კარგი, რას აპირებ ახლა... — შეაწყვეტინა ცოლმა მონოლოგი.

— რას ვაპირებ? — გაიოცა პანტემ, — რასაც აქამდე [illegible], იმას ვაპირებ, — წამოდი, ის ქვა გაჩვენო. — უთხრა [illegible] და გარეთ გავარდა. არ უნდოდა გულახდილი ყოფილიყო, კაცმა რომ თქვას, პანტე არც არაფერს აპირებდა. შვილისგან წყინდა იმღამინდელი უსამართლო ლანძვა-გინება. თორემ გასაყოფი ცოლ-შვილთან რა ჰქონდა...

ნათელაც გამოვიდა საყდრიდან.

— ეს კარიც მე ჩამოვკიდე, მოგლეჯილი ეგდო აქ, — პანტემ ცოლს საყდრის რკინის კარი უჩვენა, — ეკლესიაში ჩვენი ღორები დათარეშობდნენ. აქეთ წამოდი!.. — პანტე ძელქვის ძირას დადგა.

— აქედან მთელი კოლხეთი მოჩანს, შეხედე, ჩვენი სოფელი რა შორს წავიდა, ის ჩაის პლანტაციებია, უფრო შორს — ვენახები... — პანტე ხელგაწვდილი იდგა მთის წვერზე და მეუღლეს გულდაგულ უხსნიდა ოხვამეკარის რაობას. — ოხვამეკარი აქ დარჩა, სოფელი იქით, ვაკეზე გაიშალა. ძველად კი მთელი სოფელი ამ მთის ფერდობებზე ყოფილა შეფენილი, სალოცავიც აქ გვქონია და ძვალშესალაგიც. აგერ, პატარ-პატარა დიხაგუძუბები — გორაკები რომაა, ეს ჩვენი წინაპრების სამარხებია, ასე ამბობენ ისტორიკოსები. ბაბუაჩემისაგანაც გამიგია მე ეს... ახლა ამ მიდამოებში რამდენიმე ოჯახი დარჩა, შეხედე? ჩვენ, ნესტორ ჯაავა, დურუ ჯაავა და ჯოტო კანკია. ჯოტოს ბაბუა — დედის მამა იყო ჯაავა, კანკია ჩასიძებულა, ეს შენც გაგიგონია ხომ?.. იმიტომ რომ ჯაავა ოხვამეკარის მოდგამია, აქ იდგა ის ჯა-ხე-კულტი, ჩვენი გვარი რომ ემსახურებოდა,—პანტემ ძელქვას ხელი შემოჰკრა. ატაცებული ყვებოდა, უნდოდა ნათელასაც გადადებოდა ეს ატაცება — ჯაავა წარმართული გვარია, ოხვამეკარი კიდევ ის მიწა და ალაგი, სადაც ამ გვარის ხალხი ცხოვრობდა, შრომობდა, ქმნიდა შეძლებისდაგვარად, მერე რა, ახლა რომ არავინაა ამ მიდამოებში, სოფელი განახლდა, ახალი გვარის ხალხი დასახლდა, ახალი სახელიც დაერქვა. ძველიც იყოს, რას გვიშლის!..

— ყველაფერი ეს პირველად ხომ არ მესმის შენგან, პანტე... რას აპირებ-მეთქი ახლა ის მითხარი.

— მოდი აგერ, აქეთ გაგახედო... — პანტე შებრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ცოლს ხელი დაუქნია, — რა აგიჩემებია ეს „რას აპირებ“...

— პანტე, — დაუძახა ნათელამ ქმარს, — თუ შენ ანდრისგან გწყინს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამე, ადექი და წადი თბილისში, ან სოხუმში... აქ რა დაგრჩენია ამ ვირთხებთან და თაგვებთან, შენ ისეთი შვილები არ გყავს, სხვაგან გაათიო ღამე. ერთმა გაწყენინა? — მეორესთან წადი, მეორემ მოგიხუჯავა? — მესამეს მიაკითხე...

პანტეს ეწყინა, ცოლმა რომ არაფრად ჩაუთვალა დაგულისგულებული საუბარი, ცივად შეაწყვეტინა და ოხვამეკარს გადაღმა გადაახედა:

— აქეთ, ხომ ხედავ, სოფელი არაა, სატყეო მეურნეობაა, მაგრამ სატყეომდე ტიტველი გორაკები რომ მოჩანს, ის ტიტველი მთებიც საპატრონოა... ვინ იცის, ამ მიწაში რა დევს... — პანტემ მიწას დახედა და ფეხი დაჰკრა, — შეიძლება ძველი კოლხური ქალაქი აქაა, შეიძლება, ჩვენი ნამდვილი ისტორია სწორედ ამ მიწის ქვეშაა დამარხული, ვიდრე ცოცხალი ვარ, აქაურობას არავის დავანებებ. წამოდი, ის ქვა გაჩვენო, აგერაა...

ნათელა ადგილზე გაქვავებულიყო, არ მოწონდა ქმრის ასეთი ატაცება. ყურს არ უგდებდა და იმაზე ფიქრობდა, ბავშვივით ცაში მფრინავი მოხუცი როგორ დაებრუნებინა დედამიწაზე. პანტე ცოლს მიუხვდა, ახლოს მივიდა, მკლავზე ხელი მოჰკიდა და საყვედურით უთხრა:

— კი მარა დაბერდი ქალი და ჩემი ხასიათი ვერ გაიგე? — ანდრიმ რომ მაწყენია იმიტომ ვარ მე აქ?.. ვითომ ანდრიმ თუ უკადრი სიტყვები მითხრა, სამაგიეროს ვერ ვეტყოდი? შემეცოდა ანდრი, რა ქნას, ვერ არის ვაჟკაცი, თავისი ოჯახისათვის კი ცდილობს, ეს დასაფასებელია, იმიტომ არ ვუთხარი არაფერი და გავჩუმდი.

მე აქ ამის დარაჯად ვარ ამოსული, მოდი აგერ!.. — პანტემ ცოლს დავით ალმაშენებლის ქვა უჩვენა, — ეს ქვა იქიდანაა ჩამოვარდნილი... საკიდური ლოდია, ამბობენ, დავით ალმაშენებელმა მარტოკამ ასწია და ბერებს მაღლა, ეგერ, ახლა კუთხის ქვა რომ აკლია, იქ მიაწოდაო. — პანტემ ცოლი სახურავგადაგლეჯილ სამრეკლოსკენ ააცილა.

— ესო, ზღაპარიაო, სკოლაში თქვეს, — უთხრა ნათელამ ქმარს.

— ვინ თქვა, რა იციან შენმა მასწავლებლებმა!..

ნათელა ქვას მიუცუცქდა, აქედან გახედა, იქიდან გახედა, გარს შემოუარა.

— ყვითელი ქვა არის, უბრალო... რა არის მეტი? — ჰკითხა ქმარს.

— უბრალო?..—პანტე დაიხარა და ცოლს ქვის ჩამონატეხი აჩვენა.

— უი, შიგნით წითელი ყოფილა! — გაიკვირვა ნათელამ.

— ჰო, ვარდისფერია — მიუგო ამაყად პანტემ, — დათიკო ვასილიჩი უბრალო რიყის ქვით დაინტერესდებოდა?.. — ალბათ სამრეკლო მთლიანად ასეთი ქვითაა ნაგები-მეთქი, არა, ეს ერთი ქვა ურევია ასეთი.

პანტე ცოლს გამარჯვებული უყურებდა, ვითომ მთლად უაზრო კი არაა ჩემი ბრძოლაო.

— ახლა საკითხავია, საიდან გაჩნდა ფერადი ქვა აქ? ეგრეა მთას ბერ-დან ასეთ დიდ ქვებს ბერები ვერ მოიტანდნენ. მაშ, სადღაც ახლოს ჰქონდათ სამტეხლო. სადღაც ახლოს ფერადი ქვის მადანია, შეხედე კარგად? მარმარილოზე ნაკლები რითია?...

— მით უფრო, თუ კარგი ქვაა, ამ ტყე-ღრეში უქმად რატომ უნდა ეგდოს?

— იმიტომ რომ წინაპრის ხელმონაკიდებია, მისი მოტანილი და მონაგარია. ეს არ მთხოვოთ, ნათო, და რაც გინდათ, ის მთხოვეთ... — პანტემ ცოლს ახალგაზრდობის სახელი „ნათო“ გაუხსენა და ამ ნათოთი მოეფერა თავისი ჭკუით. ნათელასაც ესიამოვნა, „ნათო“ რომ დაუძახა ქმარმა.

— რა ვქნათ, აბა? — თანაგრძნობით ჰკითხა ნათელამ.

— ისტორიული ქვაა და იმიტომ, — უთხრა პანტემ.

— ვითომ მართლა დავით აღმაშენებლისაა? — ჰკითხა ნათელამ.

— ხალხი ამბობს ასე, ხალხი ბრძენია... რატომ მაინცადამაინც დავითს მიაწერენ ლეგენდას და არა რომელიმე სხვა მეფეს?

— რა ვიცი, ის ბიჭი თავს იკლავს, ჩემი უფროსი ხეირიანად აღარ მესალმებაო, — ამოიოხრა ნათელამ.

წამით გაჩუმდნენ.

— ამისთვის ამოხვედი? იმან გამოგაგზავნა? — დუმილის შემდეგ ჰკითხა პანტემ.

— აჰ, არა, შვილებს გეფიცები...

— არა, კი არა, არ ვიცი ანდრის ამბავი?

— უჰ, ის ანდრი მომიკვდეს მაშინ.

— აბა, წუხელ ხომ გითხარი, ვერ ჩამოვალ-მეთქი, დილაადრიანად რას ამოასკდი ამ აღმართს, გაკვეთილი რომელზე გეწყება?

— მოვასწრებ, — ნათელამ საათს დახედა, რაღაცას ყოყმანობდა, თქმა უნდოდა და ვერ ამბობდა. — გრიშას უნდა შენი ნახვა თურმე, ფეტელავას, — თქვა ბოლოს.

— კულტურის განყოფილების გამგეს?.. — ჩაიცინა პანტემ, — დამიბარა?

— კი არ დაგიბარა, როცა დრო ექნეს, გამოიაროსო.

— შენ გრიშამ გამოგაგზავნა?

— არავის გამოვუგზავნივარ, თვითონ მოვედი.

— ანდრიმ გამოგაგზავნა, მე ვიცი.

— ვთქვათ გამომაგზავნა, მერე რა? დავაშავეთ რამე ან მე ან იმან?..

— ანდრი რომ ფეხებში არ მებორკებოდეს, ამ ქვას კულტურის განყოფილების გამგე კი არა, ციდან იესო ქრისტე რომ ჩამოვიდეს, [illegible] არ გავატან, ვერც ერთი დაწესებულების ხელმძღვანელი [illegible] რებს და ვერ მეტყვის ისტორიული ძეგლი დაამტვრიე და ბუხარი მოუპირკეთე ამას და ამასო. თუ მეტყვის, მეც ის მინდა... შვილია და რა ვქნა, შვილს რა ვუყო. ანდრი მივიდა კულტურის განყოფილების გამგესთან ხომ?

— შენი თავი მომიკვდეს მაშინ... მე მოვკვდე თუ ანდრი ვინმესთან მისულიყოს.

— ჰმ, შენ რა იცი, ნათო... — კვლავ მოეფერა ცოლს პანტე, — შენ რასაც გეუბნებიან, ყველაფერი მართალი გგონია.

— რატომ მივიდოდა ანდრი, დათიკო ვასილიჩს ვითომ გაუჭირდებოდა გრიშასთვის დაერეკა და ეთქვა, ის ქვა თქვენი ხელით მომიტანეთო?..

— დათიკო ვასილიჩი არ დაურეკავდა, არც მეურნეობის დირექტორი ჟორა რომაა, არც ის დაურეკავდა, იმათმა იციან ჩემი ამბავი,— უფრო მეტიც, რაც მოხდა, მოხდა: ისინი ამას არც გააცხადებენ და ვერც გააცხადებენ. ჩემი შვილი დაწრიალებს ტყემალნაჭამი ძაღლივით, ჩემია მკვდარი და რა ვქნა?

— კარგი, პანტე, თუ გიყვარვარ, საქმედ ნუ გაგვიხადე ეს ქვა.

— დათიკო ვასილიჩი ამისთანა ქვას მილიონს იშოვის, ის დღეს უკვე არც ფიქრობს ამ ქვაზე, არც ახსოვს... — განაგრძობდა პანტე. ნათელა წამოდგა, წასვლას აპირებდა, საათს დასცქეროდა ხშირ-ხშირად, პანტე კი ქაქანებდა და ქაქანებდა:

— არც მის დირექტორს, ჟორას ახსოვს, ანდრის ახსოვს მხოლოდ, ანდრის ეშინია დათიკო ვასილიჩის, ჟორასი, ყველასი და ყველაფრის... ეჩვენება, რომ უფროსები არ ესალმებიან, უფროსმა ავი თვალით შეხედა... და რა ვიცი, საკუთარი ლანდის ეშინია! სულ უკან-უკან წავიდა ეს ბიჭი, მლიქვნელი და კარიერისტი გახდა, ასე მგონია, მომიკვდა და შინ მკვდარი მისვენია!

— დიდუჰ! — შეჰკივლა ნათელამ და ლოყაზე იტკიცა ხელი, — გაჩუმდი, პანტე! არ გრცხვენია, რას ლაპარაკობ, ადამიანო! რა მწარე სიტყვები ამოგდის პირიდან! ამის მოსმენა ვის შეუძლია! შვილია ანდრი შენი, უფროსი შვილი, ხომ არ დაგავიწყდა? ასე როგორ იმეტებ!..

— შენ გგონია, მე არ ვწუხვარ? — უთხრა პანტემ ცოლს და გული შეეკუმშა, — ანდრი მეც მეცოდება...

ორივენი გაჩუმდნენ, ნათელა ცრემლს იწმენდდა, პანტე დამბაჩაგე-სავით ჩასცქეროდა მიწას და რა ეთქვა, ცოლი რითი ენუგეშებინა, არ იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომხედე აქეთ, პანტე, — თქვა უცებ ნათელამ. — ჩემი ხათრი სულ აღარ დაგრჩა? ჩემი ხათრით აპატიე.

პანტემ ცოლს გაკვირვებით შეხედა.

— რა ვაპატიო, ვის ვაპატიო?

— ანდრის... — ნათელამ ქმარს მავედრებელი თვალები მიაპყრო.

— არ არის ის ისეთი საზიზღარი, როგორც შენ გეჩვენება... — სლუკუნ-სლუკუნით უთხრა ნათელამ, თავისი ცრემლების შერცხვა თუ რა იყო, გატრიალდა და წავიდა, პანტე უკან გამოუდგა.

— რა გატირებს? რა ვთქვი ასეთი... მოიცადე... ანდრის რამე უთხრეს?..

— უთხრეს ალბათ... რა ვიცი. მე იმას ვტირი, რომ მამას შვილი გეჯავრება. შვილის და რძლის აუგი პირზე გაკერია... აბა, ის რა კაცია, ვინც საკუთარ შვილს ლანძღავს დღე და ღამე...

პანტეს ეწყინა. შეჩერდა, თანდათან მოაწვა ბოღმა და ნათელაც ზედ მიაყოლა:

— შენც უარესი ხარ მაგათზე, ერთმანეთზე გაქვთ კუდები გადანასკვული!... — მიაძახა უკან, რაკი ნათელა აღარ იცდიდა, მიდუდღუნებდა და მიდიოდა. კარი რომ გააღო და ეზოს გადაღმა გადავიდა, მაშინ დააწია პანტემ, შენც უარესი ხარო. ნათელა მობრუნდა, ჭიშკარს მოადგა, პანტეს ერთხელაც შეეხვეწა:

— აპატიე. პანტე, მე მაპატიე, ანდრის აპატიე, მთელ ქვეყანას აპატიე და გულზე მოგეშვება...

პანტეს შუბლი შეეჭმუხნა, სქელი მოკლე წარბები მოქუფრა, ცოლს თვალი მოარიდა და თქვა:

— ვიდრე ცოცხალი ვარ, ამ ქვას არავის მივცემ.

ნათელა გველცემულივით გატრიალდა. ვერც წასვლა გადაწყვიტა, ვერც დარჩენა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ მობრუნდა. გაცეცხლებული იყო ქმარზე, ამდენი ეხვეწა, ევედრა, ეჩხუბა კიდეც. ის კი მაინც თავისას გაიძახოდა. რა ელონა, რა მოემოქმედა, რომ ქმარი გაემწარებინა? სიტყვებს ვერ პოულობდა, ბოღმა რომ გადმოენთხია, რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის გაავებული. ბოლოს ძალ-ღონე მოიკრიბა, ცრემლი შეიმშრალა, გაბედა და უთხრა:

— შენ თუ გსიამოვნებს ეს ინ-ტრი-გა-ნობა, შვილებისთვის იცი

რა ძნელია, ინტრიგანი მამა ჰყავდეს?.. — თქვა ეს, გატრიალდა და თავდალმართზე ჩქარი ნაბიჯით დაეშვა. ცოცხალ-მკვდარი პანტე მა-თულის ლობის გადალმა დატოვა ეკლესიის ეზოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4

პანტე ცუდ გუნებაზე დადგა. ცოლი ჰყავდა თანამოაზრე და იმასაც წაეჩხუბა. საყდარში შეიკეტა, კუთხეში მიყრილ ხარახურებზე ჩამოჯდა და ფიქრს მისცა თავი: დავით ალმაშენებლის ქვას საფრთხე ემუქრებოდა. გურკოჩია დაუდგა თვალწინ. ფიქრს შორს გაჰყვა. წარსულზე ფიქრი ტკბილი იყო. პანტეს უყვარდა ფიქრი წარსულზე. გასაჭირის ჟამს ფიქრი ედგა მხარში, წარსულზე ფიქრი სიმშვიდეს ჰგვრიდა.

გურკოჩია მშრომელი გლეხკაცი ყოფილა. სულ მუდამ თოხი და კომბალი სჭერია ხელში, ეკლესიის მიწები და ხვასტაგი ებარა თურმე.

ერთხელ სოფელში ჩამოსულა დამსჯელი რაზმი. ასეული გამოეგზავნათ გურული ფირალების დასასჯელად. რაზმი დაბანაკებულა ოხვამეკარში, აქედან გურიაში გადადიოდნენ, ააწიოკებდნენ ფირალების სოფლებს და ისევ უკან ბრუნდებოდნენ.

საყდარი გასულ საუკუნეშიც მიტოვებული ყოფილა, სოფლისთვის ახალი ეკლესია აუგიათ, მღვდელი იქ წირავდა და მრევლსაც თავის სამლოცველოდ ის ახალი საყდარი მიუჩნევია. ოხვამეკარი ყველას დავიწყნია. უპატრონოდ მიგდებული ოხვამეკარი გურკოჩიას არ მიუტოვებია. რაკი მისი მამა-პაპანი და თვითონაც ამ საყდარს ემსახურებოდნენ, ვერ შელევია. სალოცავად დაბლა, ბარში ახალ ეკლესიაში ჩამოდიოდა, ბინად კი იქ ოხვამეკარში, ბერის სენაკში, დამკვიდრებულა. საყდრის გასაღებიც მას ჰქონია და შობა-ახალწელს, აღდგომას, ფერისცვალება — მარიამობას შიგ სანთლებს ანთებდა თურმე.

ერთხელ გურკოჩია საზარელ სურათს შესწრებია; რაზმელებს საყდარი სულ მთლად უპატრონო ჰგონებიათ და იქაურობა სასროლეთად გამოუყენებიათ. ერთი-ორჯერ უსვრიათ კიდეც საყდრის კარისთვის, როგორც სამიზნისთვის. მოვარდნილა გურკოჩია, აუტეხია ყვირილი და რაზმელები კომბლით დაუფრენია — ამის პატრონი მე ვარო.

გასულა ხანი. რაზმელთა მეთაურს — ასისთავს ოხვამეკარში დასახლება განუზრახავს. სოფლის მამასახლისს ოხვამეკარის ნანგრევები მიუცია ასისთავისათვის. მაშინ ოხვამეკარში თეთრი თლილი ქვები ბლომად ეყარა თურმე, იმ ქვებთან ერთად დავით ალმაშენებლის ქვის წაღებაც მოუნდომებიათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურკოჩიას მამასახლისისა და ასისთავის კაცები წელანდებურად კომბლით გაურეკია; ეს წმინდა ალაგია, აქედან ფიჩხის წაღება არ შეიძლებაო.

მამასახლისი ამის გამო გაბრაზებულა და თავისი მხლებლებით ამოსულა ოხვამეკარში გურკოჩიას დასასჯელად.

პანტემ თითქოს მამასახლისის ხმაც კი გაიგონა შორეთიდან, გაიგონა გურკოჩიას ბუზღუნი. აჩრდილები საყდარში შემოვიდნენ და წარსულის სურათი აღადგინეს.

გაისმა ზარების რეკვა და ოხვამეკარში მთელი სოფელი შეიკრიბა. მამასახლისმა ცხენი შემოაჭენა ოხვამეკარის ეზოში და გურკოჩიას დაუძახა.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. გადაუდექი ხომ სოფელს გურკოჩია! ერთხელ, გაპატიეთ, ორჯერ გაპატიეთ, ყოველთვის არ მოიტანს კოკა წყალს. სოფლის საქმე სოფელმა უკეთ იცის, შენ გევალება ეს მიწა თოხნო და თოხნე! თავს მაღლა ნუ სწევ ინდაურივით!

გ უ რ კ ო ჩ ი ა. (საყდრიდან მშვიდად გამოდის). რა ამბავია, მამასახლისო, რა გადაკრულად მელაპარაკები, რა ინდაურიო, არაფერი მესმის?

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. ცუდად არის შენი საქმე, იცოდე, და მე არაფერი დამაბრალო.

გ უ რ კ ო ჩ ი ა. რამ გაგაცეცხლა მაინც?

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. ვითომ არ იცი?..

გ უ რ კ ო ჩ ი ა. ვიცი, კი ვიცი, მაგრამ... შენც ხომ იცი, რომ ჩვენ საწყალი ხალხი ვართ, პაპაჩემიც, იმის პაპაც და იმის პაპაც თურმე ამ ეკლესიას ემსახურებოდნენ. მეც იმათ კვალზე მივდივარ...

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. (აწყვეტინებს). არსად არა გაქვს შენ წასასვლელი ჩვენს იქით. რატომ არ აძლევ ამ ქვებს ასისთავს პირდაპირ თქვი.

გ უ რ კ ო ჩ ი ა. მაგისთვის მიყვირიხარ?.. (გურკოჩია ჩაფიქრდა) მაგათ მე არაფერს არ მივცემ, ტყვიას ესვრიან აქაურობას, სამიზნედა აქვთ გამოყენებული...

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. (იყვირა) ცრუობ!.. (საერთო ჩოჩქოლი, ჩურჩული).

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი ს პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ნ ა შ ე მ წ ე: ასეა, ბატონო, არავის არაფრად თვლის...

მამასახლისის კაცებს მოაქვთ პატარა მაგიდა, სკამები, მამასახლისი ცხენიდან გადმოხტა, ჩაიცვა მოსამართლის მანტია, შუა ადგილას დაჯდა და დაიწყო სახელდახელო სასამართლო. გურკოჩია შორიახლოს დგას ბრალდებულივით თავჩაღუნული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. რაკი შენთან სიტყვა არ ჭრის, იძულებული ვარ კანონს მივმართო და კანონის ენით გელაპარაკო.

თანაშემწემ ზარი ააწკარუნა, ეს იმას ნიშნავს, რომ საველე სასამართლო მუშაობას შეუდგა.

ბრალდებულო გურკოჩია! შენთვის ხომ იყო ცნობილი, რომ ჩვენს სოფელში დასახლება გადაწყვიტა ასისთავმა.

გ უ რ კ ო ჩ ი ა. დიახ, იყო, მაგრამ...

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. (არ აცლის). ისიც ხომ იყო ცნობილი, რომ ჩვენ გვევალებოდა დავხმარებოდით ჩვენს მხსნელსა და მფარველს, ხომ გაგაფრთხილე არაერთხელ.

გ უ რ კ ო ჩ ი ა. დიახ, გამაფრთხილეთ.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. ყოველივე ამის შემდეგ ასისთავის კაცებს არ მიეცი ქვები. უმძიმესი დანაშაულიც ჩაიდინე, ხომ ასეა?

გ უ რ კ ო ჩ ი ა. რა დანაშაული?.. ქვა კი არ მივეცი, რაც მართალია, მართალია, ეს დავით აღმაშენებლის ქვაა, არ შეიძლება ამის აქედან წაღება.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. საჩივარია შემოსული შენზე! (თავის კაცებს) მომეცით აქეთ?.. (ჩანთიდან ამოიღეს ქაღალდი).

გ უ რ კ ო ჩ ი ა. მაგათ რა აქვთ საჩიველი — საჩივარი მე მაქვს! მამაპაპეულ საყდარს ტყვიას ესვრიან, რაც დაუნგრეველია, იმასაც მინგრევენ და მიფუჭებენ. ამასაც არ მაჯერებენ, ნანგრევები შინ მიაქვთ. კარგი, ბატონო, რახან შენი ბრძანებაა წაიღონ ქვები, მაგრამ ამ ერთ ქვას ხელი არ ახლონ, ის დავით აღმაშენებლისაა.

მამასახლისო, შენ თუ სოფლის თავკაცი ხარ, და სოფლის ჭირი მართლა გაწუხებს, უნდა ადგე, წახვიდე უფროსებთან და ეს ამბავი აცნობო, ან თვითონ ასისთავს უნდა მოთხოვო პასუხი სოფლის სახელით.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. სტყუი! ეკლესიას ტყვიას არავინ ესვრის! (ხალხს მიმართავს) აბა, გაიხედეთ აქეთ-იქით! (გაიხედავენ). ირგვლივ სოფელია ხომ? სად უნდა ივარჯიშოს ჯარმა, ხალხო? ასისთავს თავისი რაზმი გამოჰყავს აგერ ამ მინდორში სავარჯიშოდ. რატომ? იმიტომ, რომ აქეთ სოფელი არ არის, ერთი ეს ეკლესია დგას და ტყე და მინდორია, თოფს ისვრიან ტყისკენ, რათა ადამიანი არ დაშავდეს...

გ უ რ კ ო ჩ ი ა. (გაქანდა და ნატყვიარს უჩვენებს ხალხს) ტყისკენ კი არა, ა, ბატონო, მობრძანდით აქ, ნახეთ!.. (ეკლესიის კედელს მიადო ხელი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. შეიძლება ერთი ტყვია მოხვდა, მერე რა ვუყოთ! ერთი ტყვია ეკლესიას ვერაფერს დააკლებს, მაგრამ... ადამიანს რომ მოხვდეს, მოკლავს, ხომ ასეა, ხალხო?

ხ მ ე ბ ი. ასეა, ასეა.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. რაც მთავარია, ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვა არ არის. რაც დიანოზა მღვდელი მოკვდა, წირავდა ვინმე?..

პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ნ ა შ ე მ წ ე. სალოცავად სხვაგან დადიან ეგენი. აქ სხვა ანგარიშია...

მ ე ო რ ე თ ა ნ ა შ ე მ წ ე. გიორგობას საკლავი მოჰყავთ აქ, ეკლესიის გასაღები გურკოჩიას უდევს ჯიბეში და შემოსავალიც გვარიანი აქვსო, ამბობენ...

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. აი, თურმე რა ყოფილა! თურმე რისთვის ტეხავს განგაშს და რისთვის იქნევს კომბალს!.. რომელი მღვდელი შენ მყავხარ, რომ საკლავი აკურთხო! ვინ მოგცა ამდენის უფლება!.. ვინ მოგცა გასაღები!

გ უ რ კ ო ჩ ი ა. ჰო, ჰო, ჰო, ვითომ არ იცით, რომ აქ ნაკურთხი საკლავი მოჰყავთ, დიანოზა მღვდელი რომ მოკვდა, გასაღები მე რომ დამიტოვა, ვითომ ესეც ახალი ამბავია თქვენთვის! გქონდეთ ეს გასაღები, თუ გინდათ!.. (მიუგდო გასაღები.) იმ ქვას კი მაინც არ მოგცემთ, სულ ერთია!..

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. ვის რად უნდა ბოლოსდაბოლოს შენი ქვა... შენ პასუხი უნდა აგო, ცრუმღვდლობისთვის. რაც მთავარია (ხაზგასმით), ურჩობისათვის.

— დიდუჰ, გურკოჩია, დაიჩოქე ახლა და შეჭამე მიწა! — დაიძახა ვიღაცამ ხალხიდან.

მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი. (ხალხს). ახლა ჩვენ აქ ქვის წაღება—არწაღებისთვის შევიკრიბეთ განა? ქვა კი არა, კაცს დანაშაული აქვს ჩადენილი და პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე. ამის შემდეგ ჩვენ ქვას გვინდა წავიღებთ და გვინდა არა!..

— განაჩენი გამოგვაქვს! (პირველ თანაშემწეს) დაამთავრე, საქმე ნათელია!..

პირველი თანაშემწე გამზადებულ განაჩენს მიართმევს.

მოაწერეთ ხელი! (ხელს აწერენ თანაშემწეები და მამასახლისი.)

საველე სასამართლო, რომლის შემადგენლობაში შედიან: მამასახლისი, იგივე მოსამართლე, და მამასახლისის პირველი და მეორე თანაშემწეები, იგივე მსაჯულები, ადგენს:

ამ სოფლის მკვიდრი ბრალდებული გურკოჩია ჯაავა გადაუდ-

გა სოფელს, გადიდგულდა და დაიწყო ურჩობა, შეურაცხყო ასის-
თავის კაცები. არ შეასრულა მამასახლისის ბრძანება... მაგრამ...
ასისთავი მოწყალეა... ასისთავმა აპატია გურკოჩიას [illegible]
ოფიციალისწინა მისი ოჯახური მდგომარეობა, წარსული [illegible]
სოფლიდან გასახლება, სასახლის მშენებლობაზე მუშაობით შეუც-
ვალა.

ხმა ხალხიდან. ეს თითქმის თავისუფლებაა, გურკოჩია, ეკლესი-
ისთვის იმუშავებ თუ ასისთავისთვის სულ ერთი არ არის?

მამასახლისი. რაკი ასისთავმა გურკოჩიას ყველაფერი აპატია,
ჩვენ სოფლის თავკაცებს უფლება არა გვაქვს იგი დავსაჯოთ. მად-
ლობა უნდა ვუთხრათ ასისთავს გულმოწყალებისათვის და პატივის-
ცემის ნიშნად უნდა დავადგინოთ შემდეგი: აგერ, ჩვენს დანგრე-
ულ ეკლესიასთან, თეთრი ქვები რომ ყრია, ეს ქვები და სამრეკ-
ლოდან ჩამოვარდნილი ეგრეთ წოდებული დავით აღმაშენებლის
ქვაც უნდა გავუგზავნოთ ასისთავს, თავისი სასახლის ბჭის თაღის
ამოსაშენებლად. აღსრულება დაევალოს მამასახლისის პირველ თა-
ნაშემწეს და მამასახლისის მეორე თანაშემწეს.

მამასახლისის თანაშემწეები გაემართნენ დავით აღმაშენებლის
ქვისაკენ. გურკოჩიას ხალხი შემოეხვია გარს და თავისუფლებას
აულოცავენ. გურკოჩია ხალხს გაუსხლტდება და ქვაზე შეხტება ჭა-
ბუკურად.

გურკოჩია. არ დაგანებებთ ამ ქვას!.. სასამართლოთი და ასისთა-
ვით ვერ შემაშინებთ, ქვა სამრეკლოსია, დღეს თუ არა ხვალ (ხელს
იშვერს სამრეკლოსაკენ.) აი მანდ, კედლის ყურზე უნდა ჩამოვ-
დოთ და ჩავაშენოთ, ასისთავს ნება არა აქვს ეს ქვა მიისაკუთროს!..
მოულოდნელად სოფლიდან გაისმა გასროლა. ამას არავინ მოელო-
და. დაიბნენ, აირივნენ, ვერ მიმხვდარან რა მოხდა, ვიღაცამ იკივ-
ლა, მამასახლისიც კი შეშფოთდა და მიიჭრა გურკოჩიასთან, მაგრამ
ხელის ხლება ვერ გაბედა, გურკოჩია შეტორტმანდა, გულზე იტაცა
ხელი, ნელა დაეშვა დავით აღმაშენებლის ქვაზე.

გურკოჩია. ხომ გით... ხარით... ესვრიან... მეთქი... თქვე... ულმერ-
თოებო! ამოიკვნესა და დაემხო დავით აღმაშენებლის ქვაზე. თეთ-
რი ქვა გულის სისხლით დაიფერა.

პანტეს ეს სისხლი არ აძლევდა მოსვენებას. „ამ ქვისთვის სისხლი
დაიღვარა, თუნდაც ამისთვის საჭიროა მისი დაცვა“, — ბუტბუტებდა

საყდარში. „წავალ ფეტელავასთან, თუ დამჭირდა, უფრო ზევითაც წავალ“, — გადაწყვიტა მტკიცედ, გამოიხურა საყდრის კარი და ხოფლისკენ თავდალმართზე დაეშვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5

პანტემ რაიალმასკომში ფეხი რომ შედგა, წინ ნოე შემოეფეთა. ნოეს ხელში ჩანთა ეკავა და ისე იდგა დერეფანში, თითქოს ვიღაცას ელოდებოდა, ფეტელავას მისაღებში პანტემ ბუჭუსაც მოჰკრა თვალი, არ ესიამოვნა მათთან შეხვედრა, ბუჭუსკენ არც გაუხედავს, ნოეს ჩამოართვა ხელი.

— უჰ, როგორ გამიხარდა შენი დანახვა! მოხვედი ხომ? დაბრუნდი ხომ? — შეაგება ნოემ და მეგობარი გვერდით გაიყვანა. — განცხადება მოიტანე?

— რა განცხადება? — დაიბნა პანტე.

— სკოლაში არ ბრუნდები?

— კარგი რა, ნოე, რამდენჯერ უნდა გითხრა ერთი და იგივე. — ეწყინა პანტეს და გაცლა დააპირა.

— აბა, აქ ამასთან მოხვედი? — შეაჩერა ნოემ პანტე და ფეტელავას კაბინეტისკენ გაიშვირა ხელი. პანტემ არ უპასუხა.

— კაცო, მეც მაგასთან ვარ დაბარებული, რა უნდა ნეტავ? შენ გამო ხომ არა?.. — გამომცდელად მიაჩერდა, — ქვის გამო ხომ არ გიბარებენ? — ნოე თვითონ სვამდა შეკითხვებს და თვითონ პასუხობდა. — მთელი რაიონი იმ ქვაზე ლაპარაკობს!.. — ნოე ჩურჩულზე გადავიდა, აქეთ-იქით იყურებოდა, პანტეს თითქოს სულში უძვრებაო, მისკენ მიიწევდა, — ყველანი შენთან ვართ, იცოდე, დავით ალმაშენებლის ქვა ამ ოხრებს უნდა დავანებოთ? არა! არ მისცე, არავითარ შემთხვევაში არ მისცე! დაივიწყა ხალხმა სამშობლო, წინაპრები, კულტურის ძეგლები, ისტორია. თავისთავის მეტი არავის არაფერი ახსოვს. შენისთანა ადამიანი სწორედ ლამპარია წყვდიადში. ახალგაზრდობა შენს მაგალითზე უნდა აღიზარდოს. სხვათაშორის, სკოლას თუ დაუბრუნდები, უფრო უკეთ იბრძოლებ ოხვამეკარისათვის. ახლა შენ რაიონის პედაგოგიური კოლექტივი გვერდით რომ გედგას, მეტი ძალა გექნება და ადვილად ხელს ვერ წამოგკრავენ. მთელი რაიონის პედაგოგებთან ერთად გემოქმედა, არ გერჩია?

— ვიმოქმედოთ მერე! — უცებ მოუჭრა პანტემ და ხელად მისცა კონკრეტული დავალება: — აგერ არის განათლების განყოფილებაც,

თხოვე იქ შენს მეგობრებს და ერთად შევიდეთ ფეტელავასთან. ოხვა-
მეკარი მარტო ჩემი კი არ არის.

ნოე დაიბნა, არ მოელოდა ასე უცებ თუ გამოუძებნიდნენ საბარო საქმეს.

— განათლების განყოფილება? — სახეზე შეშფოთება გამოეხატა. კარგა ხანს იდგა გაჩუმებული და სულ იმას ფიქრობდა თავი როგორ დაეძვრინა, ენას კბილი ვერ დავაჭირეო, ტუქსავდა თავისთავს და აქეთ-იქით იყურებოდა.

— ვინ მყავს მე განათლების განყოფილებაში მეგობარი? — თავი მოისაწყლა ნოემ, — თავისი ლანდის ეშინია ყველას.

— მარტო მე და შენ შევიდეთ... — არ მოეშვა პანტე, — ესეც საქმეა.

— მე? — გაიოცა ნოემ, — რაში გამოგადგები? ფეტელავას არც ვიცნობ ხეირიანად. გარდა ამისა შარში გახვევაც არ მინდა. ისე სულითა და გულით შენთან ვართ, კი!..

ფეტელავას კაბინეტიდან პირქუში პირისახის გამხდარ-გამხდარმა მაღალმა ქალმა გამოიხედა.

— ე, ნაზიკო გეძახის... — უთხრა ნოემ პანტეს ხმადაბლა. ნაზიკო ფეტელავას თანამშრომელი იყო. რაკი კულტურის განყოფილების გამგეს არც მოადგილე ჰყავდა, არც მდივანი, ინსპექტორის ერთადერთი შტატი გააჩნდა, ნაზიკო ასრულებდა მოადგილის, განყოფილებათა გამგეების და თვით მდივნის მოვალეობასაც. ნაზიკო პანტეს დიდი პატივით შეხვდა, ნოეს კი უთხრა დამელოდე და დაგიძახებთო. ნოეს გაუკვირდა, ნაზიკოს ცივმა შეხვედრამ ეჭვები აღუძრა. ბუჭუ მოძებნა მოსაცდელში და გვერდით მიუჯდა, ამას ეცოდინება რატომ გვიბარებენო.

— რა უნდათ ნეტა? — ვითომ სხვათაშორის ჰკითხა.

ბუჭუმ მხრები აიჩეჩა.

— შენც ამასთან ხარ დაბარებული ხომ? — ჩააცივდა ნოე.

— დაბარებული არა ვარ, თვითონ მოვედი. — უთხრა ცივად ბუჭუმაც, წამოდგა და დერეფანში გავიდა, ახლა კი დაფრთხა ნოე, პანტეს რომ მეგობრულად ვემუსაიფებოდი ამის გამო მიწყრებიანო — დაასკვნა.

კულტურის განყოფილების გამგემ პანტე თავაზიანად მიიღო. გრიშა ფეტელავას ქართული ზნე-ჩვეულების, წესიერებისა და ზრდილობის მოყვარულ კაცად მოჰქონდა თავი, უფროს-უმცროსობას პატივს სცემდა.

თავის კაბინეტში შემოსული პანტე რომ დაინახა, წამოხტა, სანეზე პატივისცემა და კრძალვა აღიბეჭდა. დიდის ამბით შეეგება, წელში მოხრილმა ორივე ხელი ჩამოართვა, მაგიდასთან მიიყვანა, ფოტელიც უდგა სკამი, თვითონვე დასვა. როგორ ბრძანდებით, ბატონო პანტე, როგორ გიკითხოთ, რამდენი ხანია, არ მინახიხართო. ამდაგვარი არაფრისმთქმელი სალამ-ქალამით მიელაქუცა. შემდეგ მაგიდასთან თავისი ადგილი დაიკავა. ნაზიკომაც დაიკავა თავისი ადგილი კუთხეში მიდგმულ მაგიდასთან.

— დიდ საქმეს აკეთებთ, ბატონო პანტე, — დაიწყო გრიშამ პირდაპირ, — მამულიშვილურ საქმეს!.. როგორც კი მოგვცემენ მცველის შტატს, პირველ რიგში თქვენ დაგაკმაყოფილებთ, ოხვამეკარი, მართალია, არ არის კულტურის ძეგლი, ჩვენ ის აღრიცხულიც კი არა გვაქვს, მაგრამ მაინც სიძველეა. რაიონში იმდენი ძვირფასი ძეგლია, ვერ ავუდივართ. ამიტომაა თქვენი შრომა დაუფასებელი. თქვენ ჩვენი აქტივისტი ბრძანდებით და ოხვამეკარს სწორედ თქვენ უნდა უპატრონოთ. ვისაც სამშობლო უყვარს, ვისაც თავისი წინაპრები უყვარს, არ შეიძლება გულგრილად შესცქეროდეს წარსულის ძვირფას მემკვიდრეობას. საქართველოში ხუთი ათას ძეგლზე მეტია. საჭიროა მთელი საზოგადოება ამოგვიდგეს მხარში, მარტო მე და თქვენ ვერ გავწვდებით, ვერ შევძლებთ...

— ბატონო გრიშა, — შეაწყვეტინა პანტემ. ფეტელავას ესიამოვნა „ბატონო“, პანტესთან შედარებით ახალგაზრდა კაცი იყო, მოხუცმა კაცმა „ბატონო“ რომ უთხრა, გაიბადრა და თანამოსაუბრეს ამაყად შეხედა. პანტე კი გაკვირვებული შესცქეროდა, ნუთუ მართლა ამისთვის დამიბარაო. რაკი გრიშა არ ჩქარობდა, სათქმელი დროზე ეთქვა, პანტემ ჭკუის სწავლებას საქმიანი საუბარი ამჯობინა და შეაჩერა.

— ბატონო გრიშა, — გაუმეორა, — თქვენს ფოტოგრაფს მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის ორი წლის წინათ გადავაღებინე ოხვამეკარის ფოტოსურათები, მუზეუმში ეს სურათები დღესაც არ ჩანს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ევალებოდა მოეგვარებინა ეს საქმე, მაშინ ჩემი ფეხით მივედი მუზეუმში, წამოვიყვანე ფოტოგრაფი, გადავაღებინე... სურათებიც დაიკარგა და ფოტოგრაფიც.

გრიშა ყურმილს ეცა.

— როგორ, აქამდე არ გაუკეთებიათ ოხვამეკარის ექსპოზიცია?! — ჩაილაპარაკა რიხიანად, ნომერი აკრიფა, ყურმილში ჩასძახა:

— დირექტორი მომიძებნეთ!.. არ არის? სად არის? მოძებნეთ, მოძებნეთ და მოვიდეს ჩემთან, სასწრაფოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიშამ ყურმილი დადო. კმაყოფილად გადახედა პანტეს, ვითომ ეს საქმე მოგვარებულია, თქვენ არხეინად ბრძანდებოდეთო.

— მთავარი, იცით რა არის, — უთხრა გრიშამ პანტეს, — ჩემგან არ გესწავლებათ, ბატონო პანტე. მაგრამ მთავარი ბანკი ვაკაცობაა, თუ ვაჟკაცი არ არის, მუზეუმის დირექტორად კი არა, ამირსპასალარად რომ დანიშნოთ, საქმეს ვერ გააკეთებს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმა ჩვენთაგანმა თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადოს ხალხის წინაშე. ხალხი ბრძენია, ხალხი ღვაწლს არ დაგიკარგავთ.

— დიახ, — მოხერხებულად ჩაურთო პანტემ და გრიშას სიტყვა წაართვა. — ორი წლის წინაც ზუსტად ასეთი საუბარი გვქონდა ამ კაბინეტში. მაშინაც დარეკეთ თქვენ მუზეუმში, მაშინაც არ იყო დირექტორი და მაშინაც დაიბარეთ სასწრაფოდ...

— მეც იმას ვჩივი, ბატონო პანტე, რომ თუ არ იქნება ურთიერთგაგება, როგორღა ვიმუშავებთ. მუზეუმის დირექტორი არ უნდა მოსულიყო ჩემთან? არ მოვიდა და მორჩა, გადადებული საქმე ხომ იცით... ადამიანს დღეს, სამწუხაროდ, თავისთავის მეტი სხვა არაფერი აინტერესებს. ასეთ დროს გვჭირდება სწორედ მონდომება, თუ მოვინდომებთ, საქმეს გავაკეთებთ. ქვეყანა მთლად დაქცეული არ არის, არიან დადებითი ადამიანები, ოღონდ უნდა შეგვეძლოს დავინახოთ. ამისათვის საჭიროა ვიყოთ პრინციპული, შეგვეძლოს პედაგოგიური მიდგომა.

— ბატონო გრიშა, — კვლავ შეაჩერა პანტემ, — მე ვიცი, რომ არ გცალიათ ოხვამეკარისათვის, იმაში მაინც დამეხმარეთ, ხელი არ შემიშალონ. რაც მე გავაკეთე, ის არ წამართვან...

გრიშა ფეხზე წამოდგა, გაიარ-გამოიარა და პანტეს მიუბრუნდა საქმიანად:

— სანამ მე აქ ვარ, თქვენ ვერავინ ხელს ვერ გახლებთ, ბატონო პანტე, — გულითადად უთხრა თავის ჭკუით, — ოღონდ ოხვამეკარი უფრო უკეთ უნდა მოვაწყოთ, — გრიშა ჩაფიქრდა, ახლა, ამ წუთას ებადებოდა იდეა, გაფართოებული თვალებით მიშტერებოდა ფანჯარას, ფანჯრიდან ცას შესცქეროდა. — ოხვამეკარს მარტო შემოღობვა არ უშველის, ის უნდა ვაქციოთ მუზეუმად ღია ცის ქვეშ!..

პანტე თვალსა და ყურს არ უჯერებდა. იცოდა გრიშას რომ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების წარმოთქმა უყვარდა, მაგრამ ახლა სწორედ იმას ამბობდა, რასაც პანტე დიდი ხანია გულში ფიქრობდა.

— მუზეუმად? — გაოცდა პანტე.

— დიახ, უნდა დავიხმაროთ სოფლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაცია და ოხვამეკარში გავმართოთ მუზეუმი ღია ცის ქვეშ,

მივიყვანოთ რაიონის მოსწავლეები საექსკურსიოდ, სხვა რაიონებიდანაც მოვიწვიოთ სტუმრები, დავუძახოთ მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, მოვაწყოთ შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, ეროვნული სიტყვით, კულტურის კერად ვაქციოთ, აი, რა არის მთავარი.

— ეჰ, თქვენს პირს შაქარი, ბატონო გრიშა, მაგრამ ვინ უნდა აქციოს კულტურის კერად ოხვამეკარი? მე?..

— დიახ, მოგახსენებთ, მე და თქვენ ამას ვერ შევძლებთ, ყველამ უნდა გავაკეთოთ, მთელმა საზოგადოებამ, ხალხმა. მთავარია გული არ გავიტეხოთ, გამოსავალი უნდა ვიპოვოთ...

პანტეს მოთმინების ფიალა აევსო. „ნუთუ ამისთვის დამიბარა“.. „ნუთუ ამისთვის დამიბარა“... — ფიქრობდა დაჟინებით და უაზროდ შესცქეროდა ქადაგად დავარდნილს.

— როცა ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, მაშინ ცხოვრება მშვენიერია, სიყვარული მთავარია, სიყვარული საფუძველთა საფუძველია. სიყვარული ორ ადამიანს — ქალსა და კაცს ერთმანეთთან აკავშირებს, ეს კავშირი ქმნის აწმყოს, წარმოშობს მომავალს.... შორს შევტოპე არა, ბატონო პანტე, მაგრამ მე მოწოდებით დიდაქტიკოსი გახლავართ, ამას არც ვმალავ, ვამაყობ კიდეც ამით, მიყვარს ხალხს ჭკუა ვასწავლო, მოთხოვნილება მაქვს ასეთი, მინდა ტრიბუნაზე ვიდგე, ხალხი ჩემს ირგვლივ იყოს თავმოყრილი, მე კიდევ სულხან-საბას მსგავსად, ვმოძღვრავდე მათ, ეს ხომ ბედნიერებაა, ბატონო პანტე, თქვენ პედაგოგი ბრძანდებით, და გამიგებთ, ხომ დიდი მოღვაწე გვყავს სულხან-საბა ორბელიანი, ბატონო პანტე, რას იტყვით?.. მომბეზრდა მოხელის ცხოვრება,—გრიშამ აქეთ-იქით ჭურდულად გაიხედ-გამოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო. — წვრილმანი ყოველდღიურობა: თათბირები, კრებები... ქაღალდების წერა... აქ არ არის ჩემი ადგილი... მაგრამ, რას ვიზამთ, ვისაუბროთ სულხან-საბაზე, მისი ქადაგებები ხომ დიდაქტიკის შედევრია?... თქვენ გეგონათ, მე „სიბრძნე სიცრუეზე“ ვილაპარაკებდი, — გაიცინა გრიშამ. — მე ჩემი სამყარო მაქვს, ბატონო პანტე... უცნაური კაცი ვარ, არა? მოგაბეზრეთ თავი...

— რას ბრძანებთ? — ხელები გაშალა პანტემ, — ოღონდ ხალხს შემოსვლა უნდა და... — კარებისაკენ გაიხედა, ერთი ახალგაზრდა წარამარა აღებდა კარს, შემოსვლას ვერ ბედავდა.

— ეგ არაფერია, მოიცდიან, — თქვა გრიშამ, წამოდგა და კარი ჩაკეტა. პანტემ სიმწრის ოფლი მოიწმინდა შუბლიდან.

— ბოლოს და ბოლოს, ოხვამეკარის დანგრეული ეკლესია კი არ არის მთავარი, იტალიაში ასეთ ეკლესიებს ბენზინს გადაასხამენ და წვა-

ვენ თურმე. ყოფილხართ იტალიაში, ბატონო პანტე? მე ვიყავი ტუ-
რისტული საგზურით... იქ ასეთ ეკლესიებს არც ერთ საუკუნეში არ
აგებდნენ, საჯინიბოებიც კი უკეთესად აქვთ აშენებული. [illegible]
მეკარისათვის თავგამოდება, თუ საქმეს მსოფლიო მასშტაბით [illegible]
დავთ, ღიმილს გამოიწვევს საერთოდ. ამიტომ ქართველებს ცოტა თავ-
მდაბლობა გვმართებს, მართალია, ძეგლი ჩვენია და, ავია თუ კარგია,
უნდა დავიცვათ, როგორც გითხარით, ეს თქვენ უნდა გააკეთოთ —
ჩვენმა აქტივისტებმა, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქვე-
ყანაზე არსებობს რომი და ათინა! გაყოყოჩება სიკეთეს არავის მო-
უტანს.

პანტეს გაუხარდა. იფიქრა, თუ მეტყვის ახლა მეტყვის სათქმელს
და გაათავებსო.

— მართალი ბრძანდებით, გაყოყოჩება სიკეთეს არავის მო-
უტანს... — კვერი დაუკრა პანტემ.

— ეკლესიის ეზოში რაღაც ქვა აგდიაო, ის ქვა დათიკო ვასილიჩს
სჭირდებაო, ამის გულისთვის ახლა ხმაური და ვაიუშველებელი ავტე-
ხოთ, ამას ვინ მოგვიწონებს? ბოლოსდაბოლოს იქ ქვა კი არ არის მთა-
ვარი, რა გამოდის? თქვენ ერთი ადამიანი ხართ პატრიოტი, დანარჩენე-
ბი, დათიკო ვასილიჩი — ყველა ჩვენთაგანის აღმზრდელი და ყოფი-
ლი უფროსი, ჟორა ივანიჩი — მეურნეობის დირექტორი, თუ გნებავთ,
ბუჭუ — ბრიგადირი კაცი, თუ გნებავთ თქვენი შვილი — მთავარი აგ-
რონომი, კეთილსინდისიერი ადამიანი, დაბოლოს, მეც, კულტურის გან-
ყოფილების გამგე — არა ვართ პატრიოტები? აბა, რა ვართ, რისთვის
ვიღვწით და ვიბრძვით. ძალიან უხერხულია, ბატონო პანტე, მე გირ-
ჩევთ ცოტა თავი შეიკავოთ.

— ვინ გეუბნებათ, რომ თქვენ პატრიოტები არა ხართ და მე ვარ
პატრიოტი...

— ასე გამოდის, ბატონო...

— ის დავით აღმაშენებლის ქვაა, სამრეკლოდან ჩამოვარდნილი...
ეგდოს ის ქვა იქ, საცა გდია. ვინ იცის, ხვალ რისთვის დაგვჭირდება.
სხვას მე არაფერს ვამბობ.

— ოოო... — თქვა გრიშამ და ჩაფიქრდა, — მინახავს მე ის ქვა,
იმ სამრეკლოსაც ვიხსენებ ახლა, თანდათან... — გრიშა წამოდგა, გა-
იარ-გამოიარა კაბინეტში და ჯიბეებში ხელებჩაყოფილი დადგა ერთ
ადგილას, — იცით, რა ვქნათ, ბატონო პანტე?.. მოდით მივცეთ ის
ქვა დათიკო ვასილიჩს... — თქვა ეს და კვლავ მოჰყვა ბოლთას ცემას,
ვითომ ჯერაც ვერ გადამიწყვეტია, მივცე თუ არაო. — მე და თქვენ

ხომ ვიცით, რომ ოხვამეკარის არც ეკლესია და არც სამრევლო არაფერი ძეგლი არ არის...

— არ გეთანხმები მაგაში... — ვერ მოითმინა პანტემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ მეთანხმებით თუ არ მეთანხმებით, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ ოხვამეკარი ისტორიული ღირებულების ძეგლი არ არის. თქვენი თანხმობა არაფერს შეცვლის, ბატონო პანტე, მე გირჩევთ, დამშვიდდეთ და საღად იფიქროთ ამ საკითხზე.

— ჩემი თანხმობა იმას შეცვლის, რომ ბუხრის მოსაპირკეთებლად დავით ალმაშენებლის ქვას არ დაგამტვრევინებთ! — ხმას აუწია პანტემ.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ბატონო! მე ჩემთვის ის ქვა არ მითხოვია, ვითხოვე თქვენთვის, თქვენი ოჯახისთვის... თქვენი შვილისთვის... — გრიშამ „შვილისთვის“ ხაზგასმით წარმოთქვა და თვალები ააპარპალა. პანტემ იცოდა, რომ ანდრის რაიონში იცნობდნენ, რაიკომსა თუ რაიალმასკომში ბევრი ამხანაგი და მეგობარი ჰყავდა, ანდრის ტოლებს რაიონში უკვე მაღალი სკამები ეკავათ. გრიშაც ხომ ანდრის კბილა იყო? პანტეს ეჭვი მართლდებოდა...

გრიშა კი შეგონებას განაგრძობდა:

— რა საჭიროა ასეთი კილო: „ბუხრისთვის ქვას არ დაგამტვრევინებთ“... ვითომ თქვენ გესმით ძეგლების მნიშვნელობა და ჩვენ არა? რატომ აძლევთ თავს ამდენის უფლებას, რატომ უწევთ ხმას, ბატონო პანტე, უდიერად მოგექეცით? გაკადრეთ რამე? პირიქით, მადლობა უნდა მითხრათ, რომ თქვენთვის ვზრუნავ. უნდა იცოდეთ, ვინ არის თქვენთვის ავის მსურველი და ვინ კეთილის...

— იმ ქვას ვერ მოგცემთ თუნდაც ჩემი შვილისათვის! — უთხრა პანტემ, წამოდგა და წასვლა დააპირა.

გრიშა აღელდა. არ ეგონა თუ პანტე ამდენს გაუბედავდა.

— მოითმინეთ, ბატონო! თქვენ მიდიხართ?.. მართლა მიდიხართ? რატომ კადრულობთ ამას... მე გირჩევთ, არ წახვიდეთ.

პანტე დაჯდა. გრიშა თავზე დაადგა. ენერგიული, ფერ-ხორცით სავსე მამაკაცი იყო, სიბრაზისაგან ფართო პირისახე წამოჭარხლებოდა და მსხვილ შავ თვალებს უაზროდ ატრიალებდა, თან ცდილობდა, თავი შეეკავებინა, მღელვარება არ დატყობოდა.

— ვერ მოგცემთ, ვერ მოგცემთო, ასე დაჟინებით რომ გაიძახით, რა უფლების ძალით? სახელმწიფო ქონების მიტაცების ნება თქვენ ვინ მოგცათ? ვისი ნებართვით შემოაკავეთ სახელმწიფო მიწა?..

ცაცხვისა და სკოლის ისტორიას ჩვენ ვერ გავიმეორებთ, ბატონო პანტე, გაფრთხილებთ, ამისთვის არ გვცალია. ბოლოსდაბოლოს, ოხვა-

მეკარს თვითონ მოვუვლით, თუ ის ქვა მართლა დავით აღმაშენებლის ხელმონაკიდებია, მუზეუმში დავდებთ და ის იქნება.

— გასაგებია, — თქვა პანტემ და წამოდგა, — ახლა ხომ შეიძლება წავიდე?

— არა, არ შეიძლება. — მკაცრად უთხრა გრიშამ.

პანტეს არ ეგონა თუ გრიშა უბრძანებდა არ წახვიდეო. გაავებული დაეშვა კვლავ სკამზე და გრიშას პირში მიახალა:

— ბატონო გრიშა, რაიმე გაუგებრობა რომ არ მოხდეს, მართლა ცაცხვისა და სკოლის ისტორია რომ არ განმეორდეს, აქედანვე გაფრთხილებთ: იმ ქვას არავის მივცემ და არ გეწყინოთ.

— კი, ბატონო, ნუ მისცემთ, — უთხრა გრიშამ, — ოღონდ ხალხის ყბაში ნუ ჩაგვაგდებთ და ნუ დაიჭერთ ისეთ პოზას, თითქოს თქვენს მეტს არავის უყვარდეს წარსული, არავინ იცავდეს ძეგლებს, სხვა არა იყოს რა, ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე ვარ!

— მერე? სად არის ეს თქვენი საზოგადოება, ძეგლებს რატომ არ იცავს?

— ღმერთო ჩემო, სანამდე შეიძლება ერთი და იგივე ვილაპარაკოთ, — ჩვენ ვიცავთ ძეგლებს და არა ქვებს. თქვენ რომ დავით აღმაშენებლისას ეძახით, ის ქვა, ძეგლი კი არა, უბრალო ქვაა... დავით აღმაშენებელს რა უნდოდა ოხვამეკარში? არ გრცხვენიათ, ბატონო პანტე? მასწავლებელმა კაცმა საქართველოს ისტორია არ იცით და პრეტენზია კი დიდი გაქვთ. ქუთაისს აქეთ არც ყოფილა დავითი ბოლოსდაბოლოს!.. აგვევსო მოთმინების ფიალა, მარტო მე კი არა, მთელ რაიონს... უფრო მეტსაც გეტყვით: — არ იცით საერთოდ რა არის ძეგლი. თქვენ გგონიათ იცავთ, სინამდვილეში აფუჭებთ, ანადგურებთ მას.

— ესეც სულ ახალი ამბავი! — ჩაიცინა პანტემ.

— საყდარი კრამიტით ყოფილა გადახურული, თქვენ შიფერი დაგიფარებიათ, ნახევარი კრამიტია, ნახევარი შიფერი, ასე საკუთარი საღორის გადახურვა არ შეიძლება, ნუთუ ამდენი არ გესმით!..—ბობოქრობდა გრიშა, — ამისთვის საგანგებო დაწესებულებები არსებობს თბილისში, ვინ იცის რა ზიანი მიაყენეთ ძეგლს! ძალიან ვწუხვარ, ბატონო პანტე, რომ თქვენთან მშვიდი, დამარწმუნებელი საუბარი შეუძლებელია, იძულებული ვართ გამხილოთ და ნიღაბი აგხადოთ.

მთელი რაიონი აღშფოთებულია თქვენი საქციელით. ხელმძღვანელების მითითებით ჩვენ შევისწავლეთ თქვენი საქმე.... — თქვა გრიშამ და ნაზიკოს გადახედა, — თხოვეთ ამხანაგებს...

ნაზიკომ ნოე და ბუჭუ შემოიყვანა. პანტემ ნოეს გაკვირვებული

თვალები მიაპყრო. ნოემაც აიჩეჩა მხრები. ბუჭუ კუშტად დაჯდა სკამ-ზე და ფეტელავას მიაჩერდა.

ნაზიკომ წინ დაილაგა საქაღალდეები და მკაცრი კილოთი დაიწყო:

— ბატონებო! ვინმე სხვას რომ ეთქვა არ დავიჯერებდი იმას, რაც აქ, ახლა თქვენს შემოსვლამდე, ჩემს თვალწინ ჩაიდინა პედაგოგმა კაცმა პანტე ჯაავამ. შეურაცხყოფა მიაყენა ყველა ჩვენთაგანისათვის მისაბაძ ხელმძღვანელს, რაიონში თითით საჩვენებელ ადამიანს გრიშა ფეტელავას. შემპირდით ყველაფერის გაკეთებას და არაფერი გაგიკეთებიათო — ასე უთხრა პირდაპირ. ესე იგი რაიონის კულტურის განყოფილების გამგეს, კულტურის დამსახურებულ მუშაკს უწოდა არაფრის გამკეთებელი, უსაქმური. ძველ დროში თანამდებობის პირის შეურაცხმყოფელი საკადრისად ისჯებოდა. კარგი იყო ეს. ყველაფერი კი არ უნდა უარვყოთ წარსულიდან. სხვათაშორის, პანტე ჯაავასათვის ეს არ არის შემთხვევითი. — თქვა ხაზგასმით ნაზიკომ და ბუჭუს გადახედა.

— ახლა აი, იმ ქვაზე და მის გარშემო ატეხილ ხმაურზე მოგახსენებთ.

კულტურის მუშაკები, ისევე როგორც პედაგოგები, ვემსახურებით მომავალი თაობის აღზრდას, ჩვენ ერთი სამოქმედო პროგრამა გვაქვს, ერთი საერთო მიზანი და ერთი, ერთადერთი გზა ამ მიზნისკენ მიმავალი.

ჩვენ ახალგაზრდობას ვასწავლით, რომ კულტურის ძეგლები სახელმწიფო საკუთრებაა და მას სახელმწიფო იცავს. კანონში გვიწერია ეს და მისი დარღვევის უფლება არავის არა აქვს. პანტე ჯაავა კი ახალგაზრდობას თავისი საქციელით სხვას ასწავლის: შემომხედეთ მოხუცი კაცი ვიცავ ძეგლებს, სახელმწიფო კი, ვისაც კონსტიტუციით ეს ევალება, არ იცავსო.

მე დაბნეული ვარ, ბატონო გრიშა, ცილს სწამებენ არა რომელიმე ერთ დაწესებულებას, არა რომელიმე ერთ ხელმძღვანელს, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს.

მე მგონი სათანადო დასკვნა დროზე უნდა გავაკეთოთ!..

ნაზიკო დაჯდა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. საქმის ამგვარ შემობრუნებას არავინ მოელოდა.

პანტეს სიმწრის ოფლმა დაუცვარა შუბლი და ცხვირსახოცი ამოიღო. გაკაპასებული ნაზიკო არასდროს ენახა, გრიშას პირადი მდივანი ეგონა, თურმე ვინ ყოფილა!.. — პანტე გაოცებული შესცქეროდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამხდარ-გალეულ ქალს; სულ არ ეტყობოდა, რომ ღელავდა, ადამიანს მომაკვდინებელი განაჩენი გამოუტანა და არხეინად მიუჯდა მაგიდას, წერა განაგრძო. უხერხულობით გამოწვეული დუმილი გრიშამ დარღვია:

— გთხოვთ, ბატონო ნოე... — თქვა მან მოულოდნელად. ნოეს ფერ-ლება აუტყდა, ფეხზე წამოდგა, მაგრამ სათქმელს თავი ვერ მოაბა.

— მე დავიბენი, ბატონო გრიშა, არ ვიცი რაზე ვილაპარაკო... — წაილულლულა მან, — ისიც კი არ ვიცი, რისთვის დამიბარეთ...

— როგორ, თქვენი მეგობარი, პედაგოგი კაცი, გადაუდგა საზოგადოებას, მიატოვა სკოლა, არაფრად თვლის მეგობრებს, ცილს სწამებს და ჩირქს სცხებს ჩვენს სინამდვილეს, თქვენ კი პედაგოგმა, პარტიის წევრმა არ იცით რაზე ილაპარაკოთ?

— არარა, ररररोგორ არ ვიცი,—ბლუკუნი აუტყდა ნოეს,—უცებ ვერ ვუპოვე სადავე სიტყვას... აგერ არის პანტე და თვითონ გეტყვით რამდენჯერ ვთხოვე, დაანებე თავი მაგ ქვას და პედაგოგობას დაუბრუნდი-მეთქი. არ მომისმინა. როგორც ჩანს, გზას აცდა ადამიანი. მე პირადად, ვგმობ მის საქციელს. — უცებ მოჭრა ნოემ და დაჯდა.

— ქვაზე, ქვაზე რატომ არაფერს ამბობთ, ბატონო ნოე, — ჩააცივდა გრიშა ნოეს.

— მაგას რაღა თქმა უნდა, ოხვამეკარი კულტურის ძეგლია და ის ქვა თქვენ გეკუთვნით.

— აი, თურმე ვინ ყოფილხარ! — გაცეცხლებული თვალები შეაფეთა ნოეს პანტემ. ნოე ფეხზე წამოხტა, — არა, მე იმას კი არ ვამბობ პანტე ცუდი კაცია-მეთქი... მაგრამ პედაგოგობისათვის თავი არ უნდა გაგენებებინა, რაც მართალია, მართალია, ამაში დამნაშავე ხარ!.. პედაგოგობაზე უფრო ძვირფასი ჩვენთვის არაფერია.

— არის უფრო ძვირფასიც, ნოე, არის!.. — შესძახა პანტემ.

— მოითმინეთ! — ახლა უკვე აშკარა ზიზღითა და რისხვით უყვირა გრიშამ პანტეს.

— მაშასადამე, ბატონი ნოე ფიქრობს, რომ პედაგოგი პანტე ჯაავა გზას აცდენილი ადამიანია, — განაგრძო დინჯად გრიშამ, — გმობს მის საქციელს და მიაჩნია რომ დავით ალმაშენებლის ქვის გამო ატეხილი ხმაური დემაგოგიაა.

გრიშამ დამსწრეთ სათითაოდ გაუყარა თვალი თვალში და ბუჭუს უთხრა: — ბრძანეთ!..

ბუჭუ წამოდგა, ქაღალდებში დაიწყო ქექვა.

— ფაქტებით უნდა ვილაპარაკო, ბატონო გრიშა... — თქვა ბო-

ლოს. გრიშას მაგიდას ფრთხილად მოადგა, საქაღალდე გახსნა და ამო-
ალაგა უწყისები, ცნობები, აქტები — მეურნეობის ხელმძღვანელობისა
და კულტურის განყოფილების დავალებით გამომაქვს ეს საბუთები სა-
აშკარაოზე. საქმე შეეხება არა მარტო ქვას და არა მარტო კულტურის
ძეგლს, არამედ სახელმწიფო ქონების მიტაცებას.

— კმარა! ამის მოსმენა შეუძლებელია! — წამოხტა პანტე და წასვ-
ლა დააპირა.

— ბატონო პანტე, თქვენ საკუთარ სახლში კი არა ხართ! — წინ გა-
დაუდგა გრიშა, — კეთილი ინებეთ და მოისმინეთ!..

პანტე თავის სკამზე დაეშვა. ბუჭუმ განაგრძო:

— როგორც თქვენთვის ცნობილია, ოხვამეკარის ნაგებობანი და
ნანგრევები, მათ შორის ის ქვაც, სახელმწიფო ქონებაა და შეფასებუ-
ლია საკმაოდ დიდ თანხად. ასევე ფასეულია, სათითაოდ აღრიცხული
და მეურნეობის ბუღალტერიაში გატარებული, ოხვამეკარის მწვანე
ნარგავები. აი, საბუთები, ბატონებო...

რაც მთავარია, ოხვამეკარის ტერიტორია სულ მთლიანად მოიცავს
ნოლი მთელი სამმეათედამდე ჰექტარს, ესე იგი თითქმის ნახევარი
ჰექტარი მიწა მითვისებული აქვს ერთ ადამიანს... სულ ოხვამეკარი
შეფასებულია ათი ათას მანეთად. ახლა დასკვნა თქვენ გააკეთეთ. —
უთხრა გრიშას და ნაზიკოს ბუჭუმ.

— ცრუობს ეს ყმაწვილი! არაფერი არ ჰქონდა მეურნეობას აღ-
რიცხული და მით უმეტეს შეფასებული, მეურნეობას კი არა, კულტუ-
რის განყოფილებას არა აქვს აღრიცხული ეს ძეგლი. წლების განმავ-
ლობაში ოხვამეკარი მიგდებული იყო უპატრონოდ, ის საბუთები ახლაა
შეთითხნილი. დაგჭირდათ და მოგინდათ პატრონობა არა?..

— მომისმინეთ, ბატონო, მე ჯერ არ დამიმთავრებია. კიდევ ერთი
საბუთი: „პანტე ჯაავას ეკლესიის ეზო და ოხვამეკარის ფერდობები გა-
მოყენებული აქვს საკუთარი ძროხის საბალახოდ, უფრო მეტიც, შარშან
ოხვამეკარის ფერდობები დაამუშავა და სიმინდი კალისტრა ჯაავას ჩე-
ლტიანი ურმით ჩამოიტანა ოხვამეკარიდან სამი გზობა“. ამ საბუთს
ხელს აწერენ: მეურნეობის დირექტორი, მთავარი ბუღალტერი და
ადგილკომის თავჯდომარე.

— ეს უკვე სისხლის სამართლის საქმეა, ბატონო პანტე, — ვითომ
თანაგრძნობით უთხრა გრიშამ.

— ბატონო გრიშა, — წამოდგა ნაზიკო და თავისი საბოლოო სიტყ-
ვა წარმოთქვა: ჩემი აზრით, კულტურის განყოფილება უნდა შევიდეს
წინადადებით აღმასკომში: ჩამოერთვას მოქალაქე პანტე ჯაავას თვით-

ნებურად მიტაცებული სახელმწიფო მიწა, ოხვამეკარის ნაგებობანი და დავით ალმაშენებლის ქვა. დასახელებული ობიექტი ჩაითვალოს ძეგლად და გადაეცეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქე პანტე ჯაავას საქმე მიწისა და სახელმწიფო, ტაცების თაობაზე გადაეგზავნოს პროკურატურას.

პანტე ცოცხალ-მკვდარი გამოვიდა ალმასკომიდან. აქეთ-იქით იყურებოდა ეგებ ნოე ვნახო და გავჯოროო. გაბრაზებული იყო ნოეზე, მაგრამ ნოე თვალსა და ხელს შუა დაეკარგა, დაემალა. იტრიალა, იტრიალა ალმასკომის წინ, ბოლოს ხელი ჩაიქნია და სოფლისკენ გამოსწია.

6

შვილთან იმღამინდელი დავის შემდეგ, პანტემ გადაწყვიტა, ის ქვა თავის ადგილას ჩაედგა და დუღაბით ჩაეკირა. ეს ადგილი საქმე არ ალმოჩნდა. გაიკითხ-გამოიკითხა: მკვიდრი დუღაბისათვის ჯერ წყლის ცემენტი ურჩიეს, შემდეგ — კაშხალის. დიდი ამწე რაიონში ერთადერთი ეგულებოდა, იმ ამწეს კერძო სამუშაოზე ვინ გაუშვებდა? მეამწე დიდხანს ევაჭრებოდა, არ უნდოდა, სამუშაოდ შორს წასვლა, ბოლოს ჰაინც დაითანხმა.

გრიშა ფეტელავასთან და ნაზიკოსთან საუბარმა საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ქვას წაართმევდნენ. „უნდა ვიჩქარო, უნდა ვიჩქარო," — გაივლო გუნებაში და საქმეს შეუდგა.

სოფელში აღარც დაბრუნებულა. რაიონიდან პირდაპირ ზუგდიდის ავტობუსს გაჰყვა ენგურჰესის მშენებლობაზე. ბეტონის ქარხანაში ერთი მისი ნამოწაფარი მუშაობდა. კითხვა-კითხვით გამოძებნა და თავისი გასაჭირი გაანდო, მაგარ-მაგარი სიტყვები უთხრა სამშობლოზე, ადამიანის მოვალეობაზე, ცხოვრებაზე. რადაც უნდა დაჯდომოდა, ერთი სათლი მაღალი სიმტკიცის ცემენტი უნდა ეშოვა. მოწაფემ გულთან მიიტანა მასწავლებლის საწუხარი, მიდგა-მოდგა, ცემენტი უშოვა, დუღაბის შეზავებაც ასწავლა და ავტობუსამდეც გამოაცილა კიდეც.

პანტე შინ გვიან ღამით დაბრუნდა, ჭურდივით შეიპარა სამზადში და ცემენტი დამალა. ნათელამ ქმრის მოსვლა გაიგო, ვიდრე ოდაში ამოვიდოდა, ხელად გაუცხელა ჩაი, გაუშალა სუფრა და ქმარს ისე შეეგება როგორც ოცი-ოცდაათი წლის წინ ეგებებოდა. ნათელა ხედავდა, რომ პანტეს შინ ყოფნას გარეთ ყოფნა ერჩია. თუ ოჯახში ადრინდელი სითბო და სიტკბო დახვდებოდა, პანტესაც ეგებ გული მობრუნებოდა. ასე ფიქრობდა ნათელა და ამიტომ ხვდებოდა ქმარს ადრინდელი გულისყურით.

პანტე ოდის კიბეზე ამოვიდა. დინჯად დაიბანა ხელი, ვითომ არაფერი მომხდარიყო, მშვიდად მიუჯდა მაგიდას და სერობას მარტოკა შეუდგა. საძინებელი ოთახიდან ანდრი გამოვიდა. ანდრის ხელიც გამოჰყვა თვალების ფშვნეტით. ყველანი პანტეს მისჩერებოდნენ, — ახალ ამბებს მოელოდნენ. პანტე ვითომ ფიქრებში იყო წასული და შინაურების შეკრებას სასადილო ოთახში არად აგდებდა.

— თქვი ახლა რამე, შე კაცო... სანამდე ვიჯდეთ ასე... — უსაყვედურა ნათელამ.

— რა ვთქვა?

— რამდენი ხანია, არ გვინახიხარ, ბავშვებს უნდა შენთან საუბარი — ნათელამ ანდრის და ნელის შეხედა. „ბავშვები“ მათ დაუძახა. იმ ღამის შემდეგ ანდრის მართლაც ბევრჯერ უნდოდა მამას დალაპარაკებოდა, მაგრამ პანტე ან შინ არ იყო, ან თავის ოთახში იკეტებოდა და არავის უშვებდა.

— სასაუბრო მე არაფერი მაქვს, — თქვა უცებ პანტემ, ბოლო ყლუპი ჩაი ხარბად მოსვა, წამოდგა და თავის ოთახში გავიდა.

— მამა, ერთი წუთით, საქმე მაქვს, — მიაძახა ანდრიმ. პანტემ ხმა არ გასცა, თავის ოთახში შევიდა და ჩაიკეტა.

— კარგი, მე მაცალეთ, — უთხრა ნათელამ ანდრის და ნელის — თქვენ მოისვენეთ, შედით თქვენს ოთახში, მაგას მე მოველაპარაკები.

ნათელა პანტესთან შევიდა. მთელი ღამე დუდუნებდნენ, მთელი ღამე ტუტუნებდნენ, ანდრი და ნელი თავიანთ საწოლებში გატრუნულები იწვნენ და ყურს უგდებდნენ, — იქნება გავარჩიოთ, პანტემ რა ამბავი მოიტანა რაიონიდანო, მაგრამ ამაოდ. პანტე არაფერს ამბობდა. თუ რამეს იტყოდა, ნათელა ხმამაღლა იმეორებდა ანდრის გასაგონად, პანტე ხელად მიუხვდა ცოლს და სულ მთლად ჩაიგდო ენა.

დიდხანს წვალობდა ნათელა, დიდხანს ეფერებოდა და დათაფლული სიტყვებით აჯადოებდა ქმარს თავისი ჭკუით, ხანდახან კი გაუწყრებოდა მოთმინებადაკარგული, მწარე-მწარესაც მიაყოლებდა. გაკერპებული პანტე კი სანუგეშოს მაინც არაფერს ამბობდა, არც ავს, არც კარგს. მთელი ღამე დუდუნ-ტუტუნში გაათიეს, გამთენიის ხანს ჩაეძინათ.

7

მეამწეს პანტე სამუშაო საათის დამთავრების შემდეგ ელოდა, მხოლოდ მზის ჩასვლის ჟამს მოაღწია ოხვამეკარამდე, რაიონული ცენტრიდან პირველ მაისამდე შორი გზა არ იყო, მაგრამ ვიდრე სოფლის

ცენტრამდე მოჩაჩაკდა, სოფლის ცენტრიდან შეუკეთებელი გზით ვიდრე ოხვამეკარის აღმართებში იხრიგინა, დიდი დრო გავიდა, პანტეს ეჭვი ეპარებოდა, ეს მინჯღრეულ-მონჯღრეული ამწე ალბათ ვერც ასწევსო, მაგრამ მეამწემ რკინის ბაგირები აქედან გასცდო, იქიდან გამოსდო, ისე მოუხერხა, ისე მიუდგა, ბაგირი ქვეშ გაუძვრინა. რაკი ტანს გამოსდო, ხელად შეხტა ამწეზე, ქვა ასწია, ასე აწეული ჰაერში გააჩერა და პანტეს ანიშნა სამრეკლოზე ადიო. რა მარჯვე ბიჭი ყოფილაო, მოეწონა პანტეს მეამწე, შიდა კიბით ხელათ ავიდა სამრეკლოზე, წინასწარ მომზადებული დუღაბი თვალისდახამხამებაში დაასხა და მეამწეს ხელი დაუქნია, აქეთ წამოიღეო. ამწის ხორთუმი ნელა დაიძრა პანტესაკენ. ახლა პანტეს უნდა ეყოჩაღა... მეამწე ქვევიდან ვერ ხედავდა ქვის დასადგმელ ადგილს, თუ ზუსტად არ ჩადგამდნენ თავის ადგილას, პანტე მარტოკა ქვას ხომ ვერ დაძრავდა, ეს დუღაბიც გაუფუჭდებოდა და დაიღუპებოდა კაცი. ამწემ ქვა ფოთოლივით მოუფოფინა პანტეს და ცხვირწინ დაუკიდა, ოდნავ ირხეოდა ჰაერში, იფიქრა ხელს მოვკიდებ, მიმართულებას მივცემო, მაგრამ ბაგირს წაეპოტინა თუ არა, ქვა უკან გადაქანდა და კინაღამ გადაიყოლა. შეეშინდა. ჰეი, ჰეიო, მეამწეს დაუძახა. ხელით ანიშნა, ახლოს მოიტანეო. მეამწე მანქანიდან გადმოვიდა და სამრეკლოს გახედა. ახლოს ვერ მოჰყავდა მანქანა, ქვევიდან კი არ ჩანდა, სად აწოდებდა ლოდს.

— მიკარნახეთ ვირა და მაინა, თორემ ვერ ვხედავ! — ამოსძახა ქვევიდან მეამწემ.

— ვირა, ვირა! — დაუყვირა პანტემ.

მეამწემ ძრავა ჩართო და ლოდი მაღლა აიტაცა.

— ჰოოპ! — შესძახა პანტემ. — ახლა მაინა, მაინა!..

ქვა ნელ-ნელა დაეშვა ძირს.

— ჩემკენ, ჩემკენ! — ხელებს იქნევდა პანტე, — ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და მაინა! გამოცდილი მშენებელივით უკარნახა.

— ოო, კარგია! — გაუხარდა, როცა ქვა კიდურა ლოდებს შორის ზუსტად ჩაჯდა. დიდხანს უტრიალებდა, დიდხანს უყურებდა აქედან, იქიდან, გადაქანებულად ხომ არ დგასო, ხომ არ ჩამოვარდებაო, მკვიდრად ხომ ჩავაჯინეო, ხელი მოჰკიდა და მიაწვა კიდეც. ბოლოს მეამწეს დაუძახა, ლოდი ჩადგმულია, ბაგირი შევხსნათო, მეამწე ეწვალა, ბაგირი რაც შეიძლებოდა, ფრთხილად ატრიალა, ატრიალა და ლოდს ქვემოდან ძლივძლივობით გამოაძვრინა. პანტემ ფული მისცა, დიდი მადლობაც გადაუხადა და გაუშვა.

მზე ჩასულიყო, მაგრამ სინათლე ჯერ კვლავ ადგა ოხვამეკარი. პანტეს უნდა მოესწრო და დაბნელებამდე შეელესა. თორემ მერე მთვარეს უნდა დალოდებოდა. მეამწე წავიდა თუ არა, ისევ სამრეკლოს ბოლოში ქვის შიდა კიბე დროთა განმავლობაში დანგრეულიყო, ფეხის დასადგმელი ადგილი უნდა გეძებნათ, მიმწუხრი სამრეკლოში უკვე ჩასულიყო და იქ ბნელოდა. პანტე ისე იყო გაწაფული, სიბნელეშიც მარჯვედ მიიკვლევდა გზას. მოხერხებულად ადგამდა ფეხს აგერ, ეგერ და მაღლა ადიოდა. სამრეკლო ერქვა, თორემ ქვის კედლებიღა დარჩენილიყო. არც ზარების ჩამოსაკიდებელი თაღი, არც მნათეს მოედანი აღარსად ჩანდა.

კიბე ამოათავა, ჯერ მისი თავი გამოჩნდა, შემდეგ მკერდამდე ამოიწია, დულაბით სავსე სათლი კვნესითა და ხვნეშით კედლის ყურზე ჩამოდგა. კიბის თავი კარგად მოსინჯა, ხომ არ ჩამოიფშვნება, ფეხი ხომ არ მომიცურდებაო, საღ კედელს მიეყრდნო და ქაფჩა კარგი კალატოზივით დაატრიალა. დულაბი როგორც ასწავლეს, ისე ჰქონდა შეზავებული. ქაფჩასაც არ ხმარობდა მთლად უვიცივით, დიდი დროც არ დასჭირვებია, შიდა მხარე საიმედოდ ამოლესა. არ ეგონა, თუ ასე სწრაფად და კოხტად შეძლებდა ქვის ჩაკირვას. მთავარი მაინც გარეთა მხარე იყო, იმას სჭირდებოდა გარჯა, თუ სჭირდებოდა. წელში გაიმართა, შეისვენა, კედელს გადააწვა და ახალჩადგმულ ქვას გახედა, ჩანდა, რომ ყველგან ვერ მიწვდებოდა. თუ უნდოდა, სამუდამოდ მკვიდრად ჩაედგა ქვა თავის ადგილას, გარედანაც უნდა ამოელესა ღრიჭოები, ფეხის წვერებზე აიწია. პირველი ქაფჩის გასმა-გამოსმა არ გაჭირვებია. მეორე, მესამეც დაჰყვა მარჯვენას, თანდათან რომ დაშორიშორდა მანძილი, მკერდით ფრთხილად მიაწვა ახალჩადგმულის გვერდითა ლოდს და მკლავი დაიგრძელა. გათამამდა, ძველი კედელი რაკი სანდო აღმოჩნდა, წელამდე ამოვიდა, დაყირავდა და ასე ლესავდა კარგა ხანს გულმოდგინედ. როცა ქვას ცალი გვერდი ამოულესა, ადგილი იცვალა და ახლა მეორე მხრიდან მიუდგა. იმდენი იხერხა, იმდენი იმარდა, თითქოს ყველგან მიწვდა, ქვას სამივე გვერდი ამოუქოლა რკინასავით დულაბით, ის ხვრელი რომ არა, მეამწემ ბაგირის გამოთრევისას რომ დატოვა, დავით ალმაშენებლის ქვა სხვა ქვებს შორის მკვიდრად შეკრულ-შედუღაბებული იყო. პანტე კირკიმალა კაცი რომ არ ყოფილიყო, დატოვებდა იმ ხვრელს და შინისაკენ გასწევდა, მაგრამ გულმა არ მისცა ნება, რაკი ამდენი შრომა ვნახე, იმ ღრიჭოსაც ამოვავსებო, იფიქრა, არაქათი აღარ ჰქონდა. მართალია, დიდი არაფერი გაუკეთებია, ბოლოსდაბოლოს ერთი, ერთადერთი ქვა ჩააშენა კედელში, მაგრამ მეტი

ალარ შეეძლო და რა ექნა? ეგონა კი, რომ ერთი ქვა რა არის, ასეთ სამრეკლოს მარტოკა ააშენებდა ერთ ღამეში. თურმე გული არ მერ-
დებაო, ფიქრობდა თავისთვის. გული ჰქონდა ჭაბუკური, მუხლი და
მკლავი კი არა. გული ატყუებდა. ერთსაც ვცდი, რაც იქნება ის იქნე-
ბაო — გადაწყვიტა, კვლავ გადაწვა კედელზე და მკლავი დაიგრძელა.
ეწვალა-ეწვალა, ვერსაიდან ვერ მიუდგა, ვერ მიწვდა. ბოლოს კედელ-
ზე ფეხმისადგმელ ადგილს დაუწყო ძებნა, ძველ კედელს მუცლით და-
აწვა, ჯერ ცალი ფეხი გადაიტანა, შემდეგ მეორე. ცალი ხელითა და
ფეხით დაეკიდა კედელზე. მეორეთი კი დულაბიანი ქაფჩა აიღო...

რა გულმოდგინედ, რა გაფაციცებით, რა სიყვარულით მუშაობდა.
რა დაძაბული, რა აზარტული და თავგადადებული ეკიდა კედელზე,
თითქოს ქვეყნისა და ხალხის ბედ-იღბალს წყვეტდა, თითქოს ხელში
ქაფჩა კი არა, ხალიბური ხმალი ეკავა და დავით აღმაშენებლის ლაშ-
ქარში იბრძოდა დიდგორთან. ეს ერთი ქაფჩაც და... პანტე ვალმოხდი-
ლი, ამაყი და ბედნიერი ჩამოვიდოდა სამრეკლოდან...

ფეხქვეშ თითქოს საყრდენი მოერღვა, კედლის ქვამ ფშვნა თუ დაი-
წყო, შეეშინდა, ძირს დაიხედა, მაღლა ეკიდა... კედელს მუხლი მიაჭი-
რა, ტანი ცალი ხელით და მუხლით შეიმაგრა, ის დარჩენილი ღრიჭოც
ამოავსო დულაბით და ქაფჩა მაღლა სათლისაკენ შეისროლა, ვეღარ ჩა-
აგდო სათლში, კედელზე ჩამოცურდა და ძირს დავარდა, მეორე ხე-
ლიც გადასდო კედელს, ცალ მუხლს მეორე მუხლიც მიაშველა, ისე
დაღლილიყო, კუნთები უკანკალებდა, ტანის აწევა ვერ შეძლო. კარგა
ხანს ეკიდა ტომარასავით... ეკიდა, ეკიდა... რა ექნა? თანდათან ღონეც
ეცლებოდა, ჩავარდნას, ისევ ჩახტომა ამჯობინა. ჩავხტებოო, გადაწყვი-
ტა და ერთხელაც ჩაიხედა ძირს სასოწარკვეთილმა, ორი-სამი მეტრი
აშორებდა მიწას. გაბედა, ქვას ხელი გაუშვა, მოწყდა... კედელს ჩაჰყვა
სრიალით, ტყვიასავით წავიდა ძირს, წონასწორობა დაკარგა და მიწაზე
რომ დაეცა შუბლი სამრეკლოს ქვის კედელს მიახალა, თვალთ დაუბ-
ნელდა. შემდეგ არაფერი ახსოვს. გაუნძრევლად იწვა კარგა ხანს, გონ-
დაკარგული მკვდარივით ეგდო სამრეკლოს უკან. გონს რომ მოვიდა,
პირველი რაც დაინახა, ნამგალა მთვარე იყო, მთვარე ამოსულიყო და
ძელქვის კენწეროზე ჩიტივით იჯდა. შემდეგ საფეთქელთან ტკივილი
იგრძნო. ტკივილმა გაახსენა, რაც მოხდა. შიშმა შეიპყრო, ცოცხალი
ვარ თუ არაო, ხელით მოისინჯა თავ-ფეხი, თვალწინ წელანდელი სუ-
რათი წარმოუდგა, კედლიდან რომ ჩამოვარდა. „ნუთუ არაფერი მომტ-
ყდა?“... პანტეს ფეხის მოტეხისა ეშინოდა, თორემ თავის დარდი სუ-
ლაც არ ჰქონდა, ოდნავ გავკარი თავი ქვის კედელს და თავბრუ და-

მეზხაო, ფიქრობდა. უხაროდა, რომ უვნებელი გადარჩა, ჭაბუკივით ჩამოხტა სამი მეტრის სიმაღლიდან და არც ფეხი სტკენია, არც ხელი, არც არაფერი. მტრების ჯინაზე სადავო ქვა საიმედოდ ჩაუდია სამრეკლოს კედელში, სამრეკლოს ხომ ვერ დაანგრევდნენ? ღირდა შრომად და ოფლის ღვრად ეს ჯაფა. ახლა მშვიდად დაჯდებოდა ძელქვის ძირას, გააბოლებდა სიგარეტს, თავისი ნაშრომის ცქერით დატკბებოდა. წამოდგომა დააპირა, გაინძრა თუ არა, თავისთავი არ მოეწონა, მაინც წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ძელქვისკენ, უცებ ფეხქვეშ მიწა გამოეცალა და მოცელილივით დაასკდა მიწას ცხვირპირით. ეს რა იყო?.. ერთხელაც სცადა წამოდგომა, ამაოდ, — თავს ვერ ანძრევდა, საფეთქელთან თითქოს ვიღაცამ ალესილი დანა შეურჭო და შიგ ჩაუტოვა, თვალს კი ახელდა, მაგრამ სიბნელეს ხედავდა. ნამგალა მთვარეს დაეძებდა. უკვე აღარსად ჩანდა, გარშემო უკუნეთი ჩამოწოლილიყო. ასეთი არასოდეს ენახა ოხვამეკარი, ეს სხვანაირი სიბნელე იყო, სხვანაირი უდაბურება და მდუმარება სუფევდა ირგვლივ. „ხომ არ ვკვდები — გაუელვა გონებაში, — ნუთუ მართლა ვკვდები?“...

უცებ მთელი მისი ცხოვრება დაუდგა თვალწინ, რამდენი იშრომა, რამდენი ოფლი ღვარა, ნახევარი სოფელი მისი ნამოწაფარი, მისი აღზრდილი იყო, კარგი ოჯახი შექმნა, ქვეყანას შვილები და შვილიშვილები მისცა... ახალგაზრდობიდანვე სოფლისთვის იღვაწა და აჰა... აღსასრულიც სოფლის სიკეთისათვის უნდა სწვეოდა... „ნუთუ მართლა დადგა აღსასრულის ჟამი?“ — პირდაღმა ჩამხობილმა მერამდენედ ჰკითხა დედამიწას და... გაუხარდა. გულის სიღრმიდან წამოვიდა სიხარული და მთელი სხეული მოიცვა. რა უხაროდა? — სიკვდილი? წელან ხომ სიცოცხლე უხაროდა, ახლა სიკვდილმა გაახარა?

საკვირველი კი იყო, კაცი უპატრონოდ, სოფლის ბოლოს, მინდორში კვდებოდა და პირი კი უცინოდა. სახე გაბადროდა, თითქოს ქორწილში მიდიოდა. ასეთი სიკვდილი თავისით რომ არ მოსულიყო, უნდა გამომეგონაო, ფიქრობდა, სიცოცხლეში ხომ პანტე თავის სიმართლეს ვერ ამტკიცებდა, არ უჯერებდნენ, ეჭვით უცქეროდნენ, ხან ინტრიგანს ეძახდნენ, ხანაც კარიერისტს, ხან რას და ხან რას. ასეთი მოულოდნელი სიკვდილით კი ყველაფერს მარჯვედ უარყოფდა და მთავარს დაამტკიცებდა. თითქოს მისი მოღვაწეობის ლოგიკური დასასრული სიკვდილი იყო. თუ სოფელი და ხალხი ვერ ჩაწვდებოდა, ვერ გაიგებდა ამ სიკვდილის აზრს, ანდრი ხომ მიხვდებოდა, ანდრის მაინც ხომ დაუმტკიცებდა თავის სიმართლეს, ხომ უჩვენებდა მაგალითს, შვილიშვილებს ხომ უამბობდნენ დავით აღმაშენებლის ქვის ამბავს! — ვალმოხ-

დილი, პირნათელი და გამარჯვებული მიდიოდა იმ ქვეყანას. ჩუმ-ჩუმად პანტემ თავი გმირადაც კი წარმოიდგინა, გმირის სიკვდილიც [illegible] და? მაშ, უკეთეს სიკვდილს ვერც ინატრებდა ადამიანი! [illegible] იყო ამგვარი ფიქრი, მაგრამ პანტეს უკვე იმის ძალაც აღარ ჰქონდა, აბეზარი ფიქრი მოეშორებინა და სიცოცხლის უკანასკნელი წამებისათვის მაინც შეეხედა მიწიერის თვალით.

საიდანღაც ცხენების ჭიხვინი შემოესმა, საუკუნო მდუმარებიდან და უკუნეთიდან ჭიხვინებდნენ ცხენები.

დიდგორის ველზე ორასი ცხენოსანი გამოსულიყო, მხედრები ცხენებს თავს ძლივს უმაგრებდნენ, ლაგმებს გლეჯდნენ, მიწას ტორავდნენ, ბრძოლის ჟინით ავსებულიყვნენ. მხედრებს შორის პანტემ საკუთარი თავი დაინახა. თეთრ ცხენზე იჯდა. თავისი კაჭა ფეხები ბედაურისთვის შემოეჭირა და ლაგამი ჩაებღუჯა, ცხენი ოთხახმით მიჰყავდა.

ურჯულოებს ეგონათ, რომ დავით აღმაშენებელმა ცხენოსნები მოსათათბირებლად გამოგზავნა.

პანტემ პირველმა იძრო ხმალი. პირველმა შესძახა მცირე სპას „ჰკა მაგასა!“ გვიანლა მიხვდნენ გადამთიელნი, რომ ქართველებმა ხერხი იხმარეს... მცირე სპის კივილზე დავით აღმაშენებლის ორმოცათასიანი ლაშქარიც დაიძრა და...

ჰაი, დედასა, პანტე ვერ მოესწრო, პანტე სისხლისგან იცლებოდა, პანტეს თვალთ უბნელდებოდა, თორემ დიდგორის ველზე სისხლისფერი დროშა ფრიალებდა...

ნამგალა მთვარე ჯერ ძელქვის კენწეროზე იჯდა, შემდეგ ეკლესიის თავზე, შემდეგ ცაში შეცურდა გედივით, გაკვირვებულმა ერთხელაც გადმოხედა მიწაზე თავდაღმა დამხობილ ბერიკაცს და თეთრმა ღრუბლებმა წაიღეს დასავლეთისაკენ...

8

ღამით პანტე შინ რომ არ დაბრუნდა, ნათელამ იფიქრა, ალბათ, საყდარში დარჩაო. რაკი ასე თვგადაკლული იყო ამ ნანგრევებზე, რაკი არავის უჯერებდა, ჯანდაბას, გული მოიჭამოსო, ფიქრობდა ნათელა. დილა რომ გათენდა, სკოლაში დამშვიდებული წავიდა. მან ხომ საკუთარი თვალით ნახა, თუ სად ათევდა ღამეს მისი ქმარი...

პანტეს უეცარი სიკვდილის ამბავი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელმა მეორე დღეს, შუადღისას ჩამოიტანა სოფელში.

თურმე პანტესთან მოსათათბირებლად გრიშა ფეტელავას მუზეუმის თანამშრომელი გაუგზავნია. თანამშრომელს პანტე ჩაძინებული ეგონებია, უჯანჯღარებია, უჯანჯღარებია, ვერ გაუღვიძებია, დაუქანცებია, გადმოუბრუნებია და რას ხედავს, კაცს მკვდრის ფერი ადევს, ყვირილი აუტეხია, იქნებ ვინმე მუშაობს ახლომახლოსო, იქნება სოფელს ხმა მივაწვდინოო.

ბოლოს შეშინებული და თავზარდაცემული ჩამოვარდნილა მეურნეობაში და ანდრის ახლობლებისთვის უთქვამს საზარელი ამბავი.

პანტეს უეცარმა სიკვდილმა მთელი სოფელი ფეხზე დააყენა და ააყაყანა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ანდრიმ მწუხარების ჟამსაც არ დაკარგა სიფხიზლე. სულ არ უნდოდა მამაზე ეთქვათ, სულელურად ქვას დააკვდაო, არც ის მოსწონდა, როცა ზოგიერთები მამამისის საქციელს აზვიადებდნენ და გმირად სახავდნენ.

ექსპერტისა და ექიმების სახელით თვითონ ავრცელებდა ხალხში პანტეს სიკვდილის ამბავს: ნერვიული კაცი იყო, ძალზე დაძაბულად ცხოვრობდა და თავში სისხლი ჩაექცაო... ხალხმა ეს უფრო დაიჯერა, ვიდრე პანტეს გმირობა.

ნათელამ ანდრის სთხოვა, დავასაფლაოთ მაინც იმ დასაქცევ ოხვამეკარში, რაკი სულ მუდამ იქ უნდოდა ყოფნა, წინაპრების საფლავებიც იქ ეგულებოდაო. ანდრიმ პანტეს დასაფლავებასაც გონების თვალით შეხედა. მართალია, ჯაავები ოხვამეკარის მოდგამები იყვნენ, მათ წინაპრებს, როგორც სოფელში ამბობდნენ, სწორედ ოხვამეკარში ასაფლავებდნენ, მაგრამ ეს იყო ოდესღაც. დღეს პირველ მაისს ახალი სასაფლაო ჰქონდა, ყველას იქ ასაფლავებდნენ და რაღა მაინცდამაინც პანტე უნდა დაესაფლავებინათ ცალკე? მისი აზრით, არ იყო საჭირო მეტიჩრობა, მამამისი ჩვეულებრივი, რიგითი პედაგოგი იყო და ჩვეულებრივი რიგითი ადამიანის სიკვდილით მოკვდა, საცა ყველა, ისიც იქ უნდა დაესაფლავებინათ.

დავით ალმაშენებლის ქვის ჩაშენების ამბავი კი რამდენიმე კაცმა გაიგო სოფელში. ამისთვის არავის მიუცია მნიშვნელობა. პანტესაგან ეს არავის უკვირდა, ხოლო ქვის მთელი ისტორია თავიდან ბოლომდე მხოლოდ პანტეს ოჯახმა იცოდა, სხვამ არავინ.

დათიკო ვასილიჩს ის ქვა შემდეგ არასოდეს გახსენებია, არც მისი კედელში ჩაშენების ამბავი გაუგია. უკეთესი ქვა ჩამოუტანია საიდანღაც და ბუხარი მოუპირკეთებია.

პანტეს დასაფლავებას კი დათიკო ვასილიჩიც დასწრებია, გრიშა ფეტელავაც, ჟორაც, ბუჭუც, ვაჟოც...

პატარა, უხმაურო ქელეხიც ჰქონიათ, ორმოციც. ნათელას, თავისი უჭკუო ქმარი დიდხანს უგლოვია. შავებიც დიდხანს არ გაუხდია, შვილებისთვის დაუვალებია, პანტეს საფლავზე რკინის უბრალო ღობური მაინც დამიდგითო, მართლაც, რაკი ანდრიმ ხარჯი ნახა, საფლავზე „სასახლე“ სხვა შვილებს დაუდგამთ, გრანიტის ფილაზე პანტეს სურათი ამოუტვიფრავთ, ქვეშ კი მიუწერიათ: — „პედაგოგი პანტე ჯაავა, 1905—1970“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლობიოჭამიების სასიძო

1

ცალ ფეხს აიკარწახებდა მუხლამდე, შარვლის გრძელი ტოტები ბურთის თამაშში ხელს შემიშლისო, ძონძორა მიხრა-მოხრით, თითქოს კოჭლობსო, კელანაობით შემოჭენდებოდა მოედანზე, საითაც ბურთს გააგორებდნენ, იქით გაქანდებოდა თვალების ბრიალით, გაუშვით, გაუშვითო, პატარა ბიჭებს დასჭყივლებდა შესაშინებლად, თუმცა მისი არავის ეშინოდა, ჭვატია მოდის, ჭვატია მოდისო — შეჩოჩქოლდებოდნენ, ერთი მათგანი ბურთს აიღებდა ხელში და ჭვატიას მიართმევდა, შემაღლებულ ადგილას დაუდებდა, ჭვატიაც უკან-უკან დაიხევდა, გულდაგულ მოემზადებოდა, ბიჭებს ამაყად გადახედავდა, ახლა ნახეთ რა მაგრად დავარტყაო, ხელზე დაიფურთხებდა: ჰაეო, ჰოეო, შესძახებდა გაურკვევლად, გაქანდებოდა და, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ცერულად დაარტყამდა. დაარტყამდა და ბურთს კარსაც გადააცდენდა, მინდორსაც და ვინმეს ეზოში ჩააგდებდა. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ჭვატია თავის გზით მიდიოდა, არ აინტერესებდა, ვინ იგებდა, ვინ აგებდა, ბურთის თამაში არ იცოდა და არც მოსწონდა. როცა ატყუებდნენ, ბურთს ფეხებში რომ გაუძვრენდნენ, ან მის ნაცვლად ვინმე სხვას რომ გადააწოდებდნენ, ბუზღუნებდა — მოტყუება რა ვაქკაცობააო. კეთილი გულისა იყო, პირი სულ მუდამ უცინოდა. არც ხუმრობა სწყინდა, არც დაცინვა. მთელი დღე სოფელ-სოფელ დადიოდა, სწავლა ეზარებოდა და შინიდან გარბოდა, ქვაქვალა ბებიას ემალებოდა. ქვაქვალა თვითონ უსწავლელი ქალი გახლდათ, ოცნებად გადაქცეოდა შვილი ან შვილიშვილი ჰყოლოდა ნასწავლი. ერთადერთმა ქალიშვილმა ნინუმ არ ისწავლა, ცხონებულ მამამისს დაემსგავსა. მისი ბედი ღმერთმა აშოროს და თვალადაც ალიკვალი მამააო, ფიქრობდა ხოლმე ქვაქვალა, როცა ქალიშვილს დააკვირდებოდა, ჭვატიაც იმათი ჯიშისა გამოდგა; წამოიზარდა თუ არა, წიგნი დედამისივით თვალის დასანახად არ ინდომა. ქვაქვალას სიძეც

ვერ ჰყავდა დიდი მწიგნობარი. ნინუს ქმარი სოფელში ყველაზე ცნობილი მთოხნელი ყაძახი ციღუ გახლდათ. მეხუთე კლასს იქით ციღუც არ წასულა, ციღუს წინაპრებიც ოდითგანვე მწყემსები და ძიძის მუშები ყოფილან. თვითონ ციღუ სწავლა-განათლებას, სიდედრისგან განსხვავებით, დიდად არ აფასებდა, მაგრამ შინაურები ხანდახან აიყოლიებდნენ და ჭვატიას ერთობლივად შეუტევდნენ — უფროსი შვილი ხარ, შე არდასაცალებელო, ისწავლე, იქნება ადამიანი გამოხვიდე, ბავშვების აღზრდაში დაგვეხმაროო.

ჭვატია წიგნს გადაშლიდა, მშობლების დასანახავად, ცოტა ხანს შიგ ჩაიხედავდა, მერე გადააბრუნებდა, გადმოაბრუნებდა, ერთს ამოიხვნეშებდა, ამოიოხრებდა, თვალსა და ხელს შუა სადღაც გაძვრებოდა და დაიკარგებოდა. დაუწყებდნენ ძებნას, ეძახდნენ, ეძახდნენ, ყელს დაიგლეჯდნენ, წყევლიდნენ, ემუქრებოდნენ, ლანძღავდნენ. ჭვატია სამზადის სხვენში მტვერსა და აბლაბუდაში იწვა გატრუნული და, ვითომ არაფერიაო, მაღლიდან უთვალთვალებდა აწრიალებულ მშობლებს.

არ უნდა ამ ბავშვს სწავლა და თავი გავანებოთ, — იტყოდა ციღუ, ნინუც აჰყვებოდა ქმარს, — ჯანდაბას, წამოვიდეს ხვალ ჩაიში, სასუქი უნდა შევიტანოთ, მომეხმაროსო.

ჭვატიას ჩაიში წასვლაც არ ეხატებოდა გულზე. ჩაის ისევ სკოლა ერჩია, ოღონდ სწავლა არ უნდოდა. მასწავლებლები არ აწუხებდნენ, გაკვეთილს არ ეკითხებოდნენ, მაინც არ ეცოდინებაო, ფიქრობდნენ. ჭვატიასაც ეს უნდოდა, იჯდა უკანა რიგში წლიდან წლამდე, ამორჩეულ ადგილას, თავის მერხზე, არც არაფერს აშავებდა, არც არაფერს აკეთებდა. თითო კლასში ორჯერ რჩებოდა, ქვაქვალა ბებიას დაჟინებით სკოლაში მაინც დადიოდა, როგორმე ათწლედი დაამთავროსო — საშველს არ აძლევდა ბებია მასწავლებლებს. ოროსანი მოსწავლე მასწავლებლებს არ უყვართ, ალბათ მთელ ქვეყანაზე ერთადერთი ოროსანი იყო ჭვატია, მასწავლებლებს რომ არ სძულდათ; გაკვეთილზე ჩუმად იჯდა, არავის ხელს არ უშლიდა, როცა მასწავლებელი ლანძღვას დაუწყებდა, ამხელა ბიჭი ხარ და როგორ არა გრცხვენია, სკოლაში ტყუილად დადიხარო, ჭვატია თავს ჩაღუნავდა და თავისებურად კეთილად იღიმებოდა. მასწავლებლებს უკვირდათ, რა წყნარი და მშვიდი ყმაწვილიაო. თავიანთი საქციელის თვითონვე რცხვენოდათ: რატომ გავლანძღეთ ეს ბიჭი, არ შეუძლია სწავლა და რა ქნასო.

კეთილი უქნარა გინახავთ? თავაზიანი ზარმაცი შეგხვედრიათ?.. ვერც მთლად უქნარასა და ჯიბიდან გავარდნილს ეტყოდით, — არ იყო ასეთი, თუ მეზობელი სთხოვდა, მოსახმარებლად გარბოდა, მთელი

დღე ჯარასავით ტრიალებდა სხვის კარ-მიდამოში. როგორც სოფელ-
ში ამბობდნენ, კაცის გულისთვის ყელამდე წყალში ჩადგებოდა, ეზოს
არ დაიჩივლებდა, არ დააყვედრებდა, არც სამაგიეროს [illegible]
ვის. ცხადია, ჭვატიას კეთილშობილსა და რაინდსაც ვერ დაუძახებდით,
მაგრამ მთლად ბრიყვი და ლენჩიც არ იყო, სოფელს რომ ხელი ჩაექ-
ნია — ამისგან კაცი არ დადგებაო. ერთი სიტყვით, ჭვატია იყო და
მეტი არაფერი. ის არ ჰგავდა არავის, არც არავინ ჰგავდა მას. ბობრი
უფრო ეთქმოდა, ვიდრე წითური, მარღი თვალები ჰქონდა, ეშვებივით
გადმოყრილი კბილები. აწოწილი ბიჭი იყო. რომ გელაპარაკებოდათ,
ხან ცალ მხარს სწევდა მაღლა, ხან — მეორეს, თვალები აქეთ-იქით გა-
ურბოდა. სიტყვებიც ეფანტებოდა. ხან ერთს სიტყვას წამოროშავდა
უადგილოდ, ხან — მეორეს, ყველა სიტყვას ამახინჯებდა. ან თავს წააკ-
ვეცავდა, ან ბოლოს, ეშინოდა სიტყვის წარმოთქმისა და რაღაცას დუ-
დღუნებდა ცხვირში.

ციღუს და ნინუს სად ეცალათ ჭვატიას სადევნად. მის გარდა ხუ-
თი შვილი ჰყავდათ, ორთვალა სამზადში ცხოვრობდნენ, მართალია,
სამზადი ერქვა, მაგრამ იატაკიც დაეგოთ, ჭერიც თხელი ფანერით
აეჭედათ, სახურავიც გამოეცვალათ და შიფერით გადაეხურათ. სამზა-
დისათვის ცალკე ჰქონდათ კიდევ ორი თვალი ფიცრული. იქ ერთ
თვალში საქონელს და ღორს აბინავებდნენ, მეორეში კი შუა ცეცხლს
ანთებდნენ, ნამდვილი სამზადი იქ იყო. კოხტა კარ-მიდამო ჰქონდათ,
ოთხასი ძირი ვენახით, ვაშლის, მსხლის, ლეღვისა და ხურმის ხეებით
დაყურსული. ყველაფერი ეს ქვაქვალას მონაგარი იყო, ციღუ ქვაქ-
ვალას ოჯახში ჩასიძებული გახლდათ. ციღუ თავის მხრივ ორსართუ-
ლიანი სახლის აშენებას ჰპირდებოდა ცოლსა და სიდედრს, მაგრამ
თავი ვერ მოაბა, ხან ფული ვერ იშოვა, როცა წელებზე ფეხი დაიდგა
და ორ კაპიკს თავი მოუყარა, მაშინ მასალა გაწყდა ქვეყანაზე, ხანაც
ავად გახდა, ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, ამასობაში ექვსი შვი-
ლი გაუჩნდათ და ექვსჯერ ექვსი საზრუნავი მოემატათ, ვერ გაიმართ-
ნენ წელში, დარჩნენ და დარჩნენ ქვაქვალას სამზადში. რა უჭირ-
სო — ფიქრობდნენ, ოღონდ ჯანმრთელობა იყოს და სიღარიბეს მო-
ვითმენთო. მართლაც, ნინუც, ციღუც და ქვაქვალაც ბედს არ ემდუ-
როდნენ, ოღონდ ბავშვების ჯავრი სჭირდათ, — ბავშვებს როგორმე
უნდა ესწავლათ. მათი აზრით, ეს იყო მთავარი. მაგრამ ჭვატია იმედს
სულ არ იძლეოდა. მერვე კლასში მესამედ არ დატოვებდნენ, არ მო-
უთმენდნენ, არ აპატიებდნენ, დღეს თუ ხვალ სკოლიდან გამოაგდებ-
დნენ და ხელში თოხი უნდა აეღო, ასე ფიქრობდა ქვაქვალა ბებია, მაგ-

რამ ჭვატია ასე არ ფიქრობდა. ჭვატიას თოხი არ უყვარდა, თვალი მან-
ქანისკენ ეჭირა. სულ იქ, მეურნეობის მანქანების გარაჟის წინ ტრი-
ალებდა, მძღოლებთან „მეგობრობდა“ თავის ჭკუით, სიგარეტებს
მძღოლები ჭვატიას კეთილ გულს იყენებდნენ, მანქანას „არეცხვინებ-
დნენ, ძრავას აზეთვინებდნენ, ჭვატია კმაყოფილი იყო, მანქანის საქ-
მე არ ეზარებოდა. თუ სკოლიდან გამოაგდებდნენ, ჭვატიას ფიქრად
ჰქონდა რაიონში მძღოლის კურსებზე წასულიყო. წიგნაკს აიღებდა,
დაჯდებოდა მეურნეობის მანქანაზე და ჰაიდა, ირბენდა აღმა და დაღმა
სოფლის გზებზე. ამდენ ყურება-ყურებაში მან ხომ თითქმის იცოდა
მანქანის ტარება! ერთი-ორჯერ მძღოლებმა დასვეს კიდეც საჭესთან.
მარტო მძღოლებთან კი არ „მეგობრობდა“, გაკვეთილების შემდეგ,
სოფლის შარაგზას რომ დაადგებოდა, საცა ორ-სამ გლეხკაცს ნახავდა
თავშეყრილს (გლეხებმა ღობის ძირას იციან ჩაყუნცვა, პაპიროსის
ბოლება და ჭუკჭუკი), ჭვატიაც შორიახლოს დადგებოდა, მთლად
ახლოს მისვლას და უფროსებთან გარევას ვერ ბედავდა, იდგა თავის-
თვის გაბირინებული და ყურს უგდებდა ქალების ამბავს, კაცების ამ-
ბავს, ქალაქელი ბოზებისა და სოფლელი ბიჭების ამბავს, როდის-
როდის შეამჩნევდნენ ჭვატიას და ან წყლის მოტანას დაავალებდნენ,
ან სიგარეტისთვის გაგზავნიდნენ დუქანში, ჭვატიასაც ეს უნდოდა,
ნაადრევად დაკაცებული, გრძელი ბავშვური ნაბიჯებით საქმიანად მი-
დიოდა სიგარეტის მოსატანად. მთელი დღე ასე ეკარგებოდა.

გადმოდგებოდა ქვაქვალა ბებია ალაგეზე და, ვო, ჭვატია უუუო, მთე-
ლი ხმით გაჰკიოდა. ჭვატიას ესმოდა, ბებია რომ ეძახდა, მაგრამ ყუ-
რისობდა, გვიან მიჩერჩეტდებოდა შინ. ბებია ჯოხით გამოუდგებოდა,
ჭვატია იცინოდა და ბებიას ეთამაშებოდა, ხან იმ ჯოხს წაართმევდა, ხან
ხელებს დაუჭერდა, ეხვეოდა, კოცნიდა, ქვაქვალასაც გული მოუბრუნ-
დებოდა და შერიგდებოდნენ. ბებიას ხათრით აიღებდა წიგნს ხელში,
იჯდა და უყურებდა.

ასეთი იყო ჭვატია, ასეთად იცნობდა მას მთელი სოფელი, მაგრამ
ერთხელ მოხდა სასწაული...

ჭვატია შინ ჩვეულებრივად გვიან დაბრუნდა. ჩანთა სამზადში შე-
აგდო, არც საჭმელი უჭამია, არც არაფერი, ჭის თავზე სალეს ქვას
მიუჯდა და დანის ლესვას შეუდგა. ქვაქვალა ბებიას გაუკვირდა, რად
უნდა დანაო და თავზე დაადგა. ჭვატიამ ყურადღება არ მიაქცია, ლესვა
განაგრძო.

— რად გინდა, ბებია, ეს დანა? — ჰკითხა ქვაქვალამ, არ მოეწონა
შვილიშვილის საქციელი და, ცოტა არ იყოს, შეშინებულმა ჰკითხა.
ჭვატიამ ხმა არ გასცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— წამოდი, შენ შემოგევლოს ბებია, მთელი დღე პირში ლუკმა არ ჩაგსვლია, მერე ლესე დანა, — დაუყვავა ბებიამ.

ჭვატიამ ბებიას ზიზღით შეხედა.

ქვაქვალას თავზარი დაეცა.

სამზადში შებრუნდა. ბავშვებს დაუძახა, შეეშინდა თუ რა იყო, ყველანი შიგნით შერეკა, კარი გამოუკეტა და ჭვატიასთან, თავისი ჭკუით, უფრო ყოჩაღად მივიდა.

— რად გინდა, შე მაიმუნო, დანა! — ფეხები დაუტყაპუნა შესაშინებლად, — ახლავე მომეცი, თორემ მამაშენს ვეტყვი!

ჭვატიამ თავი აიღო, ბებიას მკაცრად შეხედა და ცხვირში ჩაიდუდუნა თავისებურად:

— მინდა ალბათ, რომ ვლესავ!

უცხო ადამიანს შესაძლოა ვერ გაეგო ჭვატიას ნათქვამი, მაგრამ ქვაქვალას არც ერთი სიტყვა არ გამოეპარებოდა, უსიტყვოდაც კი უგებდა შვილიშვილს, კოვზისა და ქოთნის არ იყოს, ჭვატიას ამბავი ქვაქვალაზე უკეთესად ვის ეცოდინებოდა?

— ისადილე და მერე ლესე, — უთხრა ბებიამ.

— არ მინდა თქვენი არაფერი! — ჭვატიამ ამჯერად გარკვევით გამოთქვა სიტყვები, მაგრამ ღრენისებურად თქვა სიტყვა „არრაფერررი".

— კარგი, სადილი არ გინდა, დანა რად გინდა, ის მაინც მითხარი,— კვლავ დაუყვავა ბებიამ.

— დანა რად მინდა? — თვალები აენთო და ფეხზე წამოიჭრა ჭვატია, ალესილი დანა ჯერ ჰაერში გაიქნია, შემდეგ დანისტარიანი მუშტი თავის ჭაბუკურ ვიწრო მკერდზე დაიბრაგუნა და დაიღრიალა, — რად მინდა დااااჰ!.. — თვალები გადაატრიალ-გადმოატრიალა უაზროდ, ბოროტად მიაჩერდა ბებიას და საშინელი სიტყვები უთხრა:

— ყელი უნდა გამოგჭრათ ყველას! ის გოჟოიანი ბაღნებიც უკან უნდა მოგაყოლოთ! — სამზადისაკენ გაიშვირა ხელი, თავის და-ძმებზე თქვა გოჟოიანი ბაღნებიო.

— დიდუჰ! — შეჰკივლა ქვაქვალა ბებიამ და გულშემოყრილი ჯერ მიწაზე დაჯდა მოსმით, შემდეგ ნელა გაწვა ბალახში, კაცს ეგონებოდა, მოკვდაო.

ჭვატია სამზადში შევიდა, ახალი კოსტუმი ჩაიცვა, ფეხსაცმელები კოხტად გაიპრიალა, ქოჩორი დაისველა და გვერდით გადაივარცხნა დიდი მონდომებით. გაფერილ-გალესილი მოელვარე დანა ხელში აიღო და, ვითომ აჭ არაფერი მომხდარაო, სადღაც წასვლა დააპირა.

ქვაქვალა ბებია ხომ გულწასული ეგდო ჭის თავზე, ნელ-ნელა გონს მოეგო, თვალი გაახილა, შვილიშვილი გამოწყობილ-გალამაზებული რომ დაინახა, გაუკვირდა, წელან რაც ბავშვმა თქვა, ალბათ [illegible] იფიქრა და შვილიშვილს ნაძალადევად მოესიყვარულა, მოეფერა.

— უი, შე მამაძაღლო, როგორ შემაშინე და გამიხეთქე გული... ხომ ტყუილი მითხარი, ბებია?.. წამოგცდა ხომ?..

— ტყუილი კი არა, მართალი გითხარი, თუ ჭკუით არ იქნებით, ყველას დაგხოცავთ!.. — გაიმეორა ჭვატიამ ყინჩად წელან ნათქვამი.

— უი, უი, უი,— კივილი ატეხა ქვაქვალამ.

— ჩუმად! — შესძახა ჭვატიამ, შეეშინდა — კივილზე მეზობლები შეიყრებიანო და ბებიას უფრო მაგრად შეუტია.

— ჩუმად-მეთქი, თორემ ახლავე ავასრულებ ნათქვამს! — მოელვარე დანა ბებიას მოუღერა. ქვაქვალას სიკვდილის კი არ შეშინებია, შვილიშვილი გამიგიჟდაო —ამან შეაწუხა, იფიქრა, იქნებ როგორმე დავამშვიდოო, ჯერ შორიდან უყურა გაღიმებულმა, მერე ახლოს მივიდა და ხმადაბლა უთხრა:

— კი, ბებია, მომკალი, თუ ძალიან გინდა, მაგრამ არ მეტყვი რატომ მკლავ?

— რატომ და ცოლი უნდა მოვიყვანო! — თქვა მკაცრად, წავიდა და თუთის ძირას დადგა რატომღაც. თავჩაღუნული იდგა, ბებიასკენ არც იყურებოდა.

— ცოლი?.. — გაოცდა ქვაქვალა, ახლოს მივიდა და შვილიშვილს ყურება დაუწყო.

— ჰო, ცოლი.

— მერე?.. — გაეცინა ქვაქვალას.

— რა გაცინებს?

— ამისთვის მკლავ, ბიჭო? ამისთვის გვემუქრები ყველას დახოცვით?..

— რა ვქნა აბა!..

— ამისთვის არ მომკლა, ბებია... ცოდვა ვარ, — იცინოდა ქვაქვალა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, ვინმეს ხომ არ ესმის ჩვენი საუბარიო. ისინი თავიანთი სამზადის წინა ეზოში, ბოლის ძირას იდგნენ და ერთმანეთს გაკვირვებულები უყურებდნენ. ჭვატიას ვერ გაეგო, რატომ იცინოდა ბებია, ვერც ბებია მიმხვდარიყო ჭვატიას გაბოროტების მიზეზს.

— უთხარი დედას და მამას, არ მათხოვინებთ იმ გოგოს და დაგხოცავთ ყველას, მორჩა და გათავდა!

— ალარ ხუმრობ, ბიჭო? მელირსა შენი ცოლი? — გულწრფელად გაუხარდა ქვაქვალას, — მომესწარი საცოლედ? შე კუდიანო! შე ეშმაკის ფეხო და ქაჯიაჭიანევ! — ქვაქვალამ გაბედა, ახლოს მიეკარა — და შვილიშვილს ქეჩოში ხელი წაუპოტინა წამორტყმასავით. — ქვაქვალა ეგონა, თუ ცოლის თხოვნაზე სიტყვას დაძრავდა, ქვეყანა დაიქცეოდა. ძალიან გაუკვირდა, ბებია რომ ასე გახარებული შეხვდა, თან არ სჯეროდა და უნდობლად უყურებდა.

— სარძლო ვინ არის, ბებია, გამიხარე გული!..

— მზევინარი.

— მზევინარი?.. რომელი მზევინარია ეს?

— ჯონდოს მზევინარი.

— ჯონდოსი? რომელი ჯონდოსი?

— ლობიოჭამიასი.

— უი, ამხელა გოგო ჰყავს ჯონდოს? კარგი, ბებია, ძალიან კარგი, წამოდი, შევიდეთ შინ, მოვილაპარაკოთ...

— მივდივარ მე...

— სად მიდიხარ? ჯერ დედას ვუთხრათ, მამას ვუთხრათ, გადავწყვიტოთ...

— მაგი გადაწყვეტილია.

— მოიცა, ბიჭო... იქ მიდიხარ, იმათ სახლში?..

— ის მე ვიცი.

— მოიცა-მეთქი! — უკან გამოუდგა ქვაქვალა, შვილიშვილს მკლავში ხელი წაავლო და გააჩერა, — კარგი, წადი, სადაც გინდა, მაგრამ დანა? დანა მომეცი, რად გინდა ეს ოხერი!..

— ეგენიც უნდა დავხოცო! — კვლავ შესძახა ჭვატიამ გაბოროტებით, ბებიას მკლავი გამოსტაცა და ელვისუსწრაფესად ალაგეზე გადახტა, გადახტა და ქვაქვალაც გადაჰყვა, — ვინ ეგენი, ბიჭოო? — კი მიაძახა უკან, მაგრამ ბიჭი ისარივით გავარდა მოსახვევში და ხელად თვალს მიეფარა. გამშრალი, გახევებული ქვაქვალა ალაგესთან დატოვა.

საღამო ხანი იყო. ნინუ და ციცუ მეურნეობიდან საცაა დაბრუნდებოდნენ, რა ამბავს დაახვედრებდა? რა ექნა? მთლად უპატრონოდ ბალღებს სამზადში ვერ მიატოვებდა, იქ ცეცხლი ენთო და იმის შეეშინდა. იფიქრა, ცეცხლს ჩავაქრობ, ბავშვებს ეზოში გამოვყრი... სამზადს დავკეტავ და ჭვატიას კვალზე მერე წავალო.

ამ ფიქრებში რომ იყო და სამზადში თავგზაარეული ხან ცეცხლს აქრობდა, ხან სათითაოდ გამოჰყავდა ბავშვები და სათითაოდ ჭკუას რომ არიგებდა, სიმინდის ყანიდან ციცუ გამოვიდა, სამზადს უკნიდან

მოადგა, სამუშაოდან დაბრუნებულს მოკლეზე მოეჭრა, ყანა-ყანა ევ-
ლო, დურღენში ბირკა მოსდებოდა შარვლის ტოტებზე. ვენახში ამოვ-
შავა, თალხ პერანგზე შაბიამნის ცისფერი ლაქები ეტყობოდა. ბინა-ოდესაც
სუნი ასდიოდა, მხარზე გადებული თოხი სამზადის წინ, საჩეხის ერთ
კუთხეში მიაგდო, სამზადში შევიდა, დოქს წაავლო ხელი, მოიყუდა და
ხარბად დააცხრა.

— მოხვედი? არიქა, შენ შემოგევლე, ახლავე წავიდეთ ჭვატიას
საძებრად, ცუდადაა საქმე!.. — მიაძახა ქვაქვალამ და სიძეს წინ დაუ-
დგა, დაელოდა, წყლის სმას როდის დაამთავრებდა. ციღუს დოქი ტუ-
ჩიდან არ მოუწყვეტია, გემრიელად, რაკრაკით სვამდა, არ ეჩქარე-
ბოდა. როცა კარგა ლაზათიანად გამოძღა წყლით, დოქი თავის ადგი-
ლას დადგა და ქვაქვალას ტუჩების წმენდით ჰკითხა:

— რა იყო, რა ჭირს ჭვატიას საძებარი?

— დანას ლესავდა მთელი დღე... ცოლს ვთხოულობო და გადა-
ვარდა ალაგეზე.

— ცოლს ვთხოულობო?.. — ჩაიდუდუნა ციღუმ, კველას დასწვდა.
გამოიტანა საჩეხში, დაჯდა ზედ, ამოიღო სიგარეტი და ასანთს დაუწ-
ყო ძებნა ჯიბეში.

— რას შობი, ციღუ? — გაკვირვებული გამოჰყვა გარეთ სიძეს ქვაქ-
ვალა,—რა დროს დაჯდომაა ახლა?.. არ მოდიხარ?..

— მოვა ნინუ და ის წამოვა.

— შენ წამოდი, კაცი ხარ მაინც.

— სად წამოვიდე?

— რა ვიცი, სად წამოხვიდე, საცა შენი სასიძო ბიჭი წავიდა, იქ
უნდა წამოხვიდე.

— საჩქაროა ვითომ ახლა მაგ საქმე?

— მეტი საჩქარო რა იქნება, ალესილი დანა გაარბენინა საღაცა.

— დანა რად მინდაო?

— ყელი უნდა გამოგჭრათ ყველასო და რა ვიცი... დედასო, მამასო,
შეწცო და ბალნებსაცო.

— რადაო, რა დაგვიშავებია? — ჩაიცინა ციღუმ.

— რა არხეინი კაცი ხარ, შენ არ მომიკვდე, ახლა სასაცილოდ და
სალაპარაკოდ გვაქვს ჩვენ საქმე? ცოლის თხოვა უნდა ბიჭს და გადა-
რეულია.

— ცოლის თხოვა კი არა, ათასი გასაჭირი მაქვს მე ოჯახში, რა
დროს ჭვატიას ცოლია!

— არიქა, არ გააგოხო მაგი ბალანას, თორემ ვინ იცის რას იზამს.

— რას იზამს? დაამტვრევს ბუს კვერცხებს ჭვატია... ჭვატიას საცოლშვილოდ გვცალია ახლა ჩვენ? ამ ბაღნებს მოვლა-პატრონობა არ უნდა? — ციღუმ ეზოში მოთამაშე ბავშვებისკენ გაიშვირა ხელი.

— უიჰ, არ თქვა მაგი, ციღუ, არ გინახავს დღეს შენ ჭვატია, თორემ სხვა გუნებაზე დადგებოდი, შვილებს გეფიცები... ამხელა დანა უკავია ხელში!

— კაი ჰო, კაი... გვინახავს ჩვენ მაგხელა დანები...

— აბა, ყური არ გავაბარტყუნოთ?

— არა.

— ბავშვი არ მოვიკითხოთ?

— მოვა თავის ფეხით და დანასაც მოიტანს აქეთ.

ქვაქვალა სიძის სიმშვიდემ წამით ჩააფიქრა. მართლა სად უნდა წასულიყო? უკვე ღამდებოდა, ჯონდო ლობიოჭამიას სახლამდე კარგა მანძილი იდო, როდის მივიდოდა იქამდე... წავიდოდა კი ჯონდოსას ჭვატია? იქნებ კინოში იყო და თავის სატრფოს იქ ელოდებოდა?

ქვაქვალამაც გამოიტანა კველა სამზადიდან და სიძის გვერდით დაჯდა ჩაფიქრებული. ცოტა ხანს იჯდა ასე, ბავშვები მსხლის ძირას შეკრებილიყვნენ და დიდის გულმოდგინებით თხრიდნენ ორმოს.

— აჰ, რას ველოდო აქ, უნდა წავიდე! — გადაწყვიტა უცებ, წამოდგა, სამზადის კარი გამოიხურა და ჭიშკრისკენ გაემართა. ჭიშკარში გავიდა თუ არა, გზაზე ნინუც გამოჩნდა. დაღლილი შინ ბრუნდებოდა.

— გატრიალდი ახლა და უკან გაბრუნდი! — შორიდანვე დაუძახა ქვაქვალამ შვილს, — ცოლს თხოულობს შენი ვაჟკაცი!

— რაო? — გაოცდა ნინუ და შუა გზაზე შეჩერდა.

— შეიხსენი ეს ძონძი, სირცხვილია, დედამთილი ხარ უკვე! — ქვაქვალამ ნინუს წელზე შემოკრული თავშალი შეხსნა, დაკუჭა და ღობეს გადაღმა თავის ეზოში ჩააგდო, — წამოდი, გზადაგზა ყველაფერს გეტყვი.

ორღობეში ჩაუხვიეს, გაჩქარებული მიდიოდნენ, ჭვატიას დღევანდელი უცნაური საქციელის ამბავს ქვაქვალა დიდი გულმოდგინებით უყვებოდა გულშემოყრილ ნინუს. მეზობლებმა არ გაიგონო, ხმადაბლა მიპუტუნობდნენ. ხანდახან აუწევდნენ ხმას, ხანდახან გაისმოდა ნინუს შეშფოთებული ხმა ორღობიდან.

— რომელი მზევინარია ეს?.. ლობიოჭამიების ოხვრი?.. მოჰყავდა კი, ჯონდოს ფუნას ჩაიში... — ნინუ გზიდან გადავიდა, დედას ერთი ჩხვერკივით წვრილი, გამხმარი მესერი უჩვენა და უთხრა: — ამას ხედავ? ა, ამას რომ კაბა ჩააცვა, ის არის...

მზე ჩასულიყო. სოფელი ღამის შესახვედრად ნელა ემზადებოდა. აგერ-აგერ ბღაოდნენ სამზადის სვეტზე მოსაწველად მიბმული ძროხები, შუკაში ჭყვიროდა გარეთ დარჩენილი უღლიანი ღორი, მინ მეყვანას სთხოვდა პატრონს. აკაციებით დაბურულ შუკაში ბინდი ძეძოპარულიყო, ღამე დაბურული შუკებით შემოდიოდა სოფელში.

— სად მყავს მე საცოლე ბიჭი! — გამოაღწია ხმამ შუკიდან.

აჩქარებული მიდიოდნენ, უკან არ იყურებოდნენ. სად მიდიოდნენ? ვისთან? — რომ გეკითხათ, თვითონაც არ იცოდნენ.

2

ქვაქვალა და ნინუ რომ ჯონდოს სახლისკენ მიეშურებოდნენ, იმ დროს ჭვატია მეურნეობის გარაჟის ეზოში, სამჭედლოს წინ, სვეტს მიჰყუდებოდა, გზისკენ იცქირებოდა. მზევინარს აქ უნდა გამოევლო. სამჭედლო დაკეტილი იყო, გარაჟშიც კანტიკუნტად თუ აივლ-ჩაივლიდა ვინმე, დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. მზევინარი ფურნეში გამოეგზავნათ, ორი დიდი გორა პური მოჰქონდა. იღლიებში ამოეჩარა პურები, თავი მაღლა აეწია. წვრილ, მაღალ ყელზე ედგა ლაფართია თავი. თმა მოკლეზე შეეკრიჭათ და ბალღობაში აკვანში ხანგრძლივად ერთ მხარეს დებისაგან უშნოდ გაბრტყელებული კინკრიხო მოუჩანდა, არც მკერდი ეტყობოდა, არც თეძოები, ფეხებიც კი თითქოს ჩხირებისა ჰქონდა, ნინუს თქმისა არ იყოს, მართლაც, გამხმარ ჩხვერკს კაბა რომ ჩააცვა, იმას ჰგავდა.

ჭვატიამ თავისი მზეთუნახავი რომ დაინახა, რატომღაც დაიმალა, სამჭედლოს მოეფარა და იქიდან დაუწყო ყურება. ცოტა ხანს უყურებდა დამალული. ასე ხომ ვერ დამინახავსო, იფიქრა და გამოვიდა სამალავიდან. სამჭედლოს წინ დადგა გამოწყობილი, გზაზე მიმავალს მიაჩერდა. გოგომ ერთი ქორულად შეხედა აბეზარად მოშტერებულ ბიჭს და ამაყად განაგრძო გზა. მზევინარი ჭვატიას შორიდან იცნობდა. მართალია, ერთ სოფელში ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთ სკოლაში არ სწავლობდნენ. ერთი სოფლის თავში ცხოვრობდა, მეორე — ბოლოში. მზევინარი მეზობელი სოფლის სკოლაში დადიოდა, ის სკოლა უფრო ახლოს იყო მის სახლთან.

ორი კვირის წინ, სწორედ აქ, ამ ადგილას, შეხვდა ეს ბიჭი; აქედან დაამახსოვრდა, საეჭვოდ უყურებდა კარგა ხანს. სწორედ მაშინ გაიხსენა, თუ ვინ იყო, აქამდე სად ენახა და რომელ სკოლაში სწავლობდა; თავის ეზოში სარეცხს რომ აფენდა, სულ პირველად მაშინ

შეამჩნია: ტრიფოლიატის ღობეზე თითქოს რაღაცა იდო. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა იქითკენ, კარგად დააკვირდა, ჭვატიას [illegible] ბიჭს ტანი არ მოუჩანდა, ფეხისწვერებზე დგებოდა და [illegible] რებდა ღობის გადაღმიდან. ეზოდან ისე მოჩანდა, თითქოს ჭვატიას თავი ტრიფოლიატის გაკრეჭილ ღობეზე იდო. ეს იყო და ეს. მთელი მათი სიყვარულის ამბავი აქ იწყებოდა და აქვე თავდებოდა. როცა ფურნიდან მომავალმა მზევინარმა სამჭედლოს წინ გაიარა, ჭვატიას ეგონა, რომ ფრთები შეესხა. გოგონა კარგა მანძილით რომ დაშორდა სამჭედლოს, ჭვატია ჯერ ფეხისწვერებზე შედგა და ისე გახედა თავის მზეთუნახავს, შემდეგ სამჭედლოს თავამდე აფრინდა უეცრად, შეხედა ჯეირანივით მიმავალს და ძირს დაეშვა, ისევ აფრინდა, ისევ ჰკიდა თვალი, ისევ ძირს დაეშვა. ვიდრე მზევინარი არ გაუჩინარდა, ასე დაფრინავდა სამჭედლოს წინ. აფრინდებოდა სამჭედლოს თავამდე, ძირს დაეშვებოდა, აფრინდებოდა — ძირს დაეშვებოდა. გამოდევნებას და დაძახებას რატომღაც ვერ ბედავდა, თითქოს განგებამ ენა წაართვა, ადამიანური მოქმედების უნარი წაჰგვარა და სამაგიეროდ ფრთები შეასხა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ მზევინარი თვალს მიეფარებოდა. როცა გოგონა მოსახვევში მიიმალა, ჰაერში მფრინავმა ჩვენმა ჭვატიამ მიწაზე ზღართანი მოადინა და სევდა შემოაწვა. ეწყინა, გაბრაზდა კიდეც, რატომ ერთხელაც არ შეჩერდა და ყურადღება არ მომაქცია. ალბათ, სხვა ვინმე შეიყვარაო — ესეც კი გაიფიქრა. ასეთი ეჭვისთვის მზევინარს საბაბი არ მიუცია, ისინი ხომ ერთმანეთს არც დალაპარაკებიან, მაგრამ, ჭვატიას აზრით, ეს არ იყო მთავარი, როცა ტრიფოლიატის ღობის გადაღმიდან მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, მზევინარმა სარეცხის გაფენა მიატოვა და მისკენ წამოვიდა, ისე უცინოდა თვალები, ისეთი საყვარელი და ლამაზი იყო მკლავებდაკაპიწებული, ჭვატია მაშინაც აფრინდა მაღლა და ძირს დაეშვა. ვინ იცის, როდემდე იფრენდა ადგილზე, ის ოჩოკოჩი ჯონდო რომ არ გამოჩენილიყო. ვენახიდან გამოვიდა წვერგაუპარსავი ფეხშიშველა და მკერდმოღლეტილი, ჯერ თავის ქალიშვილს შეხედა განრისხებულმა, მერე ჭვატიასკენ წამოვიდა სირბილით, ჰაიტ, ვინა ხარ შე შობელძაღლო, — მიაყვირა, დაიხარა და ქვას დაუწყო ძებნა. თურმე წინა ღამეს ვიღაცას ალუჩა გაეკრიფა, ჯონდოს ჭვატია იმ ქურდების გამოგზავნილი ჰგონებია. ჯონდო რომ ეზოში ქვის საძებრად დაიხარა, ჭვატიამ მოუსვა და მოუსვა, უკან ერთი არ მოუხედავს, გულგახეთქილი შევარდა მეურნეობის ბაღში და იქ დაიმალა. იფიქრა, ალბათ მიმიხვდა, სიძეობას რომ ვუპირებო. ალუჩის ქურდობის ამბავი ჭვატიამ არ იცოდა და არც

შეეძლო სცოდნოდა. მთელ ამ ორომტრიალში კი მთავარი სწორედ ის იყო, რომ მზევინარმა სარეცხის გაფენა რომ მიატოვა და მისკენ წამოვიდა, ჭვატიამ ეს მათი სიყვარულის ნიშნად მიიჩნია და იმ დროიდან მზევინარი თავის საცოლედ დაიგულა. ყოველივე ამის შემდეგ საცოლე სასიძოს გულგრილად უნდა შეხვედროდა? გულგრილად კი არა, სულ არაფრად ჩათვალეს შენი ჭვატია, — ფიქრობდა ჭვატია, — გოგომ ერთი ქორულად მოხედა და ვითომ მათ შორის არაფერი მომხდარაო, ვითომ არც გიცნობ, ვინცა ხარო, ამაყად განაგრძო გზა. ჭვატიამ თავი დამცირებულად იგრძნო, გული მოუვიდა, სწორედ ამ დროს გარაჟის წინ ერთმა ნაცნობმა მძღოლმა თვითმცლელი გააჩერა, გადმოვიდა კაბინიდან და გარაჟში შევიდა, ძრავა არ გამოურთავს, კაბინის კარიც კი ღიად დატოვა იმის ნიშნად — ხელად გამოვალ და გზას განვაგრძობო.

ჭვატია უცებ მოსწყდა ადგილიდან, შეხტა თვითმცლელის კაბინაში, თვალისდახამხამებაში მუხრუჭი აუშვა, სიჩქარეები ჩართო და თვალსა და ხელს შუა თვალსაწიერზე ბუზივით მიიკარგა. ერთი მოსახვევი გაირბინა, მეორე, მესამე, მზევინარი არ ჩანდა. ჭვატია ისე მიაქროლებდა მანქანას, გზად მიმავალნი შეშინებულნი გარბოდნენ აქეთ-იქით, გიჟია ვიღაცაო, ხელებს შლიდნენ. მზევინარი თავის ჭიშკარს უახლოვდებოდა, როცა შარაგზაზე დიდი სისწრაფით მომავალი თვითმცლელი შეამჩნია. გზიდან გადავიდა და ტრიფოლიატის ღობეს გაუყვა, მანქანას გზა დაუთმო. ტრიფოლიატის ღობეს თხრილი გასდევდა, იმ თხრილის პირზე შეჩერდა და უკან მიიხედა. მიიხედა თუ არა, გაისმა მუხრუჭების კივილი, მანქანამ ხრეშიან შარაზე მტვერი დააყენა და ამ მტვერსა და ბუღში გახვეული რკინის ურჩხული პირდაპირ მისკენ გაემართა, მზევინარი უკან გადახტა, ერთი პური გაუვარდა და თხრილში ჩაგორდა, მეორე უნებლიეთ გულში ჩაიხუტა და ტრიფოლიატის ღობეს ზურგით აეკრა, მანქანა თხრილში ჩაყირავდა და ზედ მუხლებზე მიადო ცხვირი, შეშინებულმა გოგომ კივილი მორთო.

ჯონდო და მისი მეუღლე, ივლიტა, სამუშაოდან ახალდაბრუნებულები, შინ სალამოს თადარიგს იჭერდნენ. კივილი რომ გაიგონეს, ჭიშკრისკენ გაქანდნენ და შუბლზე ხელმოჩრდილებულებმა იქით გაიხედეს, საიდანაც კივილი მოისმოდა.

ჭვატია თითქმის გონწასული იჯდა საჭესთან, რა ექნა, არ იცოდა, მანქანა თხრილში რომ ჩაყირავდა, ძრავაც ჩაუქრა, სწრაფად ჩართო ძრავა და მანქანის ამოყვანა სცადა უკან სვლით. სიჩქარეში ხელები აებლანდა და მანქანა ადგილიდან ვერ დაძრა. ამასობაში ჯონდო და

ივლიტაც მოვიდნენ. ივლიტამ ციტრუსებში შეკუჭული თავისი შვილი და ზედ მიმდგარი მანქანა რომ დაინახა, შეჰკივლა და შეჩერდა, მიხვდა, დამნაშავე ვინც იყო, მანქანას შეახტა, რომელიც ხელიდან ესროლა სიკვდილე, შენო, ჩასძახა კაბინას. ამასობაში ჭვატიამ მანქანა თხრილიდან ამოიყვანა და ივლიტა ერთ-ორ საჟენის მანძილზე წაიყვანა უნებურად. ივლიტას ეგონა მანქანას არ გააჩერებსო და კივილი ატეხა...

ჯერ ჭიშკრებს მოადგნენ და შემდეგ შარაზეც გამოჩნდნენ მეზობლები.

ჭვატიამ გზის პირას გააჩერა თვითმცლელი და კაბინიდან გამოხტა. ჯონდოს მეზობლები შემოხვეოდნენ და აკავებდნენ.

ჭვატიამ არც აცივა, არც აცხელა, ჯიბეში ხელი ჩაიყო, ლორის დასაკლავი შავტარიანი პრიალა დანა ამოიღო და მყივანა, ჩხიკვისებური ხმით დაიჯღავლა:

— სუყველას დაგხოცავთ ახლა!

ჯონდო და მისი მეზობლები ერთმანეთს მიაწყდნენ და უკან-უკან დაიხიეს. ქალები მზევინარს შემოხვეოდნენ და ამბავს ეკითხებოდნენ.

— რა ვიცი, რა უნდა! — გაჰკიოდა მზევინარი, — ჯერ იქ დამხვდა, სამჭედლოსთან, მერე მანქანით გამომეკიდა, რა დავუშავე, რა?!.

როცა ჭვატიამ დანა იძრო, ივლიტა თავის ქალიშვილთან მივარდა შეშინებული.

— შეხედე, დანა უჭირავს ხელში! ეს ციღუს უსაქმური არ არის?..

— რა უნდა ერთი, რა უნდა! — გაიქაჩა მზევინარი, ვითომ მისვლა დააპირა, ქალებმა არ გაუშვეს და დამშვიდება დაუწყეს.

ერთმა მოხუცმა, ჯონდოს მეზობელმა, გაბედა, უშიშრად მივიდა ჭვატიასთან, მოჰკიდა მკლავში ხელი და საქმიანად გაიყვანა გვერდით.

— რა იყო, ბიძიკო? — დინჯად ჰკითხა მოხუცმა, — შენ ციღუს ბიჭი არა ხარ? არ გრცხვენია, დანას რომ გვიღერ?..

ჭვატია გაქვავებული იდგა ერთ ადგილას, თავი ჩაეკიდა. ასეთ გულითად შეხვედრას არ მოელოდა.

— რამ აგაღებინა ხელში დანა, მომეცი აქეთ!

ჭვატიამ დანა უკან დამალა...

— ვერ მოგცემთ დანას.

— კარგი, ბიძია, გქონდეს, ოღონდ წადი აქედან და დანაც თან წაიღე, გადარეულია ჯონდო.

— არსად არ წავალ მე, — თქვა ჯიუტად ჭვატიამ, — ის გოგო ჩემი შეყვარებულია და, თუ არ მომცემთ, მოვკლავ ვიღაცას!

— შეყვარებულიო? — გაუკვირდა მოხუცს, არ მოელოდა, არ ეგონა, თუ ჯონდოს ცხვირმოუხოცავი ღლაპი ჯერ ვინმეს შეყვარებას გაბედავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეყვარებული ყოფილა! — იყვირა ერთმა ბიჭმა და გაბარებული გაიქცა ივლიტასა და მზევინარისაკენ.

— შეყვარებულიო? — მზევინარმა იმ წამს გაიგონა ეს სიტყვა, თუმცა ჭვატია კარგა მოშორებით იდგა. ივლიტას და სხვა ქალებს არაფერი გაუგიათ.

— შეყვარებულიო? — ჩაიბუზღუნა ერთხელაც უკმაყოფილოდ მზევინარმა და გაკაპასდა.

— ვინ არის მაგის შეყვარებული?.. მაგ უსაქმური, მაგ ოხერი და ნავარი!.. — მზევინარი თავის გამხმარ მკლავებს იქნევდა ჰაერში და ჭვატიას ლანძღავდა.

— ოროსანი! უნიჭო! ხუთი წელიწადი აგდია თითო კლასში!.. — მზევინარს მღელვარებისაგან ენა დაება, ვერ იპოვა სალანძღავი სიტყვები და ტირილი მორთო.

— შეყვარებულიო? მოვკლავ მაგ ბიჭს და პასუხს არ ვაგებ, იცოდეთ! — დაიძახა ჯონდომ.

— რა შეყვარებული, რის შეყვარებული, ვინ შეგიყვარებს, შელენჩო და უდღეურო! — გამოექცა ხალხს ივლიტა და ჭვატიას ცხვირწინ დაუტრიალა მუშტები.

— რატომ მილანძღავს გოგოს ეს გლახაკის შვილი! ახლავე მოვკლავ, ამ წუთში! — დაიქუხა ჯონდომ და ღობეს ეცა, მესერს წაავლო ხელი, ამოძრობა დაუპირა, ჭვატიამ იფიქრა, ახლა კი დროა, თავს ვუშველოო და მანქანისკენ წავიდა.

სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ შარაგზაზე ნინუ და ქვაქვალა, მშობლები რომ დაინახა, ჭვატიას გული მოეცა, სასიმამროსთან მიიჭრა, პრიალა დანა მაღლა აღმართა და შესძახა:

— არ გიშველის მაგ მესერი, ღორივით გამოგჭრი ყელს!..

— დიდუჰ, — შეჰკივლა ნინუმ.

— მიშველეთ! — შეჰკივლა ქვაქვალამაც და შვილიშვილს წინ გადაეღობა. ამასობაში ჯონდომ მესერი ამოშვლიჭა მავთულებიდან, შეიქნა წივილ-კივილი, ტრიალი, ზრიალი, ჯონდოს მთელი სამეზობლო მიესია და გაქაჩეს, ჭვატია მანქანაში შეხტა და გაიქცა.

— ვინ მისცა მანქანა, რა ამბავია ჩემს თავს, ხალხო? — ეკითხებოდა ყველას ნინუ.

— დამღუპა შენმა ოჯახმა და კიდევ რა ამბავიაო, კითხულობ? — გამოვარდა ხალხიდან ივლიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იყო, რატომ გადამირიეთ ბიჭი! — გაღმა შეედავა

— ჩვენ გადაგირიეთ, თუ თქვენ გადამირიეთ ქალიშვილი!

— ქალიშვილი! — დამცინავად შესძახა ნინუმ. — სად გყავთ თქვენ ქალიშვილი! თქვენ ჭირიან გოგოს თუ ვინმემ შეხედა, მაგისთვის ტეხავთ ამ აყალმაყალს?! ვის იწუნებთ, თქვე ლობიოჭამიებო!..

— ლობიოჭამიებოო? ჯონდო! — შეჰკივლა ივლიტამ, — გესმის, ლობიოჭამიებს გვეძახის ეს ქვეყნის ანდაზა!

— რაო, რაო? —დაიღრინა ჯონდომ ხალხიდან, — სადაა შენი ლენჩი ქმარი, შენ რომ გამოგაგზავნა. ლობიოჭამიები ჩვენ თუ ვართ, არც თქვენ ხართ დადიანები! მუხუდოჭამიებს თქვენ გეძახიან, თორემ ჩვენ კი არა, მუხუდოს ხომ იცი, რა ჭამს?

— რა ჭამს, რა? — ჩასდია ბოლომდე ნინუმ.

— რა და, ღორი.

— ლობიოს ღორიც არ ჭამს, ამოლესილი დაუსხი, თუ გინდა! არ შეჭამს, არა!

— ჩვენ ღორზე უარესი ვართ, მაგის თქმა გინდა? — ჩააცივდა ჯონდო.

— მაგის თქმა არ მინდა, — უკან დაიხია ნინუმ. ჯონდოს გადმოქაჩული თვალების შეეშინდა.

— აბა, რა გინდა, რა! — ხელი ნიკაპთან მიუტანა ჯონდომ ნერვიულად, — შენს რეგვენ შვილს ჩემს გოგოს ვერ მივცემ, ვერა!.. გავათავე მე ლაპარაკი!.. — თქვა მან, მოჰკიდა ატირებულ მზევინარს ხელი და სახლში შეიყვანა, აყაყანებული ხალხი ჭიშკართან მიატოვა.

— უი, დედა! — თქვა ერთმა მოხუცებულმა, — რა ძველ ამბებს იხსენებს ეს ხალხი! ჩვენი წინაპრები რაცხას ერთმანეთს ეძახდნენ, ბაგი რა გასახსენებელია ახლა! ლობიოჭამიები და მუხუდოჭამიები არა ვართ ყველა? აბა, დადეშქელიანი არის ახლა აქ ვინმე? — ჰკითხა ჯგუფად მდგარ ხალხს მოხუცმა.

— ჯონდო მყავს დადეშქელიანი, კი... — მოხუცს სიტყვა წაართვა ნინუმ. — რაზე მილანძღავს შვილს, რითია ჩემი შვილი მაგის ჩხვერკივით გოგოზე ნაკლები. მოკვდეს მაშინ ნინუ, თუ მაგისთანა რძალი სახლში შეუშვას! — მკერდზე დაიბაგუნა მუშტი ნინუმ, — მაგი წესიერი გოგო რომ ყოფილიყო, ბიჭი სახლში არ მოუვარდებოდა.

— წესიერიო! დითა! დითა! დითა! გამოგვაჭენეს ქვეყანაზე! —

შეჰკივლა ივლიტამ, მიადგა თავის ჭიშკარს და ქმარს დაუძახა: — ჯონ-
დო! ჯონდო!.. გამოგვჭრეს ყელი!

— კარგი, ივლიტა, დამშვიდდი... — ქვაქვალამ სცადა გაბრაზებული-
ბული ივლიტას დაწყნარება, — სუ შენც, ნინუ! — გაუწყრა შვილს. — ეს
ვიდეთ ახლა სახლებში და ხვალ მოვილაპარაკოთ!..

— კარგი სიტყვაა, ივლიტა, შვილებს გეფიცები, შედი ახლა სახლ-
ში...—ურჩიეს მეზობლებმაც.

— სახლში შევიდე? — ქვაქვალას გამოენთო ივლიტა, — შენ რა გე-
ნაღვლება, ქვაქვალა მზაკვარო, ქვაქვალა მესიაკონო!— გაგვლანძღეთ,
გაგვთათხეთ და ახლა სახლებში წავიდეთ ხომ?!

— იდექი, აბა, შარაზე მთელი ღამე და იკვანკვალე ფინია ძაღლი-
ვით,— უთხრა ქვაქვალამ. ნინუს მოჰკიდა ხელი და წაყვანა დაუპირა, —
წავიდეთ, ნინუ, მაგას თუ ვუყურეთ, არ გაათავებს დილამდე.

— უყურე! აქედან კანტორამდე ენა რომ აქვს გადებული, ის ქალი
მეუბნება, დილამდე არ გაათავებსო. შენ გაგათავა სიკვდილმა, ქვა-
ქვალა-მესიაკონო, მაგისთანა შვილიშვილის გაზრდისათვის!

— ნუ იწყევლები, შე მტვრიანო დედაკაცო, თორემ გაგპუტავ ქა-
თამივით! — მოუბრუნდა ივლიტას ნინუ.

— რა გინდა, შე ძროხა, ძროხა, ძროხა, ძროხა! — მიაყარა ივლი-
ტამ და ქალებში გაერია. ნინუსი ეშინოდა. ნინუ ხელტოტა, ზორბა
ქალი იყო, ბოხი ხმა ჰქონდა, ისეთი გაავება იცოდა, მტრისას! ივ-
ლიტა, მართლაც, ფინიასავით უყეფდა შორიდან. უფრო მეტად ქვა-
ქვალას ლანძღავდა, თუმცა ნინუ უფრო მწარედ იგინებოდა, ვიდრე
ქვაქვალა.

— ძროხა კი არა, გააჩერე ენა, თორემ დაგიდებ ფეხქვეშ და იმ-
დენს გირტყამ, რუსის ბარაბანს რომ არ მოხვედრია! შენ გგონია, ამ
ხალხის შემრცხვება?

— წამოდი, გოგო, კარგი ახლა! — დაუყვირა ნინუს ქვაქვალამ, —
გეყოფა, ივლიტა, შენც დაიმოკლე ენა, რა ამბავში ხარ ვითომ! —
გაუწყრა ივლიტასაც.

— არაფერია საჩხუბარი, წავიდა ის ბიჭი. — დამშვიდება დაუ-
წყეს ივლიტას მეზობლებმა.

— ეგებ მართლა დამოყვრდეთ და მერე შეგრცხვებათ! — ახლა
მამაკაცი ჩაერია ქალების დავაში.

— ის მაინც მითხარი, რა აჭამეთ ჩემს ბიჭს, ასე ქუჩა-ქუჩა რომ
დარბის დანაამოღებული? — კვლავ თავიდან დაიწყო ნინუმ.

— შხამი ჭამა შენმა ბიჭმა! — მიაყვირა ივლიტამ ნინუს, — მეტი საქმე არა მაქვს, შენს ულვინტიან ბიჭს ჯადო ვაჭამო!

— მაგისთვის ხარ შენ გაჩენილი, იზამდი მაგას, მაგრამ ვერ ბრ მასაღებ შენს დამჭკნარ გოგოს, ვერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხალხო! რა მყავს მე გასასაღებელი! — იკივლა ივლიტამ, — ჯონდო! ჯონდო!.. — კივილით გაიქცა შარაზე და ქვებს დაუწყო აკრეფა. მეზობლები მისცვივდნენ და ხელები დაუჭირეს.

— წადით, ნუ გადარიეთ მთლად ეს ქალი! — მეზობლებმა ნინუ და ქვაქვალა ხვეწნა-ხვეწნით წაიყვანეს.

ამდენ ჩხუბსა და აყალმაყალში დაღამებულიყო, შარაგზაზე უკვე ბნელოდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და ყაყანებდა, ჩხუბის მიზეზი დავიწყნოდათ და სულ სხვა რამეზე კამათობდნენ.

ნინუ და ქვაქვალა სიბნელეში გაუჩინარდნენ, შინისკენ გაუდგნენ გზას. დიდხანს მოესმოდათ ივლიტას გაკაპასებული ლანძღვა-გინება, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდნენ.

— თქვე მუხუდოჭამიებო! შთამომავლობით ლენჩებო! ღვთის გლახებო!.. — გაჰკიოდა შარაზე ივლიტა.

3

იმ საღამოს ორივე ოჯახი გვიანობამდე ფხიზლობდა, საფიქრალი ერთსაც გაუჩნდა და მეორესაც. რაკი მზევინარმა გაიგო, რომ ჭვატიას ჰყვარებია, რაკი ჯონდომ და ივლიტამ გაიგეს, ციღუს ბიჭი სიძეობას უპირებდათ, მოსვენება დაკარგეს, მთელი ღამე არ უძინიათ. მზევინარს წარამარა ეძახდნენ და ხან რას ეკითხებოდნენ და ხან რას.

— იქნება მართლა გიყვართ ერთმანეთი და მე მიმალავთ, — უთხრა ჯონდომ შვილს, — აგერაა დედაშენი და ამას უთხარი, მე გავალ.

— რა ვიცი, გვიყვარს? — ცრემლი გადმოყარა მზევინარმა, — ხუტას გეფიცებით (მზევინარი უმცროს ძმას იფიცებდა), შორიდან მიყურებდა ერთხელ...

— გიყურებდა?

— როგორ თუ გიყურებდა! — ახლოს მიუჩოჩდა ივლიტა, — სად გიყურებდა?

— აგერ ჩვენს ეზოსთან ციტრუსებზე იყო მომდგარი და მიყურებდა.

— მერე შენ რა უთხარი? — ჰკითხა ჯონდომ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მე არაფერი მითქვამს, შენ გამოეკიდე ქვით.

— როდის იყო ეს?.. არ მახსოვს...

— ალუჩის ქურდი გეგონა.

— მერე, მერე?..

— მერე არაფერი.

— სხვა დროსაც გიყურებდა კიდევ?

ახლა ივლიტამ ჰკითხა.

— მიყურებდა კი, სამჭედლოსთან იდგა და მიყურებდა.

— ხედავ შენ! სამჭედლოსთანაც მდგარა! — შესძახა ჯონდომ, — რა მინდაო, რატომ გიყურებო?

— არ უთქვამს არაფერი.

— სულ არაფერი არ უთქვამს?

— სულ არაფერი, სულ... ჩვენ ხმასაც კი არ ვცემთ ერთმანეთს...

— აბა, რანაირი სიყვარულია ეს? — გაიკვირვა ჯონდომ.

— სიყვარული კი არა, ამათი ცხვირის შერცხვენა! — თქვა ივლიტამ.

— კი, ყოფილა ასეთი სიყვარული! — თქვა მოულოდნელად მზევინარმა და გაწითლდა.

— ა, შეხედე! — თვალები გადმოკარკლა ჯონდომ.

— რავა, გაივლე რამე გულში თუ? — მიადგა ივლიტა ქალიშვილს და თვალებში დაუწყო ცქერა გამომცდელად. მზევინარი ადგილზე აწრიალდა, დედას თვალები ვერ გაუსწორა.

— ვუყვარვარ თურმე იმ ბიჭს და რა ვქნა მე! — ჩაიდუდუნა მზევინარმა.

— რას ჰქვია, რა ქნა, სკოლა არ უნდა დაამთავრო?

— რაღა დარჩა, ორ თვეში მომცემენ ატესტატს.

— ამას გადაუწყვეტია და რა გვაქვს იმ ხალხთან სადავო! — თავში შემოირტყა ჯონდომ გაშლილი ხელისგული.

მთელი ღამე თეთრად გაათენეს, ჩანდა, რომ მზევინარს გულში ჩავარდნოდა ციღუს ბიჭი. რა ექნათ ჯონდოს და ივლიტას, რა ეღონათ? რომ გაზომეს და აწონეს, რომ დააკვირდნენ საქმეს და გონების თვალით გაჩხრიკეს, ჭვატიას სიძეობა ჭკუაშიც კი დაუჯდათ. მზევინარი მართლაც ორ თვეში დაამთავრებდა საშუალო სკოლას. უმაღლესში მზევინარი გამოცდებს ვერ ჩააბარებდა, შინ უნდა დარჩენილიყო და მეურნეობაში ემუშავა. არ ჯობდა, პატრონს ჩაბარებოდა? მზევინარს გარდა ორი შვილი და მოხუცი დედ-მამა ჰყავდათ სარჩენი. მზევინარს

მოსწრებული შვილი ეთქმოდა. მოსწრებული შვილი ოჯახს მხარში ხომ უნდა ამოსდგომოდა? თუ თავს უშველიდა, ეს იქნებოდა ნამდვილი მხარში ამოდგომა. რაკი ბედი კარზე მოადგათ, იქნებ ჯობდა, ბილი აკ ეკრათ. ჯონდო და ივლიტა მთელი ღამე ფიქრობდნენ, ჩუმად დავობდნენ, კამათობდნენ, პუტუნობდნენ საბნის ქვეშ, გამთენიის ხანს ჩასთვლიმეს ძალისძალათი.

ციღუს სახლშიც გაუკრთათ იმ საღამოს ტკბილი ძილი. ციღუს მანქანის გატაცების ამბავი უფრო აწუხებდა, ვიდრე ჭვატიას „რაინდობა". მანქანის გატაცებისთვის ჭვატიას დასჯიანო, ფიქრობდა. ქალებს კი დანიანი ჭვატია ელანდებოდათ და ყოველ წუთში მოელოდნენ საშინელ ამბავს.

როგორც იქნა ნაშუაღამევს მობრძანდა „ლობიოჭამიების სასიძო" (ასე შეარქვა იმ ღამეს ჭვატიას ნინუმ). შემობრძანდა, არც ივახშმა, არც არაფერი თქვა, კუთხეში დაჯდა მარტოკა და ქვასავით დამუნჯებულმა ბოროტი თვალებით დაუწყო ყურება მშობლებს.

— რა იყო, შვილო, რატომ გვიბღვერ ასე გაბოროტებული, დავაშავეთ რამე? — დუმილი ნინუმ დაარღვია, ჭვატიამ პირი კედლისკენ იბრუნა, დედას ზედაც არ შეხედა.

ციღუ ტახტზე წამოწოლილი უყურებდა შვილს, ულვაშებში ეცინებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა.

— სად იყავი მერე, სად გააქანე ის სხვისი მანქანა?.. არ იტყვი არაფერს?

— კარგი, ნინუ, უგუნებოდაა ბავშვი, ხვალ იტყვის, დაწვეს ახლა, — ჩაერია საუბარში ქვაქვალა.

— ხვალ ეგება გვიანი იყოს, — თქვა ნინუმ, — იქ მანქანა გაიტაცა, იქ კინაღამ გაიტანა უდანაშაულო გოგო, იქ დანა მოუღერა ვიღაცას, ამდენს არ გვაპატიებენ, არა!

— მოვკლავ ვიღაცას და გათავდა! — წამოიძახა უცებ ჭვატიამ.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ქვაქვალამ და ნინუმ ციღუს შეხედეს. ციღუმ გაიცინა. ნინუმ საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიდო და ქმარს უსიტყვოდ უთხრა, შენ ჭკუა ხომ არ დაკარგე, რა გაცინებსო. ქვაქვალაც გაუწყრა თვალებით სიძეს, მამა ხარ, თქვი რამეო. ჭვატია კედლისკენ პირშექცეული იჯდა და მშობლების აფორიაქება არ შეუმჩნევია.

რაკი ციღუ არაფრის თქმას არ აპირებდა, ისევ ნინუმ განაგრძო:

— კი მაგრამ, იმ გოგოს რას ერჩოდი, არ უნდიხარ გოგოს?

თითქოს ნინუმ ტყვია ესროლაო, ჭვატია გაავებული მოტრიალდა და დედას თავისი მარღი თვალები დაუბრიალა.

ქვაქვალამ შვილსა და შვილიშვილს მეტი სიტყვის თქმა არ აცალა, მათ შორის ჩადგა და ენა მთლად დაიშაქრა:

— დანა სად გაქვს, შენ შემოგევლე, მომეცი ის დანა, შეგინახავ, როცა დაგჭირდება, დაგიბრუნებ... ამ სალამოს არ დამეძინება, თუ ის დანა ჩემი თვალით არ ვნახე... — შორიდან ელაქუცებოდა. გულს მოვუგებო, ფიქრობდა, აქებდა და ამხნევებდა.

— თუ გინდა, შეირთე ის გოგო, ბებია, ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ თუ მოიცდი, უკეთეს გოგოს შეირთავ, შენისთანა ბიჭი მეორე არ დადის ამ სოფელში.

— ჯონდო დამსებულის შვილი გვაკლდა! — მოთმინება აევსო ნინუს, — უჯიშო ხარ მამაშენივით და რა გიყო!.. გაზაკუნიამ გაზაცუნია შეირთო და გაზამიმწვარი გამოვიდაო, ასე იყო ჩვენი საქმე და ასე იქნება მომავალშიც.

— მამამისს რას ერჩი, — თქვა ციღუმ, — წევს აგერ თავისთვის, არავის არ კლავს და არაფერი...

— ვერ ხედავ, შენი შვილი რა ამბავშია?.. არაფერი არ უნდა უთხრა?

— რა ვუთხრა, რა? — წამოჯდა ციღუ, — ცოლის სათხოვრად დანით და ხანჯლით რომ არ დადიან, ეს მან არ იცის? როცა ვინმე გიყვარს, იმას მანქანა კი არ უნდა დააჯახო, უნდა უთხრა, მიყვარხარ, თავს მირჩევნიხარ, უშენოდ სიცოცხლე არ მინდა-თქვა, ესეც არ იცის? ყველაფერი იცის მაგან, მაგრამ... კაცს თავისი მეთოდი ჰქონია და რა გინდათ ახლა თქვენ?..

— კარგი, ციღუ, კარგი, ყველაფერი კი არ უნდა გააიმასქნა... მოიყვანს ეს იმ გოგოს და ნახავ შენ დღეს მერე... — უთხრა ნინუმ ქმარს უკმაყოფილოდ.

ჭვატია მშობლების სიტყვებს ერთ ყურში რომ შეუშვებდა, მეორედან უშვებდა. არც ფერებამ, არც რჩევა-დარიგებამ, არც ხვეწნამ არ გაჭრა. მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, მგელი მაინც ტყისკენ იყურებოდაო, ჭვატია მგელივით თავის მარღ თვალებს იმდაგვარად აცეცებდა, საიმედო პირი არ უჩანდა, ღრმად ჩაფიქრებულმა დაწოლის წინ მაინც ის თქვა, რაც ქალებს თავზარს სცემდა:

— სისხლი უნდა დაიღვაროს, სისხლი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დილა გათენდა თუ არა, ციღუ კანტორაში დანარეს და გააფრთხილეს: შენი ხათრით, თორემ მანქანის გატაცებისთვის ჭვატიას პასუხისგებაში მივცემდითო. ციღუმ მადლობა გადაუხადა მძღოლს, მეურნეობის ხელმძღვანელობას და შინისკენ გახარებული წამოვიდა. მანქანის გატაცება კანონის დარღვევა იყო, რაკი ეს აპატიეს, დანარჩენი არაფერია, ცხოვრება მდინარესავით თავისი კალაპოტით დის, მას ვერც ჯონდო, ვერც ნინუ და ვერც ვერავინ შეაჩერებსო, ფიქრობდა.

რამდენიმე დღემ გაიარა, ჭვატია დილაუთენია გავარდებოდა ჭიშკარში, ტყის გზას დაადგებოდა და გაუჩინარდებოდა, არავინ იცოდა, სად დადიოდა, რას აკეთებდა...

ერთ სისხამ დილას კი ციღუს ჭიშკარს ჯონდო მოადგა. ქვაქვალა თვალების ფშვნეტით გამოვიდა საჩეხში და ჭიშკარს გახედა.

— ჯონდო, შენა ხარ? ვერ გიცანი, გამდიდრდები, მობრძანდი შინ, მობრძანდი!.. — შეიპატიჟა სტუმარი, ვითომ მათ შორის არაფერი მომხდარიყოს, გულთბილად, მეზობლურად შეხვდა.

— ციღუ არ არის სახლში? — მშვიდობიანად იკითხა მოსულმაც.

— აბა სად იქნება ამ დილაბნელზე. — სულ მთლად გაუშინაურდა ქვაქვალა, გულმა უგრძნო, რომ ჯონდო ავი განზრახვით არ იყო მოსული.

— გამომხედოს ერთ წამს, საქმე მაქვს...

— ახლავე!.. ციღუ! — გასძახა სამზადს, — შემოდი ეზოში, ძაღლი არ გვყავს, — უთხრა ჯონდოს. ჯონდო შემოვიდა ეზოში და ბჟოლის ძირას ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა გამქცევივით. ეს კარგის ნიშანი იყო: ჯონდოს რომ ჩხუბი და აყალმაყალი ნდომოდა, ეზოში არ შემოვიდოდა. ციღუ სამზადიდან გამოვიდა ხელების ფერთხვით და, ცოტა არ იყოს, შემკრთალი მიუახლოვდა ჯონდოს. ჯონდო წამოდგა და ხელი გაუწოდა.

— დილა მშვიდობისა, ციღუ.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა.

ორივენი გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ.

— სახლში არ შევსულიყავით? — ჰკითხა ციღუმ ჯონდოს.

— არა, აქ ჯობია ჰაერზე.

— როგორც გირჩევნია! — უთხრა ციღუმ, სიგარეტი ამოიღო და მიაწოდა. გაუჭირდათ სიტყვის ჩამოგდება. მდუმარედ ისხდნენ კარ-

ga ხანს და აბოლებდნენ. სამზადიდან ქალები იყურებოდნენ. ჭვა-
ტიას ეძინა და ბაიბურში არ იყო, რა ხდებოდა მის ეზოში.

— ბატონო ციღუ, — დაიწყო ჯონდომ ნელ-ნელა. სიგარეტის ბო-
ლებით, — რა დამიშავებია მე შენთვის და შენი ოჯახისთვის — ისეთი,
დანას რომ მიღერთ და მოკვლით მემუქრებით.

— ვინ გემუქრებათ მოკვლით, ჭვატია? — ჩაიცინა ციღუმ.

— ჭვატია სწორედ.

— დეიღუპოს იქით, ჭვატიას მოკლული კაცი შევარცხვინე მე.

— თუ მომკლა, ჭვატიას მოკლული ვიქნები თუ არამხუტუს, სულ
ერთი არ არის? კაცის მოკვლას ლარი და ხაზი კი არ უნდა! აიღებს
დანას და გფუშავს მუცელში. მერე იცინე შენ...

— მაგან საერთოდ არ იცის, დანა რა არის, ჯონდო ბატონო, გა-
ულესავს ის დანა და დარევია ქალებს, ყველანი უნდა დაგხოცოთო.
რას ვიზამთ, ცოლის შერთვა უნდა ბიჭს.

— მერე გაქვს შენ ახლა ჭვატიას ცოლის თავი?

— რა ვქნა, თუ სხვა საშველი არ დამადგა?..

— არ არის სხვა საშველი?

— რა ვიცი, ჯერჯერობით არ ჩანს.

— რა ვქნათ აბა.

— რა ვიცი, რა ვქნათ?

— როგორ, ასე ჰაერში გამოკიდებული ვიყოთ? დაუძახე ერთი
ჭვატიას და მალაპარაკე, თუ კაცი ხარ, მე არ შემიძლია ასე ყოფნა.
ან იქით უნდა გადავჭრა, ან აქეთ.

— ნინუ! — გასძახა ცოლს ციღუმ, — გააღვიძე ჭვატია, მოვიდეს!
აგერ, ამხელა ვაჟკაცი შეუშინებია, — ჩაიცინა ციღუმ.

— ეჰ, შენისთანა კაცი ას წელიწადს იცოცხლებს, ციღუ...

— უდარდელი კაცი ვარ, არა?.. ბიჭო, რა ვქნა, რა? ჭვატიას
გულისთვის ცხრა მთას იქით ხომ არ გადავიხვეწები. არაა ჯერ სა-
ცოლე, თუ დამიჯერებს, თუ არადა, მოიყვანოს და დაწვნენ ეგერ ძრო-
ხებთან. სხვა ადგილი ჩვენ არა გვაქვს.

— გასათხოვარი ქალი მეც არა მყავს, კი იცი შენ, მაგრამ თუ
ბავშვებს უყვართ ერთმანეთი, ჩვენ ვინ გვკითხავს! დადიანები და
დადეშქელიანები არც ჩვენ ვართ და არც თქვენ, ლობიოჭამიები ჩვენ
თუ ვართ, თქვენ მუხუდოჭამიები ხართ. გასაკვირი სიმდიდრე არც მე
მაქვს და არც თქვენთვის მოუცია ღმერთს. ჩავკიდოთ ერთმანეთს ხე-
ლი და მივეხმაროთ ბალნებს, რაც შეგვიძლია, რას იტყვი?

— რას ვიტყვი, რას... ა, ჩემს სასახლეს ქე ხედავ შენი თვალით,

მეურნეობიდან რა ოქრო-ვერცხლიც გვეძლევა, ისიც

, მე წინა-ალმდეგი კი არა ვარ, თუ ასეთ გაჭირვებაში იცხოვრებენ, მობრძანდნენ და იცხოვრონ. ისე, კაცმა რომ თქვას, ჩვენც ასე არ მოვყვანეთ ცოლები? — თქვა ციღუმ, — რა უჭირთ, გაათრევენ დღეს და იქნებიან.

სამზადიდან ჭვატია გამოვიდა, შარვალს იკრავდა და ისე მოდიოდა. შორიახლოს დადგა, სტუმარს თავი დაუქნია და განზე გაიხედა, ქანაობდა ერთ ადგილას, მუხლთან გამობერილი გრძელი შარვალი ეცვა, ფეხშიშველა იდგა ცვრიან ბალახზე.

— ა, ლობიოჭამიების სასიძო, — ჩაიცინა თავისებურად ციღუმ.

— ბიძია, რატომ მომიქნიე ის დანა, დაგიშავე რამე? — ჰკითხა ჭვატიას ჯონდომ, ჭვატიამ არ უპასუხა, თავი ჩაღუნა და ფეხის თითებით ბალახს დაუწყო ჩხრეკა.

— ჩემი გოგო გინდა ცოლად, იმიტომ გააკეთე ყველაფერი ეს?..

ჭვატიამ კვლავ არ უპასუხა. თავი აიღო და თვალსაწიერს გახედა უაზროდ.

— ცოლად უნდა, კი, — მიეხმარა შვილს ციღუ.

— მერე, ბიჭო, ენა არა გაქვს? თქვი და დაგიკავა ვინმემ? რად გინდა დანას რომ იქნევ უშანგია გიჟივით ქუჩაში.

ჭვატია კვლავ დუმდა. ჯონდო კარგა ხანს ელოდა, იქნებ ხმა ამოიღოსო, მაგრამ ამაოდ.

— ასე იქნება, არაფერს იტყვის? — ჰკითხა ჯონდომ ციღუს.

— კი, ასე იცის.

— რა ვქნათ, აბა? — ჰკითხა კვლავ ჯონდომ ციღუს.

— რაც გინდათ, ის ქენით, მე ყველაფერზე თანახმა ვარ.

— კაცო, მე კი არ უნდა ვქნა, თქვენ უნდა ქნათ, მე ქალის მამა ვარ, თქვენ უნდა მოხვიდეთ და წაიყვანოთ ქალი, როგორც წესი და რიგია, უჰ! — გაცხარდა ჯონდო.

— როდის უნდა ვქნათ მერე მაგი, ეგენი მოწაფეები რომ არიან, დაგავიწყდა?

უცებ ჭვატიას თვალები ცერის სიმსხო გაუხდა, ცხვირი გაუწითლდა, ყვითელი კბილები გადმოყარა და ენა ამოიდგა:

— მზევინარი ორ თვეში დაამთავრებს სკოლას. მე სწავლას მივატოვებ და საშოფროზე მივდივარ რაიონში... იმასაც ხელათ დავამთავრებ და ვიმუშავებთ ორივე.

— ამას საათივით აუწყვიათ ცხოვრება!—თქვა ციღუმ, — შევიდეთ ახლა სახლში ლობიოჭამიების სასიძო დავლოცოთ...

— აჰ არა, ახლა არა, — იუარა ჯონდომ, — მუხუდოჭამიების სა-
პატარძლოს დრო როცა მოვა, მაშინ დავლოცავთ მამაპაპურად.

ასე მშვიდობიანად დამთავრდა ჭვატიას ცოლის შერთვის ამბავი, გა-
მოინახა საშუალება, გამოძებნეს საერთო ენა და ციღუს ოჯახს ახალი
წევრი შეემატა — უფროსი რძალი.

ახლა ჭვატიას სამი ბიჭი ჰყავს, მეოთხეს დღედღეზე მოელის, გა-
სუქდა, კაცს დაემსგავსა ჭვატია, მზევინარმაც შეისხა ფერ-ხორცი, სხვა-
ზე ნაკლები არც ერთია და არც მეორე.

მთავარია, გამრავლდეთო, ეჩიჩინება შვილსა და რძალს ციღუ, და-
ნარჩენი ყველაფერი თანდათან იქნებაო. ჭვატიას ქერა ულვაშებში ეცი-
ნება და მეოთხე ბიჭის მოლოდინში მეხუთესაც გეგმავს გუნებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარკლაი დე ტოლის სიზმრები

გამოიდარა. პენსიონერებს დაუდგათ ამინდი — პარკში გრძელ სკამზე ჩამომსხდარან და ტკბილად თვლემენ, ბებერ ძვლებს მზეს აფიცხებენ. ახლა პარკი მოხუცებისაა, ბავშვები სკოლაში არიან, ახალგაზრდები — სასწავლებლებში, დედები და მამები — სამსახურში. პარკში სიჩუმეა, სიწყნარე, სისუფთავე. დალოცვილებს ყოველი კუთხე-კუნჭული დაუკარკარებიათ, შემოუსხეპ-შემოუქობიათ ბუჩქები, მწვანე ველობებზე ფერადი ყვავილები დაურგავთ. პარკი ჭრელ ხალიჩასა ჰგავს. ადამიანის ხელით ნალოლიავებ ამ ლამაზ ხეივნებსა და მწვანე კოროებს ისეთი ბარჩხალა მზე დაჰნათის, ჭადრების ხასხასა ფოთლებზე ისე ცეკვავენ ოქროსფერი სხივები, გული გაგინათდებათ.

ერთი ცვარი სიკეთე ჰყოფნის ადამიანს. კარგი ამინდი კარგ გუნებაზე აყენებს. განსაკუთრებით მოხუცებს უხარიათ გაზაფხულის დადგომა. მზე იმედია, მზე სიკვდილის მტერია. ყოველ შემოდგომაზე ნაღვლიანად ფიქრობენ, ამ ზამთარს თუ გავატანეთო?! როცა „ამ ზამთარს გაატანენ“ და გაზაფხულის მზე გამოანათებს, იმ ზამთრამდე ოავი ქუდში აქვთ.

ცის გულზე ოქროს გვირგვინოსანი მზე დაბრძანდება. პარკში მოხუცი პენსიონერები სხედან. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა ქალი დაადგორებს საგოგავს. შიგ მთვარესავით ბავშვი უწევს, ბავშვს ლოყები წითლად უღუის, ტკბილად სძინავს. პარკის ჭიშკართან კი ბევრი ხალხია — იქ ტკბილ წყალს ყიდიან ავტომატები. გამვლელები წუთით ჩერდებიან. ავტომატებს აჩხაკუნებენ, წყალს დალევენ და მიდიან. შორს, ყვავილებით მოქარგულ ველობებსა და შადრევნებს იქით, სადაც მწვანედ მოხასხასე თალარი იწყება, ცისფერ სკამზე მარტოკა ზის ერთი მოხუცი, ისიც გულდაგულ ეფიცხება მზეს, მაღლა რომელიღაც ხის კუნწუხოს მისჩერებია, გულხატულა ჩიტის ჭიკჭიკს უსმენს. ეს კაცი გახლავთ ბარკლაი დე ტოლი — დიმიტრი ბარკალაია. ბარკლაი დე ტოლი სამსახურში შეარქვეს, შეარქვეს და იმ დღესვე

პენსიაში გავიდა. ეს ამბავი სულ ახლახან მოხდა, ერთი წლის წინათ. ბოლო ხანს დიმიტრი პროფკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. და აი, სწორედ, „ბოლოს“ უმტყუნა რაღაცამ: ცოდნამ, ენერგიამ, ენერგიამ, ან ალბათ, გამჭრიახობამ. ბარკლაი დე ტოლი შეარქვეს. რატომ მაინცდამაინც დიმიტრის შეარქვეს ბარკლაი დე ტოლი? იქნებ გვარი ბარკალაია იყო მიზეზი? მაგრამ ამ გვარს ხომ მთელი სიცოცხლე დაატარებდა?

აფსუს დიმიტრი ბარკალაია!

საოცარია წუთისოფელი, ღმერთმა უწყის მისი ავან-ჩავანი; ჯადოსანი ბედის ჩარხს ხან ალმა ატრიალებს და ხან — დაღმა, ხან დედის თაფლივით ტკბილია, ხანაც — ნაღველაა, ხან აგაგორებს, ხან დაგაგორებს, ხან გატირებს, ხან გაცინებს. ჩვენ კი, მოკვდავთ, ეს „ხან“, როგორც ამოუხსნელი ლოგარითმი, წინ გვიდევს და ვერა გაგვიწყვია რა; ვერ გვიკითხავს: რათა? რისთვის? ან თუ გვიკითხავს, პასუხი ვერ მიგვიღია. შეუცნობელი გიბილიი აღმართულა ჩვენ წინ. მაგრამ მაინც არ ვცხრებით. დაჟინებით ვეძებთ მიზეზს — ცალი თვალით რად ტირის და ცალი თვალით რად იცინის ჯადოსანი. ზოგი ხელს ჩაიქნევს და ამბობს: „წუთისოფელი ასეა, ვის შეუძლია გამოიცნოს მისი ჯადოთილისმა“.

დიმიტრი ბარკალაიას თავის დროზე უფიქრია წუთისოფლის ჯადოთილისმაზე, სათანადო დასკვნაც გამოუტანია და უცხოვრია ისე, როგორც დაშვენდებოდა. ახლა არ იფიქრებს ამაზე, ახლა კეთილინებონ და ახალგაზრდებმა იფიქრონ, იმან იფიქროს, ვინც მას ბარკლაი დე ტოლი შეარქვა. დიმიტრი არაფერზე არ იფიქრებს, არაფერზე არ იზრუნებს, დაჯდება ხის ძირას და გულხატულა ჩიტს მოუსმენს, მზის მადლით ტკბილად და მშვიდად გაატარებს ცხოვრების უკანასკნელ დღეებს. ისე მშვიდად იცხოვრებს, ერთი ნერვიც არ შეუტოკდეს. უფლებაცა აქვს და პირობებიც: ორი შვილი გამოზარდა, გზაზე დააყენა. ბიჭები ოჯახს დროზე მოეკიდნენ. ცალ-ცალკე ცხოვრობენ ახალ ბინებში. დიმიტრის არ უნდა მათთან ცხოვრება, მარტო ურჩევნია. ამიტომაც თავის ძველ ბინაში დარჩა, ერთ ოთახში. დიმიტრი შვილებს არ შეაწუხებს, ჯერჯერობით ისე არ დაჩაჩანაკებულა, მარტო ცხოვრება ვერ შეძლოს, როცა დაბეჩავდება, შვილებს მაშინ შეეკედლება.

დღესდღეობით ეს ერთი ოთახი და თავისი პენსია ჰყოფნის. დიმიტრის დიდი პენსია აქვს, ამ პარკში არავის ეძლევა დიმიტრისოდენა პენსია. ჰოდა, დიმიტრი მშვიდად იცხოვრებს, კისერი და კინწი უტეხია ყველა მუქთახორას, მქირდავსა და მოკიცხარს. არც არასოდეს გაიხსენებს წარსულს, არც კარგსა და არც ავს. „ბარკლაი დე ტოლის“ სა-

მუდამოდ დაივიწყებს. თავის შვილიშვილებთან ერთად ივლის ცხოველთსაუფლოში, ხოლო როცა მათ არ ეცლებათ, როცა [illegible] ან მუსიკის, ან უცხო ენის გაკვეთილზე იქნებიან, დაჯდება ამ ცისფერ სკამზე და ჩიტების ჭიკჭიკს მოისმენს. როცა პაპანება ივლისი დადგება, ზღვას მიაშურებს, ცისფერი სკამები იქაცაა, ზღვის ნაპირას, კვიპაროსების ხეივანში.

პარკში სვენებ-სვენებით შემოდის ჯოხდაყრდნობილი მოხუცი. ეს ეროდია, დიმიტრის მეგობარი. ეროდი დიმიტრიმ ამ პარკში ხელახლა გაიცნო. თურმე ძველი ნაცნობები ყოფილან. ეროდი ის ადამიანია, ვინც დიმიტრის პირველი საუბრისას „ჰაჯან“ აღარ უთხრა, დიმიტრის არ უყვარს სიტყვა „ჰაჯან“. როცა პარკში პირველად შემოვიდა და პენსიონერებში გაერია, იფიქრა, ვინმეს გამოველაპარაკებიო, მობეზრდა მარტო ჯდომა. ვისაც დაელაპარაკა, ყველამ „ჰაჯან“ უთხრა. ადგა და ყოველთვის სხვა სკამზე გადაჯდა, იჩოჩიალა, იჩოჩიალა და ბოლოს ერთმა კაცმა უთხრა „ბატონო“. ეს კაცი გახლდათ ეროდი. იგი ხანიერი პენსიონერია, „ახალგაზრდა პენსიონერების“ დიდი მეგობარი. „ახალგაზრდები“ ახალ ყოფას ვერ ეგუებიან, დარდობენ. ეროდი მათ ამხნევებს, ასწავლის, როგორ გახადონ საინტერესოდ ახალი ცხოვრება — გამოცდილი კაცია. ეროდის პარკში ყველა იცნობს, მას ჭკუას ეკითხებიან, რჩევას თხოვენ, მხოლოდ ეგ არის, რომ ძალიან დაბერდა, დაუძლურდა, ჯოხდაყრდნობილი დადის. როგორც იქნა, მოაღწია დიმიტრის სკამამდე. მეგობარს მიესალმა. გვერდით ჩამოუჯდა. ჯოხს დაეყრდნო და გაირინდა, მიწას დააშტერდა.

— ცუდად ხომ არა ხარ, ეროდი?

— არა, დავიღალე.

კაშკაშა მზე დაჰნათის მოხუცებს. დიმიტრი სამართებლით იპარსავს თავს. შლაპა გვერდით უდევს სკამზე და გადაპარსული თავი მზეზე ულაპლაპებს. ეროდის ჯერჯერობით ახურავს შლაპა, მაგრამ ალბათ ისიც მალე მოიხდის. გუგულებივით სხედან მოხუცები და ხმას არ ღებენ. თითქოს თვლემენ, თითქოს ფიქრობენ, თითქოს ყურს უგდებენ ფოთლების ჩურჩულს, კაცი ვერ გაიგებს, სიტყვა ვერ გამოხატავს მათს ყოფას. რაღაც საოცარ სიჩუმეს და სიმუნჯეს ამკვიდრებენ პარკის ამ კუთხეში. ეროდი ნელა შეირხევა, თავს ასწევს, ფეხებს გაშხვართავს და გადააჯვარედინებს, სკამის საზურგეს მიეყრდნობა, ჯოხს გადაჯვარედინებულ ფეხებზე დაიდებს და ნელ-ნელა მიაბრუნებს თავს დიმიტრისაკენ.

— დაჭმახდება ის ღვინო...

ეროდის ერთი გასაჭირი ადგას: სოფლიდან ნათესავმა ადესა გა-

მოუგზავნა; ველარ დალიეს. დიმიტრიმ უთხრა, ადესა ტარანთან და ღომთანაა კარგი. ღომს ჩემი რძალი გაგვიკეთებს. ოღონდ ტარანი ვიშოვოთო. ტარანი ველარ იშოვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წუხელ გავსინჯე, ყაპი მოსდებია... — თქვა კვლავ ირ0დიმ. ხელნელა ხელი თავისკენ წაიღო და შლაპა მოიხადა, იმანაც გვერდით დაიდო. მოხუცს კეფა და კინკრიხო მოტიტვლებია, ზედ რამდენიმე ღერი თეთრი ბუწუწი შერჩენია.

— ტარანი თუ ვერ ვიშოვეთ, გინდ გვქონია და გინდ არა ადესა, — თქვა დიმიტრიმ და გაჩუმდა. გაჩუმდა და გაჩუმდა. ირ0დიც გაჩუმდა.

დიმიტრის უნდა მეგობართან საუბარი, მაგრამ ერიდება. თავის გასაჭირს ვერ გაუმხელს. ვინ იცის, რას იფიქრებს ირ0დი. აკი ერთხელ ვერ გაუგეს და დასცინეს, ბარკლაი დე ტოლი შეარქვეს. ამიტომ სიჩუმეს არჩევს. ისე იქცევა, თითქოს აწუხებს უტარანობა. დიმიტრის გასაჭირი უფრო რთულია, უფრო მძიმეა: ღამე მშვიდი ძილი არა აქვს. დღისით ახერხებს მშვიდად ცხოვრებას, ღამე კი, რომ დაეძინება, ალბათ ჭკუასაც სძინავს და ჰაიდა, ჩვენს დიმიტრის ეშმაკი საითაც მოეპრიანება, იქით მიაქანებს.

არა აქვს ღმერთს სამართალი, კაცმა მთელი ცხოვრება ისე გაატარა, რა სიზმარი, რის სიზმარი — აღარც კი ახსოვს, ჰქონია კი ოდესმე სიზმარი? როცა მთებში კოლექტივს აფუძნებდა, კურსკთან და ორიოლთან ბლინდაჟებში ეძინა, მაშინ აღარაფერი მოლანდებია და ახლა რაღა დროსია, რაღა დროს შფოთვა და ბორგვაა! არც არავინ ებრძვის, არც არავის ებრძვის. ბრძოლა დავამთავრეო, გადაწყვიტა, მშვიდ ცხოვრებას შეუდგა და ახლა არ აუფორიაქდა სულეთი?

ოო, საარაკო ამბავი სჭირს დიმიტრი ბარკალაიას! თითქოს წარსული უკან მოსდევს — მაუზერებისა და ავტომატების ჯერით, ქვემეხების ბათქით, ფერადი მაშხალებითა და წითელი დროშების ფრიალით მოსდევს წარსული. ამაში არაფერია ცუდი. პირიქით, სიამოვნებას ჰგვრის წარსულის გახსენება. მაგრამ წარსულის მრუდე სარკეში დანახვა არ შეუძლია, ვერ აიტანს, ვერ გაუძლებს, სიზმარში გაუსკდება გული. სიზმარია მისი გულისბუხარი. „სიზმარი ხომ ციდან არ მოფრინავს, — ფიქრობს ბერიკაცი, — იგი ხომ ჩემი სულის ანარეკლია. მაშ, რად არის მრუდე, რად არ არის სინამდვილე, მე ხომ სინამდვილე ვარ, სინამდვილის ანარეკლი სიცრუე რად უნდა იყოს? სად არის ძაღლის თავი დამარხული?!“

პენსიაში გასვლის შემდეგ კარგა ხანს ნერვიულობდა — არ მოსწონდა თავისი ახალი ყოფა, უსამსახუროდ უჭირდა, გაბრაზებული იყო,

არავის იკარებდა, მთელ ქვეყანას აუმხედრდა. დრომ თავისი გაიტანა. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ნელ-ნელა დიმიტრიც მიეჩვია წყნარ ცხოვრებას. მაგრამ წარსულმა არ მოასვენა, წარსული უკან გამოედევნა.

ერთ კვირა საღამოს დიმიტრი ადრე დაწვა. მთელი დღე შვილიშვილებთან ერთად ზოოპარკში გაატარა, დაიღალა და ფეხი გამართა. დიდხანს არ დაეძინა, ფიქრი აეკვიატა; ამღვრეული ფიქრი კი არა, ჩიტივით ფრთხიალა, მსუბუქი ფიქრი: უმცროსი შვილიშვილი, პატარა მიხა ძალზე ჩამოჰგავდა — თავის ბავშვობას აგონებდა. დიდხანს ფიქრობდა მიხაზე, სახელიც თვითონ დაარქვა, თავიდანვე რატომღაც თვალი დაადგა. ყოჩაღი ბიჭი იყო მიხა, ცოცხალი, მოუსვენარი, ჯანსაღი. მიხაზე ფიქრში ჩაეძინა, ჩაეძინა და ქვემეხების გუგუნი ატყდა. კურსკის ბრძოლა დაესიზმრა. მაშინ დიმიტრი ბატალიონის მეთაური იყო. ცა ფაშისტური მესერშმიტებით მოიჭედა, სეტყვასავით წამოვიდა ყუმბარები. ცეცხლის წვიმაში წინ მიიწევს დიმიტრის ბატალიონი. დიმიტრი ისე ომახიანად იძლევა ბრძანებებს, თითქოს შიშს ერეკება, თავის ჯარისკაცებს შიშისაგან იცავს; დიმიტრის შიშის უფრო ეშინია, ვიდრე ყუმბარების.

დიმიტრის ბატალიონმა საბრძოლო ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა. მტერი უკუიქცა...

ბატალიონი ისვენებს... ხარობენ ბიჭები. სარდლობამ მათ მადლობა გამოუცხადა. უცებ დიმიტრის ატყობინებენ, რომ ჩამოდის პრეობრაჟენსკი... სიზმარში ყველაფერი ისეა, როგორც ცხადში იყო. დიმიტრიც ძილში კმაყოფილი იღიმება. როგორც კინოს, ისე უყურებს საკუთარ სიზმარს; ტრიალ მინდორზე ჯარისკაცები ჩამწკრივებულან. დიმიტრი ხედავს, რომ მათ სამი კაცის თანხლებით დინჯი ნაბიჯებით უახლოვდება პრეობრაჟენსკი. დიმიტრი იძლევა ბრძანებას:

— Смирно!

დიმიტრის მოეწონა თავისი ხმა. მჭექარე, კარგი ტემბრის მრისხანე ხმა გაისმა ტრამალზე, ჯარისკაცებმაც კარგად შეასრულეს ბრძანება. პრეობრაჟენსკი შორიახლოს დგას და თვალყურს ადევნებს ბატალიონს.

ახლა დიმიტრიმ უნდა თქვას ორი სიტყვა „Ровнение направо". ამ ბრძანების გაცემისას მთავარია „напра" გამოითქვას მკაფიოდ, მქუხარედ, ვაჟკაცურად. დიმიტრის სწამს ძველი ქართული წესი: ვაჟკაცს უნდა გააჩნდეს სამი რამ — მკლავის ძალა, მჭექარე ხმა და მართალი გული. დიმიტრის სამივე აქვს, ამის გამოჩენაა საჭირო.

„Напра“ ისე უნდა წარმოთქვას, შიშის ზარი დასცეს მთელ გერმანიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— Ровнение!..

ზარივით დარეკა დიმიტრის ხმამ ტრიალ მინდორში. შეისვენა, განგებ ჩამოაგდო პაუზა, პაუზა ბრძანებას მეტ ელფერს აძლევს.

— „Напра“!.. — უცებ იქუხა დიმიტრიმ. მართლაც რომ მშვენიერი ხმა ჰქონდა! როცა დიმიტრიმ „напра“ დასჭექა, პრეობრაჟენსკი თურმე იმ წუთში მზად იყო, დიმიტრისათვის გენერლობა მიეცა.

— Во!..

შესძახა მეთაურმა და... საოცარი რამ მოხდა: ბატალიონმა თავი მარცხნივ მიაბრუნა. ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდა. დიმიტრიმ მაშინვე მიაყოლა „отставить!“ მაგრამ, როცა ხელახლა, ჩვეული ოსტატობით გასცა ბრძანება, მარჯვნივ სწორდითო, ბატალიონმა კვლავ მარცხნივ მიაბრუნა თავი. პრეობრაჟენსკი მოიქუფრა. დიმიტრიმ დაინახა, როგორ შეჰყარა წარბები დივიზიონის მეთაურმა. აკანკალებულმა კვლავ გასცა ბრძანება, მაგრამ ბატალიონმა არაფრისდიდებით მარჯვნივ არ გაიხედა. იქ კი წარბშეკრული პრეობრაჟენსკი იდგა და დიმიტრის გაკვირვებული შესცქეროდა. „შეუძლებელია, წარმოუდგენელია, — ფიქრობდა დიმიტრი ძილში. — ასეთი რამ არ ხდება, არც ერთ ჯარისკაცს ქვეყნის ზურგზე აზრად არ მოუვა, ჯიბრზე თავი მარცხნივ მიაბრუნოს“. ამ კამათში და დავიდარაბაში გამოეღვიძა. გული ბაგაბუგით უცემდა. შეწუხდა. ძალზე შეწუხდა. ვერაფრით ვერ ახსნა სიზმარი.

პრეობრაჟენსკი მინსკთან ბრძოლაში დაიღუპა. კარგი ვაჟკაცი იყო. დიმიტრი ძალიან უყვარდა. გარდაცვლილი მეგობრის უცნაურმა გამოცხადებამ ცუდ გუნებაზე დააყენა. სიზმარი სისულელეაო, დაასკვნა. ეს „სისულელე“ კი რატომღაც ღრმად ჩაებეჭდა გონებაში. ამის შემდეგ ბევრჯერ დაუფრთხო ძილი შეტევაზე გადმოსულმა ფაშისტურმა „ვეფხვმა“, მაგრამ სიზმარი არ დამახსოვრებია. როცა ბარკლაი დე ტოლი შეარქვეს, იმ საღამოს ჰქონდა კიდევ ცუდი სიზმარი და ის დაამახსოვრდა.

ვითომ დუნაი უნდა გადაელახათ. გერმანელმა არტილერისტებმა დილიდანვე გახსნეს ცეცხლი და ჩვენებს სულის მოთქმის საშუალება არ მისცეს, საბჭოთა მეომრები ვერსაიდან ვერ მიუდგნენ მდინარეს. ფაშისტებმა მთელ საარტილერიო ძალებს მოუყარეს თავი და მტკიცე ზღუდე აღმართეს. საჭირო იყო დროებით შეტევის შეწყვეტა და მანევრი — ათიოდე კილომეტრით სამხრეთისკენ ფრონტის გაშლა. დი-

მიტრის წინადადებით მოეწყო ეს სტრატეგიული მანევრი. დიმიტრი მაშინ უკვე ბატალიონის მეთაური იყო. სიზმარი სინამდვილეს შეეფერებოდა მაგრამ ასე როდი გაგრძელდა. უცებ მდინარის ნაპირას ბიჭაც თეთრი ცხენით მოიჭრა, ცხენი ყალყზე შეაყენა, არმია დუნაის ნაპირას გრძელ კოლონებად ჩამწკრივდა და ცხენოსანმა სიტყვა წარმოთქვა. ეს იყო ნაპოლეონი და ნაპოლეონი იყო დიმიტრი. დიმიტრის რცხვენოდა, რომ ნაპოლეონი იყო. ნაპოლეონობის კი არ რცხვენოდა, ნაპოლეონი რომ არ იყო და ჯარს ნაპოლეონად რომ მოევლინა, იმის რცხვენოდა. ტყუოდა, უსირცხვილოდ ტყუოდა მხედართმთავარი, „არაფერია, სიზმარია!“ — თავს იმშვიდებდა ძილში დიმიტრი, „ახლა გავიღვიძებ და მორჩა“. მაგრამ ნაპოლეონი-დიმიტრი არხეინად განაგრძობდა ორატორობას. მაშინ დიმიტრი გაბრაზდა და ცხენოსანს შესძახა: „ამხანაგო ნაპოლეონო! მე არასდროს ვყოფილვარ შენი მსგავსი, სურვილიც კი არ მქონია, ნაპოლეონი ვყოფილიყავ! შემოატრიალე შენი თეთრი ცხენი და წაბრძანდი შენს ქვეყანას!“

ნაპოლეონთან კამათში გამოეღვიძა.

წუხელ კვლავ შეახსენა თავი წარსულმა. მთელი ღამე სტალინგრადის ბრძოლა ესიზმრებოდა. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ დიმიტრი სტალინგრადის ბრძოლის გმირია. პაულიუსის ჯარისკაცებმა დიმიტრი ბარკალაიას ფეხებთანაც დაყარეს ფაშისტური დროშები. პაულიუსის ტყვედ ჩაგდებისათვის, სხვებთან ერთად, დიმიტრიმაც დაიმსახურა ერთი კაცის მადლობა. „ერთი კაცის მადლობას“ დიმიტრი შინ, თეთრი კიტელის ჯიბეში ინახავს. კიტელი და წითელკანტიანი ლურჯი შარვალი ძალიან უყვარს, მაგრამ არ იცვამს. შვილები არ აძლევენ ნებას, რა დროს კიტელიაო. დიმიტრიც ხათრს არ უტეხს ახალგაზრდებს და კოსტუმს იცვამს. კიტელი კი მოწიწებით უკიდია კარადაში. ამ კიტელის გულის ჯიბეში უდევს ის მადლობა. ხომ ყველამ იცის სტალინგრადთან დიმიტრის გმირობის ამბავი, დიმიტრის სახელი ალბათ ისტორიაში ჩაიწერება, სიზმარი კი აღარ ცნობს არც ისტორიას, არც იმ მიღებულ მადლობას და... დიმიტრი ბატალიონს კი არ მეთაურობს, ცეცხლის ხაზზე კი არაა, სამზარეულოშია და კარტოფილს თლის. სამზარეულო ვითომ ზურგშია. სტალინგრადიდან მოშორებით. სტალინგრადში საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალიზმის ბედი წყდება და სახელგანთქმული მეთაური, ორდენოსანი დიმიტრი ბარკალაია სამზარეულოში კარტოფილს თლის, ხარშავს და მიირთმევს, თანაც თვალებს აცეცებს, ვინმემ არ დამინახოს, სამზარეულოში რომ ვიმალებიო.

ხომ შეიძლება ამ დროს გული გაუსკდეს დიმიტრი ბარკალაიას?!

გაუკულმართებული წარსულის ზმანებამ გაუჩინა ალბათ რკინისავით ჯანმრთელ კაცს სისხლის წნევა, გულის სისხლძარღვთა დაავადება, მენჯის ძვლების ანთებაც კი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ცხადში დიმიტრი მაინცდამაინც არ განიცდის, არ ნერვიულობს, რომ წუხელ ცუდი სიზმარი ჰქონდა. მისთვის სიზმარი არაფერია, არ სწამს, არ სჯერა, არც ნერვიულობს. ძილში ნანახი უნებლიეთ თუ გაახსენდება, „სიზმარი სისულელეაო“, ზედ იარლიყივით მიაკრავს დასკვნას და მოგონებათა, გახსენებათა, ჩვენებათა და ზმანებათა არქივში გადაუძახებს. ძილში კი დასკვნის გამოტანა უძნელდება. სიზმარი სინამდვილე ჰგონია, გაუკულმართებული წარსული ისე დამაჯერებლად ეზმანება, ძალზე ძნელია არ იწამო, არ დაიჯერო, არ ინერვიულო. ზოგჯერ შუა ძილში შესძახებს ხოლმე, „ეს ხომ სიზმარია, სიცრუე და სისულელეო“, მაგრამ შეძახილი შეძახილად რჩება და სიზმარი — სიზმრად. თუ ძილში იკამათე, იბრძოლე და იშფოთე, რაღა ძილია, რაღა დასვენებაა. სულიერ სიმშვიდეს დიმიტრი დღისით პოულობს თავის შვილიშვილებთან ცხოველთსაუფლოში, ან ამ ხეივნებს შეფარებული, იროდისთან ერთად, მზეზე მთვლემარე. ზოგჯერ ფიქრი წამოეპარება, უნებლიეთ საიდანღაც, როგორღაც ტვინში ჩაუძვრება და ააფორიაქებს, მოგონებებს აუშლის. სიზმარივით შემპარავია ფიქრი, არამკითხე მოამბე, აბუჩი სტუმარი. იროდიმაც იცის ბებრული გარინდება, ძილღვიძილში თვლემა და წარსულთან ტუტუნი. მაგრამ იროდი თავის ფიქრებს, სიზმრებს, მოგონებებს არ მალავს, მაშინვე მოუყვება მეგობარს. გასაოცარი ის არის, რომ მათი ფიქრი, სიზმარიც კი, თუ კაცი კარგად ჩაუკვირდება, ერთნაირია. დიმიტრი არ აკვირდება იროდის ნაამბობს, ხეირიანად არც უსმენს. ჰგონია, რომ იროდი ზერელე კაცია.

ცისფერ სკამზე მდუმარედ სხედან მოხუცები. სკამის საზურგეს მიყრდნობილები ყურს უგდებენ წარსულს. თითქოს პარკში კი არა, წარსულში სხედან, ორივეს თავი მზეზე ულაპლაპებს, ორივეს შლაპა გვერდით უდევს. საიდანღაც ერთი ფუტკარი შემოიჭრა პარკში, ჯერ დიმიტრის ლაპლაპა თავს უტრიალა, შემდეგ — იროდისას. მოხუცებს ფუტკარი არც კი შეუმჩნევიათ, ფუტკარმაც თავისი გზა მონახა, ყვავილებს მიაშურა.

— დაცხა, ჩრდილში დავსხდეთ, — თქვა დიმიტრიმ და შლაპა აიღო. იროდიმაც აიღო შლაპა, ჯოხს დაეყრდნო და წამოდგა. მოხუცები თალარში შევიდნენ, იქ ჩამოსხდნენ ცისფერ სკამზე. ძალზე ლამაზი თალარია, გრძელია და სილამაზეს ეს სიგრძე მატებს. ვაზის თამამი ყლორტები რკინის ლატნებსა და მავთულებზე სხედან, თავაწეულ

მწვანე ხვლიკებს ჰგვანან, თითქოს სადღაც უნდა გაიქცნენო. ამნი ათამამებს ვაზის ხასხასა ყლორტებს, ღონიერი ვაზი მიწის გულიდან ნაირ-ნაირ ხილთებს ეჭაჩება, გაზაფხულის ნექტარს ეფერება — უმხაპუნებს და მზის გასახარად, მზის გულზე მწვანედ [illegible] ამებული ყლორტები კი, ჩარდახიდან ძირს არ ჩამოვვარდეთო და, ერთმანეთს ხვიარა ულვაშით ეჭიდებიან, რკინის ლატნებსა და ბოძებს გარს ევლებიან და ვიდრე ქინძის თესლის ოდენა ისრიმს დაბერავდნენ და ჯადოსნური წვენით დაავსებდნენ, ადამიანთათვის მშვენიერ გრილოს აფენენ. მოხუცებს ახლა მზეზე უფრო ეს გრილო სიამოვნებთ. სხედან და დასიცხულ სხეულს იგრილებენ.

— დაჭმახდება ის ღვინო, — თქვა კვლავ დიდი ხნის დუმილის შემდეგ ირეოდიმ. დიმიტრისაკენ თავი აღარ მოუბრუნებია. თავისთვის ჩუმად ჩაილაპარაკა.

— რუბენა თუ ნახე? — ჰკითხა დიმიტრიმ ირეოდის.

— ვნახე, არა მაქვსო.

— რუბენას ექნება, გვატყუებს...

— მიდი სორდიასთან, ვაჭრობაში...

— რა ვუთხრა მერე?

— ტარანი აქვს რუბენას და მოგვცეს-თქო.

— ამხელა კაცმა ტარანი ვიმათხოვრო?

— მე მივალ შენი სახელით.

— ჩემი სახელით ჯერ მე დავდივარ...

დიმიტრი გაჩუმდა. ირეოდიც გაჩუმდა, მაგრამ მეგობრისათვის თვალი არ მოუცილებია.

— დიმიტრი, — დაიწყო მშვიდად ირეოდიმ, — აწი შენ მარშლობას არავინ მოგცემს... ვერც ვერავინ დაგაქვეითებს, ადექი და მიდი სორდიასთან. ტარანს თურმე ის კაცი ანაწილებს.

— ჭანჭალეიშვილთან მივალ.

— გუშინ აბა, ვისთან იყავი?

— გუშინ არ დამხვდა.

— ჯანდაბას, ჭანჭალეიშვილთან მიდი, დაურეკავს ალბათ სორდიას.

— გობრონიძემ არ დაურეკა? — ჰკითხა დიმიტრიმ ირეოდის.

— არა. დავურეკავო მითხრა, მაგრამ მომატყუა.

— იქნება მართლა არა აქვთ, ირეოდი, ტარანი, და შენ გეჩვენება.

— ჩემი თვალით არ მენახა, არ დავიჯერებდი, ერთი მანქანა მოიტანეს რუბენასთან, იქ ვიყავი, როცა მანქანას ცლიდნენ.

— აბა, რად არ ჰყიდიან, ვის უნახავენ?

— იძიე ახლა, ვის უნახავენ, რად არ ყიდიან, ამასობაში გათავდება ის ტარანი და მერე როდის მოიტანენ, ღმერთმა უწყის. ადექი ხა-ხა-დი, შე კაცო, სორდიასთან. სორდია ტარანს დაგიკავებს?..

— ჭანჭალეიშვილთან მივალ.

— რაც გინდა, ის ქენი, — გაბრაზდა ირონდი, — ვიყო დიმიტრი ბარკალაია, მე ვიცი, ვისთან მივიდოდი და რას ვიზამდი!..

— რას იზამდი ვითომ!

— მივიდოდი სორდიასთან და ტარანს ვიშოვიდი.

— ჭანჭალეიშვილთან მივდივარ! მორჩა და გათავდა!

დიმიტრიმ შლაპა დაიხურა და წამოდგა.

— დამელოდები?

— აქ დაგელოდები.

დიმიტრი დინჯად გაუდგა გზას, პარკი გადაჭრა და ქუჩაში გამოვიდა. ქუჩის მეორე მხარეს თეთრი შენობის სადარბაზოში შეჰყო თავი. მოაჯირიან კიბეს სვენებ-სვენებით აუყვა. გრძელი დერეფანი გაიარა და შავი კარი შეაღო. მოსაცდელში ბევრი ხალხი არ იყო. დიმიტრიმ მდივანს თავისი სახელი და გვარი უთხრა. მდივანმა ტყავგადაკრული შავი კარი შეაღო და უკან სწრაფად გამობრუნდა. დიმიტრის უთხრა: მიბრძანდითო. ჭანჭალეიშვილი დიმიტრის გულთბილად შეხვდა.

— ჰმ, ტარანი! ტარანი! — ჩაიცინა ჭანჭალეიშვილმა და ნერწყვი გადაყლაპა, — თათეიშვილს დავურეკავ, სორდია თათეიშვილს უარს ვერ ეტყვის.

ჭანჭალეიშვილმა ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა.

— გამარჯობათ, მიხეილ ვასილიჩ...

„გაუმარჯოს ჩემს სერგოს," — დიმიტრიმ თათეიშვილის ხმა გარკვევით გაიგონა. ჭანჭალეიშვილმა ყურმილი დაიშორიშორა, მიკროფონივით ხმა ჰქონდა ყურმილს.

— ერთი სათხოვარი გვაქვს, მიხეილ ვასილიჩ, აქ ახლა ჩემთან არის ჩემი მეგობარი დიმიტრი ბარკალაია, იქნებ თქვენც იცნობთ.

„ოო, ბარკლაი დე ტოლი! მაგას ვინ არ იცნობს!.."

დიმიტრის ელდა ეცა. ნეტავ მიწა გასკდომოდა და აქ არ მოსულიყო. „ნუთუ მთელი თბილისი მეძახის ბარკლაი დე ტოლის?" ცივმა ოფლმა დაასხა. არ ეგონა, თანამშრომლებს გარდა, ვინმემ თუ იცოდა მისი მეტსახელი.

— ჰოდა, დიმიტრი გვთხოვს ტარანს. თურმე სორდიას ჰქონია...

„ოჰ, ტარანი, ტარანი! ახლა კარგია ტარანი! ახალ ტყემალთან, ჰა,

სერგო!.. ახლავე დავურეკავ სორდიას, არ დადო ყურმილი, მეორე ტელეფონით დავურეკავ... დიმიტრი ოქრო კაცია, მომიკითხე".

ჭანჭალეიშვილმა ყურმილს ხელი დააფარა და დიმიტრის თათეიშვილის მოკითხვა გადასცა.

— დიდი მადლობა, ბატონო! — ჩაიდუდუნა დიმიტრიმ.

„გამარჯობათ, ევგრაფი დომენტიჩ!" — გაისმა ისევ ყურმილში.

— სორდიას ელაპარაკება, — უჩურჩულა ჭანჭალეიშვილმა დიმიტრის, — ხომ გესმის?

ჭანჭალეიშვილმა ყურმილი დიმიტრისაკენ შეაბრუნა, მოხუცს თავისი ყურით რომ მოესმინა, რა კეთილად იყო განწყობილი თათეიშვილი ჭანჭალეიშვილისადმი და დიმიტრისადმიც.

„ერთი სათხოვარი გვაქვს მე და ჭანჭალეიშვილს"... „ტარანი გვინდა". „ცოტა, ერთი ორი კილოგრამი... ტარანით ჩვენ არ ვივაჭრებთ, ქეიცი!.." „ვისთან?"... „რუბენასთან? ვინ ჯანდაბაა რუბენა?.. ჰო, ჰო, ვიცი, როგორ არა. შენი სახელით მივალთ... დიდი მადლობა... დიდი მადლობა... ხომ გესმოდა ყველაფერი!.."

— მესმოდა, ბატონო, დიდი მადლობა, — ჩასძახა ყურმილში ჭანჭალეიშვილმა, — მაშ, სორდიას სახელით მივიდეს რუბენასთან, თევზის დიდი მაღაზია რომაა... დიდი მადლობა, მიხეილ ვასილიჩ.

ჭანჭალეიშვილმა ყურმილი დადო. ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. ძორძოყინა კაცი იყო, ღიპი გულის კოვზიდან ეწყებოდა, თანდათან უგანიერდებოდა, მაგრამ ჭიპის ქვევით ცოტათი უვიწროვდებოდა და ცხვრის დუმის ოდენა ჩუმპი ფენა-ფენად ზედ ბოქვენზე ეკიდა. მთელ ამ ტვირთს დიდი გაჭირვებით ამაგრებდა შემოჭერილი, განიერ მენჯის ძვლებზე დაკიდებული და კინტოსავით წინ ჩამოწეული ძიქვა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ბუნებით ძვალმსხვილი კაცი იყო და ღმერთს უხვად დაეჯილდოებინა ფერ-ხორცით, ხოლო ყველაფერ ამას თუ მის სიმაღლესაც მივუმატებთ, არ გაგიკვირდებათ მისი წონა: ას ოც კილოგრამს იწონიდა ჭანჭალეიშვილი. ბუნებრივია, ასეთი ქარახინა კაცი ერთ ტანმორჩილ ცხვარს ისე შეჭამდა, ვითომ, ქათმის ფრთა გაწიწკნაო. კარგად ნაჭამ-ნასვამი ჭანჭალეიშვილი კი საოცარი სანახავი იყო — იწვებოდა კაცი, ხელიც რომ არ გაენძრია, ორი სამი საათი შუბლზე ხვითქი გადასდიოდა — საჭმლის მონელება უჭირდა. ხოლო ამ დროს თუ რამ საქმე გამოუჩნდებოდა, მტრისას და ავისას! როგორც წითელი პარტახტი, ლოყებსა და შუბლზე წითელ-ყვითელი ფორეჯები დაასხდებოდა, ნოლა ცხვირზე, შუბლსა და კისერზე ცერის სიმსხო ოფლს დაასხამდა. იცოდა, რომ ასე მოუვიდოდა,

მაგრამ დიმიტრისათვის თავი არ დაზოგა — ტარანი უშოვა. როცა ყურ-
მილი დადო, შუბლიდან ოფლი რომ მოიწმინდა, დიმიტრიმ მის სახეზე
ამოიკითხა: ხომ ხედავ, რა ჯაფა დამადგა, მაგრამ შენთვის არა მეშურება.
ასეთი მეტყველი გამოხედვის შემდეგ ჭანჭალეიშვილმა ამაყად თქვა:

— ესეც ასე!..

— დიდი მადლობა, ჩემო სერგო! — ფეხზე წამოდგა დიმიტრი და ჭანჭალეიშვილს გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

ჭანჭალეიშვილმა ქშენა-ქშენით დიმიტრი კაბინეტის კარამდე მიაცილა, კიდევ ერთხელ ჩამოართვა ხელი და უთხრა:

— გამომიარეთ, დიმიტრი ჩემო, ნუ მომერიდებით, მიმსახურეთ, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი.

ჭანჭალეიშვილმა რატომღაც გადაიხარხარა. სრულიად უადგილო და უაზრო იყო ეს სიცილი. დიმიტრიმ მის სახეს თვალი მოარიდა, შავი კარი გამოიხურა, შლაპა პრიალა თავზე დაიდო და დაღონებული კიბეს ჩაუყვა. როცა ქუჩაში გამოვიდა, გაიფიქრა, „მოსაკლავი მყავს ირიდი“.

დიმიტრის და ირიდის მაღაზიაში რუბენა არ დახვდათ. აქ იყო, საცაა შემოვაო, უთხრეს თანამშრომლებმა. მაღაზია ერთ დიდ ოთახში გაეწყოთ. ოთახი ფართო იყო და მაღალჭერიანი. ერთი კედლიდან მეორემდე გრძელი დახლი გაეჭიმათ, დახლის იქით თეთრხალათიანი თევზის გამყიდველები ვაჭრობდნენ. ეტყობოდა, მაღაზიას რამდენიმე განყოფილება ჰქონდა, ერთ კუთხეში ლუდსაც კი ჰყიდდნენ. იქ ხალხი ბუზივით ირეოდა. დიმიტრიმ და ირიდიმ უფრო თავისუფალი კუთხე შეარჩიეს და ფანჯარასთან წაქცეულ კასრზე ჩამოსხდნენ. მათ წინ თევზის კონსერვები და პაპიროსები იყიდებოდა, არავინ ყიდულობდა კონსერვებს. დახლიდარი იჯდა და ჭუჭყიანი ხელებით ჭამდა ძეხვსა და პურს. ირიდიმ ჯოხი მოიმარჯვა, წამოდგა და კონსერვის გამყიდველთან მიხუსხუსდა.

— შვილო, თუ რუბენა, ღმერთმა ქნა და, გამოჩნდა, ამ კარებში უნდა შემოვიდეს, არა?

— სხვა კარი ამ მაღაზიას არა აქვს, — უთხრა ცივად კონსერვის გამყიდველმა და პური მაგრად ჩაკბიჩა.

— მაშ, რუბენა ამ კარებში შემოვა და აქ ჩაივლის? — არ მოეშვა ირიდი. დახლიდარმა თავი დაუქნია, ირიდი ჩაფიქრდა, რამდენიც არ უნდა ეფიქრა, სხვა გზა არ იყო, დიმიტრის გვერდით კასრზე უნდა ჩამომჯდარიყო და რუბენას დალოდებოდა. ასეც მოიქცა, გაუნძრევლად, ჩუმად ისხდნენ მოხუცები, დიმიტრი ბრაზობდა. რუბენაზე კი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა, თავისთავზე, ირონდის რომ აჰყვა და ტარანის შოვნა საქმედ გაიხადა.

— არ მოვა რუბენა, — თქვა დიმიტრიმ.

— თუ არ მოვა, ავდგები და წავალ სახლში.

საიდანღაც გრძელტარიანი ცოცხით, ტაშტითა და ჩვრით ხელებდაკაპიწებული ქალი გამოძვრა და თავისი ბარგი-ბარხანა დიმიტრის ფეხებთან დაუწყო. კონსერვის გამყიდველმა კარები ჩაკეტა და ხალხს გამოუცხადა, შესვენებაო.

— აჰა! ხომ ხედავ! გავიდეთ აქედან, ვიდრე კინწისკვრით გაგვაგდებენ! — თქვა დიმიტრიმ, წამოდგა და კარებისკენ გაემართა, ირონდიც უკან მიჰყვა. ზედ კარებთან რუბენა არ შეეჩეხათ? ჰო, როგორ გაიხარა ირონდიმ!

— აა... არ მოვაო! — შესძახა გახარებულმა და ჯოხის კაკუნ-კაკუნით რუბენას მაღაზიაში შეჰყვა. დიმიტრი გარეთ დარჩა. დიდხანს აღარ უცდია. ტარანით დატვირთული ირონდი მაღაზიიდან მალე გამოვიდა. მოხუცები შინისაკენ ნელა გაუდგნენ გზას.

საღამოს ირონდიმ დიმიტრის ოთახში ადესა მოიტანა. დიმიტრის რძლისთვის დაერეკა, რძალს ვახშმის თადარიგი დროზე დაეჭირა და, როცა ირონდი შემოვიდა, ღომი უკვე სამზარეულოში თლუყთლუყებდა. დიმიტრიმ ნარდი გამოიტანა.

— არ მომიყვანა მიხა ჩემმა რძალმა. გაგაცნობდი, იცი, რა ვაჟკაცია? გამოხოხებული ბარკალაიაა!

— რამხელაა?

— მეორე კლასშია, ახრჩობენ ბავშვს, ეს მუსიკაო, ეს ინგლისურიო... მეცადინეობსო და არ მომიყვანა.

— ჩემები დიდები არიან, უკვე აღარ უნდათ ბაბუა.

— მეც ის ერთი შემრჩა, დანარჩენები ვეშაპებივით გაიზარდნენ. ხვალ ჩემია მიხა, ხვალ კვირაა, შენც ხომ არ წამოხვალ ზოოპარკში?

— წავიდეთ რა!.. გააგორე.

დიმიტრიმ კამათელი გააგორა.

— ეს შაში... ეს დუ...

ირონდის თვალებში სინათლე აკლდა. ამიტომ, დიმიტრის ნებას არ აძლევდა, ვიდრე კამათელს გულდინჯად არ გასინჯავდა, ეთამაშა.

— ვითამაშო?

— ითამაშე, ბეშდორთია!

დიმიტრის რძალმა სუფრა გაშალა, იროდიმ ნარდის თამაში შეწყვიტა. დიმიტრიმ ღვინო დოქით შემოიტანა და მაგიდაზე დადგა.

— ჩამოვასხამ, მამა, სირცხვილია. ამხელა დოქს სად დავდგამთ? — შეიცხადა რძალმა.

— აგერ დავდგამ, ა... — დიმიტრიმ რძალს უჩვენა, სუფრის შუაგულში დავდგამო, — შეხედეთ, რა ეშხიანი ყელი აქვს, როგორ დაამშვენა სუფრა. სად იშოვე ასეთი კარგი დოქი? — ჰკითხა დიმიტრიმ იროდის.

— დოქიანად გამომიგზავნეს.

— ქრთამი ხომ არ არის, იროდი. არ წამწყმიდო!

— კაი გუნებაზე დაგაყენა სუფრამ, გულდაღრიანო!

— მამა, თუ არ გჭირდებით, მე წავალ, მეჩქარება, — უთხრა დიმიტრის რძალმა.

— წადი, შვილო, წადი, ხვალ გამოგივლით და მიხას წავიყვან ზოოპარკში. რძალი წავიდა. დიმიტრიმ ღვინო პატარა ჭიქებში ჩაასხა.

— აბა, დავილოცოთ, სადა აქვს, ბიჭო, ყაპი?

— ეს შენ გაგიმარჯოს, ჩემო დიმიტრი!

— გაგიმარჯოს, იროდი! ტყემალი ბლომად დაისხი, მკვდარს გააცოცხლებს.

მოხუცებმა თავი თეფშებში ჩარგეს.

— ხომ კარგია ტარანი, დიმიტრი?

— კი, ტარანი კარგია, მაგრამ რუბენა არ ვარგა.

— ტარანი თურმე ასტრახანშია ბევრი.

— მოდი ახლა, გავიხსენოთ ჩვენი შემქმნელები, — დაიწყო დიმიტრიმ, — მამაზეციერივით სული რომ ჩაგვიდგეს და ამქვეყნად მოგვიყვანეს, ჩვენს მშობლებს გაუმარჯოს! ისინი რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენც არ ვიქნებოდით, ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით, ჩვენი შვილები არ იქნებოდნენ, ასეთია ცხოვრება...

იროდი ღვინოს წრუპავდა, ჭაშნიკს უსინჯავდა. წამით ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ჩუმად შეექცეოდნენ მოხუცები ტარანსა და ღომს. დიმიტრი წამოდგა, საიდანღაც წიგნივით სქელი ჟურნალი გამოაძვრინა, გაბერტყა, გაასუფთავა და სუფრასთან მოიტანა.

— რა წიგნია? — იკითხა იროდიმ.

— ერთიც დავლიოთ და გაიგებ, რა წიგნიცაა. მოდი, ის ხალხი გავიხსენოთ, ვისთანაც ხუთი წელიწადი ერთად გვეძინა, ერთად ვჭამდით და ვსვამდით, ერთად ვღვრიდით სისხლს. ეს ჩემი ბატალიონის

ოფიცრების ჟურნალია. ყოველი მათგანის მისამართი, მათი ცხოვრების ისტორია შიგ მიწერია. ჩემი ბატალიონი მე ძალიან მიყვარდა. კარგი მეომრები იყვნენ, სულ ახალგაზრდები, ვერცხლისწყალივით ბიჭები, როგორც მოზარე მგლები არ უფრთხიან არც ყინვას, არც ქარ-ბუქს, არც თოვლს, არც ტყესა და ღრეს, ისინიც არაფერს უფრთხოდნენ — ტყვიის არ ეშინოდათ, ტყვიას ეშინოდა მათი. რომ დამაწინაურეს რატომღაც სხვა ფრონტზე გადამიყვანეს. დამეკარგნენ ჩემი ბიჭები. აი, ეს ჟურნალი შემრჩა. მათგან მხოლოდ ორნი გადავრჩით. მე და ერთი ვოლგისპირელი თევდორე, ფედია.

დიმიტრიმ ჟურნალი გადაშალა. იროდი ცნობისმოყვარეობით დააცქერდა გაყვითლებულ ფოტოსურათს. ფოტოსურათი ჟურნალის შუაგულში იდო.

— აი, ეს არის საცოდავი ფედია — ერთი იმათგანი. ახლახან მივაგენი ხარკოვში. ძველ მისამართზე არ აღმოჩნდა, ბევრი ვეძებე და ბოლოს მივაკვლიე.

იროდი დიდხანს დასცქეროდა ფეხმოჭრილ, წვერით გაბურდულ ბერიკაცს.

— ფულიც გავუგზავნე, ჩავედი ხარკოვში და ვინახულე, გული დამწყდა, გალოთებულა, მთლად ხელიდან წასულა. მშვენიერი შვილები ჰყავს, მაგრამ რად გინდა, არავის არ უჯერებს, არაფერი არ აინტერესებს, ეს სურათი იქ გადავაღებინე, მთვრალი მაჩვენეს ქუჩაში, ვიდრე არ გამოფხიზლდა, ვერ მიცნო. ეჰ... ფედია ცოცხალი მაინცაა...

— ამ ხალხს გაუმარჯოს!.. — დიმიტრიმ ჟურნალი დახურა.

— ფედიას სადღეგრძელო ცალკე დავლიოთ!.. ომში დაღუპულების ხსოვნისა იყოს, — თქვა იროდიმ და პურის ნატეხზე დააწვეთა ღვინო.

— ეჰ, ფედია, ფედია! — დიმიტრიმ იროდის სურათი გამოართვა,— სულ არ დამიგდო ყური, შენი შეგონებები ფრონტზე მომისმენია და ვიცი. ახლა მე ჩემი თეორიები მაქვს. ამ ქვეყნისა აღარაა...

— ფედიას გაუმარჯოს!.. — თქვა იროდიმ და უცებ დალია. ამ ნაჩქარევი სადღეგრძელოთი დიმიტრის თანაუგრძნო.

— არც ერთი ფეხი არა აქვს, ხუმრობა ხომ არ არის, წახდა კაცი!— თქვა ნაღვლიანად დიმიტრიმ, — გაუმარჯოს საცოდავ ფედიას! — ჭიქა გამოცალა და მაგიდაზე ფრთხილად დადო.

— ჩემს შემდეგ ბატალიონს ფედია მეთაურობდა. ბრესტთან ერთ დღეს დახოცილან ყველანი. ფედიასაც იქ დაუტოვებია ფეხები.

— ალი-ზადეს ხომ იცნობდი, — დაიწყო ახლა იროდიმ, — თუ გახსოვს, ჩვენ ერთად წავედით თბილისიდან. თბილისელი ბიჭი იყო, სოლოლაკში ცხოვრობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, მგონი, მახსოვს, — დიმიტრის არ ახსოვდა ალი-ზადე, მაგრამ მეგობარს ხათრი არ გაუტეხა.

— ძალიან კეთილი ბიჭი იყო. სწორედ ამ სიკეთემ დაღუპა. რუმინეთში ვართ, რუმინეთში... და უცებ მოვიდა ბრძანება, რომ შევწყვიტოთ შეტევა. მთის ფერდობზე სახელდახელოდ გადათხრილ სანგრებში ვსხედვართ. ჩვენ წინ გერმანელებია, ისინიც მთის ფერდობზე არიან გამაგრებულნი, შუაში ჩაგვდის მდინარე, ზღაპარს ჰგავს, მაგრამ უნდა მოგიყვე, შენ არ გაგიკვირდება ასეთი ზღაპარი. ნაბრძანები გვაქვს, გერმანელებს განძრევის საშუალება არ მივცეთ, არც ინძრევიან, ჩუმად სხედან სანგრებში. ჩვენ ვხედავთ მათ სანგრებს, მათ ტყვიამფრქვევებს, თითქმის ყველაფერს ვხედავთ. ალბათ, ისინიც კარგად გვითვალთვალებენ. გასაოცარი ის არის, რომ არც ისინი ისვრიან. თუ ვინმემ სანგრიდან თავი ამოჰყო, მხოლოდ მაშინ დაიქუხებს შაშხანა. მაშინ აკაკანდება ტყვიამფრქვევი და ავტომატი. ეტყობა, დიდი სტრატეგიული ბრძოლაა — ჩვენ არაფერი ვიცით, ბრძანებას უსიტყვოდ ვასრულებთ და ველოდებით, რა მოხდება. რაც მთავარია, ისეთი პაპანაქება სიცხეა, იწვება, იხრუკება ქვეყანა. გადის ერთი დღე, მეორე, მესამე, საშველი არსაიდან არ ჩანს. ნიავიც კი არ იძვრის, წყურვილი გვახრჩობს. შუალამისას თუ მოვახერხებთ ერთმანეთთან გადაძახებ-გადმოძახებას. ამ დროსაც კი ფხიზლობს მტერი, მაშინვე ტყვიამფრქვევების ჯერი დაცხრილავს ფერდობს. რაღა ბევრი გავაგრძელო, მესამე დღეა და ვყრიავართ გამხმარ მიწაზე და მზეზე უმოწყალოდ ვიხრუკებით. მე და ალი-ზადე ერთ სანგარში ვწევართ. ჭუჭყი და წვერი გვჭამს, მაგრამ ჭუჭყს ვინ დაეძებს, კიბორჩხალებივით დაბრაწულები ვართ. დაგეხუთა, დაგვაოსა სიცხემ. უცებ ვხედავთ, გერმანელების ერთი სანგრიდან ვიღაც ამოძვრა და ჩვენს დასანახად მიწაზე დაახეთქა შაშხანა, ზურგჩანთა, თვალისდახამხამებაში გაიძრო შარვალი, ბლუზა და სულ გაშიშვლდა კაცი. „ფანდი არ იყოს, ბიჭო!“ — ვაფრთხილებ ალი-ზადეს. „მოიცა, მგონი, სასწაული ხდება“, — მეუბნება ალი-ზადე და გერმანელს შაშხანას უმიზნებს: „სად წაგვივა, ვუყურეთ ცოტა ხანს“. ჯარისკაცი დედიშობილა დაეშვა ფერდობზე, ხელი დაგვიქნია, თითქოს რაღაც გვანიშნაო, სირბილით მოვარდა მდინარესთან და ისე ხარბად დაეწაფა წყალს, ახლაც ყურში ჩამესმის იმ დალოცვილის ხარბი ყლარწაყლურწი. წყალს პეშვით სვამდა. დიდაანს

იდგა და სვამდა. ჩვენ... ჩვენ ალი-ზადეს ველოდებით, [illegible] ის არის და არაფერს ამბობს, შაშხანას კი უმიზნებს.

გერმანელი ნელ-ნელა შევიდა მდინარეში. ცურვა არ [illegible] — და ბავშვივით ჭყუმპალაობა დაიწყო ნაპირზე. ჰო, რა ამბავში იყო! რას ხტოდა და ტლინკაობდა! „ამ კაცს ჩვენ არ ვესროლოთ, სულ ერთია, ვიღაც ესვრის“, თქვა ალი-ზადემ და შაშხანა დაუშვა. ეტყობა, სხვებმაც ასე იფიქრეს, ვიღაცა ესვრისო და არ ესროლეს. გერმანელმა ბანაობა დაამთავრა და აღმართს აუყვა, ჩვენ მოგვხედა და ხელი დაგვიქნია, „მშვიდობითო“. „ახლა ესვრიან მაგ უბედურს“, — ვუთხარი ალი-ზადეს შეწუხებულმა. ალი-ზადემ სხვა ოცეულების გასაგონად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იყვირა: „არ ვსროლოთ, ბიჭებო, ცოდვაა“. ამის თქმა და საიდანღაც ტყვიამ გაიზუზუნა. არ მიმიქცევია ყურადღება. შიშველ გერმანელს შევცქეროდი. მაინტერესებდა, გადარჩებოდა თუ არა, მიაღწევდა თუ არა სანგრამდე. „ხედავ, ალი-ზადე, გადარჩა, არავინ ესროლა!“ — შევძახე გახარებულმა. მოვიხედე და რას ვხედავ, ალი-ზადე სისხლში ცურავს. ტყვია შიგ შუბლში მოხვედრია. ომმა არ იცის პატიება. არ გესწავლება, ჩემო დიმიტრი, ომი გულკეთილებს სასტიკად სჯის... ასე უბრალოდ და უღმერთოდ მოკვდა ალი-ზადე! ნუთუ მართლა არაფერი არსებობს ამქვეყნად?..

— მოდი, ალი-ზადეს და ივანე კრულიკოვის შესანდობარი დავლიოთ, — თქვა დიმიტრიმ, — კრულიკოვი ჩემი ბატალიონის თვალისჩინი იყო, ორმოცდაორში ტანკს ჩაუვარდა. ტაგანროგელი რუსი იყო, ვეფხვივით ბიჭი.

ირონიმ ჩუმად დალია სადღეგრძელო და ტყემალს მიეძალა.

— არ არის ქვეყნად სამართალი... — დიმიტრიმ მაგიდაზე მუშტები დააწყო.

— მომეკიდა ღვინო, — თქვა ირონიმ, —მეტს ნუღარ დავლევთ.

— ადესაა, არაფერს გვიზამს.

— ჩვიდმეტი წლის ბიჭივით კი წამოგაჭეხა და უძახე შენ ადესა.

— წამომაჭეხა? აფსუს, დიმიტრი ბარკალაია!

— ასეა ძმაო, გათავდა, ჭამა-სმაც აღარ შემიძლია, წნევა რამდენი გაქვს?

— ორასი.

— ხვალ ორას ოცი გექნება.

— აპა, არაფერი არ იციან ექიმებმა. ხან მწყენს ეს ღვინო და ხან არა.

— რა ვქნათ ახლა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ცოტაც დავლიოთ.
— ცოტა, სულ ცოტა.
— ოჰ, როგორ გიყვარს თავი!
— ეჰ... თავს ზევით ძალა აღარ არი.
— მოდი, სპირიდონა მოვიგონოთ, საწყალი სპირიდონა...
— ცირღილაძე?
— აღარავინ აღარ დარჩა, არ ჰყავდა ცოლ-შვილი.
— ქერჩში დაღუპულა, არა?
— კაცმა არ იცის, რა მოუვიდა. გაქრა.

დიმიტრიმ ჭიქა გამოცალა, ირიდიმ ცოტა მოსვა და დადგა.

— ირიდი, ერთი ეს მითხარი, რა მქვია მე? — იკითხა უცებ დიმიტრიმ. ირიდი შეცბა. ისეთი მოულოდნელი, უადგილო და უმიზეზო შეკითხვა დაუსვა მეგობარმა, იფიქრა, ალბათ ყური მატყუებსო. ცერი და სალოკი თითი მოამრგვალა, ყურს მოარგო და დიმიტრის მიუშვირა:

— რაო, რა მკითხე?
— რა მქვია, რას მეძახიან? რა გაგიკვირდა?
— რავა, დიმიტრი არ გქვია?
— დიმიტრი კი მქვია, მაგრამ კიდევ რას მეძახიან.
— კიდევ?
— ჰო, მეტსახელს ხომ მეძახიან?
— ვინ გეძახის მეტსახელს?
— არ გაგიგონია?
— არ გამიგონია.
— შვილებს გაფიცებ სიმართლე მითხარი.
— გეფიცები, პირველად მესმის. რაო, მაინც რას გეძახიან? — განგებ დაინტერესდა ირიდი.
— არაფერს, ისე გკითხე... რაღაც გამახსენდა.

დიმიტრიმ მოიწყინა, ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. დიმიტრის მოულოდნელ შეკითხვას სიჩუმემ თითქოს უფრო მეტი აზრი და მნიშვნელობა მისცა. თითქოს გაიზარდა, გადიდდა და ირიდისათვის უფრო ნათელი რომ გამხდარიყო, ოთახში ჭერზე ჭაღივით დაეკიდა „რას მეძახიან". უცაბედი შეკითხვა ჰაერში ეკიდა. ნელა დაცურავდა მოხუცების თავს ზემოთ და უხერხულობას ჰქმნიდა. თანდათან ეს უხერხულობა ხელშესახები გახდა, სახიერი, ცხადი. თითქოს საცა იყო ყურში სწვდებოდა ირიდის და ეტყოდა: „ხომ იცი, რასაც ეძახიან დიმიტრის, რათა ტყუი, ბებერო". ირიდის უსათუოდ უნდა ეთქვა რაღაც, ან უნდა წამომდგარიყო, ან მაგიდის ქვეშ შეეხედა, უსათუოდ რაღაც უნდა მოე-

მოქმედა, დიმიტრისაც დაუფლებოდა ასეთი გრძნობა, წუხდა, მეგობარი უხერხულ მდგომარეობაში რომ ჩააგდო, თითქოს თავი გასცა, მეგობარი თავისი სისუსტე გამოამჟღავნა. რაღაც უნდა ეთქვა, ან უნდა ... მდგარიყო, ან მაგიდაზე უნდა დაერტყა მუშტი და თვალებიდან ნაკვერცხლები გადმოეყარა, როგორც იცოდა ხოლმე ადრე, როცა თვალებიდან მართლა ნაკვერცხლები სცვიოდა, მაგრამ დიმიტრი ანგარიშმიუცემლად წამოდგა, თითქოს მის ქცევაში სხვა ჩაერია, ერთს ფიქრობდა და მეორეს აკეთებდა, კარადისკენ წალასლასდა. კარი გამოაღო და დამჭკნარი ხელები შიგ დიდხანს აფათურა. ბოლოს გამოძებნა ის ლურჯი შარვალი, თეთრი კიტელიც ორივე მკლავზე გადაიკიდა, კარადის კარი მიხურა და შარვლიანკიტელიანი მკლავი იროდის ცხვირთან მიუტანა.

— ამ ტანსაცმლით კრემლში ვიყავი. ხოლო აქ მიდევს მთავარსარდლის მადლობა, — დიმიტრიმ კიტელის ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო და იროდის უჩვენა. დიმიტრის თითები უთრთოდა, როცა კიტელის ჯიბიდან „ერთი კაცის მადლობა“ ამოჰქონდა. ნერვიული თრთოლა იროდისაც გადაედო, მისმა თითებმაც დაიწყეს უნებლიე ცეკვა-თამაში.

— ეს მე არ მიმიღია... — დამნაშავესავით თქვა იროდიმ. დიმიტრიმ შარვალი და კიტელი კარადაში შეინახა. კვლავ მაგიდას მიუჯდა. კმაყოფილი სახე ჰქონდა, თითქოს თავისი უნებლიე ქცევით რაღაც მნიშვნელოვანი უთხრა მეგობარს, თითქოს გული მოიოხა.

— ვინმემ ხომ არ გაწყენინა, გულდაღრიანო?

— არა, — თქვა ცივად დიმიტრიმ და ტარანი გაწიწკნა. იროდიმ ღომის დიდ ნაჭერს შეურჭო ჩანგალი და ტყემალში ამოაწო.

— ერთიც დავლიოთ, — თქვა დიმიტრიმ და ჭიქები შეავსო. დიმიტრის სადღეგრძელო არ უთქვამს, ისე გადაჰკრა ბოლო ჭიქა. იროდის გაუკვირდა, მაგრამ მოერიდა და აღარ იკითხა, ვის სადღეგრძელოს სვამდა.

— დავთვერით ჩვენ, დიმიტრი, — თქვა იროდიმ.

— მართალი ხარ, დავთვერით, — გაიცინა დიმიტრიმ.

— ეჰ, ასტრახანში გვყავდეს ვინმე, ტარანს ფუთობით გამოგვიგზავნიდა.

— აბა!.. ხომ არ წავსულიყავით ასტრახანში?

— ასტრახანში კი არა და შინ კი წავალ ახლა, უკვე გვიანია, რომელი საათია?

— ჯერ ადრეა. ასე ადრე რა დაგაწვენს?

— ვიდრე შინ მივხანხალდები, გვიანი იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროდი წამოდგა, დიმიტრიმ მეგობარი გააცილა. ეროდი, როგორც კი აივანზე გამოვიდა, მაშინვე ცას მიაჩერდა და თქვა:

— ხვალაც კარგი დარი იქნება, ღამემშვიდობისა, დიმიტრი.

— ღამემშვიდობისა, ეროდი.

— ტკბილ ძილს გისურვებ, გულდაღრიანო!

ეროდი წავიდა. დიმიტრი ოთახში მარტო დარჩა. მოხუცმა ოთახის კარი მიხურა, სკამზე ჩამოჯდა და ნელ-ნელა ტანთ გაიძრო. ჩაწვა თუ არა, იგრძნო, რომ დაღლილიყო, სინათლე მალე ჩააქრო და კედლისაკენ გადაბრუნდა. ღვინო ცოტას უღიტინებდა ძარღვებში. მართლა მთვრალი კი არ იყო. შეზარხოშებულს თუ ეტყოდით. იწვა და მშვიდად სუნთქავდა. მთელი დღე ნარახრახებ ბებერ ძვლებს ასვენებდა. ძილიც მალე მოერია. სად იყო და სად არა, ეროდი გამოეცხადა. ვითომ დნეპრის პირას იდგნენ ორივენი და ტანთ იხდიდნენ, დნეპრში უნდა ებანავათ. იქითა ნაპირზე გერმანელები გამაგრებულიყვნენ. დნეპრზე ხვალ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო. ეროდი და დიმიტრი კი საბანაოდ გამოსულიყვნენ. „ეროდის ნაამბობის გამო მესიზმრება ახლა ეს სისულელე", — ფიქრობდა ძილში დიმიტრი. ამასობაში ეროდი მდინარეში ჩახტა. დიმიტრიც მიჰყვა მეგობარს. ეროდიმ ერთი-ორჯერ მკლავური მოუსვა, უცებ ჩაყვინთა და ფეხები მაღლა აღმართა. დიმიტრიმაც იმ ადგილას ჩაყვინთა, სადაც ეროდი ჩაყირავდა, ჩაყვინთა და ელდა ეცა. ეროდი მის თვალწინ უზარმაზარმა ტარანმა გადაყლაპა. ვითომ მდინარის ფსკერზე ვეშაპივით ტარანი იწვა, ეროდი ჩაყლაპა თუ არა, ტარანი დიმიტრის გამოუდგა. დიმიტრიმ ნაპირისაკენ მოუსვა, მაგრამ ტარანი ფეხებში სწვდა, დიმიტრიმ გაიბრძოლა და ტარანს გაუსხლტა. ტარანმა წყალში კამარა შეჰკრა. დიმიტრიმ პირღია ტარანს წიხლი ჩაარტყა, წონასწორობა ვეღარ დაიცვა და თვითონაც ჩაიძირა. ვიდრე წყლიდან თავს ამოჰყოფდა, ტარანმა მოასწრო და მუცელში შეუვარდა. წყლის ქვეშ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. „ვინ დამიჯერებს, რომ ტარანმა გადამყლაპა", გაუელვა თავში დიმიტრის, „ყველამ იცის, რომ საბანაოდ წამოვედი... ღმერთო ჩემო, რას იფიქრებენ შტაბში!.." დიმიტრი ჯარასავით ტრიალებდა, ტარანი ელვის უსწრაფესად თავს ესხმოდა. მოქნილ კუდსა და დანასავით მჭრელ ფარფლებს დაუზოგავად სცემდა. მთელი სხეული დაუკაწრა და დაუფატრა. დიმიტრის ერჩია, ტარანს გამოეშიგნა, თუნდაც ყელი გამოეჭრა, ოღონდ არ გადაეყლაპა. არავინ, არც შინ — საქართველოში, არც აქ — ფრონტზე, არც ერთი ადამიანი არ დაიჯერებდა, რომ დიმიტრი ფაშისტებს ტყვედ

არ ჩაბარდა და ტარანმა გადაყლაპა. „აფსუს, დიმიტრი ბარკალია!“ — შესძახა გუნებაში ტარანს და დასისხლიანებული ფრჩხილებით თევზს ლაყუჩებში ჩააფრინდა. ტარანმა კინაღამ ხახაში მოიგდო დიმიტრის ლაპლაპა თავი, კიდევ კარგი რომ იმარჯვა, უკანასკნელ წამს თევზს მუხლი ამოჰკრა და დაუძვრა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიღალა დიმიტრი, დაიქანცა, სისხლისაგან დაიცალა კაცი და... ეს რა ამბავია?! გულმა უმტყუნა, ვერ სუნთქავს, ვერ ინძრევა, „ცხადში ხომ არ მტკივა გული?“ არა, სიზმარიაო, დაასკვნა. უცებ დნეპრი ისე აიმღვრა, თითქოს ტალახიანი წყალი ჩაასხესო. ტარანი თვალსა და ხელს შუა დაეკარგა. ტარანს უკვე აღარც დაგიდევდათ, ტყვიასავით იძირებოდა კაცი ამღვრეულ მდინარეში და ერთი ამოსუნთქვა მთელ ქვეყანას ერჩია. გული თავწაჭრილ წიწილასავით უფართხალებდა და სტკიოდა, სტკიოდა — გული წაიღო ტკივილმა! ტარანმა დანასავით მჭრელი ფარფლი თითქოს გულში შეურჭო და თვითონ არხეინად გაუდგა გზას. „ცხადში ხომ არ მტკივა გული?“ — კვლავ გაიფიქრა დიმიტრიმ, მაგრამ ძილს თავი ვერ გაართვა და ვერ შეამოწმა, მართლა სტკიოდა თუ არა გული.

დიმიტრი ოპტიმისტი კაცი იყო. არასგზით არ დაიჯერებდა, რომ კვდებოდა. სიზმარში მოჩვენებით სიკვდილსაც კი არ დაიჯერებდა. ქათქათა ქვეშაგებში გულხელდაკრეფილი იწვა და ფიქრობდა: „სიზმარში მტკივა გული, არაფერია, ახლა გავიღვიძებ და ყველაფერი დამთავრდება“... ამ ფიქრში თანდათან ჩამობნელდა, სულ მთლად ჩამობნელდა და წყვდიადი ჩამოწვა, აღარსად იყო მდინარე, ამღვრეული სივრცე, ტარანი, წყალი. იყო მხოლოდ სიბნელე, ვრცელი, უკიდეგანო და უსაზღვრო სიბნელე, აღარსად იყო მიწა, ცა და მინდორი, მთა, ვარსკვლავები, ქვა, საგანი. იყო უსაგნო სიცარიელე, ბნელით მოცული ცივი შავეთი. როცა დიმიტრიმ ეს უცნაური, ახალი, ჯერ არნახული და არგაგონილი ქვეყანა იხილა, რა თქმა უნდა, ესეც სიზმარი ეგონა. ღრმად დარწმუნებული, დამშვიდებული მოკვდა, „ახლა გავიღვიძებო“, — უკანასკნელ წამამდე ასე ფიქრობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციცერონა

ავტობუსში უამრავი ხალხი იყო. მგზავრებს სუნთქვა უჭირდათ. მძღოლს ფანჯრები ღია ჰქონდა, მაგრამ კაბინაში მაინც ბუღი იდგა.

ავტობუსი თავისი გზით მიჰქროდა და მთვლემარე მგზავრები მიჰყავდა. გაჩერებაზე უეცრად მეორე ავტობუსმა გადაასწრო, წინ გადაუდგა. მძღოლმა სწრაფად დაამუხრუჭა. მგზავრები კაბინას მიაწყდნენ.

— რა ჯანდაბაა! რა შეჯიბრებაა! — თქვა ერთმა.

— ბეწვზე გადავრჩით, — დასძინა მეორემ.

— დამაცადე, მე შენ გიჩვენებ! — შესძახა სათვალიანმა მოქალაქემ და ავტობუსიდან ჩამოვიდა.

— ციცერონა ჩაერია საქმეში, — გადაულაპარაკა ერთმა ახალგაზრდამ მეორეს და სარკმელში თავი გაჰყო. სათვალიანი მოქალაქე მეორე ავტობუსის მძღოლს მიეჭრა და ლანძღვა დაუწყო.

— ნახე ახლა რა უქნას! — გაიცინა ახალგაზრდამ და ამხანაგი სარკმლიდან გაახედა.

— არ იცი ციცერონას ამბავი?.. ფანქარი ამოიღო, იწერს უკვე...

— ვინ ციცერონაა?

— სტადიონზე წესრიგს რომ ამყარებს.

— ვერსად ვერ წახვალ, პასუხი უნდა აგო! მილიცია!.. მილიცია!.. — აყვირდა ციცერონა.

— დაიჭერს და ციხეში ჩასვამს.

მგზავრებმა სიცილი ასტეხეს.

— ხედავ, წინ გადაუდგა, აღარ უშვებს!..

— ხომ გეუბნები, ციხეში ჩასვამს-მეთქი.

ავტობუსებს ტროლეიბუსი მოადგა. ტროლეიბუსის მძღოლი ბევრს ეცადა, მაგრამ ავტობუსები ისე იყო გზაში გახიდული, გვერდი ვერ აუარა. ტროლეიბუსმა გზა მთლად ჩაკეტა და მოძრაობა შეჩერდა. ციცერონა ავტობუსს არ უშვებდა, მილიციელს ეძახდა. ავტობუსის მძღოლი გაბრაზებული გადმოხტა კაბინიდან და ციცერონასთან ხელების ქნევით მიიჭრა.

— ხელებს ნუ მიქნევ და წესიერად მელაპარაკე, ამდენი კაცის ნაცოცხლე ვინც შენ განდო, ის არის დასაჭერი! — თქვა ციცერონამ და ხალხს გადახედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაცო, გამიშვი. ხალხი ნუ შეყარე, ნომერი ხომ ჩაიწერე, ძეტი რა გინდა!

— დაუძახეთ მილიციელს, ხალხი არა ხართ, ამან ასე უნდა იპარპაშოს... უნდა გვაჯობოს?..

— მოძრაობა გაჩერდა. პასუხს აგებ, იცოდე! — შეუტია ციცერონას მძღოლმა.

— ციცერონა ჩხუბობს, ციცერონა! — მოვიდნენ სეირის მოყვარულები.

— გიჟია, ოხერი! — თქვა ბოლოს მძღოლმა.

— გააჭირა საქმე, ვინ არის ეს უსაქმური! — ერთი მოქალაქე აეტობუსიდან ჩამოვიდა და გზას ფეხით გაუდგა.

— ხალხს შეხედე, კაცო, რა ამბავში ხარ, რა მოხდა ასეთი, გვეჩქარება, რა დროს ეგ არის ამ სიცხეში, — დაუძახეს ტროლეიბუსიდან.

— რა ამბავია, რა მოხდა? — მოვარდა დაფეთებული მილიციელი. ციცერონამ აუხსნა საქმის ვითარება.

— ვინ მოგცათ მოძრაობის გაჩერების უფლება! — გაუჯავრდა ციცერონას მილიციელი და ავტობუსს ანიშნა, წადიო.

— ხულიგნებს იფარავ, არა! — ციცერონა გაბრაზდა. — მითხარი შენი გვარი! — ციცერონამ უბის წიგნაკი მოიმარჯვა. მილიციელმა ყურადღება არ მიაქცია და ხალხს მოუწოდა დაეტოვებინათ გამზირი, მანქანებისთვის გზა მიეცათ.

— ახლა მილიციელს შეუყენებს საქმეს.

— მითხარი შენი გვარი! — არ ეშვებოდა ციცერონა მილიციელს.

— წადი, ახლა, ბიძია, საქმე ნახე! — გააფრთხილა მილიციელმა და გზა განაგრძო. ციცერონა ცნობისმოყვარე ხალხით გარშემორტყმულ მილიციელს მისდევდა.

— ციცერონ, შე ძველო!

— თქვენი გვარი, ამხანაგო მილიციელო! — არ თმობდა ციცერონა.

— მიდი, მიდი! — აქეზებდნენ.

— დაიშალეთ! გეყოფათ ახლა! — დაუცაცხანა მილიციელმა ხალხს.

— თქვენი გვარი, ამხანაგო მილიციელო! — დაჟინებით მოითხოვდა ციცერონა.

— რა გვარი გინდა, კაცო, შენ!

— თქვენი გვარი მინდა ჩავიწერო!

— ვინა ხარ, რა მოხელე ხარ, ჩემს გვარს რომ იწერ, წადი ახლა სახლში, თორემ განყოფილებაში წაგიყვან! — დაუყვირა მილიციელმა.

— მე წაგიყვან შენ განყოფილებაში! წამობრძანდით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიციელი გაბრაზდა და ციცერონას გაჰყვა. ციცერონამ თავის უფროსს წარუდგინა და გამოეჭიმა. მოახსენა, რომ ამ კაცმა ქუჩაში მოძრაობა ხუთი წუთით შეაჩერა და, როცა წესრიგისაკენ მოუწოდა, არ დაემორჩილა, შეურაცხყოფაც კი მიაყენა, უწოდა ხულიგნების მფარველი.

— თავისუფალი ბრძანდებით! — უთხრა უფროსმა მილიციელს და ციცერონას მიუბრუნდა. მილიციელმა ფეხი ფეხს შემოჰკრა, მხედრულად გაიჭიმა, მოტრიალდა და სამორიგეო დატოვა.

— სად მიდიხართ! არ გაუშვათ, ბატონო უფროსო! მე მასთან მაქვს საქმე! — აწრიალდა ციცერონა, მაგრამ უფროსმა მას ცივად შეხედა და მკაცრად უთხრა:

— თქვენი გვარი!

ციცერონამ საბუთები წინ დაუდო.

— რატომ არღვევთ წესრიგს მოქალაქევ?! — თქვა უფროსმა, საბუთი აიღო და ჟურნალში რაღაც ჩაწერა.

— მე წესრიგს ვიცავდი, ბატონო, თქვენი მილიციელი აღმოჩნდა ხეპრე და რეგვენი, ახლაც ასე ეშმაკურად გაგვიძვრა, განა ეს დასაშვებია? რატომ გაუშვით მილიციელი?

— ვინ მოგცათ უფლება, ლანძღოთ აპარატის მუშაკი? — უცებ უფროსმა მაგიდას ხელი დაჰკრა. — თუ ჭკუით არ იქნებით, ახლავე ჩაგსვამთ.

— რაო? ასე ექცევით პატიოსან მოქალაქეებს? მე წესრიგისაკენ მოვუწოდე ხულიგან მძღოლს და ამისათვის უნდა ჩამსვათ? არ მოგცემთ მაგის უფლებას! — უთხრა ციცერონამ თავშეკავებულად.

— ხულიგანი მძღოლი მე არ ვიცი, თქვენ ხუთი წუთით შეაჩერეთ მოძრაობა ქალაქში, მილიციის თანამშრომელს არ დაემორჩილეთ და ხულიგნების მფარველიც კი უწოდეთ, მართალია თუ არა?.. თქვით, მართალია თუ არა?

— მართალია, მაგრამ... — დაიბნა უცებ ციცერონა.

— „მაგრამ“ არ ვიცი! თქვენ თვითონ ამბობთ, რომ დამნაშავეც ხართ, როგორ არა გრცხვენიათ! ამ ხნის კაცი, ჩვენი ერთ-ერთი მოწინავე დაწესებულების მუშაკი ქუჩაში ხულიგნობთ, უნდა გრცხვენოდეთ, მოქალაქევ! არც ისე ბავშვი ხართ, რომ კარგი და ავი ვერ გაარჩიოთ, ერთი შეხედვით პატიოსანი, წესიერი ადამიანის შთაბეჭ-

დილებას სტოვებთ, ქუჩაში კი ხულიგნობთ... მე ახლა ყველაფერს ანგარიშს ვუწევ, არ დაგსჯით, მით უფრო თქვენ შემჩნეული ხართ ასეთ მოქმედებაში, დიახ, ყველაფერს ანგარიშს ვუწევ, ... გაფრთხილებთ!..

ბიბლიოთეკა

მსხვილულვაშიანი, მხარბეჭიანი მილიციის ლეიტენანტი, ფეხზე წამომდგარი, მტკიცედ და დამაჯერებლად ელაპარაკებოდა ციცერონას, ციცერონა თავდახრილი იდგა და ფიქრობდა: „ნუთუ მართლა დამნაშავე ვარ?“ ლეიტენანტის შექებამ მთლად დააბნია.

— ინებეთ თქვენი საბუთი და წაბრძანდით, მეორეჯერ არ მოგვიდეთ, სირცხვილია!.. — უთხრა მილიციის ლეიტენანტმა.

ციცერონამ საბუთი გამოართვა და ყურებამდე გაწითლებული გამოვიდა ქუჩაში. მიდიოდა დაბნეული, არეული და სად მიდიოდა, არ იცოდა. ქუჩაში იყო უამრავი ხალხი, ქუჩა სავსე იყო მანქანებით. სიგარეტს ზედიზედ ეწეოდა. ქუჩის მტვერთან ერთად ხარბად ყლაპავდა მწარე ბოლს და მთვრალივით გაოგნებული მიდიოდა. ვერ მიმხვდარიყო, რა დაემართა. „ნუთუ მართლა დამნაშავე ვარ? ნუთუ მართლა ვიხულიგნე?..“

„ვერ მოვიქეცი სწორად. მილიციის უფროსთან უნდა შევსულიყავი, საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანე, ორივესთვის უნდა მეჩივლა. ორივე უნამუსოდ მომექცა, მომატყუეს, გამაბიაბრუეს, დავბრუნდე?..“ შეჩერდა, გაიხედ-გამოიხედა და ისევ განაგრძო გზა. „იქნებ მართლა დამნაშავე ვარ. აბა, კარგად მოვიფიქრო!..“ და ციცერონა თავიდან იწყებდა ფიქრს, იხსენებდა, რაც ამ ორ საათში გადახდა, ზუსტად აღადგენდა დიალოგს: მძღოლმა რა უთხრა, თვითონ რა თქვა, მილიციელს რა უთხრა, ყველა სიტყვას აკვირდებოდა, აანალიზებდა, სულით და გულით უნდოდა თვითონ ყოფილიყო დამნაშავე, ყოფილიყო თუნდაც ხულიგანი, ოღონდ ყოფილიყო, რადგან ახლა უდანაშაულო უფრო შეურაცხყოფილი გრძნობდა თავს. კიდევ კარგი, რომ ნაცნობები არ შეხვდა, არავის არ უნახავს. ციცერონა შეურაცხყოფას ჩუმად ყლაპავდა, როგორც მწარე ცრემლს, მზე საშინლად იკბინებოდა თბილისი მზეში იწვოდა, ქუჩა ხმაურობდა, ქუჩაში ბუღი იდგა, ქუჩა ხალხით იყო სავსე.

ციცერონა მას სტადიონზე შეარქვეს. ნამდვილი სახელი ვანოა. ვანოს ჰყავს ცოლ-შვილი, უყვარს წყნარი ცხოვრება, მაგრამ ვერ ახერხებს, ვერ ითმენს. ისეთი უმნიშვნელო რამ ააწრიალებს და ააფორიაქებს, მერე თვითონ უკვირს. ზოგჯერ გადაწყვეტს ხოლმე, საერთოდ ხმა არ ამოიღოს და ზის თავის სამუშაო ოთახში გაჩუმებული, იქექება ნაწერებში, აჩხაკუნებს საანგარიშოს და სიგარეტს ეწევა, მის ოთახში ზის

ეკონომისტი, მსუქანი კაცი, გამოცდილი მუშაკი, ეკონომისტის გვერდით ბუხჰალტერი ზის, შუა ხნის ქალი. სიტყვაძუნწი დაკვირვებული ადამიანი, ბუხჰალტრის გვერდით მოლარე, ახალგაზრდა ქალი, [illegible] ლიც თავისი გრძელი ცხვირით იქცევს ყურადღებას. ხელფასის გაცემის დღეს, როცა მთელი ქარხანა გახარებულია, მხოლოდ ისაა ცხვირჩამოშვებული. როგორც ყველა მოლარეს, მასაც „ამდენი ფულის" გაცემა აწუხებს.

ვანო მათი უფროსია, ვანოს მაგიდაზე ტელეფონი უდგას, ვანოს მაგიდაზე დაწერილი და დახაზული ქაღალდების, ჟურნალების, ქვითრების, უწყისების გორაა დახვავებული. ჩაყოფს ცხვირს ყვითელ ქვითრებში და წერს და წერს, აჩხაკუნებს საანგარიშოს. როცა სათვალეს დაუწყებს ცხვირსახოცით წმენდას, მაშინ ღელავს.

ამ ოთახში მუდამ სიჩუმეა. ერთადერთი ხმა, რომელსაც აქ გაიგონებთ, ჩხაკუნია. მუშაობს ვანო, თავაუღებლად მუშაობს. როცა საქმეებს მოისტუმრებს, გაშტერდება და ფიქრობს. ათასნაირი აზრი უტრიალებს თავში. ყოველგვარ ატომურ აფეთქებას მტკივნეულად განიცდის, ჩუმად აგინებს ომის გამჩაღებლებს და ნატრობს, ერთი დღე იყოს ამერიკის პრეზიდენტი. განსაკუთრებით აწუხებს საქართველოს ბედი — არ ვმრავლდებითო, გადაშენების გზაზე ვდგავართო. გამოანგარიშებული აქვს, რამდენი ბავშვი იბადება წელიწადში, რამდენი თვეში და რამდენი დღეში. პროექტიცა აქვს შედგენილი იმისთვის, თუ რა არის საჭირო „ამ გამოთაყვანებულ ახალგაზრდებს შევაგნებინოთ, ერთი შვილი არ კმარა". სწავლობს დაავადებებს — განგრენას და კიბოს, იცნობს ამ დაავადების ყველა მკურნალ ექიმბაშს. ჰგონია, რომ ბოლოს და ბოლოს ექიმბაშებმა უნდა იხსნან ადამიანები საშინელი სენისაგან, რადგან ექიმბაშებს ბუნებასთან აქვთ კავშირი. და ყველაფერს ამას ვერავის უმხელს. იცის, რომ დასცინებენ, არ დაუჯერებენ და ამიტომ სიჩუმეს არჩევს. ქარხანაში ახლა მას აღარავინ უსმენს, მისი აღარავის სჯერა, სულელი ჰგონიათ. ყველაფერი მისმა მწარე ენამ უქნა, მისმა ჯიუტობამ და უხეშობამ. კრებებზე და თათბირებზე, როცა ყველა ერთსა და იმავეს ლაპარაკობს, როცა ერთი აზრი შეიქმნება გამოვა და კამათს ატეხს, საკუთარ აზრს გამოთქვამს. ზოგჯერ სასაცილოა ეს აზრი, ზოგჯერ საყურადღებო. ვანოს კი გულწრფელად სჯერა, რომ ყოველთვის საყურადღებოა და ეჩვენება — მუშაობს უსულგულო ადამიანებთან. ამიტომ კამათის დროს გაცეცხლდება, აღელდება, იბნევა და სისულელეს წამოროშავს. ეს კი ხალხში სიცილს იწვევს. სიცილი მას ახელებს და ბრძოლას უცხადებს ყველას. რა თქმა უნდა, ყველას, მთელ

ქარხანას ვანო როგორ მოერევა? გაჩუმება კი არ შეუძლია. მან კარგად იცის, რომ გულგრილობა პროფესიული დაავადებაა და ჭირივით ეზიზღება ის ბუხჰალტრები, რომლებსაც საანგარიშოს ჩხაკუნის ძეტი არაფერი გაეგებათ. ყველა საამქროს, ყველა ბრიგადისა და უბნის საქმეში ერევა, ცოტა რამ იცის, ყველაფერი კი აინტერესებს. უნდა ყველგან თქვას თავისი სიტყვა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ერთმა საამქროს უფროსმა თქვა: ეს კაცი, მგონია, ცოტას აფრენსო, ბიჭებმა სტადიონიდან ამბავი მოიტანეს, ჩვენს ვანოს ხალხი „ციცერონას“ ეძახისო. დირექტორიც გადაემტერა, გამოიძახა და მკაცრად უთხრა: თუ გიჟი ხარ, შესანიშნავად მოწყობილი საგიჟე გვაქვს და წადი საგიჟეთშიო, თუ ჭკვიანი, ცოტა ენას კბილები დააჭირე, ყოველთვის ვერ მოგითმენთო. მოკუნტული გამოვიდა ვანო კაბინეტიდან და შეთხელებული თმის ძირებიდან ცერის სიმსხო ოფლის წვეთმა ამოხეთქა.

ვანოს სულ ტყუილუბრალოდ მიაყენეს შეურაცხყოფა. მთელი დღე აწრიალებული დადიოდა ქუჩაში, სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ გადაეხადა დირექტორისათვის სამაგიერო. ვანოს დირექტორისა ეშინოდა, დირექტორი ძლიერი კაცი იყო, მსხვილ შავ თვალებს აბრიალებდა და ტყვიასავით მძიმე მუშტები ჰქონდა. დირექტორის მთელ ქარხანას ეშინოდა. ორი დღე და ღამე იწვალა, ორი დღე და ღამე ღეჭა სიგარეტი და ბოლოს ხელი ჩაიქნია. ეჰ, ეს იყო ორი საშინელი დღე მის ცხოვრებაში. და ეს ორი საშინელი დღე იმ კარგმა დღემ მოუტანა, რომლისთვისაც, როგორც თვითონ ამბობდა ხოლმე, „ცხოვრობდა“.

ის დღე სხვაგვარი დღე იყო. სამუშაო საათების შემდეგ მუშები ქარხნის კლუბში შეიკრიბნენ. დარბაზი ხალხით გაიჭედა. პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს ხელმძღვანელმა ამხანაგებმა და მოწინავე მუშებმა, ამოძრავდნენ კორესპონდენტები და მიტინგი პარტიული კომიტეტის მდივანმა გახსნა. სიტყვა აიღო ქარხნის დირექტორმა და მუშებს გააცნო რუსთაველთა მოწოდება. აღნიშნა, რომ თბილისის ბევრი საწარმო ამ მოწოდებას უკვე გამოეხმაურა. შემდეგ მან ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რაც ქარხანამ მოიპოვა მიმდინარე წელს რვა თვის განმავლობაში

— ამხანაგებო! — თქვა მან, — ჩვენ არ უნდა ჩამოვრჩეთ რუსთაველებს, წლის გეგმა ათ თვეში უნდა შევასრულოთ. ეს არის ჩვენი გადაუდებელი და უპირველესი ამოცანა! — პრეზიდიუმმა ტაში დაუკრა, დარბაზშიც დაუკრეს ტაში, ვისაც არ ეზარებოდა. სიტყვა მისცეს ქარხნის მოწინავე ხარატს. მან პირობა დადო, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებდა ამ ამოცანის შესასრულებლად, იმუშავებდა უკეთესად, ვიდრე აქამდე მუშაობდა.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა მეორე საამქროს უფროსი, მანაც მოწონა დირექტორის აზრი და რუსთაველთა მოწოდებას საამქროს სახელით მხარი დაუჭირა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიბუნაზე გამოჩნდნენ მართლა კარგი ბიჭები. ვანო ყველას სიყვარულით შესცქეროდა. პირველ რიგში იჯდა და თვალყურს ადევნებდა, როგორ წვალობდნენ ფოტოკორესპონდენტები ყოველი კადრის გადაღებისას. „რა არის ახლა ამათი ცხოვრება? მთელი სიცოცხლე ჭუჭრუტანიდან უნდა უყურონ ადამიანებს," — გაიფიქრა ვანომ. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქარხნის მოწინავე მუშები და ყველა ერთხმად ლაპარაკობდა, რომ გეგმას ათ თვეში შეასრულებდნენ. უეცრად ვანომ სიტყვა ითხოვა. პარტიული კომიტეტის მდივანმა დირექტორს გადახედა. დირექტორმა თავი გადააქნია. მდივანმა სხვას მისცა სიტყვა. ვანომ კვლავ ითხოვა სიტყვა. პარტიული კომიტეტის მდივანმა ყურადღება არ მიაქცია.

— სიტყვის თქმის უფლებას რატომ არ მაძლევთ! — დაიძახა ადგილიდან ვანომ.

— მიეცი სიტყვა, მიეცი, თორემ უარესია, ხომ იცი მაგისი ამბავი! — უჩურჩულა დირექტორმა პარტიული კომიტეტის მდივანს.

ვანო ტრიბუნაზე ავიდა. დარბაზი გამოცოცხლდა.

— ძვირფასებო! — დაიწყო ვანომ, — მე არ ვაპირებდი გამოსვლას, მაგრამ დღევანდელი ჩვენი შეკრება არ არის ადგილობრივი მნიშვნელობის მოვლენა, ჩვენ დღეს აქ გვესწრებიან ხელმძღვანელი ამხანაგები, ბლომად არიან ჟურნალისტებიც. ხვალ მთელ ჩვენს რესპუბლიკას მოეფინება ცნობა, რომ ჩვენ წლის გეგმას შევასრულებთ ათ თვეში. ეს სიცრუეა!

დარბაზში სიცილმა იფეთქა.

— ეს კაცი ცოტა შერეკილია, — გადაულაპარაკა დირექტორმა რაიკომის წარმომადგენელს.

— ვატყუებთ ხალხს, მთავრობას და ჩვენს თავს. ამის უფლებას არავინ მოგვცემს.

— ციცერონ, მიდი! — დაუძახა ბოლო რიგებიდან ვიღაცამ.

დირექტორმა ხმამაღლა გაიცინა, რათა ამ რეპლიკისათვის ხაზი გაესვა.

— რათ, რათ? — იკითხა რაიკომის წარმომადგენელმა.

— ციცერონს ეძახიან ამ საწყალს, — უთხრა დირექტორმა და გააგებინა რაიკომის წარმომადგენელს, რომ ორატორი ნამდვილად დაულაგებელი ჭკუა-გონების კაცი იყო.

— დაწყნარდით, ძვირფასებო! — მოუმატა ხმას ვანომ, — რას ვამბობ სასაცილოს, აგიხსნით, რატომ არის ყველაფერი ეს სიცრუე, უბრალო გაუგებრობაა, თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ ჩვენი ქარხანა დამოკიდებულია სხვა ქარხანაზე. თუ იმ ქარხანამ ნედლეული არ მოგვცა, გეგმას როგორღა შევასრულებთ?.. პარტიული კომიტეტის მდივანმა ზარი დააწკარუნა და ფეხზე წამოდგა.

— საქმეზე ილაპარაკეთ! რატომ არ უნდა მოგვცეს ნედლეული, როდის არ გვაძლევდა?

— ბოდიშს ვიხდი, — დაიბნა ვანო, — შეიძლება მე სწორად ვერ გამოვთქვი, „ნედლეული არ მოგვცა კი არა, საჭირო რაოდენობით ვერ მოგვცა...“ მე ვიცი, იმ ქარხანას ამჟამად ცუდი მაჩვენებლები აქვს, გეგმას ვერ ასრულებს, თუ მან გეგმა ვერ შეასრულა, ჩვენც ვერ შევასრულებთ, რაც უნდა მოვინდომოთ, რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ, წყლის ნაყვა გამოგვივა.

— ჩვენზე რაცაა დამოკიდებული, ის უნდა გავაკეთოთ, ვანო! სხვის გეგმას შენ ვინ გთხოვს, სხვისი გეგმა კი არა, შენი ორი უწყისისთვის ვერ მოგივლია! — დაუძახა ადგილიდან დირექტორმა და გაიცინა, რაიკომის წარმომადგენელმაც გაიცინა.

— ეს უკვე სხვა არის, ბატონო! — განაგრძო ვანომ, — ჩვენზე რაც არის დამოკიდებული კი არა, მიტინგი ისე წარიმართა, მეგონა, გამოვიდოდით ამ შენობიდან, შევიდოდით საამქროებში და გეგმა შესრულებული დაგვხვდებოდა.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, არ უნდა ჩაგვეტარებინა მიტინგი? — შეეკამათა პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი.

— არ უნდა ჩაგვეტარებინა! — თქვა ვანომ და ტრიბუნიდან ჩამოვიდა.

დარბაზში სიცილ-ხარხარი გრძელდებოდა. იცინოდნენ პრეზიდიუმის წევრებიც.

პარტიული კომიტეტის მდივანმა მიტინგი დახურულად გამოაცხადა.

ვანო კმაყოფილი წავიდა სახლში. მან თქვა ის, რაც აწუხებდა, სიმართლე თქვა და ამით გახარებული იყო. მხოლოდ ერთი რამ ვერ აეხსნა, ერთი რამ ვერ გაეგო: მან იცოდა, რატომ გაწიწმატდა პარტიული კომიტეტის მდივანი, გასაგები იყო, რატომ იცინოდა ქარხნის დირექტორიც, მაგრამ ხალხი? ხალხი რატომ იცინოდა, ეს მისთვის დღესაც გაუგებარია. მას დასცინოდნენ თუ ქარხნის დირექტორს? თუ ისე იცინოდნენ, დროის მოსაკლავად? თვალწინ ედგა მოხარხარე დარბაზი და თავსატეხი ამოცანა — რატომ ხარხარებდნენ! როცა ამაზე ფიქრობდა,

მას სათვალე ხელში ეჭირა, დააორთქლებდა და წმენდდა — ლავდა.

ასევე გაუგებარი იყო მისთვის, რატომ ეძახდნენ ციცერონს, ვინ არც ის ახსოვდა, ვინ დაუძახა პირველად და რატომ დაუძახა — მოილაპარაკესო, თითქოს შეთქმულება მოუწყვესო, ერთად დაუძახეს ახალგაზრდებმა: „ცი-ცე-რონ! ცი-ცე-რონ!..“

ვანო ადრე სტადიონზე არ დადიოდა. თბილისში ტელევიზორი რომ ამუშავდა, ერთი ორჯერ უნებლიეთ უყურა ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟს, მოეწონა, აღეგზნო, რაღაც უცნაური ვნებით განიმსჭვალა და გადაწყვიტა სტადიონზე წასვლა. დაესწრო ერთ მატჩს, მეორეს, მესამეს და თბილისის დინამოს ნამდვილი გულშემატკივარი გახდა. დაიწყო აზრების გამოთქმა, ყველა მოთამაშეზე საკუთარი შეხედულება ჩამოუყალიბდა. ერთ მშვენიერ დღეს, მატჩის დამთავრების შემდეგ, შინ არ წავიდა, სტადიონის ეზოში დიდი დაფის წინ თავმოყრილ გულშემატკივრებში შეერია.

— რას ამბობ, კაცო! ყველაზე უკეთესი ფეხბურთელი მინდაძეა,— თქვა ვანომ. გულშემატკივრებმა ერთმანეთს გადახედეს, ყველა მათგანი აღიარებდა, რომ ყველაზე უკეთესი ფეხბურთელი შოთაძე იყო და აი, გამოჩნდა კაცი, რომელმაც გაბედა და სხვა მიიჩნია კარგ ფეხბურთელად. ატყდა კამათი, როგორც ხდება ხოლმე, გულშემატკივრები ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ და ყველა ერთად უმტკიცებდა ვანოს, რომ შოთაძე უკეთესი ფეხბურთელი იყო არა მატრო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირშიც. ისინი იშველიებდნენ ცნობილი ფეხბურთელების, სპორტული მიმომხილველების, უცხოელი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების აზრებს შოთაძეზე.

გვიან საღამომდე გრძელდებოდა ყაყანი. დაღლილ-დაქანცული, მშიერი, თავატკიებული დაბრუნდა ვანო სახლში. ძილის წინ კვლავ დიდხანს ფიქრობდა შოთაძესა და მინდაძეზე. ყველა გულშემატკივრის ნათქვამს ანგარიშს უწევდა. მაგრამ კვლავ გულწრფელად სჯეროდა, რომ მინდაძე უკეთესი ფეხბურთელი იყო. გულშემატკივრებთან კამათიდან ერთი დასკვნა მაინც გააკეთა: არ ჰქონდა სათანადო მომზადება სპორტულ ლიტერატურაში და შეუდგა ნაკლოვანების გამოსწორებას. მის მაგიდაზე დახვავებული უწყისებისა და ყვითელი ქვითრების გვერდით გაჩნდა ჟურნალ-გაზეთები: „ფუტბოლი“, „ლელო“, „სოვეტსკი სპორტი“, „ფიზკულტურა და სპორტი“. სულ მალე ვანო არც ერთ გულშემატკივარს არ ჩამოუვარდებოდა სპორტული ლიტერატურის ცოდნაში, ახლა უფრო დაჯერებულად და მტკიცედ ელა-

პარაკებოდა მათ. ვანოს გამოჩენა და გააფთრებული კამათის აეეხა ერთი იყო. ვანო ყველას ეკამათებოდა, ეწინააღმდეგებოდა და აი, ერთ დღეს ერთმა გაწიწმატებულმა გულშემატკივარმა, [illegible] ერი მოუხერხა ვანოს, როცა სასტიკად დამარცხდა, გამწარებულმა თქვა, ეს კაცი, მგონი, გადარეულიაო.

გულშემატკივარი ორგვარია: აქტიური და პასიური. ერთნი ხშირად კამათობენ, გულდინჯად გიმტკიცებენ, გაჯერებენ. მეორენი ჩუმად დგანან და მხოლოდ უსმენენ, აზრის გამოთქმისა ეშინიათ, სამაგიეროდ რომელიმე გულშემატკივარს ამოიჩემებენ და აქეზებენ სხვების წინააღმდეგ. ასეთმა გულშემატკივარმა ერთხელ თქვა: „ყველაფრის მცოდნე მოდის, ციცერონი მოდის, ახლა ყველას გაგაჩუმებთ“, — მოდიოდა ვანო. გულშემატკივრებს სიტყვა „ციცერონი“ მოეწონათ. ბოლო შეუცვალეს და ვანოს „ციცერონა“ შეარქვეს. შეარქვეს და მისი სახელი გულშემატკივრებში დაეცა, ნელ-ნელა მათ თვალში ვანო დადაბლდა, დადაბლდა და ბოლოს სულ არაფრად თვლიდნენ. უკვე აღარ უსმენდნენ, არც ეკამათებოდნენ, თუ უსმენდნენ, მხოლოდ ცნობისმოყვარენი, რომლებსაც აინტერესებდათ ვინ იყო ის კაცი, სტადიონზე „ციცერონას“ რომ ეძახდნენ.

ბევრი სიამოვნება განუცდია ვანოს სტადიონზე და ბევრი სიმწარეც უგემია. ამიერიდან კი ფეხს არ შედგამს, ფეხს არ შედგამს იმიტომ, რომ იქ ბევრი ხალხია, ჭრელი ხალხია.

ისეთი კარგი დარი იდგა თბილისში, ისე საზეიმოდ იყო გამოწყობილი ქალაქი, კაცს შინ რა გააჩერებდა. ადგა და წავიდა სტადიონზე, ბილეთიც ჰქონდა, კარგ გუნებაზეც იყო, რატომ უნდა მჯდარიყო შინ? ცოლმა კი უთხრა: — კვირა დღეა, დაისვენე, აგერ ტელევიზორი ჩავრთოთ და ვუყუროთო. არ დაუჯერა, ორი საათით ადრე წავიდა.

სტადიონის ტრიბუნები გაჭედილი იყო. კართან ცხენოსანი მილიცია იცავდა წესრიგს, მოდიოდა ზღვა ხალხი, როცა გულშემატკივრებს ბილეთის შოვნის იმედი საბოლოოდ დაეკარგათ, მიაშურეს მთას, რომელიც ჩვენს სტადიონს თავზე ადგას. მთის ფერდობებიც ხალხით აივსო. მსაჯმა მისცა ნიშანი და დაიწყო დიდი ფეხბურთი. ორმოცდაათიათასი კაცი და თერთმეტი ჩვენი ფეხბურთელი ერთი აზრით იყო გამსჭვალული, რადაც უნდა დასჯდომოდათ, მოეგოთ. რა თქმა უნდა, ვანოსაც ეს უნდოდა, მაგრამ უწესრიგობას ვერ ითმენდა და ბუზღუნებდა, ლანძღავდა იმ ფეხბურთელს, ვინც უხეშად მოიქცეოდა—ჩვენი ფეხბურთელი იქნებოდა თუ მოწინააღმდეგისა. ხმაური, ყვირილი, სტვენა მას არ უყვარდა, თავისთვის, ჩუმად ილანძღებოდა. ნერვები ეშლებოდა, როცა

ვინმე მსაჯს დაუწყებდა გინებას, ანდა მწვრთნელის ტაქტიკურ მინა-ხაზზე ხმამაღლა მსჯელობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცრად მთელმა სტადიონმა დაიგმინა. თამაში ცენტრიდან დაიწყო. ვანომ სათვალე მოიხსნა, დააორთქლა და გაწმინდა. სიგარეტს მოუკიდა და მოქაჩა. მთელმა სტადიონმა დაიწყო სიგარეტის ბოლით სუნთქვა.

— გლახათაა საქმე! — თქვა ერთმა.

— არა, უნდა მოვიგოთ! — თქვა მეორემ.

— ღმერთმა იმედი ნუ მოგიშალოთ, ოცი წუთი დარჩა! — თქვა მესამემ.

ვანომაც დახედა საათს, ჩვენები მოწინააღმდეგეს ავიწროებდნენ. ზედიზედ სამი კუთხური ჩამოაწოდეს, მაგრამ არა და არ შევიდა ბურთი. „უჰ, უნდა დაერტყა!“ — ვანო შეხტა ადგილზე. „იქიდან დარტყმა არ შეიძლებოდა“, — გაუსწორა უკანა რიგში ვილაცამ.

ორმოცდაათი ათასი კაცი დაძაბული, გარინდებული შესცქეროდა საინტერესო ორთაბრძოლას. ასი ათასი ბრძოლის ჟინით აღსავსე თვალი გაფაციცებით დასდევდა ერთ ბურთს; ორმოცდაათი ათასი გული ერთ დიდ გულად ქცეულიყო და გასკდომამდე ფეთქავდა.

ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩააწოდეს, ერთი მოთამაშე დაეცა და... ის ერთი გული გადაიქცა ვეებერთელა ხახად, რომელმაც ამოუშვა საზარელი ღრიალი. მსაჯმა მისცა ნიშანი, მაგრამ თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა, ჩვეულებრივი საჯარიმო დანიშნა. ხალხი ფეხზე წამოცვივდა, ატყდა სტვენა, ყვირილი, მუშტების ქნევა, გინება. მსაჯმა ხალხს ყურადღება არ მიაქცია და მატჩი განაგრძო. ხალხი აღარ დაწყნარდა, მთელი სტადიონი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა და მსაჯს ემუქრებოდა. ტრიბუნებიდან ბოთლები ისროლეს. საქმეში მილიცია ჩაერია. გამაყრუებელი სტვენითა და კივილით გაგრძელდა ასპარეზობა. სტადიონზე მხოლოდ ვანო იჯდა გაჩუმებული, ყურები დაეცო და თამაშს გაფაციცებით ადევნებდა თვალს. ნერვიულობისაგან ადამიანებს ყბები მოქცეოდათ. ტრიბუნები საზარელი სანახავი იყო. ვანოს გვერდით ერთ ახალგაზრდას ორივე ხელი წინ გამოეშვირა და უწმაწურად იგინებოდა. „არ იყო თერთმეტმეტრიანი, ტყუილუბრალოდ ყვირის ეს ხალხი“, — რამდენიმეჯერ თქვა ვანომ, მაგრამ მისი ხმა არავის ესმოდა. მაშინ ვანო ფეხზე წამოდგა და ხელაღმართულ ახალგაზრდას ყურში ჩასძახა: „არ იყო თერთმეტმეტრიანი, რა გააჭირეთ საქმე, დაჯექით!“

ახალგაზრდამ თვალები გადმოქაჩა.

— არ იყოო, ნახე, შენ რა თქვა? ამისთანებია საქმეს რომ გვიფუ-ჭებენ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩააფარე და გაჩუმდება!.. — იქუხა ვილაცამ უკან.

— არ გეთანხმებით, არა ხართ მართალი! — არ დათმო ვანომ, უკან მიბრუნდა ბიჭებთან საკამათოდ.

დატრიალდა, მაგრამ რა დატრიალდა! მოხვდა მუშტი ცხვირში, შუბლში, ვილაცამ კისერშიც კი დაჰკრა და მერე ალარაფერი ახსოვს... დაბნელდა, თითქოს უკუნეთი დაემხო თავზე...

როცა გამოფხიზლდა, ის უკვე სადღაც ოთახში იწვა და სახეს უხვევდნენ.

— ვინ გაარტყა ნეტავ ამას ხელი, — თქვა ერთმა, — ეს ხომ ციცერონაა...

— ალბათ ვერ იცნეს ბიჭებმა, თორემ არა სცემდნენ, — თქვა მეორემ.

— ალბათ.

— საწყალი, კიდევ ვერ მოვიდა გონს...

ერთი თვე იწვა ვანო. ადგა თუ არა, მტკიცედ გადაწყვიტა — შური ეძია. სტადიონის ხელმძღვანელობასთან მივიდა და უთხრა, რომ დიდი სურვილი ჰქონდა დახმარებოდა მათ წესრიგის დაცვაში, ვანოს მკლავზე წითელი ბაფთა შეაბნიეს და სხვებთან ერთად შეუდგა საქმეს. შავ დღეს აყრიდა გულშემატკივრებს, კიბეებზე არც ერთ მათგანს არ აჩერებდა, როგორც კი მცირე უწესივრობას შეამჩნევდა, იმ წამსვე იქ გაჩნდებოდა. ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რათა არ განმეორებულიყო ის საშინელება, რაც ერთხელ მას გადახდა. პირველი მატჩი ჩინებულად ჩატარდა, მის ტრიბუნაზე სანიმუშო წესრიგი იყო.

მეორე მატჩზე ცოტა დააგვიანდა, ახალგაზრდებს მოესწროთ და კიბეებზე ადგილები დაეკავებინათ. ვანო მარტო ვერაფერს გახდა. ერთმა ლაზღანდარა ბიჭმა იცნო და მასხარაობა დაუწყო. ვილაცამ შორიდან დაუძახა: „ციცერონა, როგორ ხარ!..“ „ფუ, დღეს აქ ბევრი ნაცნობია“, — გაიფიქრა ვანომ და ცუდ გუნებაზე დადგა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— ადექით! კიბე გაათავისუფლეთ! გეყოფათ! — თქვა მან ხმამაღლა.

— ცოლს გაფიცებ, ციცერონო, გაჩუმდი ახლა!

ვანო გაბრაზდა და მილიციელი მოიყვანა. ბიჭებმა ხმაურით დატოვეს კიბე და ტრიბუნის ერთ კუთხეში თავი მოიყარეს.

— რა კარგად ვიჯექით, — თქვა ერთმა.

— მაგას თუ სეირი არ ვუყავი, ბიჭი არ ვიყო! — თქვა მეორემ.

— ნახე, როგორ დადის, გენერალ-გუბერნატორი გეგონება — თქვა მესამემ.

— მოდი, ყველამ ერთად დავუძახოთ: „ციცერონ, ციცერონ!“ — გაგიჟდება.

ბიჭებმა ერთხმად შესძახეს: „ci-ce-rون!.. ci-ce-rون!..“ ვანო შეხტა, ასე ჯგუფურად! ასე ხმამაღლა! ეს უკვე თავხედობა იყო. გადაწყვიტა, ავარდნილიყო კიბეზე, მისულიყო ახალგაზრდებთან და მაგრად გამოელანძღა, ყურებამდე გაწითლებული, გაშეშებული იდგა და ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, მისულიყო თუ არა. უეცრად სხვა მხრიდან შემოესმა: „ci-ce-rون!.. ci-ce-rون!..“ ვანომ იქით გაიხედა, ისხდნენ და ლაზღანდარობდნენ, ღლიცინობდნენ, მათში დარბაისელი ხალხიც ერია. ახალგაზრდების ის ჯგუფი, რომელიც მან კიბეებიდან აყარა, სხვებს სწრაფად გამოეხმაურა: „ci-ce-rون!.. ci-ce-rون!..“ მათ ახლა სამხრეთ ტრიბუნა შეეხმიანა, შემდეგ დასავლეთი, შემდეგ პარტერი და მთელი სტადიონი აყვირდა: „ci-ce-rون!..“ ზოგი არ იცნობდა ვანოს. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ვინ იყო ciceronna, როცა გაიგებდა, მერე აჰყვებოდა ხალხს. ზოგმა არ იცოდა, რატომ აყვირდა ალმოსავლეთი ტრიბუნა. ზოგს საერთოდ არ გაეგონა ciceronnის სახელი და ალბათ ciciaris ანალოგიით ფრინველი ეგონა, მაგრამ მაინც გაჰკიოდა. ვიღაცამ თქვა: „ciceronna“ თარსიაო. ეს ვერსია სწრაფად გავრცელდა და ზოგი ამიტომაც ყვიროდა. ბევრი, რა თქმა უნდა, თავს იკავებდა და მხოლოდ ეცინებოდა. ტრიბუნები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. რიტმულად, სწრაფად და ხმამაღლა გაჰკიოდნენ ciceronnს...

ვანო კიბეზე ჩამომჯდარიყო, თავი მხრებში ჩაერგო და კიბის საფეხურს დაშტერებოდა. იგი გრძნობდა, რომ მას შეჰყურებდნენ და იცინოდნენ. ახლა ყველაზე კარგი გამოსავალი იყო, დაეტოვებინა სტადიონი. „ახლა წავალ... ახლა წავალ“, ფიქრობდა ვანო. როგორც კი წასვლას გულში გაივლებდა, რომელიღაც ტრიბუნიდან ხმაშეწყობილად, თითქოს საგანგებოდ მომზადებულანო, გაისმოდა: ci-ce-rون!.. ce-rون!..

ასეთი რა დააშავა? ხვალ მთელ ქალაქს ეცოდინება ეს ამბავი, იქნებ მისმა ცოლმაც გაიგოს, იქნება მისმა ბავშვებმაც გაიგონ, რა უთხრას მათ, რა უთხრას მეზობლებს, ნათესავებს, რა თქვას სამსახურში. ვანო მოკლეს! სტადიონის კიბეზე მოკლეს სასტიკად და დაუნდობლად! თავი მხრებში ჩაურგავს, ისე ღრმად ჩაურგავს, რომ

ვერ ამჩნევს, რა სასაცილოდ ზის. მის ახლოს მსხდომთ ამიტომაც ეცინებათ. ცი-ცე-რონ!.. ცი-ცე-რონ!.. მოესმის ტრიბუნებიდან.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

უცებ მრწინაალმდეგემ დინამოს კარს სახიფათოდ შეუტია ბურთი გაიტრუნა. ვანომ ოდნავ თავი ასწია და მოედანს გახედა. მსაჯმა ჩვენს კარში საჯარიმო დანიშნა. „ახლა კი შეიძლება გაქცევა", — გაიფიქრა ვანომ და წამოდგა. ბურთი ძელს მოხვდა, მოთამაშეები ერთმანეთში აირივნენ, მსაჯმა კვლავ მისცა ნიშანი და თამაში გააჩერა. „ეეე... სუდია"!.. — გაისმა სიჩუმეში მთელ სტადიონზე. ვანოსთვის არავის ეცალა. ყურებამდე გაწითლებულმა კიბეებსა და შესასვლელთან შეჯგუფულ ხალხში გზა ძლივს გაიკვლია, ქუჩაში რომ გამოვიდა, სათვალე მოიხსნა, დაორთქლა და გაწმინდა.

ვანო სტადიონზე არ იყო, მაგრამ ციცერონას კვლავ გაიძახოდნენ. არ აინტერესებდათ, ვის ეძახდნენ, რატომ ეძახდნენ, ტყუილუბრალოდ, დროის მოსაკლავად, სახუმაროდ ქილიკობდნენ, ვანო კი გულზე ცეცხლმოკიდებული წავიდა შინ. ცოცხალ-მკვდარი დაეგდო ტახტზე და მთელი ღამე ციცერონაზე ფიქრში თეთრად გაათენა.

ვანო სტადიონზე ფეხს არ შედგამს, საერთოდ ქუჩაშიც ჩუმად ივლის, ხმას არ ამოიღებს, სამსახურიც უნდა მიატოვოს, სადმე სხვაგან იშოვის სამუშაოს. დირექტორი რომ გადაგეკიდება, საქმე გათავებულია, მერე ისეთი დირექტორი, რომელსაც მთელ რესპუბლიკაში იცნობენ. მარტო დირექტორი რომ უყურებდეს ცუდი თვალით, კიდევ არა უშავს. მთელი ქარხანა როცა ეჭვით გიყურებს, როცა თანამშრომლები შეგხედავენ და სიცილის გუნებაზე დგებიან, უნდა წახვიდე, აბა, რა უნდა ქნა!.. — გადაწყვიტა ვანომ, გადაწყვიტა და გული ეტკინა.

* *

ვანო ოთახში მარტო იწვა. კარი მოეხურა და სიჩუმეში აბოლებდა.

მეორე ოთახში ფანჯარასთან იჯდა ვანოს მეუღლე — ნინო, იგი ჩუმად, გულსაკლავად ტიროდა. ცდილობდა, ცრემლი დაემალა, მაგრამ ვერ მალავდა.

შაბათი საღამო იყო, შემოდგომის გრილი საღამო, გარეთ ქალაქი ხმაურობდა. ვანო სანაპიროზე ცხოვრობდა, მისი ფანჯრიდან მოჩანდა მეშახტის სახლი და ფუნიკულიორი. ბავშვები ეზოში თამაშობდნენ. ვანოს ესმოდა მათი მხიარული ჟრიამული. ამ ეზოში მთელი ქუჩის ბავშვები იყრიდნენ თავს. ყოველ შაბათს და კვირას ყურთასმენა არ იყო: ბურთს თამაშობდნენ, დააქროლებდნენ სათამაშო ავტომანქანებს,

ველოსიპედებს, გორგოლაჭებს, თვითსაგორებლებს, დარბოდნენ თავაწყვეტილად, ხტოდნენ, ყვიროდნენ, კიოდნენ, ერთმანეთს [illegible]ნენ, ეჩხუბებოდნენ. გვიან საღამოს აივნებზე დედები გა[illegible]ნენ და ეძახდნენ „არდასაცალებელ“ შვილებს „ადამიანის სიტყვა რომ არ ესმოდათ“.

ვანოს უნდოდა დაეძახა ბავშვებისათვის, წადით, იქით ითამაშეთო, მაგრამ ადგომა უჭირდა. გარეთ გახურებული ბურთაობა იყო, უეცრად შემოესმა: „გელა! მომაწოდე!.. ხომ გითხარი, წაგართმევენ-მეთქი... უ, შე, მართლა ციცერონა, შენა!“

გელა მისი უმცროსი ვაჟი იყო. გამოხოხებული მამამისიაო, ამბობდნენ მასზე მეზობლები. ვანოსაც გელა ყველა შვილს ერჩია.

მასში თავისთავს ხედავდა. გელა მოძრავი, ცოცხალი ბავშვი იყო. როცა გელა ეზოში ბურთის თამაშს დაიწყებდა, პიჟამოიანი მამაკაცები აივანზე სკამს გამოიტანდნენ და უყურებდნენ როგორც ნამდვილ ფეხბურთელს. გელას მთელი ეზო იცნობდა, მას „ციცერონა“ დაუძახეს... ვანო ფეხზე წამოიჭრა, კარები მოაჯახუნა და ეზოში გავარდა.

— მოდი აქ, ბიჭო, შენ! — დაუძახა ვანომ გელას. ბურთი გააჩერეს.

— ვინ დაგიძახა ციცერონა?! — ჰკითხა ხმამაღლა და ბავშვებს გადახედა.

— რა ვიცი... ბიჭები „ციცერონას“ მეძახიან.

— ვინ დაგიძახა, მე შენ გეკითხები! — ვანომ თითით ნიკაპი აუწია, გელამ იცოდა, რომ ეს კარგი ნიშანი არ იყო და თავი ჩაქინდრა.

— რატომ დაგიძახა, არც ის იცი? — უფრო აუწია ხმას ვანომ.

— ბურთი არ მივაწოდე და იმიტომ...

— რატომ არ მიაწოდე მერე ბურთი, რატომ?!

ვანომ ბავშვს ლოყაში სილა გააწნა.

ნინომ ყველაფერი ეს ფანჯრიდან დაინახა. გაოცებული გამოვარდა ეზოში და ატირებული ბავშვი გულში ჩაიკრა, მოეფერა, ქმარი კი მიაწყევლა.

— რატომ არ გაგიხმება ის ხელი!.. რატომ დროზე არ ვნახავთ შენს კუბოს, რომ დიდმა და პატარამ დაისვენოს!.. წამოდი, შვილო, სახლში, ნუ ტირი, შენ შემოგევლე...

იმ საღამოს ვანოსთვის არც ცოლს და არც შვილებს ხმა არ გაუციათ. მტრებივით უბღვერდნენ ერთმანეთს.

ვანო თავის ოთახში მარტო დაწვა. ნინო ბავშვებს კრუხივით ეფოფრებოდა და მწარე-მწარე სიტყვებს ვანოს გასაგონად ამბობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან დაიძინეს. ვანოს არ ეძინებოდა, გატრუნული იწვა ლოგინში და ფიქრობდა.

გარეთ შემოდგომის გრილი საღამო იყო. ცივი ნიავი ბალახებს ერეოდა, რამ ეს იყო სასიამოვნო, მაცოცხლებელი სიგრილე. სანაპიროზე დაქროდნენ ავტომანქანები, ჩელუსკინელების ხიდზე ტრამვაის წითელი რონოდები მიგრიალებდნენ. ქალაქი ცხოვრობდა ჯანსაღი სიცოცხლით, ფართოდ გაღებული ელექტრონის თვალებით შესცქეროდა ცას და ძილს არ აპირებდა. არც ვანოს ეძინა. არც ვანო ემორჩილებოდა ღამის ჯადოს. მისი სხეულიც თითქოს ქალაქივით დაელექტრონებულიყო, თითქოს სხეულიდან ყველა ნერვს წვერი გარეთ გამოეყო, რათა ტკივილით სული ამოეხადათ.

უცებ ქუჩიდან ხმაური შემოესმა, ხმაურს კივილი მოჰყვა. ვანო ფანჯარას მიუახლოვდა და გაიხედა. სანაპიროზე ხალხი ერთგან შეჯგუფებულიყო, მტკვარს გაჰყურებდნენ.

— უშველეთ! ქალი გადავარდა მტკვარში! ახლა, ამ წუთას გადავარდა, ჩემი თვალით ვნახე, — გაჰკიოდა მოხუცი.

ვანომ კოსტუმს დაავლო ხელი, ტიტველი ფეხი ფლოსტებში წაჰყო, ცოლ-შვილი არ გავაღვიძოო, ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან და ნახევრადშიშველი სანაპიროზე მორიალე ხალხს შეერია, შეჯგუფული ხალხი გაარღვია და მოაჯირთან გაჩნდა. ხალხი მას შესცქეროდა, მან კი მოულოდნელად შიში იგრძნო. მტკვარი ადიდებული მოეჩვენა, ბავშვობაში კარგად ცურავდა, მტკვარი არაერთხელ გადაუცურავს. „უშველეთ! უშველეთ!“ — კვლავ შეჰკიოდა მოხუცი ქალი სართულებს, ერთი ხნიერი კაცი მანქანაში ჩაჯდა და ვიღაცის დასაძახებლად წავიდა. ვანო დააკვირდა მდინარეს, შეამჩნია თუ არა ტალღებთან მებრძოლი, მოფართხალე ადამიანი, ბევრი არ უფიქრია, მდინარეში გადაეშვა.

— უყურე შენ, რა ცურვა სცოდნია, ეგებ უშველოს! — თქვა ერთმა.

— როგორ მოხდა, როგორ მოხდა! — კითხულობდა ვიღაცა.

— ახალგაზრდა კაცმა ცურვა უნდა იცოდეს, შეხედე რამდენი ხალხია და ვერავინ შებედა, — უთხრა ერთმა ქალმა მეორეს.

— ნამდვილად გადაარჩენს, ეშმაკი მეგონა, ტიტველი რომ გამომეცხადა, — თქვა ჩასუქებულმა მამაკაცმა.

ვანო მოფართხალე სხეულს მიუახლოვდა, ვიდრე თავს ამოჰყოფდა, ცურვით გაჰყვა. თავი ამოყო თუ არა, თმაში სწვდა და დაითრია. ქალი მთელი ტანით ამოვიდა წყლიდან, ხარბად გაიწია ვანოსკენ, ვანომ

ცალი ხელით ვერ შეაკავა და პირდაპირ თავზე დაეცა. ორივე ჩაიძირა. ახლა ყვინთვით მისდია, შემოუარა და კვლავ თმაზე წაეტანა. ქალი ბევრ წყალს ყლაპავდა. ვანო დაჟინებით მიიწევდა ნაპირისკენ. ქალი უმიზნოდ იქნევდა ხელებს, წყალს აშხეფებდა და ვანოს ხელს უშლიდა. სულ ცოტა დარჩა ნაპირამდე, ვანოს იმედი მოეცა. მთლად გაწვა ცალ მხარეზე, იგი მიცურავდა ცალი ხელით, ცალ ხელზე ქალის თმა დაეხვია და გაფაციცებით ადევნებდა თვალს ყოველ მის მოძრაობას. ნაპირის სიახლოვე რომ იგრძნო, ვანომ იქით გაიხედა.

„მაშველი მოდის, მაშველი მოდის“! — გაისმა ნაპირზე. ქალი უკვე ხელებს აღარ ასავსავებდა. „ალბათ გაიგუდა და გათავდა,“ — ეწყინა ვანოს. ვანო ხელებს იქნევდა, მაგრამ ატყობდა, რომ წინ ვერ მიდიოდა. — „სწრაფად დავიღალე“, — გაიფიქრა მან. საოცარი რამ მოხდა, ხელი თავისით გაუჩერდა, ვანო ჩაიძირა, ძალა მოიკრიბა და ხელი ძლივს აამოძრავა. წყლიდან თავი ამოყო და გაიფიქრა: — „ახლა ფეხებიც გამიჩერდება, რამდენი ხანია, ცივ წყალში არ მიბანავია... ალბათ ცივი წყლის ბრალია...“ მაგრამ მან მწვავე ტკივილი იგრძნო მკერდში, მარცხენა მხარმკლავი თითქოს დაუბუჟდა. „იქნებ არ არის ცივი წყლის ბრალი?“ — შეეშინდა, ნაპირისაკენ გაიხედა... მთელი სანაპირო ცაში აიჭრა და დატრიალდა. ვანომ თვალები დახუჭა და გაახილა, კიდევ დახუჭა და კიდევ გაახილა. წყალი ბლომად ჩაყლაპა, გაჭირვებით მოიქნია ხელი და წყლიდან თავი ამოყო. პირდაღებულმა ნაპირს გახედა. ნაპირზე ხალხი ირეოდა, ნაპირზე ხალხი ხმაურობდა... წყალში პირდაღებული ტივტივებდა, პირში წყალი ჩასდიოდა და წარამარა აფურთხებდა.

გადაწყვიტა, იმ ხელით, რომელიც უჩერდებოდა, ქალი ეთრია და დასვენებული ხელი მოესვა. ასეც მოიქცა, როგორც იქნა ნაპირიც გამოჩნდა, ვანომ უკანასკნელად მძლავრად დაჭერა ჯანსალი ხელი წყლის ზედაპირს, მხარულით გაჭკვეთა დინება და ქალი ნაპირზე ამოათრია. ამოათრია თუ არა, თვითონაც გონწასული დავარდა რიყის ქვებზე.

— ამოიყვანა! ამოიყვანა! აქეთ! აქეთ! — აყვირდა ვიღაცა. ეს ხმა ვანომ გაიგონა და იმედი მოეცა. შემდეგ არაფერი ახსოვს. როცა გამოერკვა, თეთრხალათიანი ადამიანები თავს დასტრიალებდნენ, სასწრაფო დახმარებაც მოსულიყო და მაშველთა რაზმიც. თვალი გაახილა თუ არა, ერთმა თეთრხალათიანმა თქვა:

— მოსულიერდა, მოდი, მომეხმარე, წავიყვანოთ ესეც!.. — ხელათ მოათრიეს საკაცე და გვერდით დაუდეს. საკაცის დანახვამ ვანო გამოა-

ფხიზლა. წამოჯდა. გულს მიუგდო ყური. ყრუდ ტკიოდა, მაგრამ საავადმყოფოში წასვლა მაინც არ უნდოდა, ნინოს შეეშინდებაო, იფიქრა, და დარჩენა არჩია.

— არ მინდა საკაცე, — უთხრა მტკიცედ ექთანს, — ბანაგვის მტანვა, შინ წავალ ახლა... — თქვა და წამოდგა. იქვე, მის გვერდით, მეორე საკაცეს ხალხი მისეოდა... თეთრხალათიანები იქ უფრო მეტნი იყვნენ. „ეს ალბათ ის არის," — გაიფიქრა და წამით შეჩერდა. უცებ საკაცედან ქალმა თავი წამოსწია, ვანოსკენ მიიხედა და საზარელი ხმით დაიჯღავლა, — ქუჩურად, გრძლად, მოურიდებლად შეიგინა. „მთვრალია"— გაუელვა თავში ვანოს და გაახსენდა, თმაში ხელი რომ წაავლო, არყის სუნი ეცა. „უბედური"... — ჩაიდუდუნა.

ქალს საკაცეზე თეთრხალათიანები იჭერდნენ, მათვე მოჰქონდათ საკაცე. რიყიდან გზის პირზე უნდა გამოსულიყვნენ, მანქანები იქ იდგა. გაჭირვებით მოჰყავდათ ავადმყოფი. ქალი იფურთხებოდა და ილანძღებოდა, გადახტომა უნდოდა საკაციდან. აგინებდა ყველას, მეტიჩარა გადამრჩენელს, ექიმს, ექთანს, ღმერთსა და კაცს, გამჩენსა და მომგონს, მთელ ქვეყანას, უბრალო გამვლელსაც კი.

ამასობაში ვანოს თავისი კოსტუმი და ფლოსტები მოუტანეს. ფლარტუნ-ფლარტუნით ცოცხალ-მკვდარი გაუდგა გზას შინისაკენ, გული კვლავ სტკიოდა, ცივ წყალს აბრალებდა გულის ტკივილს, შინ თბილად ჩავწვები ლოგინში და გამივლისო, ფიქრობდა.

შუალამე გადასულიყო. სეირის მაცქერალი ხალხიც კი გაკრეფილიყო სანაპიროდან.

ვანო მძიმედ მიაბიჯებდა ნახევრად ჩაბნელებულ ქუჩაში და იმ ქალის საზარელი ხმა თან მისდევდა, თითქოს ჯილდოდ შინ მიჰქონდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ცაუ

მამამ სიკვდილის წინ მხოლოდ ამის თქმა მოასწრო: „ცაუს მიხედეთ, ჩემი ცაუ მეცოდება...“

ბატას ცაუ თავს ერჩია. სიყვარულს მოვალეობაც დაემატა: უმცროს დაზე უნდა ეზრუნა. თვალისჩინივით გაუფრთხილდებოდა, იმუშავებდა, თან ისწავლიდა, დღე და ღამეს გაასწორებდა და ცაუს კი არაფერს მოაკლებდა, უმამობას არ აგრძნობინებდა. მხოლოდღა იმის ეშინოდა, ცაუს უეცრად რამე არ შემთხვეოდა, ისეთი სუსტი და უმწეო არსება იყო, ღმერთო!

როცა ცაუმაც დაამთავრა საშუალო სკოლა, აცრემლებულმა დედამ ასე დაარიგა:

— ცაუს გაუფრთხილდი, შვილო, მეშინია, თბილისი დიდი ქალაქია.

— ნუ გეშინია, დედა, აგერ არა ვარ? ნიავს არ მივაკარებ.

— მჯერა, შვილო, მაგრამ მთლად დალეულია და, რა ვქნა მეშინია.

დედას თვალები ცრემლით აევსო. ბატას სიცილი აუტყდა.

— ა, იცინის, — შესჩივლა დედამ მეზობლებს, — გოგოს პატრონობა უნდა, ბიჭო, ქალაქში!..

ბატამ დედა დაამშვიდა. ცაუ თბილისში უვნებლად ჩამოიყვანა. ახლა სტუდენტები არიან: ბატა მეოთხე კურსზეა, ცაუ — მეორეზე. დღე და ღამე მეცადინეობენ. ცაუს თვალები ამოუღამდა. ძმა ვარჯიშობს და მის ჯანმრთელ, რკინასავით სხეულს ვერაფერს აკლებს ღამის თევა და უამრავი სიგარეტი. არც ის ეტყობა, რომ ზოგჯერ დღეში ერთხელ შეექცევა ხმელა პურს.

ბატა სარკის წინ ტრიალებს. ძველისძველ კოსტუმს დიდის ამბით იცვამს. სარკე პატარაა და ბიჭი ამაოდ ცდილობს თავისი განიერი მხარბეჭი ჩაატიოს, უკან-უკან იხევს მაგრამ უკანდასახევიც სადღაა...

— გეყოფა, დაგვაგვიანდება, — თქვა ცაუმ.

— წავიდეთ, მზადა ვარ.

როგორც იქნა გადაწყვიტეს თეატრში წასვლა. რა ხანია ცაუ არც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კინოში ყოფილა და არც თეატრში. ძმა ერთხელ იმდენს ეჩიჩინა ცაუს, შავი კაბა გახადა და კინოშიც წაიყვანა. თეატრში წასვლაც ეუნდოდა ცაუს, მაგრამ ვინ დაუჯერა.

ახლა ცაუს უხარია, თეატრში რომ მიდის, მაგრამ არ იმჩნევს. „ხეტავ ჩემი სოფლელი არავინ შემხვდებოდეს“, — ფიქრობს გოგონა.

ბატა ლაღად მიაბიჯებს რუსთაველზე, ცაუ კი დამფრთხალი, შეშინებული ეკვრის ძმას, მხრებამდეც ვერ სწვდება. რუსთაველზე ახალგაზრდობა გამოფენილა, ბატას უკვე იცნობენ.

ცაუსაც იცნობენ: ბიჭები მორიდებით, ჩუმად უთვალთვალებენ ბატას ლამაზ დას. ცაუს, როცა ძმა ახლავს, ბიჭები აღარც კი ესალმებიან. ისინი ხედავენ, როგორ იქცევა მათ დებთან ახლობლებთან ბატა და ეშინიათ, ვაითუ ცაუსთან მასავით ვერ მოიქცნენ, უნებურად რამე წამოცდეთ. ბატა ყველაფერს აპატიებს მეგობარს, ნაცნობს, უცნობს— ცხოვრებაში ყველაფერი მოსალოდნელია, სხვებივით ამბობს ხოლმე: „რა მოხდა მერე“, მაგრამ, ვინც ცაუს ქუჩაში განგებ მხარს გაჰკრავს!..

ცაუ ჩაფიქრებული მიდიოდა ქუჩაში. უცებ ერთმა მკერდგაღეღილმა ბიჭმა ისე მაგრად გაჰკრა მხარი, კინაღამ ხეს არ მიახეთქა! ცაუ მაშინ პირველი კურსის სტუდენტი იყო, მაშინაც კნუტივით ყველგან ბატას დაჰყავდა. იმ ერთ საღამოს კი მარტოკამ გამოიარა რუსთაველის გამზირი, ამხანაგებთან მეცადინეობდა, ძმა საღამოთი მუშაობდა და გასაცილებლად ვერ მივიდოდა. რას იფიქრებდა, თუ ცაუს ხიფათი შეემთხვეოდა. განა ეს ხიფათია? რა მოხდა მერე, ბიჭმა გოგოს მხარი გაჰკრა. ბიჭი უზრდელი ყოფილა, ეგ არის და ეგ. მაგრამ ასე რომ არ დამთავრდა? ცაუ გადაყლაპავდა სიმწარეს, უზრდელ ბიჭს აპატიებდა, ოღონდ ასე დამთავრებულიყო, მამაცხონებულს თავი დაენებებინა და თავისი გზით წასულიყო.

გაოგნებულ ცაუს მკერდგაღეღილი ბიჭი მიუახლოვდა და საზარელი ბანით უთხრა:

— დიდი ბოდიში, ჩვენი და, უნებურად მომივიდა, აგერ, ჩემი მანქანა, ჩაჯექი, შინ მიგიყვან.

მანქანა მართლაც იქვე იდგა. შიგ მთვრალი მამაკაცები ისხდნენ. ბიჭიც მთვრალი იყო. დაბნეული, არეული ცაუ ხის ძირას იდგა. თვითონაც არ ახსოვს, რატომ იდგა ამდენ ხანს ერთ ადგილას გაქვავებული, რას ელაპარაკებოდა ის ბიჭი, მხოლოდ ოთხი სიტყვა „დიდი ბოდიში, ჩვენი და“ ჩაებეჭდა გონებაში და ჭრილობასავით გაჰყვა, დაამახსოვრდა.

ცაუსათვის არასოდეს უთქვამთ: „დიდი ბოდიში, ჩვენი და“... ოფელში სხვანაირად იხდიან ბოდიშს. ვინ ელაპარაკებოდა? ნუთუ იმ კაცს შეხვდა, ვისიც ტყვიასავით ეშინოდა? ხიფათი ახლა ხომ არ [illegible] ბოდა? იმ წუთებში, რა თქმა უნდა, ცაუს ამაზე არ უფიქრია. [illegible] აღარ შეეძლო, ის კი არა, ალბათ ვერ გეტყოდათ, რა გვარისა იყო, ხელზე რამდენი თითი ჰქონდა, იქნებ ისიც კი ვერ ეთქვა, ერთია მეტი თუ ორი, წიწილასავით სასაცილოდ მობუზული იდგა ჭადრის ძირას.

რამ უბიძგა, ვინ ურჩია იქაურობას უჩუმრად გასცლოდა, რატომ გაიქცა გადასასვლელისკენ? თურმე გარდა გონებისა, რომელიც სულ მუდამ გკარნახობს „ახლა აქეთ უნდა წახვიდე“, „ახლა ეს უნდა თქვა“, მეორე მოკარნახეც გყოლია, გასაოცარი მოკარნახე — წინამძღოლი, უცებ რომ წაგავლებს ხელს და წაგიყვანს. ნეტავ შორიდან ენახა ცაუს თავისი თავი, გამზირზე როგორ გარბოდა. ალბათ მკერდგაღეღილი ბიჭი იდგა და იცინოდა.

როცა ტროლეიბუსში ფანჯარასთან დაჯდა და სული მოითქვა, თანდათან გონს მოეგო, ნელ-ნელა გამოვიდა სიბნელიდან და განათებული ქვეყანა დაინახა, დაიწყო ფიქრი: ამდენ ხალხში იმ ბიჭმა რატომ მაინცდამაინც მე ამომარჩია? მართლა შემთხვევით გამკრა მხარი თუ ამომარჩია? გამომწვევად ხომ არ მაცვია? ეს შავი კაბა ვიწრო ხომ არ არის? ბიჭი არც ისე ახალგაზრდაა, ჩემზე უფროსი იქნება, ნუთუ მანქანა ჩემი გულისთვის გააჩერეს, რატომ ვერ შევნიშნე, როცა მთვრალი მამაკაცი პირდაპირ ჩემსკენ მოდიოდა? სადმე ხომ არ მინახავს ის ვაჟი?

ცაუ შეეცადა გონებაში აღედგინა მკერდგაღეღილი ბიჭის სახე. პირველი, რაც მეხსიერებაში ჩარჩენილა, შავი ფერი არ ყოფილა? ცაუს წარმოუდგა შავი ტახი, ჯაგარაყრილი, ეშვებიანი. ბიჭს ჯაგარივით უხეში და სქელი შავი წარბები ჰქონდა. შავი ტახი შავმა კამეჩმა შეცვალა. ტლანქმა შავმა კამეჩმა შემოანათა ტროლეიბუსში. შავმა კამეჩმა თეთრი ხალათი ჩაიცვა, ქამარში შავტარიანი ხორცის საკეპი დანა გაირჭო და გასტრონომში შევიდა. ნუთუ ის არის?

უნივერსიტეტთან, აღმართს რომ გზა მიჰყვება, სულ ბოლოს კერძო სახლებია, ოდესღაც ფერდობზე უგეგმოდ და უპროექტოდ აშენებული სახლები. თბილისის ახალმშენებლობას აქამდე ჯერ არ ამოულწევია. ბატა და ცაუ ერთ-ერთი ამგვარი უხეირო, ორსართულიანი სახლის სარდაფში ცხოვრობენ. ერთ პატარა ოთახში შეყუჟულან. ეს ოთახი მათ დეიდამ დაუტოვა. თვითონ გათხოვდა, დაბინავებულ კაცს გაჰყვა, ოთახი აღარ სჭირდებოდა. იწვალა, ივაგლახა და როგორც იქნა ხელისგულისოდენა ოთახში დისშვილები ჩაწერა. ამ ძველთაძველი

სახლების გვერდით ერთი ახალი გასტრონომია. ცაუ ხშირად შესცქერის გასტრონომს, მათი ფანჯრიდან მეტი არაფერი ჩანს.

ერთხელ გოგონამ შეამჩნია, რომ გასტრონომის ღია ფანჯარაზე ვიღაც დაბალი, ჩასუქებული შავ-შავი ბიჭი და მის ფანჯარას აკვირდებოდა. თეთრი ხალათი ეცვა, ქამარში ხორცის საკეპი შავტარიანი დანა გაერჭო. ცაუმ იცნო ხორცისა და ძეხვეულის გამყიდველი ბიჭი. გაახსენდა ხალხს რა უხეშად ექცეოდა და ხორცის ნაცვლად ძვლებს როგორ ატანდა. გოგონა სწრაფად მოშორდა ფანჯარას და მეცადინეობას შეუდგა.

„ნუთუ ეს იყო", — ფიქრობდა და ტროლეიბუსის ფანჯარასთან მორიალე ქალაქში დაჟინებით დაეძებდა მკერდგაღეღილი ბიჭის სახეს. კარგად ალარ შეუხედავს, თვალებში სინათლე წაერთვა თუ რა ჯანდაბა მოუვიდა. ვერ იქნა და ვერ დაადგინა, ერთი და იგივე იყო თუ არა მკერდგაღეღილი ბიჭი და ის ბიჭი, გასტრონომში რომ მუშაობდა.

ცაუს ლანდივით აედევნა შავი ბიჭი. მოულოდნელად მანქანა გაჩერდებოდა, მანქანიდან თავს გამოჰყოფდა და ცაუს ეპატიჟებოდა. თავქუდმოგლეჯით გარბოდა ცაუ აღმართზე, მანქანა კი ნელა მისდევდა, აღმართს ასე აირბენდნენ. მანქანა გასტრონომის წინ გაჩერდებოდა. ბიჭი გადმოვიდოდა, დადგებოდა დოინჯშემოყრილი და ცაუს ფანჯარას აკვირდებოდა.

ისედაც დალეული და დამფრთხალი გოგო შიშმა შეიპყრო. შინიდან ალარ გამოდიოდა, გასტრონომში ძმას აგზავნიდა. ლექციაზე ბატას მიჰყავდა და მოჰყავდა. ცაუ თავის საიდუმლოს ძმას ვეღარ გაუმხელდა. ის უცნობი ისეთი ავი ჩანდა, ბატას უსათუოდ ხიფათს შეჰყრიდა. თავის ძმასაც ხომ კარგად იცნობდა, ისეთი თავმოყვარე და დიდგული იყო! ცაუ ორ ცეცხლს შუა ჩავარდა. შეშინებული, თავზარდაცემული ძმას სულ მთლად მიეკრა.

— რა გჭირს, ცაუ, გამაგებინე, რისი გეშინია, რა თვალებს აცეცებ?!—გაკვირვებული ეკითხებოდა ძმა, შეჩერდებოდა შუა ქუჩაში და გამვლელ-გამომვლელს აკვირდებოდა, ჩემს დას ვინმე ავი თვალით ხომ არ უყურებსო. აბა, რა იცოდა, თუ ფეხდაფეხ მისდევდა მანქანა, სადაც „ავი თვალი" იჯდა.

— ჰო, კარგი, ჩუმად!.. წავიდეთ! — ეჩაჩებოდა ცაუ.

ცაუს ეგონა, თუ ყურადღებას არ მიაქცევდა, ხმას არ გასცემდა, მარტოკა ქალაქში თუ არ გავიდოდა, „ავ თვალს" ბოლოს და ბოლოს მობეზრდებოდა და თავს მიანებებდა.

არ გამართლდა მისი ვარაუდი. ერთ მშვენიერ დღეს შავი ბიჭი უნივერსიტეტის ეზოში დაელოდა. ლექციები რომ დამთავრდა, ცაუს კიბე-

ებზე შეეფეთა. თავგზა აებნა, კიბეები გულგახეთქილმა ჩაირბინა და თანაკურსელ გოგოებში შეერია. უნივერსიტეტის წინ, ჭადრებთან, ბატა ელოდებოდა. გოგოებმა არ იცოდნენ, ცაუს რა უჭირდა [illegible] მოსეირნობდნენ. ცაუ გოგონებს ვერ სცილდებოდა, [illegible] ბიჭი უკან ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდა. „ამდენ ხალხში ვერ გაბედავს," — ფიქრობდა გოგონა. უნივერსიტეტის ეზო, ბაღი სტუდენტებით იყო სავსე. ჭადრების ძირას ყმაწვილები ირეოდნენ. უცებ ცაუს შავი ბიჭის ხმა შემოესმა. გოგოები მიტრიალდნენ და გაკვირვებით შეხედეს უცნობს. ცაუმ გაქცევა დააპირა და სწორედ მაშინ წარმოუდგენელი რამ მოხდა — ვაჟმა მაჯაში სტაცა ხელი. „ვაიმე დედაო" — ისეთნაირად შეჰკივლა ცაუმ, თავისივე ხმის თვითონვე შერცხვა, გოგოებმა ერთმანეთს გადახედეს და სიცილი წასკდათ. ცაუ ისე დაიგრიხა და აწრიალდა, გოგოებს სიცილი ტუჩებზე შეეყინათ. ერთ წამში მთელმა ქუჩამ გაიგო, რომ ბიჭი გოგოს სადღაც ძალით მიათრევდა. შეიქნა გაწევ-გამოწევა. სტუდენტები მოგროვდნენ და ბატაც მოვარდა. ხალხი გაარღვია, ბიჭს მკერდში ღონივრად ჰკრა ხელი, კიდევ ჰკრა, კიდევ ჰკრა და თვალის დახამხამებაში დაიმარტოხელა.

— ვინა ხარ! რა გინდა?

— ხელები დაიმოკლე, შე... — გამოცრა შავმა ბიჭმა და ჯიბეში ხელი ჩაიყო.

— რა მოხდა, რა მოხდა? — გაისმა აქეთ-იქიდან. ბატას ამხანაგები წინ გადაუდგნენ და არ გაუშვეს.

— ბატა, ხელი არ წაგცდეს, ეს ჯაგაა, — დაუწყეს ჩურჩული და ხვეწნა-მუდარა.

ჯაგა რადგანაც იცნეს, უკვე მშვიდად იდგა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და ზიზღით შესცქეროდა სტუდენტებს. ბატას ბიჭები გარს ეხვივნენ და არ უშვებდნენ.

— რა საქმე გაქვს ჩემს დასთან!

— კონსპექტები მათხოვოს სწავლა მომწყურდა.

გამომწვევად, დაცინვით უთხრა ჯაგამ, კონსპექტები მათხოვოსო?— ბატა აენთო. სტუდენტებში თუ ვინმე იყო მოკრივე, მოჭიდავე, — ყველა ბატას იჭერდა. იცოდნენ, რომ ბატა ჯაგასთანა „ავტორიტეტებს" ვერ იტანდა და შეიძლებოდა გაწევ-გამოწევა ცუდად დამთავრებულიყო.

მილიციელმა სასტვენს ჩაჰბერა, ქუჩა გადმოჭრა და უნივერსიტეტის ეზოში შემოვიდა.

ჯაგა მანქანაში ჩასვეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ვინ ჯაგაა, მე არ ვიცი თქვენი ჯაგა! — ყვიროდა ბატა და მან-ქანისაკენ მიიწევდა.

ჯაგამ მანქანიდან თავი გადმოჰყო და მიაძახა:

— რქებს დაგამტვრევ, იცოდე!

გამწარებულმა ბატამ ატირებული ცაუ მოძებნა და შინ წაიყვანა, ცაუმ ძმას წვრილად უამბო თავისი თავგადასავალი.

— არ ვიცი, მაინცდამაინც მე რად ამომარჩია, შავებში ჩაცმული, მწუხარე და ბეჩავი, — გულსაკლავად ტიროდა ცაუ.

— რად დამიმალე?!

— შემეშინდა.

— სად წამივა, ხომ მოვა გასტრონომში, ხომ მოვა! იმ ხორცსა და ძეხვს ზედ ღორივით დავაკლავ, — ბობოქრობდა ბატა.

ბატამ გაიგო, ვინ იყო ჯაგა, სად ცხოვრობდა, რა ოჯახის შვილი იყო, რას აკეთებდა.

ჯაგას თურმე რეზო ერქვა, მეტსახელი ბიჭებმა შეარქვეს. იარაღის ტარება უყვარდა, განსაკუთრებით დანისა. ასნაირი დანა მაინც ექნებოდა. სწავლაზე გული ადრე აიცრუა, სკოლა მიატოვა და ქუჩას მიაშურა. ჩხუბით, ღვინის სმითა და ქალების დევნით სახელი გაითქვა. ვინ იცის, მამამისმა რამდენჯერ გადაარჩინა, როცა მამა ვერას გახდა, ბიძამისმა იხსნა. როცა ბიძაც ვერას გახდა... ჭრელაძეებს ქალაქში ნაცნობ-მეგობრები გამოელეოდათ?!

მამა-ბიძა — გაიოზ და ანთიმოზ ჭრელაძეები ბატას ასე დაუხასიათეს:

— ეგენი ცნობილი ხალხია.

როცა გაიოზი მტკვრის მარცხენა სანაპიროს სასადილოებისა და რესტორნების ტრესტის მმართველი ყოფილა, ანთიმოზი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ასეთსავე ტრესტს განაგებდა თურმე. უცებ, ჭრელაძეებს თავს უბედურება დაატყდათ. გარდაიცვალა გაიოზის მეუღლე, რეზოს დედა. ხალხში ხმა გავრცელდა, გაიოზმა საკუთარი ცოლი მოწამლაო. ჭორი იმიტომ გავრცელდა, რომ გაიოზს საყვარელი ჰყოლია. იგი თურმე სიცოცხლეს უმწარებდა განსვენებულს, მაგრამ არც განსვენებული რჩებოდა ვალში. გაიოზი ჭორს, აბა, ყურად იღებდა?! მაგრამ ჭორი ყურად იღო განსვენებულის მამამ, გაიოზის სიმამრმა და დაიწყო შურისძიება. დაიწერა უამრავი საჩივარი. ტრესტი შეამოწმეს და გაიოზი მოხსნეს, მის ადგილას დანიშნეს ანთიმოზი. გაიოზმა ექვსი თვე უმუშევარმა იარა და ბოლოს ანთიმოზის ადგილას დანიშნეს. ძმებმა ტრესტები გაცვალეს, მართალია, მტკვრის მარცხენა და მარჯვენა

სანაპიროებზე დიდხანს არ გაგრძელებულა ჭრელაძეთა „მოდგაწეობა“, მაგრამ როგორც თვითონ ამბობდნენ, „სული მოითქვეს“.

გაიოზისა და ანთიმოზის ეს ძველისძველი ამბავი ბატას ... ,ყვირვებია. იგი გაოცდა და ძალზე შეწუხდა, როცა გაიგო: თათია ... გას კანონიერი ცოლი იყოო, ბატას რუსთაველზე თვალი მოეკრა თათიასათვის. არ ეგონა, თუ ასეთ ლამაზ ქალს ძეხორციელი სიყვარულს შეჰკადრებდა.

ნიჭიერი და ლამაზი თათია, თბილისელი გოგოების თვალი, ჯაგას ნაცოლევი არ ყოფილა?!

ეჰ, ბატა ბოლოსდაბოლოს ჭრელაძეებს მიაფურთხებდა, ქვეყანა ჩალით ხომ არ იყო დახურული, ჯაგას თავის დასთან ახლოს არ გააკარებდა, მაგრამ ძალზე გაუჭირდა. ცაუმ მოსვენება დაკარგა. შინ მარტოკა ვეღარ ჩერდებოდა. ლექციიდან რომ დაბრუნდებოდნენ, ბატას იგი ხან ნათესავთან მიჰყავდა, ხან ამხანაგთან. თვითონ კი სამსახურში მიდიოდა. სამსახურის შემდეგ უნდა გამოევლო და წამოეყვანა. იფიქრა, დაუსწრებლად განვაგრძობ სწავლასო, მაგრამ ვერ გადაწყვიტა. ისეთი კარგი ლექტორები ჰყავდა, მეგობრები, ამხანაგები, ვერ თმობდა, სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი იყო, იურიდიული ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტი — ამდენი შრომა და მეცადინეობა წყალში გადაეყარა?! სტიპენდიაც ხომ ეკარგებოდა? ისევ ის ერჩია, კვლავინდებურად ბეჯითად ესწავლა, იაფი სამუშაო მოეძებნა, ოღონდ დრო ბევრი ჰქონოდა. სულ მუდამ სამუშაოს ეძებდა, ხან ქარხანაში მუშაობდა, ხან მშენებლობაზე, ხან რომელიღაც კანცელარიაში.

ბატას, აბა, ჯაგასთვის ეცალა? „პურისმჭამლებთან“ და „ჩამწყობებთან“ საბრძოლველად ჩამოვიდა თბილისში?

— როგორმე უნდა გავეცალოთ ამ ხალხს, ცაუ, მოდი, დროებით ოთახი სადმე შორს ვიქირაოთ.

— მე არ მეშინია, რად უნდა ვიქირაოთ?!

„მე არ მეშინიას“ ცაუ წარამარა გაიძახოდა. ისე უადგილოდ, უმისამართოდ და უაზროდ წამოისროდა, არ მეშინიაო, ძმას გული უკვდებოდა.

ჯაგა ერთხანს დაიკარგა, არც გასტრონომში გამოჩენილა, არც უნივერსიტეტში, არც ქუჩაში შეხვედრიათ. სამაგიეროდ, დღე არ გავიდოდა, უნივერსიტეტში ჯაგას მოგზავნილები არ მისულიყვნენ და ბატა სალაპარაკოდ არ გაეხმოთ. ბატა ყველას ერთს ეუბნებოდა:

— ნუ მაშინებთ, ყურებზე ხახვსაც ვერ დამაჭრის თქვენი ჯაგა, თავი დაგვანებეთ. ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს.

ბატას მეგობრებიც ჩარიეს საქმეში, მაგრამ არც მუქარამ გაჭრა და არც შეგონებამ. ლექციები როგორც კი დამთავრდებოდა, ბატა ჩააცვლებდა ცაუს ხელს და ქუჩაში ამაყად, გამართულად მიაბიჯებდა, ოღონდ საეჭვო პირს თვალებს უბრიალებდა, აბა, გაბედეთ ახლოს მოსვლაო.

— ვინ არის ეს გიჟი, წავიდეთ, — ამბობდნენ ჯაგას მოგზავნილები და ყურებჩამოყრილები მიდიოდნენ.

ბატა ფიქრობდა: რაკი „დელეგაციების“ მიგზავნ-მოგზავნა დაიწყო, შეიძლება საქმე მშვიდობიანად დამთავრდესო.

ერთხელ, გვიან ღამით, როცა ბატა სამსახურიდან ბრუნდებოდა, ტრამვაის გაჩერებასთან ჯაგამ მანქანიდან თავი გამოყო და დაუძახა:

— პროფესორ, ჩაჯექი, მიგიყვან.

ბატა აირია, დაიბნა, მანქანაში ჯაგა მარტოკა იჯდა. „იფიქრებს, რომ შემეშინდა, უნდა ჩავჯდე“. უცებ გადაწყვიტა და ჩაჯდა. მანქანა დაიძრა.

— მაშ, სიძედ აღარ გინდივარ, მიწუნებ, ჯიგრისავ! — თქვა ჯაგამ, ბატას მოხედა და გაუცინა.

„ნეტა რას მიპირებს, რა უნდა“... ბატა გაჩუმებული იჯდა.

— შენი დის ქორწილშიც არ დამპატიჟებ? — ახლა უკვე მის თვალებში დაცინვა გამოკრთა.

ბატა შეჰყურებდა ჯაგას ტახივით გასქელებულ კისერს და ფიქრობდა: „რა ვუთხრა, რა ვუპასუხო ამ კაცს, გულახდილად ხომ არ ველაპარაკო? ხომ არ ვთხოვო, თავი დამანებოს?“ იგრძნო, რომ მის სულში საიდანღაც შეიპარა შიში თუ ადამიანური, ძალზე მიწიერი სისუსტე და თავისი გოლიათური სხეულის შერცხვა. გრძელი მკლავები და ფართო მკერდი გაშალა, საზურგეს მიეყრდნო და გაბრაზებული მიაჩერდა იმავე კისერს.

მანქანა ცარიელ ქუჩაში მიქროდა, დაგვიანებული მგზავრები ხელს უქნევდნენ და წარამარა „სსიოს, ციოს“ ეძახდნენ.

უცებ მანქანას წინ გადაუდგნენ მთვრალები. ჯაგამ საჭე აათამაშა და მანქანა კივილით გააჩერა.

— უჰ თქვენი! თავი მოგბეზრდათ?

მთვრალებმა გინება ყურად არ იღეს და მანქანაში შეცვივდნენ. ბატა უმალ ყოველივეს მიხვდა:

— ვერ ყოფილხართ ვაჟკაცები!.. — ჩაიდუდუნა ზვიადად.

ჯაგამ ვითომ ვერ გაიგო, ბატა რა ვაჟკაცობაზე ლაპარაკობდა და თავისი ჭკუით, დაამშვიდა:

— ჯერ შენ მიგიყვან, ამათ რა, რომ გავუჩერე, მადლობა მითხრან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— საით მიდიხართ, ბიჭებო! — ჰკითხა მან მთვრალებს.

— ვაკეში.

— ჰოდა ერთი გზა გვქონია.

სამი ბიჭი ბატას გვერდით იჯდა, ერთი წინ. ბატამ გულდაგულ ჩაათვალიერა ყველა მათგანი. ჩუმად ისხდნენ. „ხომ შეიძლება ახლა წამოვხტე, ვეცე და საჭე გადავუტრიალო, — გაიფიქრა ბატამ, — დამიჭერენ, ატყდება ბღლარძუნი. წინ რომ ზის, იმას უკვე ხელი ჯიბეში აქვს, მზად არის, შეიძლება დამასახიჩრონ. გაჩუმება ჯობია. ყვირილი და ხმაური ავტეხო? ქუჩაში არავინაა, რა აზრი აქვს: რაც იქნება, იქნება. ბოლოს და ბოლოს, რა უნდა მიქნან? სიკვდილის ამათ ჩემზე უფრო ეშინიათ, ხვალინდელი დღე ხომ გათენდება? ხომ გათენდება ხვალინდელი დღე?“

როცა მანქანა ბატას ასახვევს გასცდა, ერთმა ბიჭმა რევოლვერი ამოიღო, მეორემ დანა. ბატა გაქვავებული იჯდა და ჯაგას კისერს თვალს არ აშორებდა: „ხომ გათენდება ხვალინდელი დღე, ხვალინდელი დღე ხომ გათენდება?“

გასცდნენ ვაკის პარკს, თბილისს და წყნეთის გზას დაადგნენ. როგორც კი გაივაკეს, მანქანამ მინდორში გადაუხვია და გაჩერდა. ერთმა ბიჭმა მკლავში ხელი წაავლო, დანარჩენები გადმოვიდნენ მანქანიდან და კარი გაუღეს. „მთავარია არ დამასახიჩრონ, თუ წინააღმდეგობას გავუწევ, დამჭრიან. შეიძლება...“

მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, უცებ მიწაზე პირდაღმა დაეცა და ხელებით თავი დაიფარა.

— ოჰო, არ ყოფილა მთლად ქაჯი, — თქვა ერთმა და ფერდში წიხლი დაუზოგავად ჩაარტყა.

ბატამ ფარების შუქზე შეამჩნია, რომ მინდორი ათიოდე ნაბიჯის იქით მთავრდებოდა და ბუჩქებით დაფარული ფერდობი იწყებოდა. „აი, ამ ფერდობმა უნდა მიხსნას“, — ფიქრობდა ბატა და ვიდრე სახეში, ნიკაპში, კისერში წიხლებს ურტყამდნენ, თავდაცვის უცნაური გეგმა მოიფიქრა და წამოდგომა დააპირა. გაუკვირდათ, ეგონათ კაცი მოკლეს და მკვდარი წამოდგომას აპირებდა.

— აცალეთ! — დაიძახა ჯაგამ. იგი მანქანიდან არ გადმოსულა. სიბნელეში მიწაზე პირდაღმა დამხობილ ბატას მანქანის ფარები მიანათა, კარი გამოაღო, ჩამოჯდა და შესცქეროდა, როგორ სცემდნენ ბატას.

ისინი შეჩერდნენ. ბატა წამოჯდა.

— მიმიყვანეთ, ჯაგასთვის ორი სიტყვა მათქმევინეთ, — ჩაილუღ-

ლული მან და წამოდგა თუ არა, მოცელილივით დაეცა, — აჩვენა, სი-
არული არ შემიძლიაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მოიყვანეთ! — ბრძანა ჯაგამ.

მანქანამდე ათიოდე ნაბიჯი იყო. ბატა ფეხზე დადგა. ერთმა მკლავში ხელი წაავლო და წაიყვანა. დანარჩენები უკან მიყვნენ, ფეხებს ძლივს მიათრევდა, მთვრალივით ნაბიჯს გადადგამდა და ისვენებდა. მიდიოდა სინათლისა და სიბნელის საზღვარზე. „ჯერ არა, ჯერ არა“,— ამბობდა გულში და ნელა უახლოვდებოდა მანქანას. და აი, ის წუთიც დადგა, უცებ გასხლტა სიბნელეში. ბიჭს მკლავი გამოგლიჯა და ფერდობისკენ გაიქცა. გაისმა რევოლვერის გასროლა. ჯაგამ მანქანა მოატრიალა და ფარები ფერდობს დაუმიზნა. ბატა თვალსა და ხელს შუა დაიკარგა.

— ფუი, თარსად წამოვედით, — თქვა ჯაგამ.

— სად წაგვივა, აქ იქნება, მოვძებნოთ, — თქვა ერთმა და სიბნელეს შეერია.

—წავედით, ეყოფა, — თქვა ჯაგამ და მანქანაში ჩაჯდა, სხვებიც ჩასხდნენ. „ვოლგა“ ძეძვნარში ფრთხილად მობრუნდა და თბილისისაკენ გზას გაუდგა.

ღამეში ბატამ გზა გაჭირვებით გაიკვლია. ვიღაც მადლიანმა მძღოლმა წამოიყვანა თბილისში. ექიმებმა დაამშვიდეს, თავ-კისერი ჯვარედინად შეუხვიეს, სულ ერთიანად შეფუთეს და უთხრეს, საშიში არაფერია, მაგრამ უმჯობესია, ამ საღამოს საავადმყოფოში დარჩეთო. აღარ დარჩა საავადმყოფოში — ცაუს შეეშინდებაო.

ცაუმ ბევრი იტირა, ძმას თავსსასთუმალთან მიუჯდა და მთელი ღამე არ მოშორებია.

დადგა მეორე დღე. ბატა ფეხზე წამოვარდა. შეხვეული ფერდები მოისინჯა. სარკეში დიდხანს იტრიალა, ტუჩებისა და თვალების მეტი არაფერი უჩანდა. მართალია, მთელი სხეული სტკიოდა, მაგრამ გრძნობდა რომ მალე გამოჯანსაღდებოდა. ფანჯარა ფართოდ გამოაღო. გაშალა თავისი გრძელი მკლავები და სუფთა ჰაერი ჩაისუნთქა, ჩაცუცქდა და ადგა, გაუხარდა კარგად რომ იყო.

— ცაუ, კარგად ვარ, რა სულელი ხარ, რად არ დაიძინე წუხელ? ხომ ხედავ, რა კარგად ვარ! ბუბუნებდა ბატა, — შენ იძინე, კარგად გამოიძინე, დღეს კვირაა. ბაზარში წავალ, ყველაფერს ვიყიდი.

ცაუ იწვა და ძილი ერეოდა. ბატა ნელა ვარჯიშობდა.

— დაიძინე, ცაუ, ნურაფერზე ნუ ფიქრობ, შენს თავზე და შენს სწავლაზე იფიქრე, დანარჩენი მე მომანდე.

— ალარ გტკივა, ბატა? იცი წუხელ რა ცუდად იყავი, სულ ბოდავდი, დედას გაფიცებ, ალარ გტკივა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერა ხედავ, ორფუთიან გირას ვექაჩები, ერთი... ორი... სამი... რომ მტკიოდეს, გიჟი ვარ... ოთხი... ხუთი...

ბატას ფეხები ფართოდ გაედგა განზე, გირა მაღლა აეტაცა, მკლავს რომ გამართავდა, გირა ჭერს ებჯინებოდა. როგორც ნამდვილი ძალოსანი, იდგა შუა ოთახში, ვარჯიშობდა და ელოდებოდა, ცაუ როდის დაიძინებდა.

ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან. ტაქსში ჩაჯდა და ჭრელაძეებს დილაადრიანად კარზე სტუმარივით მიადგა. გზადაგზა თითქოს მოიფიქრა, გაიაზრა, რას უზამდა ჯაგას, მის სახლ-კარს, საშინელი და საზარელი რამ წარმოიდგინა. მაგრამ ჭრელაძეების ზარს როგორც კი თითი დააჭირა რაღაც სხვა განწყობილება დაეუფლა. ჭიშკარი ჯაგას მამამ გაუღო. იგი ხელებდაკაპიწებული ეზოში ხეხილს რწყავდა.

— თქვენ ალბათ რეზო გინდათ, მაღლა აბრძანდით, აი, იმ კიბეზე! — უთხრა გაიოზმა.

შებანდული ბიჭი გაიოზს არ გაკვირვებია, მის ნაშიერთან ხშირად დადიოდნენ შებანდულები.

კიბე აირბინა, კარი გამოაღო თუ არა, ფართო შესასვლელში დიდი სარკე იდგა, სარკეში თავისი შებანდული თავი დაინახა. საიდანღაც ჯაგას ხმა მოისმოდა. ოთახის კარი ღია იყო და ნელა შევიდა. ჯაგა არ ჩანდა. ოთახში წითელი სავარძლები ჩაემწკრივებინათ. მაგიდაზე ფერადი ტელევიზორი იდგა, იქვე დიდი რადიომიმღები. კედლებზე ფაიფურის მოჩუქურთმებული თეფშები და ნაკეთობანი ეკიდა. ჭერზე უზარმაზარი ბროლის ჭაღი. საკვირველი კი იყო, როგორ იმაგრებდა ამხელა ჭაღს ჭერი. საიდანღაც ჯაგას ხმა მოისმოდა, ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა. ბატამ წითელ სავარძლებს ჩაუარა და ღია კარიდან მეორე ოთახში შეიხედა. აქ ყავისფერი პრიალა კარადები ელაგა და დიდი მაგიდა იდგა. ის, ვისაც ეძებდა, არც ამ ოთახში იყო.

ბატამ მესამე ოთახის კარისაკენ გასწია. ჯაგა ხის დიდ საწოლში იწვა და თეთრი ტელეფონით ვიღაცას ელაპარაკებოდა. როგორც კი შებანდული კაცი დაინახა, ტელეფონი დააგდო, წამოჯდა და უცნობს გაკვირვებით მიაჩერდა. ვერ იცნო. ბატას მთელი თავისი საზარელი გეგმა ჩაეშალა, პატარა, მაგრამ კოხტა ეზომ, ფართო და ნათელმა დარბაზებმა, ბოლოს ლოგინში მწოლმა, წელს ზევით სულ შიშველმა ჯა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამ გული მოულბო, თუ რა იყო, ხანგრძლივად ნაფიქრი და ნაბრძანები ერთ წამში დაენგრა და მასპინძელს თითქმის ვედრებით უთხრა:

— ჯაგა, გთხოვ, ჩემს დას თავი დაანებო.

ჯაგამ ხმა რომ გაიგონა, ფეხზე წამოიჭრა.

— ახლავე ჩავიცვამ და წამოვალ, — თქვა მან და ჩაცმა დაიწყო.

— მე არსად არ მივდივარ, ჩემს დას თავი უნდა დაანებო, — ხმას აუწია ბატამ. მივარდა, ტანსაცმელი ხელიდან გამოგლიჯა, გადააგდო და ხელებგაშლილი, დაკუნთული, დაჭიმული წინ გადაუდგა.

— გირჩევნია, ჩემს დას თავი დაანებო! — შეჰყვირა ბატამ.

— ჩუმად, ბიჭო, სიცოცხლე ხომ არ მოგბეზრებია!

— ჰო, მომბეზრდა, ყველაფერი მომბეზრდა, თავი დაანებე, თორემ...

ჯაგამ, ვითომ შევაშინებო, კბილებიდან გამოცრა:

— საცა დამარტყამ, იქ გაგიყრი!

— აი, აქ დაგარტყამ! — იფეთქა ბატამ. იგრძნო, რომ რაღაცას გადააბიჯა, რაღაც ბორკილი დაამსხვრია, თითქოს ფრთები გაშალაო, თითი შუბლზე დაუმიზნა და... ჯაგამ იფიქრა, დავასწრებო, დააპირა წელში შევარდნოდა. ბატამ ეს მოძრაობა დაიჭირა და, როგორც კი ჯაგა ოდნავ მოიხარა, თავისი ტყვიასავით მუშტი შუბლში თხლიშა, მართლაც იმ ადგილას, სადაც დაუმიზნა. ჯაგა ჩაჯდა. ბატა მივარდა, წამოაყენა, ხელში აიტაცა, რამდენიმე ნაბიჯი გადაადგმევინა და ზურგით პრიალა კარადას იმგვარად მიახეთქა, კარადის ფართო კარი შუაში გაიპო. ხმაურზე გაიოზი შემოვარდა. ბატამ გონდაკარგული ჯაგა კვლავ ხელში აიტაცა და ახლა მამამისს მიახეთქა. მამა-შვილი იატაკზე გაშხლართა. გაშმაგებული ბატა უკვე თვალებში ვეღარ იხედებოდა. რას აკეთებდა, არ იცოდა. ჯერ ჯაგას შედგა წიხლებით, მერე უცებ, თითქოს მეორე ჯაგა იპოვაო, ტელევიზორს ეცა, გადმოაგორა და იატაკზე დაახეთქა. ტელევიზორს რადიომიმღები მიაყოლა, კედლებზე ფაიფურის თეფშებს მუშტები დაუშინა და დაიწყო საზარელი მტვრევა.

გაიოზი ფანჯარასთან მივარდა და ყვირილი მორთო, მიშველეთო. ბატა დიდ ოთახებში შეშლილივით დარბოდა, ყველაფერს ამტვრევდა, ანგრევდა. ხელი დასტაცა წითელ სავარძელს, ჯერ სერვანტს დაუშინა და დალეწა, მერე ჭერზე დიდ ჭაღსაც დაუმიზნა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. შემოსასვლელში კარის სიმაღლე სარკე იდგა, კაცივით მაღლა აიტაცა, დაჭკრა იატაკს და დაფშვნა.

გადარეული გაიჭრა ეზოში. კიბესთან თავშეყრილ დაფეთებულ

მეზობლებს ქორივით გადააგლო თვალი, ჭიშკარი მიახეთქა და ეზოში გავარდა.

აწრიალდნენ ჭრელაძეები. გაიოზმა და ანთიმოზმა, როგორც ეფანი ვიან ხოლმე, მთელი თბილისი ფეხზე დააყენეს. გაიოზი შეამჩნია, ვიღაც სტუდენტს შინ მოვარდნას როგორ ვაპატიებო! თავყბამონგრეული, ლოგინად ჩავარდნილი შვილი კი ამშვიდებდა: ჯავრი ნუ გაქვს, ბიჭებს ვეტყვი და მოუვლიანო.

სასამართლოთი ჭრელაძეებმა ვერაფერი გააწყვეს, როცა ბატას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე შედგა, ბატა მივიდა თავის პროფესორთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. თბილისში რაც კარგი მოსამართლე და გამომძიებელი მუშაობდა, ყველა იმ პროფესორის გამოზრდილი იყო. მართალია, კანონით ბატას „დამნაშავე“ ერქვა — ჭრელაძეებს შინ არ უნდა მივარდნოდა. მათ მოწმეები ჰყავდათ, ბატას კი არა, მაგრამ პროფესორი თავის საუკეთესო მოწაფეს, სამაგალითო სტუდენტს ციხეში არ გაუშვებდა. როცა იძალეს და იძალეს ჭრელაძეებმა, ბატას დასაცავად მთელი უნივერსიტეტი დაირაზმა. უნივერსიტეტის რექტორმაც კი აიღო ყურმილი.

გაიოზი ტრაბახობდა: მე არ ვიყო გაიოზი, ის სტუდენტი თბილისიდან თუ არ გავასახლოო. მას ავეჯი სწვავდა გულს, შვილს რა უჭირს, მორჩება, მაგრამ დალეწილ ავეჯს რა მოარჩენსო.

მუქარა მუქარად დარჩა. ბატა თბილისიდან ვერც გაასახლეს და ვერც „მოუარეს“. ეს ამბავი კი მთელმა უნივერსიტეტმა, მთელმა ქალაქმა გაიგო.

როცა ბატა ცაუს ხელს ჩაავლებდა და ჩვეული მედიდურობით ჭავჭავაძის ან რუსთაველის გამზირზე გაივლიდა, ბიჭები და გოგოები ჩუმჩუმად ერთმანეთს აჩვენებდნენ — აი, ის არის ცაუო.

შემოდგომის თბილი საღამოა. ბატას ჩაუვლია თავისი დისთვის ხელი და რუსთაველზე გამოსულა. მკერდგაშლილი ბატა მიაბიჯებს რუსთაველზე და გულში თავისი ანგელოზი დით ამაყობს.

ბატას ცაუ თეატრში მიჰყავს. ცაუს გლოვა და დარდი ეყოფა. ცაუს აღარაფერი აქვს სადარდებელი, ცაუ მთელ თბილისში ყველაზე მხიარული და ბედნიერი გოგო უნდა იყოს. ასე უნდა ძმას და ასეც იქნება.

როცა თეატრში შევიდნენ, დიდი ჭაღებით განათებულ ტალანში ბატამ პირველად შეამჩნია, რომ მისი და ძალიან ლამაზი იყო. „მართლა ლამაზია, თუ მეჩვენება?..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამაღამ ნეტა ვინ ითამაშებს? — იკითხა ცაუმ.

ბატამ პროგრამა იყიდა.

— მე ძირს ჩავალ, პაპიროსს მოვწევ, — უთხრა ბატამ.

— მეც წამოვალ...

— წამოდი.

„ერთი წუთით არ შეუძლია მარტო დარჩენა, ნეტავ კიდევ რისი ეშინია? — გაბრაზდა ბატა, მაგრამ არაფერი თქვა. სხვა დროს ეჩხუბება ხოლმე, რა მოგივიდა, გოგო! გაიხედ-გამოიხედე, ნახე, შენი ტოლები რა ამბავში არიანო, ახლა კი მშვიდად უთხრა, წამოდიო, ეს საღამო ცაუსია, როგორც უნდა, ისე მოიქცეს, ოღონდ არ მოიწყინოს, ოღონდ ნაღვლიან სახეს ნუ უჩვენებს. მერე როგორი მოწყენა იცის! ისე საცოდავად დაუნაღვლიანდება თვალები, სახე, რომ მზად არის, ცხრა მთას იქით გადაიკარგოს და არასოდეს ნახოს თავისი საყვარელი და, თვითონაც არ შეუძლია მოწყენა, როგორც კი დარდი შემოაწვება, მთელი მისი სხეული, გონება, გრძნობა ამხედრდება დარდის წინააღმდეგ და... შეუმჩნევლად იწყება სიხარული.

გული ბოღმით ევსება. როცა ნაღვლიან ადამიანებს უყურებს. უნდა ყველას აუხსნას, გააგებინოს, რომ ნაღვლიანობა სიმხდალეა! ნაღვლიანობამ მიჩვევა იცის.

თეატრის დარბაზსა და ტალანში თუმცა უამრავი ხალხია, მაინც საოცარი სიწყნარე სუფევს. დადიან დინჯად, ერთმანეთს ჩუმად ელაპარაკებიან. ცაუს თვალები უბრწყინავს, ცაუ კმაყოფილია, რომ თეატრშია და სურათებს ათვალიერებს. კედელზე თეატრის მთელი ისტორიაა გამოფენილი. ბატა შორიახლოს ბოლთას სცემს, ხანდახან მიდის კედელთან და ჰამლეტის სურათს მერამდენედ აკვირდება, თითქოს რაღაც გამორჩაო, დახედავს და კვლავ ბოლთის ცემას მოჰყვება. „ნეტავი არტისტი ვიყო, — ფიქრობს ბატა, — მომიხდებოდა არტისტობა, — გონებაში თავის დევურ ტანს აათვალ-ჩაათვალიერებს, „ეჰ, ცხვირი მიშლის“... იხსენებს მსახიობებს, ვისაც კეხიანი ცხვირი აქვს. კეხიანცხვირიანი მსახიობები ბლომად ჩამოთვალა, წითური მსახიობებიც, მაგრამ ისეთი, ვინც, წითურიც იყო და კეხიანი ცხვირიც ჰქონდა, ვერა და ვერ გაიხსენა.

— საარტისტოზე უნდა შევიდე, ცაუ!

— რა გაუვირებს, ბიჭო, სირცხვილია, — ცაუმ ძმას ხელი მოჰკიდა და წაიყვანა.

— მეორე ზარია.

— შევიდეთ.

ლოჟაში არავინ იყო. და ცაუს ძალიან გაუხარდა. ერთმანეთს გვერდით მოთავსდნენ და დარბაზს გადახედეს. „საწყალი მამაჩემი“,— გაიფიქრა ცაუმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბევრი ხალხია, — თქვა ბატამ და ცაუს ფიქრი გაუწყდა.

— რა კარგია, რომ ჩვენს ლოჟაში არავინ შემოდის, — თქვა ცაუმ.

— ჯერ ადრეა, მოვლენ! — ბატამ საათს დახედა.

— კომედიაა?

— პროგრამა რისთვის გიყიდე?

ცაუმ პროგრამა გადაშალა.

— დრამა ყოფილა, კომედია მერჩია.

ლოჟაში ხმაურით შემოვიდნენ ბატას სიმაღლის ბიჭები. ძალზე მაღალი, წარმოსადეგი ვაჟკაცები თავს დაადგნენ ცაუს, მათ ერთი ქალი ახლდათ.

— უცხოელები არიან, — უთხრა ბატამ დას.

უცხოელები ფეხზე დიდხანს იდგნენ. ათვალიერებდნენ დარბაზს, შესცქეროდნენ ჭერს და ხმამაღლა მუსაიფობდნენ. ბატას ენა არ ესმოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ქალი თარჯიმანი იყო. როგორც იქნა დაწყნარდნენ. ყველაზე მაღალი ბატას გვერდით დაჯდა; დანარჩენები მათ ზურგს უკან დასხდნენ. ქალი შუაში მოიქცეს და შეკითხვები დააყარეს. ხმამაღლა, მოურიდებლად ლაპარაკობდნენ, მთელი დარბაზის ყურადღება მიიქცეს. პარტერიდან, იარუსებიდან გოგოებმა კისერი მოიგრიხეს.

— კალათბურთელები არიან, — გაახსენდა ბატას.

— რაღა ჩვენს ლოჟაში შემოვიდნენ, მთელი ქვეყანა გვიყურებს,— თქვა ცაუმ.

ერთი უცხოელი წამოდგა და მეორე იარუსზე გადმოკიდებულ გოგოებს კოცნა გაუგზავნა. ბიჭი ძალიან ლამაზი და ახოვანი ჩანდა, კოხტად ეცვა. იარუსიდან არ უპასუხეს. ბიჭი დაჯდა და რაღაც თქვა, რამაც სიცილ-ხარხარი გამოიწვია.

ამასობაში სინათლე ჩააქრეს და ნელ-ნელა ფარდა აიხადა, ყველაზე მაღალმა ბიჭმა სკამი წინ გააჩოჩა, და-ძმას ზურგით აეფარა. ბატა შეცბა. არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია. ცაუს გადახედა. ცაუ დამფრთხალი კურდღელივით მიყუჟულიყო კუთხეში და ვითომ სულ არ ხედავდა უცხოელის ზურგს, სცენას მიშტერებოდა. უცხოელი ბატასა და ცაუს არც ამჩნევდა. ქალს უსმენდა, ჩურჩულით რომ უხსნიდა სპექტაკლის შინაარსს, თითქოს მის ზურგს უკან არავინ იჯდა.

ბატა ძალიან ცუდ გუნებაზე დადგა. სპექტაკლი დაიწყო. ერთი

მსახიობის გამოჩენას დარბაზი ტაშით შეხვდა. ბატამ შეამჩნია, რომ ცაუმ თავი ჯერ მარჯვნივ გადასწია, მერე მარცხნივ. ეს ემგზავსებოდა, რომ მსახიობმა სცენა ჩქარი ნაბიჯით გაიარა. „ვერ ხედავს", — ბატამ და უცხოელის სირაქლემასავით გაჭიმულ კისერსა და წვრილ თავს ზიზღით შეხედა.

— ვერ ხედავ? — ჩუმად გადაულაპარაკა დას.

— როგორ არა, როგორ არა!

— მართალი მითხარი.

— მამას გეფიცები, ხელს არ მიშლის, — იცრუა ცაუმ.

ბატა უკვე არც ცაუს უსმენდა, არც მსახიობებს, სცენიდან რომ გაჰკიოდნენ. გაქვავებული იჯდა, სტუმარს თვალს არ აშორებდა და საკუთარ თავთან დაობდა. „რა ვქნა? როგორ მოვიქცე? ხელს მოკიდებ და უკან დავწევ", — გაუელვა უეცრად თავში, მაგრამ გაახსენდა ჩვენი ხალხის საყვარელი გამოთქმა: „სტუმარი ღვთისაა", რამაც სულის სიღრმემდე შეძრა.

„სტუმარი ღვთისაა" — ამ ორმა სიტყვამ შეაშინა, შებორკა და სრულიად სასოწარკვეთილმა შეხედა სკამზე საცოდავად მოკუნტულ ცაუს. იგრძნო, რომ კუნთოვან მკლავებსა და განიერ მკერდში ცხელმა სისხლმა დაუარა.

სცენას უკვე ცაუც არ უყურებდა. მალულად შესცქეროდა ძმას და ღელავდა.

— მე არ მომწონს ეს მსახიობი, — უჩურჩულა მან ბატას, ვითომ კარგად ვხედავო. ბატა დას მიუხვდა და არ უპასუხა. უცხოელებისაკენ გადაიხარა და ქალს ჩუმად გადასძახა:

— ქალბატონო! — ქალმა საუბარი შეწყვიტა.

— თქვენს ამხანაგს უთხარით, უკან გაიწიოს.

ქალმა ბატას ჭკუის სწავლება დაუწყო, ეს სტუმრების ლოჟაა, თქვენ ადგილები სხვაგან მოიძიეთო.

— თავი დაანებე, — ფეხზე წამოხტა ცაუ, — იცოდე, ახლავე გავიქცევი აქედან!

— ეჰ, ჩაგვმწარდა ეს საღამო, ცაუ, — თქვა ბატამ ნაღვლიანად და სცენას შეხედა. მერე გარინდულ დარბაზს მოავლო თვალი, ლოჟის მოაჯირზე ორივე მუშტი ერთმანეთზე შემოსდო, ზედ ნიკაპით დაეყრდნო და გაირინდა. სპორტსმენმა ბატას და ცაუს ერთი მოხედა, გულზე ხელები დაიკრიფა და მაგრად დაამთქნარა, ფეხები გაჭიმა და კვლავ უაზროდ მიაჩერდა სცენას.

„ამ კაცს სკამი უკან უნდა დავაწევინო, თორემ გული გამისკ-

დება, — გაიფიქრა მან, — რა იქნება, რომ გავაწევინო? განა ეს დანაშაულია? რომელიმე სახელმწიფოს შეურაცხყოფაა?"

ჩხუბს და აყალმაყალს ბატა მუდამ გაურბოდა. რაც ხალხთან მოუვიდა. მსგავსი რამ არსად, არავისთან არ მოსვლია. იგი დარწმუნებული იყო თავის ძალაში, მაგრამ ჩხუბს უსათუოდ აიცდენდა ხოლმე. მილიციასა და სასამართლოში წოწიალისათვის არ ჩამოვსულვარ თბილისშიო.

უნივერსიტეტში კრივისა და ჭიდაობის სექციების მწვრთნელები კუდში დასდევდნენ, საოცარი ძალის პატრონი ხარ და თავს რად იფუჭებო.

ბატას სამართალი უნდა შეესწავლა, ამ ქვეყანაზე მართალი გულითა და სიმართლით უნდა ეცხოვრა, სასაცილოდ არ ჰყოფნიდა მწვრთნელი რომ გვერდზე გაიხმობდა და უმტკიცებდა, ცხოვრება დღეს სპორტსმენისაო. სულ სხვანაირად ფიქრობდა, ხშირად წარმოიდგენდა ხოლმე თავისთავს ტრიბუნაზე ან სცენაზე, რატომღაც ეგონა, დიდი რამ სათქმელი ჰქონდა და ერთ მშვენიერ დღეს უსათუოდ იტყოდა. ამისათვის ემზადებოდა, მთელი მონდომებით მეცადინეობდა, ფიზიკური ძალა და ენერგიაც ამისთვის სჭირდებოდა.

„უნდა გავაწევინო, — დაეინებით ფიქრობდა ბატა, — რომ არ გასწიოს, მაშინ რა ვქნა? მაშინ წამოვხტები, ვტაცებ ხელს და სკამიანად ლოჟიდან გადავაგდებ, ცაუ სცენას ვერ ხედავს, ცაუს ხელს უშლის სპორტსმენის ზურგი, ცაუ თეატრში ხშირად არ დადის. მას დღეს ხელს არაფერი არ უნდა უშლიდეს. როგორ გავაგებინო, როგორ შევაგნებინო ამ გადამთიელს, რომ ეს ასეა?"

ცაუ ძმას თვალს არ აშორებდა და გული ჩიტივით უცემდა. „რა ვქნა, რა მოვუხერხო ბატას? შეგონება და ჭკუის დარიგება რომ დავუწყო, სულ გადაირევა. მაშ, რა ვქნა? ხომ ვიცი, რასაც ფიქრობს?

რა წყალში ჩავვარდე", ფიქრობდა ცაუ, საცაა ცრემლი წასკდებოდა. ცრემლისაც ეშინოდა. ძმას ცრემლი არ უნდა დაენახა.

„მე მატყუებს, ვითომ სცენას უყურებს", — ფიქრობდა ბატა.

— ბატა, ცუდადა ვარ, გული მერევა, წამომყევი, — თქვა უცებ ცაუმ და წამოდგა.

— დაჯექი მანდ, მე ვიცი, შენ რად გერევა გული!

— მიშველე, თორემ დავეცემი, — ისე სასოწარკვეთილმა წამოიძახა ცაუმ, რომ ბატას შეეშინდა, წამოხტა და ლოჟიდან გაიყვანა.

— მართლა ცუდადა ხარ? მართლა?

ცაუმ ცხვირსახოცი აიფარა და გაიქცა. ბატამ დას შისდია კიბე ჩაირბინეს. ცაუმ შვებით ამოისუნთქა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა მოგვიდა?

— რა ვიცი, ძალიან ცუდად ვარ, შინ წავიდეთ უნდა დავწვე.

— კარგი, წავიდეთ.

თეატრიდან გამოვიდნენ. ცაუს ეგონა, ძმა მოვატყუეო, ბატაც მოტყუებულ კაცს თამაშობდა და ცაუს ატყუებდა.

ჩვეულებისამებრ ჩაავლო ხელი თავის დას და სტუდენტებით სავსე რუსთაველს დაუყვა. ჭადრების გაჩირაღდნებულ ხეივანში ლამაზი, ტანადი ქალიშვილები და ჭაბუკები დასეირნობდნენ. ბატამ ლამაზ გოგოებს თვალი გააყოლა და გაიფიქრა: „თქვენზე ნაკლები არ არის ჩემი ცაუ. აბა, ერთი თეატრში გენახათ? რა ვუყოთ მერე, ცაუც შეიღებავს თმას, წვრილქუსლიან ფეხსაცმელებს ჩაიცვამს. შეიკერავს ფერად-ფერად კაბებს და მაშინ ვნახოთ. ცაუს გლოვა და დარდი ეყოფა. ცაუს აღარაფერი აქვს სადარდებელი, ჩემი ცაუ მთელ თბილისში ყველაზე მხიარული და ბედნიერი გოგო უნდა იყოს“.

რუსთაველზე ბატაც დადის, რუსთაველი ბატასაც ეკუთვნის, მიაქვს თავისი გოლიათური მხრები, მიაბიჯებს ამაყი, მკერდგაშლილი, ზვიადი და ანგელოზივით და ესახელება.

გოგოები კი ერთმანეთს ჩუმად აჩვენებენ. აი, ეს არის ბატა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეჩვევა

მამუჩარ ივერს ოცდაათი წელი შეუსრულდა. დილით გავიდა საჯლიდან და დაიკარგა. ოჯახი სტუმრებს ელოდა. თხუთმეტი მარტი ივერებისა და თარხნიშვილებისათვის განსაკუთრებული დღე იყო: ორი ოჯახი ზეიმობდა მამუჩარის დაბადებას. მამუჩარს სულაც არ ეპიტნავებოდა თავისი დაბადების დღე, მაგრამ დედამისი ქალბატონი ლიზა ნათესავებისაგან მტკიცედ მოითხოვდა, თხუთმეტ მარტს უსათუოდ სწვეოდნენ. ივერების ოჯახში ამ დღეს მარტო დღეობა კი არ იმართებოდა, — ნათესავები, ოჯახის მოყვრები და ახლობლები იკრიბებოდნენ, ერთმანეთს მოინახულებდნენ, მოიკითხავდნენ, ჭირ-ვარამს გაუზიარებდნენ. გაიხსენებდნენ ოჯახის მამას, უდროოდ დაღუპულ ნიკო ივერს.

ამ დროს ქალბატონ ლიზას დაუძახებდნენ, მაგიდასთან მიიწვევდნენ. ლიზა სკამზე ჩამოჯდებოდა. სუფრასთან მსხდომნი ნიკოს ქებას მოჰყვებოდნენ. ქალბატონი ლიზა ნელ-ნელა ჩააცურებდა თავის დამჭკნარ ხელს წინსაფრის ჯიბეში, ნელ-ნელა ამოაძვრენდა ცხვირსახოცს, ჩუმად მოიწმენდდა ნამცეცა ცრემლს და თავჩაქინდრული ბოლომდე მოისმენდა სადღეგრძელოს. მერე წამოდგებოდა და კმაყოფილი მიაშურებდა სამზარეულოს, გეგონებოდათ, უხარია რომ ატირესო.

მამუჩარი დედის გასახარად სტუმრებს დიდი პატივით ხვდებოდა; ყველას ისე გულმოდგინედ უსმენდა, თითქოს ძალიან აინტერესებდა, სიმამრის ძმამ ბატონმა ვანო თარხნიშვილმა როგორ გადაცვალა ბინა, მისმა ქალიშვილმა როგორ გაიკეთა ცხვირის ოპერაცია.

ასე იყო ყოველთვის, მაგრამ ერთ საღამოს საკუთარ დაბადების დღეზე დააგვიანა. სტუმრებს ქალბატონი ლიზა, მეუღლე მზია და მათი შვილი ოთხი წლის გია შეხვდნენ.

უცხო არავინ მოსულა, სულ შინაურები, ნათესავები და ახლობლები შეიკრიბნენ.

— მამუჩარი სად არის? — შემოსვლისთანავე იკითხა მზიამ მამამ ბატონმა ეფრემ თარხნიშვილმა.

— უცხოელ სტუმრებს ელოდებოდნენ, ალბათ [illegible], ტყუილი დამაჯერებლად ვერ თქვა მზიამ, მისი ქმარი ტელეხედვაში მუშაობდა რეჟისორად, სტუმრები მართლაც ხშირად ჩამოუდიოდა, მაგრამ დღეს უმიზეზოდ გაუჩინარებულიყო. მზიამ გაუჩინარების ნამდვილი მიზეზი არ იცოდა და მიედ-მოედებოდა.

ეფრემმა ნარდი მომიტანეთო, გამოაცხადა და კამათლის გასაგორებლად საგულდაგულოდ მოემზადა. ეფრემის მეუღლემ ქალბატონმა ელისაბედმა სტუმრები მიატოვა და სამზარეულოში ქალბატონ ლიზას მიუჩოჩდა.

დარბაზში სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ, თამაშობდნენ ნარდს, კარტს. ერთი ქალი პიანინოს მიუჯდა. იგი მათემატიკოსი იყო, მაგრამ რატომღაც ეგონა, ბედმა არ გაუმართლა, თორემ კომპოზიტორი გამოვიდოდა. როგორც კი პიანინოს ან როიალს თვალს მოჰკრავდა, გულისგამწყალებელ არტისტობას მოჰყვებოდა. ეს აქ ყველამ იცოდა და ყურადღებას არ აქცევდნენ.

სუფრა მალე გაიშალა. ეფრემმა ერთხელ კიდევ იკითხა:

— სად წავიდა ის ბიჭი?

მზიამ მამამისის დასანახავად ყურმილი აიღო, სადღაც დარეკა, რეკა, რეკა, მაგრამ ვერ გააგონა და ბოლოს თავი მიანება.

ეფრემმა გიას დაუძახა და უთხრა:

— ხომ ხედავ, ბიჭო, მამაშენი არ მოდის, ამ ოჯახში ვაჟკაცი შენღა დარჩი, მოდი, გვითამადე, აბა, ვნახოთ, რა ბიჭი ხარ!

ეფრემი მაგიდასთან პირველი დაჯდა, სტუმრებს მაგალითი უჩვენა. ხმაურით შემოუსხდნენ სუფრას. ნელ-ნელა დაწყნარდნენ, დალაგდნენ და, როგორც წესი და რიგია, საქმეს შეუდგნენ: თამადა აირჩიეს, პირველი სადღეგრძელოები პატარა ყანწებით შესვეს. გამხიარულდნენ. ვის როგორც შეეძლო, ისე ატარებდა დროს. თამადობდა მინისტრის შვილი; ივერებისა და თარხნიშვილების ოჯახებში თამადად ყოველთვის მას ირჩევდნენ — მინისტრის შვილს, პატივცემულ თოდის. კაცმა არ იცის, რატომ ეძახდნენ „მინისტრის შვილს“, მაშინ როდესაც სინამდვილეში მინისტრის მოადგილის შვილი იყო. იქნებ იმიტომ, რომ თოდის სიამოვნებდა, იქნებ იმიტომაც, რომ გრძელი სახელწოდება „მინისტრის მოადგილის შვილი“ შეემოკლებინათ და მოკლედ მოეჭრათ — „მინისტრის შვილი“, იქნებ იმიტომაც, რომ ივერებსა და თარხნიშვილებს ერთადერთი „დიდი“ კაცი ჰყავდათ.

ასე იყო თუ ისე, თოდის „მინისტრის შვილს“ ეძახდნენ. მინისტრის შვილს მთელი ქალაქი იცნობდა. ივერები და თარხნიშვილები ამით ამაყობდნენ. თოდის მამა, მინისტრის მოადგილე, პატივცემული იოსები, ერთი პატიოსანი, მშრომელი კაცი გახლდათ; საქმეზე, ყველა „შავი საქმე“ მის კისერზე გადადიოდა. მინისტრს მხოლოდ ხელმოწერა, დელეგაციებთან შეხვედრა და საზღვარგარეთ მოგზაურობა ევალებოდა.

ყველამ იცოდა, ვინ იყო და როგორი იყო მინისტრი. მინისტრის მოადგილეს კი არავინ იცნობდა. სამაგიეროდ თოდის იცნობდნენ. იგი ნამდვილი მინისტრის შვილივით იქცეოდა. პროფესიით ექიმი იყო, მაგრამ ყოველგვარი საქმის „მოკვარახჭინება“ შეეძლო. ქალები უყვარდა და პურ-მარილი. სუფრაზე სიტყვა „წუთისოფელს“ ხშირ-ხშირად გაიძახოდა.

იმ საღამოს ივერების სუფრას ამშვენებდა „მინისტრის შვილი“, თვითონ თოდი, თავისი მეუღლით, იგი ეფრემის ძმის სიძე იყო. მზია თავს დასტრიალებდა სუფრას, განსაკუთრებით თავის „დიდ“ ნათესავს — „მინისტრის შვილს“.

„ეს თამადა ჩანჩალაო“, — წამოიწყო უეცრად ვილაცამ. სუფრა ახმაურდა. ზოგი აჰყვა მომღერალს, ზოგმა გაიცინა და თამადას გადახედა.

მზიამ, ქალბატონმა ლიზამ და ქალბატონმა ელისაბედმა, რაც ჰქონდათ, ყველაფერი მოზიდეს სუფრაზე, დარბაზში შემოვიდნენ და ერთმანეთის გვერდით დასხდნენ. მზიამ მალე დატოვა სუფრა. უკვე გვიან იყო. გიას ეძინებოდა და მიზეზობდა. მზიამ ბავშვი თავის ოთახში გაიყვანა და დააძინა. სუფრაზე ლხინი გრძელდებოდა. წამოიწყეს სიმღერა „ქალი ვნახე მოხვეულში“ თუ რაღაც ამგვარი. სიმღერას ტუში მოაყოლეს, ამგვარი ცეკვა ახალგაზრდებმა არ ინდომეს, — პროვინციალობაა, მაგნიტოფონი მოითხოვეს. ამ დროს გაისმა ზარის წკრიალი. ზარის ხმა არავის გაუგონია. მხოლოდ ქალბატონმა ლიზამ გაიგონა. ჩუმად გავიდა დარბაზიდან და კარი გააღო. მამუჩარი მოვიდა.

— სადა ხარ, შვილო, რა მოგვიდა... უიმე, ღმერთო მომკალი! მთვრალი ხარ?!

მამუჩარმა პალტო გაიხადა და დარბაზში შემოვიდა.

— მოვიდა, მოვიდა, აი, ყოჩაღ!..

— აკი ვამბობდი!...

გაისმა აქეთ-იქიდან.

მამუჩარმა დაგვიანებისათვის ბოდიში მოიხადა და სუფრას მიუჯდა.

— დაგვიანებულს ჯარიმა! — შესძახა თოდიმ და მამუჩარს ყანწი შეუვსო.

— თოდი, მთვრალი ვარ, ნუ დამაძალებ, ხომ იცი ჩემი ამბავი...

— ნუ დავაძალებთ, იუბილარია! — წამოიძახა ვიღაცამ.

— ნუ დააძალებ, მთვრალია, — უჩურჩულა თოდის ეფრემმა.

— მაშინ მე დავლევ!

ამაყად თქვა თოდიმ. მამუჩარმა დიდი თეფშიდან ყველაზე პატარა თევზი გადმოიღო, ზედ ქინძმარი მოასხა და თევზს პურის ნატეხი მიადო. თოდი მამუჩარის თეფშს დააცქერდა და, ესაა საოხუნჯო ვიპოვეო, შესძახა:

— შეხედეთ ამ ნატურმორტს!..

მამუჩარის თეფში აიღო და სუფრის წევრებს უჩვენა.

— იმიტომაც ჰგავხარ ოსვენციმიდან ახალ გამოსულს, — უთხრა მან მამუჩარს.

მამუჩარმა ჩაიცინა, არაფერი უთქვამს. იცოდა, შინ რა ამბავიც დახვდებოდა. ისიც იცოდა, თამადა იქნებოდა თოდი. გულისამრევი ოხუნჯობებით და მთვრალების ღრიანცელით აივსებოდა მისი წყნარი ბინა. ასე იყო ყოველ წელს, ყოველ თხუთმეტ მარტს. სხვა დროს ყველაფერ ამას უფრო ადვილად იტანდა, დღეს კი ძალიან ცუდ გუნებაზე იდგა: ოცდაათი წელი შეუსრულდა. გაიარა ბავშვობამ, სიჭაბუკემ... მაგრამ ეს არ იყო მთავარი. ამაღამდელი ღამისა ეშინოდა: აგერ, ერთი კვირა გადიოდა, ღამ-ღამობით საოცარი, ჯადოსნური თაგვი ელანდებოდა. თვალს არ უჯერებდა, წამოხტებოდა და გაოცებული აკვირდებოდა, მართლა თაგვი იყო თუ არა.

„ამათ ეს ამბავი რომ ვუთხრა, სასაცილოდ არ ეყოფათ". — გაიფიქრა მამუჩარმა და სუფრას თვალი მოავლო. მათ არ იციან, რა არის თაგვი, ჰგონიათ, რომ თაგვი სოროში ცხოვრობს, ადამიანს, თუ ძალიან არ გამრავლდა, მაინცდამაინც დიდ ზიანს ვერ მიაყენებს, ბოლოს და ბოლოს, ათასი საშუალებაა თაგვის მოსასპობად... განა დღეს თაგვი პრობლემაა?!"

თოდი კი ანეგდოტს ჰყვებოდა.

— ამერიკის კინტომ უთხრა საბჭოთა კავშირის კინტოს... — ვინ აცალა ანეგდოტის დამთავრება. ეს რა ძველ ანეგდოტს ამბობსო, ხალხი სიცილით გაიგუდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებული, ღვინისაგან გაჭარხლებული თოდი იდგა სუფრის, თავთან და კმაყოფილი შესცქეროდა სუფრასთან მსხდომთ.

მამუჩარი ბურანში გახვეული იჯდა. წამით თაგვზე ფიქრი მიანება და თვალწინ დღევანდელი დღე წარმოუდგა. დილით ადგა თუ არა, მზიამ დავალებები ჩამოუწერა: სინათლე არ იყო, თელასში უნდა დაერეკა, ტელეფონის ქირა უნდა გადაეხადა, სახლმმართველობაში უნდა გაევლო, მილი დაზიანდა და მაინცდამაინც მათ სარდაფში ჩამოდიოდა წყალი, ელექტრონათურები უნდა ეყიდა და მინდროზე მოსულიყო. ვერც ერთი დავალება ვერ შეასრულა, ყველაფერი სახვალიოდ გადადო.

თოდიმ როგორც იქნა ჩამოათავა სადღეგრძელოები. ქალბატონი ლიზა სამჯერ ატირა: როცა იუბილარის მშობლებს ადღეგრძელებდა, როცა უდროოდ დაღუპული ნიკო ივერის შესანდობრად პურის ნატეხზე ღვინო დააწვეთა და ბოლოს, როცა ოჯახის სადღეგრძელო წარმოთქვა.

როგორც იქნა დატოვა სუფრა. სათითაოდ ყველა გადაკოცნა, მამუჩარს კი ლექცია წაუკითხა, თუ როგორ უნდა მოიქცეს ცხოვრებაში.

მამუჩარმა მთვრალი სტუმრები ჩააცილა, გარეთ წვიმდა და ციოდა. სადარბაზოში ნათურა გადამწვარიყო და ბნელოდა. სტუმრები ქუჩაში ხმაურით გამოვიდნენ, ჩაბნელებულ სადარბაზოში მამუჩარი მარტო დარჩა და მოეჩვენა, რომ გული დასწყდა, თუ მოიწყინა, ეს არ იყო წამიერი მარტოობით გამოწვეული სევდა. მან იგრძნო, რომ მარტო დარჩენა უჭირდა. საოცარ ღამეს მარტო უნდა შეხვედროდა. ვერც დედას, ვერც მზიას ვერ გაუმხელდა ჯადოსნური თაგვის ამბავს.

* *

ქალბატონმა ლიზამ დარბაზში სინათლე ჩააქრო, მამუჩარიც ჩაწვა. ღამის შუქი აინთო. ოთახში ცისფერი სინათლე დაიღვარა.

— რად გინდა სინათლე, დაიძინე — ჩაიბუზღუნა მზიამ და სინათლეს ზურგი აქცია.

— არ მეძინება, უნდა ვიკითხო, — მამუჩარმა სასთუმალი აიწია, ქათქათა ბალიშს ზურგით მიეყრდნო. გადაშლილი წიგნი მუცელზე დაიდო და ოთახის ერთ კუთხეს მიაშტერდა, — თაგვი ხომ არ დგასო. თაგვი არ იყო. მამუჩარი ფიქრს მიეცა. ღამე, მარტოობაში ფიქრი უყვარდა, გონება ყოველდღიური წვრილმანი საზრუნავისაგან თავი-

სუფლდებოდა და ლაღად, ძალდაუტანებლად აზროვნებდა. თავის ბინაში მარტოს ფიქრს ვერავინ აუკრძალავდა, ვერც უკარნახებდა, სიამოვნებას ჰგვრიდა ამგვარი ყოფა. ახლა მას შეეძლო ეფიქრა ხალხზე, ქვეყნის ბედ-ილბალზე, მომავალზე. დღისით კი, ამას წვრილმანში ჩაფლულს, ამგვარი ფიქრი არ შეეძლო, არც ეცალა და საჭიროც არ იყო.

მაგრამ ეს თაგვი!.. როგორც კი თავის საყვარელ ფიქრს მიეცემოდა, საიდანღაც, როგორღაც შემოძვრებოდა ოთახში... თითქოს დღეს გამოეგზავნა მოციქულად, გამოეცხადებოდა და ფიქრის ნებას არ აძლევდა. როგორც კი მოჩვენება-თაგვს დაინახავდა, მამუჩარი იძულებული იყო თაგვზე ეფიქრა და არა წუთისოფლის რაობაზე. თაგვის დანახვა კვლავ გულისგამაწყალებელ წვრილმან ფიქრს აუშლიდა: ავად ხომ არ იყო, რატომ ეჩვენებოდა თაგვი?..

ამ ფიქრებში ჩაეძინა, წამით მილულა თვალი, საზარელი სიზმარი ნახა და გულგახეთქილს გამოეღვიძა, — მოჩვენება მისი ლოგინის წინ იდგა, თითქოს მამუჩარის გაღვიძებას ელოდებოდა, „თაგვი!“ — შესძახა და წამოხტა. შეშფოთებულმა საკუთარი თვალით ნახა, როგორ გასრიალდა და ოთახის კუთხეში როგორ ჩაძვრა მოჩვენება-თაგვი.

„ნამდვილი თაგვია, თუ მოჩვენება?“ — ჰკითხა თავისთავს.

— რა მოგივიდა, მამუჩარ? — გამოეღვიძა მზიას. ქმარი საცვლების ამარა წამომდგარიყო და გაბოროტებული დასჩერებოდა იატაკს.

— რა მოგივიდა, ადამიანო, არ იტყვი?!

— საიდანღაც ხოჭო შემომიძვრა ლოგინში, — იცრუა მამუჩარმა და ხელის გული ისე გადაუსვა თეთრ ზეწარს, თითქოს მართლა ხოჭო გამოაგდო ლოგინიდანო.

— გასაოცარია შენი საქმე, უნდა გაათენო? ჩააქრე სინათლე! — აბუზღუნდა მზია, საბანში გაეხვია და ძილს მისცა თავი. მამუჩარმა სინათლე ჩააქრო. „ნუთუ მოჩვენებაა?..“ გაიფიქრა მან და საბანი თავზე გადაიხურა. „უნდა დავიძინო, თორემ გათენდება... ხვალ სამსახურში ვეღარ წავალ, ნუთუ მოჩვენებაა?“ — ეკითხებოდა საკუთარ თავს და საბნის ქვეშ საცოდავად მოკუნტული თაგვზე ფიქრობდა.

* *

მამუჩარმა თავისი საწოლი ლოჯში გადაიტანა. ივერებს სამოთახიან ბინაში, ორი ოთახი ეკავათ. ერთ ოთახში შესახლებული იყო ვინმე გარსევანიშვილი. გარსევანიშვილი იმ ოთახში არ ცხოვრობდა,

პლეხანოვის გამზირზე ჰქონდა ნამდვილი ბინა მართალია, ხშირად უჩიოდნენ, იბარებდნენ მილიციაში, სასამართლოში, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა: ივერების ბინაში ცხოვრობდა გარსევანიძე — ... არა, სტუდენტი ოდილავაძე. მამუჩარი ამ ამბავს შეჩვეულ ... ოთახისაკენ აღარც კი იყურებოდა. ლოჯი აქცია ოთახად, სამუშაო კაბინეტი და საწოლიც აქ გადმოიტანა და თავს ბედნიერად გრძნობდა.

ხომ ხედავ დრო არა მაქვს. ღამე უნდა ვიკითხო, ვიმუშაო, — უთხრა მან მზიას, — აქ ვიქნები, ჩემთვის, მირჩევნია.

— რაღაცას მიმალავ, მამუჩარ, ხომ იცი, არაფერი გამომეპარება.

მამუჩარს დაეჭვებული ცოლის დარწმუნება ეძნელებოდა, ცდილობდა ყველაფერი უბრალოდ, ჩვეულებრივად გაეკეთებინა.

ასე იყო თუ ისე, მზიაც და ქალბატონი ლიზაც მან დააჯერა, რომ შემოქმედებითი მუშაობისათვის მარტოობა უკეთესი იყო.

* *

მამუჩარი თაგვს ყოველ ღამე სამუშაო ოთახში მარტოკა ხვდებოდა, ახლა აღარ ერიდებოდა, საცვლების ამარა წამოვარდნილიყო. საწოლზე შემდგარიყო, ან სავარძელში მოკალათებული დალოდებოდა საოცარ მოჩვენებას. მთელი ერთი თვე იწვალა, მაგრამ ვერ დაადგინა, მოჩვენება იყო თუ სინამდვილე. ერთხელ ჩვეულებრივზე ადრე ჩაწვა. სინათლე ჩააქრო. მაგიდის ლამპის შუქზე კითხვას შეუდგა, მაგრამ ფიქრმა კითხვა შეაწყვეტინა.

დილით სოხუმის მატარებელს დახვდა. ქალბატონ ლიზას ერთმა ნათესავმა ორი ყუთი ფორთოხალი გამოუგზავნა. მამუჩარმა ნომრიან მუშას აჰკიდა ორი ტყვიასავით ყუთი და ტაქსის გაჩერებისაკენ ზღვა ხალხს გამოჰყვა. სადგურის მოედანი ჩამოსულ მგზავრებს აევსო. ტაქსის რიგში მგზავრები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ. „როდის მოვა ჩემი რიგი, დამაგვიანდება სამსახურში“, — გაიფიქრა მამუჩარმა. უცებ ერთი მოხუცი კაცი მოადგა და მორიდებით ჰკითხა:

— ღვთისკაცო, თუ არ გეჩქარება, წამოგიღებ, ტროლეიბუსით წავიდეთ...

მამუჩარს ძალიან გაუკვირდა, მოსული აათვალ-ჩაათვალიერა, საოცრად კეთილად განეწყო მოხუცისადმი. „ღვთისკაცო“, იქ, სადაც დღენიადაგ გაისმის გულისამრევი სიტყვები, სადაც შემზარავად მოგმართავენ: „ჩვენი ძმა“, „ამხანაგო“, „გრაჟდანინ“, „ტო“, „ბიჭო“,—მამუჩარმა გაიგონა წმინდა სიტყვა!..

მოეწონა ოქროპირი, კახელი გლეხკაცი იყო, გაქალაქებული, გზაში ცისა და ბრის ამბები უამბო, მამუჩარმა მანეთის ნაცვლად მანეთი აჩუქა, იმ ოქროპირმა კი გამომშვიდობებისას ᲒᲣᲚᲥᲐᲠᲗᲚᲘ ქართული სიტყვა უთხრა: „გულქართლი“. შენო გულქართლი ადამიანი ყოფილხარო.

მამუჩარი ამ მოხუცზე ფიქრობდა, წუხდა, რომ ხეირიანად არ გამოჰკითხა, სად ცხოვრობდა, რატომ ჩამოვიდა თბილისში, რატომ მუშაობდა მტვირთავად... ებრალებოდა ბერიკაცი...

შემდეგ დაიწყო ის ფიქრი, რაც მხოლოდ ფიქრი იყო და მეტი არაფერი. ადგა და იმ ოქროპირს თავისი ხელფასის ნახევარი მისცა ყოველთვიურად, შინ მიიყვანა და ერთი ოთახი დაუთმო... შეტოპა, შეტოპა და... იქ, სადაც კედელი იატაკს უერთდება, ერთ კუთხეში ჯადოსანი თაგვის ჩრდილი შეამჩნია. „აჰა, მოდის“, — ჩაიდუდუნა, ფიქრიც გაუწყდა და გული ეტკინა.

თაგვი მოძვრებოდა იმ კედლიდან, სადაც თაროები ელაგა. სულ ქვედა თაროსა, იატაკსა და კედელს შორის ერთი ბეწო კუთხე იქმნებოდა. საიდანღაც, როგორღაც ამ კუთხეში გაჩნდებოდა თაგვის ჩრდილი, გეგონებოდათ კედელზე შავი ლაქაა, ათიოდე წუთი გაივლიდა და მიხვდებოდით, რომ თაგვისებური ლაქა მოძრაობდა, კედელ-კედელ შეუმჩნევლად უახლოვდებოდა ტახტს. ნახევარ საათს გრძელდებოდა საოცარი მოგზაურობა ოთახის ერთი კუთხიდან ტახტისაკენ. ლოდინი მამუჩარს ეძნელებოდა და ნერვიულობდა. თუ გაინძრეოდა, ან ჩაახველებდა, თაგვი დროებით გაუჩინარდებოდა და ცოტა ხნის შემდეგ თავიდან იწყებდა გულისგამაწყალებელ, ნერვებისმომშლელ ჩოჩიალს კედელ-კედელ.

წუხელ თაგვი სხვაგვარი ეჩვენა. თაგვის ჩრდილი საბნიდან ისარივით გამოვარდა და იატაკზე გასრიალდა. თაგვი თითქოს შეცვლილიყო — ნამდვილი კუდი გამობმოდა! ამ ცვლილებამ გააოცა და ჩააფიქრა. უნდა შეემოწმებინა, კარგად უნდა დაჰკვირვებოდა, წამიერ ხილვას აღარ ენდობოდა.

მამუჩარი გულაღმა იწვა და თვალს არ აშორებდა თაგვის ჩრდილს. თითქოს არ იყო მოჩვენება, ნამდვილი თავი ჰქონდა, ნამდვილი კუდი, ნამდვილი ფეხები და მაინც არ იყო ნამდვილი.

თაგვის ჩრდილი საწოლს გაუსწორდა. კედლიდან იატაკზე ჩამოვიდა. შეყოვნდა. „ახლა თავი თუ არ მოვიმძინარე, დილამდე ასე იქნება გაჩერებული“. მამუჩარმა თვალები მაგრად დახუჭა და რიტმულ ფშვინვას მოჰყვა. თაგვი ლოგინში შეუძვრა. მამუჩარი პერანგისამარა

წამოვარდა. თაგვმა ისკუპა, ჰაერში ნახევარი წრე მოხაზა და თაროებს უკან სადღაც ჩაძვრა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

ვერ იქნა და ვერ მივიდა ექიმთან, ვერ მოიცალა. ჯერ იყო და ქალბატონი ლიზა ავად გახდა. ექიმებმა თქვეს, ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდებაო. საავადმყოფოში დააწვინეს. მზია მოსკოვში წავიდა მუსიკოსთა საკავშირო კონკურსზე. მზია მუსიკის მასწავლებელი იყო, მაგრამ კარგ შემსრულებლად ითვლებოდა და ხშირად იწვევდნენ კონცერტებზე. საკავშირო კონკურსში მონაწილეობა დიდი მოვლენაა მუსიკოსისათვის. მზია სიხარულით ცას ეწია. მამუჩარმა ხელი ვერ შეუშალა. შინ ბავშვთან მარტოკა დარჩა. დილით საბავშვო ბაღში გიასთან ერთად გარბოდა, საბავშვო ბაღიდან სამსახურში, სამსახურიდან საავადმყოფოში, საავადმყოფოდან შინ ბრუნდებოდა დაღლილ-დაქანცული. და აი, ამ დროს მამუჩარი სამხატვრო საბჭოზე გამოიძახეს და ერთი მოთხრობის ინსცენირება დაავალეს. მამუჩარი იცნობდა ამ მოთხრობას. სულით და გულით უნდოდა მისი დადგმა. მაშინვე ჩაუჯდა, დანიშნა რეპეტიციები და მუშაობას გატაცებით შეუდგა. ახალ სამყაროში გადავიდა, ფუნთუშებით, მწვანილითა და ხილით დატვირთული გარბოდა საავადმყოფოში და ფიქრობდა, მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირი კიბეზე როგორ ასულიყო. საღამოს გიას ფაფას უხარშავდა და თან მსახიობს ამოცანას აძლევდა. შუაღამისას თაგვის მოლოდინში მიზანსცენებს სცვლიდა, სიტუაციებს ძაბავდა, დიალოგს ხვეწდა.

უამრავ საქმეში მამუჩარი ობობასავით გაებლანდა. საავადმყოფოში მივიდოდა თუ არა, ქალბატონი ლიზა შვილს შეშფოთებული ეკითხებოდა:

— რატომ ხარ გამხდარი, შვილო, სულ არაფერს ჭამ?..

მამუჩარი იცინოდა, ქალბატონ ლიზას ამშვიდებდა, ჯიშიანი მამაკაცი გამხდარი და რკინასავით მაგარი უნდა იყოსო.

მამუჩარი არ იყო ცხოვრებით უკმაყოფილო ტიპი. ზოგი კაცი თავის ხელმოცარვას სხვას აბრალებს. დღე და ღამე წუწუნებს, ტირის, წუხს, შურს ამხანაგების, ნათესავების. მამუჩარს არასოდეს არ წამოსცდებოდა, რომ ფული არ ჰქონდა, რომ რაიმე გასაჭირი ადგა. მხოლოდ ერთხელ შეცდა — თავის გულის დარდი კინაღამ სხვას გადაუშალა.

კვირა დღე იყო. დილით ძალიან ცუდ გუნებაზე ადგა. გაუპარსა-

ვი, უხეიროდ ჩაცმული გამოვიდა ქალაქში. თბილისის ანმაურებულ ქუჩებში იხეტიალა და მერე ერთ ნათესავთან შეიარა, ნათესავი ვა-კეში ცხოვრობდა. მოხერხებული კაცი იყო ვალერიან ხოსიტაშვილი. ნათესავები შინაურულად ვალიკოს ეძახდნენ, ტოლ-ამხანაგები — ხოსიტას.

ამგვარი ცვლილებები ვალიკოს სახელმა და გვარმა სწორედ იმიტომ განიცადა, რომ მოხერხებული კაცი იყო, ფულიანი კაცი, „საყვარელი“ კაცი.

მამუჩარს კარი ვალიკოს მეუღლემ გაუღო.

ვალიკო გრძელ მაგიდასთან იჯდა და სადილობდა, თან გაზეთს ათვალიერებდა. ერთი ბოთლი წითელი ღვინო დაედგა, შიგა და შიგ წრუპავდა. ოთახში ცხელოდა.

— მდაა, — თქვა ვალიკომ, გაზეთი გადასდო და მამუჩარს შეხედა. — ასე უნდა ბიჭო?.. მთლად უნდა დავივიწყოთ ერთმანეთი? არ გრცხვენია? როგორ არის დედაშენი?

ვალიკო პასუხს არ დაელოდა, მამუჩარი მაგიდასთან მიიპატიჟა და ჭამა განაგრძო.

— არა, ძმაო, — დაიწყო მან — შეიძლება, გოლდუოტერმა გაიმარჯვოს, მილიონერები მხარს უჭერენ, ა, ნახე...

მამუჩარმა გაზეთი აიღო. გადაათვალიერა და ისევ მაგიდაზე დადო.

— ვის მხარესაც ფულია, გამარჯვებაც მისია, — ასეთია ცხოვრების კანონი. — თუ გოლდუოტერმა ასე განაგრძო და წინასაარჩევნო კომპანიაში გაიმარჯვა, მორჩა, არჩევნებიც მისია: სულ არაფერს არ შეჭამ? ეს ერთი ჭიქა მაინც დალიე...

— არა, მე არა... — ჩაილუღლუღა მამუჩარმა.

— ჰო, შენ არ სვამ... მე არ მომწონს გოლდუოტერი, ომი მინდა ახლა მე? შენ როგორ ფიქრობ, ვინ გაიმარჯვებს?

— ეჰ, რა ვიცი, — უნებლიეთ წამოსცდა მამუჩარს. „ეჰ“ არ უნდა მეთქვა — გაიფიქრა მან და ნაძალადევად გაიცინა. სიცილი უფრო უადგილო ეჩვენა და რაღაც სულელური პოზა მიიღო.

ვალიკო მამუჩარის ნაღვლიანმა „ეჰ რა ვიცმ“ გამოაფხიზლა, მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ დეიდაშვილი მოწყენილი იყო, გაუპარსავი, ცუდად ჩაცმული, იფიქრა, ფულის სასესხებლად მოსულაო და საუბარი სწრაფად შეცვალა.

— ძნელია ცხოვრება, ძველებურად აღარ არის, გაფუჭდა ქვეყანა, ყველა ხელში გიყურებს. მერე ეს ბაზარი! ბაზარმა ჭლექი გამიჩინა,

ყველაფერს ცეცხლი ეკიდება. დღეში ათი მანეთი არ გვყოფნის, თქვენ გყოფნით?

— ჩვენც არ გვყოფნის, — მიუგო მამუჩარმა, — წუხელ ... დაიმცირა და რად ეჩვენა ნაღვლიანი.

— ახლა ჩაცმა გინდა, დახურვა, მისვლა-მოსვლა, შენ არ დამიჯერებ და დილიდან დავრბივარ ფულის საშოვნელად, ბევრი კი არ მინდა, — ასი მანეთი.

— შენც ვერ იშოვე? — გაიცინა მამუჩარმა ნაღვლიანად.

— სად იშოვი, ყველას თავისი გასაჭირი აქვს.

— წავალ და მოგიტან, — უთხრა უცებ მამუჩარმა და მტკიცედ გადაწყვიტა, ფული ესესხა და მოეტანა.

— არა, არა, რას ლაპარაკობ, შენ ფულს როგორ გამოგართმევ!..

ვალიკო წამოხტა და მამუჩარი ძალით დასვა სკამზე, არ გაუშვა. ვალიკო დიდხანს ლაპარაკობდა ფულის ენაზე: ხშირად ხმარობდა შესაფერის სიტყვებსა და გამოთქმებს. მამუჩარი გაჩუმებული იჯდა, აღარ უსმენდა, იმაზე ფიქრობდა ვისთან მისულიყო ფულის სასესხებლად.

საღამოს მამუჩარი გახარებული მივიდა ვალიკოსთან, თითქოს ფული კი არა, სასჯელი მოუტანა, სიხარბე და გაუმაძღრობა დავამარცხეო. სულ არ მოელოდა, თუ ასე ჩვეულებრივად შეხვდებოდა ვალიკო ფულს, თითქოს რაც დღეს მის სახლში ხდებოდა, კანონზომიერი მოვლენა იყო, თითქოს მართლა ვალიკოს არ ჰქონდა ფული და მამუჩარს ჰქონდა. „მომერია", — გაიფიქრა მამუჩარმა.

— ბავშვებს გეფიცები ერთ კვირაში ორმაგად გადაგიხდი, — უთხრა ვალიკომ, ფული გამოართვა და უტიფრად მხარზე ხელი დაჰკრა, ვითომ ყოჩაღ, რომ გასაჭირიდან მიხსენიო.

ვალიკოს სახლიდან მამუჩარი საავადმყოფოში წავიდა, მთელი დღე უაზროდ დავკარგე, დედას მაინც ვინახულებო.

ლიზა უკეთ იყო, მამუჩარის დანახვა გაუხარდა, ლოგინზე წამოჯდა, ხმადაბლა ისაუბრეს შინაურ ამბებზე, შემდეგ დედამ შვილს ღავალება მისცა:

— შენ შემოგევლე, თუ ჩემი ხათრი გაქვს, ჩემი ნატუსიას ბიჭს მიმიხედე, ხომ გახსოვს, შვილო, ნატუსია! ჰოდა, იმის ბიჭს სოფელში ძროხა დაუკლავს, ხორცი ექიმისაგან მალულად სასადილოსთვის მიუყიდია, თურმე საცოდავ ნატუსიას მეორე ძროხა ავად ჰყოლია, ექიმი ამიტომ არ აძლევდა გაყიდვის ნებას. ნატუსიას ბიჭს უფიქრია მეო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეც არ მეზარალოსო, დაუკლავს და სასადილოსათვის მიუყიდია.

— მერე მე რა ვქნა, დედა?..

— თურმე ის ავადმყოფი ძროხა ცოფიანი ყოფილა.

— უჰ!..

— აბა, შვილო, დაიღუპა საცოდავი ნატუსია!

— გადაედო?

— გითხრა, სასაწაული! ვაი, დედა, ვაი, შვილო!.. თურმე აგერ რომ არიან სასადილოში კაცები და რომ ჭამენ ამ ხარჩოს, შემოვარდნილა ბედშავი კოლია და უყვირია: შეჩერდით, ცოფიანიაო!..

— კოლია ვინაა?

— იმ უბედური ნატუსიას შვილი, არ გახსოვს, შვილო?

— კი მახსოვს, მერე?

— მერე, შექმნილა ერთი ამბავი, გაუგია რაიონს, დაწყებულა ვამოძიება, ვინ ჭამა პარასკევს სასადილოში ხარჩოო... მთელი ექიმები, მთელი მილიცია — მთავრობა აწრიალებულა, საწყალი ნატუსიას ბიჭი დაუჭერიათ, და ციხეში ჩაუგდიათ.

— მარცხი მოჰყვაო?

— არაო, მთელ სოფელს დიდსა და პატარას ნემსებს უკეთებენო.

— საიდან იგებ ამ ამბებს, დედა, ქალაქში მე დავდივარ და ქვეყნის ამბები შენ იცი.

— აი, შვილო, წერილი გამომიგზავნა უბედურ დღეზე გაჩენილმა ნატუსიამ.

— თოდისთან მიდი, შენ შემოგევლე, თოდი ჩვენთვის ყველაფერს გააკეთებს. საქმე უზენაესშიაო, იქ გვინდა კაცი. ნატუსია მწერს, სულ არ არის ძნელი საქმეო, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა ღა არავინ არ გვიჩივისო, საკმარისია ვინმემ დარეკოს იქიდან, საქმე მოისპობაო. ჩემი სახელით უთხარი თოდის. შენ და თოდი მიდით ხელაძესთან.

— ხელაძე ვინღაა?

— მამაშენის ამხანაგია, თოდიმ იცის, უთხარი, ვინცა ხარ და, თუ რამე შეიძლება, უარს არ გეტყვის... ნატუსიას ჩვენს მეტი არავინ არ ჰყავს, შვილო, აბა, შენ იცი, — ხმადაბლა საუბარს განაგრძობდა ქალბატონი ლიზა. პალატაში ოთხი საწოლი იდგა. ყველა საწოლთან ახლოს მოჩოჩებულ ჭირისუფლებს ავადმყოფების გამოკითხვა დაეძთავრებინათ და ამბებს ჰყვებოდნენ.

— წავალ ახლა, დედა, გვიანაა, გია უნდა წამოვიყვანო საბავშვო

ბაღიდან, — თქვა ბოლოს მამუჩარმა და წამოდგა. დედას ვერაფერი უთხრა. მოისმინა ახალი დავალება და წამოვიდა.

„ნატუსიას შვილი, ხელაძე, თოდი“, — ჩურჩულებდა [illegible] ქუჩაში.

* *

მამუჩარმა როგორც იქნა მოაბა თავი და თავისი რეჟისორული ნამუშევარი ამხანაგებს უჩვენა. „გამოვიდაო,“ ერთხმად აღიარა ყველამ. უფროსმაც ნახა და სარედაქციო თათბირზე შეაქო მამუჩარ ივერის ახალი ნაწარმოები. ბოლოს მთელი დადგმა კინოფირზე გადაიღეს, ტელევიზიით აჩვენეს და მოსკოვშიც კი გაგზავნეს.

ამასობაში ქალბატონი ლიზაც გამოწერეს საავადმყოფოდან და მზიაც დაბრუნდა მოსკოვიდან. თაგვი რომ არა, ახლა მასზე ბედნიერი არავინ იქნებოდა ქვეყანაზე.

გადაწყვიტა, საერთოდ არაფერზე ეფიქრა, რომ დაწვებოდა, მხოლოდ ძილზე ეფიქრა და დაეძინა. მართლაც, ერთი ორი ღამე თაგვი არ გამოჩენილა. ერთ მშვენიერ დღეს თაგვი ავტობუსში ეახლა. რაკი შინ ფიქრი აუკრძალა თავისთავს, მამუჩარმა ხერხს მიმართა: ავტობუსში, ქუჩაში, ბაზარში, სამსახურში, თავის ოთახში, მიაშტერდებოდა ფანჯარას ან მაგიდას დააჩერდებოდა და ფიქრობდა. მამუჩარი შემოქმედი კაცი იყო, არ შეეძლო უფიქროდ ცხოვრება. თავისუფალი ფიქრი ჰაერივით სჭირდებოდა, შემოქმედება შეუძლებელი იყო თავაწყვეტილი ფანტაზიის გარეშე. თაგვმაც არ დააყოვნა, ავტობუსშიც მოელანდა, რუსთაველის გამზირზე ჩაფიქრებით მიმავალს ცხვირწინ გაუელვა, თითქოს ასფალტიდან ამოძვრაო.

მამუჩარმა დაადო თავი და ექიმთან მივიდა. ვერ უთხრა, თაგვი რომ ეჩვენებოდა, ჩემს ნათესავს ეჩვენებაო, იცრუა.

ექიმმა დაწვრილებით გამოჰკითხა, თუ რა სჭირდა მის ნათესავს, თაგვი როგორ ეჩვენებოდა, რატომ ეჩვენებოდა. არაფერია, ალბათ გადაიღალაო, დაასკვნა და დასამშვიდებელი წვეთები გამოუწერა. ექიმსაც რა ექნა, სად იყო ისეთი წამალი, მამუჩარს საკვირველ თაგვს რომ მოაშორებდა.

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა, რაკი მამუჩარსაც გაუმართლა და მზიასაც, ლიზაც ცოცხალი გადარჩა, ბედი უნდა ეცადათ, ივერეს ბისათვის ხომ მთავარი იყო, სტუდენტი ოდილავაძის გაყვანა ბინიდან და სამი ოთახის შენარჩუნება. როგორც კი მილაგ-მოლაგდნენ და ცოტა ამოისუნთქეს, მზიამ კვლავ წამოჭრა თავსატეხი ამოცანა:

— სცადე, შენ უკვე გიცნობენ, — ხალხი ტელევიზორს უყურებს, მეტს არაფერს, იქნებ თავმჯდომარის ყურამდეც მიაღწია შენმა სახელმა, შედი, გვარიშვილობას არავინ ჩამოგართმევს.

— ჰო, შვილო, შენ შემოგევლე, — შეეხვეწა დედამისი, — ბინა გვჭირდება, ბიჭი გვეზრდება, შედი და აუხსენი შენი მდგომარეობა.

— სხვა არა იყოს რა, ოჯახში უცხო მამაკაცი გაგონილა?! მეზობლების მრცხვენია!

მზიამ მამუჩარს აქილევსის ქუსლი მოუძებნა. მამუჩარი ჩუმად დარდობდა, როცა მის ცოლს დღეში ხუთჯერ აათვალ-ჩაათვალიერებდა სტუდენტი ოდილავაძე, მაგრამ რა ექნა? ადამიანს ცქერას ხომ ვერ დაუშლიდა? ოდილავაძე უცოლო ყმაწვილი იყო და თვალი სულ ქალებისაკენ გაურბოდა.

„შევალ“, გადაწყვიტა მამუჩარმა და აღმასკომში წავიდა!

* *

ეს იყო დაუვიწყარი, გაუმეორებელი დღე. სიაში ოცდამეათე ეწერა. შავ კართან ახლოს იჯდა და ელოდებოდა. ოცდამეათე საეჭვო ციფრი იყო, მაგრამ მდივანმა დააიმედა, სიით ოცდაათ კაცს მიიღებსო.

მისაღებ ოთახში ხალხი ირეოდა, ზოგი შავ კარებში შედიოდა, ზოგი გამოდიოდა. ვიღაც რეკავდა, ვიღაც ბრაზობდა. ერთი კაცი მთელი სამი საათი გაუნძრევლად იჯდა, კედელს აკრული მეორე კედელს მისჩერებოდა, გეგონებოდათ, არ სუნთქავდა. მხოლოდ ის იყო, რომ ყოველ ათ წუთში საათს ამოწმებდა. საოცარი მონდომებით, და ოსტატობით დასცქეროდა საათს: მკლავს მაღლა ასწევდა, სწრაფად და მოხდენილად მოხრიდა, მეორე ხელის დაუხმარებლად გადაიწევდა კოსტუმსაც, თეთრ პერანგსაც, გამოიჩენდა საათს, დახედავდა და გასწორდებოდა. გასაკვირი ის იყო, რომ იმ კედელზე, რომელსაც იგი მიშტერებოდა, ეკიდა კედლის დიდი საათი. ალბათ იმ საათს არ უჯერებდა.

მამუჩარმა სიგარეტი გააბოლა, დერეფანში გაიარ-გამოიარა, შემოვიდა და კვლავ შავ კარს მიუჯდა. „პატივცემულო თავმჯდომარევ, გაიყვანეთ ჩემი ბინიდან ოდილავაძე. ახალგაზრდა კაცი ვარ, ცოლშვილი მყავს, მეორე შვილსაც ველოდები, იქნებ მესამეც გაჩნდეს, ბინა მჭირდება“... მამუჩარმა დიდხანს იფიქრა, თუ რას ეტყოდა თავმჯდომარე. პასუხი ძლივძლივობით შეთხზა: „მოქალაქე, ივერო, გე-

ტყობათ, შეგნებული კაცი ბრძანდებით, თქვენ ბინა მიგიღიათ, მოითხოვთ უკეთეს ბინას. ჯერჯერობით ჩვენ ამისი საშუალება არა გვაქვს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამხანაგო თავმჯდომარეო, იცით რა?..“ მამუჩარმა ... სათქმელის ჩამოყალიბება დაიწყო, მაგრამ ისე იყო დაღლილი, ისე სტკიოდა კისრის ძარღვები, თავმჯდომარესთან ჩხუბი ფიქრშიაც კი არ შეეძლო. „ამხანაგო თავმჯდომარეო, იცით რას...“ ერთი სიტყვაც ვერ მიუმატა. წამოდგა, იფიქრა, გავივლ-გამოვივლიო და ამ დროს გაიგონა მდივნის სანატრელი ხმა:

— ივერი და „დუნდუას ხალხი!“ — შემობრძანდით...

მამუჩარმა თავისი გვარი გაიგონა თუ არა, ცხელმა ჟრუანტელმა ჟრიალ-ჟრიალით დაუარა ძარღვებში და „დუნდუას ხალხთან“ ერთად გაოგნებულმა შეაღო შავი კარი.

მამუჩარმა არ იცოდა, ვინ იყო „დუნდუას ხალხი“ — სამი ახალგაზრდა შევიდა მასთან ერთად, არ აინტერესებდა მათი ვინაობა.

თავმჯდომარე მათ გაღიმებული შეხვდა. მამუჩარმა თავმჯდომარეს რომ შეხედა, მთელი გეგმა დაენგრა. „ამ კაცს ვერაფერს ვთხოვ“, — გაიფიქრა მან და დაჯდა. თითქოს მოისვენა, თითქოს ძალთვის ყველაფერი გაირკვა.

ასეთი უცნაური ახირება იცოდა: კაცს შეხედავდა, თუ არ მოეწონებოდა, იმ კაცს სულ წითელი კვერცხი რომ ეგორებინა, ახლოს არ მიიკარებდა.

თავმჯდომარე თავაზიანად ესაუბრებოდა „დუნდუას ხალხს“, ზოგს უთხრა, ამ დღეებში გამოიარეო, ზოგს შეჰპირდა, აღრიცხვაზე აგიყვანთო, ზოგს კი... რა ვქნათ, საშუალება არა გვაქვსო.

— რა გნებავთ, გისმენთ... — მიუბრუნდა თავმჯდომარე მამუჩარს, როცა „დუნდუას ხალხთან“ საუბარი დაამთავრა და გაისტუმრა. მამუჩარმა ახლაღა შეამჩნია, რომ თავმჯდომარესთან მარტოკა დარჩა.

— მე? — არეულად იკითხა მან. — არაფერი.

თავმჯდომარე შეცბა.

— რა გნებავთ, მოქალაქევ? გისმენთ... — მშვიდად გაუმეორა შეკითხვა თავმჯდომარემ.

— არაფერი, ისე შემოვედი, — უთხრა მამუჩარმა.

„ალბათ აღელვებულია და აყალმაყალის ატეხვას აპირებს“, — გაიფიქრა თავმჯდომარემ.

— ბრძანეთ, მე მზადა ვარ, თუ რამე შემიძლია, — ახლა უკვე დაუყვავა თავმჯდომარემ.

— გეფიცებით, ისე შემოვედი, არაფერი არ მინდა...

— მე ხუმრობისთვის არ მცალია, ამხანაგო! — გაბრაზდა უცებ თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განა მე ვიხუმრე, პატივცემულო თავმჯდომარეო, — ძმვიდად უთხრა მამუჩარმა.

თავმჯდომარემ მოწოლილი ბრაზი და ბოღმა სიგარეტის ბოლით ჩაიკლა და გაჩუმება არჩია.

— რისთვის მოსულხართ, არ იტყვით? — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ იკითხა თავმჯდომარემ. მამუჩარი ხმას არ იღებდა, თავმჯდომარეს შესცქეროდა ბრიყვულად.

— მიბრძანდით, მოქალაქე, მე თქვენთვის არა მცალია! — საქმიანად თქვა თავმჯდომარემ და ზარს თითი დააჭირა. მდივანმა შემოიხედა.

მამუჩარი აღმასკომიდან გამოვიდა, ცოცხალ-მკვდარი გაუდგა გზას შინისაკენ.

* *

— კმარა, დავჯერდეთ იმას, რაც გვაქვს... — გამოუცხადა მამუჩარმა ცოლსა და დედას, — გაივლის დრო და იქნება რაღაცა... მთელი ჩვენი სიცოცხლე იმისათვის ხომ არ უნდა ვიბრძოლოთ, ორ ოთახს ერთი მივუმატოთ. ზოგს ეს ორი ოთახიც არა აქვს, ის ხელფასი, რაც ჩვენ გვეძლევა, ზოგს ენატრება. ...ძველ დროში თურმე ხალხი კლდეში გამოკვეთილ საკნებში ცხოვრობდა, ფხალსა და მწვანილს ჭამდა, მაგრამ შედევრებს ქმნიდა. ვიმყოფინოთ ის, რაც გვაქვს და უარესის მოლოდინში ვიყოთ... — მღელვარებით ლაპარაკობდა მამუჩარი, ახლობლებს დიდხანს უმტკიცებდა თავის სიმართლეს. სხვა რა გზა ჰქონდათ, ბედს უნდა შერიგებოდნენ. შემოქმედი კაცია, მიდგომ-მოდგომა არ ეხერხებაო, გუნებაში ამართლებდნენ ქალები და შინ და გარეთ სამამაკაცო საქმეებსაც თვითონ უძღვებოდნენ.

მამუჩარი კი დროს იშოვიდა თუ არა, თავის ლოჯში ჩაიკეტებოდა და ფიქრობდა. შეეძლო მთელ დღე გულაღმა წოლილიყო და ნაცარქექიასავით ეფიქრა. მაგრამ თაგვი, წყეული ჯადოსანი თაგვი, ფიქრის ნებას არ აძლევდა.

ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, მამუჩარიც ნელ-ნელა ეჩვეოდა თაგვს. კაცმა რომ თქვას, თაგვი არც არაფერს უშავებდა, მოელანდებოდა, ხანდახან მძინარეს ლოგინშიც შეუძვრებოდა, ფიქრს გაუკრ-

თობდა და თავისი გზით მიდიოდა. ყოველდღიურ საჭიროებაზე ფიქრის დროს კი არ ეჩვენებოდა, როცა ფიქრს არ ჰქონდა საზღვარ-სამანი, იმდენად თავისუფალი იყო, უფრო ოცნებას ჰგავდა, ვიდრე ფიქრს, მაშინ გამოეცხადებოდა. ფიქრის თავისუფლებას კი ხული ოელტვოდა, რა ექნა? არ ეფიქრა?

თაგვი კი არა, პირგამეხებული ვეფხვი რომ შევარდნოდა ოთახში, ფიქრს ვერ მოიშლიდა. ვერც ოჯახური ტკბილი ცხოვრება, ვერც შემოქმედება, ვერც სხვა რამ მიწიერი სიკეთე იმდენ სიხარულსა და ბედნიერებას ვერ მიანიჭებდა, რამდენსაც სულ უბრალო რამ — ეს თავისუფალი ფიქრი ჰგვრიდა. ამ დროს მამუჩარი ხან გმირი იყო სამშობლოსათვის დაცემული ბრძოლის ველზე, ხანაც კეთილშობილი რაინდი, ხანაც ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანწირული მებრძოლი; ხან კრწანისის ველზე კვდებოდა, ხან — ბარიკადებზე, ხანაც გამარჯვებული წინ მიუძღოდა ლაშქარსა და არმიებს. ამგვარ ყოფას შესჩვეოდა, თაგვი ვერ შესცვლიდა ვერაფერს. „რამდენიც უნდა, იმდენი მეჩვენოს, ფიქრს ვერ მოვიშლი“, — ფიქრობდა მამუჩარი და თავის ლამაზ სამყაროში, როგორც ზღაპარში, ისე ცხოვრობდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ობოლი ბიჭი ქიტუა

თბილისიდან ნაცრისფერი მთები რომ მოჩანს, იმ მთებს შორის ერთი სოფელია. მთები მაღალი არ არის, მოტიტვლებულია, ხრიოკი, უნაყოფო. სოფლის მიწა თითქოს ამ მთების გაგრძელებაა, მარცვალს გაჭირვებით ამწიფებს. სოფელი ჰქვია, თორემ სულ ათიოდე კომლი სახლობს და რამდენიმე ჰექტარი მიწაა. ძველთაგანვე ამ ადგილს „ნაბადას“ ეძახდნენ და იქაურებს ნაბადელებს. შერჩა ძველი სახელი და აქაურები ახლაც ამბობენ ნაბადელები ვართო. ამ სოფელში ხრიოკი მთის ძირას, დაბლა სახლში ცხოვრობს ობოლი ბიჭის ქიტუას ოჯახი. დაბლა სახლი მან სახელდახელოდ აიშენა. ცოლი ახალი მოყვანილი ჰყავდა და სადღაც ხომ უნდა ეცხოვრათ! შვილები რომ შეეძინა, იატაკი მაშინ დააგო, თორემ მიწაზედაც შესანიშნავად გრძნობდა თავს. სიღარიბე არც გულოს აწუხებდა, ცოტაც და ყველაფერი იქნებაო, მე და ქიტუა დიდ სახლს ავაშენებთო.

დღე და ღამეს ასწორებდნენ. კოლმეურნეობაში იმდენი სამუშაო იყო, შინ იმდენი საქმე ჰქონდათ, უქმად ყოფნისთვის ვის ეცალა! გათენდებოდა თუ არა, ქიტუა ფეხზე იდგა, გულოც. ქიტუა სამუშაოდ მიდიოდა, გულო შინ რჩებოდა, პატარას მარტო ვერ დატოვებდა. როცა მეორე და მესამეც ეყოლა, გულოს უფრო გაუძნელდა. გაუძნელდა იმიტომ, რომ ბავშვების მოვლის გარდა, უამრავი საოჯახო საქმე ჰქონდა. ყოველ წელიწადს პირველად ტარხუნა მის ბოსტანში უნდა მოკრეფილიყო, კიტრი და პამიდორი პირველად ქიტუას უნდა წაეღო ბაზარში, როცა ნაბადელი გლეხები ერთმანეთს რაიმე ძნელად საშოვნ ნივთს თხოვენ, ახლაც ამბობენ, გულოს ბოსტანი ხომ არ მაქვსო. გულოს ბოსტანში მართლა ყველაფერი იყო. საღამოს როცა ქიტუა დაბრუნდებოდა, გულო ამბავს დაახვედრებდა, ეს გავაკეთე და ეს გავაკეთეო. ქიტუა ღრძილებს გამოაჩენდა და ცოლს თეძოზე ხელს მოუთათუნებდა. ლამფის შუქზე ცოტა ხანს ისაუბრებდნენ და წვებოდნენ.

გულო გამხდარი ქალი იყო, შეუხედავი. ერთი ჩითის კაბა ჰქონდა, რომელიც ყოველდღე ეცვა და თვეში ერთხელ რეცხავდა. მზისგან და ჭუჭყისაგან მის თავსაფარს ფერი დაჰკარგოდა, შავსა და ყავისფერს შორის რაღაც გარდამავალი ფერი დაჰკრავდა. ფეხშიშველა, მკლავებდაკაპიწებული ბოსტანში აღამებდა და ყოველთვის ის გაურეცხავი ჩითის კაბა ეცვა.

— გულო! ჰაი, გულო! როგორა ხარ, როდის იქნება ბეწეწიკურეები დაგეზრდებიან და ჩვენთან წამოხვალ, შენი ბრიგადირი არ მოგენატრა? — ხუმრობდა ფოლადისკბილებიანი ბრიგადირი. ბრიგადირს ჩაჟანგული ფოლადის კბილები ჰქონდა. ერთხელ ამ კბილებმა მოწამლა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. მაშინ გადაწყვიტა ოქროთი შეეცვალა, მაგრამ რომ გამოჯანმრთელდა, გადაავიწყდა. ფოლადისკბილებიანი ბრიგადირი ყველა ქალს ეარშიყებოდა. ეგონა, ქალს თუ გაუცინებდა, „საქმეს მოაკვარახჭინებდა". „მიწა ჩაგაყარე მაგ ჩაშაევებულ კბილებშიო, შენ გაქრი, შენ მოისპეო". — ეჯაჯღანებოდა გულო.

ქიტუამ ბელეშა ძროხა მაშინ იყიდა, როცა მესამე ვაჟი შეეძინა, ძროხას ხბო მოჰყვა. გულოს საზრუნავი მოემატა. ახლა გულო უვლიდა ძროხას, ხბოს, სამ პატარა ქიტუას და ბოსტანს. ქიტუა ძველებურად დადიოდა კოლექტივში, ქალაქში კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა. ბაზარში ყიდდა მაწონსაც, რძესაც და მწვანილსაც. ქუჩა-ქუჩა წანწალი არ მოსწონდა, კარდაკარ „მაწონის" ძახილი რა ვაჟკაცის საქმეაო. მაგრამ გულო შეუჩნდა: არაფერი გიჭირს პატარა „ხელი გაკარი", ხომ ხედავ, სახლი ასაშენებელი გვაქვსო.

ქიტუა ადგა და ერთ დილა-ბნელზე, გადაიკიდა მაწვნითა და მწვანილით გამოტენილი ხურჯინი და თბილისისაკენ გზას გაუდგა. როგორც კი თეთრი კორპუსები გამოჩნდა, ერთ ოთხსართულიან სახლთან გაჩერდა და სართულებს შესძახა:

— მაწ-ო-ო-ონი!.. მაწ-ო-ო-ონი!.. შერცხვა, ქალაქში სხვაგვარად გაისმა მისი ხმა. გაიხედ-გამოიხედა, ხურჯინი ფრთხილად დადო მიწაზე, წაქცეულ სანაგვე ყუთზე ჩამოჯდა. ქალაქს ეძინა, ქუჩაში მეეზოვე მტვერს აყენებდა, შორიახლოს ვიღაცა გაწიწმატებული გაჰკიოდა „მაც-ო-ონი", „თარხუნას"... „ეს ჩვენი ჰასანაა",—იცნო ქიტუამ აზერბაიჯანელი ცალთვალა ბიჭი. ჰასანა მეზობელ სოფელში ცხოვრობდა. სულ პატარას მოზვერმა ურქინა და ცალი თვალი გაუფუჭა. მას შემდეგ რეზინის ნაჭერი აქვს აფარებული. მამამისი ამბობდა, ინვალიდი შვილი მყავსო. არც ასწავლიდა, არც კოლექტივში ამუშავებდა — არ შეუძლიაო.

— „მაცო-ო-ო-ონი“ — გაჰკიოდა ჰასანა. მუშტრები ბევრი ჰყავდა. ახლადგამოღვიძებულნი, პერანგისამარა გამოდიოდნენ აივანზე, მამაკაცები, პირდაუბანელი ქალები ფანჯრებიდან ხელებს იშვერდნენ, ჰასანა ფეხისწვერებზე დგებოდა და მაწონს აწოდებდა.

— „ამან როგორ უნდა მაჯობოსო“, — გაიფიქრა ქიტუამ. წამოდგა და ხმამაღლა დაიძახა: „მაწო-ო-ო-ონი!.. მაწო-ო-ო-ონი!“, თითქოს გამოფხიზლდაო, ამოძრავდა, მთელი საბურთალო მოიარა და ხელი გაინთავისუფლა. ცარიელი ხურჯინი იღლიაში ამოიჩარა, ბავშვებს კანფეტები უყიდა და სოფლისკენ მოუსვა. ბავშვები სიხარულით ცას ეწიენ, ქიტუა იმ დღეს კმაყოფილი წავიდა კოლექტივში, დააგვიანა მაგრამ ბრიგადირმა არაფერი უთხრა, რადგანაც ეს პირველი შემთხვევა იყო. მეორეჯერ და მესამეჯერაც რომ დააგვიანა, ბრიგადირმა შეუღრინა, ქიტუამაც შეუღრინა — შენი პატრონიცო... ბრიგადირმა უთხრა ამას გიზამ, იმას გიზამო. ქიტუამ უთხრა, არ მომხსნა სამსახურიდანო. გაუტკბა ქუჩა-ქუჩა წანწალი, გულომ ერთხელ ვარიებიც გაატანა, შემდეგ მოილაპარაკეს და დეკეული დაკლეს, ნაჭერ-ნაჭერ ჩაალაგა ხურჯინში და თბილისში წაიღო. ოფლში გაღვრილი, ენაგადმოვარდნილი დაბრუნდა შინ და ბევრი ფული მოიტანა.

მალე ქიტუამ თბილისში მუდმივი მუშტრები გაიჩინა.

მიდიოდა და მუშტარს პირდაპირ უკაკუნებდა კარზე. ამოალაგებდა მაწვნის ქილებს, რძით სავსე ბოთლებს, ტარხუნას, ნიახურს, ოხრახუშს, ქინძს. ყველა კარს ქალი აღებდა, თეთრი ხელი ქიტუას ფულს მიაწოდებდა და კარი იხურებოდა. უკვე აღარავინ ეკითხებოდა, მაწონი ახალი იყო თუ არა, რძეში წყალი იყო გარეული თუ არა — იცოდნენ, რომ ქიტუას კარგი რძე და მაწონი მოჰქონდა. ხოლო როცა ვარიებს ჩამოიყვანდა, მაშინ თეთრი ქალები ქიტუას საუბარს გაუბამდნენ, იდგა და გაშტერებული შესცქეროდა სუფთად ჩაცმულ ლამაზ ქალს. უკვირდა, ნუთუ თბილისში ყველა ქალი ლამაზიაო. როცა ქალს ხალათი გადაეხსნებოდა და თეთრი სიფრიფანა პერანგი გამოუჩნდებოდა, ქიტუა თვალებს ხუჭავდა. ქიტუას ასეთი პერანგი არასოდეს ენახა. ერთი დღე ამ პერანგის ძებნაში დააღამა — გულოს უნდა ჩავაცვაო. თბილისის ყველა მაღაზია შემოიარა. ყველა გამყიდველს ეხვეწებოდა, ევედრებოდა, სახელი დამავიწყდაო. აიო, პეპელას ფრთასავით სიფრიფანა პერანგი რომ არის, ის მინდაო. ბოლოს და ბოლოს დეზერტირების ბაზარში, იქ სადაც ერთმანეთის მიყოლებით სამრეწველო სავაჭროებია ჩამწკრივებული, იყიდა სიფრიფანა პერანგი. თეთრი ვერ იშოვა, ვარდისფერი იყიდა. დიდხანს

ატრიალა ხელში, იმისთანა მაინც არ იყო; თავისივე ფერის ზოლი მიჰ-
ყვებოდა, რაღაც უშნოდ იწელებოდა. გულოს ძალიან გაუხარდა.
ჩაიცვა და მერე სულ ის ეცვა. ქიტუა პერანგისამარა ცოლს ეკვეთ-
ბოდა და შევცდიო — ფიქრობდა. ერთხელ თავისი უცხაურობის ქა-
ლი კინალამ გადარია. ქალაქიდან დაბრუნებულმა უთხრა:

„გულო, მიდი ხალათი გადაიცვი“.

„ვითომ რადაო?“

„გთხოვ, გადაიცვი“.

გულომ ხალათი გადაიცვა. ქიტუა კართან დადგა და ცოლს დაუ-
ძახა:

„აბა, დაიხარეო“.

გულოს სიცილი აუვარდა.

„რა გაცინებს, დაიხარეო“.

გულო დაიხარა. ხალათი გადაეხსნა და პერანგი გამოუჩნდა. პე-
რანგს უკვე აღარ ჰქონდა ვარდისფერი, თითქოს გახუნებულიყო. გუ-
ლოს გამხდარ მუხლებს ჩვარივით მიეტყეპა პერანგი. ქიტუას ახლა
იგი ხორკლიანიც კი მოეჩვენა, თითქოს ზედ ნაძვის გირჩებივით, ვა-
ოდისფერი გირჩები ეყარა და უხეში ულაზათო იყო. გულო დაბნე-
ული შესცქეროდა ქმარს და იცინოდა. ქიტუამ ცოლს თავი მიანება
და გულაღმა წამოწვა. გულო ტახტზე ჩამოუჯდა.

— რა მოგივიდა, ქიტუა!

— არაფერი!

— ავად ხომ არა ხარ?

— არა!

ქიტუა ისე ცივად პასუხობდა, ისეთი გაშეშებული და გაყინული
სახე ჰქონდა, გულოს შეეშინდა. გაჩუმდა. „ნეტავ რა მოხდა?“.. გუ-
ლომ ვერ უპასუხა ამ კითხვას. დაფიქრებული წამოდგა, გარეთ გამო-
ვიდა, ალბათ დაიღალაო, დაასკვნა.

ქიტუა დიდხანს იწვა და ფიქრობდა. ფიქრში ჩაეძინა, როცა გამო-
ეღვიძა, მზე უკვე ჩადიოდა. ზაფხულის საღამო იყო, ნუშისა და ატ-
მის ხეების ქვეშ ბიჭები თამაშობდნენ. უფროსები ერთმანეთს ქვის
სროლაში ეჯიბრებოდნენ, უმცროსს ცალი ხელით შარვალი ეკავა და
ცალში ქვა. დიტო და დათო ერთმანეთს ედავებოდნენ ქვა მე უფრო
შორს გადავაგდეო, გიგა კი შარვალს ხელს არ აშორებდა და ძმებს
შესცქეროდა. ძმები მას ყურადღებას არ აქცევდნენ, ხოლო როცა ის-
ინი ქვას შორს გადააგდებდნენ, გიგაც შეეცდებოდა, რაც ძალი და
ღონე ჰქონდა მოიქნევდა, თავს ვერ შეიმაგრებდა და ეცემოდა. რომ

წამოდგებოდა შარვალი უკვე კოჭებში ჰქონდა გაბლანდული და ალ-
ბათ ამაზე გაბრაზებული თავის ენაზე რაღაცას ბურტყუნებდა.

ქიტუა კარგ გუნებაზე დადგა. გიგას დაუძახა და გულთან ხელი
გულომ გამძღარი ბელეშა მოიყვანა და ეზოში დააბა. გაღიმებული
ქიტუა რომ ნახა, გაუხარდა. ქიტუამ უთხრა: გიგას შარვალი გამო-
უცვალე, ბავშვი იტანჯებაო. გულომ ბავშვს სამოსი გამოუტანა. კალ-
თაში ჩაისვა, ჭუჭყიან ნიკაპზე და ცხვირზე აკოცა და ჩააცვა. გიგა
ბაჯბაჯით გაიქცა ძმებისაკენ. იმ საღამოს ტკბილად ივახშმეს და
ტკბილად დაიძინეს.

მეორე დღეს კვლავ დაფიქრებული დაბრუნდა ქიტუა ქალაქიდან.
კვლავ აღარ წავიდა სამუშაოდ, იწვა და გაშეშებული შესცქეროდა
ჭერს...

დააკაკუნა კარზე. რუსიკომ კარი გაუღო. დღეს მას ჭრელი ხალა-
თი აცვია, როგორც კი რუსიკო გაინძრევა, ფართოფოთლებიანი აბ-
რეშუმის ხალათი შრიალებს.

— მობრძანდი, ქიტუა! მობრძანდი!..

ქიტუას თვალები გაუბრწყინდება, იატაკს დახედავს, — ისე
პრიალებს, ფეხი სად დაადგას არ იცის. სასწრაფოდ იხდის ფეხზე
და... ყურებამდე გაწითლდება. რუსიკო ფეხზე უყურებს, ქიტუას და-
ხეული წინდები აცვია. სად დადგას ახლა ეს ფეხები, რა უყოს, სად
წაიღოს?..

— მოდი, ქიტუა, ნუ იხდი ფეხზე, ხომ ხედავ რა დასვრილია იატა-
კი...

ქიტუა ვერ ხედავს დასვრილია თუ არა, რადგან რუსიკომ თეთრი
ხელი მოჰკიდა და სახლში შეიყვანა. ასეთი ნაზი ხელი ქიტუას სიზ-
მარშიაც არ უნახავს. რუსიკო მეორე ოთახში შედის და რძისთვის
ბოთლები მოაქვს. ქიტუა ხედავს, რომ ამ ოთახში რაღაც სხვაგვარი
სინათლეა, ყველაფერი ისე პრიალებს, თითქოს ადამიანი არ ცხოვ-
რობდეს იქ. ქიტუას ახსენდება საღაც მთაში ნანახი წყარო, რომ-
ელიც ისეთი ანკარა და სუფთაა, შეგიძლია ფსკერზე კენჭები დაით-
ვალო. დგას გაოგნებული ქიტუა და ოთახში იცქირება, მხოლოდ მა-
შინ გამოერკვევა, როცა რუსიკო ფულს ჩაუთვლის. ფულს დაინახავს
თუ არა, ქიტუას სახეზე დაბნეულობის კვალიც არ არის. სწრაფად
დათვლის ფულს და მიდის.

— ვედროში აღარ ეტევა, წაიღე ქიტუა, დღეს აუცილებლად წაი-
ღე — ეს ფატია, ლამაზი და კეთილი ფატი.

— ახლავე წავიღებ, ქალბატონო!

ქიტუა ფატის მაწონს და რძეს უტოვებს. მერე ფრთხილად შედის სამზარეულოში და პურის ნატეხებით სავსე სათლი მიაქვს. ფატი ნარჩენებს ქიტუას ძროხისა და ღორისთვის ინახავს, კეთილია, თორემ ქალაქელ ქალს ვიღაც ქიტუას ძროხა და ღორი რად გაახსენდება?.. ქიტუა როცა ფატის ელაპარაკება, ცერცვისოდენა ყვითელი კბილები მუდამ გადმოყრილი აქვს, ასე ჰგონია, თუ არ გაიცინა, ფატის ეწყინება. იცინის ქიტუა უაზროდ, უმიზეზოდ და ყველაფერზე „კი, ქალბატონოს“ ეუბნება, აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოიქცეს? — ხატივით ქალს სხვა რა უნდა უთხრას?

წევს ქიტუა გულაღმა და თბილისელ ქალებს ელაპარაკება. თბილისელთა გაკრიალებულ ოთახებში ფრთხილად დააბიჯებს. მის სახლში კი ფუნის სუნი ტრიალებს. ბაგა დედაბოძს იქითა აქვს, ძროხა იქ არის, მაგრამ ქიტუას საიდანღაც ფუნის სუნი სცემს. მანამდე არ სცემდა ფუნის სუნი, ალბათ, იმიტომ რომ ახლა მანდ ორი ძროხაა. დამაკდა ქიტუას ფური, გაიზარდა, დასრულდა — ძროხაა აბა რაა!

დრო გადის და ქიტუა ხედავს, რომ მისი ეზო-კარი თვალდახელშუა იცვლება, აუტანელი ხდება, ნალოლიავები სახლ-კარი თვალისდასანახავად ეჯავრება.

— გულო, მოდი ჩემთან, გულო!

— რა იყო ქიტუა?

— რა იყო და ქალაქში წავიდეთ საცხოვრებლად, სახლს აქ ნუ ავაშენებთ.

— რათა, კაცო?

— რათა და... რა ვიცი, აბა, რათა!

— ქალაქში რა გავაკეთოთ? მიწას ქალაქში ვინ მოგვცემს?

— მიწა არ მინდა.

— უიმე, უიმე! რა თქვა?!

— შენისთანები ცხოვრობენ ქალაქში!

— ქიტუა, შენ გენაცვალე, გულს ნუ გამიხეთქავ...

— გაგიხეთქავ და უარესსაც გიზამ, თუ არ დამიჯერებ, თუ ჭკუით არ იქნები!

ქიტუას მშვიდ და წყნარ ქოხში, საიდანაც არასოდეს გამოდიოდა მაღალი ხმა, ახლა ამგვარ საუბარს ყოველ საღამოს გაიგონებთ, საკმაოა სულ უბრალო, უმნიშვნელო მიზეზი, ქიტუა თოფისწამალივით იფეთქებს და ცოლს ეჯაჯღანება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რად გატეხე ეს ქოთანი!

— მე არ გამიტეხია.

— აბა, მეზობელი მოვიდოდა ამის გასატეხად!

— ბავშვებმა გატეხეს, ქა!..

— მერე, შენ სად დაეთრეოდი!

— ბოსტანში დავეთრეოდი. ეე!..

— ბოსტანი, ბოსტანი! ბოსტნის გარდა ოჯახიც ხომ უნდა გახსოვდეს!

— ბოსტანი ჩვენი მარჩენალია, ეშმაკის კერძო!

— ჰო, კარგი, კარგი!.. აბა, დედაკაცი შენა ხარ — ბოსტანს თავს დასტრიალებ და სახლი სანაგვესა ჰგავს!.. წავიდეთ და ბარემ ბოსტანში ვიცხოვროთ!

გულო გაოცებული, გაბრუებული დადის, ქმრის მოსაწონს ველარაფერს აკეთებს, ეს რანაირად გაგირეცხიაო, ეს რა შეჭამადი გაგიკეთებიაო. აღარ იცის როგორ მოიქცეს და ძალიან ხშირად ტირის ჩუმად, თავისთვის. ახსენდება ის ტკბილი დრო, ის ტკბილი ექვსი წელიწადი და გული წყდება, ნუთუ ასე მოკლე გამოდგა ჩემი ბედნიერებაო.

მერე ქიტუა ქალაქშია, რუსიკოს, ფატისა, თუ პროფესორის მეუღლის ბინებში, როგორც ეკლესიაში, ისე შედის მოწიწებითა და თაყვანისცემით. რუსიკოს უღიმის, ფატის უღიმის, ქუჩაში მიმავალ ლამაზ ქალებს დიდხანს აკვირდება. დაღლილ-დაქანცული მეპაპიროსე ილოსთან ცოტა ხანს ჩამოჯდება და ისაუბრებს. მეპაპიროსე ილომ ქვეყნის ამბები იცის, ქალაქური ამბები — გასაოცარი და გასაკვირველი... პაპიროსის ჯიხურის წინ რამდენი კაციც გაივლის, ყველას გაჭორავს, ეს კაცი მანდ, მეოთხე სართულზე ცხოვრობსო და მოყვება მის ბიოგრაფიას.

შემდეგ ქიტუა შინ ბრუნდება, წამოწვება ტახტზე, ფიქრობს და ფიქრობს... ნაბადაზე, ფოლადისკბილებიან ბრიგადირზე, მეპაპიროსე ილოზე, მაგრამ მისი ყველაზე საუკეთესო ფიქრი რუსიკოა, თეთრი, სიფრიფანა პერანგიანი ლამაზი რუსიკო...

ქოხში უკვე ბნელა. ბავშვები ჯერ კიდევ ეზოში დარბიან. გულოს ლამპა კართან მიუტანია და სინათლეში ნავთს ასხამს. ქიტუა სიბნელიდან ღია კარში იცქირება, საიდანაც ჯერ კიდევ სინათლე შემოდის. გულო ჩაცუცქულა, მუხლებზე გრძლად ჩამოუფარებია კაბა და ლამფას უკირკიტებს. გულო აღარ არის ძველებურად ხალისიანი. ქიტუა ხედავს, რომ მის ცოლს ნიჯგვა ცხვირი აქვს, დანაოჭებული ლოყები,

ისეთი მორთხმული ტუჩები, ბაყაყსა ჰგავს. ქიტუას გაოცებას საზღვარი არა აქვს. წამოჯდება და ცოლს აკვირდება, თვალი ხომ არ მატყუებსო, რამე ხომ არ მელანდებაო, ჭკუა ხომ არ დაკარგოს! გულო ისეა ჩაცუცქული, თითქოს გადასახტომად ემზადებაო. ქვევიდან შიშველი ტერფები მოუჩანს. გაფარჩხული რომ უდგას იატაკზე, „ბაყაყსა ჰგავს, ნამდვილ ბაყაყსა! უკანა ფეხებზე შემდგარს, გადასახტომად მომზადებულს... ქიტუა, ვაი, შე უბედურო!.. იქნებ იმისი ბრალია, რომ ჩაცუცქულია, ჩაცუცქული გულო, ალბათ, არ გინახავს“...

— ადექ, ქალო, რას ჩაცუცქულხარ, მანდ ბაყაყივით!

ისე დაიყვირა ქიტუამ, თავისი ხმის თვითონ შეეშინდა. ასე ხმამაღლა კი არ უნდოდა, ვერ გამოზომა...

— რა იყო, კაცო, გული გამიხეთქე!

— ფეხზე ადექი, ფეხზე!

— რა მოგვიდა, შენ ჩემი ცოდვით სავსევ.

— ფეხზე ადექი-მეთქი, მე შენ გეუბნები! ახლა მთელი ხმით იყვირა ქიტუამ და წამოდგა. გულოც წამოდგა.

— რატომ არ გაცვია ფეხზე!

გულომ გულამოსკვნილი ტირილი მორთო. იგი ხედავდა, რომ ქიტუა გამოიცვალა, რაღაც აწუხებდა, რაღაც ტანჯავდა, ხედავდა, რომ ქმარს შეძულდა, მაგრამ ამ აზრს ვერ ეგუებოდა. ვითომ ვერ ამჩნევდა, ვითომ ვერაფერს ხედავდა, დადიოდა ჩუმად, თავისთვის, ძველებურად ტრიალებდა შინ და გარეთ. მხოლოდ გული ცრემლით ჰქონდა სავსე. სულ პატარა მიზეზი იყო საჭირო დილიდან საღამომდე ეტირა. და აი, თითქოს ტყვია ესროლესო, მოცელილივით დაეშვა იატაკზე, თავი მუხლებში ჩარგო, საოცრად მოიკრუნჩხა, ისედაც ჩია ტანის, მთლად დაპატარავდა და ქვითინით იჯერა გული.

— ფუ, შენი! — მიაძახა ქიტუამ და განერვიულებული გარეთ გამოვარდა. ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, გიგა ცალკე იდგა და მწიფე ატამს ჭამდა. ატმის წვენი წურწურით ჩამოსდიოდა ნიკაპზე, მკერდზე და მუცელზე. ტიტველი გამობერილი მუცელი ისეთი ჭუჭყიანი ჰქონდა, თითქოს ტლაპოში ამოევლოო.

— დიტო, დათო, გიგა, მოდით აქ, ჩქარა! — დაუძახა ქიტუამ ბავშვებს. — ჩქარა-მეთქი! დაუყვირა მან დიტოს და თითი დაუქნია, რადგანაც თამაში აღარ შეწყვიტა. ქიტუამ დიდი სათლით წყალი მოიტანა, ბავშვები ატყობდნენ, რომ მამა გაბრაზებული იყო და მორჩილად თავჩაქინდრულები იდგნენ.

— გაიხადეთ, სულ გატიტვლდით! — უბრძანა მან ბავშვებს, — ახლა თავები მიადეთ ერთმანეთს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიტომ სიცილი დაიწყო.

— რა გაცინებს, დედაძაღლო! ჭუჭყმა რომ შეგჭამოს, ლაბანას ვერ უნდა მიხვდე? ხომ ხედავთ დედა მკვდარი გყავთ! მიადეთ კარგად ჰო, ერთმანეთს თავები! ეგრე, ჰო, ეგრე ღორის გაგდებულებო!

ბავშვებმა ერთმანეთს თავები მიადეს და ხორუმის მოცეკვავეებივით გაშეშდნენ, რადგანაც მამამ ურჩობისათვის დიტოს თავში წამოარტყა. ქიტუამ ბავშვებს წყალი გადაასხა. ცივი წყალი მიეკარათ თუ არა, დიტო და დათო შეხტნენ. „ცივია, ცივიას“ ძახილით მკერდზე და მუცელზე ხელები დაიტყაპუნეს. გიგას შეეშინდა და ატირდა. ქიტუამ ცემა-ტყეპით დაბანა ბავშვები და მიწურში შერეკა.

— გადაირია, შვილებო, მამათქვენი, ნუ ტირით, ჩაწექით და დაიძინეთ, უთხრა მათ თვალცრემლიანმა გულომ და გიგას მიუწვა. მოეფერა, ზღაპრებს მოუყვა და გაჭირვებით დააძინა.

იმ საღამოს გულოს და ქიტუას გვიან ღამემდე არ დაუძინიათ. მთვარიანი ღამე იყო. ნაცრისფერ მთებს შორის ლაღობდა მთვარე, ქიტუას ქოხის სამკუთხა სახურავს დასცქეროდა განათებული ცა. დიდებულ სიჩუმეში გაისმოდა ცოლ-ქმრის კამათი. ჩაბნელებული მიწურიდან კამათის ხმა ისე გამოდიოდა, თითქოს სიბნელე გარეთ გამოაქვსო. განათებული ღამე ამ სიბნელეს უმალ აქრობდა, როგორც კი ლაფაროს გამოსცდებოდა.

მეორე დღეს, დილით, გულო ბევრი ემუდარა ქმარს, არ წახვიდე თბილისში, არაფერი გვჭირდება, ყველაფერი ყელამდე გვაქვსო, მაგრამ ქიტუამ ცივად მოიშორა ცოლი, ხურჯინი მხარზე გადაიკიდა და წავიდა.

გულო ტახტზე დაემხო და ტირილით გული იჯერა. მერე თმაგაჩეჩილი, თვალებდასიებული წამოდგა. იბორიალა, იბორიალა, უნდოდა რაღაც გაეკეთებინა და თავს ვერ აბამდა, დაფათურობდა, ბავშვებს ეფერებოდა, გაშტერდებოდა, ფიქრობდა, ფიქრობდა... ბოლოს დიტოს და დათოს უთხრა; თქვენ მამას დაელოდეთ, მე და გიგა მალე მოვალთო და წავიდა. დიტო და დათო ჯერ აბუზღუნდნენ, ჩვენც გვინდა წასვლაო, მერე თვალცრემლიანებმა გააცილეს დედა და გიგა, გამოიტანეს გრძელი ჯირკო, ქოხის წინ დაიდგეს, გუგულებივით დასკუპდნენ და მიაჩერდნენ თბილისისაკენ მიმავალ შარაგზას, რომელიც მათ ჭიშკართან გადიოდა. ასე გულდაგულ ისინი მამას არასოდეს დალოდებიან,

ისინი ხვდებოდნენ, რომ მათ თავს რაღაც ხდებოდა, შეშინებულები ერთმანეთს ეკვროდნენ და შარაგზას გასცქეროდნენ.

ქიტუა გულოსაგან ამდენს არ მოელოდა. მიტოვებული ბავშვები შეებრალა, მოეფერა. ატირდნენ ბავშვები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქიტუას გული მოეწვა, თვალი ცრემლით აევსო. აქეთ ეცა, იქით ეცა. მეო, აი, რა მოგიტანეთო, ხვალ რომ წავალ თბილისში, წითელ ფეხსაცმელებს გიყიდითო. მაგიდასთან დასხა და დააპურა. თვალხუჭობანა ეთამაშა. მერე ჯოხის ცხენებზე შესვა და ეზოში გაუშვა. დიტოს და დათოს ასეთი მამა არასოდეს ენახათ. დედა გადაავიწყდათ, მთელი დღე თამაშობდნენ. დაღლილ-დაქანცული ქიტუა ეზოში თუთის კუნძზე ჩამოჯდა. ჭიშკარი კბილებჩაჟანგებულმა ბრიგადირმა, სესიაანთ ვანომ და დეიდა კატომ შემოაღეს. ქიტუას შეეშინდა, რამე უბედურება ხომ არ არის ჩემს თავსო. როცა გაიგო რისთვის მოსულიყვნენ, გადააპურჭყა და მეზობლებს მკაცრად უთხრა: ჩემი საქმე მე ვიცი, ვისაც არ უნდა, მე არავის ვიჭერო, თელავში წავიდა თუ არა, დამთხვეული მამამისი ქარვასლებს აუშენებსო. ეს ისე ზიზღით თქვა, მეზობლებმა ერთმანეთს გადახედეს. მეზობლებისა და ახლობლების შემოტევა ამით არ დამთავრებულა. ყოველ საღამოს ქიტუას ქოხი ხალხით ივსებოდა, იყო ყაყანი, დავა, პაპიროსის წევა და პურჭყება. თელავიდანაც ჩამოვიდნენ გულოს ნათესავები. ქიტუამ ენა ჩაიგდო. თქვენ მაინც თქვენსას ამბობთ, მე ჩემსას და რა აზრი აქვს დავა-კამათსო. გაგიჟებულა ჩვენი ქიტუა, უკმაყოფილოდ აქნევდნენ თავს მეზობლები და მიდიოდნენ. რა სხვანაირი ცხოვრება, რის სხვანაირი ცხოვრება, ჩვენ პაპებს ასე უცხოვრიათ, ჩვენც ასე ვცხოვრობთ და ეს ვინღაა, მეზობლებს მაინც ვერ შეხედავსო?.. დაღვინდება და ჭკუაზე მოვაო, ამბობდნენ უფრო წინდახედულები. ეშმაკი შეაჯდა მხრებზეო, ამბობდნენ ქალები. ქიტუა არავის ყურადღებას არ აქცევდა და ღაფიქრებული განზე იყურებოდა. მის თავში იბადებოდა უამრავი კითხვა, უამრავი ამოცანა, და გამოცანა. ყველა მათგანისათვის პასუხი უნდა გაეცა, უნდა ამოეხსნა, უნდა გამოეცნო. ქიტუას გონებას ასე არასოდეს უმუშავია, ამდენი არასოდეს უფიქრია, რა ჰქონდა საფიქრალი! უნდა გაეყიდა მაწონი, მწვანილი და კოლექტივშიც არ უნდა დაეგვიანებია, ახლა კი... ახლა მის თავში თითქოს სველი ჩალის ღეროები ჩაელაგებინათ, რაც ბალღამისფერ კვამლში იყო გახვეული და ბოლავდა — არ ეკიდებოდა. ბალღამისფერი კვამლი აწყდებოდა საფეთქლებს, შუბლს, კეფას, თავი თითქოს იბერებოდა და მძიმდებოდა. კოშმარული სიზმრები მის თავს ხან უზარმაზარ ღრუბლად

აქცევდა, ხან კიდევ დიდ თეთრ გოგრად, რომელსაც ნაჯახით ჩეხავ-დნენ. ქიტუას ყოველ დილით თავი ტკიოდა. ბავშვებს არ უნდა ეგრძნოთ, რომ ქიტუას თავი ტკიოდა, რომ ქიტუა დაფიქრებული იყო. თორემ ყურებს ჩამოყრიდნენ, დედას მოიკითხავდნენ, ეფერებოდნენ, დიტოს და დათოს ქიტუა არ აგრძნობინებდა! ის კი არა, გულოს შეუთვალა, გიგაც გამომიგზავნე და მე მოვუვლიო.

— რა ქვეყნის ჯავრი გაწუხებს, ქიტა ბიჭო? — რამდენს შეხვდებოდა ეკითხებოდა პაპა სესე და პაპიროსს თხოვდა. ქიტუას უნდოდა ეთქვა თავისი დარდი, მაგრამ იცოდა, პაპა სესე რასაც ეტყოდა.

გაიცინებდა — მე შენ ჭკვიანი ბიჭი მეგონეო. მისი დამცინავი ქირქილი ქიტუას გაახელებდა, გააღიზიანებდა. ამიტომ დუმილს არჩევდა.

თურმე შენი პირადი ცხოვრების შეცვლაც კი ასე ძნელი ყოფილა! აბა, ახლა პაპა სესესთვის ან თედიასთვის რომ ეთქვა: შეიცვალეთო — იმას მაინც ვერ ხედავთ, გველი რომ გველია, წელიწადში ერთხელ კანს იცვლისო, ჯოხით არ გამოეკიდებოდნენ?..

დადიოდა დაფიქრებული ქიტუა. მის ირგვლივ ირეოდნენ ადამიანები, უმოწყალოდ ჭორავდნენ, ლანძღავდნენ. ქიტუა ყურებსაც არ აბარტყუნებდა.

თბილისში კვლავ ძველებურად ხვდებოდნენ. ქიტუაც ძველებურად ულიმოდა ქალაქელ ქალებს. დიტო და დათო უკვე გუგულებივით აღარ ისხდნენ საჩეხის წინ — ეზოში და ეზოს გადაღმა ტოლბიჭებთან დანავარდობდნენ. ფოლადისკბილებიანი ბრიგადირი აღარ იყო უკმაყოფილო. ქიტუა ახლა უკეთ მუშაობდა. თბილისში წასვლასაც ასწრებდა და კოლექტივში მუშაობასაც. ქიტუა არავის არ ათქმევინებდა, რომ მას ეშმაკი შეაჯდა მხრებზე და ამიტომ საქმეს ულალატა, ან გალოთდა, ან ოჯახზე გული აიყარა, არა, ქიტუა არ გალოთდება, არც სხვაზე ნაკლებ შრომადღეს გამოიმუშავებს, არც სხვაზე ნაკლებ ფულს მოიტანს ოჯახში. ილაპარკონ რამდენიც უნდათ — ობოლი ბიჭი ქიტუა გზას არ აცდება!..

ერთ დღეს შინ გვიან დაბრუნდა. ეს იყო ყველაზე ცუდი დღე მის ცხოვრებაში. დილით ადრე ადგა. თავისი ძველთაძველი ხურჯინი გატენა მაწვნით, კიტრით, პამიდვრით, მწვანილით, ვარიები ერთმანეთზე გადააბა და კრიახით, ხვნეშით დაადგა გზას თბილისისაკენ.

ახალგაღვიძებული თბილისი მთქნარებით, ვარჯიშით, პირისბანითა და ჩვეულებრივი ქალაქური ფაცა-ფუცით შეხვდა. ქიტუამ იცოდა თავისი მუშტრებიდან ვინ რა დროს მიდიოდა სამსახურში. პირველი

იმას ესტუმრებოდა, ვინც ადრე ტოვებდა ბინას. ერთგან ჰყავდა მარტოხელა მამაკაცი, რომელიც სამსახურში ჩანთით მიდიოდა. იგი ბრაზდებოდა, თუ რაიმე შემთხვევის გამო ქიტუა მაწონს ჩანთიანებდა. ამიტომ კარზე კაკუნს ჩანთიანი მამაკაცის ბინიდან იწყებდა. შემდეგ კი კარს უღებდნენ ერთმანეთზე უკეთესი ქალები. ქიტუა მათ „კი ქალბატონს“ ეუბნებოდა და ცერცვისოდენა ყვითელ კბილებს უჩვენებდა.

პროფესორის მეუღლემ დღეს ძალიან ბევრი კიტრი და პამიდორი იყიდა, ფატიმ ვარიები. ფატი კვლავ მარტო იყო, მობრძანდიო უთხრა ქიტუას, მაგრამ ეს ზრდილობისათვის, თორემ ვარიების მეტი არაფერი უყიდია. რუსიკოს კარზე რომ დააკაკუნა, ისიც გაღიმებული შეხვდა. ეს ანგელოზივით ქალი მუდამ მკერდს იფარავდა, იმას კი ვერ ამჩნევდა, ტარხუნის ამოსარჩევად როცა დაიხრებოდა, მუხლებთან ხალათი გადაეხსნებოდა და თეთრი პერანგი გამოუჩნდებოდა. მერე ქიტუა დიდხანს ფიქრობდა მის თეთრ მუხლებზე, ბამბასავით თეთრ ხელებსა და შოლტივით ტანზე. რუსიკომ იმ დილით რძე იყიდა და ცოტა მწვანილი. უთხრა, იმდენი ძველმანები მაქვს, რაღა სხვამ, შენ წაიღე, კარადაში არ მეტევაო.

რუსიკო შეტრიალდა, კარადა გამოაღო და ქიტუას დაუძახა:

— შემოდი, ქიტუა, ნახე, თუ მოგეწონება, წაიღე!

ქიტუა ფეხაკრეფით შევიდა ოთახში, თითქოს ფეხს თუ ფრთხილად დადგამდა, იატაკი არ დაისვრებოდა. ქიტუამ გაიხედ-გამოიხედა და ერთ კედელზე სამი ქიტუა დაინახა. „რა ლამაზი სარკეებია“, — გაიფიქრა და სასწრაფოდ მოარიდა თვალი სარკეებს. რუსიკომ პალტოები, კოსტუმები, კაბები, შარვლები, ბავშვის ტანსაცმელი იატაკზე დაყარა. ქიტუას თვალები გაუბრწყინდა. პალტო აიღო, შეათვალიერა და გაოცებულმა ჰკითხა:

— ეს თქვენ არ გჭირდებათ, ქალბატონო?

— არა, ქიტუა, ჩემს ქმარს ორი პალტო აქვს, ამას უკვე აღარ იცვამს.

— ძალიან ბევრი არ არის, ქალბატონო?

— რამდენიც გჭირდება, იმდენი წაიღე.

— მე ყველაფერი მჭირდება, მაგრამ ძვირი არ იქნება, ქალბატონო?

— რამდენიც გექნება, იმდენი მომეცი, ქიტუა, მე რა, ვაჭარი ხომ არა ვარ!

ქიტუამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ათმანეთიანი ამოიღო.

— ახლა ათ მანეთს დაგიტოვებთ, ქალბატონო, დღეს ბევრი ფული უნდა ავიღო და როცა ხელს გავინთავისუფლებ, ფულსაც ამოგიტანთ და ამასაც წავიღებ.

ბიბლიოთეკა

— როგორც გენებოს, ქიტუა, — თქვა რუსიკომ და ღიმილით გააცილა.

ქიტუა სახლებს შორის ენაგადმოვარდნილი დარბოდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. როგორმე ხელი უნდა გაენთავისუფლებინა, ჩქარა უნდა ემოქმედა, რადგანაც მერე ბავშვი სკოლიდან დაბრუნდებოდა, მერე იქნებ რუსიკო შინ მარტო არ დახვედროდა. ახლა კი, ახლა რუსიკო სრულიად მარტო იყო. ქიტუა სამარცხვინოს არაფერს აპირებდა, მას უნდოდა ქალაქელი ქალისათვის სხვა რამ ეთქვა გარდა „კი ქალბატონოსი". ასჯერ ააწყო ასე მოვიქცევი, საუბარს ასე დავიწყებო და ასჯერვე არ მოეწონა, დაფეთებული, დაბნეული დარბოდა და მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდებოდა, როცა მუშტარი დასახურღავებლად ფულს გაუწოდებდა. ფულის დანახვა მასზე ნიშადურივით მოქმედებდა... როგორც იქნა გაყიდა რძე-მაწონი, ვარიები, მწვანილი, ხელი გაინთავისუფლა, დამშვიდდა, დაწყნარდა. ახლა შეიძლებოდა მისულიყო რუსიკოსთან, მაგრამ ერთმა აზრმა გაუელვა... ადგა და რუსთაველის გამზირს დაუყვა, ყველა მაღაზია შემოიარა. მაღაზიის მუშაკები ერთმანეთს გაკვირვებული უყურებდნენ, ვიღაც სატინის ბლუზიანი, ხურჯინიანი მემწვანილე, ყველა კოსტუმს იწუნებდა. ბოლოს საკომისიო მაღაზიაში ქიტუამ იპოვა შავი, პრიალა კოსტუმი, ჩაიცვა და გახარებული წამოვიდა.

ცარიელი ბოთლებითა და ქილებით სავსე ხურჯინი, რუსიკოს სახლისკენ გადასახვევთან მეპაპიროსეს დაუტოვა და მესამე სართულზე შეუსვენებლად აირბინა. ისე ჩქარა სუნთქავდა, ვერ დააკაკუნა, უცბად კარი რომ გამიღოს, ხმას ვერ ამოვიღებო. სული მოითქვა, კარგად მოიფიქრა და ჩვეულებრივად ფრთხილად დააკაკუნა.

— მობრძანდი, ქიტუა, — კვლავ გაღიმებული შეხვდა რუსიკო. ქიტუა ოთახში შევიდა. ძველმანები ისევ იმ ადგილას ეყარა იატაკზე. ქიტუა ძველმანებს დააჩერდა და გაშტერდა.

— რა იყო, ქიტუა, იქნებ არ მოგწონს, თუ არ მოგწონს, კი არ გაძალებ, — უთხრა რუსიკომ.

— არა, ქალბატონო, ძალიან დავიღალე, თუ შეიძლება ცოტას შევისვენებ, — თქვა მან და იქვე სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა. სასაცილოდ და გაწვალებულად იჯდა.

— კარგად დაჯექი ქიტუა, თორემ სავარძელი პარკეტზე გასრიალდება და დაეცემი.

— არა უშავს, ქალბატონო, მე ახლა წავალ...

ეს ისე ნაღვლიანად თქვა, ისეთი არეული და დატანჯული სახე ჰქონდა, რუსიკომ გაიფიქრა, ამ უბედურს რამე ხომ არ შეემთხვაო. რუსიკო ტახტზე იჯდა, ხელები მუხლებზე შემოეწყო და ქიტუას შესცქეროდა. ქიტუა ვერაფერს ხედავდა, ვერც რუსიკოს, ვერც კედლებს, ვერც იატაკს, თითქოს თვალთა სინათლე წაერთვა.

— რამე ხომ არ შეგემთხვა, ქიტუა? — ჰკითხა რუსიკომ.

— არაფერი, ქალბატონო, მე ახლა წავალ...

— ძველმანებს რამეში ჩააწყობ?

— მე არ მინდა ძველმანები, ქალბატონო!..

ქიტუამ ეს სიტყვები ხმამაღლა თქვა, თითქოს მიაგნო, რაც უნდა ეთქვა:

— მე ის ფული ისე მოგეცით!..

— ისე მომეცი?.. ისე?.. რუსიკომ გაიცინა, — მე რაში მჭირდება შენი ფული?..

— თქვენ ბევრი ფული გაქვთ, ქალბატონო?

— დაგროვებული ფული არა მაქვს, მაგრამ რამდენიც მჭირდება, ყოველთვის მაქვს.

ქიტუა უკვე ფეხზე იდგა და აკანკალებული, სახეშეცვლილი, გაფართოებული თვალებით მიჩერებოდა რუსიკოს და შეკითხვებს აძლევდა. რუსიკო ქიტუას უცნაური ქცევით დაბნეული, პასუხობდა.

— ჰოდა, მე, ქალბატონო, შვიდი ათასი მანეთი მაქვს, ცოლი გავუშვი, ერთი თვეა ქალი არ მინახავს, თუ ვინმე გეგულებათ, თქვენ გენაცვალეთ, თბილისელი ქალი...

ქიტუამ ამ სიტყვებს გული თან ამოაყოლა და მუხლებზე დაეცა. თავი ხელებში ჩამალა და ძნელი მისახვედრი იყო, ტიროდა თუ განგებ გაყუჩდა, აბა, რუსიკო რას იტყვისო. რუსიკომ თავი უხერხულად იგრძნო და წამოდგა — ქიტუა ზედ მის ფეხებთან იყო დამხობილი. სიცილს ვერ იკავებდა და ამიტომ ხმა ვერ ამოეღო. სიცილი ახლა ქიტუას უფრო დაამცირებდა, რუსიკოს რცხვენოდა რომ ეცინებოდა. როცა ქიტუამ თავი ასწია, რუსიკომ როგორც იქნა ამოიღო ხმა:

— წაიღე ახლა ეს ძველმანები, ცოლს შეურიგდი... ბავშვები არ გებრალება?..

ქიტუამ წინასწარ იცოდა, რუსიკო რასაც ეტყოდა, მაგრამ სად-

ღაც შორს, გულის კუნჭულში ეგულებოდა ერთი სიტყვა „იქნებ“. და როცა ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ გაიგონა რუსიკოს ხმა, ის „იქნებ“ ცარცით დაწერილივით ერთ წამში წაიშალა, [illegible] მოვიდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მუნჯად წამოდგა, [illegible] კოსთვის არც შეუხედავს, ძველმანები შეაქუჩა, თოკით შეკრა, იღლიაში ამოიჩარა და კარისაკენ გაემართა. კართან ხუთმანეთიანი ამოიღო და რუსიკოს გაუწოდა. რუსიკომ ახლა უკვე ველარ შეიკავა თავი და ხმამაღლა გაიცინა, ქიტუა გაშრა.

— თხუთმეტ მანეთზე მეტი არ ღირს, ქალბატონო, შვილებს გეფიცები, მეტი არ ღირს... ეს ისე თქვა, რუსიკოს გაუკვირდა და სიცილი შეწყვიტა, — ახლა უკვე მის წინ სულ სხვა კაცი იდგა. „რამ გამოცვალა — გაიფიქრა მან, — შვიდიათას მანეთს მპირდებოდა და ახლა მევაჭრება. ამ ჩანჩურა კაცში ორი კაცია? ერთი რაღაა და ორი რა იქნება?“

— მეტი არ ღირს, ქალბატონო, აი, თქვენ მეძველმანისთვის რომ მიგეცათ, ხუთ მანეთსაც არ მოგცემდათ.

რუსიკომ ქიტუას ადრე დატოვებული ათმანეთიანი უკან გაუწოდა. ქიტუა აირია. ჯიბეში ხელი ჩაიყო და ლუღლუღი დაიწყო:

— მაშინ... კარგით, ოც მანეთს მოგცემთ!..

— არც ერთი კაპიკი არ მინდა, ისე წაიღე, — უთხრა მტკიცედ რუსიკომ. ათმანეთიანი ფეხებთან დაუგდო და კარი მიუხურა.

— ქალბატონო!.. ქალბატონო!.. შესძახა მოხურულ კარს ქიტუამ და უმწეოდ თავი ჩაკიდა. იდგა და იატაკზე დაგდებულ, დაჭმუჭნულ ათმანეთიანს დასცქეროდა. „ეს რა გავაკეთე, როგორ შევირცხვინე თავი, აწი მე ამ კარებზე ვერ დავაკაკუნებ“, — გაიფიქრა მან და თავი შეეზიზღა. მან თითქოს ამ წუთებში გაიგო საკუთარი ვინაობა, საკუთარი თავი ჯადოსნურ სარკეში დაინახა.

ქიტუამ ძველმანები კარებთან დაყარა და სადარბაზო შესასვლელიდან დარეტიანებული გამოვარდა. შუბლიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა, სული ეხუთებოდა და ტირილი უნდოდა, უაზრო თვალებით სივრცეს მიშტერებოდა. წამწამი რომ დაეხამხამებია, ცრემლი წასკდებოდა, ცრემლის რცხვენოდა და ჩუმად ყლაპავდა. გამვლელები აკვირდებოდნენ და იქვე ასკვნიდნენ, ეს კაცი ან მთვრალია ან გადარეულია. ქუჩაში გამოვიდა, ფართო ქუჩა ხალხით იყო სავსე, ვაკე-საბურთალოს გზით ფეხბურთიდან ბრუნდებოდა ხალხი, ტროლეიბუსებსა და ავტობუსებში სუნთქვა ჭირდა, ტროტუარზე ერთმანეთს მხარს ვერ უქცევდნენ ადამიანები. იქ ახლოს ტროლეიბუსების ბოლო

გაჩერება იყო, ყველა იქითკენ მიეშურებოდა. ქიტუა, პირიქით, მათ საპირისპიროდ მიდიოდა, გავლა უჭირდა, ის ახლა ხალხს კი ვერ ხედავდა, გაბრუებული მიდიოდა — ვიღაცას ეჯახებოდა, ვიღაცას ხელი ხვდებოდა, ვიღაცა აგინებდა, ლანძღავდა, ემუქრებოდა. ქიტუა მიდიოდა ჩქარა, ნერვებაშლილი, გაბოროტებული და სულ არ გრძნობდა რომ აგინებდნენ, ლანძღავდნენ, ეჯახებოდნენ. ხალხს მიარღვევდა და მიდიოდა. თითქოს გარბოდა, თითქოს თბილისი უკან მისდევდა და ასფალტ-ბეტონის ყბებით ხარხარებდა. თითქოს ამ ხალხში ერია პაპა სესე, თედია, ილო, ფოლადისკბილებიანი ბრიგადირი, დეიდა კატო, გულოს ბიძა, ბიძაშვილები და სიცილს აყრიდნენ.

გარბოდა ქალაქიდან ობოლი ბიჭი ქიტუა, რომელსაც მხრებზე ეშმაკი შეაჯდა და მიაჭენებდა. აჭენა, დიდხანს აჭენა ქიტუა ეშმაკმა და ერთ ტრიალ მინდორზე გამოიყვანა.

ქიტუა შარაგზიდან გადავიდა, ამ მინდორში ცოტას შევისვენებო, სახლამდე ცოტა დარჩაო, ბავშვებს დეიდა კატო არაფერს გაუჭირვებსო. ისეთი დაღლილი იყო, ფეხს ძლივს მიათრევდა, შუა მინდორში მწვანეზე წამოგორდა, გულაღმა გაიშხლართა, ხელები როგორც ჯვარცმულმა გაშალა და ცას მიაჩერდა.

საღამო ხანი იყო. ნაცრისფერ მთებს უკან მზე ლამაზად ჩადიოდა.

ქიტუა იწვა და უდიდესი ნეტარებით შესცქეროდა ცას. ცა იყო სუფთა. ირგვლივ ღვთიური სიმშვიდე სუფევდა.

მზე მთებს მოეფარა. ცა თითქოს უფრო მაღლა აიწია. იგი გაუნძრევლად იწვა. ძნელი მისახვედრი იყო ეძინა თუ არ ეძინა. მას ახლა აღარ უნდოდა უკან მოეხედა, არაფრის გახსენება არ უნდოდა. ფიქრობდა მხოლოდ კრიალა ცაზე, მწვანე მინდორზე და ლურჯ მთებზე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სისატურა

ჯურგუს თურებს თავს დიდი უბედურება დაატყდათ — გარდაეცვალათ ექვსი თვის ბავშვი. თოლისქვამის ერთადერთი შვილი, პატარა ბონდო.

მეთხალე* ჯურგუს შვიდი ვაჟი ჰყავდა, შვიდივე დაცოლშვილებული, დაბინავებული, ღმერთმა ერთადერთი ქალიშვილი მისცა — თოლისქვამი და ნეტავ ის ერთიც არ გაეჩინა!

დილიდანვე გაკავებული ჰყავდათ ძმებს თოლისქვამი, მის დაწყნარებას საშველი არ დაადგა. თითისტოლა ბავშვს თავს აკლავდა, ისე შემზარავად მოთქვამდა, მკვდარს ისე ეფერებოდა და ეალერსებოდა, მთელ სოფელს ატირებდა, შინაურებსაც კი უჭირდათ დიდხანს თოლისქვამის და მისი მკვდარი შვილის ყურება. კარგი, გეყოფა, გაათავეო, ბღაოდნენ ძმები და გარეთ გარბოდნენ, რათა სული მოეთქვათ, გული დაეწყნარებინათ, აღარ შეეძლოთ ამდენი ტირილი.

ბავშვის ცხედარი ჯარგვალში, შუა ადგილას ესვენა. სახელდახელოდ დაეჭედათ პატარა ტაბაკის მსგავსი ტახტი, თეთრი ზეწარი გადაეფარებინათ, კერიის თავთან დაედგათ და თმახუჭუჭა ბონდო ზედ დაესვენებინათ, წითელი ვარდები დაეკრიფათ და მკვდრისთვის მკერდზე გადაეყარათ. ბავშვს თითქოს ეძინა, ლამაზ ტუჩებზე ღიმილი გაჰქვავებოდა.

ცხედარს თავზე ადგა თოლისქვამი და მოსთქვამდა. ხან კიოდა, ხანაც სიტყვებს უაზროდ ისროდა, ხან კიდევ მუშტებს იცემდა მკერდსა და თავზე.

— კარგი, შვილო, კარგი! დაწყნარდი, ვაშინერს! ** რამდენჯერ გითხარი, ვაშინერს-მეთქი! ანგელოზია, ვერა ხედავ, ღმერთმა ივი თავისთან წაიყვანა, ამდენი წივილ-კივილი და თავში ცემა გაგო-

---

* მეთხალე — თხის მწყემსი.

** ვაშინერს — აკრძალულია, ტაბუ ადევს.

ნილა? ღმერთი გვიწყენს, — ეჩურჩულებოდა თოლისქვამს დედა.

თოლისქვამის დედა — ბედიშა ადათ-წესების მცოდნე, ჭეშმარიტი მორწმუნე ქალი იყო, მას ყველა უჯერებდა შინ და გარეთ, ოღონდ ეს ერთი რამ თოლისქვამი ახლა ადათ-წესებს არ დაგიდევდათ.

ბიბლიოთეკა

— ჩემი ანგელოზი ბიჭი, გოლუაფირო! ჩემი პატარა მერცხალი, გოლუაფირო! — მოსთქვამდა თოლისქვამი, ბავშვს თავზე ადგა და ნიკაპსა და შუბლზე ეფერებოდა.

— მე შენს შემდეგ არ ვიცოცხლებ, გოლუაფირო! მიწაში ჩავყვები, გოლუაფირო! — ისე გულისმომკვლელად ტიროდა, დიდი და პატარა ზლუქუნებდა.

ბედიშა ქალიშვილს მოთქმას არ უშლიდა — გულს მოიოხებსო, ფიქრობდა, ოღონდ ზომაგადასული კივილი და თავში ცემა აშინებდა.

მოთქმასაც ხომ აქვს საზღვარი, მწუხარებასაც ხომ აქვს საზღვარი! თოლისქვამმა საზღვარი არ იცოდა — დილით რომ დაიწყო ვოდება, საღამომდე არ გაჩუმებულა.

— შეხედე, რა ამბავშია ეს შობელძაღლი! — წუხდა ჯურგუ, — მაგან გამიმწარა სიცოცხლე! დააკვდება ახლა ზედ! — ეუბნებოდა ცოლს.

— შენ უთხარი და გაჩერდება, შენი ერიდება. — ურჩევდა ქმარს ბედიშა.

მაგრამ თოლისქვამი მამამისსაც არ ერიდებოდა. მრისხანედ შეხედავდა ჯარგვალში შემოსულს — ჭკუის სწავლება არ დამიწყოო, თვალებით ეტყოდა და მოთქმას უმატებდა. ჯურგუ ვერ უძლებდა შვილის გულდათუთქულ ტირილს, თვითონაც გული ამოუჯდებოდა და ეზოში გარბოდა, თოლისქვამის ხმას გაურბოდა. იქ მეზობლებში გაერეოდა და ბედს უჩიოდა.

ჯურგუ, მართალია, ღარიბი კაცი იყო, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობდა, სინდის-ნამუსით იყო მდიდარი, შვილებიც არ ჰყავდა ურიგო, ყველა ბედს ეწია, ყველამ თავისი ბუდე გაიჩინა, ჯურგუ ბიჭებს ემადლიერებოდა, მშობლების დამჯერე, მშრომელი, ოჯახისმოყვარე შვილები ესახელებოდა, თოლისქვამი კი, თოლისქვამი თავისი ჭკუით ცხოვრობდა. პატარაობიდანვე ასე იყო — მშობლების ურჩი და თავნება გაჩნდა ქვეყანაზე. არც არაფერი ეშველა, ჯურგუმ ვერც მუქარით, ვერც შეგონებით ქალიშვილთან ვერაფერი გააწყო. ახტაჯანას ერთი იყო, ეშმაკის ფეხი, კაჭინეს სული. ტანიც ადრე აიყარა, ადრე მომწიფდა.

მომწიფდა და ბოჩიას გადაეყარა. მართალია, ბოჩია ალმასივით ბი-

ჭი იყო, სოფლის თვალი, უკეთეს სიძეს ჯურგუ ვერც იხატავდა, მაგრამ... ბოჩია ომში წავიდა და უკან აღარ მობრუნებულა.

თოლისქვამმა კი მამისეული სახლი მიატოვა და ბოჩიას მშობლებს გამოუცხადა, თქვენი რძალი ვარო.

ეს ამბავი სოფელში მაინცდამაინც არ გაჰკვირვებიათ, ბოჩიასა და თოლისქვამის სიყვარულის ამბავი სოფელმა დიდი ხანია იცოდა.

„ეს რა თავსლაფი დამასხა, მოვკლავ!" — ბობოქრობდა ჯურგუ, მაგრამ თოლისქვამმა ფიცი არ გატეხა, — ბოჩიას, რასაც შეჰპირდა, შეუსრულა.

ბოჩია და თოლისქვამი სწორედ ომში წასვლის წინა დღეს შეხვდნენ ერთმანეთს და სამუდამო ერთგულება შეჰფიცეს; დილით, ადრე, თოლისქვამი ბოჩიას სახლის უკან, მინდორში, თხებს მიერეკებოდა. უცებ გოგონას ბაღიდან ხლეჩისა და კბეჩის ხმა შემოესმა. ეზოს წნულის ღობე ერტყა. თოლისქვამი შეჩერდა და ბაღში შეიხედა. ბაღის სილრმეში ერთი ბებერი კომშის ძირას ბოჩია იდგა. იგი წელზევით ტიტველი იყო, ტოტებმოგლეჯილი ძველი შარვალი ჩაეცვა და ფეხშიშველა გადმოსულიყო ბაღში. კომშს ბევრი ესხა, ტოტებდაზნექილი ქოლგასავით იდგა შუა ბაღში. მზეში გარუჯული ბრინჯაოსფერი, ძვალმსხვილი ბოჩია კვახის სიმსხო სამურაბე ყვითელ კომშს ვაშლივით ჭამდა. თოლისქვამი ელდანაკრავი შესცქეროდა ბოჩიას შიშველ, ძლიერ მკერდს, მსხვილ მკლავებს, და ფართო ხელებს. ბოჩიამ თითქოს ქალიშვილის მზერა იგრძნოო, უკან მიიხედა და ახლა ის გაოგნდა. ღობის გადაღმა მოჯადოებულივით იდგა ჯურგუს ლამაზი ცირა — თოლისქვამი. მას თხების გასადენი წკნელი მხარზე გაედო, ყელი მოეღერებინა და ბაღში გაკვირვებული იყურებოდა.

იმ წუთას თოლისქვამი ტყიდან გამოსულ ოქროსთმიან დალის ჰგავდა. ბოჩია კი რომელიღაც კოლხური ტყის ღმერთს, ოქროსთმიან ქალღმერთზე თავდავიწყებით შეყვარებულს. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და როგორც ნამდვილ დალის მიჰყავდა მოჯადოებული მონადირე ულრანი ტყისაკენ, ბოჩიაც ისე გადაიყვანა თოლისქვამმა თავისი ეზოდან. ვაჟმა მონაკბეჩი კომში გადააგდო, თვალისდახამხამებაში გადაევლო ღობეს, მაგრამ თოლისქვამი უკვე იქ აღარ იყო. გოგონა დაფეთებულ თხებს მარჯვედ მიერეკებოდა და ტყისკენ უკანმოუხედავად გარბოდა. ბოჩია თოლისქვამს გამოუდგა.

ზედ ტყის პირას დაიჭირა და ჩიტივით აფრთხიალებული გულში ჩაიკრა.

— რად გამირბიხარ, თოლი?!

— ხელი გამიშვი, მოგკლავს მამაჩემი! — უთხრა თოლისქვამმა.

— ის მაინც მითხარი, ხომ გიყვარვარ?—ჰკითხა ბოჩიამ, — ხომ იცი, რომ ხვალ ომში მივდივარ, შენი სიტყვა თან იმედად გამყვება მოთხრ-
ეროვნული
ბიბლიოთეკა
რი, ხომ გიყვარვარ?..

— აქ მინდორია, დაგვინახავენ, ტყეში შევიდეთ, — უჩურჩულა. თოლისქვამმა.

ბოჩია აიმღვრა, თოლისქვამი ბავშვივით ხელში აიტაცა და ტყისკენ გააქანა.

— მიყვარხარ, მზეო...

— მიყვარხარ, თვალისჩინო...

დიდხანს გაისმოდა ტყეში ქალ-ვაჟის ვნებიანი ჩურჩული.

— მე შენი ცოლი ვარ...

— მე შენი ქმარი ვარ...

გაკვირვებულები, აღტაცებულები ეკვროდნენ ერთმანეთს და უხაროდათ, რომ ბოლოს და ბოლოს გაბედეს და გადაწყვიტეს ცოლქმრობა.

— ჯვარისწერას რომ ვერ მოვასწრებთ?..

— არაფერია, დაგელოდები...

* *

ბოჩია ომიდან აღარ დაბრუნდა. სამშობლოსათვის გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. თოლისქვამმა დანაპირები შეასრულა, როგორც კი ბოჩიას სისხლი და ხორცი მუცელში ენძრა, მამისეული სახლი მიატოვა და ბოჩიას ჯარგვალში შინაურივით შევიდა, ბოჩიას მშობლებმა და და-ძმებმა უკანონო რძალს ეჭვით შეხედეს. სოფელში მითქმა-მოთქმა შეიქნა. ამაყმა თოლისქვამმა ეს იუკადრისა და ისევ უკან დაბრუნდა, მამისეულ სახლში, აქ, მშობლიურ ჯარგვალში გამოიგლოვა ცხარე ცრემლით თავისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული.

— გათხოვება ხომ არ გიკითხავს ჩვენთვის? — უთხრა დედამ თოლისქვამს, — არც გამოთხოვების დროს გაგხსენებია მშობლები — ახლა მაინც დაგვიჯერე, მოიშორე ის ბავშვი, ჩვენმა ორღამ იცის წამალი, ორღასთან მიგიყვან. შენ ჯერ ბავშვი ხარ, კიდევ გათხოვდები, შვილებიც ბლომად გეყოლება, რად გინდა, მოიშორე, შენც მოისვენებ და ჩვენც მოგვასვენებ.

თოლისქვამმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. არაფრისდიდებით

არ წაჰყვა დედას ბებიაქალთან, ბავშვი შეირჩინა. ბიჭი ყოლია, უფროსი ძმის სახელი დაარქვა — ბონდო და შვილის აღზრდას გამოცდილი ქალივით შეუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჩაგრება, ცოდვაა, ნამეტანი ახალგაზრდაა, — ეუბნებნენ მეზობლები და თოლისქვამს ეხმარებოდნენ, ხელს უწყობდნენ. რას იფიქრებდნენ, თუ სიკვდილი ასე უეცრად გამოსტაცებდათ ხელიდან აღმასივით ბიჭს.

მთვარის მოქცევისას ბავშვს კრუნჩხვა და პირღებინება აუვარდა, ეს თუთაშიაო, დაასკვნა ბედიშამ, ავადმყოფი აკვნიდან ამოიყვანა, თეთრი პერანგი გახადა და მის თვალწინ ცეცხლი მოუკიდა. ბავშვი გაკვირვებული დააცქერდა სოხანეზე აბრიალებულ პატაია პერანგს და პირღებინება და კრუნჩხვა ხელად შეუწყდა. საღამო ხანს თუთაშმა მაინც თავისი გაიტანა — ბავშვი სულ მთლად გალურჯდა, ცახცახი აუვარდა და ხაშმი ამოანთხია, ხოლო ნაშუაღამევს, როცა დამთავრდა „თუთაშ გეტახუა“* და ცაზე თხის რქისხელა მჭლე მთვარე გამოჩნდა, ვარსკვლავებმა ზეცაში წაიყვანეს ანგელოზი.

თოლისქვამს შვილი რომ არ ჰყოლოდა, ვერც იფიქრებდით, თუ გათხოვილი ქალი იყო. ქალობა ისე მოუხდა, მშობიარობის მერე ისე გაივსო და დამშვენდა, სოფელში ამბობდნენ: ახლა უკეთეს კაცს გაჰყვებაო. სასიძოებიც მალე გამოუჩნდნენ და ამ დროს მოხდა ეს საშინელება. ჩემს თოლისქვამს მართლა ბედი არ ჰქონიაო, დაბუტბუტებდა ჯურგუ.

თოლისქვამმა მთელი ღამე ხომ გაათია ავადმყოფი ბავშვის თავსასთუმალთან, დღეც არ მოშორებია ცხედარს, არც უჭამია, წყალიც არ დაულევია, არც დამჯდარა; ცრემლის ზღვა დაადინა ჯარგვალში. საღამო ხანს, როცა ჯარგვალის მეორე თვალში შეიკრიბნენ ჭირის მოზიარენი და დასაფლავების თადარიგზე ჩამოაგდეს სიტყვა, მაშინღა გაჩუმდა და უფროსებს ყური მიუგდო: თოლისქვამმა იცოდა, რომ უასაკოს მოზრდილივით არ დაასაფლავებდნენ და ეს აწუხებდა.

თოლისქვამმა განისკარი გამოაღო და მიაყურა:

— კუბო ხვალ იქნება, საღამოხანს გავიდეთ სასაფლაოზე და ღავასაფლაოთ, — თქვა ერთმა მოხუცმა და გაჩუმდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ჯარგვალში.

— უასაკოა, მეტი არაფერია საჭირო, ჯურგუ, დამიჯერე, — უთხრა მეორემ.

---

* სიტყვასიტყვით: მთვარის დამტვრევა, მთვარის მოქცევა.

— შესანდობარიც არ ავიღოთ თითო ჭიქა? — იკითხა ჯურგუმ.

— თქვენ, ჭირისუფლებმა, სასაფლაოდან რომ დაბრუნდებით, ჭირის სუფრა გაიშალეთ თქვენთვის, ეს საკმარისია, ნამდვილი ტირილი აქ ვაშინერს, ჯურგუ...

უცებ განისკარს თოლისქვამი მოადგა. ლამპის შუქზე მისი გრძელი ლანდი თავზე დაადგა მოხუცებს.

— აგიჩემებიათ ეს ვაშინერს! — მრისხანედ დააბრიალა თვალები. — ვინ აგვიკრძალა ბავშვის დატირება! ბავშვი არ ვიტიროთ და თქვენისთანა გადაყრუებული ბებრები ვიტიროთ? ჯერ მკვდარი არ გაცივებულა და თქვენ გინდათ საფლავში ჩააგდოთ? არ მოგცემთ ამის ნებას, მე დედა ვარ და რამდენ ხანსაც მინდა, აქ მეყოლება ჩემი შვილი!..

— თოლი! — გაბრაზდა ჯურგუ, — მწუხარებას შენთვის სულ მთლად დაუბნელებია გონება! არ გესმის, რას ტატყანებ დედაკაცი!

— ძალიან კარგად მესმის, თქვენ არ გესმით, რასაც ამბობთ! — გააფთრებით ეკვეთა მამას, — ჯერ ჩვენ არ გვიტირია ჩვენი მკვდარი, ჯერ შავებიც არ შეგვიკერავს, ასე უგულოდ არ დაგამარხვინებთ, არა! ჩემს ბონდოს არ დაგანებებთ, არ გქონდეთ მაგის იმედი!

ჯურგუმ ბიჭებს გადახედა.

— წაიყვანეთ, ხომ ხედავთ, სულ მთლად გაგიჟდა!

ძმებმა თოლისქვამი მეორე თვალში გაიყვანეს, ცხედართან დასვეს.

ჯურგუმ განისკარი ჩაკეტა.

— ეს გოგო იმ ბავშვს დააკვდება, როგორმე სწრაფად უნდა მივაბაროთ მიწას.

— რას ვიზამთ, დედაა და არ გაემტყუნება. ჩვენ ჩვენი გავაკეთოთ. — თქვეს მოხუცებმა.

ბედიშა თოლისქვამს გვერდით მიუჯდა და დამშვიდება დაუწყო.

— კარგი, დედა, დაიწყნარე გული, ხომ ხედავ, მკვდარს მაინც ვერაფერს შველი, შენ ჯერ სულ ახალგაზრდა ხარ, ცხოვრება წინა გაქვს. მეც ხომ მომიკვდა შვილი, მეც შენსავით ახალგაზრდა ვიყავი მაშინ, მეც მეგონა, რომ ჩავყვებოდი საფლავში, მაგრამ ვერ ჩავყევი, სული ტკბილია...

— ზეგ დავმარხოთ, დედა, უთხარი მამას, რომ ზეგ დავმარხოთ, — შეეხვეწა დედას თოლისქვამი, — ერთი დღე ვიქნები ჩემს შვილთან.

— კი, შვილო, ვეტყვი, მაგრამ ისეთ რამეს ნუ გააკეთებ, რაც არავის გაუკეთებია სოფელში. ასეთ ჩვილს მისდღემში მეორე, მესამე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღეს ვმარხავთ, არც ღმერთი და არც კაცი არ მოგვიწონებს ანგელოზის გაწვალებას.

— უთხარი შენ, თორემ არ ვიცი, რას ვიზამ!..

თოლისქვამმა თავისი მსხვილი შავი თვალები ბოროტად დააკვესა. დედას შეეშინდა, წამოდგა და განისკარზე დააკაკუნა.

— გამიღეთ კარი, საქმე მაქვს...

კარი გაუღეს, ბედიშა მეორე თვალში გავიდა.

— თავს იკლავს ის ბავშვი, ხვალ არაო... — ჩაიდუდუნა ბედიშამ დამნაშავესავით, — ზეგ დავმარხოთ, ჯურგუ, რა უჭირს, ზეგ დავმარხოთ! — ქმარს შეეხვეწა.

— არა! მაგას ეყოფა, რაც თავის ჭკუით გვატარა!.. ყველაფერსა აქვს საზღვარი! რა ამბავში ვართ, ვითომ? — ჯურგუმ ხმას აუწია, თოლისქვამის გასაგონად ამბობდა: — თითისხელა ბავშვს კი არა, ტარიელივით ვაჟკაცებს აწვენენ მიწაში, მაგრამ თავი არავის მოუკლავს. სირცხვილია, სხვა არა იყოს რა!

ბედიშამ კაცებთან ვერაფერი გააწყო.

როცა ჭირის მოზიარენი წავიდ-წამოვიდნენ, თოლისქვამმა მკვდართან ღამისმთევლები არ შემოუშვა: რახან სხვა წესებს არ ვასრულებთ, არც ღამისთევაა საჭირო, ამ ერთ ღამეს მე დავრჩები ჩემს შვილთან, უცხო არავინ მჭირდებაო.

ბედიშამ კაცებს მეორე თვალში გაუშალა საწოლი. თვითონ კი თოლისქვამთან ერთად იქ დაწვა, საცა მკვდარი ესვენა.

თოლისქვამი დაწოლას არ აპირებდა, მაგრამ ბედიშამ ძალით დააწვინა. ტანთ არ გაუხდია. საბანს თეთრი საბნისპირი გადააღლიტა. ზეწარიც გადააძრო, კუთხეში მიაგდო და ჩაცმული ჩაწვა. ჯანდაბას, ოღონდ დაწვეს და უთეთრეულოდაც დაისვენებსო, — ფიქრობდა ბედიშა.

თოლისქვამი გაიტრუნა, თავი მოიმძინარა, რადგან შეამჩნია, რომ დედა ფხიზლობდა, მას დარაჯობდა. ბედიშა დიდხანს ებრძოდა ძილს, თვალი და ყური შვილის საწოლისკენ ეჭირა, მაგრამ დაღლილ-დაქანცულმა ძილს თავი ვერ წაართვა, მალე ჩაეძინა. თოლისქვამი თვალგახელილი იწვა და მაღლა ჭერში ჯარგვალის გაჭვარტლულ კაკუტებსა და ლარტყებს შესცქეროდა.

მამლებმა ნაშუაღამევს იყივლეს. თოლისქვამი წამოდგა, კატის სიფრთხილით მივიდა კართან, ურდული გამოაძრო, კარი გამოაღო, წინასწარ მოიმზადა გასასვლელი. ცხედრის თავთან და ფეხებთან თითო სანთელი ენთო და ჯარგვალი ოდნავ იყო განათებული, კარი რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოაღო, ოთახში სიბნელემ შემოიხედა. თოლისქვამს გაუხარდა ბნელი ღამე... თვალისდახამხამებაში ხელში აიტაცა ბავშვის ცხედარი და ელვასავით გავარდა გარეთ, სიბნელეში ხელების ფათურით ... ვია, შემოაბურა თეთრი ზეწარი და თავქუდმოგლეჯით გაიქცა.

სოფელს ერთ მხარეს ულრანი ტყე ერტყა, — ჭინკეშს ეძახდნენ, ეს ტყე სოფლიდან შორს იყო, ვინმე თავზეხელაღებული მონადირე თუ შევიდოდა, თორემ აქაურები ჭინკეშს არ ეკარებოდნენ: ამბობდნენ, ჭინკეში იმიტომ ჰქვია, ტყე ჭინკებისაა, ჭინკა და ოჩოკოჩი ადამიანს ტყეში გზას უბნევს და თავის ნებაზე დაატარებსო.

თოლისქვამი ამ ტყისკენ გარბოდა. უნდოდა სოფელს გასცლოდა, თავის პირმშოსთან მარტო დარჩენილიყო, მარტოს დაეტირა და გულს რომ იჯერებდა, სოფელში შემდეგ დაბრუნებულიყო, თოლისქვამი ტყეში შესვლას არც აპირებდა. ტყის პირას, თვალუწვდენ ჭალებში, აქაურებს საძოვრები ჰქონდათ, იქ სადმე, მყუდრო ადგილს ამოირჩევდა, ხის ძირას დაჯდებოდა, ჩაიხუტებდა თავის პატარას და მოთქმითა და ტირილით გულს მოიოხებდა. ასე ფიქრობდა თოლისქვამი და ბნელ ღამეში ქაჯივით გარბოდა, ჯერ შუკა-შუკა ირბინა, შემდეგ კაცის სიმაღლე გვიმრებში შევარდა, სულ დაიკაწრა და დაიტყავა შიშველი ფეხები, შემდეგ ღელეს ჩასდია, შეისვენა, სული მოითქვა, ღამეს დააყურა — ხომ არ მომდევენო, და კვლავ განაგრძო გზა. ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, მაგრამ მაინც ბნელოდა, ვარსკვლავების სუსტი ციალი ლუსკუმ ღამეს ვერას აკლებდა, სადღაც ტურა კიოდა, პასუხად ძაღლები ყეფდნენ სოფელში. თოლისქვამი ჩქარობდა, აქ მისთვის ყოველი კუთხე-კუნჭული ნაცნობი იყო და ხევსა და ღრანტეში ფოცხვერივით მიიკვლევდა გზას, ჯაგებსა და ბარდებში მიძვრებოდა.

ჭალაში გამოვიდა. მთელი თავისი ბავშვობა ამ ჭალაში თხებს დასდევდა, გაღმა და გამოღმა სოფლებში ყველა იცნობდა მეთხალე ჯურგუს გოგოს — თოლისქვამს.

ჯურგუ ამ მხარეში განთქმული თხის მწყემსი იყო, თხების დიდი არვე ჰყავდა, პატარა თოლისქვამი მამას და ძმებს ეხმარებოდა თხების მწყემსვაში, თორმეტი წლის რომ გახდა, მამამ სამწყემსურში აღარ წაიყვანა: ბავშვი აღარა ხარ, თხების დევნა ქალიშვილის საქმე არ არის, შინ დედას მიეხმარეო. იმის შემდეგ თოლისქვამი აქეთ მხოლოდ ერთხელ იყო ბოჩიასთან ერთად... შემდეგ შინიდან არ გამოსულა, თავისი დარდი და მწუხარება ძაძებში გაახვია და ვიდრე პატარა ბონდო არ ეყოლა, სიხარული გულს არ მიაკარა. რატომღაც ამ

ღამით გაახსენდა ძველი მეგობრები და გულდათუთქული გამორბოდა მათთან: ტრიალ მინდვრებთან, ღელეებთან, ხეებთან, ბუჩქებთან და ჭინკების ტყესთან, — თითქოს მოკლულ გულ[illegible] დნენ, ბავშვობის ბედნიერ დღეებს დაუბრუნებდნენ.

ჭინკეშიდან მონაბერი ტყის ნიავი მართლაც მეგობარივით შემოხვდა, შუბლზე მიელამუნა, ყელზე მოეხვია, თმაზე მოეფერა. თოლისქვამმა მინდორში ჩარუმებული ადგილი შეამჩნია, მართალია, ირგვლივ სიბნელე იყო, მაგრამ ერთგან სულ მთლად ჩამუქებულ-ჩაყურუმებულიყო, იქ ბებერი მუხა იდგა. თოლისქვამმა იცნო თხების ჭალა, იმ მუხის ძირას კამკამა წყურგილე დიოდა, მოშორებით იწყებოდა თხების იშვიათი საბალახო — პატარ-პატარა გორაკებზე გადაფენილი ჩირგვნარი, გორაკებს იქით კი ჭინკების ტყე იყო გადაშლილი.

ამ მუხის ძირას შეჩერდა. დასაჯდომი ადგილი ფეხით მოსინჯა, ბავშვის ცხედარი მაგრად მიიკრა გულში და პირდაპირ მიწაზე დაჯდა. მუხის ძირას მიწა მშრალი იყო, ცვარს ძირს ვერ ჩამოეწვეთა. ჩაჯდა თუ არა, მაშინვე გამოუჩინა ბავშვს ცხვირ-პირი, გაშმაგებით დაუწყო კოცნა და ფერება, სულ უფრო და უფრო იხუტებდა გულში, თან კოცნიდა, გულამოსკვნილი, ათრთოლებული ტიროდა.

ჭინკების ტყიდან ტურების კივილი მოისმოდა. თანდათან კივილი გაძლიერდა და მოახლოვდა. თოლისქვამს ეჩვენებოდა, რომ ტურები ტყიდან გამოდიოდნენ. სულ ახლოს გაისმა ტურის ჩხავილი, თოლისქვამმა ერთი მოიხედა უკან და ბავშვის ცხედარს ნანაობა დაუწყო, თითქოს შეეშინდა, ტურამ არ გამიღვიძოსო.

სისა, ტურა მუურსია,	(ჩუ, ტურა მოდისო,
ბონდო ბოშის ლუურსია.	ბონდო ბიჭს სძინავსო).

ხმადაბლა დაიწყო სიმღერა, ბავშვს ცოცხალივით უნანავებდა და უმღეროდა.

ბონდო ბოში მუში ნანას	(ბონდო ბიჭი თავის დედას
ოხუტოლუ გუურსია.	გულში ეხუტებაო).

თანდათან აუწია ხმას, შიგ განუზომელი სევდა და მწუხარება ჩააქსოვა.

თოლისქვამმა არ იცოდა, ახალ სიმღერას რომ მღეროდა, მას სადღაც გაეგონა ეს მელოდია, დედა თუ უმღეროდა მსგავს ნანას... სიმღერა გულის სიღრმიდან მოედინებოდა, სიტყვებიც იქიდან მოჰყვებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრუია, ბონდო, ბრუია, სქუა,	(ბრუია, ბონდო, ბრუია, შვილო,
ბრუია, ჭირიმა...	ბრუია, ჭირიმე...
არკვანიშა აშამჯანუ	აკვანში ვარდის კოკორე
ვარდში პირი მა...	მიწევს მე...).

ტურების კივილი შეწყდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ჭალაში, თითქოს ყოველი ხე და ბუჩქი თოლსქვამის სიმღერას უგდებდა ყურს.

გამნუონწყი შქართუნი დო	(საბანი გადავაძრე და
აშუვოჯინი მა, —	შევხედე მე, —
ბეა დო თუთაშ ქოგურაფუ	მზეს და მთვარეს დამგვანებია
მუში ჭირიმა,	მისი ჭირიმე).

როცა ამ სიტყვებს მღეროდა, თოლისქვამს ქვითინი აუვარდა და სიმღერა შეწყვიტა, ბავშვს ნიკაპზე დაუწყო კოცნა, თვალწინ წარმოუდგა აკვანში მწოლი, მართლაც მზისა და მთვარის დარი თავისი ვაჟი და მოთქმასავით განაგრძო:

ცაშე დუნაბადი რექუ,	(ცით დანაბადი ხარ,
ბეა დო თუთაშ ნარდი რექუ,	მზემ და მთვარემ გაგზარდა,
მირდუდენ მარდი რექუ,	მადლია, რომ გაიზრდებოდე,
გოფაჩილი ვარდი რექუ.	გაშლილი ვარდი ხარ).

ცრემლი ღვარივით ჩამოსდიოდა ლოყებზე. ნიკაპთან ეფსკვნებოდა და ბავშვის ცხედარს წვეთ-წვეთად ედინებოდა.

სისა, ტურა მუურსია,	(ჩუ, ტურა მოდისო,
ბონდო ბოშის ლუურსია,	ბონდო ბიჭს სძინავსო.
ბონდო ბოში მუში ნანაჯ	ბონდო ბიჭი თავის
ოხუტოლუ გუურსია.	გულში ეხუტებაო).

სიბნელეში ტურამ გაიშალიგინა. თოლისქვამი დაფრთხა, მაგრამ ლანდი სიბნელეში სწრაფად გაუჩინარდა, ფაჩუნ-შლიგინიც სწრაფადვე მიწყდა...

თოლისქვამმა კვლავ თავიდან დიწყო სიმღერა. ახლა უფრო მშვიდად მღეროდა. უფრო ტკბილად და ნაზად ეალერსებოდა ბავშვის ცხედარს, უფრო და უფრო მაგრად ეხუტებოდა.

ღამე ნელ-ნელა გაიპარა, ჯერ ცისკრის ჭყიტა ვარსკვლავი ამობრწყინდა ცაზე, შემდეგ მამლების ყივილი მოისმა სოფლიდან, აღმოსავლეთით ცა ოდნავ აციაგდა, მზემ პირველი სხივები სტყორცნა ჭირანოს, ტურების კივილი მიწყდა და მინდვრებიდან ტოროლა ავარდა ზეცაში, გათენება გალობით მიახარა მთებსა და ველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გათენდა, — შეშფოთებით ჩაიდუდუნა თოლისქვამმა და წამოდგა, — აქ დამინახავენ, — შეშინებული თვალებით გაიხედა ირგვლივ და უკან-უკან ყურებით ტყისკენ წავიდა.

ჯერ ტყის პირას იწრიალა, შიგ შესვლა არ უნდოდა. ველაში ჯაგლაგ ცხენზე ამხედრებული უცნობი შეამჩნია. მას რამდენიმე ცხენოსანი მოჰყვა, ვიღაცას ეძებდნენ. ჩემს საძებნელად წამოსულანო, იფიქრა და წაბლის კორომებში მიიმალა.

ახალგამოღვიძებული ტყე მხიარული ჟრიამულით შეხვდა თოლისქვამს.

გაზაფხულის დილა თენდებოდა. ზურმუხტისფრად ახასხასებული ტყე ისე აფუთფუთებულ-ამოძრავებულიყო, თითქოს სადღაც წასასვლელად უნდა აიყაროსო; ყოველი ხიდან, ბუჩქიდან, ყოველი კუთხე-კუნჭულიდან ისმოდა ფაჩუნი, შრიალი, ჟღურტული, წივწივი, ჭიკჭიკი, კაკუნი, ჭყივილი, ბუყბუყი, კრუალი, შლიგინი...

აქ ახლა არავის ეცალა სევდა-დარდისათვის, დღე იწყებოდა, მზე უნდა ამოსულიყო და ტყის ბინადარნი მის შესახვედრად ემზადებოდნენ.

წაბლის კორომიდან თოლისქვამი წიფლნარში შევიდა, მოფარებულ ადგილს ეძებდა, რომ მარტო დარჩენილიყო თავის თავთან და მკვდარ ბავშვთან, ეკალბარდებით ჩაბურულ ხევში ჩავიდა.

იქ ტყის ნაკადული მოწანწკარებდა, უზარმაზარ ლოდებს შორის ძლივს მიიკვლევდა გზას წყალი. თხმელის შორდები იფარა და წყლის პირას ჩამოჯდა. ეშმაკიც ვერ მოაგნებდა აქ. შემთხვევით მონადირეს რომ ენახა წყლის პირას მჯდარი თმაგაშლილი თოლისქვამი, იფიქრებდა, ტყაშმაფაო და ახლოს ვერ მიბედავდა.

ტყეში ისეთი მხიარული ჟრიამული იდგა, თოლისქვამს ტირილი გაუჭირდა, ხმადაბლა, თითქოს ჩურჩულით მოთქვამდა, ტირილით რომ კიდევ ერთხელ იჯერა გული, თავისი სისატურა წამოიწყო. რა ნაღვლიანადაც უნდა ემღერა, სიმღერა მაინც სიმღერა იყო, ტყის ხმებს შეერწყა, შეეხმატკბილა, შორიდან მსმენელს ტყის სიმღერა ეგონებოდა.

ტყეში გრილოდა, მოეჩვენა, რომ ბავშვის ცხედარი აქ უფრო გაცივდა, მკერდი შეიხსნა და მკვდარი ბავშვის პაწაწინა თავპირი ძუძუებში ჩამალა; ძუძუები უხურდა, რძე მოსძალებოდა, დასიებოდა და გასკდომამდე სტკიოდა, ბავშვის ცივი ლოყები ესიამოვნა, ზეწარი შეხსნა და გათქვირული დიდი ძუძუებით ზედ გადაემხო.

სისა, ტურა მუურსია...

ხმადაბლა, ტკბილად მღეროდა თოლისქვამი და ბავშვს მთელი თავისი სხეულით, რძით სავსე ძუძუებით, აფუებული ახალგაზრდული მუცლით და გრძელი მკლავებით ეხვეოდა, საკუთარი სხეულიც სთბობოს აძლევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ ქალმა იგრძნო, რომ ძუძუები დაუსველდა. გადახურებულ ძუძუებს როგორც კი ბავშვის სხეული მიეკრა, მაშინვე რძემ დაიწყო დენა. თოლისქვამმა წამით მოიშორა ბავშვი და ძუძუები გაისინჯა, — რძე მართლაც თავისით მოედინებოდა. ახლა კი მომეშვებაო, — გაიფიქრა უნებლიეთ, თვითონაც არ ახსოვდა რატომ, რისთვის — ძუძუსთავი ბავშვს ტუჩებზე დაადო. ბავშვის ტუჩი ძუძუსთავს მიეკრა თუ არა, რძემ უფრო ბარაქიანად იწყო დენა.

და ამ დროს მოხდა სასწაული: როცა ბავშვს ცხელი რძე ჩაეღვარა პირში, ტუჩები ოდნავ, ოდნავ აუმოძრავდნენ. თოლისქვამმა თვალებს არ დაუჯერა, ხელით მოუსინჯა მკერდი, გულზე ყური დაადო, ლოყები მოუსრისა, თვალები ძალით გაუღო, მაგრამ ბავშვს სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა. თოლისქვამს მაინც არ ასვენებდა წინათგრძნობა, კვლავ ჩაუდო ძუძუ პირში, კვლავ ჩაიხუტა გულში და კვლავ გაბა სევდიანი სისატურა. თოლისქვამმა ძუძუსთავზე ბავშვის ტუჩები იგრძნო, გაირინდა, ბავშვი ძუძუს ტუჩებს უცაცუნებდა. თოლისქვამი გაშრა, სულ მთლად მოეშვა, სულ მთლად დაეშალა სხეული, აერია გონება და საცაა გულშეღონებული მიესვენებოდა, — ბავშვი ძუძუს წოვდა!

თოლისქვამი გაბრუებული იჯდა და განძრევისა ეშინოდა.

სადღაც სულ ახლოს ჩხაოდა ჯაფარა...

— კიდ, კიდ, კიდ! — წიფლის ხიდან თოლისქვამს ამხნევებდა კოდალა.

— წრუუპ! წრუუპ! კრუაჰ! კრუაჰ! კრუაჰ!.. — წრიპინებდა, კრუალებდა ტყე, მოშრიალებდა, მოჩხრიალებდა ნაკადული, თითქოს მიწა, წყალი, ხე, ბუჩქი, ჩიტი, ტყიური, ცა და მიწა იმის ცდაში იყვნენ, იმის მოლოდინში, როდის გაახელდა ბონდო-ბიჭი თვალს და დედას როდის გაუღიმებდა.

ბავშვმა ძუძუს წოვა შეწყვიტა. ჩაეძინა. ძუძუსთავი პირში ედო და ისე ეძინა, თოლისქვამმა ბავშვის სუნთქვას მოუსმინა, გულის ცემასაც, რაკი დარწმუნდა, რომ მისი ბონდო მართლა გაცოცხლდა, და ეს სიზმარი არ იყო, მკერდიდან არ მოუწყვეტია, ისე წამოდგა და ტყიდან ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა, გამოვიდა თუ არა, წინ

მზე შემოეფეთა, დიდი, მცხუნვარე მზე ამოდიოდა და მინდვრებსა და ჭალებს დაჰქათქათებდა. თოლისქვამს პირდაპირ სახეში სცემდა მზის სხივები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *

ბედიშა დილით ქათმის კრიახმა გამოაღვიძა. წამოდგა, ლოყაზე იტკიცა ხელი და შეჰკივლა:

დიდუჰ! სად არის მკვდარი?..

პერანგისამარა გამოვარდა საჩეხში.

— თოლი! დედა, თოლი! — შვილს დაუძახა, შეშფოთებული ეძახდა.

— რა ამბავია, რა მოხდა! — მეორე თვალიდან გამოიხედა ჯურგუმ.

— ჯურგუ, სად წავიდა ის გოგო ნეტავი?..

— სად წავიდოდა, ქალო! რას წამომაგდე ამ ალიონზე!

ბედიშამ კაბა გადაიცვა და ეზოში გავარდა. აქეთ ეცა, იქით ეცა: თოლი, თოლიო, დიდხანს იძახდა, მაგრამ, როცა ხმა არავინ გასცა, შიშმა შეიპყრო, კვლავ შებრუნდა ჯარგვალში და ქმარს თავზე დაადგა.

— მოუხერხა ალბათ თავს რაღაცა, — ბედიშამ ტირილი დაიწყო.

— მოუხერხა კი არა, ის არ გინდა!.. მოვა, სად წავა, — თქვა ჯურგუმ.

— ადექით ზევით! არც მკვდარი გვყავს და არც ცოცხალი! ეს კიდევ მოვაო, გაიძახის! — შვილებს დაუცაცხანა ბედიშამ.

— მკვდარიო? — შეშფოთდა ჯურგუ.

— ჰო, მიცვალებულიც არ არის, წაუყვანია...

ყველანი იმ თვალში შეცვივდნენ, სადაც მკვდარი ესვენა. ბედიშა ჯერ ქმარს ელოდებოდა, რას იტყვისო, როცა სანუგეშო ვერაფერი უთხრა, კივილი ასტეხა და მეზობლები შეყარა.

თოლისქვამის ძმებმა სოფელი ხელად შემოირბინეს, თუ სადმე ნათესავი და მოყვარე ჰყავდათ, ყველანი დილაადრიან ფეხზე წამოყარეს.

ბედიშა ამტკიცებდა, ენგურში დაიხრჩო ალბათ თავი და ბავშვიც თან გაიყოლაო.

ჯურგუს ბედიშას მოსმენაც არ უნდოდა, არ სჯეროდა თოლისქვამის სიკვდილი, მაგრამ ენგურის ნაპირების მოსაჩხრეკად მაინც გაგზავნა კაცები.

ამ გაწამაწიაში რომ იყვნენ, სოფელში თოლისქვამი შემოვარდა. ჯერ მზაკვარი და ავი სული ეგონათ. როცა გახარებულმა თოლისქვამმა ხმა გაიღო: ნუ გეშინიათ, ხალხო, მე ვარო, მახარებელი ვარ, ქუდმოგლეჯილი გაიქცა ჯურგუს სახლისაკენ.

სოფელი შარაზე იყო გამოფენილი, ჯურგუს ჭიშკართან იდგნენ და გაოცებული შეჰყურებდნენ ჯურგუს უბედურ ცირას, რომელსაც მკერდზე მაგრად მიეკრა ბავშვი.

— რა ამბავია, რა მოხდა! ცოცხალი ხარ?! — მიცვივდნენ თოლისქვამს ძმები, ხალხიც გარს შემოერტყა.

თოლისქვამს გული ამოვარდნილი ჰქონდა, ნარბენი სულს ძლივს იბრუნებდა.

— ცოცხალი ყოფილა!.. — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა, — გაცოცხლდა! ბავშვი ცოცხალია!..

ცოცხალიაო!.. — ხალხს პირკატა ეცა, საწყალი გოგო გაგიჟებულაო, იფიქრეს. მკვდრის გაცოცხლებას ვინ დაიჯერებდა!

— სახლში შევიყვანოთ, ხომ ხედავთ, გათავებულა ქალი... — თქვა საქმიანად ვიღაცამ და თოლისქვამს მზრუნველად მოჰკიდა მკლავში ხელი.

— დავღუპულვარ, — ჩაიდუდუნა ჯურგუმ, როგორც კი თოლისქვამის არეულ სახეს მოჰკრა თვალი. ძმებმა, ახლობლებმა და ნათესავებმა თოლისქვამი ჯარგვალში შეიყვანეს.

ჯარგვალში ტახტზე მისვენებული ბედიშა შვილის შემოსვლას ელოდებოდა, როგორც კი თოლისქვამი დაინახა, ცოცხალი ხარო, ერთი შეჰკივლა და ისევ მიესვენა ბალიშზე.

ამ დროს ბავშვმა ტირილი დაიწყო...

თოლისქვამმა პატარა ბონდო კალთაში ჩაისვა და პირში ძუძუ ჩაუდო. ეს მართლაც სასწაულს ჰგავდა. ჯარგვალს ყოველი მხრიდან მოაწყდა ხალხი.

ბედიშას ყოველივე სიზმარი ეგონა, თოლისქვამის ნაამბობი რომ მოისმინა, ღმერთო, შენს სახელს შემოვევლეო, ერთი შესძახა ჯარგვალის გაჭვარტლულ ჭერს, მუხლებზე დავარდა, ბავშვს ხელები და ფეხისგულები დაუკოცნა, ჯარგვალიდან ჩოქვით გამოვიდა და ჭიმკრისაკენ გაემართა. როცა ჭიშკარში გადავიდა და საურმე გზასაც ჩოქვით დაადგა, სახლეულები, ნათესავები და ახლობლები უკან მიჰყვნენ, მაგრამ ვერავინ გაუბედა იმის თქმა, სალოცავამდე შორს არის, ვერ გაუძლებო.

ბედიშა ფორთხვით, ოთხით, მუხლების ხოკვით მიდიოდა, თან მიწას იყრიდა თავზე, მკერდზე... მიბუტბუტებდა, მიდუდუნებდა, ზოლა ღმერთს ევედრებოდა, დაბლა მიწას კოცნიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალოცავიც მალე გამოჩნდა. ტაძარს ჩოქვით გარშემო სამჯერ შემოუარა, შიგ შევიდა და საღამომდე მხურვალედ ლოცულობდა.

თოლისქვამს თავისი ბონდოს გარდა არავინ ახსოვდა — აკვანი გამოაწყო, შიგ ბავშვი ფრთხილად ჩააწვინა, გვერდით მიუჯდა და ტკბილად გააბა თავისი იავნანა-სისატურა.

ჯურგუს კი ჯარგვალის წინ, ბჟოლის ძირას გამოეტანა ტაბაკი, სახელდახელოდ ღარიბული სუფრა გაეშალა, ქალსა და კაცს ეპატიჟებოდა, ჩემი ბონდო დამილოცეთო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წვეულება

ქალბატონი მიმოზა სტუმრებს გაღიმებული შეხვდა. ქალბატონმა ბულბულომ მიმოზას კარებშივე აკოცა, არც პალტო გაუხდია, არც ქუდი მოუხდია, არც მოკითხვა უთქვამს, არც არაფერი, საპირფარეშოსკენ ისარივით გაიჭრა. ლენტო ტალანში მარტო დარჩა, მაგრამ ეს არ გაჰკვირვებია, დღეს ბულბულოს არც ქმარი ახსოვდა და არც შვილი, მიმოზას საპირფარეშომ თავგზა აუბნია.

— სოგრა არ მოსულა? — მიაძახა მიმოზას ლენტომ.

სოგრა მიმოზას მეუღლეს ერქვა. ნამდვილი სახელი, სოკრატე, მიმოზამ შეუცვალა, თანამედროვე კაცს სოკრატეს ხომ არ დაგიძახებო? — შეუმოკლა და გაუთანამედროვა ქმარს სახელი.

— დარეკა, მალე მოვალო, — მიუგო ლენტოს სხაპასხუპით მიმოზამ. საპირფარეშოში შესვლა მასაც ეჩქარებოდა, აინტერესებდა, როგორ მოუწონებდა ბულბულო ამდენი ხნის ნაშრომ-ნაჯაფარს.

ლენტომ პალტოს გულისჯიბიდან საჩუქარი — ასანთის კოლოფისხელა ყუთი ამოიღო, მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას დადო, პალტო გაიძრო, სარკეში ჩაიხედა, გამელოტებული თმა ღერ-ღერად გვერდით გადაილაგა, კოსტუმი გაისწორა, ზურგზე ხელები დაიწყო და საპირფარეშოსაკენ გაემართა. მართალია, საპირფარეშოს ნახვა ბულბულოზე ნაკლებად ლენტოს არ აინტერესებდა, მაგრამ ქალივით ხომ არ ამჩატდებოდა? ზურგზე ხელებდაწყობილი, ვითომც აქ არაფერიაო, მშვიდი ნაბიჯით უახლოვდებოდა საპირფარეშოს.

ამ სახლში, ბუნებრივია, ყველაფერი ძვირფასი და იშვიათი იყო, მაგრამ საპირფარეშო, რომლის გამოც ჩუმ-ჩუმად ამდენს ლაპარაკობდნენ, გასაკვირი უნდა ყოფილიყო. ასე ვარაუდობდა ლენტო, ასე ვარაუდობდა ბულბულო.

— პრელესტ! როგორ ღადღადებს! — შემოესმა ლენტოს ბულბულოს ხმა. ლენტო საპირფარეშოს კართან შეჩერდა. კარი ფრთხილად შეაღო და... გაოგნებული შედგა. ამას კი აღარ მოელოდა; თვალები

დახუჭა, შიგ შესვლა ვეღარ გაბედა. საპირფარეშო ზღაპრულ სოგანძურს ჰგავდა... როცა ლენტომ საპირფარეშოს კარი შეაღო, იქიდან ოქროსფერი ალი გამოვარდა, მიმოზა და ბულბულო ... მომჭრელ, ოქროსფერ ალში ალივლივდნენ. „ნუთუ მართლა ოქროსია“, — გაუელვა ლენტოს და თვალები ნელ-ნელა გაახილა.

— შემოდი, კარი მიეხუროთ, დღის სინათლე სილამაზეს უკარგავს, — უთხრა ბულბულომ ქმარს, ხელი მოჰკიდა და შიგ შეიყვანა.

— ყველას ოქროსი ჰგონია, — თავის მართლებას მოჰყვა მიმოზა. — სინამდვილეში კი ოქროს წყალში ამოვლებული ვერცხლითა› მოპირკეთებული.

ლენტოს გულზე მოეშვა. რატომღაც უცებ დაიჯერა და გაუხარდა, სულ მთლად ოქროსი რომ არ იყო საპირფარეშო.

— ოქროსი არ არის? — გაიკვირვა ბულბულომ.

— ჩემს ერთადერთ ბავშვს გეფიცები, ოქროსი არ არის, შენ როგორ დაგიმალავ, — უთხრა მიმოზამ ბულბულოს.

— კი, ასე უნდა ვთქვათ, ასე უნდა ვთქვათ, არ არის ოქროსი, — ბულბულომ კედელს, თითქოს სუნავსო, ისე ჩამოუარა.

ტალანში ზარის წკრიალი გაისმა. მიმოზა სტუმრების შესახვედრად გაემართა. საპირფარეშოში ბულბულო და ლენტო მარტო დარჩნენ.

— წადი, პალტო გაიხადე, სირცხვილია, — უთხრა ლენტომ ცოლს. ბულბულო საპირფარეშოდან გავიდა. „ამდენ ოქროს ვერ იშოვიდა“, — ჩაიბუტბუტა ლენტომ, როცა საპირფარეშოში მარტოკა დარჩა. მიმოზა ახალმოსულ სტუმრებს საპირფარეშოში შემოუძღვა, ბულბულოც მათ შემოჰყვა. დები ვეზირიშვილები თავიანთი ქმრებით შემოლაგდნენ საპირფარეშოში. მართალია, დღეს მიმოზა და სოგრა ახალმოსახლეობას ზეიმობდნენ, მაგრამ მთავარი საპირფარეშო იყო სოგრას ახალი, დიდი დარბაზიანი ბინა არავის აინტერესებდა. ვეზირიშვილებს დიდი ბინით ვერ გააკვირვებდით: უფროს დას — თამრიკოს ორი სართული ჰქონდა გაერთიანებული, რამდენიმე ბინიდან გაასახლა მეზობლები, ზედა და ქვედა სართულები შიდა დახვეული კიბეებით ერთმანეთს გადააბა. გადატიხრა, გადმოტიხრა, მიაშენა, მოაშენა და კარგი ბინა გამოუვიდა. უმცროს დას — ეკას ორსართულიანი საკუთარი სახლი ჰქონდა დიდი ეზოთი და გარაჟით. ვეზირაშვილებს კეთილმოწყობილი ბინებით, აგარაკებით, ავტომანქანებით და სხვა ჩვეულებრივი ქონებით ვერ მოხიბლავდით, ოქროს საპირფარეშომ კი ყველა შეაფიქრიანა და სულმოუთქმელად გამოეშურნენ მიმოზასაკენ.

— სკაზკა, რაი! — შესძახა თამრიკომ როგორც კი საპირფარეშოში ფეხი შემოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბაჯაღლოა? — აღტაცება ვერ დამალა ეკამ და ჰკითხა მიმოზას.

— აჰ, ოქროც არ რის, თქვენს თავს ვფიცავარ, — აწრიალდა მიმოზა, — ხელოსანი შეგვხვდა კარგი და ოქროს ილუზია შექმნა.

— მშვიდობაში, ბედნიერებაში, — დაიწყო ბულბულომ, — სოგრას ჯანმრთელობაში... ქმარი ვარო, სოგრამ უნდა დაიტრაბახოს.

თამრიკომ თავის ქმარს ალექსის ნიშნის მოგებით აჰხედა, ბულბულომაც გააპარა თვალი ქმრისკენ, რომელიც ოქროს კედელს ცოცხალ-მკვდარი აჰკროდა და გაოცებისაგან რა ეთქვა, არ იცოდა.

ტალანში კვლავ აწკრიალდა ზარი. მიმოზა კვლავ გავიდა საპირფარეშოდან. მიმოზა გავიდა თუ არა, ბულბულომ მტკიცედ თქვა:

— ეს ოქროა, ხალხო!

— ეჭვი არ მეპარება. — დაუდასტურა ეკამ. ლენტომ ბულბულოს თვალები გადაუტრიალა, — შენ ვინ გკითხავსო.

— ნუთუ მართლა ოქროა? — თამრიკომ კედელს ლოყა მიადო, — რა სხვანაირი ცივია?! ალბათ ეს ოქროს სიგრილეა!

მიმოზამ სტუმრები საპირფარეშოში შემოიყვანა. მობრძანდა სოგრას ბავშვობის მეგობარი კუჭუ თავისი მეუღლით, ხათუნათი და ქალიშვილით, ინგათი. საპირფარეშოში ათამდე ადამიანმა მოიყარა თავი და კუდის მობრუნება გაჭირდა. კუჭუმ აღტაცება ვერ დამალა, ხალხი მისწი-მოსწია და მიმოზას კოცნა მოუნდომა.

— ყოჩაღ, მიმოზა, უნდა გაკოცო! ვიცი, რომ ეს საპირფარეშო შენი გაკეთებულია, სოგრა ამას ვერ შეძლებდა.

კუჭუ ტანსრული, ღიპიანი კაცი იყო, მიმოზა ტანმორჩილი, ჩაკუპატებული ქალი კორსეტში ჩამწყვდეული ჩუმპით, დიდი ღიპი კოცნისას ორივეს ხელს უშლიდა. კუჭუ ქალს ზევიდან გადაემხო, მიმოზამ კი ქვევიდან შეაგება ტუჩები. რა თქმა უნდა, რაიმე ქვენა გრძნობა არც ერთს არ ამოძრავებდა, მაგრამ თავიანთი დიდი მუცლებით როცა ერთმანეთს მიაწვნენ, კუჭუს მეუღლე აიმრიზა.

— მაინც რამდენი დაგიჯდათ? — მოულოდნელად იკითხა ეკამ. შეკითხვა იმდენად უხერხული იყო, ეკას მეუღლეს ხველება აუვარდა, შერცხვა ამ ხველების და საპირფარეშოდან გაიძურწა.

— ძვირი დაჯდებოდა, რასაკვირველია, — გამოასწორა დის შეცდომა თამრიკომ. ჩვენ ფერადი ფილა დაგვიჯდა ძვირი.

— მაინც, კაცო, რა არის, რომ ასე ანათებს? — გაიკვირვა კუქუმ და კედელს მიაშტერდა.

— თქვენ გგონიათ, ოქროა? — მიმოზას სახეზე ბრიყვული ღიმილი აუკიაფდა. — კედელში ნათურებია დატანებული, ხოლო ზედ გვ დაკრულია ოქროს წყალში ამოვლებული ვერცხლის სიფრიფანა ფურცლები.

— არა, რა ვუყოთ მერე, — დაიწყო ბულბულომ, — დიდი ამბავი, ერთი ოქროს საპირფარეშო! საწყალი სოგრა დღე და ღამე მუშაობს. რა გასაკვირია, ერთი ოქროს საპირფარეშო გაეკეთებინა.

— კი მაგრამ, რომ არ არის ოქროსი? — გაიოცა მიმოზამ.

— არ არის, მართალია, — უკან დაიხია ბულბულომ, — მაგრამ სოგრას ეკუთვნის ოქროს საპირფარეშო. — მლიქვნელურად გაუღიმა მიმოზას ბულბულომ.

— ეჰ, ვის რა ეკუთვნის, იმაზე თუ ვილაპარაკებთ, შორს წაგვიყვანს, — ნაღვლიანად თქვა მიმოზამ, — მთელ ჩვენს სიცოცხლეში ერთი ეს საპირფარეშო გავიკეთეთ და იმაზეც ამდენი მითქმა-მოთქმა შეიქმნა, ბედი უნდა, ჩემო ბულბულო, ყველაფერს.

— ეს რა არის? — იკითხა თამრიკოს მეუღლემ, ალექსიმ და უნიტაზს დააშტერდა.

— რა იქნება ახლა ეს! რანაირი შეკითხვა იცი? — დატუქსა ქმარი თამრიკომ.

— რაიმე უსიამოვნება ხომ არ შეგემთხვათ? — ჰკითხა მიმოზას ლენტომ, — სევდიანი მეჩვენებით.

— არაფერი, მაგრამ, რა ვიცი, ეს დაწყობილი ქვეყანა აირია და მეშინია...

— საშიში არაფერია, — ჩაერია საუბარში აქამდე გაჩუმებული ლენტო, — სიფრთხილეს კი მაინც თავი არ სტკივა.

— იმიტომაც არ გავაგებინეთ ხალხს, თქვენ, შინაურებს შეგატყობინეთ. სოგრას უნდა ახლობლებმა და მეგობრებმა თავიანთი თვალით ნახონ საპირფარეშო, დარწმუნდნენ, რომ ის ოქროსი არ არის.

— ოქროსი რომ არ არის, ეს ცხადია, — დაუდასტურა ალექსიმ, — მაგრამ, თუ არ ვცდები, მთლად უბრალო თუნუქიც არ უნდა იყოს, — ალექსიმ კედელზე დააკაკუნა.

— რა ხუმარა ხარ, ალექსი! — გაიცინა თამრიკომ. სხვას არავის გაუცინია.

— ვილაცა მოვიდა, — თქვა ლენტომ და საპირფარეშოდან თავი გამოყო.

— ალბათ, სოგრაა, — მიუგო მიმოზამ და იმანაც გამოყო თავი საპირფარეშოდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოგრა მართლაც მოსულიყო, გასაღებს ჯიბით დაატარებდა, ბარი არ დაურეკავს, ისე შემოვიდა და საპირფარეშოში მყოფთ თავზე დაადგა. ისე იცოდა, როგორც თვითონ ამბობდა, „უცებ მოვარდნა უყვარდა“.

— აი, ეს არის, მოგწონთ? — შემოვიდა თუ არა, ჰკითხა სტუმრებს სოგრამ. პასუხს, რაღა თქმა უნდა, არ დაელოდა და განაგრძო:

— სად არის, თუ ძმა ხარ, აქ ოქროს საპირფარეშო! მტრებმა დამიყარეს ხმა, ოქროს საპირფარეშო აქვსო, თურმე რამდენი მტერი მყოლია!.. ნახეთ ძმაო, დაათვალიერეთ, დააკვირდით, რა ოქრო-ვერცხლის პატრონი მე მნახეს, რამ გადარია ეს ხალხი, გასაკვირია, პირდაპირ! ყველაფერს თავი დავანებოთ, სირცხვილი არ არის, საპირფარეშოსთვის სადმე „დამიბარონ?“

— აჰ, ღმერთმა დაგიფაროს! — შეიცხადა კუჭუმ.

— თუ ასე იყაყანა მთელმა ქალაქმა, დამიბარებენ, აბა, რას იზამენ! წარმოგიდგენიათ, ჩვენს დროში ოქროს საპირფარეშო, კაცო?.. როგორ, მე, ახლა, ამდენი არ მესმის!..

— არა, ეს საპირფარეშო ოქროსი რომ არ არის, ეს ცხადია... რატომ უნდა დაგიბარონ? — გაიკვირვა ალექსიმ.

— საპირფარეშო თქვენს მეტს არავის უნახავს, თქვენ ხომ ხედავთ, რომ ოქროსი არ არის, საკუთარი თვალების ხომ გჯერათ?

— მე მჯერა ჩემი თვალების, მაგალითად! — თქვა ბულბულომ.

— მეც მჯერა. — თქვა თამრიკომ.

— მეც. — ჩაიდუდუნა ეკამ.

— ეს საპირფარეშო ოქროსი რომ არ არის, ეს ცხადია... მაგრამ...

— რა მაგრამ! — ცხვირ-პირში ეცა სოგრა ალექსის.

— არა, არაფერი... — დაიბნა ალექსი, — არ არის ოქროსი, რატომ უნდა იყოს ოქროსი?.. — ალექსიმ განრისხებულ სოგრას თვალი მოარიდა და ლენტის შეხედა.

— არ არის ოქროსი, არა! — დაუდასტურა ლენტომ.

— გავიდეთ ამ დასაწვავიდან! — ჩაიდუდუნა უკმაყოფილოდ მიმოზამ, ხედავდა, რომ სტუმრებს მათი არ სჯეროდათ და წუხდა. — სუფრა გელოდებათ, არ დასხდებით? — საყვედურის კილოთი მიმართა ქმარს.

— წავიდეთ, წავიდეთ!

— ბატონებო, ერთი წუთით, თუ შეიძლება! — შეაჩერა სტუმრები შაქრომ, ეკას მეუღლემ, — ეს საპირფარეშო ოქროსი არ არის, არა! მაგრამ მე მაინტერესებს, როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალებმა გაიცინეს.

— რა სასწაული ხარ, შაქრო! — თქვა ბულბულომ.

— ახლავე.

სოგრამ უნიტაზთან ახლოს, ოქროსფერ იატაკზე ღილს დააჭირა ფეხის წვერი და წყალი ჩხრიალით წამოვიდა. უნიტაზში ოქროსფერი წყალი ისე აჩუხჩუხდა, ყველას მოუნდა შიგ ჩახედვა, როცა ხორუმის მოცეკვავეებივით წელში მოხრილები ჩააჩერდნენ უნიტაზს, მიმოზამ მათ დასამშვიდებლად თქვა:

— გარშემო ყველაფერი ოქროსფერია და, ამიტომ, წყალიც ოქროსფერი ჩანს, ეს ოხერი!..

— რა სილამაზეა, ღმერთო ჩემო, ასეთი არაფერი მინახავს ქვეყანაზე, — შესძახა ეკამ.

— შეხედეთ, ფირუზისფერი გადაჭკრავს! — თქვა კუჭუს ქალიშვილმა ინგამ.

— განა მარტო ფირუზისფერი, წყალი ზურმუხტისფერადაც ბრწყინავს. — შეუსწორა ქალიშვილს დედამისმა, ქალბატონმა ხათუნამ.

— ჰო, მართალი ხარ, ხათუნი, აქ ფერების გამმაა! — მრავალმნიშვნელოვნად თქვა ბულბულომ.

— გვეყოფა, წავიდეთ! — თქვა სოგრამ და საპირფარეშოდან გამოვიდა. სოგრას შაქრო მიჰყვა, შაქროს — ალექსი და ლენტო, ლენტოს — კუჭუ. ქალებს უჭირდათ საპირფარეშოს გამოსთხოვებოდნენ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მათაც დატოვეს და ხმადაბლა რუსულ-ქართული ბაასით გაემართნენ დიდი დარბაზისაკენ, რომელიც უზარმაზარი ჭაღით ისე იყო განათებული, საკონცერტო დარბაზი გეგონებოდათ. გაოგნებულები ჩანდნენ, შეფიქრიანებულები.

— ახლა იწყება დიდი მუცლაობა! — არტისტულად შესძახა შაქრომ და კუჭუს დიდ ფაშვს თავისი შედარებით მომცრო ღიპი მიაბჯინა. კუჭუმ შაქროს მუცელი მოუსინჯა, თითქოს წონისო, და უთხრა:

— ყოჩაღ, რამდენი ჩადის?

— გააჩნია, შაქარზე დაყენებული, ხუთამდე, ჭაჭაზე — მეტი. — შაქრომ გადაიხარხარა, იფიქრა ფსონს ხუმრობით გამოვაცოცხლებო, მაგრამ ღიმილიც კი არ გაჭკარებია არავის სახეზე, დანა პირს არ უხსნიდათ. გრძელ მაგიდას უხალისოდ შემოუსხდნენ.

— თამადა, რა თქმა უნდა, მე ვარ, — გამოაცხადა სოგრამ, — მოადგილე — კუჭუ; მერიქიფეები: ლენტო, ალექსი და შაქრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოჩაღ. კარგად გაინაწილეთ თანამდებობები! — იხუმრა კვლავ შაქრომ.

— არ არის ჩემი საშველი, აქაც უნდა ვემსახურო. — თქვა ვითომდა სევდიანად ალექსიმ.

— სხვათაშორის, სუფრაზეც ის არის უფროსი, ვინც ცხოვრებაში უფროსია, ეს ბუნების კანონია. — უთხრა ქმარს თამრიკომ.

— ხედავთ, ამ საპირფარეშომ ცოლი გამიორგულა, — თავის ხუმრობაზე თვითონ გაიცინა ალექსიმ.

— ჯერ სადა ხარ, ეს საპირფარეშო ნახე რას იზამს. — უთხრა კუჭუმ ალექსის.

ლენტო გაჩუმებული იჯდა. მისი გონება დაძაბულად მუშაობდა და სალაზღანდაროდ არ ეცალა, შაქროს და ალექსის გუნებაში „ლაზღანდარებს“ ეძახდა და მათ ხუმრობაზე სულ არ ეცინებოდა. მისი გონება საპირფარეშოს დასტრიალებდა თავს და იმ ერთ სიტყვას, რომელიც სოგრას წამოცდა. ეს სიტყვა „დაბარება“ იყო, ტყვიასავით ეშინოდა მისი. როგორც კი სუფრაზე სიჩუმე ჩამოწვა, ლენტო სოგრასკენ გადაიხარა და ხმადაბლა ჰკითხა:

— მართლა დაგიბარეს სადმე?

— არა, ძმაო, არსად დავუბარებივართ, ღმერთმა დაგვიფაროს! — თქვა სოგრამ, წამოდგა, ხელში ყანწი აიღო და დაიწყო.

— ეს გაუმარჯოს ამ ჭერს, — სოგრამ ყანწი ჭერს მიუშვირა, — ყოფილიყოს იგი ერთი საწყალი ოჯახის კეთილი მფარველი.

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! — გაისმა აქეთ-იქიდან.

სოგრამ ყანწი სულმოუთქმელად დალია და კუჭუს ესროლა.

— მე მინანქარს ვარჩევდი ოქროს წყალში ამოვლებულ ფურცლებს, — გადაულაპარაკა თამრიკომ ბულბულოს.

— მე მოზაიკით უნდა გავაწყო აბაზანა, მოზაიკა გადასარევია, — უპასუხა ბულბულომ.

— ნუთუ მართლა ოქროსია? — უჩურჩულა ლენტომ თავის ცოლს.

— ეჭვი არ მეპარება, საპირფარეშო ოქროსია. — მტკიცედ უთხრა ბულბულომ.

— ამდენ ოქროს სოგრა ვერ იშოვიდა, — კიდევ უფრო ხმადაბლა უთხრა ლენტომ ცოლს.

— „ვერ იშოვიდა“, საკუთარი თვალით ხომ ნახე, რომ ოქროსია და მაინც „ვერ იშოვიდას“ გაიძახი.

— რაც ვნახე, ის ოქრო არ არის. — ახლა ლენტომ ... ცედ, თუმცა თავის სიტყვების სიმართლეში ეჭვი ეპარ...

— საქართველო ძველთაგანვე ოქროს ქვეყანა ყოფილა თურმე, ძველი კოლხები მთვარიან ღამით რიონში ცხვრის ტყავს ჩაუშვებდნენ და დილით ოქროთი დაწინწკლული ამოჰქონდათ, — სადღეგრძელოს დიდი მონდომებით წარმოთქვამდა კუჭუ, — თურმე რაღაცა ოქროს საწმისიც გვქონია, რომელიც სადღაც გაუტაცნიათ.

ლენტო კუჭუს შესცქეროდა, მაგრამ არ უსმენდა, დაძაბული ფიქრობდა იმაზე, საპირფარეშო ოქროსი იყო თუ არა, თან მოუთმენლად ელოდა იმ წამს, როცა ბახუსი თავისას იზამდა და სუფრა აირეოდა. საპირფარეშოში გაპარვას აპირებდა, მან იცოდა, რომ აქ ახლა ყველას საპირფარეშოსკენ ეჭირა თვალი, ამიტომ პირველი ვერ შევიდოდა, ამას ყველა შეამჩნევდა, მეორედ ან მესამედ უნდა შესულიყო.

— როგორ არის თქვენი საქმე? — ჰკითხა ალექსიმ მოულოდნელად და ფიქრი შეაწყვეტინა.

— გმადლობთ, არა უშავს... — მიუგო ლენტომ.

— ეჰ, ახლა ფული პურშია, — თანაგრძნობით უთხრა ალექსიმ. ლენტო დაიბნა, ალექსის გაკვირვებულმა მოხედა და გაუღიმა. ლენტოს არ ესიამოვნა ალექსის პაროლივით ნათქვამი სიტყვები, „იქნება მართლა პაროლი მითხრა, იქნება ახალია რამე და მე ჩამოვრჩი“. აწრიალდა უცებ ლენტო.

— თქვენ საქმეს მახათაძე გაძლევთ? — ისე მოულოდნელად და პაროლივით ჰკითხა ლენტომ ალექსის, როგორც წეღან ალექსიმ ჰკითხა.

— ვინ არის მახათაძე? — იკითხა ალექსიმ და ლენტომ ამოისუნთქა. „არაფერი შეცვლილა, მომეჩვენა“.

ცარიელი ყანწი ალექსის ესროლეს და საუბარი შეაწყვეტინეს.

ლენტო თავის მეგობრებში ყოველთვის გრძნობდა უპირატესობას, ახალგაზრდები ლენტოს ჯერ ვერ გაუტოლდებოდნენ, მაგრამ ამ საპირფარეშომ დააბნია, ამ საპირფარეშომ აურია გონება. ლენტომ მაგიდაზე ქალალდის ხელსახოცი მოძებნა, გულისჯიბიდან ფანქარი ამოიღო და ჩუმად, თავისთვის ანგარიშს მოჰყვა.

ალექსიმ ყანწი დალია თუ არა, შაქროსთან გადავიდა ალავერდს, მაგრამ შაქრო მაგიდასთან არ იჯდა, მისი სკამი ცარიელი იყო.

— სად წავიდა? — ჰკითხა ეკას ალექსიმ.

— ახლავე მოვა. — გაიღიმა ეკამ.

ლენტომ მათ საუბარს ყური მოჰკრა, მაშინვე მიანება წერას თავი და საპირფარეშოსკენ გაიხედა. წამით მაგიდასთან დუმილი ჩამოვარდა. მოხდა ის, რაც ლენტომ წინასწარ ივარაუდა. სად უნდა ყოფილიყო შაქრო? ყველამ საპირფარეშოსკენ გაიხედა. შაქრო მართლაც იქ იყო. ქალებს სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— რა მოხდა, კაცი საპირფარეშოში შევიდა! — გაიკვირვა კუჭუმ და წამოდგა. თამადას ანიშნა, ახალი სადღეგრძელო ვთქვათო.

— ვინ თქვა, რამე მოხდაო, რანაირი ხარ, კუჭუ, — გაიცინა ბულბულომ.

— ეს გაუმარჯოს სიმართლეს და პატიოსნებას, — დაიწყო სოგრამ, — პატიოსანი კაცი სანთლით საძებარია. ძმა ძმას არ ინდობს, მეგობარი — მეგობარს. ეს ოჯახი კი, — სოგრამ თითი ჭერს დაუმიზნა, — ტრადიციულად პატიოსნების მქადაგებელია, მამაჩემი პატიოსანი მშრომელი კაცი იყო, ბაბუაჩემი — სულ მთლად საწყალი, პატიოსანი, მე ვინა ვარ და რა ვარ, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ამიტომ მინდა ამ ჭერქვეშ, ისე, როგორც მამაჩემი იტყოდა, სიმართლისა და პატიოსნების სადღეგრძელო ავიღო.

— სადღეგრძელოს გაუმარჯოს! — თქვა კუჭუმ და ცარიელი ყანწის მისაღებად მოემზადა. სოგრამ ყანწი მოიყუდა. სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ეკა ჭამდა ნაზად ხაჭაპურს. დანარჩენები ყანწის ჩამოვლას ელოდებოდნენ. სიჩუმემ უნებლიეთ ყურადღება საპირფარეშოსკენ გადაიტანა. შაქროს გამოჩენას ელოდებოდნენ. სოგრამ ცარიელი ყანწი წესისამებრ კუჭუს გადაულოცა და ამ დროს დარბაზში ჩუმად შემოვიდა შაქრო. უცებ ტაშმა იგრიალა, — ქალებმა დაუკრეს ტაში, ქალებს მამაკაცებიც აჰყვნენ, გვიან მიხვდნენ ტაშის აზრს. შაქრო დაიბნა, იგი საპირფარეშოში იმიტომ არ შესულა, რისთვისაც საერთოდ შედიან. მას, როგორც ყველა აქ დამსწრე სტუმარს ერთი სული ჰქონდა, მარტოკა შესულიყო საპირფარეშოში, კარგად დაჰკვირვებოდა, გაესინჯა, მართლა ოქროსი იყო თუ არა. მასპინძელიცა და სტუმარიც — ყველა მიხვდა, შაქრო საპირფარეშოში რისთვისაც შევიდა, მაგრამ ეს არ შეიმჩნიეს, შაქროს ტაში სულ სხვა აზრით დაუკრეს, — ვითომ საპირფარეშოს პირველი სტუმარი ხარო. შაქრომაც არ დააყოვნა, იმ წამს „გაიგო“ ეს უხერხული ხუმრობა, მეგობრებს მხარი აუბა, თვითონაც შემოჰკრა ტაში, შემდეგ ტაში ტუშში გადაიყვანა, ხელები გაშალა და „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდას“ მელოდიაზე „განდაგანა“ ჩამოუარა. ისე მოულოდნელად, მოხ-

ლენილად და ლამაზად გადაზარდა ყალბი ხუმრობა ნამდვილ ცეკვა-
თამაშში, სუფრასთან მახდომნი სიცილით გაიგუდნენ. შაქრო ხელ-
ვაოდ ბულბულო გაიწვია. მოქეიფეები წამოიშალნენ და [illegible]
ბულბულოს გარშემო წრე შეკრეს. არეულობით თამრიკომ ისარგებ-
ლა, საპირფარეშოში ახლა ის შეევარდა. თამრიკოს გაპარვა არავის
გაუგია, მხოლოდ ლენტომ გააყოლა თვალი. მოცეკვავეები უცებ დაი-
ღალნენ, სხვამ არავინ ისურვა ცეკვა. სოგრამ სტუმრები მაგიდასთან
მიიწვია.

— ერთიც დავლიოთ და ყველა აცეკვდება, — უთხრა კუჭუმ
სოგრას და ყანწი შეუვსო.

— ამ ყანწით მე ვსვამ მშობლების სადღეგრძელოს. გაუმარჯოს
ჩვენს გამჩენებს, ჩვენს შემქმნელებს, ცოცხლებს — დღეგრძელობა,
გარდაცვლილებს — სამარადისო ხსოვნა! — სოგრამ მშობლების სა-
დღეგრძელო მოკლედ მოჭრა.

— ამ მაგიდასთან ჩემზე მდიდარი არავინ ზის, — ამაყად თქვა
ლენტომ და ცოლს ქალალდის ხელსახოცი წინ დაუდო. ხელსახოცი
რამდენიმე სვეტად იყო გაყოფილი, სვეტის თავში ეწერა ოჯახის თავ-
კაცის სახელი, ქვევით კი გამოანგარიშებული იყო მისი უძრავ-მოძ-
რავი ქონება.

„სოგრა“, „კუჭუ“, „ალექსი“, „შაქრო“, „ლენტო“, ჩუმად გადა-
ავლო თვალი ბულბულომ ქალალდის ნაგლეჯს, შემდეგ თითოეულ
სვეტს ქვევით ჩაჰყვა.

— ოქროს საპირფარეშოს ქონებად არ თვლი, არა? — ბულბუ-
ლომ ქმარს დამცინავად შეხედა.

— არ ვთვლი.

— რატომ?

— არ არის ოქროსი და იმიტომ.

— უჰ, შენ გაგისკდეს მიწა, რა ლოყოყინა შენა ხარ! — აფეთქდა
უცებ ბულბულო.

— ჩუმად, რა გაყვირებს, ქალო!

— შენი სიკვდილი მაყვირებს და შენი თვალების დავსება! ვერა
ხედავ, რომ ოქროსია!

— ჰო, კარგი, კარგი! — ჩაიდუდუნა ლენტომ და გაჩუმდა. კუჭუ
ქალებს ღვინოს აძალებდა, შაქრო სადღეგრძელოს ამბობდა, მაგრამ
არავინ უსმენდა, ღვინო უკვე ქალებსაც მოჰკიდებოდათ და ხმამაღ-
ლა ტკარცალებდნენ. „თუ ეს საპირფარეშო მართლა ოქროსია, მა-
შინ...“ განაგრძობდა ანგარიშს ლენტო. მაშინ... ლენტოს სათვალავი

აერია... მაშინ... ლენტოს თავბრუ დაესხა. თავი მიანება ანგარიშს, ხელსახოცი ნაკუწებად აქცია და საპირფარეშოსაკენ გაიხედა. ახლა კი ჩემი ჯერია, გავიპარებიო, გაიფიქრა, მაგრამ ალექსი ვერ იტანა „დამასწრო“, ლენტომ ნაღვლიანად გადახედა სუფრის წევრებს, ჩემი ჯერი, ბოლოს და ბოლოს, დადგება თუ არაო.

— ლენტო, ალავერდს შენთან არიან, — დაუძახა ფიქრებში წასულ ლენტოს სოგრამ. შაქროს ცარიელი ყანწი ცალი ხელით ლენტოსკენ გაეშვირა, ლენტომ შაქროს ყანწი ჩამოართვა, ფეხზე წამოდგა. აღარც კი ახსოვდა, ვის სადღეგრძელოს სვამდნენ, „გაუმარჯოს სადღეგრძელოსო“ ჩაიდუდუნა და უგემურად გამოცალა ყანწი. არ უნდოდა ღალევა. ცოლმა ხასიათი გაუფუჭა.

სოგრამ ორი ყანწი ერთად მოითხოვა.

— ეს უკვე ნამეტანია, — ლენტომ ამღვრეული თვალებით შეხედა თამადას.

— ახლა იწყება ნამდვილი ქეიფი! — თქვა კუჭუმ და წამოდგა.

სოგრამ დედმამიშვილების სადღეგრძელო თქვა.

— თუ არ გინდა, არ დალიო. — უჩურჩულა ბულბულომ ლენტოს.

— როდის გითხარი, არ მინდა-მეთქი. — ლენტომ ცოლს შეუბღვირა.

— ვიმღეროთ ახლა. სულ ღვინო ხომ არ უნდა ვსვათ. — თქვა ეკამ და სიმღერა წამოიწყო. ეკას თამრიკო აჰყვა, თამრიკოს — სოგრა, ყანწი ახალი დალეული ჰქონდა და სიმღერა პირდაპირ მისწრება იყო. თამადას სიმთვრალე შეეტყო. სუფრა ახმაურდა, ზოგი მღეროდა, ზოგს სადღეგრძელო არ დაემთავრებინა და მაცალეთო, გაიძახოდა.

— რა მაგარი ღვინოა, როგორ დაგვცოფა, — გადაულაპარაკა ბულბულომ თამრიკოს. ბულბულომ სიმღერა არ იცოდა და მომღერლებს თავისი გაუთავებელი საუბრით ხელს უშლიდა.

— ვის უნდა ერქვას ბულბულო და ვის ჰქვია, — თქვა თამრიკომ და ბულბულოს გაუღიმა, არ გეწყინოსო.

— აბა ბანი, ჯგირი ბანი! — შესძახა უცებ კუჭუმ და დარბაისლური „ზამთაროდან“ „ოტლარჩობაზე“ გადახტა.

„ახლა კი წავედი“, — ჩაიდუდუნა ლენტომ და წამოდგა, საპირფარეშოსაკენ გაემართა, სად იყო და სად არა, თითქოს იატაკიდან ამოძვრაო, ხათუნამ, კუჭუს ცოლმა, შეასწრო. ლენტო ისევ დაუბრუნდა მაგიდას.

სოგრამ, ამ ტემპით სმას ვერ გავუძლებო, იფიქრა და პატარა ჭინჭილით აიღო ქალების სადღეგრძელო. ჭინჭილა ისეთი ლამაზი

ყო, ისე რაკრაკით ისმებოდა ღვინო, ქალებმაც დიდი სიამოვნებით დალიეს სამადლობელი.

— ინგა! — უცებ აყვირდა კუჭუ. იგი რატომღაც ადგომოდა, თვალები დაეხუჭა და ხმადაბლა, თავისთვის ღიღინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ინგა! — კვლავ იყვირა კუჭუმ. ინგა გვერდით ედგა, მაგრამ ვერ ხედავდა, თვალებდახუჭული რას დაინახავდა?

— აგერ ვარ, მამა, რა იყო? — კუჭუმ თვალები გაახილა, ქალიშვილს შეხედა, შეამოწმა მართლა აქ იყო თუ არა. შემდეგ ენის ბორძიკით უთხრა:

— ადანდალი დამიკარი.

ინგა როიალს მიუჯდა. ქალაქურმა ჰანგებმა მთლად გადარია მთვრალები. კუჭუ საცეკვაოდ დათვივით გაბაჯბაჯდა. შაქრო რატომღაც მაგიდის ქვეშ შევარდა და იქ ჩაცუცქულმა მოინდომა ბუქნაობა.

ლენტო საპირფარეშოსთან ტრიალებდა, კიდევ ვინმემ არ შემასწროსო.

სოგრამ ხანჯლურის ცეკვა დანებითა და ჩანგლებით ისურვა. ინგას დაკვრას წარამარა აწყვეტინებდა, კუჭუს კინტაურის ცეკვა უნდოდა, სოგრას — ხანჯლურის, შაქრო რუსულ ცეკვას მოითხოვდა. მარტო ალექსი და ქალები ისხდნენ სუფრასთან. ალექსი მიმოზას და მომსახურე ქალებს ღვინოს აძალებდა, თქვენც უნდა დათვრეთო.

როგორც იქნა, გამოვიდა ხათუნა, ლენტო საპირფარეშოსაკენ გაიძურწა; თან ერიდებოდა, ნამეტანი აჩქარება არ შემამჩნიონო, ცალი თვალი მოცეკვავეებისკენ ეჭირა, ცალი თვალი — სუფრასთან მსხდომებისაკენ, თანაც მთვრალი იყო და ვერ ატყობდა ამას, უკან-უკან იხედებოდა და სასაცილოდ მიხუსხუსებდა.

საპირფარეშოში რომ შევიდა, კარი შიგნიდან მაგრად ჩაკეტა. ამოისუნთქა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და გულმოდგინედ შეუდგა საპირფარეშოს დათვალიერებას. აფათურა ხელები კედელზე, იატაკზე, ხელსაბანიც დიდხანს ათვალიერა, ფეხი იმ ღილსაც დააჭირა, სოგრამ რომ დააჭირა. ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული გოჯგოჯობით გადაჩხრიკა, ეწვალა, დიდხანს ეწვალა, იქნება როგორმე სადმე ფრჩხილისოდენა „ოქრო“ ავატყავოო, მაგრამ ვერ შეძლო. „ოქროს“ ფურცლები კედელზე, იატაკზე, სასაქმებელზე, ხელსაბანზე, ონკანზეც კი ისე მიეკრათ, მიდუღებული გეგონებოდათ.

ბოლოს ლენტო თავდახურულ სასაქმებელს დააჯდა და ღრმად ჩაფიქრდა, სანუგეშო მაინცდამაინც ვერაფერი მოიფიქრა. წამოდგა, ხელები გადაიბანა, გააღო საპირფარეშო და ის იყო, უნდა გასულიყო,

რომ ერთგან, იქ სადაც კარის წირთხლი ზღურბლს ეხახუნება, ოქროს ფურცელი გამოწეული ეჩვენა. ჯერ ფრჩხილით მოსინჯა, შემდეგ ჯიბეში ინგლისური გასაღები ეგულებოდა და იმ გასაღებით ... ხანს უჩხიკინა, მართლაც ფრჩხილისოდენა ოქრო აატყვია — ... თუ არა, მაშინვე პირში იტაცა და კბილი დააჭირა.

ლენტო ოქროს გამოცნობის ოსტატი გახლდათ, ოღონდ კბილი დაედგა და იმ წამს გეტყოდათ, ოქრო იყო თუ ბაჯაღლო, ოქროცურვილი თუ ოქრონარევი...

მოულოდნელად მოხდა ის, რასაც იმ საღამოს არავინ მოელოდა, როცა ლენტომ კარის წირთხლს ფრჩხილისოდენა „ოქრო" ა[illegible], ერთი კი გაიფიქრა, კარი უნდა ჩავკეტოო, მაგრამ იმდენად დიდი იყო სიმართლის გაგების სურვილი, იმდენად სწრაფად მუშაობდა ლენტოს გონება, დაავიწყდა ის, რაც მთავარი იყო — კარის ჩაკეტვა. ამ დროს კი საპირფარეშოსაკენ მობორიალობდა მთვრალი კუჭუ. კაცმა არ იცის, კუჭუს რა უნდოდა, მართლა საპირფარეშო უნდოდა, თუ ისიც ოქროს ეშხით მობანდალებდა. ასე იყო თუ ისე, კუჭუმ საპირფარეშოს კარი მაშინ შეაღო, როცა ლენტომ ფრჩხილისოდენა ოქროს კბილი დაადგა. თითქოს ოქროს ქურდობაში დაიჭირესო, ლენტოს ელდა ეცა.

ელდა ეცა და... საბედისწერო გამოდგა ეს ელდა. ფრჩხილისოდენა ოქრო სასულეში გადასცდა.

— ოჰ, ლენტოსთანა ვარ ალავერდს ოქროს საპირფარეშოში! — შესძახა მთვრალმა კუჭუმ, მაგრამ ამ დროს ლენტომ საზარლად დაიხრიალა, გადმოკარკლული თვალებით და ხელების აქნევ-დაქნევით კუჭუს შველა სთხოვა. კუჭუმ თვალები მოიფშვნიტა, მაგრამ გვიანლა იყო, ლენტო სულ მთლად გალურჯდა, ერთი-ორჯერ კიდევ დაიხრიალა, რატომღაც ხელსაბანის ავზში თავი ჩაჰყო და ჩაიკეცა, ჩაიკეცა და ოქროსფერ იატაკზე გაიშხლართა. კუჭუ მომაკვდავთან მივარდა და წამოყენება მოუნდომა.

— არ გრცხვენია, ბიჭო! რა დავლიეთ ამდენი, დადექი ფეხზე!

კუჭუს ლენტო მთვრალი ეგონა და გაუწყრა.

— ბულბულო, მიშველე. შენი ქმარი მიიღო უფალმა! — გამოსძახა კუჭუმ ბულბულოს, რადგან ვერაფრით ვერ დააყენა ფეხზე ლენტო.

საპირფარეშოში პირველი მიმოზა შემოვარდა.

— არიქა, წყალი! — შეჰკივლა ქალმა და მთვრალ კუჭუს მომაკვდავი ხელიდან გამოჰგლიჯა.

მიმოზას შეკივლებამ ყველა ფეხზე დააყენა.

— რა ამბავია, რა მოხდა! — შემოცვივდნენ საპირფარეშოში მთვრალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაურეკეთ სასწრაფოს, ლენტო ცუდადაა! — შეკივლა მიმოზამ და გალურჯებულ ლენტოს წყალი შეასხურა.

— ლენტო? — ბულბულომ ხალხი მისწი-მოსწია და იატაკზე გაშტლართულ ქმარს გადაემხო. ხელად საკინძე შეუხსნა, თავი აუწია, შეანჯღრია, „ლენტო, ლენტოო“, — სასოწარკვეთილმა ჩასძახა, ნერვიულობამ აიტანა და კივილი მორთო. ქალებმა ბულბულოს პირზე მიაფარეს ხელი და საპირფარეშოდან გაიყვანეს.

— ნუ გეშინიათ, ღვინის ბრალია, საშიში არაფერია! — შაქრომ პანიკით შეპყრობილი თანამესუფრეების დაწყნარება სცადა.

ინგამ სასწრაფოს, როგორც იქნა, დაურეკა.

— გამოვიყვანოთ საპირფარეშოდან! — აწრიალდა. სოგრა, თავქაჯშეყრილი აქეთ ეცა, იქით ეცა. ისევ მთვრალმა შაქრომ იყოჩაღა, მომაკვდავს პირველი დახმარება აღმოუჩინა, ხელები და ფეხები აუმოძრავა, შემდეგ ზეწრები ცივი წყლით დაასველა და შიგ გაახვია, ცივი საფენები ქალებს მოეწონათ, ლენტოს გალურჯებას სიმთვრალეს აბრალებდნენ.

— გამოვიყვანოთ საპირფარეშოდან, საპირფარეშოში არ მოგვიკვდეს კაცი, თავი არ მოგვეჭრას! — უჩურჩულა შაქროს სოგრამ. შაქროს ჭკუაში დაუჯდა მასპინძლის რჩევა.

ლენტო საპირფარეშოდან გამოიყვანეს და ტახტზე რომ დააწვინეს, სასწრაფოც მოვიდა. ექიმს ერთი ექთანი მოჰყვებოდა ჩანთა-აფთიაქით ხელში. ექთანმა ხელად გახსნა ის ჩანთა, საექიმო ხელსაწყოები ამოალაგა და თვალისდახამხამებაში გაუკეთა გულის ნემსი. ექიმმა ავადმყოფს მაჯა გაუსინჯა, შემდეგ გულზე დაადო ყური, ექთანს რაღაც უჩურჩულა ყურში, ბოლოს უსიტყვოდ გადახედა მთვრალებს.

ერთ ოთახში ლენტო ესვენა, მეორეში კი ბულბულო კიოდა. დარბაზის შუაგულში მიტოვებულ სუფრას უზარმაზარი ჭაღი დაჰკაშკაშებდა.

ლენტოს თავზე ადგნენ მთვრალები. როგორც ნახირი დასცქერის ყელგამოჭრილ პირუტყვს, იმდაგვარი შიშითა და გაკვირვებით უყურებდნენ ლენტოს, ექიმს, ექთანს, ერთმანეთს და ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აბრაგიას სიკვდილი

დომეს ხუთი ბატი ჰყავდა. ერთ მათგანს აბრაგია ერქვა. მართალია, ბატს სახელს იშვიათად არქმევენ, მაგრამ დომეს ბატი ჩვეულებრივი ღერღეტი არ გახლდათ.

დილით ადრე, ჭიშკარში ბატებს გადადენიდნენ თუ არა, აბრაგია სარდალივით გამოვიდოდა თეთრად მოხრეშილ შარაგზაზე, ყიჰ-ყიო — ერთს დასჭყივლებდა თანამოძმეთ და ყელმოღერებული წინ გაუძღვებოდა. მანქანების შიშით ბატებს შარა-გზიდან სწრაფად გადაიყვანდა და ტრიფოლიატის ღობის ძირას თავისი კაჭა ფეხების ტყაპატყუპით მიღერღეტობდა. იქ გამხმარი ეკლების, ასჯერ გადაძოვილი ბალახის ძირებისა და ათასი ხარახურის მეტი არაფერი იყო, მაგრამ აბრაგია ხომ გაუჩენელს გააჩენდა, შეუძლებელს შესძლებდა, ამიტომაც ეძახდნენ აბრაგიას.

სულ მთლად ამოქოლილი რომ ყოფილიყო ღობის ძირები, გასაძრომები განგებ გამოღობილ-მესერჩასობილი, აბრაგია გასაძრომს მაინც იპოვიდა. ხოლო ვის ყანაშიც შეიპარებოდა, ვის ბოსტანსაც ესტუმრებოდა, ვაი, მისი ბრალი! ყანას ნაყანევად აქცევდა, ბოსტანს — ნაბოსტნევად.

კარდაკარ ბატივით კი არ დაჩენჩერობდა, მზვერავის თვალითა და გუშაგის ყურით მიუძღოდა წინ თავის რაზმს და წუთისოფლის გზაზე მარჯვედ დაატარებდა. ამიტომ უყვარდათ ბატებს აბრაგია, მას ენდობოდნენ, მისი სიტყვა კანონად იყო ქცეული. მეგობრებს ჩუმად რომ ჩაუსისინებდა: ამ ყანაში ნუ შეხვალთ, საშიშიაო, ბატები იმ ყანისაკენ არც გაიხედავდნენ.

მეზობლებს კარგად შემოღობილი სიმინდის ყანები და ბოსტნები ჰქონდათ. იქ გასაძრომების პოვნა ჭირდა, აბრაგიას თავისი რაზმი შორს, მეურნეობის ყანებისკენ მიჰყავდა. მეურნეობის სიმინდის ყანები ათობით ჰექტარზე იყო გადაჭიმული. ვიდრე იმ ყანებამდე მივიდოდნენ, საბოსტნე ნაკვეთებისათვის უნდა ჩაევლოთ.

კიტრის, ნესვისა და საზამთროს თვალუწვდენელი ბაღები გამვლელებს თვალს სტაცებდა, გოგრის ლერწები ღობესთან სულ ახლოს ხვლიკებივით გაწოლილიყვნენ და ბატებს პანტისოდენა ბალბაშა ნასკულ კვახუნებს მადისაღმძვრელად უჩვენებდნენ. ... თითისხელა კიტრები და ნესვები ბზინავდნენ მზეზე. ჩვენს ბატებს ბოსტნეული ანდამატივით იზიდავდა, მაგრამ ბოსტანთან ახლოს თოფიანი მეველე ცხოვრობდა, მეველეს შორს წასვლა ეზარებოდა და სულ ამ ბოსტანს დასტრიალებდა თავს. თანაც ისეთი დაუნდობელი და საშიში კაცი იყო ეს მეველე, აბრაგიას მის გახსენებაზე ტანში აზრიალებდა.

ერთხელ, როცა მთელი დღე ღობე-ღობე, შარა-შარა წანწალით დაიღალნენ ბატები და საკბილო ვერაფერი იშოვეს, იფიქრეს: რაც იქნება, იქნება, ბოსტანში შევიპაროთო. აბრაგიამ, როგორც იცოდა ხოლმე, წინასწარ კარგად დაზვერა, მეველე ხომ არსად არისო და... გასაძრომი ხელათ იპოვა, თვითონ პირველი გაძვრა და ბატებიც გაიყოლა.

ბატები ნეკისხელა კვახუნებსა და კიტრუნებს კისერწაგრძელებულები ნეტარებით აყლაპუნებდნენ და თავიანთ ენაზე ერთმანეთს ტკბილად ეყიყინებოდნენ. უცებ აბრაგიამ თავი აიღო, შეშფოთებით შეჰკივლა ყიიჰ, ყიიჰო და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, მოუსვა და მოუსვა, ფეხებს ფრთებიც მიაშველა და ღობეს მიასკდა. გაოცებული ბატები, რა თქმა უნდა, აბრაგიას მიჰყვნენ, თუმცა უკვირდათ, რამ დააფრთხო წინამძღოლი, მეველე არსად ჩანდა, არც ძაღლის ყეფა ისმოდა, რა მოხდა, რა იყოო, თავიანთ ენაზე აყიყინდნენ და ისინიც მიასკდნენ გასაძრომს.

აბრაგია სწორედ იმით განსხვავდებოდა სხვა ღერღეტებისაგან, წინათგრძნობის უნარი ჰქონდა, მან წინასწარ იგრძნო მეველის მოახლოება: ყანების მცველი თოფშემართული გამორბოდა. აბრაგია პირველი გაძვრა ღობეში და შარა-გზაზე გამოვარდა. მოხდა სასწაული, მეველე ღობესთან მიიჭრა, თოფი ზედ დადო და აბრაგიას დაუმიზნა. აბრაგიამ იფიქრა, მაშინებსო, გუნებაში გაეღიმა კიდეც, შინაურ ფრინველს თოფს ვინ ესვრისო, მაგრამ... ისეთი დაიქუხა, აბრაგიას ეგონა, მიწა გასკდა, ფრთები გაშალა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოცოცხა. სხვა ბატებიც კივილ-ყივილით, სისინითა და ფრთების ფათქაფუთქით გამოცვივდნენ შარა-გზაზე. ბატებმა პირველად ნაბეს საკუთარი თვალით მათკენ გამოშვერილი საზარელი შავი ლულა, იქი-

დან საშინელი სისწრაფით გამოვარდნილი ცეცხლის ჭავლი, თითქოს აბრაგიას თოფი კი არა, მაღალმა ღმერთმა მეხი სტყორცნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწიოკებული ბატები დიდხანს გარბოდნენ შარა-გზაზე და ბანუკან იყურებოდნენ, მეველე ხომ არ მოგვდევსო. თავი საშიშროებას რომ დაიგულეს, მაშინღა გაახსენდათ ერთმანეთი, შარა-გზაზე თაკაღერილები დადგნენ — მეწინავენი ჩამორჩენილებს დაელოდნენ. როცა დარწმუნდნენ, რომ ყველანი ცოცხალნი და უვნებელნი იყვნენ — წესისამებრ აბრაგია წინ, დანარჩენები უკან — შინისაკენ გზას გაუდგნენ, თან თავიანთ ენაზე შარა-შარა დიდხანს მოყაყანებდნენ, უღლიანი ღორების, თხებისა და ხბოების გასაგონად, თუ რა საზარელი მეველე ჰყავდა მეურნეობას.

საღამო ხანს ბატები საქათმეში შერეკეს. დომეს საბატე არ ჰქონდა, ბატებს საქათმე ეკავათ, ქათმები კი ლეღვის ხეზე ბუდობდნენ.

ჯერ ძროხა არ მოეწველათ, მზე ახალი ჩასული იყო, ქათმები ნელნელა იყრიდნენ თავს ლეღვის ტოტებზე. სად იყო და სად არა, ჭიშკარს მეველე მოადგა.

— ვო, დომე! — გაისმა ეზოში მისი ხმა. დომემ ხელი მოიჩრდილა და ჭიშკარს გახედა. წინასწარ იცოდა, რისთვისაც მოვიდოდა მეველე.

— დომე, ბატებს მოუარე, თორემ მოგიკლავ, იცოდე, ამოაგდეს ბოსტანი!

— რა ვუყო? დავაბა?.. ისე ყოველ დილით ვეუბნები, სხვის ყანაში არ შეხვიდეთ-მეთქი, მაგრამ არ სჯერათ...

— ასე, ხომ? — გაბრაზდა მეველე. — დამცინი ხომ?..

მეველე სწრაფად გაშორდა ჭიშკარს, თითქოს ვინმე უკან მისდევდა.

— გაბრაზდი, თორემ არ წამართვა დადიანობა! — მიაძახა.

ეს იყო და ეს. მეტი არაფერი უთქვამთ. დომე კარგა ხანს იჯდა ჩაფიქრებული სამზადის წინ, შემდეგ წამოდგა, ეტყობოდა, რაღაც გადაწყვიტა, თაროდან წალდი ჩამოიღო, საქათმესთან აკაციის გამხმარი ჩხვერკი ეყარა, მოგრძო, სწორი ტოტი გამოათრია, შტოები და ეკლები წალდით ჩამოასხიპა, თვალით გადაზომა, გადაჭრა, საქათმის კარი გამოაღო და აბრაგიას დაუწყო ძებნა — აბრაგია შიშმა აიტანა, მან ჯერ არ იცოდა, რისთვის ეძებდა პატრონი.

შეშინებული საქათმის კედელს აეკრა და შეშფოთებით შესძახა, ყიიჰ!..

დომემ თავი შეჰყო საქათმეში, აბრაგია ჯოხით თავისკენ გამოდენა, სტაცა კუდში ხელი და დაიჭირა.

— ყიჰ! ყიჰ! ყიჰ! — სასოწარკვეთით აკივლდა აბრაგია, ბგონა, კლავდნენ და განწირულივით აფართხალდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამზადის გვერდით ბჟოლის კუნძი ეგდო, დომე იმ კუნძზე ჩამოჯდა და, ბატი კალთაში ჩაისვა. აფართხალებული ბატის ტანი ლაჯებში მოიქცია, ორივე ხელით ფრთები აუწია, ფრთების ქვეშ ის გამხმარი ჯოხი გაუყარა და ზედ შეაბა. „აღარ მკლავენ“, მიხვდა აბრაგია და დამშვიდდა — სიკვდილს ყველაფერი ერჩია.

— კიდევ არ მოიშლი სხვის ეზოში წანწალს?.. — თქვა დომემ და აბრაგიას ხელი ჰკრა, თავისუფალი ხარო. აბრაგია საქათმისაკენ გაიქცა. ბატს ფრთებში ჯოხი ჰქონდა გაჩრილი და საქათმის კარში ვერ შეეტია. დომემ კვლავ დაიჭირა ბატი, „უღელი“ დაუმოკლა და საქათმეში შეაგდო.

აბრაგიამ ბატებში თავი ისე დაიჭირა, ვითომ არაფერი მომხდარაო, შუა საქათმეში დადგა, თავისი თეთრი ქათიბი გაჭირვებით შეიბერტყა, თავი მაღლა აიღო და ამაყად აყიყინდა:

— ყი, ყი, უღელი დამადგეს, მაგრამ არაფერია... ყიჰ!..

შეშინებული ბატები კედელს ეკვროდნენ, კისერწაგრძელებულები შორიდან აკვირდებოდნენ წინამძღოლს.

— სი, სი, ეს რანაირი უღელია. სიჰ! — ჩუმად სისინებდნენ ბატები და თავიანთი ნისკარტებით მეთაურს უღელს უსინჯავდნენ. აბრაგია გაშეშებული იდგა ერთ ადგილას, თვითონაც აკვირდებოდა თავის უღელს: ჯოხზე წვრილი თოკით ორივე ფრთა ისე მაგრად დაეკრა დომეს, განძრევა უჭირდა.

მართალია, აბრაგია ჭირს არ იმჩნევდა, დარდს არ ამხელდა, ძველებურად მედიდურად „დაწვა“ დასაძინებლად, მაგრამ მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. უღელმა სევდა მოჰგვარა, რაღაც შეცვალა მის ცხოვრებაში, რაც უნდა რიხიანად ეყიყინა, უღლიანი მეთაური მაინც უღლიანი იყო, რიხი უღელს ვერაფერს დააკლებდა. მთელი ღამე უღელზე ფიქრობდა, როგორმე უნდა მოეშორებინა, მაგრამ როგორ? საქათმეში ბატებმა რომ დაიძინეს, აბრაგიამ იღლიის ქვეშ შეიყო თავისი ბრტყელი ყვითელი ნისკარტი და შემოჭერილ თოკებს შეხსნა დაუწყო, დიდხანს იქექა, ვერას გახდა, ცალ ფეხზე შედგა და ცალით ჯოხს დაებღაუჭა. ფრთები იტკინა, ჯოხს კი ვერაფერი დააკლო. მთელი ღამე იწვალა, იფხოკიალა, ერთი-ორჯერ ბატებიც კი გამოაღვიძა, ბოლოს იმედი დაკარგა და კვლავ სევდამ შეიპყრო. გამთენიის ხანს წამით ჩასთვლიმა, ჩასთვლიმა თუ არა, ყიყლიყოო, ზედ მის თავზე ზემოთ დასჭექა მამალმა და გამოაღვიძა. მამალი ლეღვის ხიდან ჩა-

მოფრენილიყო და საქათმის სახურავზე დეზების წკარუნით დაბრძანდებოდა. თან ყო! ყო! ყოოვ! — გაოცებული თავისიანებს ეუბნებოდა.

აბრაგიამ მაღლა აიხედა. შიფერის ფილა ჩატეხილიყო, შიგ ცა ჩანდა. გამოეტეოდა. რიჟრაჟზე აქედან ცის პატარა ნაჭერი ჩანდა, ხანდახან წვიმაც ჩამოდიოდა, ახლა იქ წითელბიბილოიანი მამალი იდგა და საქათმეში გაკვირვებული იჭვრიტებოდა, გაოცებას ხმამაღლა გამოთქვამდა:

— ყო, ყო, ყო! ქათმებო, მოდით, რა განახოთ, აბრაგიასთვის უღელი დაუდგამთ! ყო!

ქათმები ლეღვის ხიდან პირდაპირ საქათმისკენ მოფრინავდნენ. შიფერის სახურავზე ფეხს რომ დადგამდნენ, ხმამაღლა აკაკანდებოდნენ და შემდეგ ჩატეხილი სახურავიდან აბრაგიას ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდნენ, თან მღეროდნენ თავიანთ ენაზე: კა, კა, კა, კა...

როგორც იქნა, გააღეს საქათმის კარი, აბრაგია პირველი გამოვარდა, ეზოში გაიქცა, ჭისთავზე ცივი წყალი დალია და გულზე მოეშვა.

დომეს მეუღლემ სამზადიდან კალთით გამოიტანა საკენკი და ქათმებს დაუყარა. ბატები საკენკისკენ გაქანდნენ და ქათმებს შეერივნენ. დომეს მეუღლე მათ წკნელით გამოუდგა და ჭიშკარში გადევნა. საკენკი ქათმებისთვის იყო განკუთვნილი. ბატის ხორცს დომეს ოჯახში არავინ ჭამდა, ბატები ბუმბულისთვის ჰყავდათ, საკენკს მათთვის ხანდახან თუ გაიმეტებდნენ. ბატი ყველაფერს ჭამს, საკვებს თვითონ იშოვისო, ფიქრობდნენ.

აბრაგია ბატებს ძველებურად გაუძღვა წინ და სოფლის შარა-გზას დაადგა.

მზიანი დილა იყო, უღლიანი აბრაგია წინ, სხვა ბატები უკან, ნელა მიუყვებოდნენ სოფლის შარას.

ბატებს, იხვებს, ღორებსა და ხბორებს სხვა ეზოებიდანაც ერეკებოდნენ, ისინი შარა-გზაზე იდგნენ და გაკვირვებულნი უყურებდნენ უღლიან აბრაგიას. ინდაურებსა და ქათმებს არ ერეკებოდნენ ეზოებიდან. ისინი თავიანთი სურვილით მოსდგომოდნენ ღობეებსა და ჭიშკრებს და ცნობისმოყვარეობით ჭორაობდნენ აბრაგიაზე. აბრაგიას უღელი ვერ შეაჩერებს. ის თავისას მაინც იზამსო, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

აბრაგია გრძნობდა, რომ მასზე ჭუკჭუკებდნენ და ამაყად მიაბიჯებდა.

ბატებში, იხვებსა და ინდაურებში აბრაგია სწორუპოვარ რაინდად იყო შერაცხული და ამიტომ უკვირდათ მისი უღელი, ვერ ეცოდინენ, ვერ ეჩვეოდნენ უღლიან აბრაგიას. თორემ უღლიანი—[illegible] ხბორებით და თხებით სავსე იყო შარაგზა.

— შეეჩვევა, არა უშავს, მასზე უკეთესი ვაჟკაცები გვინახავს უღლიანები — ღრუტ, ღრუტ, — ღრუტუნებდნენ ღორები და ირონიულად უყურებდნენ იხვებსა და ინდაურებს, რომლებიც აბრაგიას ვაჟკაცობას აზვიადებდნენ.

აბრაგია ღორებს არაფრად აგდებდა, ზედაც არ უყურებდა, ნაჩვევი გზითა და ბილიკით მიჰყავდა ბატები.

სოფელს გასცდნენ, ბოსტანსაც ისე ჩაუარეს, იქითკენ არც გაუხედავთ, გუშინდელი სიმწარე ახსოვდათ. უცებ აბრაგია შეჩერდა და ერთ ქვას დაასო თვალი.

— ტყვია ამ ქვას მოხვდა, სი, სი, — ჩუმად უთხრა ბატებს და ქვას ბატურად, ცალგვერდულად დააცქერდა. სხვა ბატებიც გარს შემოეხვივნენ ქვას, კისერი წაიგრძელეს და სისინი ასტეხეს, თოფიანი მეველე და ის საზარელი ბათქი გაიხსენეს.

— უკან ხომ არ გავბრუნდეთ, სი, სი... — დაფრთხა ერთი ბატი და შეშინებული მიაჩერდა აბრაგიას.

— ნუ გეშინიათ, მომყევით, ყი, ყი! — ძველებურად რიხიანად თქვა აბრაგიამ და ღერღეტებს წინ გაუძღვა.

სიმინდის ყანები გამოჩნდა. ერთგან ნაგვიანევი ყანა ეგულებოდა და იქითკენ მიეშურებოდა, იქ სიმინდი ახალგამარგლული იყო.

დატაროებულ სიმინდებს ბატები ვერაფერს დააკლებდნენ, ამიტომ მიიწევდნენ ოდოჟღერ ყანისაკენ. აბრაგია შეჩერდა, ფრთხილად გაიხედ-გამოიხედა და გასაძრომისკენ გაემართა, პირველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა, უღელმა არ გაუშვა. განზე დადგა და ბატებს ანიშნა. თქვენ მაინც შედითო. ბატებმა სათითაოდ შეყვეს თავი ღობეში, მაგრამ შიგ შესვლა ვერ გაბედეს. მაშინ აბრაგიამ ხელმეორედ სცადა ბედი, უღელი ღობეს უგანა, მესერსა და მესერს შორის ადამიანივით შეჰყო უღლის ცალი ყური. შემდეგ მეორე მიუმარჯვა და გაჭირვებით გაძვრა. ბატებმა აღტაცება ვერ დამალეს და სიხარულისაგან ფრთები აფრებივით გაშალეს — ეს რა სასწაული მოიმოქმედა ჩვენმა მეთაურმაო. შემდეგ სათითაოდ უკან მიჰყვნენ წინამძღოლს, სიმინდის ყანას მოედვნენ და თვალის დახამხამებაში გადაძოვეს.

სად იყო და სად არა, საიდანღაც მეველე გამოჩნდა, ისეთი ყვირილითა და ერთი ამბით მოვარდა, ბატებს შიშის ზარი დაეცათ, დაფეთებულები ერთმანეთს მიაწყდნენ და თავის საშველად ზოგი საით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიქცა, ზოგი საით. მეველე აბრაგიას გამოუდგა, თოფი გადმოიღო და დაუმიზნა, აბრაგიამ ღობისკენ მოკურცხლა. ერთგან შეყო თავი, მეორეგან, ვერსად ვერ გაეტია, ღობეს გასდია, ყანის ბოლოს ბალღების ბუჩქებისკენ მოკურცხლა, იქ უკეთ ვიპოვი გასაძრომსო. მაყვალი და ღიჭი ღობეს კარგა მანძილზე ჩასდევდა, ეკლის ბარდებში უღელი გაიხლართა და აბრაგია წამით გაყუჩდა. მიაყურა, მეველე მომსდევს თუ არაო. მეველის ღეხის ხმა ახლოს ისმოდა. აბრაგიას გული ბაგაბუგით უცემდა, ცდის დრო აღარ იყო. მესერსა და მესერს შორის გაყო თავი და უღლის გაძვრენაც სცადა, მაგრამ ამაოდ, ვერ გააძვრინა. ეკლიანმა ბარდმა სულ დაკაწრა. აბრაგიას მოეჩვენა, რომ მეველემ თოფი დაუმიზნა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიწია და ცალი ფრთა დაელეწა, სისხლმა შადრევანივით იფეთქა. „დავიღუპე", — გაიფიქრა, და კიდევ ერთხელ გაიბრძოლა. რაც უფრო მეტს ფართხალებდა, მით უფრო ეკაწრებოდა ფრთები, ჩიჩახვი, ზურგი, კისერი. ეკალბარდებსა და მესრებს შორის ისე იყო გახიდული, სუნთქვა უჭირდა, ფეხებს უსასოოდ ასხმარტალებდა და თავს აქიცინებდა, მესრებისა და ეკალბარდების ტყვეობაში სულს ღაფავდა.

თანდათან ფეხისხმა მიწყდა. აბრაგია სულ მარტო დარჩა ღობეში გაჩხირული, ბატებს ეგონათ, რომ აბრაგია პირველი გაიჭრა შარაგზაზე. როცა მეთაური შარაგზაზეც ვერ იპოვეს, ძალიან გაუკვირდათ შინისაკენ წავიდოდაო, იფიქრეს და სოფლის შარას დაადგნენ. აბრაგია შინაც რომ არ დახვდათ, ბატები საგონებელში ჩავარდნენ, დომე მოძებნის და მოიყვანსო, ფიქრობდნენ, მაგრამ აბრაგია არ გამოჩნდა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. არავის უფიქრია აბრაგიას სიკვდილი, ვილაცამ თქვა, როდესაც აბრაგიას მეველე გამოუდგა, მან ფრთები გაშალა და გაფრინდაო, ისარივით აიჭრა ცის ლაჟვარდში, გადაუფრინა სოფელს და ზეცაში გაუჩინარდაო. აბრაგიას გაფრენის ამბავი სოფელში სწრაფად გავრცელდა. ბატები, ინდაურები, იხვები და ქათმები თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს გაოცებულნი უყვებოდნენ, თუ როგორ იმარდა აბრაგიამ, როგორ მოსწყვიტა თავისი მძიმე ტანი დედამიწას, როგორ გაექცა მეველის ტყვიას, აფრინდა მაღლა ცაში, გადაუფრინა სოფელს, მთებს და ულრან ტყეში წავიდა.

...სინამდვილეში კი აბრაგია ღობისძირას, ეკალბარდებსა და მესრებში გახიდული მოკვდა. დომე დიდხანს დაეძებდა თავის ყაჩაღანა ბატს, მაგრამ ვერსად იპოვა, რას იფიქრებდა, თუ ამ სიშორეს წავიდოდა! სიკვდილი კი, აბრაგიას სიკვდილი დომესაც არ სჯეროდა, ან იმ შარახვეტია მეველემ მომიკლა, ან ვინმემ მომპარაო, ამბობდა.

აბრაგია ორი დღე და ღამე ებრძოდა სიკვდილს, ორი დღე-ღამე ფართხალებდა, მშველელს ამაოდ უხმობდა, არავის ესმოდა [illegible], აქედან სოფელი შორს იყო, ვინმე შემთხვევით თუ გამოვლიდა, [illegible]-რემ აქ ხომ არც ყანა იყო და არც ბოსტანი, ეკალბარდებით გადაბურდულ, მიტოვებულ ხურგს ადამიანი რისთვის მიაკითხავდა?!

ორი დღე-ღამე ებრძოდა მშიერი, სისხლისაგან დაცლილი ბატი სიკვდილს, ბოლოს ძალა სულმთლად გამოელია, გაყუჩდა და სიკვდილი ძილივით მოეპარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტელემაყურებელი

ბატონი ალექსანდრე სამსახურიდან რომ დაბრუნდა, საჭმელ-სასმელს ნამეტანი მიეძალა. მართალია, დიეტას იცავდა, მაგრამ ისეთი კარგი სადილი მოემზადებინა ტასიას, დღის რეჟიმი დაარღვია, ქალბატონ ლელას არ დაუჯერა და მაგრად გამოძღა.

დიეტის საიდუმლოება ქალბატონმა ლელამ თბილისში გაიგო. ქალბატონმა მარიამმა ჩამოუწერა რვეულის ფურცელზე და გააფრთხილა, მთელ საქართველოში ჩვენ სამმა ვიცითო. მესამე გახლდათ ბატონი ევგენის მეუღლე, ქალბატონი ლუსა. ბატონ ევგენის მსოფლიო აქვს შემოვლილი და ყოველივე კარგი და ლამაზი საზღვარგარეთიდან მოაქვს. „დიეტა“ ევგენის ლუსასთვის ამერიკიდან ჩამოუტანია. ლუსას თავისი მეგობრისთვის მარიამისთვის მიუცია რეცეპტი, მარიამმა კი ლელას გაანდო ეს საიდუმლო. ლელამ იგი სანარტიაში ჩამოიტანა.

სანარტია პატარა ქალაქია. ადრე სოფელი იყო, შემდეგ დაბად გადაკეთდა, და რაიონულ ცენტრად, ბოლოს — ქალაქად. ამ პატარა ქალაქში არის ერთი ახალი სახლი, რომლის მესამე სართული ალექსანდრეს ოჯახს უკავია. ალექსანდრეს არ აქვს დიდი ოჯახი, ერთგული მეუღლე ჰყავს ქალბატონი ლელა და მამამისის დეიდაშვილის შვილი, როგორც ხალხში ამბობს ხოლმე, მისი „გამზრდელი“, საცოდავი მოხუცი ქალი ტასია. ისიც გასაგებია, რად არქმევენ ტასიასთანა მოხუც ქალებს „გამზრდელებს“. ტასიას ურჩევნია „გამზრდელი“ ერქვას, ალექსანდრეს კი უფლებაც არა აქვს, სხვა რამ დაუძახოს მისი ოჯახის უცხო წევრს. ერთი სიტყვით, შეთანხმებულად ცხოვრობენ, ტკბილად, უზრუნველად და უდრტვინველად ეწევიან წუთისოფლის ჭაპანს.

იმ საღამოს, როცა ალექსანდრემ დღის რეჟიმი დაარღვია და მაგრად გამოძღა, მშვიდი ცხოვრება დაინგრა. ეს მოხდა უეცრად, მოულოდნელად, საღამოს ათ საათზე.

გემრიელი, ნოყიერი, ნაირ-ნაირი სადილის შემდეგ ალექსანდრე დარბაზში ბილიარდის სათამაშოდ გავიდა. ალექსანდრეს დარბაზი მთელ სანარტიაში ცნობილია, თუმცა იგი არავის უნახავს. [illegible] მხოლოდ ჩამოსული საპატიო სტუმრები შემოდიან [illegible] დარბაზში, საერთოდ, ალექსანდრეს ბინაში არც ერთ სანარტიელს ფეხი არ შეუდგამს, მაგრამ მთელმა ქალაქმა იცის ქალბატონი ლელას ავეჯისა და ჯამ-ჭურჭლის ამბავი.

მოსაწყენია ბილიარდის მარტო თამაში. ალექსანდრემ ცოლს თხოვა, ვითამაშოთო, მაგრამ ლელამ უარი სტკიცა, არ მცალიაო. მართლაც არ ეცალა, დაბალ ტახტზე იწვა და თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული, ცნობილი კოსმეტიკოსი თინიკო ვეშაპის ტვინის ნიღაბს უკეთებდა. თინიკო ადრეც უნახავს ალექსანდრეს თავის ოჯახში, ამ ბოლო ხანს ძალიან მოშინაურდა, ლელას „დას“ ეძახის და დღე და ღამე თავს ევლება.

ალექსანდრე მარტოკა მიადგა თავის ბილიარდს. მეტოქე წარმოიდგინა და თამაშს შეუდგა. მუცელი აწუხებდა, იქნებ თამაშმა ცოტა დაფერთხოსო. უცებ გაოფლიანდა. თამაშიც მობეზრდა და სავარძელში ჩაეშვა. ტანთ გაიძრო, წელს ზევით სულ გაშიშვლდა და ტრუსის ამარა წამოწვა შეზლონგზე. მუცელი თითქოს აყირავდა და გულზე მიაწვა, სუნთქვა შეუკრა. წოლა არ ივარგებსო და წამოდგა, დარბაზში გაიარ-გამოიარა, პალმებს დაუწყო თვალიერება. ხის დიდ ქოთნებში პალმები და ლიმონები ხარობდნენ. ალექსანდრემ მცენარეებს მიუალერსა, ქოთანში თითიც კი ჩაჰყო, მოსინჯა — ტასიამ მორწყა თუ არაო. ბოლოს ადგა და სასტუმრო ოთახში შევიდა. იქ თეთრი სავარძლები და დიდი ტელევიზორი იდგა. ისევ ტელევიზორი თუ გაართობდა! ოთახში ცხელოდა, ფანჯრები გამოაღო, ჰაერმწმენდი ჩართო და შვებით ამოისუნთქა. ტელევიზორის ეკრანი როგორც კი აინთო, ალექსანდრემ გაიფიქრა:

„კარგი რამეა ტელევიზორი, აგაშენათ ღმერთმა, კარგი გამოგონებაა; იჯექი და უყურე. კინო გინდა, თეატრი გინდა, ფეხბურთი გინდა... მოგბეზრდება — გამორთე, მოგენატრება — ჩართე... გინდა წამოწექი და ისე უყურე, გინდა სულ ნუ უყურებ“. ალექსანდრეს ტელევიზორის ღმერთმა ტკბილი ფიქრები მოჰგვარა. სავარძელში იწვა, შიშველ ღიპზე ხელს ითათუნებდა, თავისი მოკლე, მსუქანი ფეხები წინ დაეწყო და არხეინად უყურებდა ტელევიზორს.

ალექსანდრე შუახნის კაცი იყო. ამ ათ წელიწადში ისე გასუქდა, კანში აღარ ეტეოდა. კარგად წაუვიდა საქმე, ჭკვიანი კაცი გამოდგა.

ალექსანდრეს დიდ და ნათელ დარბაზებში სრული სიჩუმე სუფევდა. ლელა და თინიკო ცალკე ოთახში თავიანთი საქმით გართულიყვნენ. ტასია პატარა ელზას აძინებდა. ალექსანდრეს [illegible] ქალიშვილი ჰყავდა და ისიც უდღეური. ბაიასავით ყვითელ [illegible] ტასიამ იყოჩაღა და გამოზარდა, თანდათან გამოკეთდა ბავშვი.

ნელ-ნელა ფანჯრებში სიბნელე ჩამოწვა. ტასია ფეხაკრეფით გამოვიდა ელზას ოთახიდან და სინათლე ყველგან აანთო. ბრიალა ჭაღის შუქმა ალექსანდრე ცოტათი გამოაფხიზლა. ტელევიზორს როცა უყურებდა, ხანდახან თვლემდა, ძილ-ღვიძილში, ტკბილ ფიქრებში გართული შესცქეროდა ლამაზ დიქტორებს, ვაჟი დიქტორი ჭირის დღესავით სძულდა.

როცა ტასიამ ოთახში სინათლე აანთო, მაშინ იგრძნო, რომ ეძინებოდა, მუცელი საფუარნაჭამივით აფუებოდა. შორიდან გეგონებოდათ, საკარძელში კაცი კი არა, დიდი თეთრი მუცელი იწვა. გამძლარმა მუცელმა და ვაჟი დიქტორის ლაყლაყმა ალექსანდრეს ძილი მოჰგვარა, ერთი ლაზათიანად გაიზმორა, ფეხები წინ გაჭიმა, ხელები მაღლა აღმართა და ძვლებს ჭახა-ჭუხი აუტეხა. მერე თავი უკან გადააგდო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაამთქნარა, ზედ საამისო მოძახილიც მოაყოლა — ააა — ჰაჰაო, მაგრამ აქ მოხდა ის, რაზეც მთელი სანარტია დღესაც ლაპარაკობს. ბოლო „ჰაოს“ ამოძახილი აღარ დასცალდა...

ალექსანდრემ იშვიათი მთქნარება იცოდა. ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იწყებდა, ნელი მთქნარება ზმორებას ჰბადებდა, ხოლო ზმორება იწვევდა ძვლების ჭახჭახსა და ტკაცანს, ძარღვებისა და ფილტვების დაბერვას, კუნთების დაჭიმვას, გაწითლებას, თვალების გადმოკარკვლას და ცრემლის ღვრას. ამ ზმორება-მთქნარებაში მონაწილეობდა ალექსანდრეს მთელი სხეული. ნელი მთქნარება გადადიოდა ნელ ზმორებაში, მთქნარება-ზმორება თანდათან აღმავალი ტემპით ვითარდებოდა, ალექსანდრეს ისეთი გრძნობა დაეუფლებოდა, თითქოს სხეულის ყოველი ნაწილი ფეხზე წამოდგა და სადღაც ზევით მიილტვისო. ალექსანდრე „ზევით ლტოლვას“ აჰყვებოდა და, როცა თავისი ნოხჩო ცხვირ-პირი სულ მსრალად გაუჭარხლდებოდა, ნელ-ნელა ღიღაბიან ქვედა ყბას ზედას მოაშორებდა და პირს გახსნიდა, დაბერილი ფილტვებიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოსკდებოდა ჰაერის ჭავლი, რაც საზმორებ-სამთქნარებო ბგერებსა და მელოდიასაც კი წარმოშობდა. ამ იშვიათ მთქნარება-ზმორებას თან სდევდა სხვადასხვაგვარი მოძახილი, შეძახილი, შეკივლებაც კი: „ააა-ჰა-ჰაო! ოოო-ჰო,-ჰო-ჰოჰო! ააა-ეუჰ! უუუუ-უუხხ, დედა! ააა-აჰა-ავაი, დედა! ვაი, ვაი-აჰა-ჰა-'

ბუნებრივია, ამ რთულ ფიზიოლოგიურ ქმედებას ალექსანდრე ხალხში ვერ შეასრულებდა, ყოველთვის ითმენდა და ... ელოდებოდა. კაბინეტში, როცა „სამუშაოდ“ ჩაიკეტებოდა, ... იჯერებდა გულს. შინ კი სრული თავისუფლება ჰქონდა, ზოგჯერ ისეთ „ავაი, ვაი, აჰა-ოჰოს“ ასტეხდა, ქუჩაში გამვლელი ჩერდებოდა და მესამე სართულისაკენ იცქირებოდა. რა თქმა უნდა, არც ერთი სანარტიელი არ იფიქრებდა, რომ ამ უცნაური რეჩიტატივის ავტორი ალექსანდრე იყო.

იმ საღამოს, როცა ტელევიზორმა მთქნარება მოჰგვარა და მთელი მონდომებით, მთელი გულით ასრულებდა თავის საყვარელ მთქნარება-ზმორებას, ბედად, რაღაც ეშმაკად, ნამეტანი მოუვიდა თუ რა იყო, ბოლო „ჰაოს“ ამოძახილი აღარ დასცალდა, საფეთქელთან რაღაც გაწყდა, თვალებიდან ნაკვერცხლები გადმოსცვივდა და... პირღია დარჩა კაცი!.. „დავიღუპე, — გაიფიქრა ალექსანდრემ, — ყბა ამომივარდა“. ნელ-ნელა ხელი შეახო ქვედა ყბას. შეახო და ტვინში დენივით დაჰკრა რაღაცამ. „ვაიმე როგორ მტკივა, რა მეშველება, — ელვის უსწრაფესად ამუშავდა ალექსანდრეს გონება, როგორმე ლელას უნდა გავაგებინო ჩემი უბედურება“, — იფიქრა, დავიყვირებო, მაგრამ ველარ შეძლო, ენა სასას ველარ მიწვდა და ხრიალი, ხავილი თუ ბღავილი აღმოხდა ღია ხახიდან. შიშმა და ტკივილმა წამოახტუნა, პიჯამაღებული, რატომღაც ბრმასავით წინ ხელებგაშვერილი, გაემართა ლელას ოთახისაკენ. კარს ხელი ჰკრა და ოთახში გიჟივით შევარდა, მიშველეთო.

ლელა ტახტზე გულაღმა იწვა, სახეზე ვეშაპის ტვინი წაეცხო, თვალები ძლივს უჩანდა. ვეშაპის ტვინი გამაგრებულიყო, გატკიცინებულიყო, აპრიალებულიყო და ქალი კირით შეგოზილსა ჰგავდა. ერთ საათს წარბსაც კი ვერ შეარხევდა; თუ ვერ მოითმენდა, გამაგრებული ცვილი ჩამოსცვივდებოდა და თინიკოს წყალში ჩაეყრებოდა შრომა. ამიტომ თინიკო გვერდით ეჯდა და ამბავს უყვებოდა. ქალები ჭორაობაში გართული რომ იყვნენ, შიშველ-ტიტველი ალექსანდრე სწორედ მაშინ შემოვარდა ოთახში, თინიკოს არასოდეს ენახა ალექსანდრე საცვლის ამარა, ჯერ ვერ იცნო, უცხო ეგონა, „ვაიმეო“ შეჰკივლა და თვალებზე ხელები აიფარა. ლელა ქმარს ვერ ხედავდა, რადგან კარისკენ ზურგშექცევით იწვა. თინიკომ რომ შეჰკივლა, ლელამ რა ამბავიაო, ხელის ქნევით იკითხა. გაკვირვებული თინიკო ფეხზე წამოიჭრა და შესძახა:

— ეს თქვენა ხართ, ბატონო ალექსანდრე?!

ლელამ გაფითრებული ქმარი რომ დაინახა, ვეშაპის ტვინის ნიღაბი არად ჩააგდო და წამოხტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მოგვივიდა, რა მოგვივიდა, ადამიანო, არ იტყვი?

ალექსანდრეს ხმის ამოღება, რა თქმა უნდა, არ შეეძლო, ერთი ამოიხრიალა, ცოლს მხარზე დაეყრდნო და ამით აგრძნობინა, ვკვდებიო. ქალებმა ალექსანდრე ტახტზე დასვეს. ქმარი ლელას თითით ანიშნებდა, ყურმილი აიღე და დარეკეო.

— ვაიმე, რა ვქნა! — შესძახა ლელამ და ყურმილს დასწვდა.

— ორთოპედი თუ გყავთ ქალაქში? — იკითხა თინიკომ.

— ორთოპედი? — დაიბნა ლელა. — მიხეილ ვასილიჩს დავურეკავ და ყველაფერს მოაგვარებს.

ლელამ ნომერი აკრიფა.

— წამოწექით, წამოწექით, — უთხრა თინიკომ ალექსანდრეს. ავადმყოფმა ხელები გაასავსავა.

— მიხეილ ვასილიჩ, ვიღუპებით, ალექსანდრე ცუდადაა! — ჩასძახა ლელამ ყურმილში და ყურმილი სწრაფად დადო. ალექსანდრეს გვერდით მიუჯდა და სახეში ჩააშტერდა.

— აბა, მაჩვენე, იქნებ ჩვენ თვითონ გიშველოთ. — უთხრა ქმარს ლელამ და ნიკაპზე წაეტანა. ალექსანდრე ფეხზე წამოვარდა და თვალები ისე გადმოკარკლა, ლელა დაფრთხა:

— ჰო, კარგი, კარგი, ხელს არ ვახლებ, ნუ გეშინია, დაწყნარდი...

ქმარს ხელი მოჰკიდა და ტახტზე დასვა.

— წამოწექი ალექსანდრე, წამოწექი, ნუ გეშინია... აი, ასე... ნელ-ნელა... — ტახტზე რაც ყურთბალიშები იდო, ერთმანეთზე შემოდო და ქმარი გაჭირვებით დააწვინა.

— ტასია, ტასია, ტასია! — ატეხა უცებ კივილი. შემდეგ ისევ ალექსანდრეს მიუბრუნდა:

— ნუ გეშინია, ახლავე, ახლავე... — გაიძახოდა დაბნეული ლელა და ქმარს თვალებში შესცქეროდა, — მიხეილ ვასილიჩი ახლავე მოვა...

ალექსანდრე ხელებით რაღაცას ანიშნებდა, ლელა ვერ იგებდა და წუხდა.

— გინდა რამე? სასწრაფოს დავურეკო? აბა, რა ვქნა? დედა, დედა, ეს რა მოგვივიდა? თინიკო, მიშველე რამე?

— რა მოუვიდა, ნეტავი, დაეცა? — ჰკითხა თინიკომ ლელას.

— ალექსანდრე, დაეცი? — რატომღაც გაჰყვიროდა ლელა.

როცა მუნჯს ელაპარაკებიან, ქვეშეცნეულად გაჰყვირიან ხოლმე,

ჰგონიათ, რახან მუნჯია, ყრუცაა. ალექსანდრეს ყურს არ აკლდა. მაგრამ ლელა მაინც გაჰყვიროდა.

ალექსანდრემ ცოლს ხელით ანიშნა, არ დავცემულვარ.

— აბა, შენ თვითონ სცადე, იქნება პირი მოკუმო, კაცო, ასე ორგორ შეიძლება!.. ან ყბა აამოძრავე, ცოტა თავს ხელი შეუწყვე... ტასია! ტასია!.. სად ჯანდაბაში დაიკარგე!..

ლელა თინიკოს მიუბრუნდა და ჩუმად უთხრა:

— დამბლა ხომ არ დაეცა? ხომ არ დავიღუპე?

— ასეთი დამბლა არ გამიგია, — მხრები აიჩეჩა თინიკომ.

როდის-როდის შემოფრატუნდა ბეჩავი ტასია.

— სადა ხარ, შე ქალო, მოიტანე თეთრეული, ქვეშაგები, ხომ ხედავ ცეცხლი გვეკიდება, კაცი შიშველ-ტიტველი გვიკვდება!

— ა?.. კვდება?.. ვინ კვდება?.. — ვერ გაიგო ტასიამ.

— ქალბატონო, — დაუწყო ახსნა თინიკომ ტასიას, მაგრამ ლელამ შეაწყვეტინა.

— თინიკო, შენ შემოგევლე, ეს დედაბერი მომაშორე, მთლად გამაგიჟებს ეს!

— რაო, რაო? რა თქვა? — კვლავ მიუბრუნდა ტასია თინიკოს, ტასიას ყურს აკლდა.

— წამობრძანდით, ჩემთან წამობრძანდით, ქალბატონო, — თინიკომ ტასია ოთახიდან გაიყვანა — მაჩვენეთ, სად ინახავთ თეთრეულს...

ლელა ტელეფონს მიუჯდა და სადღაც დარეკა.

— გიორგი ანდრეიჩი ბრძანდებით? ალექსანდრე ცუდადაა... — ყურმილი დადო და სხვა ნომერი აკრიფა.

— რეზოს თხოვეთ! — ჩასძახა ყურმილში — სად არის?.. რა ჯანდაბა უნდა ქალაქგარეთ?! — ლელამ ყურმილი დააგდო და ალექსანდრეს გასაგონად თქვა: „უსაქმური“.

— მაინც, ერთი ხეირიანი ორთოპედი არა გყავთ ქალაქში? — მიაძახა ქმარს და სადღაც დარეკა.

თინიკომ თეთრეული შემოიტანა. ტასია ფლოსტების ფრატუნით შემოჰყვა. მოხუცი კუთხეში აიტუზა. გაოგნებული უყურებდა ხან ალექსანდრეს, ხან ლელას და ხან თინიკოს, გამაგებინეთ, რა ამბავიაო.

— მოშორდი აქაურობას, რა ფეხებში გვებლანდები, ბავშვს მიხედე, არ გაიღვიძოს! — დაუცაცხანა ლელამ ტასიას.

— რაო, რაო, დედა, რა მინდაო? — ჰკითხა კვლავ თინიკოს მოხუცმა. ტასია „რაო, დედას“ ყოველ წუთში გაიძახოდა. მართალია,

ყურს აკლდა, მაგრამ კიდეც რომ გაეგო ნაუბარი, უსათუოდ იკითხავ-და „რაო, რაო, დედა, რა მინდაო?“ — ასეთი ჩვევა ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტასია, არ გვცალია შენთვის! — დაუყვირა ლელამ ტასიას. — თინიკო, მომეხმარე!..

ლელა ალექსანდრეს პერანგს აცმევდა, საცაა ექიმები მოვიდოდ-ნენ და ბატონი ალექსანდრე ამ ყოფაში სანარტიელ ექიმებს არ უნდა ენახათ. ალექსანდრე კვნესოდა, ძალზე ხმამაღლა კვნესოდა, ზოგჯერ შეჰყვირებდა ხოლმე, მაგრამ მისი ხახიდან ახლა ამოდიოდა ძირითა-დად ერთი ბგერა „ა“. ხან გაგრძელებულად „ააა“, ხანაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად. როცა კვნესას ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოუშვებდა, მაშინ „ა“-ს მიუმატებდა „ჰ“-ს, იშვიათად „ხ“-საც და მთელ სახლში მონო-ტონურად გაისმოდა ალექსანდრეს „ააა! ااااჰ, ااااხ!“

ლელამ ვერ მოასწრო თავისი ჩანაფიქრის განხორციელება — ექი-მებს მომზადებული ვერ შეხვდა. ალექსანდრეს პერანგი ჩააცვა თუ არა, ზარმა დაიწკრიალა და ტასიამ სტუმრებს კარი გაუღო.

სანარტიელი ექიმები უკლებლივ ეახლნენ ბატონ ალექსანდრეს და დიდი რიდითა და კრძალვით თავზე დაადგნენ.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! ღმერთო ჩემო, რა არე-ულად გხვდებით, — შესძახა ლელამ.

დაბნეული ექიმები ერთმანეთს ეფარებოდნენ, ვერც ლელას, ვერც ალექსანდრეს სახეში ვერ უყურებდნენ, ოთახში ადგილს ვერ პო-ულობდნენ. ბატონ ალექსანდრეს ამ ყოფაში ვერც ერთი სანარტიელი ვერ წარმოიდგენდა, ზოგ ექიმს თვალითაც კი არ ენახა იგი. ალექსანდრე ქალაქში შავი ვოლგით თუ ჩაიქროლებდა და სანარტიელები ერთმანეთს ეუბნებოდნენ... „შეხედე, ალექსანდრეს ვოლგაა“. ექიმებიდან მხოლოდ მიხეილ ვასილის ძე — სანარტიის მთავარი ქირურგი იცნობდა ალექსანდრეს. მიხეილ ვასილის ძის დაბნევამ დანარჩენები კიდევ უფრო დააბნია. მი-ხეილი ვეღარც კი მიესალმა ლელას და ალექსანდრეს. ნიღბიანმა სახემ დააბნია კაცი. ლელას ამ სიჩქარესა და ჰაწიაწიაობაში სულ დავიწყნოდა ვეშაპის ტვინის შემხმარი ნიღაბი. თეთრი, ქათქათა ნი-ღაბი დამსკდარიყო, ზოგან ამძვრალიყო, პირის კილოებზე დაჭეჭკი-ლიყო, შუბლზე, ცხვირზე და ღაწვებზე ალაგ-ალაგ შერჩენოდა.

ალექსანდრემ საწყალობელი თვალი შეავლო ექიმებს და კვნესას მოუმატა.

— რა მოგვიდათ, ბატონო ალექსანდრე, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო მიხეილ ვასილის ძემ და ავადმყოფს მიუჯდა. ყველამ შვებით ამოისუნთქა. ალექსანდრემ ხელების ქნევით რაღაც უპასუხა:

— რა მოუვიდა?—ჰკითხა მიხეილ ვასილის ძემ ლელას.

— არ ვიცით, ბატონო, რა მოუვიდა. ჩვენ აქ, ამ ოთახში ვიყავით, უცებ შემოაღო კარები და, აი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ფურცელი ქაღალდი მოგვიტანეთ, თუ შეიძლება, — უთხრა მიხეილ ვასილის ძემ თინიკოს.

თინიკო ქაღალდის მოსატანად გავიდა.

— ხომ არ დაცემულხართ?

ალექსანდრემ ხელი გააქნია, არაო.

— ხომ არ მიარტყით, ან ხომ არ მოგხვდათ რამე.

ალექსანდრემ ხელი გააქნია, არაო.

მიხეილ ვასილის ძემ ექიმებს გადახედა. ექიმებმა მხრები აიჩეჩეს.

— აბა, ერთი... — მიხეილ ვასილის ძემ ალექსანდრეს ნიკაპზე შეახო ხელი.

ალექსანდრემ ექიმს ხელი დაუჭირა.

— ნუ გეშინიათ, არ გატკენთ!..

მიხეილ ვასილის ძემ ქვედა ყბა მოუსინჯა. ალექსანდრემ ამოიგმინა.

— მდაა!.. — თქვა ექიმმა, — წერა ხომ შეგიძლიათ, ბატონო ალექსანდრე? — ჰკითხა ექიმმა ალექსანდრეს, — დამიწერეთ რა შეგემთხვათ, რა მოგივიდათ.

ალექსანდრემ დაწერა, რაც შეემთხვა და ქაღალდის ფურცელი მიხეილს გაუწოდა.

— „ჩემო მიშა, — ეწერა წერილში — ტელევიზორთან ვიჯექი და დავამთქნარე. ეს იყო და ეს, რაღაც საფეთქელთან გაწყდა. ნურავის ეტყვით ჩემს ამბავს, უხერხულია“.

ექიმებმა წერილში თავი ჩარგეს და წაიკითხეს.

— ალბათ ამოვარდნილი აქვს, — თქვა ერთმა.

— რატომ ამოვარდნილი, იქნებ სახსარი დაეჭიმა, — ჩაილაპარაკა გიორგი ანდრიას ძემ.

— ასეთი მწვავე ტკივილი ექნებოდა? — იკითხა სხვამ.

— იქნებ გაუწყდა სახსარი, — უჩურჩულა თინიკომ გიორგი ანდრიას ძეს.

— როგორ გეკადრებათ, — გაიღიმა მან.

— დამბლის მეშინია, — ახლა ლელამ მოიხელთა გიორგი ანდრიას ძე.

— რა შუაშია დამბლა?! — გაჯავრდა ექიმი და ამ გაჯავრებით საბოლოოდ დაამშვიდა ლელა.

— სურათი უნდა გადავუღოთ, — თქვა მიხეილ ვასილის ძემ და ალექსანდრეს საფეთქელზე თითი დაადო.

ალექსანდრე შეხტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ ამოვარდნილია, მიხეილ ვასილიჩ, — თქვა მეორემ ერთმა ექიმმა, — ნუღარ ვაწვალებთ, ახლავე ვცადოთ.

— ვცადოთ, მაგრამ მეეჭვება, — თავი გადააქნია მიხეილ ვასილის ძემ. ექიმები ალექსანდრეს მიუახლოვდნენ. მიხეილ ვასილის ძემ ალექსანდრეს თავქვეშ ცალი ხელი შეუცურა, მეორე კი ქვედა ყბას ფრთხილად შეახო.

— ნუ გეშინიათ, ბატონო ალექსანდრე, ცოტა, სულ ცოტა მოითმინეთ და მორჩებით.

ალექსანდრემ დაიღმუვლა, კიდევ დაიღმუვლა, კიდევ დაიღმუვლა და მიხეილ ვასილის ძეს შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

ალექსანდრემ, როგორც იქნა, მოიშორა ექიმის ხელები და თვალებდახუჭული მიეგდო ბალიშზე.

— აბა, ახლა თქვენ თვითონ სცადეთ მოკუმეთ პირი...

ალექსანდრემ თვალებით ლელა მოძებნა და გაჭირვებით ანიშნა, ცხვირსახოცი მომეცით.

ლელამ ცხვირსახოცი მიაწოდა.

— სცადეთ, ნუ გეშინიათ, სცადეთ...

— ხედავთ, გასივდა, — უჩურჩულა თინიკომ ერთ ექიმს.

— გასივდა, — იმ ექიმმა მეორეს უჩურჩულა.

— უნდა წავიყვანოთ სტაციონარში, — თქვა მიხეილ ვასილის ძემ და წამოდგა, — გიორგი ანდრეიჩ, სასწრაფოს დაურეკეთ, საკაცე დაგვჭირდება.

ალექსანდრემ ხელები გაასავსავა, სასწრაფო არ მჭირდებაო.

— კარგით, აღარ გვინდა სასწრაფო, ჩვენი მანქანით წავიდეთ, მე წაგიყვანთ, საშიში არაფერია. — მიხეილ ვასილის ძემ ალექსანდრეს ბავშვივით დაუყვავა. ალექსანდრეს ცრემლი მოერია.

— ჩავაცვათ და წავიდეთ, ნუღარ ვაყოვნებთ. — უთხრა მიხეილ ვასილის ძემ ლელას და ოთახიდან გავიდა. ექიმები უკან მიჰყვნენ.

ლელამ და თინიკომ გაჭირვებით ჩააცვეს ალექსანდრეს ძვირფასი შარვალ-კოსტუმი, ფრანგული ჰალსტუხიც კი გაუკეთეს, ხელში ცხვირსახოცი მისცეს, პირზე რომ აეფარებინა, და ოთახიდან გამოვიდნენ. ექიმები ავადმყოფს მხრებში შეუდგნენ და ნელ-ნელა გამოიყვანეს სასახლიდან.

ამბობენ, ალექსანდრეს ძალზე გაურთულდა ავადმყოფობა — სულ დასივდა-დაიბერა, თბილისში საავადმყოფოში წევს, ოპერაცია უნდა გაუკეთონო. თურმე მთელი თბილისი თავს ახვევია და თურმა საშველია, არ მოკლავენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანარტია კი განაგრძობს არხეინ ცხოვრებას; ალექსანდრეს უცნაური თავგადასავალი დიდმა და პატარამ იცის, იცის არა მარტო ის, რომ ალექსანდრეს მთავარი სახსარი ჩაუწყდა და თბილისში წევს საავადმყოფოში, არამედ ისიც, თუ რა გადაცემას უყურებდა ტელევიზორში, როცა ასე გულიანად დაამთქნარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბებია ელპიტეს თვითმკვლელობის ამბავი

შუა ოთახში კუბო ასვენია, კუბოში ჭაბუკი წევს, იქვე დედა დგას თმაგაჩეჩილი და მოთქვამს, ზოგჯერ თავს ზევით ასწევს, ხალხს გადახედავს, უეცრად მკერდს გადაიღეღავს — სულ გასისხლიანებული აქვს მკერდი, გაუშტერდება თვალები, ფერი ეცვლება, გვერდით მდგარი შავოსანი მიეშველება. დედა შავოსანს დაეყრდნობა, თავს უკან გადასწევს, გაშლილ ხელს იცემს გასისხლიანებულ მკერდზე და აიჩემებს: „ვაი, ნანა! ვაი, ნანა! ვაი, ნანა!

კუბოსთან მდგარნი აწრიალდებიან. აზრიალდება ოთახი, აივანი, დედის ხმა ეზოშიც გააღწევს, ეზოც გაიტრუნება.

კუბოს თავთან დედა გოდებს, კუბოს ბოლოში კი ორ ქალს გაუკავებია ბებია ელპიტე. მას უკვე ტირილი არ შეუძლია, არც მოთქმა, საბრალოს ხმა სულ ჩასწყვეტია. ცდილობს იკივლოს, მაგრამ მისი ხმა არავის ესმის. მთელი კვირაა ასე გაკავებული ჰყავთ. სამი დღე იკივლა, იწივლა, ხმა ჩაუწყდა და ახლა სუსტი ხრიალი ამოსდის პირიდან, არავის ესმის მისი ხივილი. დგას ასე პირგაღებული და, როცა გამკავებელი ქალები ოდნავ ხელს დაანებებენ, მაშინვე საკუთარ დამჭკნარ ლოყებს ჩააფრინდება და დაიხოკავს. ქალები ტუქსავენ ელპიტეს და ისევ მაგრად გაუკავებენ მკლავებს.

დგას ბებია ელპიტე კუთხეში და გაღებული აქვს პირი.

შემოდიან დამტირებლები, მიატირებენ დედას, დებს, დეიდებსა და მამიდებს, შემოუვლიან კუბოს, ბებია ელპიტეს რომ დაინახავენ, სულ დაჩიავებულს, პირდაღებულ დალეულ მოხუცს, შეჰკივლებენ: „ელპიტე, შენ ცოცხალი ხარ?!“

„მიუშვან ერთი წუთით კუბოსთან, დაჰკრავს თავს და გათავდება, არ იქნება ცოცხალი, მაგრამ ეს ულმერთოები არ უშვებენ, სულ ერ-

თია, თავს მაინც არ იცოცხლებს ბებია ელპიტე, ზურიკოს შემდეგ
რად უნდა სიცოცხლე. ოდესმე ხომ გაუშვებენ ხელს...“

ჭიშკართან კივილი ატყდა, ელპიტეს ნათესავები ჩამოვიდნენ. ფცვ-
ოდე ქალი და კაცი დაწყობილი შემოდის ეზოში, წინ თმაგაშლილი
ქალი მოუძღვით. ქალს კივილით ცის ნატეხი ჩამოაქვს, მამაკაცებმა
ქუდები მოიხადეს. კიბესთან ქალმა კივილს უმატა, აივანზე კი ოთხმა
კაცმა ვერ დაამაგრა. ხრიალებს ბებია ელპიტე, დამჭკნარ ყელზე ძარ-
ღვები დასკდომამდე ებერება, ზევით-ზევით აჰყვება თავის ხმას, ფე-
ხის წვერებზე აიწევა, მერე ერთბაშად ძირს ჩამოეშვება, ქალებს ხე-
ლებზე ჩამოეკიდება, ისევ აჰყვება ხრიალს და ხელებგაშლილი ეგე-
ბება ნათესავებს. ბებია ელპიტეს არავინ აქცევს ყურადღებას. „ვის
სატირლად უნდა მოვსულიყავით და ვის ვტირითო“, — ჩასძახებენ
კუბოს.

ხალხის დენა არ ნელდება, ჭიშკართან უამრავი მანქანა დგას, ეზო,
აივანი და მთელი ოდა ხალხს ვეღარ იტევს. თავკაცი თავქუდმოგლე-
ჯით დარბის და ხალხს ეხვეწება როგორმე გაიწ-გამოიწიონ, სტუმ-
რებს გზა მისცენ, ტირილითა და გოდებით შემოდიან ქალები, გადა-
ეხვევიან დედას, ბებია ელპიტეს, კუბოსთან მდგარ ყველა ჭირისუ-
ფალს, ეუბნებიან: „ეს რა მოგვიდათ, ეს რას შეესწარით, გამოიკეტა
ოჯახი! ბებია ელპიტეს კი მოშხამავენ, მოწამლავენ: ზურიკოს უნდა
დაემარხე და როგორ ხარ ცოცხალიო. ელპიტეს ძალა არ ყოფნის თო-
რემ იკივლებდა, იყვირებდა, მთელ ქვეყანას გააგებინებდა, რომ სი-
ცოცხლე არ უნდა. ყველა ერთად ჰგოდებს, ყველა ერთად მოთქვამს
და მისი ხმა იკარგება, როგორც ზღვაში წვეთი. რა ვუყოთ რომ ხმა
დაეკარგა, ხომ ცდილობს იკივლოს, ხომ იჭაჭება, ხომ ებერება კის-
რის ძარღვები, ხომ არ დამჯდარა, ეს ერთი კვირა პირში ლუკმა ხომ
არ გადასცდენია, ხომ არ მოუხუჭავს თვალი და მაინც, რომ ცოცხა-
ლია?!.

მზე ჩავიდა. კუბო გამოასვენეს. სამგლოვიარო პროცესია სასაფ-
ლაოსაკენ გზას გაუდგა. ჭირისუფლები სამარეში ჩაყოლას აპირებ-
დნენ, მაგრამ გაჭირდა ჩაყოლა. როცა შინ დაბრუნდნენ, გაშლილ
სუფრას მოუსხდნენ. რა ექნათ, სტუმრებს პატივისცემა სჭირდებოდა.
მხოლოდ ბებია ელპიტე არ დაჯდა სუფრასთან. ავადმყოფობა მოიმი-
ზეზა, გულში კი გადაწყვიტა: როგორც კი მარტო დარჩებოდა, თავი
მოეკლა. მოასვენეს ბებია ელპიტე თავის ოთახში, თბილად ჩააწვი-

ნეს, არ დავიძინებო ფიქრობდა, მაგრამ დაღლილ--დაქანცულს ეცრად მოეპარა ძილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ ღამეა. მოფარდაგულში სუფრაა გაშლილი, გაჩერებულ ბულ სუფრის თავზე თამადა სადღეგრძელოებს ამბობს: ღმერთმა სიმწარე გაკმაროთ, ერთმანეთს ქორწილსა და ლხინში შევხვედროდეთო.

ბებია ელპიტეს კი ესიზმრება: ერთ ბნელ ოთახში წევს, სრულიად მარტოა, რა კარგია, რომ მარტოა. წამოდგა, თავი უნდა მოიკლას, მაგიდაზე დანა დევს, გალესილი, ცივი დანა, აიღებს დანას, ჩაიცემს გულში და გათავდა, მოისვენებს, მერე ალბათ მეზობლები მოვლენ და ეტყვიან, ადრე უნდა მომკვდარიყავიო. დგას ელპიტე და დანას დაშტერებია... აჰა, დაწვდა კიდეც... მაგრამ... ელპიტე თვალს არ უჯერებს დანა პურის ნატეხად იქცა. საოცარია!.. სად დანა და სად პური! ოთახში პურის სუნი სცემს. სიბერემდე სიქაჩლეს მოელოდეო; ვითომ შავებში ჩაცმული ელპიტე კატაა და პურის ნატეხი თაგვი, უფრო გასაკვირი ის არის, რომ დედაბერი სხვა ელპიტეა. ელპიტე სიზმარში ფიქრობს: ნუთუ ეს მე ვარ, თუ კატაა? თუ სხვა ელპიტეა?.. დედაბერი პურის ნატეხს დაწვდა და პური გვერდით არ გაცოცდა!.. ბებია ელპიტე ხელს უპოტინებს, მაგრამ პურის ნატეხი თაგვივით გაურბის, ელპიტე მაგიდაზე გადაწვება, ცალ ხელს დაიგრძელებს, საცაა მიწვდება პურის ნატეხს, ჯადოსნური პური კი მიცოცავს, ხელიდან თევზივით უსხლტება. მოხუცი მაგიდას მეორე მხრიდან შემოუვლის. ახლა აქედან ცდის ბედს, მაგრამ ამაოდ, რა ფართოა ეს მაგიდა, სკამს მოიტანს, ერთი ვაი-ვაგლახით აძვრება სკამზე, მაინც ველარ წვდება, მაინც შორსაა პური. შემდეგ ცალ მუხლს დაადებს მაგიდას, მეორესაც და დაოთხილი გამოეკიდება პურის ნატეხს. ღმერთო, ნუთუ შენ მოიგონე ეს საოცარი თამაში! მიბობღავს ბებია ელპიტე მაგიდაზე. და... ოთახში შემოდის ვიღაცა, მეორე, მესამე, ვიღაცა კი არა, ელპიტეს შვილები, შვილიშვილები, მეზობლები, დაინახეს მოხუცი პურის ნატეხისთვის ბავშვივით მაგიდაზე რომ ამძვრალა, მოეჭრა თავი. ელპიტე მაგიდაზე დაემხო, სირცხვილისაგან თავი ვერ აუწევია, წევს ასე გაუნძრევლად და ჩატყდა მაგიდა...

ელპიტემ თვალები გაახილა, სიწყნარეა. აგერ მის გვერდით ვიღაცა წევს, ეს მისი შვილია, იქით, მეორე ოთახში რომ ხვრინავენ, ალბათ სტუმრებია. დალაგებულან. ეს რამდენი ჭურჭლები და ქვაბები შემოუტანიათ ელპიტეს ოთახში, არაფერი, რომ არ გაუგია? რა ფხიზელი ძილი იცოდა და რა მოუვიდა, მკვდარივით ჩასძინებია. ხელ-

ფეხი დამძიმებული აქვს, თავი ტკივა, ეს რა სიზმარი ჰქონდა, ეს რა აზრები უტრიალებს თავში, რა მძიმეა აქ ჰაერი, როგორ უჭირს სუნთქვა... დაწყევლოს ღმერთმა! გაუსკდება ალბათ თავი, ნეტავ ასეთი არ გაღვიძებოდა, რა ძნელია ახლა თვალღია იწვე. ბებია ელიტეს თვალები ცრემლით ევსება, გადაბრუნდება, ჩაემხობა ბალიშებში და გულდამწვარი, გულდათუთქული იცრემლება, სველდება ბალიში. ოთახებში ისმის ადამიანების ხვრინვა, მიიზლაზნება ღამე. ბებია ელიტე ცხარედ ტირის. მისი საყვარელი შვილიშვილი ამქვეყნად აღარ არის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევანელი
და
ნაძალადევი

ალბომი
და
ლიოანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„და აწ მკვიდრ ხარ ნათელსა"
გრიგოლ ხანძთელი

წინათქმა

„8 იანვარს ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში მწირველად ბრძანდებოდა ალავერდის ეპისკოპოსი, ყოვლად უსამღვდელოესი კირიონი...

წირვაზედ სასიამოვნოდ გალობდა ბ-ნ ალ. კავსაძის მიერ ახლად შედგენილი გუნდი ქართველ მგალობელთა.

წირვის დამთავრების შემდეგ სამღვდელოება ყოვლად უსამღვდელოეს კირიონის მეთაურობით ლიტანიით გამოემგზავრთა ეკლესიითგან ვარანცოვის ქუჩით წმ. აბოს სამარტვილისაკენ. ლიტანიაში მრავალი ხალხი იღებდა მონაწილეობას.

წმ. აბოს სამარტვილესთან გადახდილ იქნა პარაკლისი ამ წმიდისა მიმართ. პარაკლისს დაესწრნენ სომხები და თათრებიც, რუსებსა და ქართველებს გარდა.

საპარაკლისო სახარების წაკითხვის შემდეგ დღის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ქართულს ენაზედ ტფილისის სემინარიის მასწავლებელმა ი. ფერაძემ...

მალე წმიდა აბოს სამარტვილესთან დაარსებულ იქნება საეკლე-

ხიო სამრევლო სკოლა ამ წმიდის სახელზედ ქართლ-კახეთის საეპარ-ქიო სასწავლებელთა საბჭოს ხარჯით.

ასეთი დღესასწაული და ასეთი სკოლის დაარსება ტფილისელ-ეროვნულ-ეროვნულ წმ. აბოს ხსოვნას. ის, როგორც ვიცით, იწოდება ტფილელად და ითვლება ამ ქალაქის მფარველ ანგელოზად" [1].

დღეს აღარსად არის აბოს სამარტვილე, არც წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში წირავს ალავერდელი ეპისკოპოსი, არც არავინ წავა ლიტანიით მეტეხისაკენ აბოს მიმართ პარაკლისის გადასახდელად.

სხვა ჟამი დადგა. სხვას ვცემთ თაყვანს, სხვაგან მივდივართ ლიტანიით, სხვა სამარტვილესთან ვიკრიბებით.

მაგრამ ჯერ ერთი საუკუნეც არ გასულა, რაც ასე ვირჯებით, თორმეტი საუკუნე კი ქართველი ერი პატივს მიაგებდა არაბ ყმაწვილს ისე, როგორც ეს დიდი ილიას გაზეთშია აღწერილი: ეკლესიაში მისთვის ლოცულობდნენ, მასზე საგალობლებსა და დასდებლებს წერდნენ, წმინდანად რაცხდნენ, დედაქალაქის მფარველ ანგელოზად მიიჩნევდნენ. სამკაულსა და სიქადულს ეკლესიისას ეძახდნენ. ხოლო იოანე საბანიძემ „პირველმა ქართველმა, ვინც მკვეთრად გამოთქმული ეროვნული ლოზუნგით გამოვიდა მწერლობაში". (კ. კეკელიძე) საბოლოოდ უკვდავჰყო აბო-მენელსაცხებლე, უწოდა მას „ვარსკულავი მოტყინარე" თბილისის ცაზე და შექმნა ძვირფასი ქართული წიგნი „წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისისა ჰაბოისი".

რისთვის მიაგებდნენ ასეთ პატივს მონადშობილს.

რისთვის იყრიდნენ მუხლს მის სამარტვილეში, ქართველთა გარდა რუსები, სომხები, თათრები...

საქართველოს სულიერი მამები, სამოელ ქართლის კათალიკოსი და იოანე საბანისძე რისთვის ამოუდგნენ მხარში ქართლის ერისმთავრის უბრალო მსახურს.

რა მოხდა 786 წ. ნათლისღების დღეს ტფილის-ქალაქში?..

სტეფანოზი

ქართლის ერისმთავარს, სტეფანოზს, ამიდმა დაუჯერებელი ამბავი აუწყა: ბიძათქვენის მსახურმა, მენელსაცხებლე არაბმა, მამული, სჯული უარჰყო და ქრისტე ღმერთს შეუდგაო.

---

[1] „ივერია" № 8, 12 იანვარი, 1900 წ., რედაქტორ-გამომცემელი ილ. ჭავჭავაძე.

ამიდი თვალებს აპარპალებდა და ქვევით-ქვევით იყურებოდა. სტეფანოზი გაოგნებული შესცქეროდა ამირას მდივანმწიგნობარს და ყურებს არ უჯერებდა, ბავშვივით გაწითლდა, გაყვითლდა, [illegible] ოფლმა დაუცვარა შუბლი. რაც მთავარია, ამიდი ბიძამისის [illegible] „ნერსეს“ არაბულ წინადადებებში უპატიოდ ატრიალებდა წინ და უკან, ბოლოს სამხილიც დაუდო წინ, თან კეთილის მსურველივით უჩურჩულა: დავალებული გვაქვს ამის თაობაზე ხალიფას წერილი მივართვათო.

სტეფანოზმა ამ დილით ამირას სასახლეში ფეხი შემოდგა თუ არა, მოეჩვენა რომ მოხელენი, მსახურნი, მეკარენიც კი სხვაგვარად მიესალმნენ. ამიდთან შეხვედრაც არ მოეწონა, გამოცვლილი ეჩვენა, ცივად, ზომაზე მეტად საქმიანად შეეგება მდივანმწიგნობარი, საზარელმა ამბავმა ხომ სულ მთლად აუმღვრია გონება, ესეც არ აკმარეს, ბიძამისის ნერსეს სამხილიც წინ დაუდეს, თან კეთილის მსურველივით უჩურჩულეს: დავალებული გვაქვს ამის თაობაზე ხალიფას წერილი მივართვათო. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ხალიფასაო?! — შესძახა თავზარდაცემულმა, დაავლო სამხილს ხელი. გულდაგულ, სულმოუთქმელად ჩაიკითხა ჭილზე ნაწერი — ერისთავების მსახური მენელსაცხებლე მუსლიმი გაქრისტიანებულიყო და ამას ნერსე ერისთავს აბრალებდნენ.

ბრალდების შურტათმთავარი, დივან აშ-შურტას გამგებელი აწერდა ხელს. „დაიღუპა“, — ზარივით დარეკა გონებაში, შიშმა შეიპყრო, ქურდივით მიიხედ-მოიხედა ირგვლივ უნებურად და შერცხვა თავისი თავის...

მენელსაცხებლე აბო შურტებს ენახათ სიონში ლოცვის ჟამს. „შურტებს სიონში, — კვლავ დარეკა შიშის ზარმა, — მაშ, ლოცვის დროსაც შურტები გვითვალთვალებენ, აღსარებას ღმერთსაც ვერ ეტყვი...“

სამხილს ატრიალებდა ხელში გონებაამღვრეული და რა ეთქვა, რა ეღონა არ იცოდა, უაზროდ ჩახედა რამდენიმეჯერ, გადაატრიალა, გადმოატრიალა, „აბო“, — ჩაიბუტბუტა თავისთვის, შემდეგ კვლავ ჩააშტერდა ნაწერს, არაბული ჰაე და ბანი ამიდსაც უჩვენა თითით, — თვალი ხომ არ მატყუებსო. ჰაბო წერიაო. დაუდასტურა ამიდმაც. დაჯერება არ უნდოდა, იღუპებოდა მარტო აბო კი არა, ბიძამისი ნერსეც, რაც მთავარია, წყალი მასაც შეუდგებოდა და მთელ მის საგვარეულოსაც. ხელში თითქოს ნაწერი კი არა, ნაკვერცხალი ეყარა და უდაგავდა. მაჰმადიანი, ტომით არაბი ჰაბო უარს ამბობდა თავისი

ხალხის უძლეველ ღმერთზე და დაპყრობილ-დამონებული ქართველებ-ბის ღმერთს მიელტვოდა, განა ეს საოცრებას არ ჰგავდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალიფო გადაჭიმული იყო თითქმის მთელს დედამიწაზე, ასად მსგავსი რამ არავის გაეგონა და რაღა მაინცდამაინც მის პატარა სამთავროში უნდა დატრიალებულიყო სასწაული?..

„ეს არ არის მართალი, ცილისწამებაა!“ — შესძახა სტეფანოზმა და წამოდგა.

ამიდიც წამოდგა და ერისმთავარს ხელმოწერა მოთხოვა.

— წესს ნუ დავარღვევთ, გთხოვთ! — უთხრა ამიდმა თვალების პარპალით და სამხილი ხელში შეაჩეჩა. — აღნიშნეთ, რომ გაეცანით... სტფ...

— ხელი მოვაწერო? — გაიკვირვა სტეფანოზმა.

— დიახ, სტფ... — გაუღიმა ამიდმა.

„სტფ“ მისი სახელის არაბული დაწერილობა იყო, ასე აწერდა ხელს სტეფანოზი, ამიდის ასეთი გაშინაურებაც შიშის მომგვრელი ეჩვენა, მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომც აქ არაფერიაო, ხელი მოაწერა და ერთხელაც შეხედა მოხელეს გამომცდელად.

ამიდი ქართლის ერისმთავარს ამგვარ კადნიერ საქციელს ვერ გაუბედავდა. სტეფანოზი თვით ხალიფა მაჰდის გამოგზავნილი გახლდათ ქართლში. საამიროს უბრალო მოხელე თავისთავს ამდენის უფლებას ვერ მისცემდა, თუ ამირასაგან არ ექნებოდა ნებართვა.

— ეს ყველაფერი იცის ამირამ? — იკითხა შეშინებულმა.

— დიახ, იცის, — მიუგო ამიდმა.

— თვითონ უნდა ვნახო. — თქვა სტეფანოზმა.

— არ სცალია. — უთხრა ცივად მოხელემ.

— არ სცალია? — გაოცდა სტეფანოზი, „არ სცალია კიდეც?“ — ჩაიდუდუნა თავისთვის, გატრიალდა და დაბნეული, არეულ-დარეული გამოვარდა სასახლიდან.

სასახლიდან რომ გამოვიდა, საეჭვოდ ადევნებული პირიც გამოჰყვა. სტეფანოზს შემასმენელი და ჯაშუში ვერც გააკვირვებდა და ვერც შეაკრთობდა. მთელ საამიროში თანამდებობის ყოველ პირს თითო შურტა ჰყავდა მიჩენილი. თავის შურტას პირადადაც კი იცნობდა. მას აოცებდა ასეთი უეცარი ცვლილება ამირას სასახლისა და კარისკაცებისა, თითქოს ყველამ ყველაფერი იცოდა, თითქოს დანაშაული ჩაედინა ერისთავთ-ერისთავს ხალიფას წინაშე, ვიღაც აბოს გაქრისტიანება ასე უცებ, ასე ერთბაშად ვერ შეძრავდა სასახლეს. ნერსესი

ეშინიათ, ძველი შიში ჯერაც ვერ განელებიათო, გაიფიქრა სტეფა-
ნოზმა.

სასახლიდან გამოსულს უცხო პირი რომ აედევნა, ალბათ ეჭვ-
ტას შურტაოო დაასკვნა, სწრაფად ჩაჯდა ეტლში, რამდენიმე ბინა
სანი მხლებელი გაიყოლა და ბიძამისის სასახლისაკენ გასწია.

„ამირას არ სცალიაო“, — ბუზღუნებდა გუნებაში, რა იმალებოდა
ამ სიტყვებს უკან? შესულიყო ამირასთან და პასუხი მოეთხოვა ქარ-
თლის ერისმთავრის აბუჩად აგდებისათვის? წრიალებდა, ბობოქრობ-
და, მრისხანებდა ერისთავთ-ერისთავი, მაგრამ არ ამჟღავნებდა, თავ-
შეკავებას არჩევდა, ჯერ უნდა გაეგო რა შეემთხვა ბიძამისს, მართლა
უარჰყო სჯული მისმა მსახურმა, თუ ენამოწამლულმა პირფერებმა
ცილი დასწამეს. ეგებ მოუსვენარი ბიძა ახალ ხაფანგს უგებდა
მტრებს, შეთქმულებას ამზადებდა და აბოს გაქრისტიანებით წყალს
ამღვრევდა. ნერსეს პოლიტიკური ხრიკები შიშის ზარს სცემდა ამირას
სასახლეს, ბაღდადიც კი ძრწოლით ელოდა ნერსეს ქვეყნიდან მო-
სულ ახალ ამბებს.

მართალია, ხალიფა მანსურთან შეჯახების შემდეგ ნერსეს პოლი-
ტიკური ძალაუფლება ქართლში არ ჰქონია, მტკვრის პირას, თავის
სასახლეში იჯდა და ქალაქშიც კი იშვიათად გამოდიოდა, მაგრამ მთე-
ლი საამიროს და სახალიფოს ყურადღება რატომღაც ამ პატარა სასახ-
ლისაკენ იყო მიპყრობილი. იქ ნერსე ერისთავი იჯდა და რა ჰქონდა
გუნებაში, კაცი ვერ გაიგებდა. სულ იბრძოდა, ზედამდგომელთა აზ-
რით, სულ შეთქმულებას აწყობდა. სტეფანოზს რაც თავი ახსოვს,
მისი დედაწული მუდამ შიშის ქვეშ ცხოვრობდა, დიდი ბიძის შეპყ-
რობას და დილეგში ჩაგდებას, თვალის დათხრას, ბაღდადში გაწვევას,
იქ თავის მოკვეთას ბალღობიდანვე მოელოდა. ბოლოს და ბოლოს ეს
დღეც დადგა: ნერსემ სამი წელიწადი დაჰყო ბაღდადის დილეგებში,
ჯოჯოხეთურ წამებას გაუძლო, არც სჯული უარყო, არც შეთქმულების
მონაწილენი გასცა და გადარჩა კიდეც ალალბედზე. ამბობენ, ხალიფა
მანსური ნერსესთან ჭიდილს გადაჰყვა. გული გაუსკდა და მოკვდაო.
ახალმა ხალიფამ, მაჰდიმ, საჭიროდ არ სცნო ნერსე ერისთავის სიკვდი-
ლით დასჯა. ჭკუა იხმარა და ქართლოსიანთა გული მოინა-
დირა.

ნერსე ერისთავი სამშობლოში გამოუშვა. ამით ქართველებს უთხ-
რა, ახალი ხალიფა მოწყალე და დიდბუნებოვანი გყავთო. ნერსეს სი-
ცოცხლე შეუნარჩუნა, მაგრამ ამირას გადასცა მთელი ძალაუფლება,
თითქმის საბოლოოდ გააუქმა ქართლის სამთავრო. ერისთავები მაინც

ქმაყოფილი დარჩნენ, რაკი წიოკობას, ცეცხლსა და მახვილს გადაურ-
ჩა ქართლი, ნერსეც ცოცხალი დაუბრუნდათ, ძალაუფლებას ალთავინ
დაეძებდა. ხალიფა მაჰდის მშვიდობიანი მოსპობის პოლ[illegible]
ნერსე აღუდგა წინ, საქრისტიანოში ფეხი რომ დაადგ[illegible]
თქმულებისათვის მზადებას შეუდგა. ამჯერად ნერსე ჯუანშერ ერის-
თავმა დაასმინა. ჯუანშერი ნერსეს მამას ადარნასე კუროპალატს
მტრობდა, სარკინოზებთან ბრძოლაში ნერსეს წარმატებაც არ მოსწონ-
და და ამირას ჩააგონა, კუროპალატებს — ადარნასესა და მის შვილს
თვალი იონთა ქვეყნისკენ უჭირავთო, ბერძნები კუროპალატობას
ტყუილ-უბრალოდ არავის აძლევენო. ამირამ ნერსეს შურტები მიუსია
და შეპყრობა მოუნდომა. ნერსე ხაზარეთს გაიქცა და ახლა იქიდან
ხაზართა ჯარით დაემუქრა არაბებს. ხალიფამ ნერსესთან საბრძოლვე-
ლად კვლავ მშვიდობიანი გზა აირჩია და ერისმთავრობა ნერსეს დის-
წულს, ახალგაზრდა სტეფანოზს უბოძა.

სტეფანოზმა მუცელზე ხოხვით, ლიქნითა და ასპირობით, წელში
წყდომითა და ნემსის ყუნწში ძრომით შეარიგა დიდგული ბიძა და ზე-
დამდგომელნი, ქართლში ბოლოსა და ბოლოს მშვიდობა და წესრიგი
დაამყარა: ხარაჯისა და ჯიზიას გადახდა დროზე შეძლო, შეთქმული
ქართველობა ვინ ძალით ვინ ნებით დააშოშმინა, ხალიფას ერთგული
მსახურის სახელი დაიგდო მთელ სამაჰმადიანოში და ამ დროს აბოს
გაქრისტიანება ზურგში ლახვარის ჩაცემას უდრიდა. ნუთუ მართლა
ღვიძლი ბიძა არ ინდობდა დისწულს და კვლავ უგნურ შფოთს ტეხ-
და? ნუთუ კვლავ შურტების ხელში უნდა ჩავარდნილიყო ერისთავთა
დიდი სახლეული?.. მართალია, სტეფანოზს ერისმთავრობა სწორედ ნერ-
სეს ურჩობის შედეგად უწყალობეს, მაგრამ კოკა ყოველთვის წყალს
ვერ მოიტანდა. ხალიფა მაჰდი არ აპატიებდა ერისთავებს გაუთავე-
ბელ ორგულობას, ცოდვა-ბრალს დაატრიალებდა ქართლის მიწაზე.
დედაბუდიანად გადაწვავდა, გადაბუგავდა მთელ საქართველოს. სტე-
ფანოზმა იცოდა, ბიძამისს გულში ავი ზრახვა რომ ედო, მაგრამ რაკი
ახალმა ხალიფამ მათ საგვარეულოს ერისთავთ-ერისთავობის ხელი არ
წაართვა, რაკი ძველი ცოდვები ყველას აპატია, მორჩილება მართებ-
დათ.

საგონებელში ჩავარდნილ სტეფანოზს ეტლი მტკვარს გაღმა მიაჭ-
როლებდა. ნერსეს სასახლე მტკვარს გაღმა ედგა. როცა ცხენებმა ეტ-
ლი ხიდზე შეაგდეს და ახლადდაჭედილი ნალებით ხიდს ბრაგუნ-ბრა-
გუნი აუტეხეს, სტეფანოზი მაშინღა გამოერკვა, მაშინღა გახედა ქა-
ლაქს, ხიდის მოაჯირს თვალი გააყოლა და ხიდის თავში მდგარი ძელი

ჯვარისა ვერ იპოვა, გაუკვირდა, მეეტლეს ცხენების სრბოლა შეანელებინა და ჯვარს თვალით დაუწყო ძებნა.

ხიდის თავში კაცის სიმაღლე ხის ჯვარი იდგა. უცხო, მგზავრი თბილისი-ქალაქის ჭიშკარში რომ შემოვიდოდა, ჯვარი ამცნობდა ქრისტიანთა ქალაქში ჩამოსვლას. ეს ჯვარი ალარსად იყო.

სტეფანოზმა ეტლის შეჩერება ბრძანა. მეეტლემ სადავეები მოზიდა და კისერმოგრეხილი ცხენები ხიდის ყურთან შეაყენა. მხლებლებმაც მოაგდეს ოთხახმით მომავალი ცხენები, თვალისდახამხამებაში ჩამოქვეითდნენ და ბრძანებას დაელოდნენ. სტეფანოზი ეტლში იჯდა და მიწაზე გართხმულ ჯვარს შეშფოთებით გასცქეროდა. ძელი მოეთხარათ, იქვე დაეგდოთ და ზედ ლაფი დაესხათ. წმიდა ჯვრის ასეთი შებილწვა ავის მომასწავებელი იყო. ჯვარსა და საყდარს სარკინოზები თითქოს არ ერჩოდნენ, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელით" არაბები ქართველთა სალოცავებს არ ხელყოფდნენ. ვინც ხარაჯასა და ჯიზიას მორჩილად გადაიხდიდა, მას ნება ჰქონდა თავისი ღმერთი ჰყოლოდა და თავის სალოცავში ელოცა, ასეთი იყო შეპირება, მაგრამ ეს შეპირება არ სრულდებოდა. ერთი საუკუნის წინ დაედგათ აქ ძელიცხოველი ქართველ ქრისტიანებს. „არც ჰაბიბ იბნ მასლამას, არც ჯარაჰს, არც სხვა რომელიმე „მახვილს ალაჰისას" თბილისის დაპყრობის ჟამს ჯვარისთვის ხელი არ უხლიათ. — ფიქრობდა სტეფანოზი, — ახლა, როცა მშვიდობიანად ვცხოვრობთ, როცა მტრებისაგან ხალიფა გვიცავს, არამზადები წყალს ამღვრევენ"...

სტეფანოზმა მეეტლეს და მხლებლებს ანიშნა, წავიდეთო.

ეტლი ნელა გადავიდა ხიდზე. მტკვრის სანაპიროს ჩაუყვა ნერსეს სასახლისაკენ.

სტეფანოზი ახლა ჯვარზე ფიქრობდა, ჯვრის გადაჯეგვას, აბოს გაქრისტიანებას, ამირას სასახლეში ცივად მიღებას ვიღაცას და რაღაცას აბრალებდა დაეჭვებული, საერთოს ეძებდა მოვლენათა შორის. გული წყდებოდა, ჯვარს რომ ჩუმად ჩაუარა, აღდგენა არ უბრძანა მხლებლებს. უკან შურტები მოსდევდნენ. ყოველ ჩემს ნაბიჯს აკვირდებიანო, ფიქრობდა და გაჩუმება ამჯობინა, თორემ როგორც ერისმთავარს, როგორც ქვეყნის პატრონს, ევალებოდა თუ თვითონ არ დაეყენებდა ფეხზე ჯვარს, კათალიკოსისათვის მაინც ეცნობებინა ეს ამბავი.

ნერსეს სასახლე მტკვარს გადაჰყურებდა. უფრო ციხე-სიმაგრეს ჰგავდა, ვიდრე სასახლეს. ქართველ ერისმთავრებს საუფლისწულო

მამულებიც და სასახლეც მტკვარს გალმა ჰქონდათ. სამეფო სასახლე კი მტკვარს გამოღმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდმა ვახტანგმა და მისმა შვილმა დაჩი უჯარმელმა ააგეს ტფილის-ქალაქში ფარნავაზიან-ბაგრატიონთა საბრძანებელი. მტკვრის გალმა-გამოღმა აიგეს სასახლეები. შემოზღუდეს ქალაქი. სატახტოს ტფილისში დაუდეს ფუძე.

როცა ხალიფამ ქართლის ერისმთავრად სტეფანოზი გამოგზავნა, ხაზარეთიდან დაბრუნებულმა ნერსემ სამეფო სასახლეში დაბრუნება არ ისურვა, აქ გადმობარგდა საუფლისწულო მამულში, მარტოკა ყოფნა არჩია.

ტფილისში სამი სასახლე იდგა გალავანშემოზღუდული.

კალას უბანში, მთის ფერდობზე წამოჭიმული ამირას სასახლე, სიონის უბანში ერისმთავართა საგვარეულო დარბაზები და მტკვრის პირას ნერსე ერისთავის საყოფელი. ამ სამ სახლში წყდებოდა ქვეყნისა და ხალხის ბედი. სიკეთეცა და სიავეც ამ სახლებიდან გამოდიოდა.

ნერსეს უბანში ერისმთავართა ღერბიანი ეტლი გამოჩნდა. კარისკაცებმა ბჭისკარი ფართოდ გახსნეს და ქართლის ერისთავთ-ერისთავს მოწიწებით შეეგებნენ. აქ მხოლოდ სტეფანოზს ხვდებოდნენ ასეთი პატივით. ნერსეს თქმით, სტეფანოზი დედით იყო ქართველ მეფეთა შთამომავალი, მაგრამ რაკი ხალიფამ მას ერისმთავრობა უბოძა, რაკი სახელგანთქმულ ქართველ ფარნავაზიანთა სისხლი მის ძარღვებშიც ჩქეფდა, ხალხი მას როგორც ნამდვილ მეფეს, იმედითა და კრძალვით შესცქეროდა. რაც მთავარია, ნერსეც დისწულს აკისრებდა დაქცეული საქართველოს ძველი დიდების აღდგენას.

ნერსემ ერისმთავარი დარბაზში შეიპატიჟა სათათბიროდ.

ძველი დრო რომ ყოფილიყო, ქართლის ერისთავი — ნერსე, ყოველი საქართველოს მეფეს — სტეფანოზს სწორედ დარბაზში სეფეწულთა თანდასწრებით გაუმართავდა ბჭობას. ნერსეს კარგა ხანია დაეწყნოდა ბიძა-დისწულობა, სტეფანოზთან ყოველი შეხვედრა პაექრობად ქცეოდა, საპაექრო საგანი კი მუდამჟამ საქართველოს ბედი იყო.

საქართველოს ბედზე საუბარსა და კამათს უნდა დასწრებოდნენ სეფეწულნი, ასე იყო ოდითგანვე და ასე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ სადღა იყვნენ სეფეწულები! სადღა იყო საქართველოს მეფის კარი, თვით საქართველოც სადღა იყო!..

და მაინც არ ტყდებოდა ჯიში, არ იხრიდა ქედს ზედამდგომელ-

თა წინაშე და ფარნავაზიანთა კუდი და რიკი კუდს იმათებურად იქნე-
ვდა. ამიტომ მიიწვია ნერსემ სტეფანოზი დარბაზში სათათბიროდ, ვი-
თომ ბიძა-დისწული კი არა, ერთმანეთს უნდა შეხვედროდა, ალბათ, ალ-
ლეთისა და დასავლეთის ორი დიდი მეუფე და ქვეყნიერების ბედი
გადაეწყვიტა. მოულოდნელი რამ მოხდა: სტეფანოზმა ბიძამისს ჩურ-
ჩული დაუწყო.

ნერსეს თავზარი დაეცა. თავისი ბრწყინვალე დისწულის სტუმრო-
ბით გამოწვეული სიხარული ერთ წამში გაუქრა, თანდათან ელდა და
ზარი მრისხანებამ შეუცვალა, არ გაუგონია რა უთხრა დისწულმა,
გაცეცხლებული თვალები მოარიდა და თავისთვის ჩაიდუდუნა უკმა-
ყოფილოდ.

— ნუთუ ქვეყანა ისე დაიქცა, წელში მოხრილ, დერეფანში მო-
ჩურჩულე ერისთავთ-ერისთავს ვხედავ ჩემს სახლში!

გატრიალდა და წავიდა. სტეფანოზი უკან გამოუდგა. ბიძა შეაჩე-
რა და თითქოს განგებ, კვლავ უჩურჩულა:

— დაიქცა სწორედ, უფალო!

ნერსემ დისწულს მოხედა, ასე რამ გატეხა ვაჟკაცი, ალბათ მართ-
ლაც საშინელი ამბავი უნდა მაუწყოსო, იფიქრა, სასახლის გრძელი
დერეფანი უბრად გაიარა და სტუმარი აივანზე გაიყვანა. ნერსეს სა-
სახლის უკანა აივანი ზედ მტკვარზე ეკიდა. ამ აივანზე მაშინ გამოდი-
ოდა, როცა პირადი თათბირი ჰქონდა — საქვეყნო საქმე დარბაზში
ირჩეოდა.

მსახურები და მხლებლები დაითხოვეს, საკარცხულებში ჩასხდნენ
პირგამეხებულნი, დაეჭვებულებმა დაუწყეს ცქერა ერთმანეთს.

— მიბრძანეთ, ვინ არის ეს აბო? — დაიწყო სტეფანოზმა პირ-
დაპირ.

— ჩვენი აბო? მენელსაცხებლე?.. უნდა იცოდე, ჭაბუკო!..

— მაჰმადიანია თუ ქრისტიანი?

— მაჰმადიანი...

— ქრისტიანობა მიუღია, — თქვა სტეფანოზმა, წამოდგა და მტკვარს
გახედა.

— ქრისტიანობა? — ჩაფიქრდა ნერსე, — შეიძლება... — ჩაიდუ-
დუნა ბოლოს.

— როგორ თუ შეიძლება! — ძალის ნაკბენივით მოტრიალდა სტე-
ფანოზი.

— რაღაცნაირი ღვთისნიერი ყმაწვილია. ბაღდადიდან გამომსდია,
ხომ გახსოვს?

— „ღვთისნიერი“, — დაცინვით წარმოთქვა სტეფანოზმა, — თქვენ გდებენ ბრალს! ამიდი მელაპარაკა ამირას სახელით — ბოდიალს აგზავნიან წერილს. შეპყრობას გიპირებენ! — თქვა სტეფანოზმა და ბოლოთის ცემას მოჰყვა აივანზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაშინებენ, — უთხრა დუმილის შემდეგ ნერსემ.

— სად არის ის აბო?! — მოჭრა უცებ სტეფანოზმა. — ახლავე უბრძანეთ, რომ თავის სჯულზე მიიქცეს!

ნერსემ ზარი დარეკა და მსახურს აბო ახმობინა. სტეფანოზმა ბიძას წვრილად უამბო, რაც გადახდა ამირას სასახლეში ამ დილით. ნერსეს წარბიც არ შეტოკებია. აფორიაქებული დისწული დაამშვიდა:

— არაფერია, ასე იციან ზედამდგომელთ... დაშინება უნდათ ჩვენი, მუდმივი შიშის ქვეშ თუ ვეყოლებით, უფრო თავისუფლად იპარპაშებენ.

ნერსეს აივანს აივანი ეთქმოდა, თორემ ზედ ცხენი გაჭენდებოდა, სასახლეს მთელ სიგრძეზე ეკრა ხის მოჩუქურთმებული ბირკულებით დამშვენებული აივანი, აივნის ერთ კუთხეში საკარცხულში ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა ნერსე, კაკილას დინჯად მარცვლავდა, ხან დისწულს, ხანაც აივნიდან მტკვარსა და თბილისის რაბათს * გადასცქეროდა, დამარწმუნებლად მსჯელობდა.

სტეფანოზს კი სიმშვიდე დაეკარგა. ვერ ისვენებდა, თითქოს ტანში ცხვანტი უზისო, ხან დაჯდებოდა, ხან ადგებოდა, ხან ბოლთას სცემდა. როცა ნერსე დაუფარავად მოჰყვა აგარიანთა ლანძღვას, შეაჩერა და ბიძას კუშტად უთხრა:

— მაშ, კვლავ ქვეყნის დაქცევა გიდევთ გუნებაში!.. ნაცარტუტად აქცევენ აქაურობას, იცოდეთ! ცეცხლში დაწვავენ მთელ საქართველოს!

— კარგი, კარგი, ვიცით ეგ ყველაფერი! — უთხრა მკაცრად ნერსემ, — ჩემგან რა უნდათ, ის მიბრძანე.

— გითხარით მე თქვენ უკვე, უფალო, შეპყრობა უნდათ... თავის მოკვეთა!

— აჰ! — ჩაიცინა ნერსემ, — ჩემმა მსახურმა ქრისტიანობა მიიღო, მე რას მემართლებიან?

— ნერსემ შთააგონაო, ასე ამბობენ.

---

* გარეუბანი.

— სიცრუეა! ამაში ახლავე დარწმუნდები. — შემოიყვანეთ! — გასძახა მსახურებს ნერსემ.

აბო შემოიყვანეს. ის იყო თვრამეტ-ცხრამეტი წლის ჭაბუკი, კარგად-თული კაბა ეცვა და შავი ნაბდის ქუდი ეხურა, ქართველს მაინც არ ჰგავდა, არაბიაო ვერც იმას იტყოდით.

ეს ყმაწვილი სტეფანოზს ადრეც ენახა. როცა ნერსე ბაღდადიდან დაბრუნდა, თან ახლდა, მაშინ ყურადღება არ მიუქცევია. როცა ხაზარეთს გაიქცა, თანმხლებ ერისთავთა შორის კვლავ ამ ბიჭს მოჰკრა თვალი, ამჯერად იკითხა ჭაბუკის ვინაობა, ბაღდადიდან ჩამოჰყვა ნერსეს, კარგი მენელსაცხებლეაო, უთხრეს. ეს იყო და ეს. შემდეგ სტეფანოზმა ქალებისაგან გაიგონა აბოს სასწაულმოქმედი საცხებლის ამბავი. თანდათან აბოს საცხებელმა ერისთავების ორივე სასახლე დაიპყრო. სასახლეთა აბანოებში უამსაცხებლოდ არავინ შედიოდა. რაკი სურნელოვანი, მაახალგაზრდავებელი ზეთი ერისთავთა ბანოვანებმა მოიწონეს, თბილისში ყველამ მოისურვა მისი წაცხება. საქმე იქამდეც მივიდა, ჯადოიან ბალზამს ამირასაც კი უგზავნიდნენ.

სტეფანოზის წინ იდგა ყმაწვილი, ვინც თავგადასავლითა და შინაარსით უკვე ყურადღებას იპყრობდა. თითქოს მოეწონა კიდეც; აბო აივანზე რომ გამოჩნდა, ყურებამდე გაწითლდა ბავშვივით, შემდეგ ფეხებში ჩაუვარდა თავის პატრონს და პატიება ითხოვა.

— კმარა, მონავ, საქმე გვაქვს შენთან. — უთხრა ნერსემ.

აბო წამოდგა, თითქოს ხვდებოდა რისთვისაც დაიბარეს, დამნაშავესავით იდგა თავჩაქინდრული.

— დაჯექი,—უთხრა არაბულად სტეფანოზმა გულითადობისათვის.

— უფლება არა მაქვს, ღმერთი მიყურებს მაღლიდან, — მიუგო აბომ, ნამდვილი ქრისტიანივით თვალები ცაში აღაპყრო და პირჯვარი გადაისახა წესის სრული დაცვით „სახელითა მამისათა“... შუბლზე მიიდო სამი თითი, „და ძისათა“ გულის ფიცარზე დაიბეჭდა. „და სულისა წმინდისათა“... მარჯვენა მხარს შეახო თითები. — „ამინ“! — დაუდასტურა მარცხენა მხარმა.

ერისმთავარს თავზარი დაეცა. გაფითრებულმა შეხედა ბიძას. კარგად იცოდა, რომ მსახური მათ გვერდით დაჯდომას ვერ გაბედავდა— შორიდან აპირებდა მოვლას: ჯერ უნდა გამოერკვია, ვინ იყო ეს ყმაწვილი, გაზრდილობა და ყოფა-ქცევა შეემოწმებინა, უნდა დაკვირვებოდა მორჩილი ბუნებისა თუ იყო, ერთგულება და თავგანწირვა თუ შეეძლო პატრონისათვის, მთავარს ბოლოს ჰკითხავდა. ამიტომ შესთავაზა, ჩვენთან დაჯექიო. აბომ უცებ რამდენიმე სიტყვით და, რაც მთა-

ვარია, პირჯვარის გადასახვით ყველა მოსალოდნელ შეკითხვას წინასწარ უპასუხა: ვერც გაზრდილობას დაუწუნებდით, უსაზღვროდ ერთგული და მორჩილიც ჩანდა თავის პატრონისა. ეს მორჩილება და უფროს-უმცროსობა ღვთის მიერ არისო დაკანონებული, — ერისმთავარს უთხრა და, რაც მთავარია, უკითხავად აღიარა, რომ ქრისტიანი იყო და არა მაჰმადიანი.

— თვალის ჩინს ხომ უჯერებთ, უფალო! — ნიშნის მოგებით უთხრა სტეფანოზმა ნერსეს.

ნერსე დამუნჯებული იჯდა. მშვიდად, წარბშეუხრელად შესცქეროდა თავმოდრეკილ მუსლიმანს, პირჯვარს რომ იწერდა. ბოლოს კაკილას ქნევით წამოდგა, მივიდა აბოსთან და ხმადაბლა, თითქოს პასუხისა ეშინიაო, ჰკითხა:

— აბო, შენ ხომ არაბი ხარ, ნამდვილი მუსლიმი, პირჯვარი რად გადაისახე? — ნერსეს არ ეგონა, თუ აბო ერისმთავარს არ მოერიდებოდა და პირში მიახლიდა ქრისტიანი ვარო.

— რათა ვიქმნე თანანერგ და თანაზიარ სიკუდილისა და აღდგომისა ქრისტეს, ღუთისა ჩუენისა, — მიუგო აბომ წიგნის ენაზე.

ნერსემ ჩაიცინა. სტეფანოზი ცოცხალ-მკვდარი იდგა. დანა პირს არ უხსნიდა.

— ნათელ იღე? — ჰკითხა სტეფანოზმა ხმადაბლა.

— მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა; და ერთი უფალი იესო ქრისტე...

მხურვალედ შეჰღაღადა აბომ ზეცას.

— როდის მოხდა ეს? — შეაჩერა სტეფანოზმა მლოცველი.

— ხაზარეთში, წმინდა სამების ეკლესიაში...

— აქამდე რატომ არ მითხარი, — ჩაიდუდუნა ნერსემ დაბნეულად, უჭირდა სიცრუის თქმა.

— სიყვარულმა არ მათქმევინა, ღვთის სწორო, — გმინვასავით აღმოხდა ყრმას და თვალები სიკეთით აევსო, ბოლოს და ბოლოს მიუხვდა პატრონს მონა: ნერსეს არ უნდოდა ამ ამბის გამჟღავნება.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა აივანზე. ნერსე გატრიალდა, ჩაჯდა თავის საკარცხულში და კვლავ შეუდგა კაკილას თამაშს. სტეფანოზიც ფიქრმა წაიღო. აბოსთან შეხვედრა სხვანაირად წარმოედგინა. რას იფიქრებდა თუ ატაცებულ ქრისტიანს გადაეყრებოდა. ყმაწვილი არაფერს მალავდა, პირიქით, მოსწონდა კიდეც, ამაყობდა კიდეც რომ ქრისტიანი იყო და წერილის ენა იცოდა.

— თუ იცი, ამისათვის რა მოგელის? — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ჰკითხა სტეფანოზმა.

— უკეთუ მოვკუდეთ ქრისტესთანა, გურწამს, რამეთუ, მისთანაცა ვჰსცხონდეთ, — მიუგო აბომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სულ შეუსწავლია ქართული წიგნები, ნეტა მოძღვარი ვინ არის“, — გაუელვა თავში სტეფანოზს, კი იცოდა ვინც იყო, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— მოძღვარი ვინ არის?

— მოძღვარი? — დაფიქრდა მოყმე, — მოძღვარი საქართველოა! — თვალანთებულმა მიუგო ისე, როგორც წეღან — მრწამს ერთი ღმერთიო, ლოცულობდა.

„ნერსეა მოძღვარი, განა არ ვიცი, რომ ნერსეა, ხმითაც კი პატრონს ბაძავს, — გაიფიქრა სტეფანოზმა, — ასე უსინდისოდ რატომ თვალთმაქცობენ, რატომ მატყუებენ?!“

— როგორ თუ საქართველო! რა საქართველო!.. — შესძახა განრისხებულმა. აბოს კი არა, ნერსეს ეკითხებოდა, მიუბრუნდა კიდეც მას, პასუხს მისგან მოითხოვდა.

ნერსე ვითომ ვერ მიუხვდა დისწულს, ხმაგაკმენდილი იჯდა. მოპაექრეთ გაფანჩვულ წარბებს ქვემოდან გეზად გამოხედა.

— თქვენ მკითხეთ მოძღვარი ვინ არისო, ერისთავთ-ერისთავო, — მიუგო აბომ სტეფანოზს, — მოძღვარი საქართველოა. საქართველო ღვთის მშობლის წილხვდომილი ქვეყანაა, აქ, ქართლის გულში, უფლისა ჩვენის კვართი მარხია, აქ წმინდა ნინო თვითონ ნეტარმა დედამ გამოგზავნა. სხვა მოძღვარი მე არ მყოლია.

— მოიცა, აბო, — კვლავ წამოდგა ნერსე და დაჩოქილს თავზე დაადგა, — მაშ, შენ უკვე ქრისტიანი ხარ და სალოცავად დადიხარ ჩვენს ეკლესიაში?.. — ახლა ნერსემ ჰკითხა არაბულად.

აბომ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად.

— და ეს იციან უბანში?

აბომ ისევ დაუქნია თავი და საწყალობელი თვალებით ახედა პატრონს, დამნაშავესავით.

ბიძა-დისწული საგონებელში ჩავარდნენ. აბო თავდახრილი იდგა და ელოდა მათ ბრძანებას.

— თავის სჯულზე უნდა მიიქცეს, დღესვე, თორემ მერე გვიან იქნება! — უთხრა სტეფანოზმა ნერსეს, — ამირას უნდა დავუმტკიცოთ, რომ ეს შემთხვევით მოხდა, შეცდა ჭაბუკი!

ნერსემ არ უპასუხა. თავი ჩაკიდა. აბოც არ შერხეულა, თითქოს არც გაუგონია, რა თქვა ერისმთავარმა.

— ბავშვია, არ ესმის რას აკეთებს, გვღუპავს ჩვენც, მთელ ქვეყანას... რას გაჩუმებულხართ, თქვით სათქმელი! — თითქოს უბრძანა ბიძას სტეფანოზმა.

— ჯერ აბომ გვითხრას, — ჩაიდუდუნა ნერსემ.

— ეგებ ვინმემ შეაცდინა, — ბიძამისს მიაჩერდა სტეფანოზი, აბოს გასაგონად ამბობდა, — ეგებ ვინმე დგას მის უკან, ეგებ უჭირს რამე, არა აქვს საჭმელ-სასმელი, სამოსელი, თავშესაფარი, სხვათა ღმერთს ამიტომ დაეძებს?..

— აბო, — ახლა აბოს მიუბრუნდა, — შენი ბედი უკვე შენს ხელთ არ არის, ქვეყნის კანონი ხომ იცი: ქრისტიანი თუ მაჰმადის სჯულზე მიიქცევა, მას ჯიზიას უხსნიან, როგორც ნამდვილ მუსლიმს პატივით ხვდებიან და ხალიფას მეომრებში წერენ, მაგრამ თუ მაჰმადიანმა უარჰყო თავისი ღმერთი, ერთადერთი სასჯელია — სიკვდილი. გინდა სიკვდილი?

— მესიამ სიკვდილი სიკვდილით დათრგუნა! — შესძახა აღტაცებით ჭაბუკმა, თვალები სიხარულით აენთო კვლავინდებურად. თითქოს გამოსავალი იპოვაო, კმაყოფილმა პირჯვარი გადაისახა და თავი ჩაღუნა. კვლავ ჭეშმარიტ ღვთის მონას დაემგვანა.

— აბო, ამცნე ერისმთავარს თუ რამე გსურს. ეგებ რამეს მოითხოვ ჩვენგან, — უთხრა არაბულად ნერსემ.

— არაფერს, უფალო! მაშინ ის ღმერთი გამიწყრეს, თუ ვინმესგან რამეს მოვითხოვდე, — მხოლოდ ახლა მიუგო არაბულად აბომ ერისთავებს.

— მაშინ ჭკვა დაგიკარგავს! — უთხრა სტეფანოზმა ქართულად.

— არა, ერისთავთ-ერისთავო, ჭკვა არ დამიკარგავს, — სულ მთლად იატაკზე დადო თავი აბომ, — აუგი ჩემზე არ იფიქროთ...

— მაშ, მოსყიდული ხარ? — კვლავ ფიცხად უთხრა სტეფანოზმა, — მოგისყიდეს ხაზარებმა! მაგათ უნდათ ჩვენი დაქცევა!

აბომ კვლავ აღაპყრო თვალები ცისკენ და ლოცვას მოჰყვა: უფალო ყოვლისმპყრობელო, მომიტევენ ჩვენ ყოველნი შეცოდებანი ჩვენნი, საქმითნი, სიტყვითნი და გონებითნი, ცნობითნი და უმეცრებითნი...

— აბო, ჩვენ აქ სალოცავად კი არ დაგიძახეთ, — ბეჭზე ხელი მოუთათუნა ნერსემ, — ადექ და წვრილად გვიამბე, რაც შეგემთხვა.

აბო წამოდგა, მაგრამ მაინც არ დამჯდარა, შორი-ახლოს დადგა.

— დაუფარავად გვიამბე ყველაფერი, ვიცი, რომ გულწრფელი ყმაწვილი ხარ, — უთხრა მამაშვილურად ნერსემ, — ერისმთავარს შენთვის სიკეთე უნდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბო თავჩაქინდრული იდგა და არც ავს ამბობდა და არც კარგს, თითქოს არ ესმოდა თავისი პატრონისა, ხან იატაკს ჩასცქეროდა დაჟინებით, ხან ჭერს მიაპყრობდა თვალს და თავისთვის ჩუმად ბუტბუტებდა ლოცვებს.

— ამოიღე ხმა, თუ რამე გაქვს სათქმელი, თქვი! — უბრძანა სტეფანოზმა.

— ვინცა ურჯულო გახდეს მას შემდეგ, რაც ურწმუნებია, და ვინც ურჯულოება განავრცოს, მისი სინანული შეწყნარებული არ იქნეს... — მიუგო არაბულად ყურანიდან ამოკრეფილი სიტყვები აბომ.

— თუ ეს იცი, რად დაიღუპე თავი? — ჰკითხა სტეფანოზმა არაბულადვე.

— მახვილითა პყრობილი სჯული არ მინდა, — მიუგო ამაყად აბომ და თავისი აზრი სახარების სიტყვებით ქართულად დააბოლოვა, — რამეთუ ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვილი. მახვილთა წარწყმდენ.

სტეფანოზმა ნერსეს გადახედა, მიშველე, რამე უთხარიო, მაგრამ ამასობაში აბომ ამოიდგა ენა და თქვა, რაც აწუხებდა:

— მე ნამდვილი ისმაიტელი ვარ, ყურეიშის ტომიდან, — სტეფანოზს უამბობდა თავის თავგადასავალს, — მრავალი უსამართლობა გადავიტანე, ადამიანთა გულღრძობა და ბოროტება ბალღობაშივე ვიგემე, მაგრამ ის, რაც თბილისში ვნახე, ზღაპარშიც კი არ გამიგონია.

აბო ამბის მოყოლას გულდაგულ შეუდგა, ქართული ენა კარგად შეესწავლა და საუბარი არ უჭირდა.

თაფლით მოვაჭრე ჭანის ენის მოკვეთის ამბავი

ხაზარეთს გამგზავრებამდე დიდი ხნით ადრე, შემოდგომის ერთ მზიან დილას, აბო ბაზარში წასულა დანამასტაქის საყიდლად. თურმე თავის განთქმულ ნელსაცხებელს დანამასტაქის ფოთლის გარეშე ვერ ამზადებდა. მენელსაცხებლეებში ბასრის დანამასტაქი ყოფილა ქებული. ტფილისში ეს ბასრის დანამასტაქის ფოთოლი შირაზელ ვაჭრებს ჩამოჰქონდათ თურმე.

აბოს ბაზარში ბაღდადელები უნახავს, გამოცნაურებია, იმათ იქა-

ური უთქვამთ, ამას აქაური. შეყოლიან, შეყოლიან და გვიანობამდე დარჩენილა მათთან. ბოლოს იმათ მიუსწავლებიათ დანამასტაქის ვაჭრები. ერთი მექარავნისაგან უყიდია ჯადოსნური ფოთლის ბუ-ნისაკენ გზას გასდგომია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ, ბაზარში ხალხი არეულა და აყაყანებულა. ხედავს, მოლაშქრენი შემოვიდნენ ბაზარში, შემოვიდნენ თუ არა, ატყდა გადაძახილ-გადმოძახილი, სირბილი, ტრიალი, წრიალი, ზოგი ხორაგს მალავს თურმე, ზოგი სადღაც მიათრევს თავის ხურჯინებს, ზოგი სულ მთლად აყრას და წასვლას აპირებს. მოლაშქრეები კი არას დაგიდევენ ხალხის წიაქსა და ყაყანს, მოურიდებლად, აშკარად ძარცვავენ ვაჭრებსა და ხელოსნებს. ჩარსუბაზრიდან * მოიწევენ ხმაურითა და აყალმაყალით, ჩაუარეს ქულბაქებსა და დუქნებს, მეხამლეებსა და მეთუნეებს. მეღვინეთა რიგში კაცის სიმაღლე რუმბებთან შეჩერდნენ, თითქოს შეთქმულებას აპირებენო, ერთმანეთს რაღაც უჩურჩულეს და საქმეს შეუდგნენ: რაკი მუსლიმანს ღვინის სმა ეკრძალება, საჯაროდ ღვინის სმას მოერიდნენ. თაფლით მოვაჭრე ჭანს ერთი კასრი თაფლი წაართვეს, იმ კასრს შემოეხვივნენ ბუზებივით, თაფლიც ჭამეს და ჩუმჩუმად ღვინოც ზედ დააყოლეს. უცებ დათვრნენ, რადგან ღვინოს თაფლის საწყაოთი, კათხით სვამდნენ. მთვრალები რატომღაც რუმბს მიესიენ და დარჩენილი ღვინო თაფლის კასრში ჩაასხეს, ღვინოც გააფუჭეს და თაფლიც. თაფლით მოვაჭრე ჭანი აღშფოთდა და რუმბების პატრონს შეუძახა: რატომ არაფერს ამბობო; რუმბების პატრონს შეეშინდა და გაიქცა. სასოწარკვეთილმა ჭანმა თავისთვის დაიჩივლა ჭანურად, ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი, საკუთარ სახლში არ გვაყენებენო. ერთმა მთვრალმა მოლაშქრემ გაიგონა, რომ ჭანმა გაუგებარ ენაზე რაღაც თქვა.

— მუსლიმებო, გვაგინებენ! — გაახელა თანამეინახენი.

— გვაგინებენ? — ილრიალეს ერთად მთვრალებმა, — ვინ გვაგინებს, ძაღლი გიაური? — მისცვივდნენ ჭანს წიხლების ცემით.

ჭანი ბაზრის მტვერსა და ჭუჭყში თავდაღმა ჩაამხეს. ყველაზე ღონიერმა და მაღალმა მოლაშქრემ ამხანაგებს მუშტის სიმსხო თვალები დაუბრიალა, ვითომ გაუწყრა, ჭანს ხელი დასტაცა, ბავშვივით წამოაგდო ფეხზე და უბრძანა:

— გვითხარი, რა თქვი და გაპატიებ!

---

* ბაზრის გადახურული კუთხე.

ჭანმა ქართულად დაიწყო ლუღლუღი, თუმცა არ ეხმოდა, რას თხოვდა მოლაშქრე.

— არაბულად! — დაუღრიალა მოლაშქრემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭანმა სპარსულად თქვა ორი სიტყვა, სპარსული სცოდნოდა, იქნებ სპარსული შევასმინოო. როცა სპარსულიც ვერ გააგებინა, ჭანი გაოცდა, მას ეგონა, ყველა ურჯულო ერთ ენაზე ლაპარაკობდა, განწირულმა მის ირგვლივ შეკრებილ ხალხს შეხედა და ცრემლნარევი ხმით ჰკითხა:

— რა უნდათ ამ ურჯულოებს, მითხარით, ხალხო, ქრისტიანი არა ხართ?

აბო ჭანის წვალებას შორიდან შესცქეროდა. თურმე როცა ჭანმა ხალხს საწყალობელი თვალებით შველა თხოვა, აბოს გულმა ვეღარ მოუთმინა და თანამემამულეებს არაბულად უთხრა:

— მუსლიმებო, ეს კაცი თქვენ თაფლს გაჭმევდათ, ის მაინც უთხარით, რას ემართლებით, არ ესმის თქვენი ენა.

— ჩვენ ანგარიშს არავის ვაბარებთ! — შესძახა მაღალ-მაღალმა მოლაშქრემ, — თუ ამ დამთხვეულმა მართლა შეაგინა ჩვენს ღმერთს, ენა უნდა მოვაჭრათ!

— არ შეუგინებია, ალაჰს გეფიცებით, — შესძახა აბომ და მთვრალებსა და ჭანს შორის ჩავარდა.

— აბა, რა თქვა, თქვას! — ბრძანა პირველმა მოლაშქრემ.

აბო ჭანს მიუბრუნდა და ქართულად ჰკითხა: მე მითხარი, რა თქვი, ნუ გეშინიაო...

ჭანმა გულწრფელად აღიარა დანაშაული. აბომ ჭანის ნათქვამი ბოლომდე არ თარგმნა, მთვრალი თანამემამულეების შეეშინდა, საწყალ კაცს მოკლავენო, იფიქრა და „დაილოცოს ღმერთო შენი სახელი“ — ეს უთქვამს, მეტი არაფერიო, დაუწყო მტკიცება მთვრალებს.

— ეს ბიჭი მუსლიმი არ არის! — დაიძახა ვიღაცამ, — მოგზავნილია!

— ტყუის არამზადა! — დაიღრინა პირველმა მოლაშქრემ, — საკუთარი თვალებით ვნახე, როგორ შეხედა ცას და ალაჰს როგორ შეაგინა.

— მოაჭერით ენა ძირში! მორჩა და გათავდა! — ბრძანა მაღალ-მაღალმა.

მთვრალებმა ჭანი თვალისდახამხამებაში წამოაქციეს, როგორც დასაკლავ პირუტყვს, დანით ხელში დაადგნენ თავზე, ერთმა ხელები

დაუჭირა, მეორემ ფეხები, მესამემ ხანჯლის წვერი კბილებში ამოგრა და პირი გააღებინა.

ჭანი ღმუოდა და პირიდან სისხლნარევი ლეზვი გადმოსდიოდა. ... ზარელი სანახაობით თავზარდაცემულმა აბომ მოლაშქრეებს ... დაუწყო, ეს კაცი დამნაშავე არ არის, ენა ტყუილ-უბრალოდ არ მოაჭრათო.

ერთმა მოლაშქრემ პასუხად აბოს პანღური ამოკრა. აბო მაინც არ დაცხრა. მაშინ ფეხქვეშ დაიდეს და დაუზოგავად სცემეს, გულშემოყრილი ბიჭი მკვდარივით წაათრიეს და ბაზრის ერთ კუთხეში მიქუჩებულ ნაგავთან და ხარახურასთან მიაგდეს.

ამასობაში ჭანს ენაც მოაჭრეს და ხალხს უჩვენეს, ყველას ასე მოუვა, ვინც ჭკუით არ იქნებაო.

სისხლში ამოსვრილი, გონწასული ჭანი დიდხანს ეგდო ბაზრის მტვერში უპატრონოდ. შეშინებული ხალხი მოლაშქრეთა წასვლის შემდეგაც ვერ ბედავდა მომაკვდავ ადამიანთან ახლოს მისვლას. ისევ აბომ იმარჯვა, გონს მოეგო თუ არა, ყვირილი ატეხა, ხალხო, ადამიანი მოკლეს, გამოდით ნუ იმალებითო. აბოს ყვირილზე საიდანღაც ბაზრის მუჰთასიბი გამოჩნდა მებაჟეებით გარშემორტყმული, მუჰთასიბის იმედით ხალხიც ნელ-ნელა გამოიკრიფა საფარიდან. ჭანს დახმარება აღმოუჩინეს, მოიყვანეს სათრეველა ურემი, ფრთხილად დააწვინეს ზედ და აქიმის სახლისაკენ გზას გაუყენეს.

დაღლილი, ნაცემ-ნაგვემი აბო შინ დაბრუნდა.

აბომ ამბის თხრობა დაამთავრა. თითქოს გული მოიოხაო, ერთი ამოსუნთქვით თქვა სათქმელი და მოისვენა. დაცხრა...

ნერსე და სტეფანოზი ხმაგაკმენდილნი უგდებდნენ ყურს ჭაბუკს.

— იმ დღეს, შინ რომ მივედი, აი, ეს კაბა ჩავიცვი, — ქართულ კაბაზე დაიხედა ყმაწვილმა, — ეს ქუდი დავიხურე და ქრისტე ღმერთი ვიწამე. — ნაბდის ქუდი მოიშვლიპა და ხელში ჩაიკუჭა, შეჩერდა, სიტყვა კბილით დაიჭირა, მეტი არაფერი წამომაცდინოსო, სტეფანოზს თვალი მოარიდა და თავჩაღუნული დადგა წელანდებურად. ეს ამბავი კი იქ არ დამთავრებულა, სადაც აბომ დაამთავრა; როცა გასისხლიანებული ჭანი წაიყვანეს და ცოცხალმკვდარი აბო ბაზრის მოედანზე მარტო დარჩა, მასთან ერთი კაცი მივიდა, გაამხნევა, საქციელი შეუქო. იმ კაცის ვინაობა აბომ ერისთავებს დაუმალა.

— ამ ყმაწვილმა ყურანი არ იცის, — უთხრა სტეფანოზმა ნერ-

სეს, — ურწმუნოთა ქონების მიტაცება მუსლიმის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, უფალო, სურათ ალ-ღანიმათი!—არაბულად მდუგმა ერმ.

— „ებრძოლეთ იმათ, ვისაც არ სწამს ალაჰი“, — ესეც ხომ ყურანში წერია? — ჰკითხა სტეფანოზმა.

აბომ თავი დაუქნია.

— მაშ, რა გაწუხებს? ვიღაც ჭანს მუსლიმებმა თაფლი წაართვეს, ეს გასაკვირია? კარგადაც მოქცეულან!

— არა, უფალო, თაფლის წართმევა არ არის გასაკვირი, გასაკვირი ის გახლავთ, როცა მშობლიურ ენაზე შენთვის დაიჩივლებ და ენას მოგაჭრიან. მსგავსი რამ სადმე წერია?.. ან გაგონილა?

ერისთავებმა ერთმანეთს გადახედეს. ნერსემ უხერხულობის დასაფარავად თავი ჩაღუნა.

„მახვილით მპყრობელი სჯული“, — აბოს მიერ წეღან ნათქვამი სიტყვები გაახსენდა სტეფანოზს ახლა. ეს სიტყვები ადრეც გაეგონა. სხვის სიტყვებს ამბობდა ყმაწვილი. მსჯელობაც, წიგნების ცოდნაც ამტკიცებდა, რომ მის უკან მართლა ვიღაც იდგა, მაგრამ ვინ?.. ენის მოჭრის ამბავიც არ იყო ახალი ერისმთავრისათვის. „ყველაფერს გამოიძიებენ, ყველაფერს ფარდა აეხდება, მაგრამ მერე გვიან იქნება“, — ფიქრობდა დაჟინებით სტეფანოზი; შეთქმულების ეშინოდა, ყველა ქართველი შეთქმული ეგონა, სისხლით ნათესავსაც კი ვერ ენდობოდა. ბიძამისს თვალებში შესცქეროდა. ერთს ეუბნებოდა და სხვას კი ფიქრობდა მასზე. უნდოდა როგორმე თვითონ გაერკვია, რა ბრალი მიუძღოდა ბიძამისს აბოს გაქრისტიანებაში.

ნერსეც ორ ცეცხლშუა ჩავარდნილიყო. ნერსეს აზრით აბოს ჯერ არ უნდა გაემხილა ქრისტიანობა — ხელს უშლიდა აბო ახლა. თან გულის სიღრმეში ყმაწვილს თანაუგრძნობდა. აღშფოთებასაც და თანაგრძნობასაც ერთნაირად მალავდა.

ბოლომდე გულწრფელი არავინ იყო.

— ხედავ? ჭკუასაც გვასწავლის... გვედავება კიდეც!.. — უთხრა სტეფანოზმა ნერსეს. — უთხარი რაც საჭიროა და წავიდეს, მოშორდეს აქაურობას! — გაცხარდა ერისთავთ-ერისთავი.

აბო ადგილიდან მოწყდა და სტეფანოზს ფეხებზე მოეხვია. სტეფანოზი წამოდგა და დამხობილი მონა კეთროვანივით მოიცილა. იატაკზე დამხობილი აბო თავს მაღლა ვერ წევდა შიშისაგან თუ სირცხვილისაგან.

— აბო ჭკვიანი ბიჭია, გააკეთებს იმას, რასაც გული უკარნა-

ხებს, — თქვა ნერსემ დინჯად, — ძალდატანება უსამართლობა იქნებ-
ბა...

აბო ახლა ნერსეს მოეხვია ფეხებზე. ნერსემ წამოაყენა [illegible], მხრებში ჩაავლო ხელი და გასამხნევებლად შეანჯღრია. შემდეგ თვალით ანიშნა, დაგვტოვეო. სტეფანოზი მათკენ ზურგით იდგა და მოდუდუნე მტკვარს გასცქეროდა. აბო ფეხაკრეფით გაიპარა აივნიდან. გაფითრებული გამოვიდა სასახლიდან და სიონის გზას დაადგა იმ იმედით, რომ ახლა მხოლოდ გულმხურვალე ლოცვა უშველიდა.

ჯამაათი

აბოს წასვლის შემდეგ ბიძა-დისწული დიდხანს თათბირობდნენ, თუ რა ეთქვათ ამირასათვის.

სტეფანოზს ალალბედზე ყოფნა არ შეეძლო, დღეს თუ ხვალ ამირას უნდა შეხვედროდა, თუ მარტო შეხვედრას არ ინებებდა, ჯამაათის წინაშე უნდა დაემტკიცებინა, რომ მის საერისმთავროში არაფერი მომხდარა და არც არაფერი იყო მოსალოდნელი. ამიტომ სტეფანოზს საჭიროდ მიაჩნდა იმ თავხედი ყმაწვილისათვის ბიჭები მიეჩინათ, ძალით მოექციათ თავის სჯულზე, ან წაეყვანათ თავისსავე ქვეყანაში, ან რამე ეღონათ ისეთი, შურტებს თვალში არ მოხვედროდა.

ნერსე სტეფანოზის ბრძანების შესრულებას არ აპირებდა, აბოს არაფერს დააძალებდა, არც არავის მიუჩენდა, მაგრამ იმას კი ფიქრობდა, დაებარებინა ყმაწვილი, მარტოკას ესაუბრა.

ნერსემ სტეფანოზი დააიმედა. ეს საქმე მე მომანდე, ამირასთან წელგამართული შედი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროაო.

სტეფანოზმა ვერ შეძლო ამირასთან შესვლა. ხან არ სცალია, ხან შეუძლოდ არის, ხან სტუმრები ჰყავსო, უთხრეს.

ჯამაათი კი ამირასთან თვეში ერთხელ იკრიბებოდა, თანაც ჯამაათს ვერაფერს გააგებინებდა, ისინი ბევრნი იყვნენ და ერთად იყვნენ. სტეფანოზს კი მარტოკას უნდა ემტკიცებინა თავისი სიმართლე. ჯამაათის გადაწყვეტილებას კანონის ძალა ჰქონდა. სტეფანოზს ჯამაათის უფრო ეშინოდა, ვიდრე ამირასი. თუ ჯამაათი დაადგენდა, რომ აბოს გაქრისტიანებაში ქართველების ხელი ერია, სტეფანოზი ხალიფა მაჰდისთან უნდა გაქცეულიყო და პატიება ეთხოვა. უშველიდა კი ხალიფა?

სხვა საამიროებში ჯამაათი არც არსებობდა. ამირას კაცები იკრიბებო-

დნენ წელიწადში ერთხელ. ამირა საიდ იბნ-ალჰაისამ-იბნ-შუაბიმ ან მოკლედ, როგორც ტფილისელები ეძახდნენ, ამირა საიდამ ჯამაათი სტეფანოზის ძალაუფლების გასაუქმებლად გამოიგონაო, ამბობდნენ.

ნერსეს განდგომის შემდეგ მოსალოდნელი იყო, ქართლის ერისმთავრობა, ანუ ერისთავთ-ერისთავის ხელი ხალიფებს გაეუქმებინათ. ამირას ვარაუდი არ გამართლდა, არ გააუქმეს ერისმთავრობა.

ტფილისის ამირა განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა, დროთა განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს ფაქტიურ ხელმწიფედ სწორედ ამირა მოევლინებოდა ხოლმე. ხალიფას ეს არ მოსწონდა და ერისმთავრობის ხელი ქართლში დატოვა ამირას უფლებების შესაზღუდავად.

სტეფანოზს, რაკი ხალიფა მაჰდის გამოგზავნილი იყო ქართლში, ამირა ეშვის თვალით უყურებდა. სტეფანოზსაც არ მოსწონდა ერთმმართველი ამირა. მეტოქეობის აღსაკვეთად ამირა საიდამ ჯამაათი გამოიგონა. სტეფანოზი ჯამაათის რიგითი წევრი გახადა. ამირას ქართლის ერისმთავრის წინააღმდეგ ბრძოლა არ გაუჭირდებოდა, ზურგს უკან ხალიფა რომ არ მდგარიყო. ამირას ხალიფასი ეშინოდა, ხალიფას კი ამირასიც ეშინოდა და ერისმთავრისაც. არც ერთი უნდა გაძლიერებულიყო და არც მეორე. ამირა როცა ჯამაათს აყალიბებდა, სტეფანოზს კი არ ებრძოდა, ხალიფასაგან იცავდა თავს.

ქართველებიდან ჯამაათის წევრობა მხოლოდ ქართლის ერისმთავარს ერგო, ამირამ გაიხსენა ძველი ქართული წესი: ქართლის ერისმთავარი იგივე ერისთავთ-ერისთავი ყველა ქართული თემისა და ტომის წინამძღოლი და მამაუფალი (მამფალი) იყო ოდითგანვე. ამ წესის თანახმად ქართველი ხალხის წარმომადგენელი ჯამაათში ქართლის ერისმთავარი უნდა ყოფილიყო და სტეფანოზს არგუნეს ეს პატივი. კახეთ-კუხეთის ქორეპისკოპოსი, ჰერეთისა და გუგარეთის ერისთავებიც კი ფეხზე დგომის უფლებით უნდა დასწრებოდნენ ჯამაათის თავყრილობას.

ჯამაათის ნამდვილი წევრები კი ისხდნენ, მათ სიტყვას მეტი ძალა ჰქონდა, კენჭისყრის უფლებაც მათთვის ებოძათ. ესენი იყვნენ: ამირა, ვაზირი, შურტათმთავარი, ყადი და ერისმთავარი. ერისთავები, ბარიდები, ამიდები მუჰთასიბები და საამიროს სხვა მოხელენი ჯამაათს ესწრებოდნენ, მაგრამ მათ ხმის უფლება არ ჰქონდათ, ამიტომ არც ისხდნენ, ფეხზე მდგართ უნდა მოესმინათ ჯამაათის აზრი და კვერი დაეკრათ. ფეხზე დგომასაც თავისი ადგილი და წესი ჰქონდა. ვინ ვის უკან დადგებოდა, წინასწარ დაედგინათ. ქართლის კათალიკოსმა რო-

ცა შეიტყო, რომ ის ყადის უკან უნდა ატუზულიყო, აღშფოთდა, მეორედ მოსვლის მოახლოებას მიაწერა ეს ამბავი და საამირეოში ფეხი არ შედგა. რახან კათალიკოსმა უარი თქვა, ქართველებს ბერმე ადგილი ეკარგებოდათ ჯამაათში, სტეფანოზმა ერთი ერისთავის დამატება მოითხოვა, გუნებაში ბიძამისის, ნერსეს მოყვანას აპირებდა.

ამირამ ალარც კი მოუსმინა, წესს ვერ დავარღვევო. ხომ ხედავ, ყადი ერთია ჯამაათში, შურტაც, ვაზირიც, თვით ამირაც, ერისმთავარყოფილი რა წითელი კვერცხიაო, გააკმენდინეს ხმა სტეფანოზს. ის იყო და ის, მხოლოდ სტეფანოზს მისცეს ხმის უფლება, დანარჩენებს არამცთუ კენჭის ყრა, საერთოდ ხმის ამოღების ნებასაც არ აძლევდნენ. თუ ამირა ჰკითხავდა რამეს, მხოლოდ მაშინ უნდა ამოედგათ ენა, თუ არა და სულ მუდამ დამუნჯებულები უნდა მდგარიყვნენ თავიანთი ერისმთავრის უკან.

ჯამაათი მხოლოდ და მხოლოდ ამირას ნების აღმსრულებელი იყო, თუ ამირა მოისურვებდა მთელი ქვეყანა ცეცხლში დაეწვათ, თვალის დაუხამხამებლად კვერს დაუკრავდნენ. ასეთი იყო ამირას ჯამაათი. სტეფანოზს ჯამაათისათვის თვეში ერთხელ უნდა მოეხსენებინა საერისთავოებში ხარკის აკრეფის ამბავი. სხვა თემაზე საუბარი ამირას არ უყვარდა. სტეფანოზს ფიქრისაგან ტვინი ტკიოდა, ამირას ეშმაკი ვერ გაუგებდა. მართალია, ჯამაათში საჯაროდ მხოლოდ საარაბო ხარკზე უნდა ემსჯელათ, მაგრამ აბოს გაქრისტიანება იმდენად შემაშფოთებელი იყო, ვაითუ გაჩუმებას უფრო დაეეჭვებინა მსაჯული ამირა. იქნებ ჯერ მზად არ იყო მოსახსენებლად, იქნებ ჯერ შურტათმთავართან მისულიყო და გაერკვია, თუ რაში ედებოდათ ბრალი ბიძა-დისწულს. წესით და რიგით შურტათმთავარი უნდა მისულიყო მასთან, მაგრამ ვინღა დაგიდევდათ წესს და რიგს! ერისმთავარს კი არა, დივან აშ-შურტას გამგებელი თვითონ ამირას არ ემორჩილებოდა, ერთ მშვენიერ დღეს მას შეეძლო ამირა შეეპყრო და თავისი მოხელეებით ბაღდადს წაეყვანა ხალიფასთან. ამ უფლებას შურტას თვითონ ხალიფა აძლევდა, მაგრამ შურტათმთავარი ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქი ამირა საიდას დაწინაურებული იყო ამ თანამდებობაზე, უფრო უკეთ, ხალიფა იძულებული შეიქნა ხალიფატში თავისი პირით ეთქვა, შურტათმთავრად ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქი ავირჩიოთო, წესი იყო ასეთი. ხალიფას კარზე, ამირას წარდგენით უნდა დაემტკიცებინათ ქართლის დივან-აშ-შურტას გამგებელი.

ვეზირთან მისულიყო? ვეზირს არაფერი ეცოდინებოდა, ვერც ყადი ეტყოდა სანუგეშოს. ქართლის ერისმთავარი ვიღაც აბოს გულის-

თვის ვერ იწანწალებდა კარდაკარ, ჯამაათის წევრები იფიქრებდნენ, რომ სტეფანოზს დანაშაული მიუძღოდა, სინამდვილე კი ღმერთმა უწყოდა მხოლოდ. მოთმინება არჩია და ჯამაათის შეკრებილ-ლოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯამაათი ყოველი თვის მესამე სამშაბათს იკრიბებოდა. დადგა ეს სამშაბათიც. სტეფანოზი პირველი მივიდა სასახლეში, თავისი ადგილი დაიკავა და ამირას შემოსვლას დაელოდა, ახლა მთავარი იყო როგორ შეხვდებოდა ამირა, მიესალმებოდა, გაუღიმებდა? ჯამაათის დაწყებამდე ჰკითხავდა რამეს?

დარბაზი ნელა ივსებოდა ფეხზედგომელა ხალხით, ჯამაათი კი აგვიანებდა. გარდა სტეფანოზისა, არავინ მოსულიყო.

ამირა, ვაზირი, ყადი და შურტათმთავარი ერთად შემოვიდნენ დარბაზში, შეკრებილნი ხალიჩით მოფენილ იატაკზე დაემხნენ, ამირას მიესალმნენ. ჯამაათმა თავისი ადგილი დაიკავა. ხალხმა — თავისი. სტეფანოზს ამირასი და ჯამაათის სხვა წევრების ერთად მოსვლა არ მოეწონა, ერთად სად ყოფილან, ჩემ წინააღმდეგ ხომ არ შეიკრნენო. სტეფანოზი ირგვლივ ყველას და ყველაფერს ეჭვით უყურებდა. მოულოდნელად ამირა კარგ გუნებაზე ეჩვენა, წინანდებურად მიესალმა, ოჯახის წევრები მოუკითხა და შემდეგ ყადის ანიშნა, დავიწყოთო. სტეფანოზს სიხარულისაგან ენა დაება, არ მოელოდა ასეთ შეხვედრას, გაკვირვებული იყო, „ნუთუ ამირამ არაფერი იცის, — გაუელვა თავში, — ნუთუ მხოლოდ მაშინებენ... ამიდი ალბათ შურტათმთავრის მოგზავნილი იყო", — დაასკვნა გუნებაში და მოსახსენებლად მოემზადა.

ყადიმ ალაჰისადმი ვედრება აღავლინა. შემდეგ ყურანი გადაშალა და რატომღაც ის სურა წაიკითხა, სადაც მცირედ მორწმუნეებზე იყო საუბარი: „თუ მორწმუნეთა შეხვდნენ, მორწმუნე ვართო იტყვიან, მაგრამ მაცდურებთან ფარულად თუ შეიყარნენ, ეტყვიან თქვენთან ვართ და მათ დავსცინითო"... ეს სიტყვები თქვა გარკვევით, გასაგებად, ბოლოს კვლავ ალაჰის დიდება წამღერებით აღავლინა და ჯამაათი მუშაობას შეუდგა. სტეფანოზს გუნება წაუხდა. ყადის მიერ წაკითხულმა სურამ ახალი ეჭვები აღუძრა. რატომ მაინცდამაინც ეს სურა წაიკითხა ყადიმ, წინასწარ შეთანხმებულები ხომ არ არიან, მერყეობასა და ორპირობას ხომ არ მწამებენო. ამდენი ფიქრის დროც არ იყო. მისი ჯერი დგებოდა, სტეფანოზი წამოდგა, ჯამაათს ერთხელაც გადაავლო თვალი. ჩუმად, თავისთვის, ღმერთი ახსენა და საქმეს შეუდგა:

— კახეთმა, კუხეთმა და გუგარეთმა შეასრულა, მცხეთის თემმა მეტი მოგართვათ, ვიდრე შარშან ამ დროისათვის, კარგი, ამილები გვყავს დმანისის თემში, იქ ხარაჯას ყოველთვის მეტს აკრეფენ, თბილისმა შეასრულა ჯიზია, ხარაჯის აკრეფა გრძელდება...

იმედს იძლევა ჰერეთი, წლის ბოლომდე ჯერ დრო გვაქვს...

ვენახებიდან და წისქვილებიდან ამოღებულია ორასი დირჰემი, შარშან ავკრიფეთ ასი.

თბილისის საერისთავოდან ჩამორჩება ავარის და ტაყამის თემი.

საერთო შემოსავალია ათი მილიონი, სამიც წლის ბოლოს გვექნება.

სტეფანოზმა მოკლედ და საქმიანად მოახსენა ჯამაათს საარაბო ხარკის აკრეფის ვითარება. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ამირას ელოდებოდნენ, წინასწარ იცოდნენ, უსათუოდ რაღაცას ჰკითხავდა წინაშემდგომელს და ეს შეკითხვა დააბნევდა, არევ-დარევდა არა მარტო სტეფანოზს, არამედ მთელ დასს ერისთავებისას, ფეხზე დგომის უფლებით ერისმთავრის უკან შეჯგუფულთ.

ხალხს და ჯამაათს მოლოდინი არ გაუმართლდა. ამირა ვეზირს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ოქრო რამდენია?

— 125532 დინარი, — დაუფიქრებლად მიუგო ვეზირმა.

სტეფანოზი ფეხზე იდგა და ამირას შეკითხვას ელოდებოდა. ეშინოდა ამ შეკითხვისა, ეშინოდა იმიტომ რომ საჯაროდ ტყუოდა, ამდენი ოქრო და ვერცხლი არ იყო აკრეფილი.

ხარაჯის ამკრეფი ამილები მამასახლისებს ატყუებდნენ, მამასახლისები ერისთავებს, ერისთავები ერისმთავარს, ერისმთავარი ამირას, ამირა ხალიფას. ასეთი იყო ტყუილის დიდი ჯაჭვი, ფოლადის სალტედ რომ შემოჭდობოდა უზარმაზარ ხალიფატს და ნელ-ნელა ამსხვრევდა.

სტეფანოზსაც რა ექნა, წესრიგი როგორ დაემყარებინა, რა სამართლისა და კანონის ძალით მოეთხოვა უკანონობა და უსამართლობა, მიწასა და მიწის მუშას შორის იმდენი ხალხი იყო ჩამდგარი, საწყალი კაცის ნაცოდვილარს მშიერი მგლებივით მისეოდა იმდენი მოხელე: მამასახლისი, ამილი, მუშრიბი, შურტა, მუჰთასიბი, რეისი, ყადი, საარაბო ხარკის სახელით ვინ რამდენს იპარავდა, ვინ ვის ჰპარავდა, ვინ რა გზით, რა ხერხით ჩადიოდა დანაშაულს, ეშმაკი ვერ გაიგებდა.

სტეფანოზსაც ტყუილი უნდა ეთქვა, სიმართლის თქმა დიდი სიბრიყვე იქნებოდა, ჯამაათის შეკრების წინ გულდაგულ ემზადებოდა,

თავისთავს არწმუნებდა, ამხნევებდა, შთააგონებდა, რომ ცოდვა არ იყო ასეთი ტყუილის თქმა. მაგრამ როცა ამირა კვიმატურ შეკითხვას დაუსვამდა, ღელავდა, ბრაზობდა და ეს სიბრაზე წონასწორობას აკარგვინებდა, იბნეოდა, რას მიედ-მოედებოდა, კაცი ვერ გაიგებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანოზი კარგა ხანს ელოდა გამგმირავ შეკითხვას. ამირამ ვეზირს ჰკითხა, ოქრო რამდენიაო და გაჩუმდა. ეს იმას ნიშნავდა, სტეფანოზს უნდა დაემთავრებინა თავისი გამოსვლა ნაცნობი სიტყვებით: „სამთავროში მშვიდობა და კეთილგანწყობა სუფევს“, — იტყოდა ამ სიტყვებს და დაჯდებოდა. ჯამაათის ყველა წევრს ევალებოდა ეს, თუ მშვიდობა და კეთილგანწყობა მართლა სუფევდა სამთავროში, თუ არა და ხელს რა უშლიდათ, მოკლედ უნდა მოეხსენებინათ ამირასათვის.

აბოს ამბავს თუ იტყოდა, ახლა უნდა ეთქვა. „თვითონ მკითხონ, უკეთესია თვითონ მკითხონ“, — უკანასკნელ წამს შეცვალა გადაწყვეტილება.

სტეფანოზმა გამოცდილებით იცოდა, რაც უფრო ნაკლებ სიტყვებს იტყოდა აქ, მით უკეთესი იყო. ჯობდა, მათ ელაპარაკათ და სტეფანოზს ესმინა.

— სამთავროში მშვიდობა და კეთილგანწყობა სუფევს... — ამოილუღლუღა ბოლოს და ბოლოს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სტეფანოზი ამირას შესცქეროდა, თუ ჰკითხავდა აბოს ამბავს, პასუხიც მზად ჰქონდა: აბო ყმაწვილი კაცია, შეცდა ჭაბუკი, მაგრამ კეთილ მრჩეველთა ბრძანებით კვლავ დაუბრუნდა თავის სჯულს, სამთავროში მშვიდობა და კეთილგანწყობა აღდგენილიაო, იმეორებდა გუნებაში.

ამირა დაბალი ტანის, შავ-შავი კაცი იყო, მის გვერდით ყინჩად მჯდომ ტანსრულ, წითურ შურტათმთავარს თითქოს ხელის გულზე ედო თავისი უფროსის სიშავე და სიცოტავე და გარშემო შემოკრებილ ხალხს აჩვენებდა. სტეფანოზს ახლა სწორედ ის პატარა შავი კაცი ეჩვენებოდა გოლიათად. ძორძოყინა წითელ შურტათმთავარს აღარც კი ამჩნევდა, შურტათმთავარი, ჯამაათის სხვა წევრები და ფეხზედგომელა ხალხი სიბნელეში ჩაძირულიყვნენ, დიდ ხალიჩაზე მხოლოდ ის ადგილი იყო განათებული, სადაც ამირა იჯდა. ამირა კი არა, ხალიჩაზე ტანმორჩილი გარუჯული ბედუინი ჩაყუნცულიყო, ხელში მათრახი ეჭირა. საცაა წამოხტებოდა, მოახტებოდა თავის არაბული სისხლის ბედაურს და საყაჩაღოდ უდაბნოში გაიჭრებოდა ქვიალით.

ბედუინს უნდა ეთქვა სიტყვა „შემდეგი“, მხოლოდ ამის შემდგომ შეეძლო სტეფანოზს დაჯდომა.

— იოანე სად არის? — მოულოდნელად, თითქოს ქვესკნელიდან ამოსძახესო, გაისმა ყრუ ხმა დარბაზში, შურტათმთავრის ხმა იყო. „იოანე?“ — შეშფოთდა სტეფანოზი, უცებ ვერ მიხვდა რას ეკითხებოდნენ. უადგილო, უაზრო და უმიზნო მოეჩვენა შეკითხვა. გონება ელვისუსწრაფესად ამუშავდა, აქეთ მიაწყდა, იქით მიაწყდა, სიბნელეში ვერაფერი იპოვა, ვერაფერს მიაგნო.

სად ხარკის აკრეფა და სად იოანე!

— ვინ იოანე? მოძ... — სტეფანოზმა ენა კბილით დაიჭირა, კინაღამ წამოცდა „მოძღვართმოძღვარი“, გაახსენდა, რომ ეს სიტყვა ეჯავრებოდა ამირას.

იოანე საბანისძე ქართლის ერისმთავრის ნერსეს კარის მოძღვართმოძღვარი იყო, ქართველთა დიდი შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე და მოთავეც. როცა ხალიფა ალ-მანსურმა ნერსე ბაღდადს გაიწვია და იქ შეიპყრო, ამირამ იოანეს აქ სიკვდილი გადაუწყვიტა, მაგრამ ხალიფას ნებართვის გარეშე ვერ გაბედა სიკვდილით დასჯა, ხალიფამ კი ნერსეს წამება გაახანგრძლივა, ამასობაში ალ-მანსური გარდაიცვალა. ახალმა ხალიფამ კი ნერსეს დანაშაული აპატია. ამირა იძულებული გახდა იოანეც გამოეშვა დილეგიდან. იმ დღიდან „მოძღვართმოძღვრობა“ გაუქმდა ერისმთავრის კარზე, თვით მოძღვართმოძღვარი აიძულეს მოღვაწეობას ჩამოსცილებოდა.

იოანე ბერად აღიკვეცა ჯვრის მონასტერში.

გააფთრებულმა ამირამ სამონასტრო სკოლები აკრძალა, ხოლო ერისმთავრის კარზე ერთხელ და სამუდამოდ მოძღვართმოძღვრის ნაცვლად მდივანმწიგნობრის ხელი დაამტკიცა.

სტეფანოზმა იმდენი იხერხა, იმდენი იმარჯვა, მდივანმწიგნობრად იოანეს შვილი — ყრმა მიქაელი მიიწვია, დანაშაული გამოისყიდა თავის ჭკუით.

მართალია, სტეფანოზმა თავისი აღმზრდელი და მასწავლებელი თვითონ გააძევა სასახლიდან, მაგრამ ხელი არ დაუკარგა. მდივანმწიგნობრობა მის შვილს უბოძა.

იოანე საბანისძეს მრავალ ენაზე წურთილ კაცს ეძახდნენ. მას ანტიოქიაში შეესწავლა წიგნნი სულიერნი და ფილოსოფოსთაი, ასეთი ადამიანი სანთლით საძებარი გახლდათ, თვით ქართლის კათალიკოსი სამოელი თავის მოძღვრად იოანეს თვლიდა. მისი გაძევება სასახლიდან უგნურება იყო. მაგრამ ძალა ალმართს ხნავდა, სტეფანოზი უნდა დამორჩილებოდა ამ ძალას.

იმ ავად მოსაგონარი ამბების შემდეგ, იოანე თვალით არ ენახა

სტეფანოზს, თუ რჩევა დასჭირდებოდა, მიქაელის პირით შეუთვლიდა და იოანეც მიქაელის პირით შემოუთვლიდა პასუხს, რისთვის გაახსენდათ ნეტავ იოანე? — ფიქრობდა სტეფანოზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იოანე რაც ბერად აღიკვეცა, არ მინახავს, — ჩაიდუდუნა სტეფანოზმა.

— მე თქვენ შეგეკითხეთ, სად არის-მეთქი იოანე! — უთხრა მკაცრად შურტათმთავარმა.

— ჯვრის მონასტერშია, — მიუგო უნებურად თამამად.

შურტათმთავრის ყოყოჩურმა კილომ სითამამე შესძინა და თვალებში წყრომა ჩაუყენა. შურტათმთავარს ზიზღით გახედა, კიდევ ხომ არაფერს მკითხავო. შურტათმთავარმა ამირასკენ მიაბრუნა პირი.

— შემდეგი! — თქვა ამირამ.

ვეზირი წამოდგა.

სტეფანოზმა ამოისუნთქა, ლამის იყო პირჯვარი გადაისახა, დაჯდა და თვალები ჭერს მიაპყრო.

ვეზირი ენადაფუფქულივით წარმოთქვამდა არაბულ სიტყვებს. ტომით სპარსი იყო და სპარსულად უქცევდა, ჯამაათის წევრები შეჩვეოდნენ ვეზირის არაბულს, სულგაკმენდილნი უსმენდნენ; ვეზირი გზის მშენებლობის დაჩქარებას მოითხოვდა, ფეხზე დგომის უფლებით დამსწრე ერისთავებსა და მამასახლისებს უწყრებოდა, სუხრას — შრომითს ბეგარას რატომ არ იხდითო.

სტეფანოზი შურტათმთავრის შეკითხვაზე ფიქრობდა. რატომ შურტათმთავარმა მოიკითხა იოანე და არა ამირამ? საიდუმლო ძაფი ხომ არ იბმებოდა აბოს გაქრისტიანებას და დღევანდელ უადგილო შეკითხვას შორის? „ცალკე უნდა ვესაუბრო ამირას, მეტის მოთმენა არ შეიძლება...“ — შურტათმთავარს უწყრებოდა გუნებაში სტეფანოზი, — „ეს არის ბოროტების სათავე, ამას უნდა რომ დამასმინოს ხალიფასთან“, — ფიქრობდა სტეფანოზი, — „ავდგები და მტკიცედ მოვითხოვ ამირასთან შეხვედრას, ბოლოს და ბოლოს ბაღდადში წასვლით დავემუქრები, ამიდები ვერ გამიბედავენ წინ გადადგომას“.

ზოგჯერ მაცდური ფიქრიც ჩაუძვრებოდა გულში, „ადექი, სტეფანოზო, ახლავე დაამტკიცე შენი უდანაშაულობა, „ჯამაათს მოთხოვე, დაიცვან ქართლის ერისმთავრის უფლებები, მოითხოვე იმათი დასჯა, ვინც უდიერად გექცევა“. — თითქოს ვიღაც სხვა ჩასძახოდა ამ სიტყვებს. — „აქ არ შეიძლება ამის მოთხოვნა“, — პასუხობდა უმალვე, — „მარტო უნდა ვესაუბრო ამირას, მარტო...“ — არწმუნებდა და ამშვიდებდა თავისთავს.

ვეზირის შემდეგ ყადი ლაპარაკობდა დიდხანს, ყადი მოითხოვდა, მცხეთაში აეშენებინათ მეჩეთი. მართალია, იქ არ ცხოვრობდა იმდენი მუსლიმანი, რამდენიც თბილისში, მაგრამ იქ იდგა ხალიფატის [illegible] მხედრიონი — ჯურზანის დამჭირველი*. ყადი მოლაშქრე მუსლიმანებისთვის მოითხოვდა მეჩეთს.

სტეფანოზი კი თავის გასაჭირზე ფიქრობდა, ისე იყო აფორიაქებული, ყურის დაგდებაც კი უჭირდა. „იოანე უნდა ვახმობინო, თუ რამეს აპირებენ, ბარემ მეც მითხრან", — უკვე მტკიცედ სჯეროდა, რომ ზურგს უკან სამარეს უთხრიდნენ და ამას გულდაგულ უმალავდნენ. პირგამეხებული იჯდა და თმენით აპირებდა ორ მხრივ ხმლის ქნევას.

თავის სასახლეში დაბრუნებულმა სტეფანოზმა მიქაელი მოიხმო, იოანეს ამბავს ვკითხავო, იფიქრა. მიქაელი შინ არ დახვდათ, თითქოს მიწამ პირი უყოო, ვერსად იპოვეს, დილით გრიგოლმა მოაკითხა. მას შემდეგ აღარ გვინახავსო, თქვეს მსახურებმა.

მიქაელს ერთი უმრწემესი მეგობარი ჰყავდა — გრიგოლი, სტეფანოზი მას მოყვარედ და ნათესავად თვლიდა. ნერსეს ცოლის ძმისწული იყო, უწვერული ჭაბუკი, მაგრამ ჭკუა-გონებით გამორჩეული. მიქაელს ბალღობიდანვე ტოლებთან მეგობრობა უჭირდა, სულ მუდამ უასაკონი ეხვია გარს, უგერგილო, ნედლი ბიჭი იყო, მამას არ ჰგავდა, გრიგოლიც უცნაური ყმაწვილი ჩანდა სტეფანოზის აზრით. მიქაელი და გრიგოლი სამოძღვრო სკოლაში სწავლობდნენ ერთად, იქ დამეგობრდნენ. ამ სკოლას, მარიამ წმიდას ეკლესიაში, იოანე მესვეურობდა. სკოლაცა და ეკლესიაც ქართველ მეფეთა და ერისმთავართა კუთვნილება გახლდათ. მაგრამ რაკი იოანემ შექმნა სკოლა და თვით იყო მისი მოძღვარი, „იოანეს სამოძღვროს" ეძახდნენ. სტეფანოზიც ამ სკოლაში სწავლობდა და თვით ნერსეც აქ გაეცნო ქართულ სულიერ წიგნებს.

მიქაელი და გრიგოლი იოანეს მოწაფეები იყვნენ. იოანემ შეაყვარა მათ ერთმანეთი, წერა, კითხვა და გალობაც მან შეასწავლა ჭაბუკებს.

ახლა არც ეს სკოლა არსებობდა, არც იოანე მოძღვრავდა თავის მრევლს, მაგრამ მოწაფეები მასწავლებელს არ ივიწყებდნენ, შეკრებას უკრძალავდნენ და მაინც ადიოდნენ მასთან. უთვალთვალებდნენ,

---

* საოკუპაციო ჯარი.

ემუქრებოდნენ, თავიანთ ტკბილმოუბარ მონაზონს მაინც ვერ თქმობ-
დნენ.

ზედამდგომელთა მძლავრობამ ბოლოს და ბოლოს ნაყოფიერი
ილო. სიმტკიცე ყველას როდი ეყო, ნელ-ნელა დაიფანტნენ მორჩილ-
ნენი, ზოგი ზაკულობით გადაიბირეს, სამსახურში ჩააყენეს, ზოგი
შეაშინეს და სულ მთლად დაათმობინეს სჯული. იოანეს გრიგოლი
და საკუთარი შვილი მიქაელი შერჩა ბოლომდე თანამდგომად და ჭი-
რის მოზიარედ.

გრიგოლი თითქოს განგებას გაეჩინა ღვთისმოსავად. როგორც
ყველა მორწმუნე, უშიშარიც იყო და მტკიცეც: არად აგდებდა აგა-
რიანთა მძლავრობას, შურტების ფუთფუთს ზურგს უკან და თავის
მოძღვართან თითქმის ყოველდღე მიდიოდა. მიქაელიც მამის მორჩი-
ლი და ერთგული შვილი იყო.

მიქაელს ბედმა მწარე ცხოვრება არგუნა. საბანისძეთა მყუდრო
სახლეულს პირველი თავზარი თვითონ მამამ, იოანემ დასცა, ის შე-
იპყრეს და სამი წელიწადი დღის სინათლე არ უნახავს. ვიდრე მამა
დილეგიდან გამოაღწევდა, დედას სახადი შეეყარა და გარდაიცვალა.
პატარა მიქაელი სასახლეში სამადლოდ იზრდებოდა, ობოლს ერის-
თავთერისთავთა დედაწული თვალსა და ყურს არ აკლებდა, ებრალე-
ბოდათ ყმაწვილი.

ობლის კვერი გამოცხვა, ყრმა მიქაელმა განსაცდელს გაუძლო,
ისწავლა ქართული და არაბული წერა-კითხვა, წმინდა წიგნები. ერის-
მთავარმა გზაზე დააყენა, მდივანმწიგნობრად აქცია. მადლიერი იყო
ცხოვრების, ადამიანების, ღმერთის, სულ მთლად რომ არ გასწირეს,
მამა ცოცხალი დაურჩინეს, თვითონაც ასაზრდოეს, გამოზარდეს და
საქმეზეც დააყენეს.

მიქაელი ბეჯითი მოწაფე იყო თავისი მამისა, გრიგოლთან ერთად
ისიც ხშირად დადიოდა საყდარში სულისა საწურთელად. ის რაც
მარიამ წმიდას სამოძღვროში ისწავლეს, ჯვრის საყდარში უნდა განემ-
ტკიცებინათ.

სტეფანოზმა რაკი მიქაელის კვალს ვერ მიაგნო, რაკი უთხრეს დი-
ლით გრიგოლმა მოაკითხაო, იფიქრა, ალბათ მამა იოანესთან წავიდ-
ნენო და ლოდინი არჩია, ძებნას თავი მიანება.

მხოლოდ მეორე დღეს, საღამოს, მოიჭრნენ შეშინებული მიქაელი
და გრიგოლი სასახლეში და ერისმთავარს მღელვარედ უამბეს თა-
ვიანთი თავგადასავალი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შურტებმა შეგვიპყრეს, წუხელ დილეგში ვისხედით... — აქვ-
შინებული ჰყვებოდა გრიგოლი.

მიქაელი ხმას არ იღებდა. თვალები დასიებოდა, ნაცემ[illegible]

— გზად მივდიოდით, გვტაცეს ხელი და გაგვაქანეს. ცალ-ცალკე ჩაგვაგდეს ბნელ დილეგებში. მთელი ღამე არ დაგვაძინეს, აბოს ამბავს გვეკითხებოდნენ, ვუთხარით, რაც ვიცოდით... არ დაგვიჯერეს.

უცებ გრიგოლი მუხლებზე მოეხვია სტეფანოზს და ცრემლგარეული ხმით შეჰღაღადა:

— ერისმთავარო, იოანეს უპირებენ შეპყრობას!

— იოანეს? — სტეფანოზმა გრიგოლი წამოაყენა, მიქაელს შეხედა, — იოანეს რას ემართლებიან? — მიქაელს ჰკითხა სტეფანოზმა.

— აბოს გაქრისტიანებას აბრალებენ, — მიუგო მიქაელმა.

სტეფანოზს ელდა ეცა, ამას კი არ მოელოდა. უცებ მოეფინა ნათელი აბოს ამბავს, ახლაღა მიხვდა, თუ რატომ მოიკითხა შურტათმთავარმა იოანე.

— აბოს გაქრისტიანებას? — დაეჭვდა ერისმთავარი, — მაინც როგორ, რანაირად?

— აბოც ხომ ჩვენთან სწავლობდა მარიამწმიდაში. — უთხრა გრიგოლმა. — ძველი ამბები გაგვიხსენეს.

— განა აბოც თქვენთან სწავლობდა? მონა კეთილშობილებთან? — გაოცდა სტეფანოზი.

— ერთი-ორჯერ მოიყვანა მამამ, — თავი იმართლა მიქაელმა.

— ეს დიდი ხნის ამბავია, ერისთავთ ერისთავო, — თითქმის ვედრებით უთხრა გრიგოლმა, — აგარიანები მიზეზს დაეძებენ, როგორმე ჩვენ დაგვაბრალონ აბოს მოქცევა, სინამდვილეში კი აბომ თვითონ დათმო სჯული, არავისთვის უკითხავს, არავის ურჩევია, მაღალი ღმერთია მოწამე.

— მომიყვანეთ იოანე! — უთხრა ჭაბუკებს სტეფანოზმა.

მიქაელსა და გრიგოლს ერისმთავრის თავლიდან გამოუყვანეს ბედაურები, შეუკაზმეს როგორც სეფეწულებს და გაამგზავრეს.

ქართველებს ცხენზე ჯდომა ეკრძალებოდათ, ცხენზე არაბი უნდა მჯდარიყო, ქართველებისათვის სახედარი და ჯორი იყო განკუთვნილი. ცხენზე ჯდომის უფლება მხოლოდ სეფეწულებს და ერისმთავრის კარის მოხელეთ შეუნარჩუნეს.

მიქაელი და გრიგოლი, მართალია, ნამდვილი სეფეწულები არ

იყვნენ, მაგრამ რაკი ერისმთავრებს ემსახურებოდნენ, ეს უფლება ჰქონდათ. ამაყად ისხდნენ არაბულ ტაიჭებზე და ერისმთავრის დავალების შესასრულებლად მცხეთისაკენ მიეშურებოდნენ, [illegible] ტფილისს უნდა წაეგვარათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთაში რომ შევიდნენ, მიქაელმა მცხეთის მამასახლისის სასახლესთან შეაყენა ცხენი. აქ მას თავისი გულისსწორი ეგულებოდა. მამასახლისის ქალიშვილი ანო. გრიგოლმა ეს იცოდა და მეგობრისათვის არც უკითხავს, თუ რატომ შეჩერდნენ უადგილო ადგილას. სასახლე მაღალი გალავნით იყო შემოზღუდული, უნებართვოდ შიგ ჩიტი ვერ შეფრინდებოდა. ცხენებიდან ჩამოხტნენ და ქვეითად მიადგნენ გალავანს. მიქაელმა გრიგოლს უჩურჩულა:

— ბჭისკარი აქ არის.

დიდხანს იდგნენ საფარში ხმისამოუღებლად, არსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

— რაც მამა გარდაეცვალა, არ მინახავს. — თქვა კვლავ მიქაელმა საიდუმლოსავით.

თითქოს სხვა დროს ნახულობდა. სულ ერთხელ მოეკრა თვალი მცხეთობაზე.

იმ მცხეთობამ სულის სიმშვიდე დაუკარგა. დღეცა და ღამეც ანოზე ფიქრობდა, ღამ-ღამობით თუ ესიზმრებოდა, დღით ელანდებოდა, ჩვენი ერთობა თურმე ჩვენს დაბადებამდე ყოფილა გადაწყვეტილიო, ეუბნებოდა სიზმარში ანო. მიქაელსაც თვალი და ყური სულ მცხეთისკენ ეჭირა, როგორც კი დროს იხელთებდა, იქითკენ გარბოდა და თავის მზეთუნახავს გალავანს უკან მოფარებული ელოდებოდა. ანო, თითქოს მართლა მზეს ემალებაო, სასახლიდან არ გამოდიოდა. მიქაელი იმედს არ ჰკარგავდა. დღეს თუ ხვალ ერისმთავრის კარზე დავწინაურდები, იქიდან ამირას სასახლეში გადავალ, შეიძლება ამიდიც კი გავხდეო, ფიქრობდა თუკი ამირას სასახლეში ფეხს შედგამდა, მცხეთის მამასახლისს უფრო თამამად მიუგზავნიდა მაშვლებს. ახლა კი, ახლა მამამისის გამო წელგატეხილი იყო. მცხეთის მამასახლისი იოანეს შვილს ქალს ვერ გაატანდა, უბრალო ქართველმა მოხელემ ძლივს ამირას ყურადღება დაიმსახურა — უფროსი ვაჟი, გუარამი დაუწინაურა, ჯერ მცხეთის უბანში ანდო ხარაჯის აკრეფა, შემდეგ მავალების უფროსობა დაავალა, ბოლოს სასახლეში წაიყვანა და მცირე ხაზინა ჩააბარა. მიქაელი გუარამის ბედს შენატროდა, რაკი ამირამ გუარამს მოწყალების თვალით გადმოხედა, მცხეთის მამასახლისის ძალა უცებ გაიზარდა ჯამაათში, იმასაც ამბობდნენ მცხეთის

მამასახლისს ჯამაათის ნამდვილ წევრად აირჩევენო. სწორედ ამ დროს თავქედი * შეეყარა და გარდაიცვალა. ამირამ მცხეთის მამასახლისად მისი მემკვიდრე გუარამი გამოგზავნა. გუარამს დიდ მოძალადეს ეძახ-ნასწარმეტყველებდნენ, — ამირას სიძეობას უპირებსო. მიქაელი გუარამს კარგად იცნობდა, ისიც მამამისთან სწავლობდა მარიამწმიდაში, როცა ეს სკოლა დაშალეს, გუარამი ბაღდადს გაგზავნეს სწავლის გასაგრძელებლად. ბაღდადიდან სულ სხვა გუარამი ჩამოვიდა, მიქაელსა და გრიგოლს ცალყბად ესალმებოდა, თავს მაღლა სწევდა. ამირას სასახლეში პატივით მიღებულს, ყოფილი ნაცნობ-მეგობრები ბუზად ეჩვენებოდა. მიქაელი ამას ვერც ამჩნევდა. ოღონდ მისი დის ყურადღება დაემსახურებინა და სულ მთლად მოსამსახურედ დაუდგებოდა გუარამს.

გრიგოლს არ მოსწონდა არც გუარამის დაწინაურება ამირას კარზე და არც მიქაელის ამჩატება სიყვარულის გამო. გრიგოლი სხვა გეზის აღებას აპირებდა ცხოვრებაში, მაგრამ ჯერ ვერ გადაეწყვიტა, ჯერ მომზადებულად არ თვლიდა თავს.

ისინი გალავანს მოფარებულები იდგნენ და ელოდნენ, თვითონაც ვერ იტყოდნენ ვის ელოდნენ, რატომ ატუზულიყვნენ ზღუდე-გალავანთან.

— წავიდეთ, უკან მიბრუნებას ვერ მოვასწრებთ, — უთხრა გრიგოლმა მიქაელს.

— ცოტა კიდევ და წავიდეთ. — მიქაელი ჭიშკართან ტრიალებდა და სამზერს ეძებდა. რამდენ ხვრელს ნახავდა, ყველგან უნდა მოესინჯა, თვალი ზედ მიედო, იქნებ როგორმე ეზოში შეეჭვრიტა. ცხენები გრიგოლს ეკავა სადავით.

თითქოს წინასწარ დაეთქვათო, ბჭისკარი სწორედ მაშინ გაიღო, როცა მიქაელი ზედ მიადგა. მსახურებმა კარი ფართოდ გააღეს. ძაძით მოსილი ქალები გამოვიდნენ იქიდან. ქალებს შავი თავსაბური სულ მთლად ჩამოეშვათ თავპირზე. მწუხარედ დადუმებულნი, თავჩაქინდრული მიდიოდნენ სადღაც, ალბათ სასაფლაოზე, როცა ძაძით მოსილებმა მიქაელს ჩაუარეს, უნებლიედ, თითქოს წამოცდაო, წაიდუდუნა: ანო! შავით მოსილი გოგო შეჩერდა, თავსაფარი გადაიწია. პირისახე გამოაჩინა, თითქოს ბნელ ღამეში მზე ამოვიდაო, შუქიანი თვალები წამით მიაპყრო მიქაელს და უმალ დაიბურა ისევ სახე, შავოსნებს შეერია.

---

* ტვინის ანთება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიქაელს ენა წაერთვა, გონება დაუბნელდა. გაქვავებული იდგა ერთ ადგილას და იქიდან იყურებოდა, საითაც შავოსნები თვალს მიეფარნენ, გრიგოლიც იქითკენ იყურებოდა კარგა ხანს.

— წავიდეთ! — თქვა ბოლოს გრიგოლმა ხმადაბლა.

მიქაელს არაფერი ესმოდა ამ ქვეყნისა. ხელივით ატრიალებდა თვალებს, რაღაცას ლუღლუღებდა თავისთვის.

— მიქაელ! — ხელი მოჰკიდა და შეანჯღრია გრიგოლმა.

— გამიცინა, ხომ დაინახე, როგორ გამიცინა. მგონი რაღაც მითხრა კიდეც. მაგრამ მე ვერ გავიგონე. — პირი უცინოდა ჭაბუკს, გრიგოლმა თვალი მოარიდა. ანოს არც გაუცინია და არც არაფერი უთქვამს.

— ვნახე კი, ვნახე... — ჩაიდუდუნა, თან მისი ცხენის აღვირი მიაჩეჩა ხელში.

მარჯვედ მოახტნენ ცხენებს.

მოულოდნელად მიქაელმა ცხენს მათრახი გადაუჭირა და გაქუსლა, გრიგოლიც მიჰყვა უკან, ხელად გაირბინეს მოგვთა უბანი და მტკვრის ნაპირებისაკენ დაეშვნენ. მიქაელი თავაწყვეტილი მიაჭენებდა ცხენს, ხანდახან მოხედავდა მეგობარს, გრიგოლიც მისდევდა შორიახლოს და შორიდანვე ეძახდა არაგვისკენო, არაგვზე უკეთესი ფონი ეგულებოდა, მიქაელს არ ესმოდა გრიგოლის ხმა, ფონი არც უძებნია, ყაჩაღივით შეაგდო ცხენი წყალში და გრიგოლს ხელი დაუქნია მომყევიო. მარჯვე ცხენოსანს უფონოდაც შეეძლო გასვლა, თუ მორევში არ ჩავარდებოდა, ზოგან წყალი ცხენს მუხლამდეც კი ვერ წვდებოდა.

მიქაელის ცხენი ერთი-ორჯერ მაინც ააცურა მდინარემ, გრიგოლმა ფონი მოძებნა, ცხენიდან გადმოხტა, წუღები გაიძრო, წესისა და რიგისამებრ ცხენს თვითონ შეუძღვა წყალში და შემდეგ მოახტა. ხელად გავიდნენ მეორე ნაპირზე და ჯვრის საყდრის გზას დაადგნენ.

შემოდგომის მზიანი დღე იწურებოდა. მზეს მცხუნვარება დაკარგოდა და მთვარეს უფრო ჰგავდა ვიდრე მზეს, ელვარება არ ჰყოფნიდა, მაგრამ სიცხოველე შერჩენოდა. თბილი მზე ბიჭებს სიამოვნებდათ, დავიწყნოდათ ერთდღიანი წამება შურტების დილეგში და ქვეყანა სამოთხედ ეჩვენებოდათ.

მიქაელს თვალწინ ანო ედგა და ანოს მზით იყო განათებული მთელი ქვეყანა, გრიგოლს კი ქართლის ცისა და მიწის ეშხი ატყვევებდა, წმინდა მიწაზე ყოველ ხეს, ყოველ ბუჩქს სიყვარულით შეჰფოფინებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაქაფული ცხენები საძოვარზე მიუშვეს, მოკლეზე მოვჭრიეთო, იფიქრეს და მთის ბილიკს აუყვნენ ფეხით.

უკან თორმეტთა მოციქულთა ტაძარი რჩებოდა, წინ მთაზე დიდებულად აღმართულიყო ცხოველი ჯვრის საყუდარი.

მიქაელი წინ მიდიოდა, უკან აღარც კი იყურებოდა, გრიგოლს უნდოდა მეგობარი ამ ქვეყანაზე დაებრუნებინა და შეკითხვებს აძლევდა. მიქაელი „ჰო", „არათი" პასუხობდა.

— მიქაელ! — დაუძახა გრიგოლმა, გრიგოლი მცხეთას გასცქეროდა, მიქაელიც მობრუნდა, და გვერდში ამოუდგა. — იქ ძირს სიონია, — ხელს იშვერდა გრიგოლი თორმეტთა მოციქულთა სახელზე აგებულ სვეტიცხოველის ხის საყდრისაკენ, — ჩვენ მივდივართ გეთსიმანიის მტილით გოლგოთასაკენ. აგერ თაბორის მთაც, იქით ბეთანიაა, მცხეთა ქართველთა იერუსალიმია.

მიქაელი გატრიალდა და წავიდა, ყური აღარ დაუგდო მეგობარს. კარგა ხანს მიდიოდნენ მუნჯად. მათი გზები უნდა გაყრილიყო, გრიგოლს თუ სამშობლოს სიყვარული სწვავდა, მიქაელს ანოს სიყვარული არ ასვენებდა. მიქაელი ანოს გულისათვის ყველაფერს დათმობდა, გრიგოლი სამშობლოს გულისათვის იყო თავგადადებული. რაც მათ თიშავდათ, სწორედ იგივე აერთებდათ — სიყვარული. ორივეს გატაცებით უყვარდა.

— კაიაფას მხედრობა! — შესძახა უცებ გრიგოლმა. მიქაელმა მთის ფერდობზე შეფენილი ტყისაკენ გაიხედა. იქ არაბ მოლაშქრეებს დაეცათ კარავი.

— გეთსიძახიის მტილში იესო, ბაცხოვარი ჩვენი, კაიაფას მხედრობამ შეიპყრო... — განაგრძობდა გრიგოლი, მაგრამ მიქაელი არ უსმენდა, მას თავისი საფიქრალი გასჩენოდა.

— მიქაელ, — კვლავ დაუძახა გრიგოლმა, მიქაელი შეჩერდა და მოიხედა, გრიგოლი მიეახლა, თითქოს საიდუმლო უნდა გაანდოსო, უთხრა:

— მე მინდა ჩვენ ერთად ვიყოთ...

— განა ერთად არა ვართ?..

მიქაელი ატყობდა, რომ გრიგოლს ენაზე მომდგარი სიტყვა აწუხებდა, თქმა ვერ გაებედა.

— ერთად ვართ და მაინც არა ვართ ერთად.

— არ მესმის რას მეუბნები.

— მიქაელ! მე სხვანაირად არ შემიძლია... — კვლავ ყოყმანით თქვა გრიგოლმა.

— რაო, მოგაგზავნეს? — უცებ იკითხა მიქაელმა და ხახე ბოლო-ტად მოღუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მომაგზავნეს? — შეცბა გრიგოლი, — შენ რა, იცი?

— ყველამ ყველაფერი იცის, — თქვა მიქაელმა ცივად და წინ წავიდა, — მე არ მსურს თქვენთან ვიყო. — მოაძახა მოულოდნელად.

— რა იცი შენ? ან საიდანც იცი? — გამოუდგა გრიგოლი.

— მე კი არა, უკვე მთელმა ტფილისმა იცის, ქართველი ხალხი არ მიიღებს მონაწილეობას თქვენს შეთქმულებაში, მე ჩემს ხალხთან და მის ერისმთავართან ვარ, ჩვენ არ გვჯერა თქვენი...

გრიგოლმა ყურებზე იტაცა ხელი. კარგა ხანს იდგა ერთ ადგილას გაოგნებული. მიქაელი რაღაცას ბურტყუნებდა თავისთვის. ბოლოს ისიც შედგა, გრიგოლს დაელოდა. მიქაელი გრიგოლს გამომცდელად უყურებდა. ბოლოს თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და დამცინავად ჰკითხა:

— შენ რას გავალებენ, ლაშქრის რომელ ფრთას უნდა წარუძღვე?! კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო, — ჩაიცინა მიქაელმა, შემდეგ გრიგოლს ყურში ჩასჩურჩულა, — თუ შენ მართლა გინდა ჩვენ ერთად ვიყოთ, დაანებე ბიძაშენს თავი, სტეფანოზი მე ამირას სასახლეში მპირდება გადაყვანას, ჩემს ადგილას შენს თავს მივაღებინებ.

— არა! — თქვა მტკიცედ გრიგოლმა, მე ტაო-კლარჯეთს მივდივარ...

— ესეც ახალი ამბავი! აკი შეთქმულების მონაწილე ვარო. რა გინდა ტაო-კლარჯეთს?

— იქიდან ვიწყებთ.

— რას იწყებთ იქიდან?

— ქართველთა აღდგენას, აი, ეს იწყებს. — გრიგოლმა უბიდან მოზრდილი ჯვარი ამოიღო და მიქაელს უჩვენა.

მიქაელმა გადაიხარხარა.

— რა გაცინებს, შენც უნდა წამოხვიდე, მამაშენი გვაგზავნის. — თქვა უცებ გრიგოლმა და მიქაელი ელდანაკრავივით შედგა.

— მამაჩემი?!

— მე და შენ, — უთხრა ამაყად გრიგოლმა. — კათალიკოსმა იცის.

— ჩემთვის არაფერი უთქვამს. — დაფრთხა მიქაელი.

მიქაელმა იცოდა, რომ ნერსეს სასახლეში საეჭვო ფაცაფუცი იყო ამტყდარი, მაგრამ დაჯერება არ უნდოდა, „მამაშენი გვაგზავნისო“, ავისმომასწავებელი იყო ეს ამბავი. თუკი გრიგოლს ჩააცივდე-

ბოდა, ყველაფერს ათქმევინებდა, მაგრამ არ უნდოდა მეტის გაგება, რახან საკუთარი მამა უმალავდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ შეთქმულება ნამდვილად მზადდებოდა და საზარელი სისხლისღვრა ელოდა მომდგარი. „ნეტა კლარჯეთში რისთვის მიდიან“, ფიქრობდა თავისთვის მიქაელი. „რის აღდგენას ვიწყებთო, რა უნდათ, რატომ არ ისვენებენ“, — დაჟინებით ფიქრობდა ჭაბუკი და თავჩაღუნული მიდიოდა აღმართზე. ანოც გადავიწყნოდა, ის ბედნიერი წამებიც, წელან რომ განიცადა და შეჭირვებული, შეწუხებული მამაზე ფიქრობდა.

აღმართი ამოათავეს.

მონასტრის გალავანს რომ მიუახლოვდნენ, ჯერ გაკვირვებულები შედგნენ, შემდეგ თავზარდაცემულები გაქანდნენ კარისაკენ. შუბოსნები დაეყენებინათ დარაჯად. თვალს არ უჯერებდნენ, ერთმანეთს შესცქეროდნენ გაოცებულები და შეშინებულები: ჯაჭვის ეკლესია აეკლოთ, კარები ჩამოეგლიჯათ და ცხენები შიგ ფრუტუნით შედიოდნენ. მცირე საყდარიც გაეძარცვათ და ბერების სენაკებიც.

„სულ უარესის მოლოდინში უნდა ვიყოთ“, — გაიფიქრა მიქაელმა, მას ჯერ ის ვერ მოენელებინა, რაც გრიგოლმა შეატყობინა და უცებ ასეთი მეხი დაატეხეს თავზე!

„ეს კი მეორედ მოსვლის დაწყების ნიშანია“, — ფიქრობდა გრიგოლი და შეშინებული აქეთ-იქით იყურებოდა, უფრო საზარელი კიდევ ხომ არაფერი გამოჩნდებაო.

შუბოსანს შიშით მიუახლოვდნენ, პირჯვარი გადაიწერეს და ეზოში შესვლა დააპირეს.

— უკან! — უთხრა მათ შუბოსანმა მკაცრად.

ყმაწვილები შედრკნენ. გაფითრებულები ლუღლუღს მოჰყვნენ არაბულად.

— მაინც რრრაა... დანაშაული მიგვიძღვის ღვთის წინაშე. — ენა დაება მიქაელს.

— ამირას ბრძანებაა, — მიუგო შუბოსანმა.

— ბერები სად არიან? — ჰკითხა გრიგოლმა.

— არ ვიცი, ამირას ბრძანებაა... — თქვა ყინჩად შუბოსანმა. გრიგოლმა ერთხელაც შეიხედა გალავნის შიგნით. მთელი რემა შეერეკათ შიგ და თივა დაეყარათ. ჩონჩორიკისა და ცხენის ოფლის სუნი გამოდიოდა იქიდან, თივის ხრამუნი და ხვიხვინი მოისმოდა.

— როდის მოხდა ეს? — ჰკითხა გრიგოლმა შუბოსანს.

შუბოსანმა ხმა არ გასცა.

— გეკითხები, როდის მოხდა-მეთქი!

— არ ვიცი, ამირას ბრძანებაა! — დაიღრიალა შუბოსანმა და გრიგოლს შუბი მოუღირა, ბევრს ნუ ლაპარაკობ.

— შეიპყრეს! — ალმოხდა მიქაელს და სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. დაემხო. გრიგოლმა უკან დაიხია და შუბოსანთან დავა მაინც-ვერ-ვერ-ძო — იქნებ რამე შევასმინოო.

— რა ბრძანა ამირამ, გაგვაგებინეთ, ეს ხომ ჩვენი სალოცავია?!

— არ ვიცი, არ შეიძლება.

— ბერები სად არიან, ჩვენ სხვა არაფერი გვინდა, — შეეხვეწა გრიგოლი დარაჯს, — ამ მოყმის მამა იყო აქ, სად წაიყვანეთ, ეს მაინც გვითხარი, ვაჟკაცი არა ხარ?

— აქ ბერები არ არიან, თავლაა! — ხმას აუწია შუბოსანმა.

— თქვენ მარტო ხართ აქ თუ სხვებიც არიან? — გრიგოლმა გაიხედ-გამოიხედა გარშემო, იქნებ სხვა ვინმემ გამცეს ხმა ადამიანურადო.

— გაიარე-მეთქი! — კვლავ წინ გადაუდგა შუბოსანი.

სენაკის კარმა გაიჭრიალა და იქიდან ტანსრულმა, თავმოტვლეპილმა არაბმა გამოსძახა შუბოსანს:

— მოაშორე ეს ღლაპები აქაურობას, თორემ თავებს დავაყრევინებ!

გრიგოლმა მიქაელს გახედა. მიქაელი თავდალმა დამხობილიყო, ტიროდა და სიმწრისაგან თუ შიშისაგან მიწას ჭამდა.

უცებ გრიგოლი გაექცა შუბოსანს. გადადგა მთის თხემზე, მცხეთისკენ ქნა პირი და თითქოს მთელ საქართველოს საშველად ეძახისო, ჭაბუკური ხრინწიანი ხმით ყვირილი მორთო:

— ქრისტიანებო! ქართველებო!

კიდევ რაღაც სიტყვები ამოიხრიალა, მაგრამ აღარ დასცალდა, მონასტრის ეზოდან შუბოსნები გამოვარდნენ, მისცვივდნენ გრიგოლს, ხელები უკან გადაუგრიხეს, თვალისდახამხამებაში შეკრეს და ფერდობზე კუნძივით დააგდეს.

მიქაელმა ერთი გახედა მეგობარს, მიშველება არც კი უფიქრია. ტიროდა, მოთქვამდა, მიწას ჭამდა, და თავზე იყრიდა იობივით. ხელფეხშეკრული გრიგოლი პირალმა იწვა მიწაზე და ხმას არ იღებდა, მხოლოდ მხრები უთახთახებდა, ისიც ტიროდა ჩუმად.

ბოლოს მიქაელი მისკენ გამოხოხდა და გვერდით მიუწვა. შუბოსანი გალავნის წინ იჯდა. შუბი კედელზე აეყუდებინა; უაზროდ იცქირებოდა სადღაც, ხანდახან გასცემდა ხმას მეორეს, ვინც წელან დაეხმარა გრიგოლის შეკვრაში და კვლავ გალავნის გადალმა შეიმალა.

სენაკიდან ეძახდა. რაღაცას თხოვდა იქიდან. შუბოსანი წამოდგომას არ აპირებდა, დაღლილიყო გრიგოლთან ძიძგილაობაში.

მიქაელი წამოდგა. ბარბაცით მივიდა შუბოსანთან, [illegible] თი დინარი ამოიღო და გაუწოდა. შუბოსანმა გამოართვა, [illegible] იდო, კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა მიქაელი, თითქოს მძიმე გადაწყვეტილება უნდა მიიღოსო, ღრმად ჩაფიქრდა. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა გაიღო:

— ფეხებს შევუხსნი მხოლოდ.—თქვა და წამოდგა. დანა ამოიღო. თოკი ერთგან გადაჭრა, შეუხსნა ფეხები, ხელები ზურგს უკან შეკრული დაუტოვა და ორივე მკაცრად გააფრთხილა:

— გაიპარეთ, გზაში არ იყაყანოთ! მიქაელმა გრიგოლს მკლავზე მოჰკიდა ხელი და ტუსაღივით წაიყვანა. თავდაღმართზე დაეშვნენ, უტევანზე გასცილდნენ თუ არა მონასტრის ეზოს, მიქაელმა გრიგოლს ხელებიც შეუხსნა და სულმოუთქმელად ჩაირბინეს თავდაღმართი. ხელათ მოახტნენ ცხენებს და მცხეთისაკენ გაქანდნენ, პირველ ყოვლისა, მღვდელმთავრისათვის უნდა მოეხსენებინათ საზარელი ამბავი და შემდეგ სტეფანოზისთვის.

სამოელ ქართლის კათალიკოსის კარზე მიქაელსა და გრიგოლს უთხრეს, რომ კათალიკოსმა იცის ჯვრის მონასტრის აკლების ამბავი და თბილისს არის წასული ამირასთან მოსათათბირებლადო.

— იოანე, იოანეს რა უყვეს? — ჰკითხეს ხსართან მღვდელს ბიჭებმა.

— სწორედ იოანეს ეძებენ ურჯულოები, იმიტომაც აიკლეს მონასტერი, — მიუგო ხსართანმა.

— არ შეუპყრიათ? — გაიკვირვა მიქაელმა.

— არა, ვერ მოასწრეს.

ბოლოს ხსართან მღვდელმა მიქაელი გვერდით გაიხმო და საიდუმლოდ უჩურჩულა:

— ამბობენ, მამაშენი ნერსეს დავალებით ხაზარეთში წავიდაო.

მიქაელი გაფითრდა, ერთბაშად წარმოიდგინა, თუ რა მოჰყვებოდა ამ ამბავს და მიწისფერი დაედო. გაახსენდა რამდენი აწვალეს შურტებმა იმისათვის, რომ დაედგინათ, თუ როდის ნახა უკანასკნელად მამა. „თურმე წასული ყოფილა“, — ფიქრობდა მიქაელი. წანარებთან წასვლის ამბავიც წვრილად გამოჰკითხეს, მიქაელმა არაფერი იცოდა, გარდა იმისა, რომ მამა წანარეთს ეკლესიის დავალებით იყო წასული. შურტები კი ეკითხებოდნენ, ვინ არიან შეთქმულების მონა-

წილენი, გარდა წანარებისა, კიდევ ვისთან იყო მამაშენი ~~ფოსათბი-~~
რებლადო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიქაელი ამაზე ცხარობდა და შურტებს კანონით და საქართველოდ ემუქრებოდა. მართალია, იოანე რაც ბერად შედგა, მთელი საქართველო შემოიარა, ტაო-კლარჯეთშიც იყო, კახეთ-კუხეთშიც, შავშეთსა და ჰერეთშიც, მაგრამ მიქაელს შეთქმულების თაობაზე, მართლაც, არაფერი გაეგონა.

როცა მღვდელმსახურმა უჩურჩულა: მამაშენი ნერსეს დავალებით ხაზარეთს წასულაო, ენიშნა, ვაითუ შურტების ეჭვი გამართლდესო. თვითონაც შეიპყრეს ეჭვებმა.

გაოგნებულსა და გაფითრებულს გრიგოლი მიუახლოვდა, შეანჯღრია და როგორც მომაკვდავს, ჩასძახა:

— რა მოგივიდა, მიქაელ?

— აბოს გამო კი არა, თურმე მამაჩემის გამო გვაწვალეს. — ყრუდ ამოიბუბუნა მიქაელმა, თითქოს სამარიდან ამოიძახაო. იქვე უთხრა გრიგოლს, რაც მღვდელმსახურმა უჩურჩულა და ცოცხალ-მკვდრები გამოვიდნენ საკათალიკოსოდან.

ჯვრის მონასტრის აკლებამ ცხვარივით მშვიდი და წყნარი კაცი სტეფანოზიც გაამძვინვარა. დატოვა თავისი სასახლე და ამირასთან ჯიქურ, თითქმის უკითხავად შეიჭრა.

სამოელ კათალიკოსიც იქ დახვდა, ისიც გაგულისებული და აღშფოთებული მოვარდნილიყო. ამირა მშვიდად იჯდა ტახტზე და იქედნურად შესცქეროდა საომრად შემართულ ქართველებს.

— მაჰმადიან მსაჯულებს შორის ყველაზე სამართლიანო, დიდო მსაჯულო, შორიათისა და მაჰმადის სჯულის ცოდნით ამაღლებულო, მზე ხალიფასაგან უხვი წყალობით გამორჩეულო, ჩვენო ბატონო, მფარველო და მწყალობელო.

სამოელ ქართლის კათალიკოსი ფეხზე იდგა. ხელთ მღვდელმთავრის კვერთხი ეპყრა, ლიტონად შავი სამონაზონო მანტია მოესხა და ძვირფასი თვლებით შემკული ოქროს მიტრა ეხურა.

მართალია, ამირას ტიტულებს კათალიკოსი ქრისტიანული სიმშვიდითა და მორჩილებით წარმოთქვამდა, მაგრამ სახეზე აღბეჭდოდა სიამაყე და ღირსება მღვდელმთავრისა, ჩაცმულობა, სიტყვა-პასუხი და თვით გარეგნობაც რიდსა და კრძალვას იწვევდა.

სტეფანოზი გვერდით ედგა მღვდელმთავარს და ყოველ მის სიტყვას გუნებაში სასწორზე წონიდა, ხან ამირასაკენ გადაიხრებოდა სასწორი, ხანაც კათალიკოსისაკენ.

— სამწყსო ჩემი მორჩილია განგების ნებისა, — დინჯად ბუტბუტებდა სამოელი.—რამეთუ უფალი ჩვენი გვასწავლის: „რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთკერძოსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწყსო ჩემი ერთგულია აღმოსავლეთისა და დასავლეთის მპყრობელი, მძლეთა მძლე ხალიფასი, რამეთუ უფალი თქვენი გვასწავლის: „დაემორჩილეთ ალაჰს, დაემორჩილეთ მოციქულს მისას და იმათ თქვენ შორის, ვისაც აქვს ძალაუფლება“.

სამწყსო ჩემი უშფოთველია, გადამხდელი ხარაჯისა, ჯიზიასი, უშრისა, სადაკასი... ყველა საარაბო ხარკისა, რამეთუ მთელი დედამიწის მეუფე ხალიფა იცავს მას მტრებისაგან.

სტეფანოზი კმაყოფილი შესცქეროდა კათალიკოსს, იცოდა, რომ ჭკვიანი კაცი იყო. მაგრამ ამ საბედისწერო წუთებში მოქნილობა და გამჭრიახობა უნდა გამოეჩინა.

სამოელი აღშფოთებასა და გულისწყრომას მოხერხებულად მალავდა. დამაჯერებელ სურათს ხატავდა იმისას, თუ რა ერთგული იყო ქართველი ხალხი თავისი მბრძანებლისა, მბრძანებელი კი, სამოელის სიტყვით, ზოგჯერ ზოგიერთთა უზნეობის გამო უსამართლოდ ექცეოდა ქვეშევრდომს.

— თქვენ უკეთ უწყით, მოწყალეო ხელმწიფევ, მრისხანე მურვან იბნ-მუჰამედი საქართველოში ასოცათასიანი ლაშქრით შემოიჭრა, შემუსრა ქალაქები და ციხეები, გაჟლიტა მოსახლეობა, უდაბნოდ აქცია სოფლები, სისასტიკის გამო ხალხი მას დღესაც „მურვან ყრუს“ ეძახის.

სწორედ ის, რაც მურვან ყრუმ არ იკადრა, იკადრა ზოგიერთმა ხალიფას სახელის შემარცხვენელმა თქვენმა მოხელემ. გაძარცვეს, აიკლეს და თავლად აქციეს ხალიფა მაჰდის ერთგული ერის წმიდა ალაგი, საარაბო ხარკის მორჩილად და კეთილსინდისიერად გადამხდელი ხალხის ძველისძველი სალოცავი ჯვრის მონასტერი.

მე მჯერა, რომ თქვენ ამის თაობაზე არაფერი იცით. შურტათმთავარი ჰაჯიჯ იბნ-ალ ბაბაქი ქართველი ერის დაუძინებელი მტერია. ის ამზადებს შეთქმულებას ჩვენს წინააღმდეგ. რათა ახალი ხოცვა-ჟლეტა გამართოს. თქვენ ალბათ გახსოვთ თუ ვინ არის ჰაჯიჯ იბნ-ალ ბაბაქი?

უცებ ჰკითხა კათალიკოსმა ამირას და პასუხს დაელოდა. არც ამირამ და არც სტეფანოზმა არ იცოდნენ შურტათმთავრის ნამდვილი ვინაობა. ამირას ყური მოეკრა, ბაბაქები ომაელთა ერთგული მსახურნი იყვნენ, აბასელები არ ენდობიან და თბილისში ამიტომ გამოგზავ-

ნესო. ეს ზღაპარს უფრო ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს და ამირას ყურადღება არ მიუქცევია. ახლა კათალიკოსმა რომ იკითხა ბაბაქის ვინაობა, ყური სცქვიტა ამირამ, მოხუცმა ახალი ხომ არაფერი იცოდა.

— არა, არ მახსოვს ვინ არის! — ცივად მიუგო ამირამ.

— ჰაჯიჯ იბნ იუსუფის შთამომავალია, ვინც ლოდმტყორცნელებით დაანგრია ქაბას ტაძარი. თავისი სისხლისმსმელი პაპის სახელი ჰქვია — ჰაჯიჯი. ბაბაქები არა მარტო ქრისტიანების, ჭეშმარიტი მუსლიმების მტრებიც გახლავთ, მათ სისხლში გაჯდომიათ წმინდა ტაძრების დანგრევა. საუკუნის წინათ ერთმა ბაბაქმა მაჰმადის წმიდა ტაძარი დაანგრია, დღეს კიდევ ქრისტეს წმიდა საყოფელი აქცია თავლად მისმა ნაშიერმა. რისთვის, რა დავაშავეთ? არსად, არც ერთ სიგელში არ გვიწერია სალოცავების თავლებად გადაქცევა!

სტეფანოზმა, მართლაც დიდი უსამართლობაა ჩადენილი, დაასკვნა და უცებ მოურიდებლად ჩაერია საუბარში.

— მსაჯულო და გამგებელო ჩვენო, დიდო ამირავ თბილისისა და სრულიად ქართლისა! ის საყდარი ჩვენი სალოცავია — ქართლის ერისმთავრებისა, ჩემი წინაპრების აშენებულია. თუ ბაბაქები წმიდა საყდრებს ანგრევდნენ, ჩვენ ვაშენებდით. როგორც ერისმთავარი, მოვითხოვ ჩემი საკუთარი საყდრის აღდგენას და დამნაშავის დასჯას.

სტეფანოზი შეჩერდა. მოეჩვენა, რომ გადააჭარბა, სიფიცხე და თავმოყვარეობა ხელად დათრგუნა, მბრძანებელს ქედი წაუხარა და თავის ჭკუით გულითადად თხოვა:

— თქვენ უნდა გვიშველოთ, დიდო მსაჯულო, ნუ გააგებინებთ ამ ამბავს ბაღდადს, სისხლისღვრა გვაკმარეთ, დამნაშავე მოგვეცით და სამაგალითოდ ჩვენ თვითონ დავსჯით.

სტეფანოზმა ამირას წინაშე მუხლი მოიყარა და თავი ჩაქინდრა.

— თქვენ დაამთავრეთ? — ჰკითხა ამირამ სტეფანოზს.

— დიახ.

— არა, — თქვა სამოელმა, — მე არავის დასჯას არ მოვითხოვ, დიდო მსაჯულო და გამგებელო ჩვენო! ქართველმა მღვდლებმა თქვენთან გამომგზავნეს მხოლოდ იმისათვის, რომ შეგატყობინოთ, თუ როგორ განუდგა უფალს თქვენსას თქვენივე მრევლი. ისინი ალაჰის ნებას არ ასრულებენ. ალაჰი არ ბრძანებს ქრისტეს სალოცავები დაანგრიეთო. ალაჰი მოწყალეა და შემწყნარებელი.

ჩვენ თავმოდრეკილი ვდგავართ თქვენს წინაშე და ყვრიმალიც მზადა გვაქვს საცემრად, მაგრამ უსამართლოდ ცემის ნებას არ გაძლევთ უფალი თქვენი — დიდი ალაჰი. იგი გასწავლით: „უსამართლობა არ

ჩაიდინოთ, ვინაიდან ღმერთს უსამართლონი არ უყვარან. კეთილი ჰქმენით, ვინაიდან ღმერთს უყვარან კეთილის მყოფელნი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა სამოელმა და დადუმდა. ყურანის ენაზე მოლაპარაკე კათალიკოსის მოთხოვნას მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე სტეფანოზის ხვეწნა-მუდარას.

ხომ ალაჰის სახელით ბრძანებდა სამართლიანობის აღდგენას მწყემსთმთავარი, ამირას გულზე მოხვდა სწორედ მისი ნამჭევრი და არა სტეფანოზისა, თუმცა დამნაშავეთა დასჯა ერისმთავარმა მოითხოვა მტკიცედ და თავიც შესაფერისად მოიდრიკა.

კათალიკოსს ეწადა სამართლიანობის, კეთილმოყვარეობის, პატიოსნებისა და წესიერების აღდგენა, ერისმთავარს კი პირადი საკუთრების დაბრუნება.

კათალიკოსი ლაპარაკობდა ერისა და ღვთის სახელით, ერისმთავარი კი მხოლოდ თავისი სახელით. ცხადია, ამირას კათალიკოსისათვის უნდა გაეცა პასუხი, სწორედ ერისა და ღვთის სახელით დაემტკიცებინა სიმართლე.

— მეუფება ალაჰისაა, დიდ არს ალაჰი და ალაჰის სახელით, ალაჰის ნებით ვიქმთ ყოველივეს, ვაქებდეთ ღმერთსა, ქვეყნის მეუფესა, მოწყალესა, შემწყნარებელსა...

ამირამ ისეთი სიმშვიდით დაიწყო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს საამიროში, თითქოს მართლა სიწყნარე და კეთილგანწყობა სუფევდა მთად და ბარად. თვითონაც მაინცდამაინც არაფერი აწუხებდა. მოწუწუნე ქართველებთან სადავო არც არაფერი ჰქონდა.

— სასიამოვნო იყო თქვენი მოსმენა, თქვენი პირი სიმართლეს ღაღადებდა, თქვენ ბევრი რამ ჭეშმარიტი ბრძანეთ. მაგრამ ჩვენი საუბარი დღეს მაინც არ შედგება, მზად არა ვართ ღვთის სახელით ვილაპარაკოთ. არ ვიცით რაზე ვიმსჯელოთ. სწორი განსჯა კი მსაჯულისაგან მოითხოვს ცოდნას. თქვენ ერისმთავარი ბრძანდებით, — ამირამ სტეფანოზს გაუყარა თვალი თვალში, — არ იცით კი სად არიან თქვენი ერისთაგანნი... თქვენ კიდევ ერის სულიერი მამა, — ახლა სამოელს მიუბრუნდა ამირა, — არც თქვენ იცით, სად დაწანწალებს თქვენი მსტოვარი ბერი.

ამირა უცებ გაჩუმდა და გამომცდელად დაუწყო ყურება სამოელს.

— მე არ მითქვამს არ ვიცი-მეთქი, — მოულოდნელად მშვიდად მიუგო სამოელმა, სტეფანოზიც კი შეცბა, შეეშინდა კიდეც, სამოელს სასოწარკვეთილმა შეხედა, რის თქმას აპირებო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბერი იოანე ჩემი დავალებით არის აფხაზეთს, მცხეთას ნაკურთხი მირონი წაიღო ქართველთა საზიარებლად.

— ცრუობ! — შესძახა ამირამ და შეეტყო, რომ გაცეცხლებულიყო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სამოელს წარბიც არ შეტოკებია, ვითომც აქ არაფერიაო, წელანდებური სიმშვიდით განაგრძო საუბარი:

— მრისხანება პატრონს და გამგებელს არ შეჰფერის, დიდო მსაჯულო. მეცა და ბერი იოანეც იმის ცდაში ვართ, მცხეთას დავუმორჩილოთ ყოველი ქართველი, რაკი მცხეთა და თვით ქართლის კათალიკოსი თქვენი მონა-მორჩილია, მაშ, ჩვენი მცდელობა ხალიფატს მოუტანს სიკეთეს.

ლაზიისა და ქალდიის საეპისკოპოსოებს, თვითონ აფხაზეთის საკათალიკოსოს დღეს იონთა პატრიარქი განაგებს, მაშინ როცა ეს მხარე ჩვენი სამწყსოა და თქვენი საყმო. ქართულ ეკლესიაში უნდა ლოცულობდეს ქართველი ხალხი და საღვთოსთან ერთად საარაბო შესაწირავიც უნდა მიჰქონდეს. აი, რა მისიით „დაწანწალებს“ ბერი იოანე წანარეთს, კახეთს, ჰერეთს. დღეს კი ამავე დავალებით აფხაზეთშია. მცხეთის მირონი უნდა წავცხოთ მთელ საქართველოს და უძლეველ ხალიფას დავუმორჩილოთ ამერ-იმერი. განა ამისათვის აკლება გვეკუთვნის?!

სამოელი მართალს ამბობდა, იოანე მართლაც დადიოდა მთად და ბარად და კათალიკოსის დავალებას ასრულებდა, მაგრამ მას სხვა დავალებაც ჰქონდა, ეს ეჭვად იცოდა სტეფანოზმა, იცოდა ამირამაც, სამოელმაც იცოდა, თუ რა ზრახვა ედო გულში ამირას, როცა მას ვითომდა მშვიდად ელაპარაკებოდა. მაგრამ ეჭვი და გულისზრახვა ერთი იყო, საქმე კი სხვას ღაღადებდა, ვერც სამოელს და ვერც იოანეს ხალიფატის ერთგულებაში თვით ამირაც კი ვერ დასდებდა ბრალს. ისე ჩანდა, ისინი ქართული ეკლესიის ერთიანობისათვის იბრძოდნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მეტი მორწმუნე მონა-მორჩილი ჰყოლოდა ხალიფატს და საარაბო ხარკიც მეტი გადაეხადათ.

— მაშ, თქვენი აზრით, თქვენ ანგელოზები ბრძანდებით და ჩვენ ყაჩაღები? — ფეხზე წამოიჭრა ამირა, გაქანდა, დარბაზის სილრმეში, სადღაც კუთხეში დადგა რატომღაც, თითქოს იქიდან უნდა გამოქანდეს, როგორც ავაზა დააცხრეს სამოელს და ლუკმა-ლუკმად დაგლიჯოსო.

— რაც დღეს თქვენს ქვეყანაში ხდება, თქვენ, ქვეყნის მეხვეურთ, მიგაჩნიათ სწორად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოელმა სტეფანოზს შეხედა. სტეფანოზმა თავი ჩაღუნა და დააცადა. გამოცდილებით იცოდა, ამირასთან კამათს აზრი არ ჰქონდა.

— ეკლესია-მონასტრები გადააქციეთ შეთქმულების ბუდედ, ერთგულ მუსლიმებს გზა-კვალს უბნევთ, მამულსა და სჯულს ატოვებინებთ და თავი კვლავ ხალიფას ერთგულად მოგაქვთ? შემოიყვანეთ!— ბრძანა ამირამ და თითქოს იქვე, კარს უკან ჰყავდათ დამალულიო, შუბოსნებმა თავდახრილი მამა ონოფრე შემოიყვანეს. შეშინებული ბერი თვალებს აცეცებდა, ჭაღარა წვერს აცანცარებდა და ფეხათრეული მოდიოდა. მამა ონოფრე მამა იოანეს ერთ-ერთი მედასე გახლდათ, ჭეშმარიტი ღვთისმოსავი. მარად მოფსალმუნე მონაზონი. სამოელს უყვარდა მამა ონოფრე. ენდობოდა კიდეც. ამირამ ისეთი კილოთი ბრძანა მამა ონოფრე შემოიყვანეთო, სამოელსა და სტეფანოზს თავზარი დაეცა, ვაითუ ბერიკაცი გატეხეს და უკეთური ათქმევინესო.

მამა ონოფრემ მღვდელმთავარი და ერისმთავარი რომ დაინახა, ორივეს ფეხებში ჩაუვარდა და ბისონის კალთებზე კოცნა დაუწყო. სამოელმა ძვირფასი თვლებით მოოქვილი ჯვარი გაუწოდა, მამა ონოფრე ჯვარმა ხელად მოიყვანა გონს, წესისამებრ პირჯვარი გადაისახა, ემთხვია და ლოცვას მოჰყვა, შემდეგ ამირასაკენ გააპარა ქურდულად თვალი, შიშისაგან აკანკალებულმა რაღაც გადაწყვიტა. სასოწარკვეთით ამოიხრიალა: არ ვიცი, სად არის მამა იოანეო და კვლავ თავდაღმა დაემხო იატაკზე. ამირა დინჯი ნაბიჯებით წამოვიდა მისკენ, თავზე დაადგა და მსახურებს გასძახა:

— შემოვიდეს ბაბაქი!

ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქი შემოვიდა, სტეფანოზსა და სამოელს მიესალმა და ისიც თავზე დაადგა მამა ონოფრეს.

— ხომ გვითხრა ამან იოანე ხაზარეთშიაო, — თითი დაუმიზნა მამა ონოფრეს ზურგს ამირამ.

— დიახ, გვითხრა.

— რატომ გადათქვა? უნდა მიპასუხოთ, რატომ გადათქვა, — თქვა ამირამ და თავისი ადგილი დაიკავა.

— ერთი კვირაა იოანე თვალით არ მინახავს, — შესძახა მამა ონოფრემ. — არ მიჯერებენ, მაწამებენ ტყუილ-უბრალოდ, მამავ, ნეტარო! — ახლა კათალიკოსის კვერთხს მოებღაუჭა მოხუცი, — წმინდა გიორგი გამიწყრეს, სვეტიცხოველის მადლი წამიწყდეს, თუ ვიცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე სად წავიდა იოანე. თვითონ მეუბნებიან ასე თქვი: ხაზარეთს წავიდაო.

— დანარჩენები სად არიან? — ცივად იკითხა კათალიკოსმა.

— აქ არიან გვემულნი და შებილწულნი!.. — მამა ონოფრე მდუღარე ცრემლით ტიროდა, კათალიკოსს ფეხებზე ეხვეოდა და ტერფებს უკოცნიდა.

— თუ იოანეს დანაშაული მიუძღვის, დაე, დაისაჯოს იოანე! — თავი ვერ შეიკავა სტეფანოზმა, — ამ საწყალ ბერებს რას ვერჩით? ან მონასტერს რას ვემართლებით!

— „საწყალ ბერებს?“ — გადაიქირქილა ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქმა, — სწორედ თქვენი ბერები, ეს გადაცმული ჯაშუშები გახლავთ ჩვენი დაუძინებელი მტრები. აი, ეს „საწყალი“ გაიძვერა, თვითონ მოვიდა ჩვენთან, იოანე ნერსეს დავალებით ხაზარეთს წავიდაო, შემოგვჩივლა, ახლა კი სხვაგვარად ჭიკჭიკებს! შეგეშინდა?

— ტყუის! — იყვირა მამა ონოფრემ, — ქრისტიანებო, ცილს მწამებენ!

— გაიყვანეთ! — შესძახა ფიცხად ამირამ. შუბოსნები მამა ონოფრეს მისცვივდნენ და ძალით წაათრიეს.

— ვთქვათ, თქვენ მართალი ხართ, — წინ დაუდგა სამოელს ტანდაბალი ამირა, — იოანე არ არის ხაზარეთს წასული. სულ ერთია, ჯვრის საყდარი თავლად დარჩება.

სამოელს ონოფრეს უნეგეშობამ და ტანჯვა-წამებამ გული მოუკლა. ონოფრეზე ფიქრობდა, რითი ეშველა, რა ეღონა? ღვთის მსახურის ასეთი გაწვალება განა მოსათმენი იყო? ატყობდა, რომ სულ მეტი იყო ეს დავა-კამათი. სიტყვა ვერაფერს შეცვლიდა აქ, არც ხვეწნა-მუდარა გაჭრიდა. არც მუქარა და ყოყოჩობა. სასოწარკვეთილი იდგა. როცა ამირამ თქვა: ჯვრის საყდარი თავლად დარჩებაო, უიმედოდ წაიბურტყუნა.

— რატომ, მბრძანებელო, ასეთ სასტიკ განაჩენს რად ინებებთ ჩვენთვის? — ამოილუღლუღა და ხმა გაუტყდა, აუკანკალდა, ბოლო სიტყვა შუაში გაუწყდა. — ჩვენ... თვის... — ნაწილ-ნაწილ ამოთქვა და თვალთაგან ცრემლმა იწვიმა. არ მორიდებია, არ დაუმალავს ცრემლი, ღაპა-ღუპით ჩამოეღვარა ლოყებზე. მდუღარე ცრემლმა თეთრი წვერი დაუნამა.

— რატომ? — ნიშნისმოგებით უთხრა ამირამ, — რომელ სალოცავში არ ლოცულობენ და მაჰმადიანების გაქრისტიანებას და გადაბირებას ცდილობენ, იმ სალოცავს ჩვენ თავლებად ვაქცევთ მომავალშიც.

ეს უკვე სხვა ბრალდება იყო. აბოს გაქრისტიანებასაც ჯვრის მონასტერსა და მის ბერს — იოანეს აბრალებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მსაჯულთ-მსაჯულო, — ახლა სტეფანოზი შეეხვეწა მოელს. — ჯვრის მონასტერი არაფერ შუაშია, აბომ თვითონ უარჰყო სჯული და თვითონ შეუდგა ქრისტე ღმერთს. მე ველაპარაკე მას.

— ვერ დაგიჯერებ! — უცებ მოჭრა ამირამ და დარბაზში გაიარ-გამოიარა. ბოლოს სტუმრებს რისხვით შეხედა და მუქარის კილოთი უთხრა:

— თავისუფალი ხართ!

როგორც სამარიდან ამდგარი მკვდრები, შიშისაგან გალეულები და გაფითრებულები გამოვიდნენ სასახლიდან ერისმთავარი და მღვდელმთავარი.

— უწმინდესო! — შეაჩერა ერისმთავარმა დაფიქრებით მიმავალი კათალიკოსი, — ხიდის ჯვარი წაუქცევიათ და ზედ ლაფი დაუსხიათ... — ძალზე საიდუმლოდ უთხრა. — წამობრძანდით, გაჩვენებთ. — ეტლი შესთავაზა. კათალიკოსი უსიტყვოდ ჩაჯდა ეტლში. — ხელოსნებს მოგცემთ, ოღონდ თქვენ აღადგინეთ, მე უფლება არა მაქვს. — უთხრა თანაგრძნობით სტეფანოზმა.

სამოელი ჩუმად იჯდა, არც ავს ამბობდა და არც კარგს, ამირას თავხედობას გაემეხებინა. ერისმთავარმაც გაჩუმება არჩია. ქართლის ავბედობაზე სიტყვის ჩამოგდებისაც კი რცხვენოდათ. რაც ნაკლებს ისაუბრებდნენ, მით უკეთესი იყო მათთვის. ყოველი სიტყვა სინამდვილეს აშიშვლებდა და ერისმთავარსა და მღვდელმთავარს ორივეს მიწასთან ასწორებდა.

ფაფარაშლილი ცხენები ეტლს თავდაღმართში მიაგორებდნენ, ხელად შევარდნენ ხიდზე და ბრაგუნ-ბრახუნი აუტეხეს.

ერისმთავარმა ეტლის შეჩერება ბრძანა. ლაფში ჩაგდებულ ჯვარს დაუწყო ძებნა... გაოცდა: ხიდის თავზე ჯვარი აღემართათ, თვალს არ დაუჯერა, არ მოელოდა აქ ჯვარს, ეტლიდან ჩამოვიდა: ხელი მოჰკიდა, რკინისა იყო. ხის ჯვარი აღარსად ჩანდა.

სამოელიც ჩამოვიდა ეტლიდან. თავის ეტლში გადაჯდა, გულდამძიმებული შესცქეროდა ამჩატებულ ერისმთავარს.

— რკინის მოხელე სად იშოვეთ, მამაო? — იკითხა უაზროდ ერისმთავარმა.

— ეჰ, გული გულობდეს, შვილო სტეფანოზ, თორემ ქვეყნად რკინის მოხელეც იპოვება და ხისაც.

სამოელის ეტლი მეეტლემ მცხეთისკენ დაძრა.

ერისმთავარი უკან მიბრუნდა, თავის სასახლეს მიაშურა. „ბევრ ცოცხალი არ ვიყოო“, — გაიფიქრა სტეფანოზმა, როცა ეტლში მარტო დარჩა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა ბ ო

ღამით დაესხნენ თავს. მძინარე წამოაგდეს ლოგინიდან, ხელებზე ბორკილი დაადეს, მიცვალებულივით პირი აუკრეს და წაიყვანეს.

აბო ვერაფრს ხედავდა. მკლავზე უჭერდა ჯალათი ხელს და მიათრევდა, ზურგს უკან კი მახვილმოღერებული შურტა მისდევდა, იმ მახვილშემართული არაბის მოქუფრული სახე ჩარჩენოდა გონებაში; გაგულისებულს ტუჩპირი ისე დაელრიჯა, თითქოს საკუთარი შვილის მკვლელი მიჰყავდა დასასჯელად. სადღაც ჯურღმულში ჩაიყვანეს, გაიღარუნა თუ გაიჩხაკუნა რკინის ურდულმა, გაიჭრიალა რკინის კარმა, ზურგზე ხელი ჰკრეს და წინ წაიგდეს, სიბნელეში ცხვირ-პირით კედელს მიენარცხა, უკან, ზურგზე მძიმე მოწოლა იგრძნო, შმორისა და ნესტის სუნი ეცა.

ცხვირით, ნიკაპით, მკერდით და შებორკილი ხელების ზურგით სველ სლიპინა კედელს ეხუტებოდა, ზურგზე რკინის კარი აწვებოდა, თითქოს ქვასა და რკინას შუა ჩაჭყლეტას უპირებდნენ:

ერთხელაც გაიღარუნა რკინის ურდულმა და ნაბიჯების ხმაც ნელ-ნელა მიწყდა. „ჩამაგდეს“, გაუელვა თავში. „დილეგია თუ საკანი?“ ხელებით თითქოს რაღაცას დაუწყო ძებნაო, სიბნელეში უმიზნოდ ააფათურა, რაკი დარწმუნდა რომ წინ ქვის კედელი იყო, ჟღარუნ-ჟღარუნით შებრუნება სცადა, გაუჭირდა, „ალბათ საკანია“... ფეხი აუცურდა, დარეცრეცდა და შუბლი კედელს მიახალა.

თუ გინახავთ ბნელ ოთახში შეგდებული ფრინველი კედლებს როგორ აწყდება, იმ ფრინველივით ეხლებოდა აქეთ-იქით. ვერ გაერკვია სად შეაგდეს, რა უქნეს ან რას უპირებდნენ, სული მოითქვა, პირველ ყოვლისა, თავი უნდა დავიმშვიდოო, გადაწყვიტა და რაკი რაღაც გადაწყვიტა, რაკი აზრი გაჭიატდა გონებაში, იმედი მოეცა, ძალა მოიკრიფა და შებორკილი ხელებით პირჯვარის გადასახვა სცადა. ამაოდ. მხოლოდ წარმოდგენით გადაიწერა პირჯვარი.

ნელ-ნელა შეაბრუნა ხელისგულები და კედელს ახლა უფრო გულდაგულ, ყურადღებით დაუწყო სინჯვა, სველი იყო, ლიპი, წყალი მოეონავდა. ფრჩხილებით გაკაწრა, ხისა არ იყო, ქვისას ჰგავდა. გაჭირვებით შებრუნდა, ჯერ მარცხნივ მოაფათურა ხელები, შემდეგ მარჯვნივ, თავს ზემოთ წყალი წვეთავდა.

ხის ყაყაბი ეცვა, გაიძრო ყაყაბი და შიშველი ფეხით მიესინჯა ალაგი. მიწაც სველი იყო, არც ლორფინს ჰგავდა, არც სოხანეს, ასლიბინებდა. ზედ ყაყი გადასდიოდა. „ტკილია“, გაუელვა თავში, „ალბათ გამოკვეთილ დილეგში ვარ“, აღმოაჩინა უცებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კედელს აეკრა და ლოცვას მოჰყვა. ხელებშეკრული პირჯვარს ტანჯვით იწერდა, მოკლე ლოცვებით ღმერთს ადიდებდა. შეწყალებას და კურთხევას თხოვდა, შემდეგ „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო“... — ილოცა, მახარებლებსა და ღვთისმშობელს უგალობა.

გული დაიცხრო ლოცვით, თითქოს ტკივილებიც დაუყუჩდა, შვება რომ იგრძნო, კვლავ დაუბრუნდა მიწიერ საქმეთ: ხელების ფათურით ძირს დაჯდომა სცადა, მუხლებში მოიკეცა, მუხლები კედელს მიებჯინა, კუკუხო რკინის კარს და ვეღარ ჩაჯდა, ჩაცუცქდა გაჭირვებით, იწრიალა, არაფერი გამოუვიდა.

აბო ქართულად ღვთის შვილს ნიშნავსო, უთხრეს. ესეც ალბათ განგების ნება იყო, ღვთის კაცად გაეჩინა უფალს, მირონი ღვთისა წაეცხო და სახელადაც „შვილი ღვთისა“ დაერქვა, ღვთისად იყო განკუთვნილი, ტარიგი იყო ღმრთისა, დაწერილი იყო ალბათ ასე, ასე ფიქრობდა აბო და ეს ფიქრი ძალას მატებდა. ამ დილეგმა კი შეაკრთო. გაეგონა, რომ შურტებს თავიანთი დილეგები ჰქონდათ, ქალაქის სადილეგო სხვა იყო, შურტებისა სულ სხვა. შურტების დილეგებიდან ადამიანები უკან ცოცხალი აღარ ბრუნდებოდნენ. აბო ბალღობიდანვე შეჩვეოდა დილეგს. მამამისი ხალიფას მედილეგე გახლდათ, ბაღდადის დილეგებში შემცოდეთ შესამწყვდევი ყოველნაირი დილეგი ენახა, ციხე-კოშკის ქვემოთ გამართული ბაღდადის ცნობილი სადილეგო, სადილეგოს ქვემოთ ბნელი საკნები და ჯურღმულები, საპატიმრო საყუდარი შეუკრავთა და უჯაჭვოთათვის იყო განკუთვნილი, სიკვდილმისჯილთათვის — ხაროები, სამუდამოდ პყრობილთათვის — მღვიმეები. სხვა ათასი წვრილ-წვრილი საპყრობილეც შეუთვალიერებია ბალღობისას. შიგაც შესულა, ადამიანების ტანჯვისთვის უყურებია შორიდან. ასეთი დილეგი კი, თუნდაც საკანი და ჯურღმული, სადაც ახლა თვითონ იყო შეჭეჭყილი. არ გაეგონა და ფიქრითაც კი ვერ წარმოედგინა.

„ჰაერი არ არის, — უცებ შეჰზარა ამ აზრმა, — უჰაეროდ დავიხრჩობი“.

სიბნელეს დაუწყო ყურება. ფიქრი შეუძლებელი იყო. საკანში ბნელოდა როგორც სამარეში, თვალებიც ახვეული ჰქონდა და მაინც ეჩვენებოდა, რომ ხედავდა. როგორც კი ფიქრს შეწყვეტდა და სიბნელეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწყებდა ყურებას, თითქოს თვალი აეხილაო, ხედავდა, უფრო უკეთ შეეძლო დაენახა, ამ აღმოჩენამ გაახარა. მეორე თვალიც ჰქონია ადამიანს, გულის თვალიო, გულის თვალით იხედებოდა დილეგს, ბნელ.

გრიგოლი და მიქაელი გამორბოდნენ ქართლის ველებში. აბო, აბოო, ეძახდნენ... მათ უკან მოჩანდა აკლებული ჯვრის მონასტერი და შორიდან ქალის კივილი მოისმოდა. შემდეგ როგორც სიზმარში, ვითომ ყველაფერი ეს მის ბინაში ხდებოდა. მიქაელი შეშფოთებული იყო. გრიგოლი შეფიქრიანებული.

— შურტების დილეგში ვისხედით შენი გულისათვის, ჯვრის მონასტერი აიკლეს. ბერებს აწამებენ, — ჩურჩულით უამბობდა საშინელ ამბებს მიქაელი, — დაუბრუნდი ისევ შენს სჯულს, გევედრებით, ორივე გევედრებით, — მიქაელმა გრიგოლს შეხედა, — ახლა ასე ჯობს, დაგვიჯერე.

„ნეტა რომელ დილეგში ისხდნენ", — გაუელვა აბოს. მაშინ არ უკითხავს, არ ეგონა თუ ასეთ მახრჩობელა საკანში ჩააგდებდნენ.

— ჩემი გულისათვის? რა უფლება ჰქონდათ? რატომ? — აწრიალდა აბო.

— იმიტომ რომ მიზეზს ეძებენ, — უთხრა გრიგოლმა, — შენს გაქრისტიანებას მთელ ქართველ ხალხს გადააბრალებენ, გამოგზავნიან ახალ მურვან ყრუს და ქვას ქვაზე არ დატოვებენ.

— უმრწემესო ძმებო! — უთხრა აბომ მათ და თავი მდაბლად დახარა, — ხომ გახსოვთ, მამა იოანე ძმებს გვეძახის.

„სულიერი ძმები", — იხსენებდა აბო სენაკში იმღამინდელ მათ სახეებს. როცა აბომ თავი ყანას სცა, გრიგოლმა პირჯვარი გადაიწერა და თვალები ჭერს მიაპყრო, აბოს გადარჩენა შესთხოვა ღმერთს. მიქაელი გაუნძრევლად იჯდა, მოღუშული იყო. იოანემ უთხრა მათ სულიერი ძმები ხართო. სად სეფეწულნი და სად ყარიბი მონა აბო! აბო მათ ძმობას როგორღა გაუბედავდა. მაგრამ რაკი ერთად სწავლობდნენ მარიამ წმიდაში, რაკი მამა იოანემ ბრძანა სულიერი ძმები ხართო, მართლაც ძმებად მიაჩნდათ ერთმანეთი. აბოს მონის მორიდება და მოკრძალება მაინც შერჩენოდა.

— მე რა თქვენი ტოლი და ღირსი ვარ, მაგრამ ღვთის წყალობით რაკი ერთხელ მითნეთ, ნულარ ინებებთ განშორებას, თქვენი ფეხთა მტვერი ვიქნები, თქვენი ერთგული ძაღლი...

— მე არა! მე არ გირჩევ უკან მიქცევას, — გული ამოუჯდა გრიგოლს, — მაგრამ... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოილუღლუღა მან. ჩაფიქრდა. თქმა უჭირდა, ჩანდა რომ იმას, რის თქმასაც აპირებდა. არ ეთან-

ხმებოდა. სულითა და გულით აბოსთან იყო, აბო გმირად მიაჩნდა და მაინც თქვა ის, რაც არ სწამდა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ეგებ სჯობდეს დროებით გაეცალო ტფილისს.

— ეგებ კი არა, უსათუოდ უნდა გაეცალო, — უთხრა მიქაელმა, — თან მაჰმადი უნდა აღიარო! გთხოვთ, აბო, ყველანი გთხოვთ!

— მაგას ნუ მთხოვ, მიქაელ! — ჩოქვით მიუახლოვდა ძმას აბო და მუხლებზე მოეხვია. — ტყუილ-უბრალოდ ნუ მეხვეწები.

— არავის სჭირდება შენი თავდადება! — ფეხზე წამოიჭრა ანაზდად მიქაელი და აბოს ხელები ცივად მოიშორა, — ჩვენ თავს ჩვენ მოვუვლით! — მიქაელი ისე უკმეხად და დაჟინებით ელაპარაკებოდა, თითქოს ვინმეს გამოეგზავნა გადასაბირებლად.

— მიქაელ! — შესძახა გრიგოლმა, ასეთ მწარე სიტყვებს რატომ ეუბნებიო, თვალებით უთხრა საყვედური. გრიგოლი ორ ცეცხლს შუა ჩავარდნილიყო.

— ერისმთავარმა ხომ გითხრა, შენს სჯულზე მიიქეციო, რატომ არ ასრულებ ერისმთავრის ბრძანებას! — შეუტია მიქაელმა აბოს.

— იმიტომ, რომ აბო ღვთის ნებას ასრულებს და არა ერისმთავრის. — მოწიწებით თქვა გრიგოლმა აბოს მაგივრად.

— ყველას შეგვიპყრობენ და ჯურღმულებში ამოგვახრჩობენ! ქართველების თავზე რკინის კალოს დაატრიალებენ!

— დაატრიალონ! — ამოიკნავლა მოულოდნელად აბომ, — გააცხარონ ცხვარი. ცხვარი თუ გაცხარდა, ცხარეაო — ნათქვამია;

— გესმის შენ ახლა რას ამბობ? — გაავდა მიქაელი. აბო წამომდგარიყო, გულზე ხელი დაეკრიფა და მორჩილად უგდებდა ყურს აბობოქრებულ მიქაელს.

— პირველად ნერსეს მოჰკვეთენ თავს, შენს მფარველსა და პატრონს. როგორც შეთქმულების მოთავეს, შემდეგ მამაჩემს, შენს სულიერ მამას, როგორც მოუსვენარ მოღალატეს,—„მოღალატეს“ ხაზგასმით და ზიზღით წარმოთქვა, — შემდეგ გრიგოლს, ნერსეს მდივანმწიგნობარს და მის თანამოაზრეს, ბოლოს მიქაელსაც, როგორც მეგობარს, — იოანეს შვილს. ცხვარი კი რაც უნდა გაცხარდეს, ხახადაღებულ ლომს ვერას დააკლებს! სისხლი ფუჭად დაიღვრება. სისხლისღვრა გვაკლია სწორედ! ყველაფერი ეს ჩვენ იქ გვითხრეს! — მიქაელმა თითი ჰაერში გაიშვირა. შურტათსაყოფელს გულისხმობდა, — ასე არ იყო?—ჰკითხა გრიგოლს.

— ასე იყო, მართალია. — მიუგო გრიგოლმა, — მაგრამ, ჩემი აზრით, გვაშინებდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დიდ ბატონს, ნერსე ერისთავს არ უთქვამს ქრისტე ღმერთს განუდექიო. — თქვა ფრთხილად აბომ.

— არც ის უთქვამს, მაჰმადი დააგდეო, ხომ ასეა? — ჩაეცინა მიქაელი...

— დიახ, არც ეს უთქვამს. — ჩაიბუტბუტა აბომ.

— როგორც ნერსემ გითხრას, ისე მოიქეცი, — უთხრა გრიგოლმა, — სიმართლე თუ გინდა, ჩვენ არც ვიცით როგორ მოვიქცეთ... ღმერთს ნუ სცოდავ, მიქაელ!

აბოს მაშინ მეტი არაფერი უთქვამს. მიქაელი და გრიგოლი კამათობდნენ დიდხანს, აბო უსმენდა. აბოს სათქმელს გრიგოლი ამბობდა. ახლა გაუბა მიქაელს კამათი აბომ აქედან, დილეგიდან.

„უჩემოდ არავის შეიპყრობენ, არავის მოჰკვეთენ თავს, მე ხომ მკითხავენ თუ რატომ დავთმე მაჰმადის სჯული!.. ნუთუ ადამიანს იმის უფლება არ უნდა ჰქონდეს, რაც სწამს, ის იწამოს, ვინც უყვარს, იმას შეუდგეს, ვისთვისაც უნდა, იმისთვის გასწიროს თავი“.

ძმათა იმღამინდელი სტუმრობა მის თვალსა და გონებას არ შორდებოდა. მიქაელის განრისხებული სახე ედგა თვალწინ, ხანაც მისი მწარე სიტყვები ჩაესმოდა: „არავის სჭირდება შენი თავდადება“.

ვინ იყო ეს „არავის“? ვისი სახელით ლაპარაკობდა მიქაელი? ბოლომდე მართლაც არავის ესმოდა აბოს თავგანწირვის მნიშვნელობა. ქრისტე თვისთა თანა იყო და თვისთა იგი არა შეიწყნარეს, — ფიქრობდა ჩუმად აბო, — განა არათვისთათაგან ცნობასა და შეწყნარებას მოელოდა? არ მოელოდა. არც უნდოდა შეწყალება და შებრალება, არც მოწამეობასა და წმინდანობას მიელტვოდა. მან ჩაგრულთა და უპოვართა ღმერთი იწამა, იპოვა ის, ვისაც სიყრმიდან გულით ეძებდა, იპოვა და მიენდო, განა ამისათვის უნდა დასჯილიყო? ან სხვა ვინმე უნდა დაესაჯათ? თუ ამას ჩაიდენდნენ, მით უფრო, ასეთ ადამიანებთან ყოფნას სიკვდილი ერჩია.

„სულ დავსველდი“... სველი კვართი ზურგზე მიეტყეპა, ბარძაყებზეც იგრძნო სველი საცვლების ტოტები.

ლოგინიდან რომ წამოაგდეს, კაბას დაუწყო ძებნა, მაგრამ არ აცალეს, საცვლების ამარა წამოიყვანეს. ყაყბებში ფეხის წაყოფა კი მოასწრო, რად გინდა, სწორედ ეს ყაყბები არ გამოადგა. გულს უწუხებდა სრიალა ფეხთსაცვამი, ცურავდა, სხლტებოდა სველ ტკილზე ხის გაპრიალებული ძირი. თითქოს განგებ, ადამიანის საწვალებლად მოელიპათ შურტებს საკანი.

ყაყბები ფეხით გაიძრო. კედელთან მიატყუპა. შიშველი ფეხის გულებიც აღარ მოეკიდა ტკილს.

ისევ დაუწყო ყურება სიბნელეს. იმ სურათის აღდგენა ეწადა, ღან რომ სველმა სამოსმა გაუქრო.

„იქნებ მართლა ჯობდა გავცლოდი აქაურობას. გავაწბილე საყვარელი ადამიანები, დავიღუპე თავი. მომკლავენ...“

რატომღაც ამ სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმა მოუნდა „მუუყ“. რაღაც ამდაგვარი ამოიგმინა, „მომკლავენის“ ნაცვლად. ახლაღა გაახსენდა, რომ პირი აკრული ჰქონდა, სველი ტილოთი აეკრათ ისე მაგრად, კრიჭას ვერ ხსნიდა. „ეს უნდა მოვიშორო,“ — გადაწყვიტა. დაბორკილი ხელები ნიკაპს ქვემოთ მოაფათურა. ცერებით მიაწვა ტილოს და ნელა დაუწყო ზიდვა ნიკაპისაკენ. თურმე როგორ უჭერდა! როგორ ახრჩობდა! რა შვება იგრძნო, როცა ტილო ნიკაპს გადასხლიტა და ყბები ფრთხილად შეარხია. ტილო ძირს დავარდა, ზედ შედგა შიშველი ფეხის გულებით. ჩვარი მოეკიდა სველ ტკილს, გამოადგა ამ ჯურღმულში.

„იქნებ თვალსახვევიც მოვიცილო“. ახლა თვალებისკენ წაიღო ხელები. ვერსაიდან ვერ მიუდგა თვალსახვევს. ხელები შებორკილი რომ არ ჰქონოდა, კეფიდან ადვილად გადაიგდებდა. იწვალა, იწვალა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს ბედს შეურიგდა და კვლავ ფიქრს მიეცა.

„ეგებ უკვე მკვდარიცა ვარ, — ჩაეცინა გუნებაში, — ლოგინში მწოლი მომკლეს შურტებმა, ეგებ სამარეში ვწევარ, სხვა რაღაა სამარე: ირგვლივ უკუნეთია, შმორისა და ნესტის სუნი დგას; ჰაერი არ არის, წყალი მოჟონავს კედლებიდან, მალე ალბათ ჭიაღუებიც გამოხოხდებიან, მკვდარი ვარ ალბათ. მე კი მეჩვენება, რომ საკანში ჩამამწყვდიეს“...

ტილოსთან ჭიდილში დაიღალა და უჰაერობამ მოთენთა, მუხლები მოეკეცა. ვითომ მაღლა ღმერთს შეხედა თვალახვეულმა, თავი ასწია მაღლა, ნამდვილ მლოცველს დაემგვანა და ილოცა ისე, როგორც მაცხოვარმა ასწავლა თავის მოწაფეებს, საუფლო ლოცვა იდუდუნა. რაკი პირი აკრული არ ჰქონდა. იფსალმუნა კიდეც ხმადაბლა, თავისთვის. შემდეგ თავი ჩაკიდა და გაირინდა.

...აღარ ვკვდები, ჰაერი ალბათ მაინც არის აქ სადღაც, ეს ბორკილებიც როგორ მიჭერს, ლამის სული ამომხადოს. ცოტა რომ მომაფოფინა!.. ეგებ მე უკვე მაწამებენ, სახალხოდ, საჯაროდ რასტიბაზარში საჭიროდ არ ჩათვალეს შურტებმა ჩემი წამება. ეგებ ჩუმად უნდათ

ამომხადონ სული. უნდა ამოვიბერტყო ეს სულელური ფიქრი თავიდან. მოსახდენი უნდა მოხდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბომ სცადა ფიქრი მიქაელზე და გრიგოლზე გადაეტანა, მაგრამ ვერა და ვერ შეძლო, თვალწინ რატომღაც ნერსე წარმოუდგა. მთელი თავისი ვეება ტანით აღიმართა სიბნელეში ნერსე ერისთავი, მას ხელებზე ბორკილები ედო, ჟღარუნ-ჟღარუნით მოდიოდა დინჯად. მაშინ ნერსე უფრო ახალგაზრდა იყო, უფრო ბრგე და ტანადიც, უფრო თავზეხელაღებულიც.

ხალიფას ებრძანებინა მისი მოგვრა. ოთხ მედილეგეს მოჰყავდა ნერსე, მეხუთე აბო იყო. მამას ეხმარებოდა. მაშინ ნახა პირველად ქართველი ერისთავი. გაეგონა, იცოდა კიდეც ამა და ამ დილეგში ყველაზე მთავარი დამნაშავე რომ იჯდა, მაგრამ იმ დილეგის კარი იშვიათად იღებოდა და არ ენახა პყრობილი.

ხალიფას სასახლის წინა მოედანზე ზღვა ხალხი შეკრებილიყო, აქ უნდა ეწამებინათ ნერსე ერისთავი.

არც აბომ, არც მედილეგეებმა და არც თვითონ ნერსემ არ იცოდა, თუ რა სასჯელი მოელოდა. მოდიოდა ამაყად თავაწეული, ძლიერი ვაჟკაცი, ვისაც ქვეყნად არაფრის ეშინოდა, თვით სიკვდილიც ჩირად მიაჩნდა. აჟღარუნებდა ბორკილებს, წვერი მკერდზე ეფინებოდა და დიდი შავი თვალებით ხარბად შესცქეროდა მზეს, ცას, ჰაერს, სინათლეს, მის გარშემო ჭიანჭველებივით მოზიმზიმე ხალხს. წლობით დილეგში გამომწყვდეულს ქვეყანა მონატრებოდა, თითქოს დასასჯელად კი არა, ნადიმზე დასასწრებლად მიჰყავდათ.

ახლა აბომ, სულისშემხუთველ საკანში შემწყვდეულმა, უკვე კარგად იცოდა რაჟდენ პირველმოწამის, ევსტათი მცხეთელის, შუშანიკისა და სხვა მოწამეთა მარტვილობის ამბები, მაგრამ მაშინ პატარა ბიჭუნა გაოცებული შესცქეროდა საოცარ სანახაობას — ადამიანის წამებას. ყრმისათვის გაუგებარი იყო, აუტანელი და აღმაშფოთებელი უფროსების საქციელი. მან იცოდა, რომ მამამისი ავ კაცებს ამწყვდევდა დილეგში და მათ გარეთ არ უშვებდა. მაგრამ არამც და არამც არ ეგონა, თუ მამამისი მუხანათურად მიეპარებოდა უკნიდან ადამიანს, მარყუჟს წამოაცმევდა თავზე და დაუნდობლად მოქაჩავდა.

ვეზირმა ხალიფას ბრძანება გამოაცხადა: ტუსაღი დაშანთეთო. ჯალათებმა შანთები გაახურეს, ნაღარას ჰკრეს და ხალხი შეჩოჩქოლდა. მუსლიმები წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ მთელ საქრისტიანოს.

საკვირველი რამ მოხდა, ნერსე ვერ წამოაქციეს, შებორკილ კაცს ვინც მიეკარა, ყველა ბურთივით მოისროლა, მაშინ იმარჯვა აბოს მა-

მამ, დევკაცს უკნიდან მიეპარა, თავზე წამოაცვა ყულფი, ყელში წაუჭირა. ნელ-ნელა მოდრიკეს ვაჟკაცი, მიწამდე დაახრევინეს თავი, ბოლოს მისცვივდნენ ერთად და წამოაქციეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთიოდე ჯალათი და მედილიგე დააჯდა წამოქცეულ ქართველ ურჩს. მაინც გაუჭირდათ დამაგრება, ორ-ორი კაცი ფეხებს უჭერდა, ერთი საჯდომზე შემართულიყო, შიშველ წელზე მუხლებს აბჯენდა. ორნი მხრებს და მკლავებს უკავებდნენ. აბოს მამა ერისთავს ფაფარიან თავში ჩაფრენოდა. აბოს ახლა მამამისის სახე ედგა თვალწინ, ხედავდა მის შეჭმუხნილ შუბლს, გადაბმულ, ჭაღარაშერეულ წარბებს, ქორის თვალებივით მოელვარე წვრილ სამზერებს. გაფაციცებულ ტუჩპირს... ჰო, რა მონდომებული იყო, რა მოწადინებული, რომ პყრობილს თავი არ გაენძრია და ჯალათთათვის ხელი არ შეეშალა, ორივე ხელი ჩაევლო ქოჩორში და დაუნდობლად დაეკრა მიწაზე ბაგე-პირით. და მაინც, შანთის ყოველ მიკარებაზე თავს მაღლა შემართავდა, აბოს მამას ბავშვივით წამოაგდებდა, თავს წაართმევდა, და კბილებით მიწას ფხოჭნიდა. ჯალათებმა მედილიგეს შეუბღვირეს, ხელი მაგრად მოჰკიდეო. მაშინ იმარჯვა აბოს მამამ, რაკი ღონე არ ჰყოფნიდა, კვლავ ხერხს მიმართა, გაიჩაჩხა. ვნებულს თავზე დააჯდა, ცხვირი მიწაში ჩააყოფინა, განძრევის საშუალება არ მისცა, ჯალათებმაც დრო იხელთეს და გულდაგულ ამოშანთეს ზურგზე ჯვარი.

როცა მამამისი ნერსეს თავზე დააჯდა, აბომ თვალებზე ხელი აიფარა, გატრიალდა და გაიქცა.

მთელი ერთი კვირა გარე-გარე იმალებოდა. მამამისთან შეხვედრის რცხვენოდა. რა უნდა ეთქვათ ერთმანეთისათვის? მამა თავის სამუშაოს ასრულებდა, ამ საქმისათვის გასამრჯელო ეძლეოდა, აბოც მამის ლუკმაპურს ჭამდა და აბოს და-ძმანიც. განა მამას შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო? აბო უნდა შერიგებოდა ამ ამბავს, შეურიგდა კიდეც, მაგრამ გულმა თავისი მაინც გაიტანა, მისდაუნებურად გულმა უთხრა ხელებს, გასაღები მოიპარეთო. აბოს ხელებმა მამას მოპარეს იმ დილეგის გასაღები, სადაც პყრობილი ქართველი მთავარი იჯდა.

...აბო დილეგში მოჩვენებასავით შევიდა. ხელში ანთებული კვარი ეკავა და შეშინებული კედელს ეკვროდა, კედელ-კედელ უახლოვდებოდა თავდაღმა დამხობილ ტუსაღს, დილეგში საზარელი სუნი იდგა, თითქოს მიცვალებული იხრწნებოდა, ყარდა იქაურობა. „მომკვდარა“, გაიფიქრა აბომ და გული ეტკინა, ახლოს მივიდა, მიუცუცქდა და თავდაღმა ჩამხობილს ყურება დაუწყო — ცოცხალია თუ არაო.

— ვინა ხარ? — იკითხა არაბულად მწოლმა და კვნესაც ამოაყოლა შეკითხვას.

— მეეე... — ენა დაება აბოს. — მედილეგის შვილი ვარ, ... ბეზე იტაცა ხელი, წითელი ვაშლები ამოიღო და თავთან დაულაგა.

— მერე? — თქვა ეს სიტყვა ტუსაღმა და გაჩუმდა, კიდევ რაღაც წაიდუდუნა, მაგრამ აბომ ვერ გაიგონა.

— გასაღები მოვპარე მამას. მე გიყურებდით... — ვერ ამბობდა სათქმელს ყმაწვილი.

— მოპარე? — მომაკვდავმა თავი ასწია და აბოს შეხედა. ჩანდა, რომ განძრევა უჭირდა.

— წყალი! — ამოთქვა ტანჯვით.

წყალიც ცხვირწინ ედგა და მუხუდოს ნახარშით სავსე ჯამიც. აბომ ავადმყოფს წყალი დაალევინა.

— ზურგზე დამასხი. — ჩურჩულით უთხრა ავადმყოფმა. აბო ვერ მიხვდა. რას ეუბნებოდა. მიუჩოჩდა, ყური სულ ახლოს მიუტანა თავთან.

— ეს წყალი ზურგზე დამასხი. — გარკვევით უთხრა.

აბომ დოქს ნელა წაუქცია თავი, ფრთხილადო, — მიაგება მკვნესარმა. აბო მიხვდა, ჭრილობაზე რომ ასხამდა და დოქის ტუჩს ხელისგულიც მიაშველა. კვართი ნელა დაუსველა.

— მეყოფა.

აბომ დოქი თავის ადგილას დადგა. თვითონ შორიახლოს ჩაცუცქდა და წამებულს შეაჩერდა...

აბო ახლა იხსენებდა ნერსეს ჯურღმულს და თავისას ადარებდა. პატარა საკანი იყო, მიწის ქვეშ სარკმელიც კი ჰქონდა ხელისგულისოდენა, დღის სინათლე აღწევდა. შიგ ორი-სამი კაცი მოთავსდებოდა. საკანს კედელიც ჰქონდა და იატაკიც. წამებული ნერსე ფიცრის იატაკზე იწვა. „იწვა“ — ამ სიტყვამ თავის საკანში დააბრუნა. „იწვა“ კი არა, დასაჯდომი არა აქვს. ფეხები დაბუჟებოდა და ტკიოდა, გაიმართა, აამოძრავა ტერფები, სველ ტკილს დაუტყაპუნა.

— მრავალძარღვა მომიტანე. — ამოიგმინა ნერსე ერისთავმა.

— ახლა ღამეა ბატონო! ვერ მივაგნებ, ხვალ მოგიტანთ, ხვალ უსათუოდ მოგიტანთ.

ნერსემ თვალები დახუჭა და გაყუჩდა. აბოსაც კარგა ხანს არ ამოულია ხმა, პყრობილის თავთან ჩაცუცქულიყო და უყურებდა, აბო მაშინ თერთმეტი-თორმეტი წლის ბიჭი იყო. რიგიანად არც კი იცოდა, რატომ დაშანთეს ეს მდევივით კაცი. მამამ უთხრა, ავი კაცი იყო და

იმიტომო. ხალხში კი თქვეს: თავის სჯულზე უარი არ თქვა და იმიტომ დასაჯესო. ბავშვისათვის გაუგებარი იყო უფროსების ნაუბარი, ბავშვს მოსწონდა ლონიერი კაცი, ვისაც ხუთი არაბი ძლივს მოეგერია.

— ბევრი დაკრიფე მრავალძარღვა. — სასომიხდილმა უჩურჩულა ბიჭს.

— ერთ კალათას ავავსებ! — ყოჩაღად მიუგო აბომ.

— ახლა ღამეა? — იკითხა ნერსემ.

— დიახ, შუაღამე გადასულია.

— რა გქვია, ყრმაო?..

— აბო.

— აბო, — ტუჩები ააცმაცუნა ავადმყოფმა. — მე ნერსე მქვია, ნერსე ძია დამიძახე.

„ნერსე ძია" — სიხარულის ელდა ეცა აბოს. ეგონა. მაწამებლის შვილს გაკიცხავდა, გააგდებდა დილეგიდან — „ნერსე ძია" დამიძახეო.

აბოს მაშინ არც ქრისტე ღმერთი გაეგონა და არც წმინდა წიგნები წაეკითხა. გარდა ალაჰისა და არაბისა სხვა ყველა და ყველაფერი უარსაყოფი იყო მუსლიმისათვის. მაშ, როგორღა აღმოჩნდა დილეგში, რამ უბიძგა, ვინ მოუწოდა სიკეთისაკენ? არც კი იცოდა, თუ სიკეთეს სჩადიოდა. ახლა აკვირდებოდა თავის საქციელს, ახლა შეეძლო სახელი დაერქმია იმ საქციელისათვის. მიზეზს, თუ რისთვის გაწირა მაშინ თავი, დღესაც ვერ იტყოდა.

იმ ღამეს ერთი წვეთი არ უძინია, სულმოუთქმელად მოელოდა გათენებას. „მრავალძარღვა, მრავალძარღვა" — იმეორებდა გუნებაში. ჩასთვლემდა თუ არა „ნერსე ბიძია ესიზმრებოდა, თვალს გაახელდა, მაინც ის დევგმირი ედგა თვალწინ, მამამ უთხრა „ურჯულოაო", არ მოსწონდა ეს სიტყვა, რადგან საკუთარი თვალით ნახა, რომ ეს „ურჯულო" სწორედ ისეთი ვაჟკაცი იყო, ზღაპრად რომ გაეგონა.

მეორე დღე გათენდა თუ არა, მართლაც გაავსო კალანჩხა მრავალძარღვათი, საღამომდე ითმინა, ითმინა და საღამოს, როცა მამამ დაიძინა, გასაღები მოპარა, უბე კვარით გაივსო და დილეგში ჩავიდა ფეხაკრეფით. ამჯერად უფრო მარჯვედ ჩავიდა. რამდენიმე კვარი აანთო, ოთხივე კუთხეში დაამაგრა, დილეგი გაანათა.

— მოგიტანეთ მრავალძარღვა, — უთხრა აბომ და კალანჩხა უჩვენა, — ნელსაცხებელიც... — სანელსაცხებლე ამოიღო კალანჩხიდან.

— ნელსაცხებელი? — გაიკვირვა ნერსემ და თავი ასწია კვნესით.

— ჰო, სურნელოვანი ზეთი! დედა მყავს მენელსაცხებლე. ჭრილობასაც ჰრგებს. ჩვენ მენელსაცხებლეები ვართ, ჩემი წინაპრები ზეთებს

ამზადებდნენ თურმე ხალიფებისათვის. ჩემი პაპა, პაპისპაპაც მეზეთე ყოფილა. ერთი მამაჩემი გამოერია მედილეგე. ვერ უსწავლია ზეთის დაყენება. დედას უსწავლია და მეც მასწავლა. ასეთ საცხებს ... დადში ვერავინ ამზადებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბო პყრობილის თავთან ჩაცუცქულიყო, ნელსაცხებლის ამბავს უყვებოდა ავადმყოფს, გუმანით ხვდებოდა, რაც ევალებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა ხელის ხლებას. ელოდებოდა როდის რას უბრძანებდა ავადმყოფი.

გვემულმა კალათისაკენ ხელი გააცოცა. მაგრამ საშინელი კვნესა აღმოხდა. განძრევა არ შეეძლო. კბილები გაახრჭიალა.

— კვართი ამხადე. — ამოიბუტბუტა ტანჯვით, — ის ფოთლები დამაფინე.

აბომ ხელები დაიკაპიწა, გულდაგულ მიუჩოჩდა, პიწკად ასწია კვართი. ყროლის სუნი ეცა, კვარი მიუმარჯვა და... ვერ შეძლო შეხედვა, თვალებზე ხელი აიფარა. გაიქცა და ბნელ კუთხეში მიდგა, შიშის კანკალი აუვარდა, ცრემლი გადმოღვარა. ჩუმად ასლუკუნდა.

— სად წახვედი? — წაიბუტბუტა ავადმყოფმა. აბო სულ მთლად გაჩუმდა. სლუკუნიც კი შეწყვიტა. რა მონდომებული მოდიოდა, რა მოწადინებული მიუჩოჩდა, რა ფრთხილად და საქმიანად შეუდგა აქიმობას და როგორ შედრკა! არ მოელოდა ასეთ საზარელ სურათს; მთელი ზურგი წითლად დასიებოდა. ისეთი იარები ჰქონდა, შიგ მუშტი ჩაეტეოდა, ლურთა-ლურთად ამოეგლიჯათ ხორცები, ნაშანთარებში ბალღამი ჩამდგარიყო და წითელ ზურგზე და წელზე ზიპი გადასდიოდა.

— ვაქკაცი მეგონე, — დაიჩურჩულა ნერსემ.

აბო ხმას არ იღებდა. გაჩუმებული იდგა კუთხეში.

დამწვარ-დაგლეჯილი ზურგი ღორების ნაჩიჩქნ მინდორს ჰგავდა, შიშს ჰგვრიდა დაშანთულ-დადაღული სხეულის დანახვა.

„ვაქკაცი მეგონე“ — გულზე მოხვდა ბიჭს. ამ სიტყვებმა ძალა შემატეს. ფოლადი ჩაუღვარეს სულში, სიმტკიცე მიანიჭეს, უბიძგეს და ნელა წაიყვანეს მომაკვდავისაკენ.

თავისი კვართი გაიძრო, წყალში დაასველა, ხელის კანკალით პირი მოუწმინდა ჭრილობებს, შემდეგ ნელსაცხებელი წასცხო, მრავალძარღვით სავსე კალანჩხა ახლოს მოიჩოჩა და გამოცდილი ჯარა ექიმივით მიჯრით დააფინა მთელ ზურგზე ფოთლები, კვართი ფრთხილად წამოუწია, ისე რომ ფოთლებს არ შეხებოდა და ამოისუნთქა, გაუხარდა. მისი აზრით, შეუძლებელი შეძლო. საკანი ვარდის სურნელით აივსო. ნელსაცხებელმა ყროლისა და ბალღამის სუნი გააძევა საკნიდან.

— გეამათ? — გაუთამამდა ბიჭი.

— ახლა კვართზე წყალი დამასხი. — უთხრა ავადმყოფმა. — როგორც მაშინ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბომ დაასხა წყალი ზურგზე, კვართი დასველდა და მრავალძარღვას ფოთლებს ზედ დაეტყუპა.

— კარგია. — ამოიგმინა დაჭრილმა, წყალი სიამოვნებას ჰგვრიდა. აბომ დოქი თავთან დაუდო.

— ღმერთმა... გამომიგზავნა... შენი თავი, — უთხრა ნაწყვეტ-ნაწყვეტად და შუბლი იატაკს დაადო, გაყუჩდა.

აბომ ყურადღებით შეათვალიერა დილეგი, ჩემი აქ ყოფნის კვალი არ დარჩესო, შემთხვევით ძირს დაყრილი მრავალძარღვას ფოთლები, კვარის ნამწვავები გულდაგულ მოკრიფა და კალანჩხაში ჩახინწა, თავისი სველი კვართიც შიგ ჩააგდო. უჩუმრად გაიკეტა დილეგის კარი და წავიდა.

მესამე დღეს კვლავ მიაკითხა ტყვედქმნილს ყმაწვილმა, კვლავ მიუტანა მრავალძარღვას ფოთლები და ნელსაცხებელი, მაგრამ მამამ იგუმანა, დილეგს დაუდარაჯდა, საკუთარი შვილი ქურდივით შეიპყრო, გაბოროტებულმა გაატიტვლა ბალღი. ხეზე მიაბა და დახვანჯული თოკით დაუზოგავად სცემა.

ამის შემდეგ აბო დილეგს ახლოს არ გაჰკარებია.

გავიდა დრო და ხანი.

ერთ მშვენიერ დღეს მამა შინ გახარებული დაბრუნდა, აბოს ბაღდადის ბაზარში ნაყიდი სამოსი მოუტანა. თურმე ის ტყვე, შენ რომ მრავალძარღვას ფოთლები და ნელსაცხებელი მიუტანე, გიაურების ხალიფა ყოფილა და საჩუქარი გამოგიგზავნაო. აბოს არასოდეს ჩაეცვა მოსირმული კაბა და ტყავის წუღები, ყმაწვილს დედაწული გარს შემოეწყო და თვალებანთებულნი დიდხანს შესცქეროდნენ. აბოც კმაყოფილი იყო და ბედნიერი. ღამე ძილში აბოდებდა გიაურის ხალიფას სახელს — ნერსეს.

მოხდა სასწაული, აბო და მამამისი ხალიფასთან დაიბარეს. მოვიდნენ ოქროს ეტლით. შიგ ჩააბრძანეს ჩვენი აბო, მისი მედილეგე მამა და ხალიფას აახლეს.

თურმე ახალ ხალიფას ნერსესათვის თავისუფლება უბოძებია და თავის ქვეყანაში წასვლის ნებაც მიუცია. ნერსეს ხალიფასაგან მსახურად უთხოვია მედილეგის შვილი — აბო.

ხალიფას აბო მიუცია. ნერსეს აბოს მშობლებისათვის გამოსასყიდი დაუტოვებია.

აბო აღადგენდა მთელ სურათს თავიდან ბოლომდე, როგორ წამოვიდნენ ბაღდადიდან, რა გრძელი გზა გამოიარეს, როგორ წამოვიდნენ ქართლში, თბილისი როგორ შემოხვდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს მაინც იქ მიიყვანა გულის თვალმა, სადაც მისი ბედი ეწერა. გადაწყვეტილიყო და ვერ გადაწყდა.

წყვდიადში ნერსე ერისთავის მზით გაჩახჩახებული სასახლე გამოიკვეთა. სასახლის აივანზე აბო გამოჩნდა, — მსახურებმა შემოიყვანეს. ქართული კაბა ეცვა და შავი ნაბდის ქუდი ეხურა, ქართველს მაინც არ ჰგავდა, არაბიაო, ვერც ამას იტყოდით.

აბოს წყვდიადიდან ხმა შემოესმა.

„ამ ყმაწვილმა ყურანი არ იცის“... — სტეფანოზის ხმა იყო. სასახლე, სასახლის აივანი, ნერსე ერისთავი, თვით აბოც კი გარკვევით ჩანდა, წყვდიადში აბო ყველას და ყველაფერს ცხადივით შეჰყურებდა. მხოლოდ სტეფანოზი არ იყო არსად, მისი გაბოროტებული ხმა ისმოდა სიბნელიდან:

„ურწმუნოთა ქონების მიტაცება მუსლიმანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა“...

„ვიღაც ჭანს მუსლიმანებმა თაფლი წაართვეს, ეს გასაკვირია? კარგადაც მოქცეულან!..“

აბო აივნის იმ კუთხისკენ შებრუნდა, სადაც ბნელოდა და სტეფანოზის ხმა გაისმოდა. სიბნელეს უთხრა მორიდებით:

— არა, უფალო, თაფლის წართმევა არ არის გასაკვირი, გასაკვირი ის გახლავთ, როცა მშობლიურ ენაზე შენთვის დაიჩივლებ და ენას მოგაჭრიან.

„...ხედავ? ჭკუასაც გვასწავლის. გვედავება კიდეც!“ — ხმა გაცხარდა და მუქარის კილო შეიძინა, — „უთხარი, რაც საჭიროა და წავიდეს, მოშორდეს აქაურობას!“

სიბნელეში სტეფანოზის ფეხები გამოილანდა. აბო გაქანდა და ერისმთავარს ფეხებზე მოეხვია. ფეხებმა დამხობილი მონა კეთროვანივით მოიცილეს და სიბნელეში მიიმალნენ. აბოს თავზე დაადგა ნერსე ერისთავი და ჭირისუფლის კილოთი უთხრა:

„აბო ჭკვიანი ბიჭია, გააკეთებს იმას, რასაც გული უკარნახებს. ძალდატანება უსამართლობა იქნება“.

აბო ახლა ნერსეს მოეხვია ფეხებზე. ნერსემ წამოაყენა ჭაბუკი. მხრებში ჩაავლო ხელი და გასამხნევებლად შეანჯღრია.

ჩემო ბატონო და მფარველო მახარებელო, — უთხრა აბომ დილეგიდან ნერსე ერისთავს, — გული მიკარნახებს ვეწამო დამონებულთათ-

ვის, ჩაგრულთათვის და მათი უფლისათვის, იესო მაცხოვრისათვის... ხომ გახსოვთ, იქ, ბაღდადში... მზესავით ამოხვედით ჩემთვის და გზა გამინათეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერსემ არაფერი უპასუხა. თავის სასახლესთან ერთად, ეზოდან ჩაინთქა. აბო კვლავ მარტო დარჩა კუპრის ზღვაში ჩაყურყუმალავებული, მდუმარებასა და უკიდეგანო წყვდიადში ჩაძირული.

...მამალმა იყივლა სადღაც, ძლივს, ოდნავ გასაგონად ჩამოაღწია მამლის ყივილმა დილეგში. მომეყურაო, — იფიქრა. გატრუნულმა მიუგდო გულისყური. მამლის ყივილის გაგონება ისე გაუხარდა, თითქოს თავისუფლების მონიჭება ახარესო.

რაკი სადღაც მამალმა იყივლა, მაშ, სულ მთლად არ გაუწირავს მამაზეციერს, — ადამიანები ახლოს ყოფილან. ადამიანების ახლოს ყოფნა კი ნუგეში იყო.

შველას კი არ ითხოვდა — თავი გადაედო. ყველანაირ სასჯელს მშვიდად დაითმენდა: თავის მოკვეთასაც, ჯვარცმასაც, ცეცხლში დაწვასაც, ჩამოხრჩობასაც.

ერთადერთი სასჯელის ეშინოდა: ადუღებული ზეთის ჩასხმისა პირში. თუ ხალხი ახლოს ეყოლებოდა, ძალაც მეტი მოეცემოდა მარტვილობისათვის. ხალხის ერთი ამოგმინვა თამამად გადაადგმევინებდა ნაბიჯს სახრჩობელისაკენ, ბოლოს და ბოლოს, ადუღებული ზეთის ჩასხმასაც კი დაითმენდა ხალხის გულისათვის. მაგრამ თუ მარტოკას ჯურღმულში ამოახრჩობდნენ და ამას ვერავინ გაიგებდა, არ ივარგებდა. მთელ ქვეყანას უნდა გაეგო აბოს ამბავი, უძლეველი, მთელი აღმოსავლეთის მფლობელი ხალხის შვილი უარს ამბობდა თავის ზღაპრულად უძლეველ ხალიფატზე, თავის სჯულზე და ჩაგრულ ხალხს, ერთი მუჭა დაუძლურებულ და გაღატაკებულ ქართველობას თანადგომასა და თანაქცევას ჰპირდებოდა.

მარტო ქართველებისათვის არ აპირებდა ჯვარცმას.

ქართველებისთვისაც და არაბებისთვისაც უნდა ემარტვილა, ქართველებს უნდა ერწმუნათ, რომ მათი ქვეყანა, ხალხი და სჯული გადაშენებისა და გადაგვარების ღირსი არ იყო. მათთვის ღმერთს ებოძებია საკუთარი მიწა-წყალი, ენა თვისი, სარწმუნოება, არა კაცს, თუნდაც არაბს, უფლება არ ჰქონდა ღვთის გაჩენილი მოესპო.

არაბებს კი სხვათა დამონებისა და ჩაგვრისათვის საზღვარი უნდა დაედოთ. კეთილშობილი არაბები ვერ ივლიდნენ იმ გზით, რა გზითაც ხალიფატი მიდიოდა.

სხვა დროს არ ეფიქრა ამაზე აბოს, თავის ტანჯვა-წვალებას ახლა

აქ, დილეგში, უცვლიდა გეზს, აზრსა და დანიშნულებას აძლევდა. ალბათ ასე შორს არ ჰქროდა მისი გონება, ადგა და ჩაგრულს მხარში ამოუდგა. ჩაგრული, ღატაკი, საწყალი ხალხი ბალღობიდანვე უყვარდა. ქრისტე ღმერთში ჩაგრულის ღმერთი შეიცნო და უმალ მისი ერთგული მიმდევარი ნა. სულ ეს იყო გოლგოთის გზაზე შედგომის მიზეზი. რაკი ეს ნაბიჯი გადადგა, სიმტკიცეც მართებდა იმ ღმერთისებური.

მამლის ყივილი ისევ შემოესმა. ისევ გაუნათდა გული, იმედი ჩაესახა. „ალბათ გათენდა. მოვლენ და წამიყვანენ", — იმ საზარელმა დილეგმა ისე მოაბეზრა თავი. „წაყვანა" უხაროდა. კარგად იცოდა, თუ წაიყვანდნენ, საწამებლად ან სასიკვდილოდ წაიყვანდნენ, აქ ჯდომას მაინც წაყვანა ერჩია. აღარსად იყო წამყვანი. „სიკვდილი სანატრელი გამიხდება", — ფიქრობდა ნაღვლიანად.

ეძინებოდა, თუ გული მისდიოდა, თუ ყელში უჭერდა უჰაერობა, კედლები რომ არა, ალბათ დაეცემოდა, შამფურივით ტრიალებდა ორ კედელს შუა, თითქოს ზევით-ზევით აჰყავდა რაღაც ძალას, გასაქანი არც ზევით იყო, წელში გაიმართებოდა თუ არა, თავს ლოპრიან ჭერს აბჯენდა.

სიბნელეს დაუწყო ყურება, ერთადერთი ნუგეში ესღა რჩებოდა. თუ შეძლებდა გულისყურის სრულ მიპყრობას სიბნელისაკენ, გულის თვალი აეხილებოდა და ცხადლივ ხედავდა იმას, რაც უკვე მომხდარი იყო, რაც თავს გადახდენოდა.

არაფერი ჩანდა არსაიდან, ერთიანად, ჩაძირულიყო წყვდიადში. გული წაუვიდა თუ დაეძინა. დიდხანს იდგა ასე ძილბურანში წასული. იდგა, იდგა... ნელ-ნელა ჩაიკეცა, ჩაიბღუნძა, ჩაეკვეხა კედლებს შორის, ასე ნახევრად ჩაყუნცული, ვინ იცის, რამდენ ხანს თვლემდა. არაფერს ხედავდა. არავის ელაპარაკებოდა, უძრავად, უსიცოცხლოდ გატრუნულიყო ბნელ საკანში. სამარისებურ სიჩუმეში, ჯოჯოხეთურ სრულ წყვდიადში დრო თითქოს საერთოდ აღარ გადიოდა, ერთ ადგილას, ერთ რომელიღაც წამზე გაქვავებულიყო. და ვინ იცის, რას ელოდებოდა, როდის დაიძვროდა ადგილიდან.

...წყვდიადში თეთრი წერტილი გამოჩნდა. ეს წერტილი ჯერ კენკრისხელა იყო, შემდეგ ხელისგულისოდენა, შემდეგ ბადრ მთვარეს დაემგვანა და... მამა იოანეს მოჰკრა თვალი წყვდიადში. მამა იოანე ამოცურდა უკუნეთიდან. — მამაო! — შესძახა აბომ და კალთაზე ეამბორა.

— შემიპყრეს, მამაო! აი, ასე დედიშობილა წამომიყვანეს და მახრჩობელა საკანში ჩამაგდეს, — შესჩივლა აბომ იოანეს თავისი გასაჭი-

რი, — ჩემმა პატრონმა და დიდმა ბატონმა არ იცის, რომ აქა ვარ, — შურტების საკანში, არც ძმებმა იციან, არც ერისმთავარმა სტეფანოზ-მა. ხელებშებორკილი, თვალებახვეული, ორ კედელშუა ჩამოკიდული ლოდები სიკვდილს. განა შეიძლება ამათი ღმერთი იწამოს ადამიანმა?..

მამა იოანე არაფერს ამბობდა. გაჩუმებული, თავდახრილი იდგა სივრცეში. აბო ეკითხებოდა და იოანე არ პასუხობდა. თანაც აბო ძველ ამბავს კი არა, ახალს, თავის ამჟამინდელ ყოფას ამცნობდა მოძღვართ-მოძღვარს, აბო ძილშივე მიხვდა, რომ ეს სიზმარი იყო და გამოღვიძება სცადა. იოანესთან ფხიზლად უნდოდა საუბარი. გონს მოეგო, მოძღ-ვარს თვალსაწიერიდან არ უშვებდა, უნდა მიმხვდარიყო, გამოეცნო, თუ რას ეტყოდა იოანე საკანში გამომწყვდეულს. სტეფანოზი და მიქაელი მტკიცედ მოითხოვდნენ თავის სჯულზე მიბრუნებას, ნერსე და გრიგო-ლიც ფრთხილობდნენ, გულმა როგორც გიკარნახოს, ისე მოიქეცი, უთხრეს. იოანე იტყოდა გადამწყვეტ სიტყვას, იოანეს იმედი ჰქონდა, ამიტომ დაეძებდა გულის თვალით წყვდიადში მამა იოანეს...

...მამა იოანე თავისი თეთრი ჯორით რასტიბაზარში * იდგა და აბოს შორიდან შესცქეროდა. აბო გასისხლიანებულ ენამოჭრილ ლაზს თავს დასტრიალებდა და გაჰყვიროდა: — ხალხნო, ადამიანი მოკლეს! გამო-დით, ნუ იმალებით! ვუშველოთ, ღმერთი არა გწამთ?..

მოიყვანეს სათრეველა ურემი. დაჭრილი ზედ დააწვინეს და წაიყვა-ნეს. აბო შუა ბაზარში მარტო დარჩა. გასისხლიანებული, ნაცემ-ნაგვე-მი, გაოგნებული იდგა ერთ ადგილას და არ იცოდა, რა ექნა. უცებ მან თვალი ჰკიდა ფიჩვოსან ბერს, თეთრი ჯორი ეჭირა აღვირით და სიყვა-რულით შესცქეროდა. აბომაც შეხედა. ჭაღარაშერთული დიდი წვერი მკერდამდე სცემდა ღვთისკაცს. შუა ხნისა იქნებოდა, ფართო პირისახის, მშვიდი და კეთილი თვალები ანთებოდა კვარივით და ღვთაებრივ სით-ბოს აკმევდა, მიმზიდველ, ძლიერ შუქს ასხივებდა ირგვლივ მყოფთ, მაგრამ ირგვლივ არავინ იყო გარდა აბოსი, აბოსკენ მიემართა ჯადო-სნურ სხივთა ნაკადი. ვით უფლის გამოცხადება, მოლაშქრეებთან ომით დაღლილ აბოს გამოეცხადა იოანე საბანისძე შუა ბაზარში. ის დაუვიწყარი, ღვთაებრივი შუქით განათებული მოძღვრის სახე ამოცუ-რებულიყო წყვდიადში და განსაცდელის ჟამს, ბნელ საკანში შემწყვ-დეულ აბოს, ძველებურად სიკეთითა და სიყვარულით ავსებდა.

— ქრისტეს მიერ საყვარელო, შვილო ჩემო, — უთხრა მაშინ ტკბილი, სიმშვიდისმომგვრელი ხმით იოანემ.

---

* შუა ბაზარში.

აბომ თავი უხერხულად იგრძნო. „ქრისტიანი ვგონივარ“, — შეაწუხა სინდისმა.

— არა, მე არა... ალუღლუღდა ყმაწვილი. აფორიაქებულ[illegible] ხეზე. მონაზონმა მკლავში ხელი მოჰკიდა და დამარწმუნებლად [illegible] ცედ უთხრა:

— ვიცი, ვინცა ხარ. წამოდი ჩემთან.—იოანეს ცალი ხელით ჯორი მიჰყავდა, ცალითაც აბო. ხელიხელჩაკიდებულები გამოვიდნენ ბაზრიდან.

ის დაუვიწყარი დღე დაუდგა თვალწინ აბოს. მორჩილად მიჰყვებოდა მოძღვარს. იმან მიიყვანა პირველად მარიამწმიდაში, იმან აუხილა თვალი. ღვთის მიერ ბოძებულ სიკეთეს იმან მისცა პირველი სადინარი, ჭეშმარიტების გზაზე იმან მიიყვანა ხელიხელჩაკიდებულმა.

„ღვთის მირონი გაცხია“, — უთხრა იმ დღეს იოანემ და იმ დღიდან დაუწყო თავისთავს თვალის დევნება.

ყველაზე მთავარი მის ცხოვრებაში მაინც სვეტიცხოველში მოხდა, ვნების კვირაში, ქართლში ჩამოსვლის პირველ წელიწადს. იქაც იოანემ მიიყვანა.

მაშინ მარიამწმიდაში, სხვა ყმაწვილებთან ერთად, დადიოდა და ქართულ წერა-კითხვას სწავლობდა. მან უკვე იცოდა ქრისტეს საოცარი წამების ამბავი. ქრისტეს ცხოვრებას იოანე თავის მოწაფეებს ჯერ თვითონ მოუთხრობდა, შემდეგ, როცა ყმაწვილები კითხვას შეისწავლიდნენ, ყველა მახარებლის მონათხრობი სახარება ცალ-ცალკე უნდა შეესწავლათ. აბოს ჯერ მათეს სახარების პირველი თავები ვერ გადაეკითხა ხეირიანად, მაგრამ მწყემსი კეთილის წამებული ხატი უკვე თან დაჰყვებოდა. ეს ხატი მან პირველად ცხადად და სრულად იხილა დიდ ხუთშაბათს, სწორედ აქ, სვეტიცხოვლის თორმეტთა მოციქულთა საყდარში.

კეთილ-კრძალულობით შედგა ფეხი ჭაბუკმა ქართველთა წმიდა სალოცავში. კათაკმეველთ შორის ჩაეკვეტა და კისერწაგრძელებული მიაჩერდა ჯვარცმას. აქ აუძგერდა პირველად გული უფლისა მიმართ, პირველად ასწია ხელი პირჯვრის საწერად.

სამოელ ქართლის კათალიკოსიც პირველად იქ იხილა.

მწყემსმთავარს უკმევდნენ, საღვთო საქმეთა აღსასრულებლად ამზადებდნენ.

საიდუმლო სერობა დიაკონმა გალობით დაიწყო. იესო ქრისტეს მიერი საიდუმლო ტრაპეზი უნდა გამართულიყო. მოძღვრის როლში კათალიკოსი გამოდიოდა. და მოიღო წყალიო... გალობდა დიაკონი და სა-

მოელ ქართლის კათალიკოსი თავის მოწაფეებს ცეხს ჰბანდა. კათალიკოსს სერობის სრული სურათი უნდა წარმოედგინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ბანდა ფეხს მოწაფეებს უფალი? — თავმდაბლობა — და ერთგულების მაგალითი უნდა ეჩვენებინა არა მარტო მოწაფეებისათვის, ხალხისთვისაც. აბოს არ ახსოვდა სახარების ის ადგილი, საიდუმლო სერობის ჟამს უფალი მოწაფეებს ფეხს რომ ბანდა. მას უფრო ქრისტეს გოლგოთაზე წამება და შემდეგ ბრწყინვალე აღდგომა ხიბლავდა და ის დახსომებოდა. როცა ცხადად იხილა, მაცხოვარმა ფეხი დაბანა არა მარტო საყვარელ მოწაფეებს, არამედ გამცემელსაც, — იუდასაც, ჭაბუკს თვალები ცრემლით აევსო და კიდევ უფრო შეუყვარდა მშიერ-მწყურვალთა და უპოვართა ღმერთი.

მეორე დღეს მან გარდამოხსნა იხილა, მესამე დღეს — უფლის აღდგომა, ეს იყო ზღაპრული სახალხო დღესასწაული, მსგავსი რამ არასოდეს ენახა და არც გაეგონა; მთელი ქართლი მცხეთისკენ დაძრულიყო. სვეტისცხოვლის საყდარში. საყდრის გარშემო მდებარე სამოთხის ბაღი ზღვა ხალხს ვერ იტევდა. ბავშვები ხეებზე ასულიყვნენ, ხელში წითელი კვერცხები ეკავათ და „უფალო, შეგვიწყალეს“ გალობდნენ.

„ქრისტე აღდგა მკვდრეთით“, — გამოდიოდა საყდრიდან დიაკვნის ბარიტონი.

„სიკვდილითა სიკვდილითა“, — მოსძახოდა ხალხი. სახარების სიტყვებს ამახინჯებდნენ, მაგრამ შინაარსს მაინც გადმოსცემდნენ. მთელი გრძნობით, გატაცებითა და ღრმა რწმენით იხსენებდნენ წარსულს: ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა და სიკვდილის დამთრგუნველი და საფლავებს შინათა ცხოვრების მომნიჭებელიო.

რა გატაცებით მღეროდნენ, რა სიყვარულით, რა სიამაყით ამცნობდნენ ქვეყანას თავიანთი უფლის მკვდრეთით აღდგომას. როგორ სჯეროდათ ამ სასწაულის! აბო ახლა დილეგში ხედავდა მათ სახეებს და მათი ხმები ჩაესმოდა ყურში.

იმ დღეს კი იესო ქრისტეს ღვთიურმა სიცოცხლემ თვალწინ გაურბინა და თითქოს ზეციდან უკარნახეს, ურჩიეს: — ყმაწვილო, აი, ეს არის ის, ვისაც ბალღობიდანვე მიელტვოდი. მიბაძე მას, მისებურად იღვაწე. აბოს მართლაც სხვა სურვილი არასოდეს ჰქონია. მაგრამ როგორღა ეღვაწა ქრისტესებურად, რა შეეძლო მას, რა ხელეწიფებოდა, ქრისტეს ოდნავ მაინც როგორ დამგვანებოდა?

განა ქრისტესავით იქადაგებდა? ან საპყართ განკურნავდა? მკვ-

დართ აღადგენდა? სიკვდილი! მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილი შეეძლო ქრისტესებური!

„ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილითა“... — გალობდა ხალხი, თითქოს განგებ ამახინჯებდნენ სახარებას. ქრისტეს სიკვდილში მის სიცოცხლეს ხედავდნენ და ამიტომ ამოკლებდნენ, მოკვდა და ამით აღდგაო — კათაკმეველთ ამცნობდნენ და გმირული სიკვდილისაკენ მოუწოდებდნენ.

მართალი, კეთილი, ბრძენი, საყვარელი, ტანჯული იესო ნაზარეველი ყმაწვილ აბოს იმ დღიდან აღარ განშორებია. ძილშიც კი მის სახელს აბოდებდა და ესიზმრებოდა ღამ-ღამობით.

ახლა მახრჩობელა საკანში ქრისტეს ტანჯული სხეული ამოვიდა წყვდიადიდან და აბომ სწორედ ის გაიფიქრა, რაც მაშინ, იმ აღდგომა დღეს სვეტიცხოვლის ეზოში. „სიკვდილი! მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილი შემიძლია ქრისტესებური!“

რამდენჯერაც ამას გაიფიქრებდა, იმდენჯერ კვდებოდა ქრისტეს სიკვდილით. საკუთარი ჯვარი მიჰქონდა და მიდიოდა გოლგოთას გზაზე...

რამდენიმეჯერ შედგა და ჩაიკეცა, ვეღარ გაუძლო ტვირთის სიმძიმეს.

— ეს ბიჭი ხომ მუსლიმია, — ჰკვირობდნენ არაბიელნი — რისთვის უტვირთია ქრისტეს ჯვარი!

უკან ზღვა ხალხი მისდევდა ჩოჩქოლით, ზოგი კიცხავდა და აგინებდა, ზოგი ლერწმით სცემდა ყვრიმალზე, ზოგი ჰნერწყვავდა ნათელს პირზედ და ხვირთით სცემდა თავზე. ზოგი გაჰყვიროდა: ჯუარს აცუ, ჯუარს აცუ ეგე!

აბოს გაუჭირდა ჯვრის ზიდვა. ხალხთან ერთად მოდიოდა კაცი ვინმე კვირნელი, სახელით სვიმონ. შეებრალა ჯვრის მზიდველი ჭაბუკი კვირნელს. მხედრებმა კვირნელი დასაჯეს ამ სიბრალულისათვის და გოლგოთამდე ჯვარი მას ათრევინეს. და აჰა, გამოჩნდა თხემისა ადგილი — გოლგოთა, ზედ ჯვარი დადგეს. აბოს მისცეს ძმარი ნაღვლითა შეზავებული, მოსვა ჭაბუკმა შხამი, შეთხზეს ეკლის გვირგვინი და თავზე დაადგეს. შემოაძარცვეს სამოსელი და ჯვარს აცვეს. მარცხნივ და მარჯვნივ ავაზაკნი გააკრეს ჯვარზე, მათთან ერთად მიიღო სატანჯველი, ისინი მძარცველნი იყვნენ, კაცისმკვლელნი, აბო კი — კრავი, ტარიგი ღმრთისა.

ნამდვილ ჯვარცმას აბო თავისთავს ვერ მიუსადაგებდა.

იქ ღმერთს აწამებდნენ, აქ მსახური უნდა ეწამებინათ. აბოს თავს

ზემოთ ვერ დაწერდნენ „ესე არს აბო, მეუფე“. ვერც ფარისეველნი ეტყოდნენ „სხუანი აცხოვნნა, თავი თავისი ვერ ძალ-უც ცხოვნებად“.

აბო ქურდულად შეიპყრეს, ალბათ ფარულ წამებას უპირებდნენ — ძაღლივით მოკვდინებას, გოლგოთაც კი სანატრელი გაუხდებოდა. სულერედ ახლა სჭირდებოდა მოძღვარი. — უნდა ესწავლებინა რა ელონა, რა მოემოქმედა, ვით ეზიდა საკუთარი ჯვარი, უფალს პირნათელი ვითარ შეხვედროდა.

ახლა უკვე იესო ქრისტე უბრალო მისაბაძი გმირი კი არ იყო აბოსათვის, უფალი გახლდათ მისი, ხოლო თვითონ საღვთო საიდუმლოს ზიარებული, ქრისტიანი.

— მოძღვარო, მოძღვარო! — ეძახდა წყვდიადში იოანეს პყრობილი, ხელებგაწვდილი ეძახდა, ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდა მარტოკა. სამარისებური სიბნელე დუმილით პასუხობდა.

...დიდხანს იდგა სივრცეში გაჩუმებული და თავდახრილი მამა იოანე, ბოლოს დაავლო ხელი თავის განუყრელ თეთრ ჯორს, ზედ ხურჯინი გადაკიდა და მარიამწმიდაში წავიდა. იქ მოწაფეები ელოდებოდნენ. მოწაფეები გაჰკვირდნენ, თავიანთი მოძღვარი ჯორითა და ხურჯინით რომ გამოეცხადათ. იოანეს ხელში სახარება ან კურთხევანი, ან სამოციქულო თუ ენახათ. მონასტრის ეზოში გამოეფინენ და ჯორს შემოეხვივნენ.

— ყრმანო, უფალი ჩვენი სად მოძღვრავდა თავის მოწაფეებს? — ჰკითხა იოანემ ბავშვებს და კითხვას თვითონვე უპასუხა: — ყველგან, მთად და ბარად, მას ხომ საყდარი ჯერ არსად ჰქონდა. მაცხოვარი ჩვენი ქადაგებდა ხან მდინარის პირას, ხან მთაზე, ხანაც ველზე ხამს ჩვენც მივბაძოთ მას.

მამა იოანე წინ გაუძღვა თავის მოწაფეებს და ქალაქის რაბათისაკენ გასწია. ბავშვებს უხაროდათ, მოსწონდათ ასეთი სწავლა. სად ეკლესიაში სწავლა და სად მინდორში ფსალმუნობა! მამა იოანემ უთხრა მათ: გზადაგზა იფსალმუნეთო, ნამდვილი მორწმუნე სულ მუდამ უნდა ფსალმუნობდესო.

რაბათს გასცილდნენ, ლეღვთახევისკენ აიღეს გეზი. წავკისელას მიჰყვებოდნენ აღმა.

წავკისელა ღრმა ხევში მოწანწკარებდა. ლოდებს ლოკავდა და მხიარული ლიკლიკ-რაკრაკით მიემართებოდა დედამდინარისაკენ.

მამა იოანე ჯორს წინ მიუძღოდა და ხევ-ხევ მიდიოდა. წინ წითელი ველი შემოხვდათ. აბოს ეს წითელი ველი ჩარჩენოდა სულსა და გულში. ყველაზე ნათლად, ყველაზე მკვეთრად. წითელი ველი ყაყაჩოებით

იყო მოფენილი და წითლად ანთებულიყო. შორიდან მხოლოდ წითელი ველი მოჩანდა, წითელი ფერი ელვარებდა მზეში, კაცი იფიქრებდა, ველზე სისხლია დაღვრილი და მდელო იმას გაუწითლებიყო, ნიავი რომ დაუბერავდა, — სისხლის ტბა ყოფილა და ნიავი ალივლივებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულმა იცის ტფილისის ველების სისხლისფრად ატკრციალება, ზურმუხტის ფერში წითელი ფერი ისე კივის, ლამის ციდან ღმერთი ჩამოიყვანოს. თბილისური ყაყაჩოსფერი შეეჭრა აბოს დილეგში და მთელი ქვეყანა წითლად შეღება, წითლად შეიფერა ლეღვთახევიც, თაბორის მთაც და უკან დარჩენილი კალაც. მაშინ ყველაფერი ზურმუხტისფერი იყო, მხოლოდ ყაყაჩოების ველი ღუოდა წითლად, ახლა კი აბოს თვალში მთელი თბილისი და მისი შემოგარენი აღდგომის კვერცხივით გაწითლებულიყო და ამ წითელ ქვეყანაში მიჰყავდა იოანეს თავისი მოწაფეები დასამოძღვრავად. სწორედ აქ, ყაყაჩოების ველზე შეაჩერა იოანემ ჯორი. წავკისელას პირას დიდ ლოდზე ჩამოჯდა და მოწაფეები გარს შემოიკრიბა.

— დავიწყოთ. წინა გაკვეთილზე ჩვენ შევისწავლეთ „მრწამსი“. აბა, ვინ გვეტყვის? — მამა იოანემ აბო მოძებნა თვალით. აბო წინ წამოდგა, წელში ოდნავ მოიხარა, ზეცისკენ აღაპყრო თვალები, პირჯვარი გადაისახა და დაიწყო:

— მრწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა...

— რას ნიშნავს „ერთი ღმერთი?“ — შეაჩერა იოანემ, — რაკი შენ ერთი ღმერთი გწამს, მაშ, ღმერთი ბევრი ყოფილა, რომელიღაც შენს მოყვასს მეორე ღმერთი, სხვა ღმერთი უწამებია.

— არა, — მიუგო აბომ მტკიცედ, — ღმერთი ერთია, მაგრამ სამპიროვანია.

— სწორია, ყოჩაღ, აბო, — ღმერთი ერთია, — ეკლესიაშიც ასე ვგალობთ არა?

„ერთ არს წმიდა, ერთ არს უფალი“. ვიგალობოთ ერთად, მიქაელ, გრიგოლ, დაიწყეთ.

ყმაწვილები შეყოვდნენ, ღია ცის ქვეშ გალობა ეხამუშათ, იოანემ წამოიწყო თვითონ, მოწაფეებიც ხელად აჰყვნენ და ჭაბუკური ტკბილი ხმები მოეფინა ყაყაჩოებით მოფენილ ველს, გალობა რომ გაიგონა ხევში ჩიტი აყღურტულდა, მიდამო ჭიკჭიკით დაატკბო.

გალობას მორჩნენ, იოანემ მოწაფეებს ჰკითხა:

— აბა, ახლა მიბრძანეთ, რა არის სამპიროვნება... ვინ არის პირველი პირი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მამა ღმერთი. — მიუგეს ყმაწვილებმა.

— მეორე?

— ძე.

— მესამე?

— სული წმიდა.

— სწორია. აი, ამიტომ სამპიროვანი ღმერთი იწოდება კიდევ როგორ?..

— ყოვლად წმიდა სამებად, — მიუგეს.

— ერთობა სამებისა როგორ გესმით?..

ბავშვები გაჰკვირდნენ, ერთმანეთს შეაჩერდნენ, ხომ ყველაფერი ვთქვითო.

— გრიგოლ, აბა, შენებურად... კარგად დაფიქრდი.

— მზე, მამაო, — თქვა გრიგოლმა, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და ზეცაში მზეს დაუწყო ყურება, — მზე ხომ ერთია.

— სწორია. მზე ერთია, — უთხრა იოანემ.

— მაგრამ მზისგან წარმოიშობა სითბო და სინათლე. ცხოველი მზე, რომელსაც ჩვენ ერთს ვხედავთ, შედგება სამისაგან: სითბოსაგან, სინათლესა და თავისთავისაგან. ღმერთიც ასეა. ჯერ თვით არის, მისგან იშობა ძე, — სითბო გულისა და სული წმიდა — სინათლე გონებისა. სამივე კი ერთია, ერთი მთელი.

— სწორია. ახლა ლოცვა ყოვლად წმიდა სამებისა გავიმეოროთ, — თქვა კმაყოფილად იოანემ, გრიგოლი გვერდით ამოიყენა და „წმიდაო ღმერთო"... წამოიწყეს.

ხალიანი ყაყაჩოებით მოჩითულ ველზე შავით მოსილი ქალი გამოჩნდა. ველზე ერთი ხე იდგა მწვანე ქოლგად გაშლილი. იმ ხის ძირას შედგა ქალი, იღლიიდან დახვანჯული თოკი გამოიღო. თვალისდახამხამებაში ყულფი გამონასკვა, იქვე კუნძი ეგდო, ის კუნძი დიდი მონდომებით მოაგორა ხის ძირას. ზედ შედგა, ყულფი ხის ტოტზე ჩამოკიდა, შიგ თავი გაჰყო და კუნძს ფეხი ჰკრა. კუნძი გვერდით გადაგორდა, ყულფზე რომ დაეკიდა, თოკი გაწყდა და ქალმა ძირს ზღარბანი მოადინა.

როცა ქალმა თავი ყულფში გაჰყო, მიქაელმა ჰკიდა თვალი და იყვირა:

— ღმერთო, დაიფარე!

ყველანი შებრუნდნენ იქითკენ, საითკენაც მიქაელი იყურებოდა. ამასობაში თოკი გაწყდა და ქალი ძირს დავარდა. მამა იოანე ქალისკენ გაეშურა, მოწაფეებიც უკან გამოუდგნენ.

აბოს იმ ქალის გაგიჟებული თვალები ახსოვს მხოლოდ. მიეახლნენ.

ქალი ჩოქზე იდგა ყაყაჩოებში და ახალ მარყუჟს ნასკვავდა გულდა-
გულ, თან თვალის გადმობრუნებულ თეთრ კაკლებს შეშლილივით ბო-
ჟინებდა. ქალს თვალი ვერავინ გაუსწორა. ყმაწვილებმა დამბაჯარ-
ებივით ჩაქინდრეს თავები და შეშინებულები გვერდით მიდგნენ.
იოანე მივიდა ქალთან ახლოს, მკლავებში წაავლო ხელი, წამოაყენა და
ალერსით უთხრა:

— გადააგდე თოკი, უბედურო! — ქალმა უცებ ტირილი აიტეხა,
ხელი წაართვა იოანეს, გაიქცა და მოშორებით ჩაჯდა ბალახებში.

— სიცოცხლე ღვთის ბოძებულია, შენ რა უფლება გაქვს, რომ
ისწრაფავ! — შორიდანვე უთხრა იოანემ და ნელა მიეახლა. ქალი
მკვირცხლად წამოხტა და გაიქცა. გრძელი შავი კაბა ფეხებში ებლან-
დებოდა, ერთი მსხვილი ნაწნავი უკან მისთრევდა, შუახნისა იქნებო-
და, დარდისა და მწუხარებისაგან გატეხილიყო.

იოანე ქალს გამოუდგა, ყმაწვილებიც უკან მიჰყვნენ. ქალმა ყაყა-
ჩოიანი ველი ფოცხვერივით გადაირბინა, ნეკერჩხლის კორომში შეჰყო
თავი და ტყის ბილიკით კარგა ხანს ატარა მამა იოანე და მისი მოწა-
ფეები. ბოლოს გომურ-სახლში შევარდა და კარი რაჯგუნით მიიხურა.
მამა იოანე შედგა. შუბლიდან ოფლი მოიწურა და ზღურბლთან შე-
ჩერდა, მოერიდა, — ქალს შინ შეუპატიჟებლად არ შეჰყვა.

— ვინ იცის, რა უჭირს. — თქვა მამა იოანემ ნაღვლიანად.

უცებ კარი გაიღო და ტიტლიკანა ბიჭმა გამოიხედა, ბიჭი ავადმყოფს
ჰგავდა, მუცელი ტყირპისაგან თუ ციებისაგან გაბეროდა და მწიფე
კიტრივით გაყვითლებულიყო.

ღია კარში ბავშვის გამოჩენა გაუხარდათ, იოანე მოწაფეებითურთ
ბავშვისაკენ წავიდა, მაგრამ მიწურიდან ქალის მოთქმა მოესმათ და
კვლავ შეჩერდნენ, ერთმანეთს გადახედეს, ქალი ხმადაბლა მოთქვამდა
გულსაკლავად.

იოანემ ჯერ შორიდან შეიხედა კარღია გომურში, შემდეგ ფრთხი-
ლად შეაბიჯა, აბო, მიქაელი და გრიგოლიც შეჰყვნენ, დანარჩენები კარს
მოეჯარნენ.

შუაცეცხლი ენთო, ცეცხლზე დიდი ქვაბი იდგა, ორთქლი ასდიოდა,
შიგ წყალი ტყვარჩალით დუღდა.

კერას გარშემო ბავშვები შემოწყობოდნენ, გრძელ ჯორკოებზე ის-
ხდნენ ერთმანეთის გვერდით, კვართი არც ერთს არ ეცვა, დედიშობი-
ლა მიფიცხებოდნენ ცეცხლს. კუთხეში ტაბაკი იდგა, ზედ ბალლის ცხე-
დარი ესვენა თეთრზეწარგადაფარებული, შაოსანი ქალი იმ ტაბაკს
მიჯდომოდა და ხმადაბლა მოთქვამდა. იოანეს თავზარი დაეცა დამუნ-

ჯებული, თავდახრილი იდგა დამნაშავესავით. სად იყო ის სანუგეშო სიტყვა, აქ რომ უნდა თქმულიყო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზერით დათვალა ბავშვები. შვიდნი იყვნენ. უფროსი, ალბათ, ექვსი წლისა იქნებოდა, უმრწემესი ალბათ სამისა. თითქოს ეძინებათო, ერთმანეთზე მიედოთ თავები და თვლემდნენ. მხოლოდ იმ ერთს უბრწყინავდა მკვირცხლად თვალები, ვინც კარი გააღო და დაუპატიჟებელ სტუმრებს გამოხედა.

— სიყმილი. — თქვა ჩუმად იოანემ მოწაფეების გასაგონად... — სიყმილი და ჭირი მძვინვარებს ქართლში.

იოანემ პირჯვარი გადასახა დედაწულს ერთიანად. შემდეგ ჯვარი მაღლა შემართა, ლოცვის ბუტბუტით ქალს დაადგა თავზე.

ქალი ჯვარს ემთხვია და ტირილს მოუმატა.

იოანეს გაუხარდა. იმედი მოეცა.

— ეშმაკეული მეგონე. — ჩაიდუდუნა და მხარზე ხელი დაადო დასამშვიდებლად, — ცისცისად ეშმაკიერი...

— დიახაც! — შესძახა ქალმა. — ენამ გიყივლათ, ბატონო. სწორედ რომ ეშმაკისა ვარ და მისი დეიდაშვილისა — სატანისა. იმათი კერძი რომ არ ვიყო, ასეთ ძვალმაგარს რა დამარჩენდა! იმათ გამო აღარ მისკდება დედამიწა და შიგ აღარ ჩავეტენები, შავ დღეზე და შავ ვარსკვლავზე გაჩენილს აღარ ამომაკვნესდება სული...

„სუუული", — გაგრძელებულად წარმოთქვა, ხელები მაღლა შემართა და მოთქმა მოაყოლა:

— ვარსკვლავის პატრონსა, ბატონო... ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავისა, ბატონო...

კოკობი ვარდისა, ბატონო...

ქალი მდუღარე ცრემლს აფრქვევდა და თეთრ ზეწარს ეფერებოდა. ზეწრის ქვეშ ილანდებოდა ბალღის პატარა თავი, შუბლი, ცხვირი.

— რატომ დედაშენი არ წავა შავეთში, შვილო. რას ელოდება შვილმკვდარი დედა, შვილო...

— კარგით, დაწყნარდით, დამშვიდდით, — უთხრა იოანემ.

— თქვენი მტერი და სისხლისმსმელი დამშვიდდეს ისე, როგორც ახლა მე დავმშვიდდები, ბატონო, — კვლავ მოთქმაში გადაიყვანა ბოლო სიტყვა ქალმა და ვაი, ვაიო, მუხლებს აუტეხა ცემა-ტყეპა.

— ერთი თვეა ბალახსა ვძოვთ, ბატონო, — მოთქმით უამბო თავისი თავგადასავალი, — პირუტყვებივით, ბატონო. უჩემოდ არ ჭამოთ-მეთქი ბალახი, ყველა ბალახი არ იჭმევა-მეთქი. ბალახს ძროხაც კი ირჩევს-მეთქი, არ გამიგონეს, არ დაიშალეს, ბატონო... მშიერ რვა ბავშვს რვა

კუთხივ ხომ არ გავეკიდებოდი, ვინ იცის, ყია რით ამოიყოლეს, ჯერ სისხლის ყვანა დააწყებინა, მერე მამიკვდა, ბატონო.

ქალი ტირილისაგან ჩაბჟირდა, „მამიკვდას“ წარმოთქმა გაუჭირდა, — გული ამოაყოლა.

— ალბათ შხამა ბალახი შეჭამა უბედურმა, ბატონო.

ცხედარს ხელი გადასდო და ჩაეკრა. გატრუნული იჯდა ასე კარგა ხანს. შემდეგ წამოდგა. ცრემლი თავსაფრით მოიწმინდა, კერიას მიმსხდარ ბავშვებს ზურგი აქცია და იოანეს საიდუმლოდ უთხრა:

— ამათ ხომ ხედავთ, — ბავშვებისაკენ გაიხედა ჭურდულად, — მესამე დღეა ასე სხედან. ქვაბს ელოდებიან. ვაი, მაგათ ოხერ დედასა! ვაი, ვაი! — ქალმა ლოყები დაიკაწრა, — შიგ ქვები ყრია, ამ სისხო რიყის ქვები, — ქალმა მუშტები შეატყუპა და იოანეს ცხვირთან მიუტანა.

იოანემ დაბნეული თვალები ქალს მოარიდა და მოწაფეებს გადახედა.

— ქვაბში ქვები იხარშება, ბატონო!.. — დაისისინ-დაიწიწინა ქალმა. თან თვალები გვეს-გლიპსურად აენთო. თითქოს მართლა სატანასთან წილნაყარიაო.

— ქვები? — შეკრთა იოანე.

— ამათ ხორცი ჰგონიათ და ელოდებიან.

— რა ვქნა! — ყელში წაიჭირა ქალმა ხელი. — რაც მებადა წაიღეს ხარაჯაში, ქმარი ომში მომიკლეს. ორმოში ერთი მუჭა ფეტვი გვეყარა და ისიც მარცვალ-მარცვალ ამოგვიკრიფეს. ერთი მამიკვდა, მამიკვდა. დანარჩენებიც რომ შიმშილით მეხოცება, ქრისტიანებო, იქნებ გზა მასწავლოთ, მირჩიოთ რამე.

ქალმა როგორც კი თქვა, ქვაბში ხორცის ნაცვლად ქვები იხარშებაო, მკვდარი ბავშვი ყველას გადაავიწყდა და კერასთან შეჭუჭყულ ბავშვებს დაადგნენ თავზე, მისუსტებულებს ცეცხლისაგან წვივები და ლოყები ატკეცოდათ, გარეთ მზე ჩახჩახებდა, მაგრამ ცეცხლს არ შორდებოდნენ ხორცის მოლოდინში, ერთმანეთზე მიედოთ თავები და ძილბურანში ფხიზლობდნენ. გომურში ორთქლი და კვამლი იდგა, ჯორკოებზე თითქოს ეყარნენ დაბერილი მუცლები და წვრილი, წვნიკა ფეხები.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩემს ყოფაში ვითომ არის გამოსავალი, კეთილო ბატონო? — იკითხა ქალმა გულწრფელად.

ქალმა იოანეს ჯორკო გამოუტანა, თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— რასაც თქვენ აპირებდით, ის არ არის გამოსავალი. — უთხრა იოანემ გულითადად. — ამ მერცხლებს ვის უტოვებდით? — საყვედურიანი თვალებით შეხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთს, ბატონო. — ქალს სახეზე საოცარი რწმენა და იმედი ალებეჭდა. იოანემ იფიქრა, ეს ქალი კიდევ რაღაც საშინელების თქმას აპირებსო და შეშინებულს უნებურად გაურკვეველი ბგერები ამოხდა პირიდან.

— ეე... აუ...

— ღმერთს, კი, ბატონო, — გაუმეორა ქალმა. — რატომ გაიკვირვეთ. ვიფიქრე, ალბათ ცოდვიანი ვარ-მეთქი. ავიღე და გადავწყვიტე თავის მოკვლა. ანგელოზები ღვთის ანაბარა დავტოვე. როცა ღვთის ანაბარა დარჩებიან, ღმერთს სხვა რა გზა ექნება, ვარსკვლავებს არ მიმიხედოს. ახლა ჩემი იმედი აქვს იმას. დედამ მოუაროსო, ფიქრობს, როცა აღარ ვიქნები, ვინ მოუვლის? — ღმერთი. განა ღმერთი ისეთი უგულოა, ობლები მიატოვოს და ლუკმაპური არ გამოუგზავნოს?!

იქნება აღასრულა ღმერთმა ჩემი ლოცვა-კურთხევა, — თქვა ქალმა, წამოდგა და იოანეს და ყმაწვილებს სათითაოდ დაუწყო თვალებში ყურება, — ეგებ ღმერთმა გამომიგზავნა თქვენი თავი, — ბარძაყებზე დაიტყაპუნა ხელის გულები. — სწორედ მაშინ, როცა თოკზე დავეკიდე, უფალმა დამინახა მაღლიდან და შემიბრალა. ჩემი მახარებლებიც შეიწყალა და თქვენი თავი გამომიგზავნა. ასე არ არის, ბატონო? ხომ ასეა, ბატონო?

ქალმა პირჯვარი გადაისახა და ლოცვას მოჰყვა. იოანე წამოდგა და გარეთ გავარდა. მოწაფეებიც უკან გაჰყვნენ, მიწურის წინ მიქაელს უთხრა.

— წადი ველზე ხურჯინი რომ დავტოვეთ, ის წამოიღე, ჯორიც წამოიყვანე თან.

მიქაელი თავქუდმოგლეჯილი გაიქცა ხურჯინის მოსატანად. ხურჯინში თურმე ხმიადები ეწყო მოწაფეთათვის. იოანეს თადარიგი დაეჭირა, ხმიადები წამოეღო.

როცა მიქაელმა ხურჯინი მოიტანა, პურის კვერები ამოალაგა, ქალმა შესძახა:

— ხომ ვთქვი, თქვენი თავი ღმერთმა გამომიგზავნა-მეთქი. ხომ ვთქვი! მე რომ თავის მოკვლა არ გადამეწყვიტა, თქვენ ხომ ჩემსას არ შემოიხედავდით? — ქალმა იოანეს მუხლები დაუკოცნა, მიქაელს მივარდა და ხელებზე ეამბორა, ხელის კანკალით დატეხა ხმიადები, ბავშვებს ხელისგულისოდენები ჩამოურიგა და დანარჩენი შეინახა.

ბავშვებმა დედას უწადინოდ ჩამოართვეს ხმიადის ნატეხები, არ სჯეროდათ, თუ მართლა პური იყო, ეგონათ, რომ ატყუებდნენ, უგემურად დაუწყეს ლოღნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდათან ბავშვების თვალებში ნაკვერცხალი გაღვივდა, სწრაფად გამოფხიზლდნენ და გამომკვირცხლდნენ. გამხიარულდნენ და ჟრიამული ატეხეს.

იოანემ დედას ორი შვილი დაუტოვა, დანარჩენები საგლახაკეში წაასხა. საგლახაკე ნერსე ერისთავს აეგო სიონთან ახლოს უპოვართათვის. საგლახაკეში ყმაწვილები არ ჰყავდათ, ყმაწვილთათვის არ იყო განკუთვნილი. მაგრამ იოანე პატრონობდა მათ, საზრდელსაც თვითონ აძლევდა და სასმელსაც. დედაკაცივით თავს დასტრიალებდა სხვის შვილებს.

აბო წყვდიადიდან გასცქეროდა ნათელში მოფუსფუსე მოძღვარს. შეკითხვებს აძლევდა აქედან. ის კი ვერ ამჩნევდა, არ პასუხობდა. სიტყვით კი არა, საქმით უთხრეს სულიერმა მამებმა სათქმელი აბოს. სიკეთის დასამკვიდრებლად სიმტკიცისა და ამტანობისათვის უნდა მოეხმო სულიერ მოწაფეს.

აბო ატყობდა, ახლა რომ კარი გაეღოთ, ალბათ ფეხზე ვერ დადგებოდა. ფიქრისათვის საყოფი ძალაც კი გამოლეოდა. ძილ-ბურანში იყო, ეგონა, რომ კვდებოდა. არ იცოდა, გათენდა თუ დაღამდა, მეორე დღე იყო თუ მესამე, სად იყო, რომელ საკანში, ქალაქში თუ ქალაქგარეთ... ერთხანს სულ მთლად გულწასული ეგდო, შემდეგ მურუჟღი შუქი კვლავ ჩამოდგა წყვდიადში, კვლავ გაიგონა საკუთარი გულის ფეთქვა, როცა ფიქრი დაიწყო იმაზე, რომ ასეთ ყოფას სიკვდილი ერჩია, მოძღვრის შეგონება ვეღარ უშველიდა, მთელი ძალით მიახლიდა კედელს თავს და მოისვენებდა, სწორედ ამ დროს მოხდა სასწაული, თითქოს მეხი გავარდაო, გაირაჯგუნა რკინის კარმა, საყრდენი გამოეცალა და დაეცა, ქვას თუ რკინას დაასკდა. მეტი არაფერი ახსოვს.

როცა გონს მოეგო, ჯალათები სადღაც მიათრევდნენ, ცალ ხელში შუბები ეჭირათ და ცალით ექაჩებოდნენ. აბოს თვალის გახელა უჭირდა და ამიტომ რჩებოდა ფეხები უკან, სინათლე თვალს სჭრიდა.

„ნეტა სად მიმათრევენ...“ იმ საზარელ საკანში ყოფნას ყველაფერი ერჩია.

სადღაც დიდ დარბაზში შეიყვანეს, გააფრთხილეს, შურტათმთავარს ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქს სურს შენთან საუბარი, ჭკუით თუ არ იქნები, სიკვდილი არ აგცდებაო.

აბოს არ ეგონა, თუ იმ საშინელი საკნიდან გამოაღწევდა, როცა

სასო სულ მთლად წარეკვეთა, სწორედ მაშინ გაუღეს კარი და ახლა სულ ერთი იყო, ვინ რას ჰკითხავდა. სიმართლე უნდა ეთქვა, მხოლოდ სიმართლე! სიმართლისათვის დაე დასჯილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითური ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქი აბოს არასოდეს ენახა, ეგონა წამოვარდებოდა გაშმაგებული მგელი და ყელს გამოღადრავდა. აბოს ათასი საზარელი ამბავი გაეგონა ბაბაქზე.

როცა საკუთარი თვალით ნახა ეს საშიში ადამიანი, იმედი მოეცა, არ მოეჩვენა მგლად და მხეცად, კეთილ სხივსაც კი მოჰკრა თვალი მის შუბლზე. აბოს მოუნდა გულითადი ყოფილიყო ამ „სისხლისმსმელთან", ყველაფერს ეტყოდა დაუფარავად, დაარწმუნებდა თავის სიმართლეში. თავისივე გულუბრყვილობის თვითონვე შერცხვა, ლამის ჩაეცინა, პირზე მომდგარი ღიმი უცებ გაიქრო და წყნარი, ფრთხილი თვალით შეხედა შურტათმთავარს. შურტათმთავრის უკან და გვერდი-გვერდ შუბოსნები იდგნენ ერთ ადგილას გაქვავებულნი.

აბომ შურტათმთავარს კეთილი თვალები მიაპყრო და... პირჯვარი გადასწერა. შუბოსნები შეჩოჩქოლდნენ. ასეთი საქციელი შურტათმთავრის სამყოფელში ჯერ არავის გაებედა, აბომაც იცოდა, რომ მუსლიმებს თავზარს დასცემდა პირჯვრის წერა, მაგრამ ასე ერჩია, თავიდანვე ნათელი უნდა ყოფილიყო ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა.

შურტათმთავარს თითქოს არც შეუმჩნევია აბოს თავხედური საქციელი, მშვიდად აიღო თავი და ჰკითხა:

— მიპასუხე გულწრფელად: რაზე საუბრობდით შენ, ქართლის ერისმთავარი სტეფანოზი და ერისთავი ნერსე.

აბო ყველაფერს მოელოდა და ასეთ შეკითხვას კი არა. როდინდელ ამბავს ეკითხებოდნენ? ან რატომ ეკითხებოდნენ? განა ამიტომ შეიპყრეს? არ იცოდა, რა ეპასუხა. სიმართლე ეთქვა, ვაითუ საყვარელი ადამიანებისათვის ევნო, სიცრუეს აბო ვერ იტყოდა.

სიცრუე სიცრუეს გააჩნდა. აქ სათქმელი სიცრუე ალბათ სხვანაირი იყო. აბომ არ იცოდა, რა სიტყვებით უნდა თქმულიყო ის სიცრუე.

„ალბათ ისიც იცის, რაზეც ვსაუბრობდით, — განგებ მეკითხება..."

— გაიხსენე. მე არ მეჩქარება. — უთხრა დუმილის შემდეგ ბაბაქმა.

აბოს ტვინი ელვაზე სწრაფად მოძრაობდა. თავის ქალას აწყდებოდა გაშმაგებით და საფეთქელთან აპირებდა გამოსკდომას, ტკიოდა, ფეთქავდა, იქ მოეყარა თავი მთელ მის სატკივარს და იქ იპობოდა წკასავით.

— მათ მირჩიეს, ჩემს სჯულს დაკუბრუნდე. — ამოილუღლუღა ბოლოს და ბოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ, ერისმთავარი სტეფანოზი, ერისმთავარყოფილი ბერიძე ბერი იოანე... სხვები? სხვებიც ჩამომითვალე.

— ვინ ჩამოვთვალო? ვერ გავიგე, ბატონო. — შიშისაგან ენა დაება აბოს, მიხვდა, რომ უეცარი შეკითხვით რაღაც მაინც ათქმევინეს.

— შეთქმულების მონაწილენი, ყველანი, არავინ გამოტოვო.

— შეთქმულების მონაწილენი? — შეშფოთებით იკითხა აბომ და თვალები გაუფართოვდა.

— რომელი შეთქმულების, ბატონო, მე არაფერი ვიცი! — სასოწარკვეთით შესძახა ყრმამ და გაიფიქრა — „დავიღუპე“.

— სად იკრიბებიან შეთქმულების მონაწილენი! — ბაბაქის ხმაში მუქარა გამოკრთა.

— აარ... — აბოს ხმა ჩაუწყდა, საწყალობელი თვალები მიაპყრო შუბოსნებს, თითქოს მათგან ელოდა შველას, შემდეგ მაღლა ღმერთს შეხედა და გაირინდა.

ბაბაქმა შუბოსნებს უბრძანა:

— ათქმევინეთ და შემომიყვანეთ!

შუბოსნებმა აბო წინ წაიგდეს და სწრაფად გაათრიეს დარბაზიდან. სადღაც სარდაფში ჩაიყვანეს და ნამდვილ დილეგში ჩააგდეს. აბოს იმედი მოეცა, იმ საშინელ ჯურღმულთან შედარებით ედემის ბაღში შემიშვესო, გაიფიქრა. გაიფიქრა თუ არა, დილეგში ჯალათები შემოვარდნენ, თვალისდახამხამებაში შემოაძარცვეს სამოსი, ფეხქვეშ დაიდეს და არგნით დაუწყეს ცემა. „იმ დილეგში ვერ მცემდნენ, — გაიფიქრა აბომ, — აქ თურმე ამიტომ შემომიყვანეს“.

დაუზოგავად მთელი ძალით სცემდნენ.

აბოს უხაროდა, რომ სცემდნენ. შურტათმთავართან საუბარს ცემა ერჩია. ნეტარებით განაბულიყო თავდაღმა მწოლი და ნიგვზის არგანთა შხეილს იავნანასავით უსმენდა. იმაზე წუხდა, რომ ეს არ იყო წამება. ათქმევინეთ და შემომიყვანეთო, წამება ალბათ შემდეგ დაიწყებოდა. „რა უნდა მათქმევინონ“, — ფიქრობდა აბო და ყოველ დარტყმას ზურგის ოდნავი შეტოკებით პასუხობდა. რაც ქრისტეს შეუდგა, სულ იმაზე ფიქრობდა, თუ რას ჰკითხავდნენ შურტები და თვითონ რას მიუგებდა, თვით ხალიფასთვისაც მზად ჰქონდა პასუხი, მაგრამ არ ჰკითხეს სწორედ ის, რაც მთავარი იყო აბოსთვის. სულ სხვას, გაუგონარსა და გაუგებარს ეკითხებოდნენ, — თუ ერისთავები შეთქმულებას აპირებდნენ, მენელსაცხებლე აბოს ამას რისთვის გაანდობდნენ, საიდან ეცო-

დინებოდა მსახურს შეთქმულების მონაწილეთა გვარები. — ოუკი, ასეთ პატივს დასდებდნენ და აბო ერისთავებს ფიცით შეეკვროდა, განა შეიძლებოდა გაეცა თანამებრძოლნი? — აბოს არ ესმოდა, რას ამბობდნენ მისგან, ვერც ის აეხსნა, რატომ სცემდნენ. როგორღა უნდა ეთქვა ის, რაც არ იცოდა. ცილი დაეწამებინა? ცილი არ სწამოო, სახარებაც ამას ასწავლიდა და ყურანიც, სახარება არ სწამდა ამ ხალხს, მაგრამ ყურანი ხომ სწამდათ? „ღმერთოო“, — ამოიკვნესა პირდაღმა ჩამხობილმა. ლოცვის წარმოთქმა უნდოდა განწირულს, ვერ შეძლო. ბინდი გადაეკრა თვალზე. ღონე სულ მთლად გამოეცალა, ლეშივით გაუნძრევლად ეგდო.

...ძველი კეთილი ნაცნობივით მოვიდა წყვდიადი, ჩაჰკიდა ხელი მეგობარს და თავის საუფლოში წაიყვანა.

წყვდიადის საუფლო უზარმაზარ ქვაბს ჰგავდა, ქვაბის ძირი დედამიწა იყო, ჭერად ზეცა ეხურა, ქვაბი პირამდე კუპრით აევსოთ, ამ კუპრში სუფევდა ყოველი სულიერი, აბოც ვითომ იმათ შეერია, ვითომ აქ ვიღაცას ეძებდა და ამის გამო აწყდებოდა იქით-აქეთ. აბო უკიდეგანო წყვდიადში ჩანთქმულიყო, არგანთა შხუილ-წუილი თითქოს შორიდან მოესმოდა...

საღვთო კავშირი

იოანემ შეღამებას მოუცადა, გარეთუბნიდან დიღმის კარით შემოვიდა ტფილისში. მეზვერეებმა ჯოროსანი ბერი აბუჩად აიგდეს, ბაჟი ერთი დინარის ნაცვლად ორი გადაახდევინეს, სიცილიც დააყარეს და ჯორს პანღურიც ამოკრეს.

საღამოობით ქალაქის მცველებსა და მეზვერეთ საქმე არაფერი ჰქონდათ, ჩუმად თაფლუჭს შეექცეოდნენ, გამოტყვრებოდნენ და უღვთოდ ძარცვავდნენ შემოსულთ.

იოანე დინარებს არ ჩიოდა, არ მიცნონ და არ შემიპყრონო, შიში ჰქონდა.

კრინტი არ დაუძრავს, თავჩაღუნული გაეცალა ქულბაქში შეკრებილ მეზვერეთ და ღამეს მისცა თავი. ვიწრო ქუჩებით მიდიოდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, არ სჯეროდა მშვიდობით გადარჩენა, იცოდა, მის ყოველ ნაბიჯს რომ უთვალთვალებდნენ და ქურდივით მიიპარებოდა საკუთარი ქალაქის ქუჩებში.

ნერსეს სასახლეს რომ მიუახლოვდა, ზურგს უკან ფეხის ხმა შემოესმა. ჯორი შეაყენა, წამით მოუსმინა ფეხის ხმას, ჩამოხტა ჯორიდან, ვითომ მოსართავებს უჭერდა, უნაგირის ტახტას დაუწყო წვალება და ლანდი შედგა შორიახლოს სიბნელეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე ჯორს წინ გაუძღვა და ნერსეს ბჭისკარს ქვეითად მიადგა. უშიშრად შეავიდა შიგ. ვიდრე ჯორს ჩამოართმევდნენ, ნამგზავრს ხელპირს დააბანინებდნენ, ლანდებიც შემოვიდნენ სასახლეში. კარისკაცებს გადმობრუნებული სახელოები უჩვენეს, „შურტები ყოფილან“, — ჩაიდუდუნა იოანემ. მათ სახელოებზე ალაჰის მახვილი ეხატათ, ამ ნიშნით ყველგან შედიოდნენ დაუკითხავად, თვით ამირას საძინებელ ოთახშიც კი. ხალიფასაგან ჰქონდათ ეს უფლება მინიჭებული.

გადმობრუნებული სახელოებით მათ თავი მოსწონდათ, ამაყად უჩვენებდნენ ხალხს და შიშის ზარს სცემდნენ. იოანემ ისიც კარგად იცოდა, რომ შურტა ქართველ ერისთავთა სასახლეში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა შესულიყო, ასეთი ბრძანებაც არსებობდა თვითონ ხალიფასი. ნერსეს გალავანს იქით შურტების დანახვა იოანეს ავად ენიშნა, ეჭვმაც კი შეიპყრო და შემოგებებულ მსახურთუხუცესს ჰკითხა:

— უფალი... — უნდოდა ეკითხა ხომ არ შეუპყრიათო, მაგრამ სათქმელი ენის წვერზე დაიჭირა და მეტი არაფერი უკითხავს.

— მოუთმენლად გელოდებათ, მოძღვარო.

იოანეს გულზე მოეშვა. მსახურთუხუცესი სანათურით ხელში წინ წარუძღვა და ბატონს თვითონ მოუყვანა სასურველი სტუმარი.

ნერსე მარტო არ იყო დარბაზში, ბარდავის ერისთავი აშოტიც მოსულიყო, გუნებაწამხდარნი ისხდნენ, სახეზე შეშფოთება და მრისხანება ეხატათ. ჩანდა, რომ სათათბიროდ შეყრილიყვნენ. იოანეს დანახვა გაუხარდათ. იოანემ ერისთავებს აფხაზთა მთავრის გამოგზავნილი წიგნი მოართვა: ნერსემ მდივანმწიგნობარი იხმო. ვიდრე გრიგოლი შემოვიდოდა, იოანეს უთხრა:

— ჯვარი აიკლეს.

იოანე შედრკა.

— ჯვრის მონასტერი?

— სწორედ, ჯვრის მონასტერი. ბერები შეიპყრეს და შიგ თავლა გამართეს. აქ, ჩემს სასახლეშიც შემოჭრილან და აბოც წაუყვანიათ. ახალ ხოცვა-ყლეტას ამზადებენ.

თავზარდაცემულმა იოანემ პირჯვარი გადაიწერა და თავი დახარა, დამნაშავესავით დადგა შორიახლოს. იმდენი საზარელი ახალი ამბავი მიახალეს უცებ, ენა დაება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლი შემოვიდა, ლეონ აფხაზთა მთავრის მიერ გამოგზავნილი წიგნი ხმამაღლა წაუკითხა ერისთავებს:

„სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. ამენ. ამენ. ამენ. და თაყვანს ვცემთ იმავე ერთარსებას, ერთ ღვთაებას და ერთ სუფევას.

ერისთავთერისთავო, ძმანო ქართველნო!

აფხაზეთი, ლაზეთი, აფშილეთი, სანიგეთი, არგუეთი, მთელი ძველი კოლხეთი მარად მხარში ედგა იბერიას და დღესაც მზად არის ძმათათვის სისხლი დაღვაროს. აფხაზეთი კოლხეთისა და იბერიის განუყოფელი ნაწილია, ქართლის მტერი აფხაზეთის მტერია. აფხაზეთის მტერი მტერია ქართლოსიანთა. ჩვენ ერთი დედის შვილები ვართ. მშობლის დასაცავად შვილები მარადის მზად გვიგულეთ. დაე, შეიკრას საღვთო კავშირი და აღსდგეს ყოველი ქართველი სარკინოზთა წინააღმდეგ.

წმიდა იოანესა და თქვენს სურვილს, ეს კავშირი მცხეთას შეიკრას, სიხარულით ვუერთდები, მე ჩემი მრევლით უფლისა ჩვენის შობის დღეს გეახლები მცხეთას და თქვენთან ერთად ვეამბორები ღვთისმშობლის წილხვდომილ მიწას, ვილოცებ ამერ-იმერისათვის, ყოველი საქართველოსათვის!

მთავარი აფხაზეთისა ლეონ მეორე“.

გრიგოლმა წიგნი მღელვარედ წაიკითხა, თითქოს სხვის წიგნს კი არა, საკუთარ გულისნადებს ამცნობდა ერისთავებს.

მღელვარება ყველას გადასდო. იოანემაც კი ისე მოისმინა, თითქოს არ სცოდნოდა აფხაზთა მეფის აზრი საღვთო კავშირზე.

სხვაგვარ წიგნს აფხაზეთიდან არც მოელოდნენ, ლეონ მეორე მართლაც ძმასავით ედგა მხარში ქართლის ერისთავებს. ქართლიდან ლტოლვილ ერისთავთა დედაწულთ წლობით აძლევდა ყმებსა და მამულს, ცხვარ-ძროხასა და სასახლესაც. მათ აქ საფრთხე აღარ მოელოდათ. საღვთო კავშირის შეკვრა კი ქართლის ერისთავებთან ძალზე სახიფათო იყო აფხაზეთისათვის. ის, რაც მურვან ყრუმ დაატეხა თავს აფხაზეთს, ჯერ არ დავიწყნოდა ციხეგოჯსა და კლისურას. მაგრამ აფხაზეთის მთავარს ლეონ მეორეს მისი დიდი წინაპრის ლეონ პირველისა და ქართლის მთავრების არჩილისა და მირის ერთობლივი გმირული ბრძოლებიც კარგად ახსოვდა; იბერიელებისა და აფხაზების ანაკოფიასთან ერთობლივად დაღვრილმა სისხლმა იხსნა საუკუნო მონობისაგან მთელი დასავლეთ საქართველო.

ლეონ მეორესაც წინაპართა ნაკვალევით უნდა ევლო. უნდა შეკვ-

როდა მართლაც ჭეშმარიტი საღმრთო კავშირით ქართლის ერისთავებს
და ერთობლივი სისხლი უნდა დაღვრილიყო აღმოსავლეთ საქართვე-
ლოს გასათავისუფლებლადაც: საუკუნო მონობისაგან უნდა გასხვათ
ძმებს ერთმანეთი.

ერეკლეანული
ბიბლიოთეკა

ერეკლოს მომგვრელი იყო ეს წიგნი. ასეთი წიგნი ჯუანშერისაგანაც ჰქონდათ, კახთა ქორეპისკოპოსი ნერსე ერისთავს მტრობდა, ისინი ერთმანეთს ქართლის ერისთავთერისთავობას ეცილებოდნენ, რაკი ხალიფამ ეს ხელი ლომებს წაართვა და მოულოდნელად ცხვარ სტეფანოზს ჩააბარა, ლომებიც დაცხრნენ და თავიანთ საერისთავოებში ჩაიკეტნენ. მტრობა კი მტრობად დარჩა. იოანემ შეარიგა ისინი. იოანემ მოიტანა ჯუანშერისაგან საღმრთო კავშირში შესვლის თანხმობის წიგნი.

იოანე საბანისძის იდეა იმარჯვებდა: თუ ყოველი ქართველი აისხამდა იარაღს, თუ ქართლი, კახეთ-კუხეთი, ჰერეთი, წანარეთი, აფხაზეთი, ლაზეთი, არგუეთი, ტაო-კლარჯეთი ერთად აღსდგებოდა სარკინოზთა წინააღმდეგ, საუკუნო მონობას უსათუოდ მოეღებოდა ბოლო.

იოანეს გეგმა უფრო შორსაც მიდიოდა, მისი ვარაუდით, არაბთა დიდ იმპერიას წყალი ჰქონდა შემდგარი, ხალიფატის დღეები დათვლილი იყო. თუ ქართველები საღმრთო კავშირს მართლა შეჰკრავდნენ და ერთ მშვენიერ დღეს დედა-ციხეებში ერთად შეიკეტებოდნენ, ხალიფას წაუყენებდნენ ერთობლივ მოთხოვნას თავისუფლების თაობაზე, იქნებ სულაც უსისხლოდ მიეღწიათ მიზნისათვის, ხალიფას უკან დაეხია და ქართლ-კახეთში მეფობა აღედგინა.

ნერსე ერისთავს უსისხლო ბრძოლა სანდოდ არ მიაჩნდა, თვალი ხაზარეთისაკენ ეჭირა, ქართველთა შეკავშირების იმედი არ ჰქონდა და ხაზართა მეშვეობით აპირებდა სარკინოზებთან ბრძოლას.

აშოტ ერისთავი უფრო შორს იყურებოდა. საღმრთო კავშირის იდეა მოსწონდა, მაგრამ ბიზანტიის დაუხმარებლად ბრძოლის დაწყება შეუძლებლად მიაჩნდა.

იოანემ ერისთავები დაარწმუნა, რომ ქართველ ხალხს თვითონ უნდა დაეცვა თავისი თავი. თუ დახმარებას სხვას სთხოვდა და სხვა დაიცავდა. იმ სხვას უნდა დამონებოდა. ასე იყო ოდითგანვე, ასე იქნებოდა მომავალშიც. ამიტომაც მოითხოვდა ქართველების საღვთო ფიცით შეკავშირებას. ერისთავებს ამ შეკავშირების იმედი არ ჰქონდათ. იოანემ თვითონ იკისრა ეს საქმე, ჯერ წანარები დაითანხმა, შემდეგ კახელები და აფხაზები.

სანუკვარი ოცნების განხორციელებას საიმედო პირი უჩანდა.

ნერსეს დარბაზში ყველა სასანთლე, ყველა კანდელი აენთო, სანთლების მჭრქალი შუქი ეფინათ ერისთავებს სახეზე. როცა გრიგოლმა კითხვა დაამთავრა, აშოტ ერისთავი წამოდგა, და ძალლების ნიშნად უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი ფეხზე მდგომ იოანეს, აშოტს ნერსემ მიბაძა, ნერსეს — გრიგოლმა. იოანე ცოცხალ-მკვდარი იდგა თავჩაღუნული. შემოსვლისთანავე ნერსემ იმდენი ახალი ამბავი დაახვედრა, იმ ამბებზე ფიქრობდა, ის აწუხებდა:

— თავლა... — ჩაიდუდუნა იოანემ, — თქვენ ბრძანეთ ჯვრის მონასტერი... — ვერ დააბოლოვა სათქმელი. სული შეეგუბა.

მსახურებმა თაფლი შემოიტანეს კობიტებით და სტუმრებს მოართვეს, ნუშ-ქიშმიშიანი ქუმელით სავსე ხონიც დადგეს ტაბაკზე.

— მიირთვი, იოანე, ნამგზავრი ხარ — უთხრა ნერსემ.

— კათალიკოსი გეახლათ! — გამოაცხადა მსახურთუხუცესმა და დარბაზის სიღრმეში სამოელ ქართლის კათალიკოსი გამოჩნდა. სამოელს აბოს შეპყრობის ამბავი გაეგო და ნერსესთან მოსულიყო.

იოანე მიეახლა, ეთაყვანა და კალთაზე ემთხვია მღვდელმთავარს.

— მობრძანდით! — მიიპატიჟა სტუმრები ტაბლასთან ნერსემ. სამოელი შუა ადგილას დასვა, დანარჩენები აქეთ-იქით მიუსხდნენ, როგორც მაცხოვარს მოწაფეები. გრიგოლი არ დამჯდარა, შორიახლოს იდგა, ჯერ უფროსები უნდა დამსხდარიყვნენ.

— მოდი, შვილო, დაჯექი. — უთხრა ნერსემ ხმადაბლა. გრიგოლიც ჩამოჯდა სერობის გრძელ მერხზე. ის იყო სამოელს უნდა წამოეწყო საუბარი. მას შეჰყურებდნენ. მსახურთუხუცესმა მოსერეთ ამცნო:

— ერისთავთერისთავი მობრძანდება!..

სტეფანოზს აქ არ მოელოდნენ.

ნერსეს არავინ მოუწვევია. აშოტიც აბოს გამო მოსულიყო, სამოელიც და სტეფანოზიც აბოს შეპყრობას აეფორიაქებინა.

სტეფანოზს ნერსე შეეგება და ტაბლასთან მიიპატიჟა. სტეფანოზი ბიძამისს გვერდით მოუჯდა.

მწდეები თავზე ადგნენ, მაგრამ ღვინოს არავინ სვამდა, ქუმელსაც ხელს არავინ აკარებდა. გახევებულები ისხდნენ, ერთმანეთს ელოდებოდნენ, საუბრის წამოწყებას ვერ ბედავდნენ.

— მთელი არაბეთი დაგეძებთ, მოძღვართმოძღვარო, თქვენ თურმე აქ ბრძანდებით, — თქვა სტეფანოზმა მოსვლისთანავე.

— მოხარული ვარ, ვხედავ ჩემს აღზრდილს! ეს-ესაა ჩამოვედი აფხაზეთიდან, იქ მცხეთას ნაკურთხი მირონი ჩავიტანე. — მიუგო იოანემ დინჯად.

„მცხეთას ნაკურთხი მირონი“, — უცებ გაახსენდა სტეფანოზს. ეს სიტყვები უთხრა სამოელმა ამირას... „შეთქმულები! ერისმთავარო, შენ გვერდით შეთქმულები სხედან“. შინაგანმა ხმამ ააჯანყა, ფეხზე ადგა, იჭრა, შეეტყო მღელვარება. ბოლთის ცემას მოჰყვა დარბაზში. არავის არაფერი უთქვამს, დამუნჯებულები ისხდნენ და ელოდნენ, კიდევ რას იტყოდა ერისმთავარი. მოვიდა, თავის ადგილას დაჯდა და იოანეს ჰკითხა:

— მაშ, ხაზარეთს აღარ ბრძანებულხართ?

— ხაზარეთს? — გაიკვირვა იოანემ, — ვინ კითხულობს ამას, ამირა, ერისმთავრის პირით, თუ თვითონ ქართლის ერისმთავარი?

— რითი დაამტკიცებთ, რომ ხაზარეთს არ იყავით? — სიტყვა ბანზე აუგდო სტეფანოზმა.

— მე არ მესმის თქვენი, მარადის საწადელო და თაყუანისსაცემელო ერისმთავარო და შვილო ჩემო. უფრო გასაგებად მამცნეთ რა ნებავთ ზედამდგომელთ, რის დამტკიცებას მთხოვენ.

— თქვენი ბერები მისულან შურტათმთავართან და უთქვამთ, თითქოს ნერსეს დავალებით წაბრძანდით ხაზარეთს ახალი ამბოხების მოსაწყობად.

— თქვენ ეს გჯერათ? — ჰკითხა იოანემ სტეფანოზს.

— ბერებს აიძულებენ, ასე თქვან, — უთხრა იოანეს სამოელმა.

— არ მინდა დავიჯერო! — უთხრა სტეფანოზმა იოანეს.

— ერთი ეს მიბრძანეთ, ერისმთავარო და დისწულო ჩემო, — უცებ ჩაერია საუბარში ნერსე ერისთავი, — გიყვართ თუ არა თქვენ სამშობლო?

შეკითხვას სტეფანოზმა არ უპასუხა. წამით დუმილი ჩამოწვა დარბაზში. ნერსემ გრძლად ჩამოშვებულ ულვაშზე და წვერზე ხელი ჩამოისვა და მშობლიური გულითადობით გაუმეორა შეკითხვა:

— მიბრძანეთ პირდაპირ, მტკიცედ, ისე, როგორც მამრს შეჰფერის: გიყვართ თუ არა?

— ეგ რა საკითხავია, დიდო ბიძავ! — განრისხდა ერისმთავარი.

— მე თქვენ გეკითხებით, ყმაწვილო, გიყვართ თუ არა სამშობლო, მოგვიგეთ ან ჰო, ან არა.

სტეფანოზმა რაღაცის თქმა დააპირა.

— მესამე პასუხი არ არსებობს, გეთაყვა. — უთხრა აშოტ ერისთავმა.

— შესაძლოა სხვაზე ნაკლებად არ მიყვარს. — თქვა შემკრთალმა სტეფანოზმა.

— თუ გიყვარს, შენი ხალხის სალოცავი მტერს თავლად რად აქცევინე?

— მე რა შემიძლია, როცა თქვენ დღენიადაგ წყალს მიმდინარეთ ლაფში სვრით ერისმთავრის სახელს! — გაცხარდა სტეფანოზი და მრისხანე თვალებით მოხედა ბიძებს, — აგერ, მოწმე მყავს კათალიკოსი, ჩვენ ერთად ვიყავით ამირასთან, აქეთ გაგვამტყუნა. დაგვარწმუნა თავის სიმართლეში, თურმე ჩვენს წმინდა ალაგს — ქართველთა ძველისძველ სალოცავს ვიყენებთ სხვა მიზნით, შიგ ვიტყუებთ მაჰმადიანებს და ვაქრისტიანებთ. განა ეს ჭეშმარიტ ქრისტიანებს ეკადრება? განა ამას გვასწავლის წმიდა წიგნები? გვითხარით, მამაუფალო, აგვიხსენით, სახარებაში ეს გვიწერია? — სტეფანოზმა სამოელს შეხედა და დაელოდა, ვიდრე რამეს იტყოდა.

— ერისმთავარო, — დაიწყო დინჯად სამოელმა, — ჯვრის მონასტერი არავის არასდროს ამ მიზნით არ გამოუყენებია. აბო ღვთის ნებით მოიქცა. ჩვენს მღვდლებსა და ბერებს ამ საქმეში ბრალი არ მიუძღვით. აბოს მოქცევაში უფლის ხელი ურევია.

— ჩვენ გვდებენ ბრალს სწორედ ამაში! ჩვენი სალოცავიც თავლად სწორედ ამიტომ აქციეს. თავი და თავი მიზეზი დღევანდელი ქართლის ჭირისა ხომ კარგად იცით. ვინც არის, იმაზე რატომ არაფერს ამბობთ? მიედ-მოედებით ღვთისას და ცისას...

— ვინ არის, თქვენ გვიბრძანეთ, რახან ჩვენ „მიევედ-მოვედებით“. — ღვარძლიანად გამოაჯავრა ნერსემ.

— ის თქვენი მენელსაცხებლე გახლავთ ყველაფრის მიზეზი. — მიახალა ბიძას პირში სტეფანოზმა.

— აბო? ვიცოდი, ამას რომ იტყოდი.

— ისინი ამბობენ ამას, თუ ერისმთავარსაც მენელსაცხებლე აბო ჰგონია ყველაფრის მიზეზი? — იკითხა წეღანდებურად იოანემ.

— ერისმთავარსაც აბო ჰგონია, — მადლობა ღმერთს, რომ შეიპყრეს.

— ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ, გეთაყვა, მიზეზი სხვა რამ გვგონია. კირთება! მიზეზი კირთება გახლავთ! — თქვა მედიდურად აშოტმა.

— ბატონო ბიძავ, სისხლისმიერო ნათესავო ჩემო! ჩვენც გვესმის კირთება რა არის, მაგრამ დღეს აქ ამისათვის არ შევკრებილვართ.

აიკლეს ჯვრის მონასტერი. შეიპყრეს ბერები. ყოველ ჩვენთაგანს კუდში დასდევენ. შურტებითა და მოლაშქრეებით აივსო ქალაქი, ვიღაცას ყოველდღე იბარებენ შურტათმთავართან. ქართლის ერისმთავართან ამირას საუბარიც კი არ სურს. ყველაფერი ეს იმ თავნება და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავკერძა ყმაწვილმა მოგვიტანა. კაცმა არ იცის, ხვალ რა მოგველის, ვიდრე გვიან არ არის, უნდა დავუმტკიცოთ ამირას, რომ ის აბო, პირველ ყოვლისა, ჩვენი მტერია.

ქართველმა ხალხმა დიდი მსხვერპლი გაიღო იმისათვის, რომ მეეძინა ჭეშმარიტი მფარველი და ბატონი. ძლევამოსილი ხალიფატის კალთას შეფარებულმა ძლივს ამოისუნთქა და აი, ამ დროს, გამოჩნდა არამკითხე მოამბე, ვინც თაობების ნაჯაფი წყალში ჩაგვიყარა, ქართველ ხალხს ხალიფას გული დაუკარგა. ახლა მე თქვენ გეკითხებით: ვისი მტერია აბო, ჩვენი თუ იმათი?

თუ ნებას მომცემთ, შევალ ამირასთან და მოვითხოვ: აბო ქართველობამ დასაჯოს: ჩვენი მტერი ჩვენვე უნდა დავსაჯოთ. შუა ქალაქში, სახალხოდ! ასე არ არის? — ჰკითხა სტეფანოზმა ერისთავებს.

— არ გახლავთ, ყმაწვილო, ასე! — უთხრა აშოტმა ძმისწულს.

— გესმით, კეთილშობილნო! — უცებ გაცეცხლდა ნერსე ერისთავი,—ჭაბუკმა, ტომით ისმაიტელმა, ჩვენთვის თავი დადო. ჩვენი ღმერთი, მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე აღიარა. სანაცვლოდ თურმე ჩვენ უნდა დავსაჯოთ, სახალხოდ, რასტიბაზარში! — დავსაჯოთო!.. ღვთის წყრომა ის გახლავთ, ქართველნო, რომ ამას ამბობს ერისმთავარი, ჩემი დისწული. ერის წინამძღოლი და მესვეური! დავსაჯოთო! როგორ დავსაჯოთ მაინც, უფალო, — ახლა სტეფანოზს მიუბრუნდა ნერსე, — თავი მოვკვეთოთ? კოცონზე დავწვათ თუ წამებით ამოვხადოთ სული?

მოულოდნელი იყო ნერსეს ასეთი გაცეცხლება. მხოლოდ ბრძოლის ველზე თუ უნახავთ ერისთავი ასე შემართული. აბო ქართველობამ დასაჯოსო, — აღაშფოთა, შეეზარა ამ სიტყვებმა, გულში რაც ბოღმა ჰქონდა, გადმოანთხია.

— ამისათვის მიხაროდა შენი ერისმთავრობა? ქართველობა და არაბობა ორივე ერთად არ შეიძლება, ან ქართველი უნდა იყო, ან არაბი! ან ქრისტიანი, ან მუსლიმი „ვერვის ძალუც ორთა უფალთა მონებად“...

ხმას აუწია ნერსემ. როგორც პატარა ბიჭი, დატუქსა დისწული. ვიდრე სტეფანოზი რამეს იტყოდა, ახლა მეორე ბიძამ უთხრა გესლიანად:

— ერისმთავარს, გარდა ხარკის აკრეფისა, სხვაც ბევრი რამ ევალება. გეთაყვა, — ახლოს მივიდა და ჩაფიქრებულ სტეფანოზს ზურგზე ხელი მოუთათუნა.

— მაინც რა! — იკითხა შეშფოთებულმა სტეფანოზმა, — მითხარით პირდაპირ, რას მავალებთ, რას მთხოვთ!

— აბოს თავისუფლებას! მიაგება ნერსემ პირდაპირ, — უნდა ეახლო ამირას და ქართველი ხალხის სახელით მოითხოვო გამოუშვას ყმაწვილი. ეს ჩვენ, მე და თქვენ, ორივეს გვევალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წმიდა მამაო, — შეჰღაღადა სტეფანოზმა სამოელს, — თქვენ ხომ ხართ მოწმე, მგელი ამირა რა თვალით გვიყურებს. მე რომ ახლა აბოს თავისუფლება მოვითხოვო, განურჩევლად ყველას დილეგში ჩაგვყრის. მე უნდა მოვითხოვო აბოს თავისუფლება კი არა, დასჯა, რომ თქვენ გადაგარჩინოთ, ეკლესია გადავარჩინო, ხალხი გადავარჩინო, რჯულის მოძღვარი ჩვენი იოანე გადავარჩინო.

სტეფანოზმა მღელვარედ და ხაზგასმით წარმოთქვა „იოანე გადავარჩინოო“.

სამოელი გამართული იჯდა სკამზე, ხელში კვერთხი ეპყრა, ყურადღებით უგდებდა ყურს ყველას. როცა სტეფანოზმა იოანე ახსენა, დინჯად შეირხა და ხმადაბლა თქვა:

— ერისმთავარო, იოანეს ცილს სწამებენ, ცილისწამებას კი მათ თავიანთი ღმერთი არ აპატიებთ. ვიმეორებ: აბო ღვთის ნებით და ქართველი ქრისტიანების წაბაძვით მოიქცა, არამც თუ იოანეს, არც ერთ ქართველს, არც ერთ ქრისტიანს არ უთქვამს მისთვის — დაუტევე შენი რჯული და ქრისტეს შემოუდექიო, ბარაქალა ქართველ ერს, რომ ასეთი ძალა აღმოაჩნდა.

— ეეერს? — შესძახა სტეფანოზმა. — თქვენ ამბობთ, რომ აბო ქართველმა ერმა მოაქცია? მომიტევეთ, თუ გავკადნიერდები და გეტყვით: მღვდლებმა შესცოდეთ და ერს აბრალებთ? მსგავსი რამ თვით ამირას არ წამოსცდენია! ამირა მოითხოვს ერთი ან ორი ქართველის დასჯას. თქვენ კიდევ გნებავთ, მთელი ერი ჯვარს აცვათ ვიღაც აბოს გულისათვის, არ მოგცემთ ამის ნებას!

— არ შეგფერით, ყმაწვილო, გაფიცხება, თქვენს წინაშე მღვდელმთავარი დგას, — განრისხდა აშოტი.

— საყუარელნო მამისანო, მონანო უფლისა ჩვენისა, ძენო ქართველთა! — უცებ წინ წამოდგა იოანე, მოკამათეთა შორის ჩადგა. — აბო ჩემი მოწაფეა, მისი მოქცევა ჩემი ბრალია, დაე, მე დავისაჯო!

— არაბებს არ სჭირდება ჩვენი დახმარება, — სიტყვა წაართვა იოანეს ნერსემ და სტეფანოზს მიუბრუნდა, — ვინც დასასჯელია, თვითონ დასჯიან.

— ღვთის ნება უნდა აღსრულდეს, ქრისტეს მოყვარენო! — განაგრძო სიტყვა იოანემ. — ვინც დასასჯელია, უნდა დაისაჯოს, დასჯა ნუ შეგვაკრთობს. მოციქული პავლე გვასწავლის: რომელი უყვარს უფალ-

სა, სჯის და სტანჯის... მაგრამ აბო მარტო ღმერთის ტარიგი არ გაბ-
ლავთ, ერისაც არის. იმ ერისა, ვისი ერისმთავარიც თქვენ ბრძანდე-
ბით. — იოანემ სტეფანოზს შეხედა, — აბოს დასჯა ქართველი სამღვდე-
ლოების დასჯაა, ქართველი ერის დასჯაა. დაბოლოს, მთელი საქრისტი-
ანოს არად მიჩნევაა. აბოს მოქცევამ ხალხს გულში იმედი ჩაუსახა,
აბომ აანთო ისეთი ლამპარი, რაც უნათებს არა მარტო ქართველთ და
აგარიანთ, არამედ ყოველ ერს, ღვთისგან გაჩენილს. თუ მისი დახსნა
არ ძალგვიძს, ნურც დასჯას მოვითხოვთ.

— მოძღვარო, — თქვა უცებ აშოტმა მკაცრი კილოთი, — თუ სტე-
ფანოზი არ მოითხოვს აბოს განთავისუფლებას, ერისთავები განვდგე-
ბით! სხვა არა იყოს რა, აბომ ბიძაშენი სიკვდილისაგან იხსნა. — ახლა
სტეფანოზს მიუბრუნდა.

სტეფანოზი შედრკა. არ მოელოდა, თუ აბოს გულისათვის ასე შე-
ეკვროდნენ ერთმანეთს ქართველი დიდებულები. სათითაოდ შეხედა
ყველას ქორული თვალებით, გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯებით გაიარა
დარბაზი. მსახურებმა მოსასხამი მოართვეს, მეხრმლენი მხარში ამო-
უდგნენ და სასახლიდან გამოვიდნენ.

ნერსემ არ გამოაცილა დისშვილი. მოსერენი შეშფოთებულნი გას-
ცქეროდნენ ამჩატებით მიმავალ ერისმთავარს, ვერ აეხსნათ რა გან-
ზრახვით, რა გულით წავიდა სტუმარი, განრისხდა თუ ჭკუაში დაუჯდა
დიდებულთა ნაუბარი, თუ შიშმა შეიპყრო და სულმოკლეობამ წას-
ძლია.

დილით ადრე აბანოების უბანში კივილი ატყდა, კივილს ხმაური და
ჩოჩქოლი მოჰყვა. სიონსა და მარიამწმიდაში ძელებსა ჰკრეს.

მთელი ქალაქი გარეთ გამოეფინა. ახალგამოღვიძებული მოქალაქე-
ნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა ამბავიაო, თან ამირას სასახლისაკენ
მიეშურებოდნენ, კივილი იქიდან მოისმოდა.

სტეფანოზს მოახსენეს, ამირას სასახლის წინ, ლეღვის ხეზე ვილა-
ცას თავი ჩამოუხრჩვია და ძელებს იმიტომ სცემენო.

ამბის გასაგებად სასახლიდან კაცი გაგზავნეს.

ერისმთავარი ცნობისწადილმა შეიპყრო, გაგზავნილებს აღარ დაე-
ლოდა, მეხრმლენი და მახვილისმპყრობელნი იახლა და ქვეითად გაჰყვა
ხალხის ტალღას აბანოებისაკენ.

ამირას სასახლის წინ მოედანზე მოეყარა ხალხს თავი, შურტებს და
მოლაშქრეებს გზა შეეკრათ და გამვლელთ არც იქით უშვებდნენ და
არც აქეთ. ლეღვის ხეზე მართლა კონწიალობდა გვამი.

ხალხმა ერისმთავარი იცნო და გზა დაუთმო, შუა გაიპო ზღვა ხალხი და ერისმთავარსა და ლეღვის ხეს შორის ვიწრო [illegible] ... რაკი ხალხმა პატივი სცა თავის ერისმთავარს, შურტ[illegible] — [illegible] დეს შეჩერება — სტეფანოზი ფეხათრევით მიუახლოვდა ლეღვის ხეს. თავგადაგდებულ გვამს თვალი ჰკიდა თუ არა, ისე შედგა, გეგონებოდათ უნდა მოწყდეს და დედამიწას გულშეღონებული დაასკდესო. მკვდრის ფერი დაედო სახეზე, საქციელი წაუხდა, თითქოს თვითონ მიუძღვოდა ბრალი — ხეზე ბერი ონოფრე ეკიდა. მეტად საცოდავად ეკიდა მოხუცი ხეზე, ერთ ღამეში დაპატარავებულიყო, დამჭკნარიყო.

სტეფანოზმა იგრძნო, რომ ათასი თვალი შეჰყურებდა, ელოდებოდნენ, რას იტყოდა ერისმთავარი. შურტების უფროსი მოძებნა თვალით. ის ცხენზე იჯდა და ხალხს მათრახით ემუქრებოდა, გვამთან ახლოს არ მიხვიდეთ, შორიდან უყურეთო. სტეფანოზმა შურტების უფროსი ახმობინა მსახურთ, შურტების უფროსი სწრაფად ჩამოქვეითდა და ერისმთავარს ეახლა:

— ალაჰის ნებით, ალაჰის სახელით! — უთხრა მჭექარედ შურტების უფროსმა და გამოეჯგიმა.

— რა მოუვიდა ბერს! — ჰკითხა ხმადაბლა სტეფანოზმა.

— წუხელ გაათავისუფლეს. ამ დილით აქ ვნახეთ, — ხელი გაიშვირა ხისკენ. — ამბობენ, შეთქმულება გასცა და თავი იმიტომ ჩამოიხრჩოო.

— ამირამ იცის?

— დიახ, ნაბრძანებია, საღამომდე ეკიდოსო.

„დაახრჩვეს“, — გაუელვა სტეფანოზს და სახრჩობელას გახედა. ლეღვის ხეს ფოთლები დასცვენოდა, შემჭკნარი ფოთლები შერჩენოდა აგერ-ეგერ.; „ღალატი დააბრალეს და დაახრჩვეს“, — ფიქრობდა სტეფანოზი.

როცა შურტების მეთაურმა თქვა: ნაბრძანებია საღამომდე ეკიდოსო, ხალხს გმინვა აღმოხდა.

სტეფანოზი ცივად გატრიალდა და წავიდა. ხალხში უკმაყოფილო შეძახილები გაისმა, სტეფანოზმა ვერ გაარჩია, რას მოსძახოდნენ.

სასახლეში რომ დაბრუნდა, მამა იოანე ახმობინა სათათბიროდ. წუხანდელმა სერობამ და ამდილანდელმა საზარელმა სურათმა სულის სიმშვიდე დაუკარგა. სასახლეში მრჩეველი არავინ ჰყავდა ქართველთაგანი.

ვაზირად და მოხელეებად ხალიფას შიშით სულ არაბები და სპარსელები მოიწვია თავის დროზე. უცხო ტომის ადამიანებს გულს ხომ

ვერ გადაუშლიდა. ერთი მიქაელი ეგულებოდა შინაური, მაგრამ ყველაწვილკაცს რა რჩევა უნდა მიეცა.

ELIBRARY.GEORGIAN.COM

მოხუც მამას კი, ოდესღაც სახელგანთქმულ გურგენ ერისთავ-ბარათაშვილის ჭირი შეჰყროდა და საქვეყნო საქმეებში არ ერეოდა. ... ...

სტეფანოზის თავის მართლებას არ მოუსმენდნენ, მწარეს ეუბნებოდნენ, როგორც წუხელ უთხრა აშოტ ერისთავმა: ერისმთავარს, ალბათ ხარკის აკრეფისა, სხვაც ბევრი რამ ევალებაო, გულს [illegible] იოანე კი სხვა იყო, იოანეს იმედი ჰქონდა რატომღაც. ისევ იოანესთან თუ გამონახავდა საერთო ენას.

ნაშუადღევს ესტუმრა იოანე. მამა ონოფრეს საზარელ სიკვდილს იოანეც აეფორიაქებინა. აღელვებული შემოვიდა დარბაზში.

სტეფანოზმა ეტლით გასეირნება შესთავაზა. იოანეს გაუკვირდა, შეპყრობას მოელოდა და გასეირნება შესთავაზეს, ერისმთავარი ალბათ ამირას დავალებას ასრულებსო, გაიფიქრა გუნებაში და ეტლში უწადინოდ ჩაჯდა.

ერისმთავრის სასახლეს ქვითა და კირით ნაგები მაღალი გალავანი ერტყა.

ბჭისკარი კი მუხისა ჰქონდა, ეს კარი მთელ აღმოსავლეთში ცნობილი კარი გახლდათ, წინაპართა გადმოცემით, სპარსელებს ამ კარისთვის ლოდმტყორცნები დაეშინათ, მაგრამ მაინც ვერ გაეგლიჯათ. დროსა და ჟამს, ქარსა და წვიმას ხე რკინად ექცია, ათი კაცი ძლივს აღებდა და ხურავდა.

ბჭისკარიდან სასახლემდე ნუშის ხეივანს ყვავილნარი მისდევდა, გაზაფხულზე სამოთხეს ჰგავდა ერისმთავართა საყოფელი. ახლა შემოდგომა იყო და ხეივანში მხოლოდ ფოთლებშემოძარცვული ნუშები იდგნენ, ხოლო სასახლის წინ, დიდ მოედანზე ბუნებრივი შადრევანი ჩქეფდა კლდიდან.

საერისმთავრო ეტლი შადრევანთან დაეყენებინათ, მხლებელი მცირე სპაც მზად იყო, ეტლის უკან იდგნენ არაბულ ბედაურებზე ამხედრებულნი.

ბჭისკარს ურდულები შეხსნეს და ფართოდ გააღეს, მეეტლემ ნელა დაძრა ცხენები. „ნეტა რას მიპირებენ“, — გაიფიქრა იოანემ.

— ერს ვკითხოთ, — ბჭისკარს გასცდნენ თუ არა, უთხრა ერისმთავარმა. იოანემ ვერ გაიგო, რას ეუბნებოდა ერისმთავარი. სტეფანოზი წუხელ წამოწყებულ დავა-კამათს აგრძელებდა. თითქოს იოანეს კი არა, თავის ბიძებს ეპაექრებოდა.

— ვკითხოთ ერს, — გაიმეორა დაბეჯითებით, — ერი სხვას ფიქრობს. შიშველ თავისუფლებას რა თავში ვიხლით! გაიგეთ, მოწყალეო ხელმწიფენო, ქართლს მფარველი სჭირდება! მიწისმოქმედმა ძლივს გააღვივა მარცვალი ხნულში. სისხლიანი ხმალი სამუდამოდ ჩააგო ქარქაშში, განა ამაზე არ ოცნებობდნენ ჩვენი წინაპრები ოდითგანვე?

თქვენ კი გინდათ დააბრუნოთ სისხლიანი დრონი. არა, კეთილო ბამა-
ნო! ის დრონი აღარ დაბრუნდებიან, ერი თქვენ არ გამოგყვებათ. ვისაც
გნებავთ ვკითხოთ. — გულითადად უთხრა სტეფანოზმა [illegible]
პირველი შემხვედრი გავაჩეროთ და ვკითხოთ: სწადიან [illegible]
რასაც თქვენ აპირებთ? — იოანესთვის უკვე ნათელი იყო, რისთვისაც
იჯდა სამეფო ეტლში, რისთვის შესთავაზეს გასეირნება. ფაფარდაწ-
ნულ ცხენებს ნელი რწევით მიჰყავდათ ეტლი. ერისმთავარი რბილ
საზურგეს მიყრდნობოდა. მცველი მხედრები ეტლს შორიახლოს მის-
დევდნენ, ბედაურებს კისერს უგრეხდნენ და ლაფშურით მიჰყავდათ.

იოანე არ მოელოდა ამგვარ გასეირნებას. თუ მართლა აპირებდა
ერისმთავარი ერის გულისტკივილი გაეგო, ქართლის სანახებში უნდა
გასულიყვნენ, ქართლის ჭირი ქართლში იპოვებოდა, თბილისელი ვაჭა-
რი ერის ზრახვათ არ დაგიდევდათ, გაარჯლებული ერის წყლული
ერის შვილთა შორის უნდა მოეძიათ. ასე ფიქრობდა იოანე, გაჩუმე-
ბული იჯდა ეტლში და გონების თვალით ეძებდა იმათ, ვისაც მართლა
ჰკითხავდა, მონობა ერჩია თუ ბრძოლა. უცებ იოანე მიხვდა, რომ ასე-
თი ქართველის პოვნა დღეს ქართლში ძნელი იყო და თავზარი დაეცა.
მას თვალწინ დაუდგა სამად სამი ადამიანი — ნერსე და აშოტ ერისთა-
ვები და ყრმა გრიგოლი, ნერსეს შვილობილი. საკუთარი შვილი, მიქა-
ელიც კი არ ეჩვენა სანდოდ. ერი მონობას შეჩვეოდა, შეჩვეული ჭირი
ერჩია შეუჩვეველ ლხინს. ერისმთავარი სიმართლეს ეუბნებოდა. ვინც
არ უნდა გაეჩერებინათ გზად მიმავალი, არავინ ისურვებდა ბრძოლას.
ხალიფატთან ბრძოლა უაზრობად მიაჩნდა არა მარტო ქართველობას,
მთელ კავკასიასაც. ადამიანებს მორჩილად შეეშვირათ უღლისთვის ქე-
დი და თავს ბედნიერად თვლიდნენ, რაკი ძლიერ მფარველს მიეკედლ-
ნენ.

უცებ იოანეს ლეღვთახეველი გამწარებული დედა გაახსენდა, მში-
ერ ბალღებს ქვებს რომ უხარშავდა. ერისმთავარს უამბო ლეღვთახე-
ველი მელოსა და მისი მშიერი შვილების ამბავი და სთხოვა, იმ დედა-
კაცთან წაჰყოლოდა. იოანეს უნდოდა ერისმთავარს სიმართლე გაეგო,
რაკი მან ხალხში გასვლა გადაწყვიტა, ბარემ ენახა ერის ნამდვილი
წყლული და არა თავმოსატყუებელი წვრილ-წვრილი უწესობანი.

ერისმთავარმა მეეტლეს უბრძანა და ლეღვთახევისაკენ ააღებინა
გეზი. ქალაქს რომ გასცდნენ, ეტლი გზის პირას დააყენეს. ეტლით ვერ
მიუდგებოდნენ იმ ქალის სახლს. ერისმთავარს და მის სტუმარს შეკა-
ზმული ცხენები მოართვეს, გზა ცხენებით განაგრძეს.

აღარსად იყო ლეღვთახევი. ოდესღაც წავკისელას ხეობა ჩიტილე-

ღვას კორომებით ყოფილა გადაბურული. ლეღვთახევს ამიტომ ეახლ-
ნენ, შემდეგ აქ ვახტანგ გორგასალს სამეფო ბაღი გაუმართავს. ინდო-
ეთიდან და სპარსეთიდან ჩამოუტანია ზეთისხილისა თუ ქაფურის ჩის
ნერგები და ხეივნები გაუშენებია.

სარკინოზ მოლაშქრეებს ჩიტილეღვას კორომებიც გაუკაფავთ და
ზეთისხილის ხეივნებიც. ძველ სამეფო ბაღში თბილისის ციხის დამ-
ჭირველი ლაშქარი ჩაუყენებიათ.

ლაშქრის ვარჯიშს, ცხენოსანთა ჯირითობას, ფეხოსანთა საწვრთნელ
შეტაკებებს სულ არ სჭირდებოდა ვაზის თალარები და ყვავილებით
მოჩითული ველები. გადაეწვათ, გადაებუგათ აქაურობა.

ერისმთავარი წინ მიდიოდა, იოანე გვერდით მოჰყვებოდა ცხენდა-
ცხენ, მხლებლები კი შორიახლოს მოსდევდნენ. სიტყვა არ დაუძრავს
არავის. გადარუჯულ გორაკებს გასცქეროდნენ და დამუნჯებულნი მი-
დიოდნენ. იოანე ჯერ მწუხარე მელოსა და მის დამშეულ ბალღებს
უჩვენებდა ერისმთავარს, შემდეგ იქვე, ახლოს, მიწაში ჩამძვრალი და-
ბა და მდაბიონიც ეგულებოდა და ბარემ იმათაც მიაკითხავდა.

მელო კარგა ხანი არ ენახა. საგლახაკეში მისი მშიერი ბალ-
ღები მანამ ჰყავდა, სანამ ყანაში თავთავი დამწიფდებოდა და მარტო-
ხელა დედა სარჩოს მოიმარაგებდა. შემოდგომის პირზე ბალღები დე-
დას მიჰგვარა მოძღვარმა და თან დინარებიც დაუტოვა საარაბო ხარკის
გადასახდელად. მას შემდეგ თვალი არ მოეკრა, ვერ მოიცალა აქეთ
წამოსასვლელად.

მელოს კარზე ამდენი ცხენოსანი რომ მიადგა, გაოცებულმა და
შეშინებულმა გამოიხედა მიწურიდან. ხარკის ამკრეფი მავალები ეგონა
და გრძელი წყევლა წამოიწყო. უცებ იოანე იცნო და პირზე ხელი
მიიფარა.

— იოანე! — შესძახა ქალმა. — უფალი და მოწყალე ჩვენი! — ხელ-
ზე კოცნა მოუნდომა. იოანემ ქალი შეაჩერა და ერისმთავრისაკენ ანიშ-
ნა თვალით.

— ერისმთავარი გესტუმრათ.

— ერისმთავარი? — დაიბნა ქალი.

პირჯვარი გადაიწერა. მუხლებზე დაეშვა.

ამასობაში ბავშვებიც გამოლაგდნენ, ზოგი მიწურიდან გამოვიდა,
ზოგი სირბილით მოიჭრა მინდვრიდან, პატარები ცხენებს უყურებდნენ,
უფროსები დაჩოქილ დედასთან მოჯარულიყვნენ, გაოცებულები შეს-
ცქეროდნენ ხან დედას და ხანაც სტუმრებს.

მიწურიდან ძუძუთა ბალღის ტირილი მოისმოდა. იოანეს გაუკვირ-

და, ძუძუთა ბალღი აქ არ ეგულებოდა. „ნუთუ გათხოვდა“, — გაუელვა გონებაში. შეშფოთებული დააჩერდა მიწაზე დამხობილს.

— ადექი, — უთხრა იოანემ ქალს. — ერისმთავარს შენთან საუბარი აქვს.

ქალი ფეხზე წამოიჭრა და მიწურში შევარდა.

— მობრძანდით, ბატონო! — გამოსძახა იქიდან აფორიაქებულმა, კარი ფართოდ გააღო, ბავშვებიც შინ შელალა და თავსაბურის მოხურვაც მოასწრო.

— მობრძანდით, ბატონო! ღმერთო, ღმერთო, ერისმთავარი მოვიდაო, — აქეთ-იქით აწყდებოდა ქალი, — თვითონ ღმერთის მობრძანებას დავიჯერებდი, თქვენსას კი არა — გულუბრყვილოდ მიახალა პირში ქალმა სტეფანოზს, თან ორივეს ჯორკოები დაუდგა.

ბავშვები ერთ კუთხეში მიჯარულიყვნენ და სტუმრებს შორიდან შესცქეროდნენ.

სტეფანოზი და იოანე არ დამსხდარან. მხლებლები ერისმთავარს გარეთ ელოდებოდნენ, თავიანთ ცხენებთან იდგნენ და მიწურის ღია კარში იყურებოდნენ.

სტეფანოზმა ფულით სავსე ქისა გადაუგდო ქალს. ქალმა ქისა აიღო, გულში ჩაიხუტა, შემდეგ სტეფანოზს ფეხებში ჩაუვარდა და კოცნა დაუწყო. იოანემ ძლივს მოაშორა ქალი ერისმთავარს.

— უთხარი, რისთვისაც მოვედით და წავედით. — სული შეეგუბა მიწურში სტეფანოზს.

— კმარა, მელო, დაიწყნარე გული და მოგვაპყარ სასმენელი გულისა და გონებისა. — უთხრა იოანემ დინჯად, — მოგსწრებია ვაჟკაცები! — იოანემ ბავშვებს გადახედა, — რა ჰქვია უფროსს? ფარნაოზი!

— არა ბატონო, ამას კეწეწა ჰქვიან, ფარნაოზი საგლახაკეში რომ გყავდათ, მაშინ თქვენ დაგირქმევიათ საოხუნჯოდა... სად კეწეწაანი და სად ფარნაოზი, ბატონო! — იღიმებოდა მორიდებით მელო, — ჩვენ ხომ კეწეწაანი ვართ, ამათი პაპის პაპის პაპა ყოფილა კეწეწა, იმიტომაც ვეძახით შინა, მღვდელმა კი თომა დაარქვა.

— კეწეწა! — დაუძახა იოანემ, — მოდი აქ!

ბიჭი მორიდებით მიუახლოვდა იოანეს და გვერდით ამოუდგა. იოანემ ბიჭს ხელი მოჰკიდა მკლავში და ჰკითხა:

— გახსოვარ, კეწეწა?

ბიჭმა თავი დაუქნია, მიწას ჩაჩერებოდა.

აკვანში ბალღი ატირდა. მელომ აკვანი გადაარწია.

— მელო, ახლა როგორა ხართ? გილხინთ, თუ ძველებურად გიჭირთ? — ჰკითხა იოანემ.

— ეეჰ, გიჭირთო? — ამოიოხრა ქალმა, — ჭირსა და სატანჯველს მოგვაკლებს, ბატონო, განა შავი ჭირი არ შემოგვივარდა ბუდეებშია, განა ყელში არ გვწვდა და არ გვახრჩობს, განა სისხლს არ გვწოვს... თქვენ ჩემზე უკეთ არ იცით? — ერისმთავარს მიაპყრო თვალები მელომ.

— რა შავ ჭირს ბრძანებთ, ავად არიან ბავშვები? — გულწრფელად იკითხა სტეფანოზმა.

— არა, ბატონო, არაბობას ვეძახით შავ ჭირსა, — მოურიდებლად უთხრა ქალმა, — განა მარტო მე ვეძახი, მთელი დაბა და მდაბიონი მაგათ შავ ჭირსა და შავ ხურველას ეძახის. ჭირივით დაუპატიჟებლად შემოგვეჭრებიან შინა: ეს ხარაჯაო, ეს ჯიზიაო, ეს ისაო, ეს ესაო, რა ამ კედელთან გიუბნიათ და რა იმათთანა, არც ჩვენი სიტყვა ესმით, არც ღმერთის სწამთ და არც კაცის, ჩვენი ცოდვით დედამიწა იწვის და ზეცაც შიგ ეტანება. გამკითხავი კი არავინ არი, არა! — ქალმა შავი თავსაფრით მოიწმინდა ცრემლი და გაყუჩდა. აკვანს არწევდა და ნაღვლიანად დასცქეროდა ძონძებში გახვეულ მტირალ ბალღს.

— აჰა, შია ამ ბედდამწვარსა, რა ვქნა, ღვთის კაცებო, ნეტა ვიცოდე, რა წყალში ჩავვარდე...

— ეს ბალღი აქ საიდან გაჩნდა, — ჰკითხა იოანემ მელოს, — თქვენ ხომ ქმარი ომში მოგიკლეს?

— მეც მაგას ვჩივი, რომ ბალღი გაჩნდა, სარჩო კი არაფერი მაბადია. საიდან გაჩნდა? საიდანაც დანარჩენები გაჩნდნენ, იქიდანა, ჩემი ქმრისა აი, ესენია. — ქალმა სამი ბავშვი გადათვალა, — კეწეწა, გულო და პირმთვარისა. დანარჩენები ამათია. — ქალმა კარზე მომდგარი ერისმთავრის მცველებისაკენ გაიშვირა ხელი, — დაიწვეს ამათი მზე და მთვარე. გაწყდეს ამათი რჯული და გასაგისი! — მიაწყევლა გულმხურვალედ, ჩანდა რომ „ამათში“ არაბებს გულისხმობდა.

იოანემ და სტეფანოზმა ერთმანეთს შეხედეს გაოცებული თვალებით.

— რაო? — ჰკითხა სტეფანოზმა იოანეს ხმადაბლა. იოანე აკვანთან ახლოს მივიდა, მელოს კარგად დააკვირდა და ჰკითხა:

— რა ბრძანეთ? ვერ გავიგეთ?

— გაუგებარი რა არის, ბატონო, თქვენსობას ხომ შვიდი შვილი მყვანდა, ახლა რვა მყავს. ამათი სიკეთეა. — კვლავ შუბოსნებისკენ გაიშვირა ქალმა ხელი. — რაც ამ უბანში მოლაშქრეები ჩააყენეს,

მკვდარი ვიყოთ გვირჩევნია ქალებსა, მოვარდებიან შუბებით და ხელ-კეტებით, შემოგვიმტვრევენ, შემოგლეჯენ კარებს, გალეშილები არც ბალღებ დაგიდევენ, არც ხვეწნა-მუდარასა, დაგვაწიოკებენ და ნამუსს აგვხდიან... აჰა...

„ნამუსს აგვხდიანო“, ქალმა უსირცხვილოდ, მოურიდებლად თქვა, შემდეგ აკვანზე დაემხო, თავი მკლავებში ჩამალა, გულდათუთქული ატირდა.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა იოანემ და პირჯვარი გადაისახა, — ეს თქვენ ჩემთვის არ გითქვამთ? — საყვედურივით ჩაიდუდუნა ქალის გასაგონად.

ქალი აკვანზე დამხობილი ტიროდა, ბავშვს ჩასძინებოდა, არ გა-ვაღვიძოო, ხმა არ ამომივიდესო, პირზე ხელს იჭერდა და ჩუმად სლუ-კუნებდა. შავ თავსახვევს ქვემოთ აფათურებდა ხელებს.

სიჩუმე ისევ იოანემ დაარღვია:

— მაშ, საგლახაკეში არაბი მოლაშქრეების შვილებს ვზრდიდი?..

კვლავ საყვედურივით გაისმა მიწურში.

ქალმა გულდაგულ ამოიწმინდა თავსაფრით თვალები. წამოდგა, ბავშვებთან მივიდა.

— საგლახაკეში, თქვენ აი, ეგენი გყავდათ: კეწეწა... — მოჰკიდა ხელი კეწეწას და იოანეს წინ დაუყენა, — ეგა, კეწეწაშვილია, ქართ-ველი. ეს თორღვაა — იმათია, არაბი, ესეც არაბია, — შავტუხა, ჩხირი-ვით გოგო ჩააყენა მწკრივში, — ეს ქართველია, და ესეცა — პირმთვა-რისა დ გულოი.

— თავს ვიკლავდი, ბატონო, მაგრამა, — მიუბრუნდა ერისმთავარს მელო, — ჩემისთანა ოხერ-ტიალი თურმე იქაც არ უნდათ — შავეთში. ღმერთმა ხან ვინ გამომიგზავნა მოციქულადა და ხან ვინა, აღარ მამა-კვლევინა თავი. იქ იყავ, რკინის უღელი დაიდგი, ცხვირით მიწა ჩიჩქნე და შენი დღე და წუთისოფელი ასე გალიეო, შემომითვალეს შავეთი-დანა.

ქალმა კვლავ მოთქმასავით გააგრძელა „განლიეო“ და ცრემლმომ-დგარ თვალებზე თავსაბური აიფარა.

— დედავ, — ხელი დაადო ზურგზე იოანემ, — ჩვენ აქ იმისათვის მოვედით, რომ გიშველოთ.

— ღმერთმა თქვენ გიშველოთ და თქვენ გაგიმარჯვათ! მენა შავი მიწა და შავი სამარე თუ მიშველის, სხვა წყალობას აღარც ველი და აღარც მინდა.

— უთხარი და წავიდეთ! — თქვა მოთმინებადაკარგულმა სტეფანოზმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედავ, — დაიწყო კვლავ იოანემ. უჭირდა სიტყვის დაძებნა. ეთქვა? როგორ ეთქვა? მწუხარებასა და უბედურებას ქალი მიწასთან გაესწორებინა, ღირსება აეხადა, ზნე გაერყვნა. გატეხილ, გათელილ ქალთან სიტყვა როგორღა ჩამოეგდო?

— ჩვენ... თქვენთან... რჩევისათვის მოვედით... — ყოყმანით, ბორძიკით განაგრძო იოანემ, დაბნეულად მოარიდა თვალი ქალს და თითქოს მიწურის კედელს ელაპარაკებაო, ჩაიდუდუნა: — რაც ამ ოთხ კედელს შორის ხდება, ხომ სარკინოზების ბრალია? რაც გვჭირს, ხომ იმათთაგან გვჭირს. უნდა გავრეკოთ თუ არა ისინი ჩვენი მიწა-წყლიდან? აი, ამ მერცხლების დედა რას გვიბრძანებ: — იოანემ ბავშვებს ხელი მოხვია, — ქუდზე კაცი არ უნდა გამოვიდეთ ამათ დასაცავად?

— უნდა გავრეკოთო? თქვენს პირს თაფლი და ბადაგი! უნდა გავრეკოთო... ღვთის სიტყვა გავიგონე დანამდვილებითა. გფარვიდეთ ქრისტე, უფალი ჩვენი, მაცხოვარი. წმიდა გიორგი წინ გიძღოდეთ თავის ბოძალითა, ქართვლის დედის მადლი და ლოცვა-კურთხევა გზას გინათებდეთ! გამჩენმა განძლიეროთ და დედა ხთიშობელმა თავისი კალთა გადაგაფაროთ!

დამილოცნიხართ, ხთის შვილნო!

სტეფანოზს მოეწონა ქალის ლოცვა-კურთხევა, ხელი მოჰკიდა და ასევე გულითადად ჰკითხა:

— მაშ, კეწეწას მოგვცემ მოლაშქრედა? — სტეფანოზმა კეწეწა მოიხმო და გვერდით ამოიყენა. — მახვილის მტვირთველად ხომ გამოგვადგება? — გასძახა კართან მოჯარულ მხლებლებს ერისმთავარმა. — უკვე ვაჟკაცი არის, რაღა აკლია. — კეწეწამ თავი ჩაკიდა და ჩაიცინა.

— რათა კეწეწასა?.. — იოანეს მიაჩერდა მელო, — კეწეწასაო?.. ჩემი კეწეწა უნდა წამართოთ? — ხელიდან გამოგლიჯა ერისმთავარს შვილი. — ძლივს სისხლის თხევით ბალღი წამოვჩიტე, ახლა მაგ ოხრებთან ბრძოლაში უნდა მამიკლათ? არ მოგცემთ კეწეწასა! სისხლის ღვრასა და ბალღების ხოცვას ისევ ის მირჩევნია, რაცა მჭირს. ღმერთი თუ გწამთ, თავი გამანებეთ, მამყოფეთ ჩემს სოროშია. სარკინოზებთან ომი ჩემი ბალღების საქმე არ არის. ერისა და ქვეყნის მეუფე თქვენა ხართ, პასუხიც თქვენ აგეთ გამჩენის წინაშე, ჩემი კეწეწა არაფერ შუაშია!

უცებ, ერთ წამში, ქალი სულ მთლად გამოიცვალა, აიფოფრა და

სტუმრებს განრისხებული თვალები მიანათა. ბალღები კუთხეში მიმალა და ხელებგაშლილი წინ დაუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანოზმა იოანეს ნიშნისმოგებით გადახედა. სწრაფად ადგა, ალდა და გავიდა მიწურიდან.

იოანე არ მოელოდა ამგვარ პასუხს. ხმა ვერ ამოიღო, გაოგნებული უნებურად მიჰყვა ერისმთავარს.

სტეფანოზი ფიცხლად ამხედრდა თავის ბედაურზე და მხლებლებით გარსშემოხვეული გზას გაუდგა, იოანეც გაედევნა ჩაქჩაქით. ცოცხალ-მკვდარი იჯდა ცხენზე, სტეფანოზმა იოანეს მოხედა, ახლა საით მიბრძანებ წასვლასო. იოანემ მხედრიონს გზა კვლავ უჩვენა, მიწაში ჩამძვრალი დაბა იქვე, გორაკს მოფარებული ეგულებოდა, მიწის ზევით არაფერი ჩანდა, ჩირგვებით გადაფარულ ფერდობზე სოროებივით შეეთხარათ სადგომები და კარის ნაცვლად ფუნით შელესილი ჩელტები მიეფარებინათ.

სტეფანოზს გაეგონა, რომ მურვანყრუს დროს ერი აიყარა. თავი მთასა და ტყეს მისცა. ადამიანები მღვიმეებსა და ხაროებში ბინადრობენო. მაგრამ საკუთარი თვალით არასოდეს ენახა დათვივით ბუნაგში შემძვრალი ერისთაგანნი, ცნობისწადილმა აიტანა, არ დაელოდა მსახურთ, სწრაფად ჩამოქვეითდა, ჩელტის კარს მიადგა, გამოსწია და გამოაღო; გვირაბის ჩაშავებულ ყელში არაფერი ჩანდა. გაკვირვებულმა მოხედა იოანეს.

— დიახ, შიგ ადამიანი ბინადრობს. — გაიღიმა დამნაშავესავით იოანემ, — მასპინძელო! — შესძახა მღვიმეში და პასუხს დაელოდა, — მასპინძელო!.. — გაიმეორა დაბეჯითებით და თავი შეჰყო მღვიმეში. პასუხი გვიან გაისმა. ჯერ გაურკვეველმა ჭყიპინა ხმამ გამოაღწია სიბნელიდან. შემდეგ ძუძუთა ბავშვით ხელში გამოილანდა დედაკაცი. უცხო მამაკაცები რომ დაინახა, მოხარკენი მოსულანო, იფიქრა და წყევლა-კრულვით უკან შეიმალა.

— მაინცადამაინც ისეთ დროს შეგირჩევენ, როცა მამაკაცები შინ არ არიან! აი, თქვე ურჯულოებო და სისხლისმსმელებო! თქვე მიწადასაყრელებო და მიწაში არჩასამარხავებო!

წყევლა და ლანძღვა უცებ შეწყვიტა ქალმა. მღვიმის პირზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენიანები ვართ, ნუ გეშინიათ! — შესძახა მღვიმეში იოანემ და სწორედ ამ დროს ზედ ცხვირთან გაიწუილა ისარმა და მღვიმედან გარეთ გაიჭრა. ბედად არავის მოხვედრია. ის დედაკაცი ისროდა.

— წავიდეთ! — ბრძანა ერისმთავარმა და მღვიმეს ცივად მოსცილდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსახურებმა ცხენი მოართვეს.

იოანე კვლავ წინ გაუძღვა მხედრიონს, მაგრამ იმედი წაერთვა. ერისმთავარი სად წაეყვანა, არ იცოდა. ხევ-ხევ, ფერდობ-ფერდობ მიდიოდნენ. საიდანღაც კვნესა შემოესმათ. მიაყურეს. ხან მკვეთრად ჩაესმოდათ, ხანაც შორიდან ჩამოიტანდა ნიავი. იოანემ ცხენს თავი იქით მიუღრიჯა, საიდანაც გულისმომკვლელი ხმა მოდიოდა. მინდორში მთესველს მოჰკრეს თვალი. ერისმთავარმა მთესველისაკენ ცხენი ლაფშურით წაიყვანა, იოანეცა და მხლებლებიც უკან გამოუდგნენ თავიანთ პატრონს. შორიახლოს შედგნენ, ახლოს მისვლა ვერ გაბედეს; კაცი შებმულიყო უღელში, ცალ უღელს ხარი ეწეოდა, ცალსაც კაცი, მთესველი დინჯად მიჰყვებოდა კვალში სახნისს, საკვეთის მიერ მოჩიჩქნილ მიწას ჩასცქეროდა. უღელში შებმული კაცი კი ხვნეშითა და კვნესით მიათრევდა უღელს.

სტეფანოზი ცხენიდან ჩამოხტა, მხლებლებიც ჩამოთითოვდნენ ცხენებიდან.

— გამარჯობათ, რასა იქთ, კაცნო! — შორიდან დაუძახა იოანემ.

უღელში შებმული კაცი შეჩერდა და უკან მოიხედა. მთესველმაც აიღო თავი და ხარს დაუძახა:

— მო, ხი, ოო!.. ხვარბალსა ვთესამთ, ბატონო. — მიაძახა იოანეს.

ერისმთავარი უღელში შებმულ კაცს მიადგა ჯიქურ და გაოცებულმა დაუწყო ყურება.

— არა გრცხვენია, მთესველო, ადამის ძეს უღელი დაადგი?! — საყვედური უთხრა.

— ხარი მამიკვდა, ბატონო, მა ვის დავადგა უღელი, ჩემი ძმა არის, განა სხვა ვინმეა, მინდა უღელს დავადგამ და მინდა უნაგირს. ენგრე. ხან ეგ ეწევა, ხანაც მენა, ენგრე.

— უღლიანო კაცო, — პირდაპირ ჰკითხა ერისმთავარმა, — არ გინდა უღელი გადააგდო?

— რათა, ბატონო?! უღელი რომ გადავაგდო, ვინ დაგვითესამს ხვარბალსა? — გაოცდა უღლიანი კაცი, — ჩვენს წაბლას ჩამური ჩამაუვიდა და თქვენი ჭირი წაიღო, მოზვერი კიდენა ახალდაკოდილი გვყავ.

ერისმთავრის შეკითხვა გაუგებარი დარჩა ძმებისათვის. იოანემ ძმებს შეკითხვის არსი აუხსნა:

— ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო, ჩემო მთესველო, ეს უღელი

ქედზე რომ გადგას. არაბებმა მოგიტანეს. არაბობა უნდა გავრეკოთ და
ულელიც უკან მივაყოლოთ.

ულლიანმა კაცმა იოანეს უკმაყოფილოდ გამოხედა ულლიანებ-
დან, არაფერი უთქვამს, პირდაპირ ხნულში ჩაჯდა, ულელი ქედიდან
არ მოუხსნია, მიწას ჩასცქეროდა დაღვრემილი, ხანდახან შუბლიდან
ოფლს იწურავდა. მთესველი იოანეს მიადგა. ყურადღებით დააცქერდა
და ჰკითხა:

— ერისმთავრის კაცები ხართა?

— ეგენი არიან, ზედ არ ეტყობათ? — უთხრა ულლიანმა ძმას უკ-
მაყოფილოდ. — ვერ წამოვალთ ლაშქარჩია, ვერა! — მიახალა უცებ
იოანეს. — ხვარბალი დასათესი გვაქ. შინაც დედაკაცი მიკვნესის პარ-
ტახტითა. სარკინოზს კიდენა ჩვენ ვერ მოვერევით. ენგრე.—ნაწყვეტ-
ნაწყვეტად ამბობდა აბოჟირებული. — ტყუილუბრალოდ დასანთხევი
სისხლი ძარღვებში აღარ გვიდგას, დავიღალეთ, მოგვბეზრდა ფუჭად
ხმლისა ქნევა, ენგრე. არაბებმა ჩვენ მშვიდობა მოგვიტანეს, მათი ულე-
ლი გვირჩევნია სხვების დიბაფარჩებსა... ენგრე უთხარით იმათა, ბატო-
ნებსა, ენგრე.

სტეფანოზმა იოანეს გადახედა და სათქმელი თვალებით უთხრა.
მხლებლებს უხმო და ერისმთავრის ნახირიდან ყევარი ხარ-კამეჩის
მოგვრა ბრძანა შეჭირვებულთათვის, ქისა გახსნა. ჯერ ულლიან კაცს
ჩაუჩხრიალა დინარები, შემდეგ მთესველს და წასასვლელად გაემზადა,
დარახტულ ბედაურს მკვირცხლად მოახტა, მთესველთ ზემოდან დახე-
და და მშვიდობა დაუბარა.

— ბარაქიან პურის ყანას გისურვებთ, მუშაკებო!

ულლიანი კაცი და მთესველი გონს ვერ მოვიდნენ, არ ეგონათ, თუ
ერისმთავარი იყო. დაბნეულები შესცქეროდნენ ერთმანეთს, ელდასა-
ვით მოსულ სიხარულს ენა წაერთმია, ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი
ძვირფასი საბოძვრის გამცემი. თუ არა თვითონ ერისმთავარი?

— ღმერთმა გადღეგრძელოთ და წაღმა გატაროთ! — ამოილუღლუ-
ღა ულლიანმა კაცმა და მინდორზე ოთხახმით მიმავალ ცხენოსნებს
პირჯვარი გადასწერა, მთესველმაც მიბაძა ძმას, ისინი პირჯვარს იწერ-
დნენ მანამ, სანამ ცხენოსნები თვალს არ მიეფარნენ.

იოანეს დანა პირს არ უხსნიდა. ერისმთავარი მართალი იყო. ერს
არ უნდოდა ბრძოლა, შფოთსა და სისხლისღვრას მორჩილებაში მშვი-
დად ყოფნა ერჩია. ომებში მოქანცულიყო და მონობას შეგუებოდა.
თავისუფლება დავიწყნოდა, უბატონოდ და უმფარველოდ ცხოვრება ვერ
წარმოესახა, ხალიფატის უზარმაზარი იმპერია თავის სამშობლოდ მი-

აჩნდა და ამაყობდა კიდეც თავისი ძლიერი მფარველით. რისთვის, ვისთვის იბრძოდა იოანე, რა რჯიდა, რა აწუხებდა? [illegible] ცდებოდა, იქნებ ერისმთავარმა მართლა უკეთ უწყოდა [illegible] ნება-სურვილი? მოძღვარს ნაღველი აეშალა, რა ექნა? ხელი ჩაექნია, გაცლოდა აქაურობას, სამხრეთისაკენ აეღო გეზი და გავერანებული ტაო-კლარჯეთისათვის მიეხედა? ბრძოლა იქიდან დაეწყოთ? ასეთი გეგმა აშოტ ერისთავს ჰქონდა, ის აპირებდა მამა-პაპათა ძველი ადგილ-მამულის აღდგენას და იქიდან მოსვლას ქართლში. იქნებ მართლა ჯობდა უკან დახევა? მაგრამ აბო? აბოს რა ეშველებოდა? ნერსე აბოს არ დაანებებდა არაბებს, ერისთავები განვდგებითო,—უთხრა აშოტმა სტეფანოზს. სტეფანოზიც დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში, მისი ჭკუით, აბო ღუპავდა ქართველ ხალხს, მუქარას ის არ შეუშინდებოდა. ერისთავებსაც არ სჩვეოდათ სიტყვის უკან წაღება, იოანე ორ ცეცხლს შორის ჩავარდნილიყო. რაც მთავარია, საღვთო კავშირის იდეა ეღუპებოდა. თუ აბოს გამო შფოთი ატყდებოდა, რასაკვირველია, უთანასწორო ომში დამარცხება გარდაუვალი იყო.

ერისმთავარი წინ მიაგელვებდა თავის ბედაურს. რაკი იოანეს არ დაუცადა, ალბათ არ სურდა მასთან საუბარი. იოანეც ნელა მიჰყვებოდა უკან. გული ეუბნებოდა, რომ ერისმთავარი მოუხმობდა მას და მაშინ ჩამოუგდებდა სიტყვას აბოზე. დღესდღეობით ყველაფერი უნდა გადაედო და აბოსთვის ეშველა. ეს გაიფიქრა იმ წამს რატომღაც, სწორედ ამ მიწაში ჩამძვრალ ქართველობას უნდა ენახა მათთვის მლოცველი აბო თავისუფალი. აბოს თავისუფლება იმედს გააჩენდა, რწმენას აღადგენდა.

მართლაც ისე მოხდა, როგორც იოანე ვარაუდობდა, წავკისელას ხეობას რომ გასცდნენ, ერისმთავარი ეტლში გადაჯდა და იოანეც მიიხმო. დიდხანს ხმა არ ამოუღიათ. გულდამძიმებულები შემოდიოდნენ თბილისში.

— აბოს მაინც უნდა უშველოთ, — უთხრა იოანემ ხმადაბლა, ეგებ ერისმთავარი სწორედ ახლა, ამ წუთას, გაეტეხა, დაეყოლებინა, არ სჯეროდა, აბოს განთავისუფლება რომ არ შეეძლო. მოძღვარი ამჩნევდა, რომ ერისმთავარს სინდისი ქენჯნიდა, თავს იმართლებდა ერის წინაშე. იმისათვის გამოეგონა ეს მოგზაურობაც, ეს „ერის გამოკითხვაც“.

— ვერა! — მიუგო მოულოდნელად ცივად სტეფანოზმა, — გითხარით მე თქვენ.

მეეტლეს თავდალმართზე ფრთხილად ჩაჰყავდა ეტლი, მხლებლე-

ბიც ლაგამჩაბღუჯულები თავმოდრეკილი ცხენებით მისდევდნენ ეტლს უკან.

ერისმთავარს ნაღველი მოსწოლოდა, პირი მიექცია და ბოლამდე აღარ უყურებდა. ეს უგუნებობაც კარგად ენიშნა მოძღვარს; რად მოიწყინა ერის მესვეურმა? ხომ დაამტკიცა ის, რაც ეწადა? ხომ მტკიცე უარს ამბობდა იმაზე, რაც საშიში იყო მისი სახლეულისათვის. მაშ, რა აწუხებდა, რა სევდა მოსწოლოდა, რად იჯდა ეტლში გაბუტულივით?

თბილისის ქუჩები ჯერაც ხალხით იყო სავსე, სასახლის წინ ჩამოკონწიალებული ბერი ონოფრეს ამბავზე ჯერაც ბჭობდნენ რასტიბაზარსა და სალაყბოში.

ზანზალაკებიანი, საერისმთავრო ეტლი სიონის უბანში შედიოდა, შიგ დამუნჯებული ერისმთავარი და მისი მოძღვარი ისხდნენ.

დაჩოქილი ლოდინი

მოულოდნელად ხალიფა მაჰდი გარდაიცვალა. ტფილისმა ძაძები ჩაიცვა.

ქართლში გლოვა გამოცხადდა.

სტეფანოზს ხალიფას სიკვდილმა სულ მთლად გადაუწყვიტა იმედი.

ხალიფას ტახტი მაჰდის შვილს — მოსეს ერგო.

რა ცვლილება მოხდებოდა ხალიფატში?

როგორი თვალით შეხედავდა მოსე ალ-მუმნი დაპყრობილ ქვეყნებს და მათ გამგებელთ?

საარაბო ხარკს რამდენს მოუმატებდა?

საით დაძრავდა თავის მრავალრიცხოვან ლაშქარს — ჩრდილოეთისაკენ თუ დასავლეთისაკენ? რას უქადდა ხალხებს — მშვიდობას თუ სისხლისღვრას?

ეს კითხვები აწუხებდა არა მარტო ქართლს, მთელ აღმოსავლეთს. გაფაციცებული ყურადღება მიპყრობილი იყო ბაღდადისაკენ, ახალი ხალიფას პირველი ნაბიჯი ბევრ კითხვას მოჰფენდა შუქს.

ტფილიხის ამირამ რიგგარეშე ჯამაათი მოიწვია. სტეფანოზი დილაადრიანად იხმეს სასახლეში — ახალი ხალიფა ხაზარეთს მიემგზავრება, ტფილისში უნდა გამოიაროსო. ხაზარეთისაკენ მიმავალი გზა ტფილისზე გადიოდა. ეს ამბავი სიკეთის ნიშანი უნდა ყოფილიყო. რაკი თვითონ ხალიფა მიემგზავრებოდა ხაზარეთს, ომი და სისხლისღვრაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიდებოდა, იქნებ ხაკანს და ხალიფას საერთო ენაც გამოენახათ და მშვიდობაც ჩამოვარდნილიყო.

მზე ხალიფა ჩამოდისო, — მეხივით გავარდა ტფილისის ქალაქში საყდრებში ძელებსა ჰკრეს და საამიროს წინ — ბუკსა. ერს ეუწყა ხალიფას ჩამობრძანება. ტფილისის საამიროში ხალიფას თეთრი ცხენისათვის ერთი თვალის შევლებაც კი დიდი ბედნიერება უნდა ყოფილიყო ყოველი ტფილისელისათვის. ქართლის გამგებელთ უნდა ეყოჩაღათ და ღირსეულად შეხვედროდნენ ყველა მუსლიმის მბრძანებელს — ახალ ხალიფას.

ერისმთავარს ჯამაათი საგონებელში ჩავარდნილი დახვდა. ხალიფა სამშვილდეს გამოსცდენოდა, ჯამაათს კი ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, რა ეღონათ, როგორ დახვედროდნენ დედამიწის მეუფეს, რით გამოეხატათ ერთგულება, მორჩილება და თაყვანისცემა. თვით ამირა ჩანდა დაბნეული, — გეზი ვერ მიეცა ჯამაათისათვის.

ერთნი მოითხოვდნენ, მსწრაფლ აეკრიფათ დამატებითი ხარკი და სტუმრისთვის ტფილისის ჭიშკართან დაეხვედრებინათ. მეორენი ხარკს საკმაოდ არ მიიჩნევდნენ, ფულის მოჭრას ურჩევდნენ ამირას, სხვებს ქართული ხმლებისა და მახვილების მოკრეფით და ხალიფას ლაშქრისათვის მირთმევით ეწადათ ქედის მოხრის გამოხატვა.

დიდხანს ყაყანებდა ჯამაათი. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ამირას სტეფანოზი სწორედ მშველელად მოევლინა. თითქოს მთელი სიცოცხლე ამაზე ფიქრობდაო, ერისმთავარმა გადამწყვეტი, ყველას მოსაწონი სიტყვა თქვა:

— დაჩოქილი ლოდინი, ხალხნო და ჯამაათნო! — დაიწყო დინჯად, — ქართლი მზე ხალიფას დაჩოქილი დაელოდება.

„დაჩოქილი ლოდინი! — უცებ აიტაცა ჯამაათმა, თითქოს ალაჰს ელაპარაკებიანო, ფეხზე წამოცვივდნენ და დარბაზის ჭერს შესძახეს, — დაჩოქილი ლოდინი! დაჩოქილი ლოდინი!“ — ამირამ ძლივს დააწყნარა აბობოქრებული დარბაზი.

— ყოველი ქართველი დედაწულიანად გამოვა იმ გზაზე, სადაც მზეთამზე ხალიფამ უნდა გამოიაროს, — განაგრძო სტეფანოზმა, — დაიჩოქებს ყველა, — უხუცესიცა და უმრწემესიც, ერისმთავარიცა და ერისთაგანიც, დაიჩოქებს და დაელოდება მანამ, სანამ ქვეყნის მბრძანებელი საკუთარი თვალით არ ნახავს მთელ ქართველ ერს მის ფეხქვეშ გართხმულს. ძღვენს კი ოქროთი ამირა მიართმევს ალაჰის მოადგილეს ტფილისის ჭიშკართან.

— ხალიფას ოქრო უყვარს! — დაიძახა ვიღაცამ ხალხიდან.

— ხალხნო და ჯამაათნო! — გამოაცხადა უცებ ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქ-მა. — ხალიფა შემოდის სოღდებლის კარით! ყველანი სოღდებლისაკენ! — თქვა მან და სწრაფად დატოვა ჯამაათი. ეს სულ ... უნდა ყოფილიყო.

როცა სტეფანოზი სიტყვას ამბობდა, ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქთან შურტა მივიდა, ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. შემდეგ წითელწვერიანი მუსლიმი შემოიყვანეს და ჰაჯიჯს მიჰგვარეს. წითელწვერიანი შურტათმთავრის ფეხებთან დაემხო და საიდუმლო უსტარი დაუფარავად მიართვა. ბაბაქმა გრაგნილი სულმოუთქმელად ჩაიკითხა, წამოდგა და გამოაცხადა. ხალიფა სოღდებლის კარით შემოდისო. ასე სწრაფად ხალიფას მობრძანებას თვითონ ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქიც არ მოელოდა.

ამირას ხაზინის კარი გაუხსნეს, თუ რამ ოქრო ებადათ, საძღვნოდ გაამზადეს. ერისმთავარმა ყოველიმხრივ აფრინა კაცები: ერის შეკრება და სოღდებლისკენ წასვლა ბრძანა.

ტფილისს არ ახსოვს ასეთი სტუმარი და არც ასეთი სტუმრიანობა გაუგონია, ამირას კაცები შინ ეჭრებოდნენ ადამიანს და დედაწულიანად გარეთ ერეკებოდნენ, შურტებს თვლით აბარებდნენ. შურტები მათ სოღდებლისკენ მიათრევდნენ. ერისმთავრის კაცები რაბათის მხრიდან ერეკებოდნენ მდაბიორებს. სიონსა და მარიამწმიდაში ძელის ცემა არ წყდებოდა.

მტკვრის ორივე ნაპირი ხალხით გაივსო.

საპყარნი, ხეიბარნი, მთხოვარნი, ფეხმძიმე დედანი და ტიტლიკანა ბალღები ზედ ხიდზე, ხიდის თავსა და ყურში ჯგროდ მიყრილიყვნენ. „დაიჩოქეთ!“ — გაჰკიოდა ცხენზე ამხედრებული შურტა და ზღვა ხალხში შეგდებულ ცხენს ძლივს იურვებდა. „დაიჩოქეთ!“ — გაჰკიოდა მტკვარს გაღმა სხვა ცხენოსანი, ხელში მოელვარე ხმალს ატრიალებდა, ხალხს აშინებდა, თავს წაგაცლითო. ფეხზე დგომას ვერც ვერავინ გაბედავდა, ბავშვები ვერ ითმენდნენ მხოლოდ, ხანდახან გაექცეოდნენ დედებს, ამათ გამო გაჰკიოდნენ, დაიჩოქეთო.

სოღდებლისაკენ მიდიოდა მთელი ტფილისი. ზოგი ნებით, ზოგი ძალით, შინ არავინ რჩებოდა, ახლომახლო დაბებიდანაც მოესწროთ ერის აყრა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ, წვრილ-წვრილ ნაკადებად მოედინებოდნენ და ზღვა ხალხს უერთდებოდნენ. მორჩილად იჩოქებოდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მოურიდებლად ილანძღებოდნენ, ქართულად, ათასგვარ ჭორს თხზავდნენ სახელდახელოდ. ზოგს სარჩოც თან წამოეღო ბავშვებისათვის, ჯალაბს აქვე, გზის პირას აპურებდა.

მალე ამირას ეტლი მოვიდა, გადაირბინა ხიდი და დაჩოქილი ხალ-ხისაგან მოშორებით დადგა. ამირას ეტლს ერისმთავრისა მოჰყვა. ერის-მთავრისას — ვეზირისა, ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქის ეტლი მათ ცხენთან მცველებით გარშემორტყმული მიადგა.

ჯამაათის წევრები ეტლებიდან გადმოვიდნენ და ერის დასანახად მათაც შორიახლოს დაიჩოქეს. ერსა და დაჩოქილ ჯამაათს შორის ხმალამოღებული შურტები ჩადგნენ. შურტები ჯერჯერობით თავისუფ-ლად დააქროლებდნენ ცხენებს. წესრიგს იცავდნენ, მაგრამ თუ ხალი-ფას კაცები გზაზე, გამოჩნდებოდნენ, ნაბრძანები ჰქონდათ მათაც უმალ-ჩაეჩოქათ.

რაკი თვითონ ამირა, თვითონ შურტათმთავარი ნახა ხალხმა დაჩო-ქილი, წამოდგომას ვინღა გაბედავდა.

მთავარ ყადის ხალიჩა გაუშალეს და ნამაზზე დადგა.

— მუსლიმისათვის მეჩეთი ყველგანაა, საცა ხალიჩას გაშლის სალოცავად!.. ალლაჰ!.. — თქვა ყადიმ. ეს სიტყვები ხალხმა აიტაცა, მუსლიმებმა ხელათ იშოვეს ხალიჩები, მტკვრის პირას გაშალეს, ყველა მუსლიმის ყიბლისკენ — მექასკენ პირი იბრუნეს და ლოცვას მოჰყვნენ. ქართველებმა რაკი ნახეს, რომ არაბები ფეხქვეშ ხალიჩებს იგებდნენ, თვითონაც მოატანინეს შინიდან ვისაც რა გააჩნდა, ფარდაგები, ტომ-რები თუ ძონძები და მუხლებქვეშ დაიგეს, გახრიოკებულ მიწაზე უნ-და მდგარიყვნენ ჩოქზე, არავინ იცოდა რამდენ ხანს, თუ ხალიფა და-აგვიანებდა. საღამომდე ფეხი არ უნდა მოეცვალათ. საღამოს კი ალაჰ-მა უწყოდა, რა ბრძანებას გამოსცემდნენ.

იოანეც მოსულიყო. შვილის გვერდით ჩაეჩოქა და გულგასიებული მიწას ჩასცქეროდა. ერისმთავარი თვითონ ეახლა და წამოსვლა სთხო-ვა. რა ექნა? ერისმთავარს უარით გაისტუმრებდა, მაგრამ შვილს ვერ აწყენინა. შვილი მწარედ განიცდიდა მამის ორგულობას. შვილს აუბა მხარი, წამოჰყვა და დაიჩოქა. მიქაელს ყოველ წუთში იძახებდა ერის-მთავარი, ხან რას ავალებდა და ხან რას. მიქაელი შურტასავით დაჰქ-როდა აქეთ-იქით, შემდეგ კი დაჩოქილ ერისმთავარს ყურში ეჩურჩუ-ლებოდა. იოანეს არ მოსწონდა შვილის საქციელი, გული ეკუმშე-ბოდა, წუხდა, დარდობდა, ძალა აღმართს ხნავდა, უნდა დაეთმინა, უნდა გაეძლო — მიწას ჩასცქეროდა მწუხარე. რა არ ენახა. რა არ გა-დაეტანა, ამგვარი ლოდინი კი ზღაპარშიც არ გაეგონა. რატომ ჩადი-ოდა ამას ერისმთავარი, რატომ თრგუნავდა ერს ასე დაუნდობლად. არც რომაელ დამპყრობლებს, არც იონთა მეფეთ, არც სპარსთ მსგავსი რამ არ ჩაედინათ, ერის ასე საჯაროდ წამოჩოქება ზარის დამცემი იყო

თვით ერისათვის. „გარდაგულარძნა მტერმან სასტიკმან“, — ფიქრობ-
და იოანე და თვალით ნერსეს და აშოტს ეძებდა. „ნუთუ ისინიც და-
აჩოქეს?“ ცნობისწადილს აეტანა, წამოდგებოდა და ჯამაათის წევ-
რებოდა, თუ ერისთავები მოვიდოდნენ, იქ დააჩოქებდნენ. ალბათ
ლოს. არ ჩანდნენ. იოანეს უხაროდა, რომ არ იყვნენ. გუარამ მცხეთის
მამასახლისი შეამჩნია ჯამაათის წევრებს შორის, მიქაელიც იქ ტრი-
ალებდა, რაღაცას ავალებდნენ წეღანდებურად; წელში მოხრილი უს-
მენდა ჯერ ერისმთავარს, შემდეგ გუარამს.

მზე ანათებდა, დაჩოქილ სხივებს აფრქვევდა, მაგრამ ზამთრის პირი
იყო და მაინც ციოდა. იოანეს ფიჩვის შიგნით თბილად ეცვა. სიცივე
მაინც გაუჯდა გვამში. „ნეტა სანამდე გვამყოფებენ ასე უმოძრაოდ“,—
გაიფიქრა. „ეგებ სულ არ ჩამოვიდეს ხალიფა“... სად იყო და სად არა,
თითქოს მიწიდან ამოძვრაო, უცებ მოვარდა მიქაელი. მოვარდა კი არა,
გაჩნდა იოანეს გვერდით. სწრაფად დაიჩოქა და პირჯვარი გადაიწერა.

— რა ამბავია? — ჰკითხა იოანემ შვილს.

— გაქცეულან! — მიუგო მიქაელმა. გაკვირვებულმა, გაავებულმა
თქვა, გაქცეულანო. აჩქარებული სუნთქავდა, შუბლიდან ოფლს იწ-
მენდდა.

— ვინ გაქცეულა?

— შეთქმულნი, სხვა ვინა. მდევრები დავადევნეთ, გაკოჭილს ჩა-
მოიყვანენ.

„ნერსე და აშოტი“, — გაუელვა თავში იოანეს, სხვა ვინ უნდა ყო-
ფილიყვნენ „შეთქმულნი“.

— შეპყრობა დაუპირეს ალბათ.

— არა. ამას გაექცნენ, — თქვა მიქაელმა და მუხლებზე დაიხედა,—
დაჩოქებას გაექცნენ „ქედფიცხელნი“! — დამცინავად ჩაიქირქილა, —
კაბეჩის მოჭიდავე ხარსაო... ხალიფას გაკოჭილს მიჰგვრიან, ასეთია
ბრძანება.

— ერისმთავრისა?

— ამირასი და ერისმთავრისა, ერთობლივი. ათასხუთასი მოლაშქრე
გაგზავნეს, უნდა შეიპყრან.

იოანემ თავი ჩაკიდა. ავის მომასწავებელი იყო ეს ამბავი.

— ეგებ ჭორია? — ჰკითხა შვილს ერთხელაც.

— გუარამ მამასახლისს შეხვედრიან მცხეთიდან მომავალს.

„მეტისმეტია“, — გაიფიქრა იოანემ. მართალია, არ სურდა დაჩო-
ქილი ერისთავების ნახვა, მაგრამ გაქცევაც არ შეიძლებოდა. ეს „გაქ-
ცევა“ ურჩობას უდრიდა. ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქს საბუთი ეძლეოდა,

ერისთავები ეურჩებოდნენ არა ამირას, არამედ თვით ხალიფას. ამას კი თავების დაყრევინება მოჰყვებოდა. „გაასწრებენ“, — გადაწყვიტა რატომღაც. „მცხეთას თუ გასცდნენ, მერე ვერ შეიპყრობენ...“

კისერწაგრძელებული მიქაელი შორს იყურებოდა, — ბოლოს ანოს მოჰკრა თვალი. წამოდგა კიდეც და გახედა. „აქ ყოფილა“, — გაიფიქრა და სურვილმა შეიპყრო, სადმე მის ახლომახლოს დაეჩოქა, მამის ერიდებოდა, თორემ ახლავე გაქანდებოდა იქითკენ, იოანემ შეამჩნია შვილის მეტისმეტი ასწრაფება, იფიქრა, ალბათ გულისყური ერისმთავრისკენ უჭირავსო. არაფერი უთხრა შვილს. საკუთარ გულისზრახვათ მიუგდო ყური. „არ არის საშველი, — ფიქრობდა იოანე, — ამათ წინ არაფერი დაუდგება, როგორმე თავი შევინახოთ, გადავრჩეთ, დღევანდელ ქართველთ სხვა მიზანი აღარ ეკისრება. მამულს აღარაფერი ეშველება, თუ ვიხსენით ენა და სჯული, ბარაქალა ჩვენს ქართველობას...“

— შვილო, მიქაელ, — ჩაიდუდუნა იოანემ. — ჩვენც წავიდეთ! ძალა ალმართსა ხნავს.

ეგონა, შვილი ჰკითხავდა, სად წავიდეთო. მიქაელი ანოს უმზერდა გაფაციცებული, მამის სიტყვები გულს არ ეკარებოდა.

მისი გული და გონება იქ ტრიალებდა, სადაც შავით მოსილი ანო დაჩოქილიყო მხევლებით გარშემოხვეული.

— აქ პატიოსან კაცს არ ედგომება, შვილო, წადი კლარჯეთს, ისინიც ალბათ იქ მიდიან.

„ისინში“ ნერსეს და აშოტს გულისხმობდა.

— იქ უფრო დიდი ჭირი სუფევს, ვიდრე აქ, — ურწმუნოება. ჩვენს საყდრებს სხვები დაეპატრონენ, ჩვენს მიწაზე სხვანი მკვიდრობენ, სიტყვა ქართული მალე აღიგვის პირისაგან მიწისა, თუ დროზე არ ვწირეთ ჟამნი ქართულად, მცხეთას ნაკურთხი მირონი იქაც თუ არ ჩავიტანეთ, დაიღუპა ტაო-კლარჯეთი!

მიქაელი კვლავ ანოს გასცქეროდა.

— მიქაელ, გესმის ჩემი! — ხმას აუწია იოანემ. — მე იქ ჩემი თვალით ვნახე დაქცეული ჩვენი სამკვიდრო. გრიგოლიც იმათთან იქნება. მეც მალე ჩამოვალ. აბოს გამოვიხსნი საპყრობილედან და ჩამოვალ, გესმის?

— მე ვერ წავალ, მამა, — უთხრა მიქაელმა იოანეს. — ერისმთავარს ვერ ვუღალატებ!

იოანე შედრკა. შვილს კარგად იცნობდა და ასეთ პასუხს მოელოდა კიდეც, ჭაბუკის გულწრფელობამ და პირდაპირობამ შეაკრთო.

— კირთებაში ყოფნა გირჩევნია. — ჩაიდუდუნა ნაღვლიანად.
— უზნეობას კირთებას ვარჩევ. — ურჩი თვალები მიაფეთა მამას.
— უზნეობას? — გაოცდა იოანე.
— ერისმთავარი დღე და ღამ იღვწის, როგორმე დაგინსნას, — უჩურჩულა მამას მიქაელმა. — გამოგაცალკევოს იმათთაგან. ამიტომაც მოვიდა შენთან და წამოგიყვანა. სამაგიეროს ორპირობით უხდი? ორპირობა ჩვენ არ შეგვფერის! ერიცა და ბერიც, ერთი სურვილითა და ზრახვით შეპყრობილი, მუხლს იდრეკს თავისი მბრძანებლის წინაშე, შენც ჩვენთანა ხარ, ერისმთავართან და მის მრევლთან ერთად მუხლი მოგიყრია, თვალი კი განზე გიჭირავს, გულში ავი ზრახვა გიდევს, განა ეს მონაზვნის საქციელია?

იოანე გაქვავდა. შვილმა თითქოს დანაშაულში დაიჭირაო. „მთავარსა ერისა შენისასა არა ჰრქუა ძვირი?“ — ამოტივტივდა გონებაში.

აფხაზეთში წასვლამდე სწორედ „საქმე მოციქულთა“ უნდა გადაეწერა და გამოტოვებული ადგილები ეთარგმნა. მაშინ მიაპყრო ამ ადგილს გულისყური, „ყოველი სიტყვა აწონ-დაწონა, „ძვირი“ დაეწერა, „ავი“ თუ „ბოროტი“.

გულში მოხვდა ეს სიტყვები, დედანი მოძებნა, შეაჯერა დაგულისგულებულმა. პავლე ამბობდა წერილ არსო, რაკი წერილ იყო, ყველა ქრისტიანს კანონად უნდა მიეღო, ქართველსაც ისე უნდა წაეკითხა, როგორც „წერილ იყო“. თვალწინ სულ ჭაბუკი ერისმთავარი ედგა, თან ლამაზი გრძელი ქართული ასოებით გამოჰყავდა „არა ჰრქუა ძვირი“...

წინაპრები თითქოს აფრთხილებდნენ მოძღვარყოფილს, ერის წინამძღოლზე ავი სიტყვა არ დაგცდესო. მონასტრის ტყავის წიგნში წერდა მაშინ ამ სიტყვებს იოანე, თან სტეფანოზზე და ქართლის უბედობაზე ფიქრობდა. ის ფიქრი ვერა და ვერ მოიშორა: კანონად ვერ იქცა ის, რაც არ სწამდა, მაგრამ ამას საკუთარ თავსაც არ უმხელდა. შვილმა იგუმანა, შვილმა სწორედ გულში ჩახედა მონაზონს და პირში მიახალა სიმართლე. რაკი ერისმთავარს სიტყვა მისცა, მორჩილება მართებდა, წუწუნი და ბუზღუნი, სხვა არა იყოს რა, ვაჟკაცური საქციელი არ იყო, არც ის მოსწონდა, ერთს რომ აკეთებდა და მეორეს კი ფიქრობდა. რატომ, რატომ ფიქრობდა მეორეს, სჯულისკანონს რად არ მისდევდა? „შენს გამო ვერ ვუთხარ უარი ერისმთავარს, შენს გამო ერთს ვიქმ და სხვას ვიზრახავ“ — შვილს გაეპასუხა გუნებაში, მაგრამ ამ პასუხმა მაინც ვერ მოუტანა შვება. ფიქრში ჩაინთქა და გამოსავლის ძებნას მიჰყო ხელი. ხან ლოცულობდა, ხან ფსალმუნობდა, ხან უბრალოდ თავისთავს ეჩურჩულებოდა.

ირგვლივ ყაყანი იდგა, თბილისელი მოქალაქენი დაჩოქილნიც ბრა-
�ულად მუსაიფობდნენ, ხმამაღლა გასძახოდნენ ერთმანეთს ქუჩა-
ქებისა და ბაზრის ამბებს, სალაყბოში გაგონილს საქვეყნიერო ამბებს
ნენ. ვისაც მჭექარე ხმა ჰქონდა, იმათი თუ ისმოდა, თორემ ბუტბუტი,
კნავილა, ჭაჭანა, წრიპინა ხმები ყაყანში ინთქმებოდა.

„გულისზრახვა ზვავივით ყოფილა, უფალო, — ღმერთს გაუბა საუბარი იოანემ, — კაცს არ ემორჩილება, ერისმთავრისა და ერის ნებას დავჰყევ, დავიჩოქე მათთან ერთად, მაგრამ გულმა არ დაიჩოქა, არ დაჰყვა ერს, შვილსაც კი არ მიუგდო გულისყური — გული არ იხრის ქედს მბრძანებლის წინაშე, არ იჩოქებს გული“.

— მიქაელ! — გაჰკრა ხელი შვილს ანაზდად, — გულს სხვა მბრძანებელი ჰყოლია, — წვერზე ხელი მოისვა კმაყოფილმა, გამოსავალი იპოვა, თავი იმართლა შვილის წინაშე. — გული უფლისაა, უფალი ეუბნება არ დაიჩოქოო.

— წუხელ გიპირებდნენ შეპყრობას! — კვლავ მიახალა პირში მიქაელმა. — ერისმთავარს უკვე უბრძანეს შენი დილეგში ჩაგდება.

— მერე?

— მერე გეახლა თვითონ და გთხოვა: მთელი ერი იჩოქებს და შენც დაიჩოქეო, დაჩოქებასაც ამადლი?

— ჩემს დაჩოქებას არ ვწუხვარ... — ხმა ჩაუწყდა, ენა დაება იოანეს, გაჩუმდა. კაცი ვერ გაიგებდა, რაზე ფიქრობდა, ბოლოს ძალა მოიკრიბა და შვილს მტკიცედ უთხრა:

— შენ და გრიგოლი ტაო-კლარჯეთს წახვალთ, დღეის სწორს ხელს დაგასხამს კათალიკოსი. გრიგოლი უკვე აკურთხეს.

მიქაელს მოეჩვენა, რომ მამა კი არა, ვიღაც სხვა, ქვისაგან გამოთლილი კაცი იძლეოდა ბრძანებას და მისი შეცვლა თვით მამაღმერთს არ შეეძლო.

თუ მანამ მამას არ ეპუებოდა, ჯიუტად არ ემორჩილებოდა, უცებ შეკრთა. განრისხებული მამა მიქაელს არასოდეს ენახა, გადაჭრით მამას მისგან არასოდეს არაფერი მოუთხოვია. „შვილო ჩემო!. „საყვარელნო მამისანო“. „ქრისტესმოყვარეო“ — სხვა სიტყვებით ის ადამიანებს არ ეზრახებოდა, თითქოს სხვათა სათქმელ სიტყვებს ამბობდა: „წახვალთ“... „ხელს დაგასხამს“...

მიქაელმა მამას კრძალვით შეხედა. გაბურდული თმაწვერიდან ორი ანთებული თვალი საყვედურით მოჩერებოდა.

— ერს სჭირდება თქვენი იქ წასვლა! დანარჩენს იქ გეტყვიან, მცხეთაში.

მზე ჩასულიყო. საღამოს ბინდი გაჩენილიყო ლეღვთახეცსა და ვა-ნაათ ხევში, მწუხრი თბილისის ქუჩებშიც აპირებდა ჩამოწოლას, მტკვრის გალმა-გამოლმა დაჩოქილი ხალხი მოთმინებადაკარგული ფეხ-ზე დებოდა სამშვილდისაკენ გაგზავნილ მალემსრბოლთ. როცა ხელ-ი მობნელდა, მხოლოდ მაშინ ინებეს ბუკის მოტანა და ხალხს აუწყეს, რომ ხალიფა თბილისქალაქში ხვალ დილით შემობრძანდებაო. დილამ-დე შინ წასვლის ნებას რთავდნენ. დილით კი კვლავ უნდა გამოშლი-ლიყვნენ სოღდებლის მიდამოებში და დაჩოქილი დალოდებოდნენ მზე-თამზეს.

აშოტ ერისთავის საყოფელსაც სიონის უბანი ეთქმოდა, მაგრამ სა-მეფო დარბაზებისა და ბაღისაგან მოშორებით იდგა განმარტოებით. ეს ციხე-კოშკი დიდი ნერსეს შვილს ადარნასეს აუგია აქ თავისი უმცროსი ვაჟის, აშოტის საყოფელად. როცა მურვანყრუს ნაცარტუტად უქცე-ვია ბაგრატიონთა სამკვიდრო — ტაო-კლარჯეთი, ადარნასე ბიზანტი-აში გაქცეულა, არაბებს მისი ვაჟი გურგენი დაუსვამთ ქართლის ერის-მთავრად, ამით ამაყი ადარნასეს გული მოუგიათ, დაბრუნებულა მო-ხუცი სამშობლოში, არაბებს შერიგებია, მაგრამ მამაპაპეულზე დარდს გადაჰყოლია, თავის აგებულ ციხე-კოშკში მომკვდარა, თბილისში.

გურგენის ნაადრევ ავადმყოფობასა და დაუძლურებას ან ნერსე მეორის, ან აშოტის გაერისმთავრება უნდა მოჰყოლოდა, რაკი ნერსე გურგენამდე, არეულობის ჟამს, უკვე იყო ერისმთავარი და მის წინა-აღმდეგ სასტიკად ბრძოდა სარკინოზი ერი, აშოტს წინ არ უნდა გადა-დგომოდა ბაღდადი, — ასე ფიქრობდა ქართლი, მაგრამ ხალიფა ასე როდი სჯიდა. ქართლის ერისმთავრად ჭაბუკი სტეფანოზი გამოგზავნა. აშოტს ბარდავის ერისთავობა აკმარა. გაგულისებული აშოტი ბარდავს არც წასულა, თბილისში იჯდა თავის ციხე-კოშკში და საერისთავოს აქე-დან მართავდა.

აშოტს არ მოსწონდა სტეფანოზის ქედმოდრეკილი ერისმთავრობა, გაუწყრა, საბოლოოდ მოიკვეთა მხდალი ძმისშვილი. თვით ამირასაც არ ეპუებოდა, არ ესწრებოდა ჯამაათს და ხარკსაც თვითნებურად კრეფდა. ბაღდადმა იცოდა აშოტ ერისთავის ორგულობის ამბავი. ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქი ქართლში სწორედ აშოტ და ნერსე ერისთავების ასალაგმა-ვად გამოგზავნეს. ბაბაქმა თავისი ვალი ღირსეულად შეასრულა, ერის-თავების ყოველი ნაბიჯი შეისწავლა და ბაღდადს აცნობა.

ერთი შეხედვით, ერისთავები არას იქმოდნენ. როგორც დივან აშ-შურტას გამგებელი ამბობდა, თვალით არ დაინახვებოდა მათი ხრიკე-

ბი, „მიწაში მძრომელთ“ ეძახდა მათ და ასობით შურტას ამუშრებდა იმის გამოსაჩხრეკად, თუ რა კავშირი ჰქონდათ ერისთავებს ხაბართა ხაკანთან და იონთა მეფესთან, თავისი ჭკუით გამორკვეულიყო [illegible] გენილი ჰქონდა „უამრავი ავი საქმენი“ და თუ მას ჰკ[illegible] ლიფატს ძირს უთხრიდნენ სწორედ ქართლში, სწორედ ნერსე და აშოტ ერისთავთა ციხე-დარბაზებში.

ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქის დასკვნები გამართლდა. როცა ამირამ ქართლში დაჩოქილი ლოდინი გამოაცხადა, ორად ორი ადამიანი არ დაემორჩილა ამ ბრძანებას.

აშოტ ერისთავმა თავისი მხედართუფროსი იხმო, მარადი მცველი მონასპის შეჭურვა და სალაშქროდ გამზადება ბრძანა.

ნერსე ერისთავის გალავნის გადაღმაც ატყდა საყვირისა და დაფის ცემა. რჩეული მეხრმლენი და მოისარნი, ბრძოლის ჟინით ანთებულნი, ცხენების თამაშ-თამაშით მსწრაფლ გამოეფინენ და თავიანთ ერისთავს ერთგულება და სამშობლოსათვის თავდადება შეჰფიცეს.

ერისთავთა ექვსასამდე ცხენთოროსანნი და ჯაჭვჩაბალახოსანნი ცხენისტერფს* შეერთდნენ. ისე უეცრად, ისეთი გზნებით, დაფისა და ნაღარის ისეთი ცემით შეიკრიბა ერი, ვით უეცარი თავდასხმის დროს იკრიბებოდნენ ფარნავაზიანნი და გორგასლიანნი. წინაპართა მსგავსად დაუხანებლად, ვისაც მკლავი ერჩოდა და სამშობლოსათვის გული უძგერდა, თავის ბედაურზე ამხედრებულიყო და ხელი ხმლის ვადაზე ედო მზად ყოფნის ნიშნად.

ერისთავებს ექვსასი მეომრით ომის ატეხვა გუნებაშიც არ ჰქონდათ, ფიქრადაც კი არ მოსვლიათ უაზრო ბრძოლა. როცა ამირას კაცებმა ერის გამოყვანა და დაჩოქება მოითხოვეს, თითქოს წინასწარ დაუთქვამთო, თავიანთი მხედართუფროსები იხმეს და ერის საომრად შეჭურვა ბრძანეს. რისთვის გასცეს ასეთი ბრძანება, რა გადაწყვიტეს ასე უეცრად, რას აპირებდნენ, რა განზრახვა ჩაიდეს გულში, არავინ უწყოდა. გულმა არ იცოდა, ხელი რას იქმოდა. ხელმა არ იცოდა, გული რას იზრახვიდა. აქაურობას უნდა გასცლოდნენ, ტფილისში არ ედგომებოდათ, მტერს დაჩოქილნი ვერ შეხვდებოდნენ — ეს მათთვის ცხადზე ცხადი იყო. უმალ ჩაიცვეს ჯაჭვის პერანგები, მუზარადითა და ფარშუბით აღიკაზმნენ და ერს წინ გაუძღვნენ. დიღმის კარით გავიდნენ ტფილისიდან და გზას ქართლისას დაადგნენ.

მხნედ, უშიშრად და ლაღად მიუყვებოდნენ ქართლის სანახებს.

---

* ცხენისტერფი — დღევანდელი დიდუბე.

რაკი ტფილისს გასცდნენ, სარკინოზთა რიდი არ ჰქონდათ. ვერც მცხეთაში შეჰკადრებდნენ ერისთავებს შეჩერებას. უშუალოდ ხალიფას ან ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქის ბრძანების გარეშე ვერც ერთი ციხისთავი ვერ გაუბედავდა აშოტ და ნერსე ერისთავებს გზაში გადადგომოდა ლაშქრად წასვლის მიზეზი ეკითხა. თუმცა არაბებს გარდა ქართლში საბრძოლო მწყობრით ვერავინ გაივლიდა, ქართველებს არამცთუ საჭურვლისა და ცხენთორის, ცხენზე ჯდომის უფლებაც კი არ ჰქონდათ. არაბი მეციხოვნენი, მეზვერენი გაოცებული გასცქეროდნენ ლაშქრად გამოსულ ქართველებს, მაგრამ რაკი მათ წინ დაუფარავად მოუძღოდნენ ქართლის უპირველესი ერისთავები, ფიქრობდნენ, ალბათ ნება მიუციათო, და თავიანთ მოვალეობას არ ასრულებდნენ.

მხოლოდ მცხეთის ჭიშკართან შეაჩერეს ლტოლვილნი. ერისთავებს არაბი ციხისთავი მცირე ამალით გამოეგება და ამირასა და საამიროს დასაცავად მცხეთელთა საბრძოლო მზადყოფნა აცნობა.

სხვა ვერაფერი იაზრა ციხისთავმა, დაეჭვება ვერ გაბედა, თავისი ჭკუით, შორიდან მოუარა. თუ ერისთავები ჯაჭვს ჩაიცვამდნენ, არაბთა ლაშქარში უნდა ჩამდგარიყვნენ ერითურთ. ქართველთა ლაშქარში კი ერთი არაბიც არ ერია. ურჩობის გაფიქრებისაც კი ეშინოდა ციხისთავს და ამიტომ შესთავაზა საბრძოლო მზადყოფნა.

ერისთავებმა ერთმანეთს გადახედეს. ციხისთავი ლაშქრის წინ იდგა თავისი შუბოსნებით და პასუხს ელოდა.

— მზეთამზე ხალიფა სამშვილდეს გამოცდა, ნაბრძანებია დაჩოქილი ლოდინი! — უთხრა უცებ აშოტ ერისთავმა ბრძანების კილოთი ციხისთავს. ნერსეს მოეწონა აშოტის ნაუცბათევი ნააზრევი. სწორედ ხალიფას ჩამოსვლის ამბავი აუმღვრევდა ტვინს მუსლიმს. მართლაც, შიშისაგან, თუ სიხარულისაგან ციხისთავს ლუღლუღი აუტყდა, ცხენიდან ჩამოხტა და ერისთავთ ჩოქვით მიუახლოვდა.

— მზეთამზე ხალიფა?! — გაოცებული თვალები მიაპყრო ნერსეს, მხლებლებიც მყის ჩამოქვეითდნენ, მუხლებზე დაეცნენ, მექასკენ პირი იბრუნეს და ალაჰს მადლობა შესწირეს. ციხისთავი ნერსეს არ აშორებდა თვალს, თხოვდა, სიმართლე მითხარიო, ლამის მის ცხენს ფეხებზე მოეხვია.

— დედამიწის მბრძანებელი. ხაზარეთს მიბრძანდება, ქართლის მიწაზეც დაადგამს ფეხს, — დაუდასტურა ნათქვამი ნერსემაც.

— ალლაჰ! — ამოიგმინა ციხისთავმა, — მამასახლისს არაფერი უთქვამს, — თავი იმართლა ერისთავებისა და თავისი მხლებლების წინაშეც.

— გუარამ მამასახლისმა ტფილისს გაიგო ხალიფას ჩამორძანება, — დაამშვიდა ციხისთავი აშოტმა.

ციხისთავი ფეხზე წამოიჭრა, მოახტა თავის ბედაურს, ყალყზე მაყენა, მოატრიალა და გაქუსლა. მცველებიც უკან მიჰყვნენ. ციხისთავს საყოველთაო დაჩოქების თადარიგი უნდა დაეჭირა, ამას ნიშნავდა მისი უეცარი გამოფხიზლება.

რახან მშვიდობით გადარჩნენ, ერისთავებმა ერი სამთავროსა და სვეტიცხოვლისკენ წაიყვანეს, ვახტანგ გორგასალმა სამთავროში დაადგინა კათალიკოსი, კათალიკოსს ლოცვა-კურთხევას თხოვდნენ.

მირიანის დროინდელი სამეფო ბაღი, სადაც წმინდა ნინომ მაყვლოვანში ვაზის ჯვარი დაასვენა და პირველად მეფის მებაღე და მისი ცოლი მოაქცია, სარკინოზებს წაებილწათ, ბაღში ქულბაქები ჩაედგათ და მექულბაქენი ჩაეყენებინათ.

როცა სვეტიცხოვლის ძელის საყდარი გამოჩნდა, გრიგოლი შედგა და პირჯვარი გადაისახა, ერმაც და ერისმთავრებმაც მას მიბაძეს. გრიგოლი ახალი ხელდასხმული იყო ხუცად, სწორედ რამდენიმე დღის წინ, აქ, ამ საყდარში, დაასხა ხელი თვითონ სამოელმა და უფლება მისცა, ტაო-კლარჯეთს წასულიყო. სამოელს და იოანეს უნდოდათ ეპისკოპოსად გაემწესებინათ, მაგრამ ჭაბუკმა არ ისურვა: პატივსა ვხედავ, მაგრამ პატიჟისაგან მეშინისო.

რაკიღა აშოტი და ნერსე თბილისიდან აიყარნენ, ჯერ აფხაზეთს გადავიდოდნენ, თავიანთ დედა-წულთ მოინახულებდნენ. გრიგოლიც წავიდოდა მათთან ერთად აფხაზეთს, დედობილს მოიკითხავდა და შემდეგ შეუდგებოდა საოცნებო საქმეთა აღსრულებას, ეწვეოდა აღთქმულ ქვეყანას — ტაო-კლარჯეთს.

ამ ბაღში, ამ არე-მარეში ყველაფერი წმინდა და საყვარელი იყო გრიგოლისათვის: აქ ეზიარა საღვთო საიდუმლოთ, აქ აკურთხეს ღვთის მსახურად, აქ მიანდეს საქვეყნო საქმეც.

გრიგოლმა დაიჩოქა და მიწას აკოცა. შემდეგ წამოდგა ლოცვით და ერი და ერისმთავრები უფალს შეავედრა.

წარტყვევნილ ბაღს სვეტიცხოვლის მიდამოებშიც ეტყობოდა მსახვრალი ხელი. ნერსე და აშოტი სარკინოზთა ნამოქმედარს გასცქეროდნენ მალული რისხვით.

სამოელ კათალიკოსს გაეგო ერისმთავრების მობრძანება; სამჯამ ჰკრეს ზარი სამთავროსა და თორმეტთა მოციქულთა საყდარში, მთავარდიაკონი კერეონებითა და საკუმეველით გამობრძანდა, კათალიკოსი

წინ წამოუძღვა ეპისკოპოსთა და ხუცესთ, — ერსა და მათ მეთაურებს შეეგებნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლი პირველი დაემხო სამოელის წინაშე და ფეხზე ამბორა. ერისთავებმაც თაყვანი სცეს წესისამებრ.

კათალიკოსმა ერს ჯვარი გადასახა. არ იცოდა, რას მოასწავებდა შეაბჯრულ ერისთავთა გამოჩენა სვეტიცხოვლის წმიდა ეზო-მიდამოში.

რაკი ფარ-შუბით აღჭურვილი ერი იხილა, ევალებოდა დაელოცა მხედრობა და მამული თვისი.

ქართლის კათალიკოსმა ჯვარი მაღლა აღმართა, ღმერთს პატიება თხოვა და პირდაპირ შეუდგა შეჩვენებას. მსმენელნი ყურს არ უჯერებდნენ, კათალიკოსი მოურიდებლად, საჯაროდ, ერისა და ბერის თანდასწრებით, დღისით, მზისით წყევასა და კრულვას უგზავნიდა სარკინოზებს, თვით ხალიფატსაც კი.

— მრევლო ჩემო, შვილნო და ძმანო, ერო — სასოებავ და იმედო ივერთა! ქართული ეკლესია, ქართველი ხუცესმონაზვნობა წყევითა და კრულვით შეაჩვენებს ურჯულო მტერს, — აგარ მხევლის უკანონო შთამომავალთ! ჩვენი ხმალია წყევა და შეჩვენება, დაე, ხმალზე უფრო გასჭრას შჯულიერად აღმოფხვრამ და წარწყმედამ.

წყეულიმც იყოს, ვინც ქართველ ერს კირთების უღელი დაადგა და გვემულსა და წამებულს ამყოფებს.

წყეულ იყოს და შეჩვენებულ ღმრთისა და ყოველთა მისთა წმინდანთაგან, შვიდის კრებისაგან და ოთხის პატრიარქისაგან, ვინც სამკვიდრო მიიტაცა ჩვენი და ყორნებსაებრ სჯიჯგნის დღენიადაგ.

კვალად წყეულ იყოს და შეჩვენებულ სისხლითა ქრისტესითა, ვინაც საპყრობილეში სტანჯავს ტარიგსა ღმრთისასა — აბოს, ქრისტეს მიერ საყვარელს ჩვენსას.

წმიდა ნინოს მადლი გაუწყდეს, წმიდა გიორგის რისხვა დაატყდეს თავზე, ენატრებოდეს იუდას შიშთვილი, კვალად წყეულ იყოს და შეკრულ სულით და ხორცით ათორმეტთა მოციქულთა მადლისაგან და ჩვენგან ყოველთა მღვდელმთავართაგან, ვინაც შებილწა წმიდა ალაგი ჩვენი, — ჯვარი და სვეტიცხოველი.

კრულ იყოს სახელი მათი და ჯოჯოხეთის ცეცხლში დაინთქეს ყველა, ვინც დაარბია ჯაჭვის ეკლესია, აწამა მონაზვნები და წმიდა ონოფრეს ცილი წამა.

უმკვიდრო იყოს სახელი მათი ცათა შორის და ქვეყანასა, განუხსნელ იყოს ხორცი მათი საძაგელი საფლავსა შინა და წარუმართებელ გზანი მათნი. ცანი დაიხშოს მათთვის ილიას მიერ მაგრიად.

წყეულ, კრულ, შეჩვენებულ და აღხორცილ იყოს სახელი მათი ამა და მუნა, ეკრძალოს ყოველი სულდგმული, ვითარცა გაცოფებულ ძაღლსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკეთუ ვინმემ იკადროს დარღვევად შეჩვენებისა ამისა, მყის თანა ეწიენ მას რისხვა ღმრთისა, ძრწოლა კაენისა, მეხისტეხა დიოსკურე უკეთურისა, დანთქმა ნახეთქსა ჯოჯოხეთისასა.

ამიინ!

— ამინ, ამინ, ამინ! — იხუვლა ერმა. კათალიკოსის გულიდან ამომავალმა წყევლამ დაიპყრო სპა-ლაშქარი.

— დიდება მღვდელმთავარს ჩვენსას!—შესძახა ვიღაცამ და ერმა დაიგუგუნა:

— დიდება! დიდება!

გაოცებული ერისთავები ერთმანეთს უყურებდნენ, თვალებით შურტებს ეძებდნენ, სამოელს აქვე შეიპყრობენო, ფიქრობდნენ. უცებ შუა ლაშქარში შეჩოჩქოლდნენ მუზარადიანი ვაჟკაცები, ქართული დროშა ამოაფრიალეს საიდანღაც და მაღლა აღმართეს, შემდეგ წინ გადააწოდეს, ნერსესა და აშოტის უკან დადგა მედროშე, მედროშეს გვერდით შუბოსანი დაუდგა ძველი ქართული წესისამებრ. ქართველთა ლაშქრისათვის უკეთეს ლოცვა-კურთხევას ვერც ინატრებდა ადამიანი.

სამოელმა ერს ერთხელაც გადასწერა ჯვარი და აღელვებული გაეცალა იქაურობას, ეკლესიაში შევიდა და აღსავლის კარებში შეიმალა.

კარგა ხანს მღელვარებდა ერი სამეფო ბაღში. შემდეგ ერისთავები მტკვრის სანახებისაკენ გაუძღვნენ აბობოქრებულთ.

მღელვარება ყველას გადადებოდა, ერისმთავარსა თუ ერისთაგანს. გრიგოლიც კი მზად იყო ჯვრის ნაცვლად ხელში ხმალი აეღო, ავარდნილიყო ჯუარზედაძნის მთაზე და მოძალადე სარკინოზები აეკაფა.

სწრაფად მოეგო გონს, პირჯვარი გადაისახა და ღმერთს პატიება თხოვა უკეთური ზრახვისათვის. ის უკვე ღვთისმსახური იყო, ხმალზე სხვას უნდა სჭეროდა თვალი, ფიქრიც კი ეკრძალებოდა ამგვარი. დაიშოშმინა გული და მომავლისაკენ გაიხედა. გავერანებულ-გადახრიოკებულ ტაო-კლარჯეთსა და შავშეთს გადაავლო გონების თვალი, პირველი თვითონ მივიდოდა და დაემკვიდრებოდა უდაბნოს, ძმებს შემდეგ მოიხმობდა. მტერზე შურს ამით იძიებდა. მართალია, მიქაელმა უარი უთხრა, მაგრამ ჭეშმარიტი ძმები სხვაგან ეგულებოდა — საბა, თედორე და ქრისტეფორე. ბოლოს და ბოლოს მიქაელსაც დაითანხმებდნენ. — თვითონ ჩამოვიდოდა ტფილისში და წამოიყვანდა, მიქაელი

მიმნდობი იყო, კეთილი გულისა, დღეს თუ ხვალ ნათელ გზას დაადგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლის ცხენი წინ მიუძღოდა ერისთავებს, ხელთ ჯვარი ეჭირა, ჯვარი ერის დასაშოშმინებლად აღემართა მაღლა, არ უნდოდა გრძნობას აჰყოლოდა, მაგრამ სამოელ კათალიკოსის სახე თვალთაგან არ შორდებოდა. საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი გაფითრებული იდგა სამოთხის ბაღში, რისხვით ანთებოდა თვალები, აჯანყებოდა წუთისოფელს და ქართლის დამაქცევართ მთელი გულით წყევლიდა. ჯერ არავის ენახა მწყემსმთავარი ასე განრისხებული. შეიპყრობენო — ჩუმად დარდობდა გრიგოლი. სარკინოზებს არც ღვთისა ეშინოდათ და არც სინდის-ნამუსი შეაწუხებდათ. სტაცებდნენ ხელს და დილეგში ჩააგდებდნენ. შავ ფიქრს ვერ იცილებდა ახალბედა ხუცესი.

უცებ მის ზურგს უკან აშოტ ერისთავის მეხრმლემ უწვერულმა, მაგრამ ნაადრევად დავაქაცებულმა მოყმემ, ხავერდოვანი, გუგუნა ბანით სიმღერა წამოიწყო. გულიდან ამოასკდა ჭაბუკს სიმღერა და ქორული მზერით ამყოლთ დაუწყო ძებნა. ძებნა აღარ დასჭირვებია „მუმლი და მუხასაო, გარს ეხვეოდაო...“ — იგრიალა ლაშქარმა. ერისთავებიც კი აჰყვნენ ჭაბუკ მხედრებს.

ეს არ იყო შემთხვევით წამოწყებული მგზავრული.

„მუმლი მუხასამ“ კვლავ დაატყვევა გრიგოლი და შავი ფიქრი გაუმრავლა. თვითონაც აჰყვა მომღერალთ, აღარ შეეძლო თავშეკავება. თუმცა ჯერ ისევ მცხეთაში იყვნენ და სარკინოზები გაკვირვებულნი ადევნებდნენ თვალს მათ ყოველ ნაბიჯს.

ქართველები გულის ნადებს სიმღერით ამოთქვამდნენ. აბობოქრებულ, ყალყზე შემდგარ გუნება-განწყობას სიმღერა მიესადაგა, სიმღერამ გული მოფხანა მოლაშქრეთ, ლამის ხმალი ეშიშვლათ და უკან გაბრუნებულიყვნენ საბრძოლველად.

აშოტ ერისთავმა ნერსესთან მიაგდო თავისი ცხენი და ფიცხად უთხრა:

— ერისთავთერისთავო, — ძველი სახელი გაუხსენა, — გული ომს მეუბნება!

— გავბრუნდეთ! — თვალები დააკვესა ნერსემ და ცხენს თავი მიუღრიჯა.

— უფლისციხეს დავესხათ! — მოულოდნელად თქვა აშოტმა. — აქაურობას ვერას დავაკლებთ! თუ უფლისციხეს ორი მხრიდან დავესხმით თავს, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან, იქნებ ბედმა გაგვიღიმოს,

ვისაც ნამდვილი ომი სწადიან არაბებთან, უფლისციხე ხელთ უნდა იგდოს.

მცირე თათბირი უმალ დაამთავრეს, ერის ყურადღებას [illegible] მიქციეს. მათრახი ჰკრეს ცხენებს და კვლავ თავში მოექცნენ მხედრობას.

ერისთავთა განაზრახი თითქოს ერმაც იგუმანაო, სიჩუმე ჩამოვარდა ლაშქარში. კარგა ხანს მიდიოდნენ მდუმარენი, მიათოხარიკებდნენ ცხენებს, წესსა და რიგს იცავდნენ მსვლელობისას, თან თვალი და ყური თავიანთი პატრონებისაკენ ეჭირათ.

ნერსეს ჭკუაში დაუჯდა აშოტის ნათქვამი. აშოტს ბრძოლის ათასი გეგმა ჰქონდა, შეეძლო დაუსრულებლად ესაუბრა არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის გეგმებზე. უფლისციხეზე თავდასხმა სულ ახალი გეგმა უნდა ყოფილიყო.

— თუ ომს გადავწყვეტთ, დიდი კლდეკარიდან მე დავესხმი ციხე-ქალაქს! — უთხრა ნერსემ გადაჭრით აშოტს, ცხენს მათრახი გადაუჭირა და ოთხახმით წაიყვანა. რაკი ნერსემ ცხენი ოთხზე გადაიყვანა, აზარვით მომავალი მხედრობაც უკან გამოუდგა მათრახების ტყლაშუნით.

დიდი კლდეკარიდან ნერსე უნდა დასხმოდა თავს უფლისციხეს, ამას თქმაც არ უნდოდა. აშოტმა ეს იცოდა, ეს არ იყო მთავარი, მთავარი ის გახლდათ, რომ გუნებაში ნერსემაც ამჯობინა ომი, აშოტს დაეთანხმა. ქართლს უბრძოლველად ერისთავები ახლა თუ გაეცლებოდნენ, ეს დიდი უსამართლობა იქნებოდა. „დაე, დაიღვაროს სისხლი, თუნდაც დავმარცხდეთ“, — ფიქრობდა აშოტი დაჟინებით და ცხენდაცხენ მისდევდა ნერსე ერისთავს. უფლისციხის ხსენებამ ნერსე ერისთავი აანთო ბრძოლის ჟინით, ლამის ხმალი ამოეწვადა და აქედანვე შეეძახნა სპათთათვის „ჰა მაგასა!“ თუმცა უფლისციხემდე ჯერ კიდევ შორს იყო.

„ღმერთს მივყავართ საბრძოლველად, — გაუელვა ნერსეს, — ის გვირჩევს ომს“.

კათალიკოსის წყევლა-კრულვის მოსმენის შემდეგ ნერსეც მუმბარეზობის გუნებაზე იდგა, აშოტმა თითქოს საკუთარი გულისნადები გაუმხილა. თუ ბედი ეწეოდათ და მართლა შეძლებდნენ უფლისციხის აღებას, ციხე-ქალაქში გამაგრდებოდნენ. ჯერ თავს დაიცავდნენ, შემდეგ ნელ-ნელა შემოიკრებდნენ მოლაშქრეებს ქართლიდან, კახეთიდან, შეიძლება აფხაზეთშიც გაეგზავნათ კაცები, საღვთო კავშირზე საქმით ეზრუნათ.

ჭალაში რომ გავიდნენ, ერისთავებმა შეჩერება და თათბირი ბრძანეს. ჩამოხტნენ ცხენებიდან, მდაბიურად ჩაიმუხლეს მტკვრის პირას,

ცხენებიცა და მხედრებიც შეასვენეს და თვითონაც მოითქვეს სული. აშოტმა ნერსეს, მხედართუფროსებს და ასისთავებს ბრძოლის გეგმა გააცნო. ლაშქარი ორად უნდა გაყოფილიყო, ერთნი მუხრანის ველზე წავიდოდნენ კუერნაქისაკენ, მეორენი მტკვარს აჰყვებოდნენ ქვახვრელამდე. ერთდროულ შეტევას ვერ შეძლებდნენ, მაგრამ, აშოტის აზრით, სწორედ ეს მოუტანდათ გამარჯვებას, უნდა ევლოთ ერთნაირი სიჩქარით, მხოლოდ ერთხელ შეესვენათ, მზის ჩასვლა უნდა ყოფილიყო ბრძოლის დაწყების ნიშანი.

— აჰა, ძმანო! ციხე-ქალაქი აქ არის, — მიწაზე მათრახის ტარით ხაზავდა ბრძოლის გეგმას ერისთავი, — დავიწყეთ ომი ჩრდილოეთიდან, სამხრეთელთ დაგვაგვიანდა. ისმაიტელი უფლისციხის დამჭირველ ლაშქარს დიდ კლდეკარს მიაყრის, მცველად მცირე სპას დატოვებს.

ჩვენ, სამხრეთელნი, ორად გავიყოფით. მცურავნი მტკვარს პირდაპირ გადავჭრით, გვირაბის მცველთ ჩუმად მოვაშთობთ და მცირე კლდეკარისაკენ მომავალთ გზას გავუკაფავთ. აგ-მაგუგს* თავზარს დავცემთ. იფიქრებს, სრულიად ქართლი უფლისციხის წინააღმდეგ დაძრულაო და ჩრდილოეთით წასულთ სამხრეთისაკენ მოუწოდებს. მაშინ ნერსეს მხედრიონი დაჰკრავს მტერს სასიკვდილო ლახვარს და ერთობლივი ყიჟინით ციხე-ქალაქში შევიჭრებით.

აშოტმა თათბირი დაამთავრა, მივიდა გრიგოლთან, ჯვარს ემთხვია და ღმერთს შეევედრა: „ჰე, უფალო, დამბადებელო ყოვლისაო, შენ იყავ მწედ ჩვენდა, რამეთუ არა ძალისად ჩვენისად მინდობილ ვართ, არამედ მოწყალებისა შენისად, რამეთუ ძალი ქრისტესი ჩუენთანა არს და ჯუარი მისი პატიოსანი — საჭურველ ჩუენდა“.

ერისთავებს შეჯავშნული ტაიჭები მიართვეს. ვიგრის ტყავის ფარებით აღიკაზმნენ, ერთმანეთს გამარჯვება უსურვეს, ნერსემ თავისი სპა მტკვარზედ კოწახურას ფონით მუხრანისაკენ წაიყვანა, აშოტმა მტკვრის ხეობით — ქვახვრელისაკენ.

გრიგოლი აშოტს გაჰყვა, აშოტთან ერთად უნდა წასულიყო ტაოკლარჯეთს, ნერსე აფხაზეთს ცოლ-შვილთან რჩებოდა დროებით,—ასე წამოვიდნენ ტფილისიდან, ტფილისში უფლისციხეზე თავდასხმა არავის უფიქრია. ერისთავები მხოლოდ თავდასაცავად ემზადებოდნენ, რაკი მდევარი არ გამოჩნდა, რაკი მცხეთას გასცდნენ, მდევარს უკვე აღარ მოელოდნენ, მაგრამ უფლისციხეზე თავდასხმა მდევარზე უარესს ჭირს მოუტანდა ქართველთა ლაშქარს. მცირე სპა-მხედრობით უფლის-

* აგ და მაგუგ „ქართლის ცხოვრებაში“ ბარბაროსის მნიშვნელობით იხმარება.

ციხეს ვერას დააკლებდნენ, ასე ფიქრობდა გრიგოლი. თან აშოტის გეგმაც მოსწონდა; იმედს აჩენდა ეს გეგმა, ჰეშმარიტს ჰგავდა. თან კათალიკოსის წყევლა-კრულვა ჩაესმოდა ყურში, აბოს ანდერძი, ჭვრის მონაზონთა გოდება დილეგებში, დაჩოქილ ტფილისელთა ბოღმით სავსე გულების ფეთქვა და ისღა დარჩენოდა, უფლისთვის ვედრება აღევლინა, მამულისა და ერისთვის შეწევნა ეთხოვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ომი ნერსე ერისთავმა დაიწყო, გრიგალივით შეიჭრა უფლისციხის კლდოვან ვიწროებში და სისხლის ტბორი დააყენა.

აშოტის ვარაუდი მართლდებოდა — უფლისციხისთვის ბრძოლა სწორედ მცირე სპა-მხედრობით სჯობდა, თუ მარჯვედ გამოიყენებდი ციხის მისადგომებს, კლდეს, მთას, მდინარეს, გვირაბს.

დიდი კლდეკარიდან უფლისციხეში ვაჭართა ქარავნები შედიოდა, საომრადაც აქედან მიდიოდნენ უფლისციხელები. კლდეკარი ვიწრო არ იყო, მაგრამ სპათა სიმრავლე ომს მაინც ვერ მოიგებდა, ვერ გაიშლებოდა ლაშქარი, სალი კლდეები მხოლოდ წინ და უკან წასვლის ნებას იძლეოდა. მტერს ათი-თხუთმეტი მხედარი თუ შეებმებოდა, დანარჩენები მეწინავეთ უნდა დალოდებოდნენ. მცირერიცხოვან ქართველებს სწორედ ასეთი ბრძოლა აძლევდა ხელს. ოციოდე თავზეხელაღებულ მეწინავეს უნდა გაეკაფა გზა, მტერს პირველნი ისინი უნდა ჰკვეთებოდნენ. ასეთები ლაშქარში ბლომად იყვნენ.

პირველი ჰოროლი ნერსემ ჰკრა, პირველი ფარი დალეწა და პირველი მხედარი ძირს დასცა. ტაიჭზე შემართული კაცი კლდედ იქცა კლდეთა შორის და ცხენ-კაცის გორი დააყენა, ელვასავით იქნევდა ხმალს და ლომივით ბღღვინავდა.

მეწინავედ ნერსეს რჩეულთა შორის რჩეულნი ამოერჩია, თვალადნი, ტანადნი, ლომგულნი და მკლავმაგარნი. ლომსა ძალით ვითარცა თიკანსა მოიყვანებდნენო, — ასე ამბობდნენ მათზე ერში და ასეთებად დარჩნენ ბრძოლის ჟამსაც. ხომ ბუზებივით ეხვეოდნენ მტრები, არ ეპუებოდნენ, ვრთი ნაბიჯით უკან არ იხევდნენ. კივილით ხმალშემართულნი ხომ გამორბოდნენ სარკინოზები, კივილითვე ძირს სცვივოდნენ თავმოკვეთილნი.

ეს იყო პირველი შეტაკება მეციხოვნეებთან.

ძირს, ციხე-ქალაქში საბრძოლო ბუკსა და დაფდაფებს დასცხეს. ციხისთავმა დამჭირველი ლაშქარი ერთად დაძრა კლდეკარისაკენ.

კლდეთა ორღობე მხედრებით გაიჭედა, გაჩაღდა სისხლისმღვრელი და-
დი ომი, თავგაჩეხილ, გულგანგმირულ მკვდრებს ვერ იტევდა კლდე-
კარი. ნერსე ერისთავმა უკან დახევა ბრძანა, ნელ-ნელა უნდა დაეხია
უკან. კლდეებს შორის მომწყვდეულნი მზეს ვერ ხედავდნენ, მაგრამ
მზე ჩასული უნდა ყოფილიყო. კლდეკარში ბინდი წვებოდა, მალე
აშოტიც ჩაებმებოდა ბრძოლაში. ისევ ატყდებოდა ბუკისა და დაფდაფ-
თა ცემა ციხის ქონგურებზე, ლაშქრის ნაწილი უკან გამობრუნდებოდა
აშოტ ერისთავის სპა-მხედრობასთან საბრძოლველად. მაშინ ნერსეც
შეუტევდა წელანდებურად და გამარჯვებაც გარდუვალი იყო.

ასე ფიქრობდა ერისთავი, იბრძოდა ვითარცა უხორცო. გულისყუ-
რი კი ციხე-ქალაქისკენ ეჭირა. შველას იქიდან მოელოდა. მაგრამ
მოხდა ის, რაც ერისთავებს ამხელა გზის მშვიდობიანად გამოვლის
შემდეგ ფიქრადაც არ მოსდიოდათ.

როცა მცხეთასთან ქართველთა სპა-მხედრობა ორად გაყვეს და
სხვადასხვა გზას დაადგნენ, მცხეთაში მაშინ შემოვიდა სწორედ ამირას
გამოგზავნილი ათასხუთას კაციანი მდევარი. მდევარს დააგვიანდა თბი-
ლისიდან გამოსვლა, — სტეფანოზი აბრკოლებდა მდევრის გაშვებას,
ეგებ გაასწრონო, — ფიქრობდა. მართალია, ბიძებზე გაავებული
იყო. მზად იყო თვითონ შეეპყრო და დილეგში ჩაეყარა ისინი, მაგრამ
სასიკვდილოდ მაინც არ ემეტებოდა. ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქი ისეთ მდე-
ვარს აგზავნიდა, ცოცხალი არავინ გადარჩებოდა. სტეფანოზმა ათასი
რაღაც მოიგონა, ამირასთან შევიდა, მართალია, ვერ გადაათქმევინა
მდევრის გაგზავნა, მაგრამ შეაფერხა.

მდევრები მცხეთიდან რომ გავიდნენ, მტკვრის ჭალებში მწყემს
ბიჭს ჰკითხეს, აქეთ ქართველთა მხედრობას ხომ არ გამოუვლიაო. ბიჭ-
მა მუხრანისაკენ გაიშვირა თითი. მწყემსი ბიჭი, როცა ერისთავები ჭა-
ლაში თათბირობდნენ, გორაკზე გადმომდგარიყო და ნერსე ერისთავის
თეთრ ცხენს გასცქეროდა. ცხენს კუდი და ფაფარი ჰქონდა შავი. ასე-
თი ცხენი ოცნებად ქცეოდა ბიჭს, მისთვის ამ ჭალაში არავინ და არა-
ფერი არსებობდა, გარდა იმ თეთრი ცხენისა. თეთრმა ცხენმა მტკვარი
კოწახურას ფონით გადასცურა და მუხრანის ველებისაკენ წავიდა.
დანარჩენი ქართველები თუ საით წავიდნენ, ბიჭს არც ახსოვდა. ცხენი
ჩარჩენოდა გონებაში და იმ ცხენს აქ ელოდებოდა. ეგებ აქეთობისას
გამოიაროსო. იმ ბიჭის თითმა გადაწყვიტა ნერსეს ბედი. მდევარი
ნერსე ერისთავს გამოუდგა. ნერსემ ვერ იგუმანა, უკან თუ მისდევდ-
ნენ, კლდეკარამდე შორი-შორს სდია მდევარმა.

ზურგს უკან როცა ლაშქარში ჩოჩქოლი და ყვირილი ატყდა, ნერსე გონს ვერ მოეგო, რა უნდა ყოფილიყო ზურგს უკან? სპა აირ-დაირია და თვალისდახამხამებაში ცოდვა-ბრალი დატრიალდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერსემ ცხენი მოაბრუნა და თავის შეთხელებულ სპა-მხედრობას გახედა. მტერი ზურგიდან უტევდათ. „მდევარი“ გაუელვა ერისთავს და მხედრიონის გასამხნევებლად ხმალამოწვდილი იქეთ გაემართა. გვიანღა იყო. მტერს ყველა გზა მოეჭრა. რაკი ნერსემ ცხენი მდევრებისაკენ დაძრა, მეციხოვნეებმა იმ წამს იმძლავრეს და შეუტიეს. ამჯერად მტრის მახვილით გულგანგმირული ქართველები ცვივოდნენ პანტაპუნტად კლდოვან მიწაზე, ნერსე ერისთავის თვალწინ საზარლად ჩეხავდნენ, ცხენებით თქერავდნენ დაჭრილ მეომრებს. ქართველთა სისხლის ნიაღვარი დადგა კლდეკარში.

ნერსე ერისთავს ჭილყვავებივით შემოესიენ სარკინოზნი. ხმალდახმალ ვერას გახდნენ, მაგრამ ცხენმა უმტყუნა. სიმტყუნეც არ ეთქმოდა ნერსეს თეთრონის საქციელს, — გვამების გადათქერვა არ ისურვა ბედაურმა, დაფეთებული აწყდებოდა აქეთ-იქით, თითქოს დაჭრილების კვნესა ესმოდა, ფშვინავდა და ჭიხვინებდა: ყურებდაცქვეტილი თავის ხმალშემართულ მხედარსაც მარჯვედ დაატარებდა და ძირს დაყრილ ქართველთა გვამებსაც ფეხს არ ადგამდა. ორ მხარეს ომი ცხენსაც გაუჭირდა, ველარ გამოზომა, სწორედ ის მოხდა, რისიც ეშინოდა, უნებლიედ ძირს დავარდნილ დაჭრილს დაახტა ატოტებული, დაჭრილმა ამოიგმინა, თეთრონმაც თავი ვერ შეიკავა, წაიფორხილა, გვამების გროვას გადააწყდა და მუხლებზე დაეცა.

ნერსე ერისთავი ცხენიდან ჩამოვარდა.

ძირს ჩამოვარდნილ მეთაურთან ყალყზე შემდგარი ცხენი მიაგდო სარკინოზმა, უკნიდან სხვა მიეპარა და ზურგში მახვილი აძგერა. ხმალშემართული სარკინოზები ყიჟინით მისცვივდნენ ბრძოლის ველზე მარტოდმარტო დარჩენილ ერისთავს. მას უკვე ბრძოლა აღარ შეეძლო. ზურგში ჩაცემულმა მახვილმა სასიკვდილოდ წამოაჩოქა ბერიკაცი. ვინ აცალა სიკვდილი! მოლაშქრეებმა ცხენებით გადათქერეს, გადაჯეგეს ერისთავი. შემდეგ ჩამოხტნენ ცხენებიდან, სხვებმა არ მოგვასწრონო, დაჰკრეს ხმალი ქედზე: თავი მოაჭრეს, ხურჯინში ჩააგდეს, მოახტნენ ცხენებს და გაქუსლეს. ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქისათვის მიჰქონდათ ძვირფასი ძღვენი.

აშოტ ერისთავის სპა-მხედრობამ თითქმის შეაღწია ციხე-ქალაქში, გვირაბის მცველნი მოაშთეს, სათვალთვალო კოშკს დაესხნენ თავს და მაცნეები აკუწეს, შიდა ქალაქში გვირაბის „საიდუმლო კარით“ შეიჭ-

რნენ. გეგმის განხორციელებას არაფერი აკლდა, ციხე-ქალაქი უპატრონოდ მიეტოვებინათ. მხოლოდ ბუკისა და დაფდაფთა ცემა მოისმოდა შორიდან. მაგრამ სწორედ ამ დროს ჩრდილოეთის მხრიდან ხმაურობა ლაშქარმა და ნიაღვარივით მოსკდა მხედრობა, წვიმასავით დააყარეს ქართველებს ისრები. აშოტ ერისთავი კლდეკარიდან გამარჯვებულ ნერსეს სპა-მხედრობას მოელოდა, არაბთა ასეთი მოზღვავება ვერ დაეჯერებინა, თავი სიზმარში ეგონა. ისიც კი გაივლო გუნებაში, ალბათ ნერსე ამათ უკან მოსდევსო...

მოულოდნელ თავდასხმას აშოტმა თავგანწირული შეტევით უპასუხა. მეომრებს მაგალითი უჩვენა, ორსა და სამს კი არა, ხუთ, ათ ურჯულოს შეება. სარკინოზთა ლაშქარს ემატებოდა და ემატებოდა. ქართველთა რაზმები კი თითქმის განახევრდა. სისხლის ღვარი დადგა ქართველთა. აშოტი ახლა უკან დახევასაც არ ითაკილებდა, მაგრამ უბრძოლველად და უსისხლოდ უკანაც ვერ დაიხევდა კაცი. ვერ გაერკვია რა მოხდა, ისეთი უთანასწორო ბრძოლა გაჩაღდა. უკან დახევა კი არა, გაქცევაც სანატრელი გაუხდათ, გასაქცევიც აღარსად იყო. თითო ქართველს თხუთმეტი, ოცი არაბი მოლაშქრე მისეოდა. იმძლავრა აშოტმა, იქ შევარდა, საცა ქართველებს უფრო უჭირდა, ვისაც მისი ხმლის წვერი მიწვდა, მანდიკურად გარდაჰკიდა ცხენზე. სისხლის ღვრით გაიკაფა გზა მტკვრის პირისაკენ. იქ მათთვის მლოცველი გრიგოლი ელოდებოდათ. არ გაეჭრა ახალგაზრდა ხუცესის ლოცვა-ვედრებას, — ერისთავს თავისი განთქმული მარადი მცველი სპათაგან ათიოდე ჭაბუკი შერჩენოდა, ელვასავით შეაგდეს ცხენები მტკვრის მორევში, ფონიც არ უძებნიათ, უკან ყიჟინით მოსდევდნენ სარკინოზები, უკვე ჩამობნელებულიყო და წყალსა და სიბნელეს უნდა ეხსნა ისინი.

მართლაც, მტკვარში ვერ გაბედეს შესვლა ურჯულოებმა, ნაპირიდან დაუშინეს ისრები. სიბნელეში ისროდნენ უმიზნოდ, ისართა წუილ-შუილი შორი-ახლოს გაისმოდა, ლტოლვილნი სხვა მხარეს მიცურავდნენ, ისრები სხვა მხარეს მიფრინავდნენ.

მტკვარმა უკუქცეულნი დიდხანს ატარა უგზო-უკვლოდ, ბოლოს, სადღაც, მინდორში გამოვიდნენ. ბნელი ღამე იყო. სიბნელე ერჩიათ, ბნელ ღამეში მტერს უკეთ დაემალებოდნენ, გზას კი როგორმე გაიკვლევდნენ.

დასველებულები, დაღლილ-დაქანცულები, შერცხვენილები მილასლასებდნენ ბნელით მოცულ გორაკებზე, ზედაველასაკენ აიღეს გეზი, იქიდან თრიალეთში აპირებდნენ გადასვლას, თრიალეთიდან კი გზას კლარჯეთისას დაადგებოდნენ.

მეორე დილით ტფილისელები კვლავ გამორეკეს დასაჩოქებლად. კვლავ შეიკრიბა ზღვა ხალხი მტკვრის ორთავე ნაპირზე.

„დაიჩოქეთ!“ — გაჰკიოდნენ შურტები და ვისაც [illegible] ფეხზე [illegible] წაასწრებდნენ, მკაცრად სჯიდნენ — საჯაროდ არგნით სცემდნენ.

ერის მზადყოფნის შესამოწმებლად ამირა, ერისმთავარი და შურტათმთავარი თავიანთი მხლებლებითა და პირადი მცველებით მოსულიყვნენ, ვიდრე თვითონაც დაიჩოქებდნენ, დაჩოქილი ერი უნდა შეემოწმებინათ.

ჩამოუარეს კალოუბნელებს, კალაელებს, სოღდებლელებს, ვერისხეველებს, გარეთუბნელებს, ცხენისტერფელებს, ყურყუთელებს, კრწანისელებს, ახალ-სოფლელებს, ხატის თელეთელებს, ელიას უბნელებს, თაბორისა და მახათას მთიდან ჩამოსულთ, ლეღვთახევიდან და ვეძათხევიდან ამოსულთ.

ერი მზად იყო ხალიფასთან შესახვედრად. მთელ ტფილისს მუხლი მოეყარა. არა მარტო ტფილისს, სრულიად ქართლი ელოდებოდა დაჩოქილი, მაგრამ ერისმთავარი მაინც ვერ ცხრებოდა. მხოლოდ და მხოლოდ დაჩოქილი ლოდინი საკმაოდ არ ეჩვენებოდა. მისი აზრით, საამიროს წინა მოედანზე ცეკვა-თამაში უნდა გამართულიყო. ხალიფა ქართველებს ცეკვა-თამაშით უნდა დაეტკბოთ. ერისმთავარმა მიქაელი იხმო და გულისნადები გაანდო. არავის, თვით ამირასაც კი არ უნდა სცოდნოდა ეს ამბავი. როცა ხალიფა ამირას სასახლეს გაუსწორდებოდა, დაჩოქილი ერიდან უნდა წამომდგარიყვნენ გოგონები და ხალიფას ცხენისთვის ცეკვით შემოერტყათ ალყა, ნარნარი ცეკვით უნდა „დაეტყვევებინათ“ ხალიფა. თვალით უნახავი მზეთუნახავები უნდა ამოერჩიათ. თუ ბედი გაუღიმებდათ და ხალიფას მოეწონებოდა რომელიმე მათგანი, ხაზარეთს თან უნდა გაეტანებინათ, თუ ყველა ერთად მოეწონებოდა, ყველა ერთად უნდა მიეძღვნათ.

ამირა ოქრო-ვერცხლს მიართმევდა ხალიფას, სტეფანოზსაც ხომ უნდა ეზრუნა საჩუქრისათვის. მისი აზრით, ლამაზი ქართველი ქალები ოქრო-ვერცხლზე მეტად ფასობდა ხაზარეთსა და არაბეთში.

საიდუმლო სახსოვარი ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბქსაც ეშოვა, ნერსე ერისთავის მოჭრილი თავი! ბაბაქიც გულდაგულ მალავდა ძღვენს. მასაც მარტოკას უნდა მიერთმია, ამირასაც და ჯამაათის სხვა წევრებსაც მაშინ უნდა გაეგოთ, როცა ქვეყნის მბრძანებელი ნობათს ხელში აიღებდა.

ბაბაქმა ამირას უფლისციხესთან ქართველთა დამარცხების ამბავი ამცნო, ნერსე ერისთავის თავი ჩამომიტანესო — არ გაუმხელია. შუბი

ხალთაში მაინც არ დაიმალა. მდევრებმა ქართველები უფლის ციხესთან დახოცეს, ნერსე ერისთავის მოჭრილი თავი ჩამოიტანესო, გრიგალივით გადაურბინა დაჩოქილ ერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანეს დაჩოქილი მეზობლის პუტუნი არ სჯეროდა და ყურს უდგებდა ჭორს. მიქაელი მოიჭრა მამასთან, ახალი დავალება მიეცათ, იმ დავალების შესასრულებლად გარბოდა.

— მართალი ყოფილა, ცოცხალი აღარავინ დარჩენილაო, — უთხრა მამას საქმიანად და წელში მოხრილი გაიქცა. მართალია, მას სცნობდნენ შურტები, მაგრამ სიფრთხილისთვის იხრებოდა წელში.

— ასისთავმა მითხრა, ცოცხალი აღარავინ დარჩენილაო, — უმტკიცებდა იოანეს მეზობელი, — გეცოდინება ეგ ასისთავი, ნინია პაპას არაბს ეძახიან, ჩემთან ცხოვრობს, შავია როგორც შავი თათარი.

გულითადად ესაუბრებოდა ნინია პაპა იოანეს. მოხუცი მესათხევლე ნერსე ერისთავის კარზე ენახა. გაეგონა კიდეც მისი ჯადოსნური ბადის ამბავი. იოანეს უყვარდა მდაბიორები და თვალი ყოველთვის მათკენ ეჭირა, მაგრამ ახლა სულ არ ჰქონდა ნინია პაპას ენაწყლიანობის თავი.

— ერისთავები, ნერსე და აშოტი ცოცხლები აღარ არიანო? ასე თქვა? — შეშფოთებული შეაჩერდა ნინია პაპას იოანე.

— თავი ჩამოიტანესო, კაცო! ცოცხლები როგორღა იქნებიან, — გაიოცა ნინია პაპამ.

იოანემ ქუდი მოიხადა და ნელა წამოიმართა ფეხზე. თავი ჩაღუნა და გახევებული დადგა. ახლო მდგომმა შურტამ იმ წამს შეამჩნია და შორიდანვე დაუძახა, დაიჩოქეო. იოანეს არ გაუგონია შურტას ყვირილი. თავჩაქინდრული დადგა დახოცილთა პატივსაცემად.

შურტა ელვასავით მოიჭრა, ცხენიდან გადმოიხარა და იოანეს მათრახი გადაუჭირა სახეზე, მოვარდნენ ტაჯგანაგებით* მცემელნიც.

— მამაო, დაიჩოქეთ! — აყვირდა ნინია პაპა და თვითონ ორივე ხელები დაიფარა თავზე, მეც არ მიმაყოლონო.

იოანე არ შერხეულა, პირჯვარი გადაიწერა მხოლოდ. ქვეითად მოარული, არგნის მცემელი შურტებიც დააცხრნენ თავზე და არგნითაც დაუწყეს ცემა. ხალხში ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა ატყდა, ბერიკაცი რატომ არ იჩოქებსო. იოანეს უკვე სისხლი ჩამოსდიოდა ცხვირ-პირიდან, საცაა ვეღარ გაუძლებდა და წაიქცეოდა. სწორედ ამ დროს, თითქოს დათქვესო, ერთად წამოდგნენ შორიახლოს ჩაჩოქილი ჭაბუკები.

---

* მათრახი საქონლის ძარღვებისაგან.

მათაც მოიშვლიპეს თავსაბურები და თავჩაქინდრულნი დადგნენ. შურ-ტები იოანეს გაეცალნენ, იმათ მისცვივდნენ, არგნები და ტაჯგანაგები დაუშინეს. იმ ჭაბუკებს ახლა სხვები ამოუდგნენ მხარში. [illegible]-ებ-ებ-ებ

ეამაყებოდა ერისმთავრის დავალების შესრულება, ესახელებოდა, თავისი სატრფო ლამაზ ქალებში რომ გარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქაელს შიშიც კი იპყრობდა, ვაითუ ხალიფას ანო მოეხოს და წამართვასო. მაგრამ უკეთესი შემთხვევა, მისი ანო მთელ ქვეყანას ენახა, როდისღა მიეცემოდა?!

ერისმთავარს თავისი თვალით უნდა ენახა ლამაზი ქალები. მიქაელი ერისმთავრის მოსაყვანად წავიდა. სწორედ ამ დროს მაცნეებმა ამბავი მოიტანეს, „მოდიანო“.

შურტებმა მრისხანე თვალი უკანასკნელად უჩვენეს ხალხს. უკანასკნელი აფუთფუთება, მისვლა-მოსვლაც, გადაძახებ-გადმოძახება შეწყდა. ერმა დაიჩოქა. გაირინდა, სამარედ იქცა მთელი ტფილისი, გაიღო ქალაქის გალავნის კარი და რამდენიმე მხედარი შემოვიდა. ისინი ტფილისელი შურტები იყვნენ, სტუმრებს გზას უჩვენებდნენ.

ფეხოსან მეხრმლეთ წითელი ბაფთებით მოკაზმულ შავ ცხენზე მჯდარი ჭაბუკი მოჰყვებოდა. ჭაბუკს ერთი ჭარმაგი მხედარი ედგა გვერდით. ორივეს ცხენები ნელა მოჰყავდა. წინ ფეხოსან მეხრმლეთ შიშველი ხმლები მაღლა შეემართათ, თავიანთი ბატონი ტფილისში შემოჰყავდათ, მშვილდოსნები უკან დაეყენებინათ, ისინიც ქვეითად მოაბიჯებდნენ. წითელი ბაფთებით მოკაზმული ცხენი ჭაბუკს მოჰყავდა და აქეთ-იქით იყურებოდა.

ამირა, შურტათმთავარი და ერისმთავარი ერთმანეთს გაოცებული მიჩერებოდნენ. ხალიფას ველოდით და მის ნაცვლად ეს ვინ ჩამოვიდაო. ხეირიანად აღარც კი ცნობდნენ ამ ჭაბუკს. ხალიფას კარზე არასოდეს ენახათ. ვეზირი მაინც გამოეგზავნათო,—ფიქრობდა გუნებაში ნაწყენი ამირა. მაგრამ ახლა უკვე ფიქრის დროც არ იყო. ვინც არ უნდა ყოფილიყო ჭაბუკი, მაინც ხალიფას კაცი ეთქმოდა. ამირა შესახვედრად გაემართა. დაჩოქილი ერი შუაზე გაიყო და სტუმრებთან შემხვედრთ გზა დაუთმეს. ოთხ კაცს მოჰქონდა დიდი ხონი ოქრო-ვერცხლით სავსე, ხონს უკან ამირა, ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქი და ჯამაათის სხვა წევრები მოჰყვებოდნენ; ქვეშევრდომებმა ბატონებს სათანადო თაყვანი სცეს შორიდანვე. ამირამ ხონს მოჰკიდა ხელი, მაღლა შემართა და პირმცინარი სახით ბაღდადელებს მიეახლა.

სტუმართა მეხმრლეთუფროსმა ჩამოართვა ხონი და უკან გადააწოდა, არც ჭაბუკს და არც მის გვერდით მომავალს ხონისთვის ზედაც არ შეუხედავთ. ისინი ერს უცინოდნენ და ხელს უქნევდნენ. ხალხს მოსწონდა ბატონების ასეთი თავმდაბლობა, ყოველ მათ ხელის დაქნევას ტაშისცემით ხვდებოდნენ. მეტაშე შურტები ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქს

ბლომად შეერია ერში. ტაშისცემას შურტები იწყებდნენ, შემდეგ ხალხიც კვერს უკრავდა. ტაშისცემით, სალამ-ქალამით ამირას სასახლემდე მივიდნენ. სასახლის მოედანზე დაჩოქილებმა [illegible] -ეკრეს, დასცხეს ტაშფანდურა და მზეთუნახავები ხელიც კვრით გამოგდეს საცეკვაოდ. იცეკვეს, მაგრამ რა იცეკვეს, სტუმრები კი არა, მასპინძლებიც კი გადარიეს. გაოცებულმა ამირამ ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქს გადახედა, ბაბაქმა მხრები აიჩეჩა, ერისმთავარი იღიმებოდა, ცალკე იდგა კმაყოფილი და ამირას თავს უქნევდა — ჩემი ნაღვაწიაო.

მოცეკვავე გოგონებმა ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს, ცეკვა-ცეკვით, ტანის ნაზი რხევითა და ყელის მოღერებით გარს შემოუარეს სტუმრებს. სტეფანოზისა და მიქაელის ერთობლივ ნააზრევს ხორცი შეესხა, გოგონებმა სიყვარულის ალყაში მოაქციეს ხალიფას კაცები. ეს იყო ერისმთავრის ჭეშმარიტი გამარჯვება, ხალხსაც ძალიან მოეწონა სანახაობა. მიქაელიც ბედნიერი შესცქეროდა თავის ანოს, ეგონა, რომ ის ყველაზე უკეთ ცეკვავდა. ჰაჯიჯ-იბნ-ალ-ბაბაქის ჯერი დგებოდა, ახლა მას უნდა გამოეჩინა თავი. მხლებლებს თვალით ანიშნა, მოიტანეთო და უმალ ხელში მიაჩეჩეს სისხლიანი ხურჯინი.

ჰაჯიჯმა მოცეკვავეთა წრე გაარღვია და სტუმრებს ნერსე ერისთავის თავი ხურჯინით მიართვა. ამას კი თვით სტუმრებიც არ მოელოდნენ, შეჩოჩქოლდნენ მეხრმლენი და მოისარნი, ჩვენს უკითხავად ხალიფას კაცებთან რა საჩუქარი მიიტანეთო. „ნერსე?“ გაკვირვებულები ეკითხებოდნენ შურტათმთავარს სტუმრები. ჰაჯიჯ იბნ ალ ბაბაქი ამაყად უქნევდა თავს. სტუმრები სისხლიან ხურჯინს ზიზღით უყურებდნენ, თან არაბულად ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. „ნერსე, ნერსეო“ გაიძახოდნენ. სტუმართა მცველთაგან ერთი შუბოსანი წინ წამოდგა, სისხლიან ხურჯინს შუბი აძგერა, თავი შუბზე წამოაგო, მაღლა შემართა და ხალხს უჩვენა. მოცეკვავე გოგონები შიშისგან წიწილებივით დაიფანტნენ, ხალხმაც თვალზე ხელი აიფარა და ჩოჩვა-ჩოჩვით უკან დაიხია.

სტუმრები ცხენებიდან ჩამოხტნენ და ამირას სასახლეში შეეიდნენ. ამირა და ჯამაათის წევრებიც მათ მიჰყვნენ. სასახლის მოედანზე მარტო ის შუბოსანი დარჩა, ნერსე ერისთავის სისხლიანი თავით ხელში.

შურტებმა ხალხს ადგომა და შინისაკენ წასვლა უბრძანეს. ხალხიც ნელა წამოიშალა და მოედანს გაეცალა, უკან-უკან იყურებოდნენ შეშინებულნი, ერისთავის სისხლიან თავს ჩუმად ემშვიდობებოდნენ.

ბაღდადიდან ჩამოსულთაგან ერთი ხალიფას თანაშემწე — ბარიდმა მოდგა, მეორე კი, წითელი ბაფთებით მოკაზმულ შავ ცხენზე ჯდომარე ჭაბუკი, ახალი ამირა — ალი ჰასანი. ხალიფას გამოგზავნილმა ბარიდმა მოიწვია ჯამაათი და ამირად ის ჭაბუკი, ალი ჰასანი დაადგინა, ხოლო საიდ იბ-ალ-ჰაისამ-იბნ-შუაბი, ანუ როგორც თბილისში ეძახდნენ, ამირა საიდა, გადააყენა.

მიზეზი თვითონ არ უთქვამს და არც არავის გაუბედავს ეკითხა. ბაღდადიდან მოსული კაცის ყოველი სიტყვა კანონი იყო ტფილისისათვის.

ბარიდმა დატოვა ჯამაათი, ალი ჰასანს გამარჯვება უსურვა და ხაზარეთის გზას დაადგა, ხაკანთან მიჰქონდა ხალიფას წერილი.

საიდ იბნ-ალ-ჰაისამ-იბნ-შუაბი თავისი ცოლ-შვილით, ნათესავებითა და ახლობლებით იმავე საღამოს არაბეთს გაიქცა, შეეშინდა, ბაბაქი დილეგში ჩამაგდებსო. რაკი ამირა საიდა ასე ცივად გადააყენეს, ხალიფას რისხვა არ ასცდებოდა, თუნდაც ქვესკნელშიც ჩამძვრალიყო, მაინც არაბეთს სიკვდილი ერჩია ბაბაქის ხელში ჩავარდნას.

ამირას შეცვლით ხალიფა მოსე ალმუმნმა ქართველების გული მოიგო. ყველა სიავე, მათ შორის ჯვრის მონასტრის აკლება, უფლისციხესთან ქართველთა გაქცევა, თვით ნერსე ერისთავის სიკვდილიც კი ამირა საიდას დაბრალდა. ალი ჰასანმა ქართველებს მოწყალების თვალით შეხედა. ჯვრის მონასტრიდან თავლა გამოაძევა და მონასტერი პატრონს ჩააბარა. სამართლიანობა აღადგინა.

იოანე საბანისძე ჯერ ეჭვით უყურებდა ახალ ამირას, მაგრამ როცა მას მონასტერი მართლა დაუბრუნეს, ფრთაშესხმული სამოელთან გაიქცა და სასიხარულო ამბავი აუწყა. სამოელმა მადლი უფალს შესწირა და ქართველი ტანჯული მონაზვნებისთვის ილოცა სვეტიცხოველში.

იოანე მონასტერში დაეყუდა, მოიძია წამებული ძმები, ისინი შიშით აღარ დაბრუნდნენ ჯვრის მონასტერში, უდაბნოს მიაშურეს, სარკინოზებს განეშორნენ. რაკი ახალი ამირა ასეთი ღვთისნიერი აღმოჩნდა, ქართველ მღვდელ-მონაზვნებს იმედი ჩაესახათ — იქნებ აბოც გამოუშვასო.

იოანე სტეფანოზს შეუჩნდა, ალი ჰასანს აბოს განთავისუფლება სთხოვეო. სტეფანოზმა დიდი ყოყმანის შემდეგ გაბედა და ამირას გული გადაუშალა. ალი ჰასანი შეპირდა აბოს თავისუფლებას, ოღონდ ვინმემ პასუხი უნდა აგოს აბოს შემდგომი საქციელისთვისო.

— გამოვუშვებ ერთის პირობით, — უთხრა ალი ჰასანმა სტეფანოზს — თუ თქვენ დაუდგებით თავდებად. სტეფანოზე ამას არ მოელოდა. აბოს ჩემი მტერი დაუდგა თავდებადო, ეს გაიფიქრა, მაგრამ უარის თქმაც ვერ გაბედა, ზერელე, დაუკვირვებელ კაცად ჩამთვლისო.

— თქვენის ნებართვით მე თვითონ გამოვიყვან დილეგიდან, — შეჰპირდა სტეფანოზი და მადლობა გადაუხადა ახალ ბატონს.

ეს უკვე მართლა დიდი წყალობა იყო. არ სჯეროდა კიდეც სტეფანოზს, ალბათ მატყუებსო, ფიქრობდა. ბაბაქის უკითხავად აბოს გამოშვება შეუძლებლად მიაჩნდა. სტეფანოზმა იოანე მოძებნა და ჰაჯიჯიბნ ალ-ბაბაქს მიაკითხა, ამირას ბრძანება გადასცა. ბაბაქმა მედილეგეთუხუცესი იხმო და აბოს გამოშვება დაავალა. ცივად, უწადინოდ მოიშორა ქართველები. ეტყობოდა, არ მოსწონდა ახალი ამირას საქმიანობა, მაგრამ თავს იკავებდა, მუნჯად ასრულებდა ბრძანებას.

სტეფანოზი და იოანე ჯურღმულ-ჯურღმულ ატარა მედილეგემ და ბოლოს ურდულებით ჩარაზულ ერთ კარს მიადგა. თორმეტი ურდული გამოაძრო, აანთო სანთელი და უკუნეთში შეანათა. შიგ შევიდა და სტუმრებიც შეიყვანა. ცივ მიწაზე თავდალმა დამხობილი იწვა მოწამე. იოანემ ჭაბუკს ხელი დაადო ზურგზე და დაუძახა. „მომკვდარა“, — თითქოს ერთად აღმოხდათ სტეფანოზს და იოანეს, გადმოაბრუნეს შეშფოთებულებმა, ჭაბუკს სული ედგა, მაგრამ გონს ვერასგზით მოეგო. აბოს აქვე უნდა დაედო პირობა, რომ თავის სჯულზე მიიქცეოდა. ცოცხალ-მკვდარს რას მოჰკითხავდნენ, რა პირობას დაადებინებდნენ. სტეფანოზმა ურემი მოაყვანინა, ზედ ფრთხილად დააწვინეს და იოანეს ჩააბარეს. იოანემ ავადმყოფი მონასტერში წაიყვანა.

მონაზონს ახალი საზრუნავი გაუჩნდა, — აბოს პატრონობა. ერთხელაც გადადო თავის წმიდა საქმე და არანაკლები წმიდა მოვალეობა იტვირთა. სულიერი მოწაფე საიქიოდან დააბრუნა. აქიმი მოუყვანა, უწამლა, საზრდოც მოუტანა და ილოცა კიდეც მისთვის.

ყმაწვილმა გამოიხედა, მოძღვარს მადლობის თვალები მიაპყრო და გაკვირვებულმა ჰკითხა, სად ვარო. იოანემ უამბო რაც მოხდა, თან ისიც აუხსნა, რომ უნდა მოქცეულიყო თავის სჯულზე — ერისმთავარს სასახლეში ფიცი დაადებინესო.

მოწაფემ მოძღვარს გაუღიმა, გაჰკვირდა ფრიად:

— ვისაც ერთხელ უწამებია, ვერ დაუტევებსო. — სუსტი ხმით უთხრა. იოანე საგონებელში ჩავარდა. განა აბოს გამოხსნა იმისთვის უნდოდა, რომ თავის სჯულზე მიექცია? რა ცეცხლიც დააგზნო, თვი-

თონვე უნდა დაეშრიტა: თან სტეფანოზის ერიდებოდა, აბო მისი თავ-
დებით იყო გამოშვებული. რომ არ გამოეშვათ, დილეგში მოკვდებოდა,
ვერავინ გაიგებდა მის სიკვდილს. აბო იყო უკანასკნელი მეციხოვანი
ქი, ამ შუქის ჩაქრობა არ უნდოდა, ამიტომ წვალობდა, ამიტომ
ბოდა აქეთ-იქით.

აბო საწოლში იწვა ფერგამქრალი, მონასტრის ჭერს შესცქეროდა
შთაგონებული. ხანდახან დაუბრუნდებოდა მიწიერ საქმეთ და მოძღვარს
ჰკითხავდა:

— გრიგოლიც არ დაბრუნდა?...

— გრიგოლიც, — მიუგო იოანემ, — მკვდრებში ვერ ვიპოვეთ, არც
ცოცხალი ჩანს...

იოანეს სტეფანოზის თავდებობა მოსვენებას უკარგავდა. აბო არ
აპირებდა უკან მიბრუნებას. იოანეც ვერ მოსთხოვდა სჯულის შეც-
ვლას. პირიქით, ქრისტიანი, ცოცხალი აბო სჭირდებოდა ერისათვის,
მაშ, სტეფანოზს რა ეშველებოდა?.. სტეფანოზს დასჯიდნენ.

— მაშინ ჩუმად იწამე, ჩვენს საყდრებში განცხადებულად ნუღარ
შეხვალ, ეს ჩემი თხოვნაა... — თითქმის ჩურჩულით და ვედრების კი-
ლოთი უთხრა იოანემ.

— მე უფალსა ჩემსას ვესავ, მამაო, ქრისტიანობა ჩემი ქრისტეს
მოძულეთ უნდა ეუწყოს. შენ მასწავლიდი წერილის სიტყვებს: „არა-
ვინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ხვიმირსა, არამედ ზედა
სასანთლესა დადგიან, რათა ენთებოდის ყოველთა". — მე რისთვის
დავფარო ჭეშმარიტი ნათელი, რომლითაც განმანათლა ქრისტემ, მაც-
ხოვარმა ჩვენმა.

იოანეს გული სიამაყით აევსო. მის წინ იწვა ჭეშმარიტი მორწმუნე.
ვერა კაცი, ვერც ერისმთავარი და ვერც ერისთაგანი მას გზიდან ვერ
გადააცდენდა. სულიერი ცხოვრებისთვის გაეჩინა ღმერთს, სხვა ცხო-
ვრება არ შეეძლო.

იოანე მოწაფის თავსასთუმალთან იჯდა დასჯილივით გაჩუმებული,
რაც არ უნდა დამართოდა ერისმთავარს, აბოს სხვა რჩევას ვერ მის-
ცემდა. რაც უთხრა, ისიც თავის სისუსტედ მიიჩნია და ღმერთს პატი-
ება სთხოვა.

უფალსა ვესავ...

ნერსე ერისთავის დაღუპვამ ქართულ სამთავროებს შორის საღვთო
კავშირი საბოლოოდ ჩაფუშა. სამოელ კათალიკოსმა და იოანე ბერმა

კვლავ გააგზავნეს აღმოსავლეთსა და დასავლეთში მაცნენი და ნერსე ერისთავის დაღუპვა და აშოტის ტაო-კლარჯეთისაკენ უკუქცევა ერის მესვეურთ აუწყეს. შობისთვის მცხეთაში დანიშნული თათბირობა გა-დაიდო.

ქართლი მარტოკა შეეგება საუფლო დღესასწაულს. ბეთლემში ქვეყ-ნიერების მხსნელის ხორციელად შობა მეალილოებმა ამცნეს სოფელ-ქვეყანას.

საყდრებში ძელებსა სცეს, კერეონები აანთეს, მწუხრისა და შუა-ღამისანი იგალობეს და შობა დილაც გათენდა.

ქართველთა მთავარი სალოცავისკენ წინა დღითვე ზღვა ხალხი და-იძრა.

მცხეთა მლოცველებით აივსო.

სვეტიცხოვლის ტაძარში თვითონ მამა-უფალი სამოელი სწირავდა.

შობის დღეებს ქართლში თოვლი და ყინვა მოჰყვა. სპეტაკი თოვლი იდო და ციოდა. მზეც დილიდანვე გამოჩნდა ზეცაში მბჟუტავი.

აბო და იოანე ერთად მოვიდნენ საყდარში. იოანემ შეამჩნია, რომ მათ უთვალთვალებდნენ, მაგრამ აბოსთვის არ უთქვამს. აბო შთაგონე-ბული იდგა მლოცველთა შორის და გალობას უგდებდა ყურს. „რომელი ქერუბინთა“... სმენასა და გრძნობას ატკბობდა.

სამოელი იყო ჭეშმარიტი მწყემსი თავისი მრევლისა, მისი ყოველი გამოჩენა ერს იმედითა და სასოებით ავსებდა „მშვიდობა თქვენდა“... ხშირ-ხშირად მიმართავდა თავის სამწყსოს მღვდელთმთავარი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დამყარდა მშვიდობა ქართლსა შინა. შობის ამ სასიხა-რულო დღესაც სამოელ ქართლის კათალიკოსისაგან მისი მრევლი სწო-რედ მშვიდობას, იმედსა და ნუგეშს მოელოდა.

შემოსვის შემდეგ კათალიკოსს ჯვარი მიართვეს. სამოელმა ჯვარი მარჯვენა ხელით, სანთელი მარცხენათი აღაპყრო და ჯვარი გადასახა ჯერ სამეუფეო კარებს, ხალხს და შემდეგ სვეტს — სამეფო ადგილს. აქ დღეს ერისმთავარი უნდა მდგარიყო, მაგრამ აღარ იდგა — ქართველ მეფეთა ნაცვლად ერისმთავარი მოდიოდა წირვაზედ, დღეს ისიც არ ჩანდა. იოანეს არ ეამა ეს ამბავი. ალბათ სიონში ლოცულობსო, დაიმ-შვიდა თავი. მეფეთა ადგილისაკენ თვალი მაინც გაურბოდა, გული წყდებოდა, ცარიელი რომ იყო. ნუთუ სვეტიცხოველი ქართველი მე-ფის შემობრძანებას ამიერიდან აღარ იხილავდა?

ამიერიდან კირთებაში უნდა დაელიათ დღე და წუთისოფელი?..

კათალიკოსმა ხელები მაღლა აღმართა და დიაკონმა წამოიწყო დი-დი, მშვიდობიანი „შეგვიწყალენი“...

ესლა დარჩენოდა ქართველ ერს — უფლისა მიმართ უნდა ვლოცა და წყალობას უნდა დალოდებოდა. იოანეს თვალები ცრემლით ავსებოდა და წყნარად გალობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოეთის კარებიდან სახარება შემოიტანეს და კათალიკოსს მიართვეს. სამოელი სახარებას ემთხვია, შემდეგ მსახურებმა მოჰკიდეს ხელი და წაიყვანეს საკურთხეველში. მთავარ ეპისკოპოსებმა, არქიმანდრიტებმა და წინამძღვრებმა იგალობეს ტროპარი, კონდაკი და „წმიდაო ღმერთო“.

„ლოცვასაც აღარ გვაცლიან — გაიფიქრა იოანემ, როცა შურტებს ერთხელაც მოკრა თვალი, — საყდარი ურწმუნოებით არის სავსე, დადიან, ჩურჩულებენ, ამთქნარებენ. — დაჟინებით ფიქრობდა მონაზონი, — დაილოცოს ღმერთო შენი სახელი... რა უნდათ, რისთვის მოსულან ჩვენს სალოცავში“... შურტებისა და სარკინიზოთა გარდა ათასი ჯურის არტოშანი უამრავი ქართველი ურწმუნოც დაბოდიალობდა წინ და უკან, ისინი საკათაკმეველოში უნდა მდგარიყვნენ, მაგრამ არ დაგიდევდნენ წესსა და რიგს. ჭეშმარიტ მორწმუნეთ ხელს უშლიდნენ, ფეხებში ებლანდებოდნენ. იოანეს ქართული წირვა-ლოცვისა და გალობის გაგონება ნეტარებას ჰგვრიდა. „უფლისა მიმართ ვილოცოთ“ მისი საყვარელი ლოცვა იყო. სვეტიცხოვლის დიაკვანს საამო, ტკბილი ხმა ამოსდიოდა ბაგეთაგან, „უფალო შეგვიწყალეს“ — წკრიალა ხმები გალობდნენ, ერთმანეთს ერწყმოდა, ეხამებოდა ეს ხმები და მსმენელს ჟრჟოლას ჰგვრიდა. პირჯვარის გადასახვა რომც არ გნდომებოდა, უნდა გადაგესახა, მიწიერთან წყვეტდი კავშირს და ზეშთას მიელტვოდი სულით და ხორცით.

მაგრამ ურწმუნონი ასე როდი ფიქრობდნენ, სმენადახშულნი, გულგაქვავებულნი დაძრწოდნენ წინ და უკან. შურტი იყო და ევალებოდა წირვა-ლოცვისთვის თვალყური ედევნებინა. ზოგი იმიტომაც შემოეგზავნათ, ურწმუნონი ბლომად ყოფილიყვნენ. ზოგს დავალებული ჰქონდა როგორმე, რითიმე ხელი შეეშალათ მორწმუნეთათვის, ზოგს ჭორი უნდა გაევრცელებინა, ზოგი ქართველი იყო, მაგრამ მაჰმადს შედგომოდა და ახლა ქრისტიანეთა გადაბირება ეწადა, ზოგი ფარისეველი იყო, სხვის დასანახავად ლოცულობდა, ზოგიც ჯერაც ძველისძველ ღვთაებებს გაცსა და გაიმს ეთაყვანებოდა, ზოგი ისე შემოხეტებულიყო, დროის მოსაკლავად, გარეთ თოვლი იდო და ყინავდა, საყდარში თბილოდა, თბილი ადგილი მოძებნა და ერთობოდა.

იოანე ყველაფერს ამას ხედავდა, როცა საყდარში ამდენი სხვა რამ ხდებოდა, მლოცველს უნებლიეთ თავისი ღმერთიც ეკარგებოდა და

თავის თავიც. სხვა ფიქრი და გრძნობა იჭრებოდა სულში, სხვა ფიქრი იპყრობდა მის გონებას. იოანე წუხდა, დარდობდა, [illegible] მაგრამ რა ექნა. „ჩვენს საყდრებს ბელიარი დაეპატრონა — [illegible] მონაზონი, ერეკებოდა ბელიარს და თავის ღმერთს შეერთვოდა.

წირვის დამთავრების შემდეგ სამოელმა წარმოთქვა ქადაგება. ქართველ მორწმუნეთა ერთადერთი იმედი ისევ სამოელი იყო. მისი ღვთაებრივი ნიჭი და შინაგანი ძალა თუ იხსნიდა ალმასრულებელთ. ქადაგების დროს მშვიდი, დამარწმუნებელი კილო ჰქონდა, თვალები სიყვარულით ევსებოდა. ამბიონზე კი არ დგებოდა, ერში შეერეოდა, გაუხსნიდა გულს მორწმუნეთ და ოქროპირობით ატყვევებდა. მის მოსასმენად ქართლის ყოველი კუთხიდან, შორეული სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ, თოვასა და ყინვას, ქარსა და წვიმას არ უშინდებოდნენ, მწყემსმთავრის სიტყვა გაათბობდათ, დაიფარავდათ, ფრთას შეასხამდათ...

საშობაო ქადაგება სამოელმა იმგვარად ააგო, უფლისციხესთან გაჟლეტილი ქართველები მოიხსენია. აბოც კი შეამკო მორწუნეთა წინაშე, როგორც ქრისტესთვის თავდადებული. ჩამომხმარი, გაყვითლებული აბო ხალხს აჩვენა და საჯაროდ დალოცა იმედი და სასოება ქართველ ქრისტიანეთა.

იოანეს სიხარულისაგან სახე განათებოდა, ეამაყებოდა მის მოწაფეს რომ აქებდნენ. შურტებს უკვე არაფრად აგდებდა, მობეზრებოდა, შეჩვეოდა ზურგს უკან მათ ფუსფუსს.

თანდათან შურტებით და მოლაშქრეებით გაივსო საყდარი, სამოელის შესაშინებლად შუბოსნებიც კი შემოილანდნენ საყდარში.

აბომ მათ დასანახად პირჯვარი გადაიწერა.

სამოელსაც არ შეუწყვეტია ქადაგება. მორწმუნენი თითქოს ვერ ამჩნევდნენ სარკინოზებს, ლოცვასა და გალობას განაგრძობდნენ.

აბოს ამბავი ტფილისელმა მორწმუნეებმაც იცოდნენ და მცხეთელებმაც, მაგრამ რაკი კათალიკოსმა საჯაროდ, საშობაო ქადაგებაში ახსენა და დალოცა კიდეც, როგორც ქართველ ქრისტიანთა იმედი და სასოება, ჭაბუკი აბო მორწმუნეთა თვალში ერთიორად ამაღლდა.

წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ, როცა მოძღვარი და მოწაფე ჯვრის მონასტრის გზას დაადგნენ, ერი მათ ზურგს უკან ჩურჩულებდა, თითით უჩვენებდნენ ერთმანეთს არაბ ყმაწვილს, ვინც მპყრობელნი ამა სოფლისანი უარყო და ჩაგრულთ მიუდგა.

როცა აბო გამომჯობინდა და საბოლოოდ ღონივრად დადგა ფეხზე, მდევრებსა და შემასმენლებს მიაფურთხა და ტფილისში ფაეტონი ჰაპტრონის სასახლეს მიაკითხა.

ნერსე ერისთავის ციხე-კოშკსა და სასახლეს სარკინოზები დაპატრონებოდნენ. დარბაზი აეკლოთ, პალატთა კარები გაეგლიჯათ და მოლაშქრენი შიგ დათარეშობდნენ. შურტები ურმებითა და ჯორებით ეზიდებოდნენ ნაძარცვს.

კოშკის ქონგურებზე, სასახლის სახურავზეც კი აგარიანები დალანდა, ნეტა იქ რაღა ესაქმებოდათ? ან ალუბლის ბაღს რად ჩეხავდნენ? — შორიდან გასცქეროდა აბო ერისთავისეულ სასახლეს და იცრემლებოდა. აქ, ამ ალუბლების ძირას, აეხილა თვალები, აქ გაეცნო გრიგოლს, იოანეს... ერისთავებს... აქ შვილივით შეიყვარეს, უპატრონეს, ქართული წიგნი ასწავლეს... აგერ მონათა სადგომიც, მისი კუთხეც, — იქაც შურტები იბურჯგნებოდნენ.

ქრისტიანთაგანი არავინ ჭაჭანებდა ახლო-მიდამოში.

— აქ დგომა არ შეიძლება! — მოულოდნელად მიიჭრა შუბოსანი შურტა და ყმაწვილს მკერდში ხელი ჰკრა. აბო დაბარბაცდა და დაეცა. არ მოელოდა, არ ეგონა თუ უმიზეზოდ ლომივით კაცი დაეძგერებოდა.

აბო ზლაზვნით წამოიმართა. შურტამ დაუყვირა და თვალები დაუბრიალა.

— არ შეიძლება-მეთქი!

აბომ ერთხელაც მოავლო საწყალობელი თვალები თავისი პატრონის გავერანებულ საყოფელს, ჯვარი გადაწერა ადგილ-მამულს და თვალებგადმოკარკლულ შურტას ფეხათრეული გაეცალა.

ადრე აბოს გამოჩენა საყდარში მორწმუნეთა მითქმა-მოთქმას იწვევდა, ზოგს არ მოსწონდა ეს ამბავი: სად გაგონილა ურჯულოთა გაქრისტიანებაო, ურწმუნოდ შესქცეროდა ჭეშმარიტ მორწმუნეს, ზოგი აბოს თავისი სჯულისა და ქვეყნის მოღალატედაც კი რაცხდა. ჩუმ-ჩუმად ქირდავდა, თავისი სჯულის გამცემი არც სხვას დაინდობსო. ზოგი ამბობდა, ყმაწვილი ქართველებმა შეაცდინეს, სარკინოზები მალე მოარჯულებენო.

მას შემდეგ, რაც საპყრობილიდან გამოვიდა და თვითონ კათალიკოსმა ახსენა, აბოს მეტი რწმენითა და ნდობით შეხედეს. რაკი ის ძვლავ დადიოდა ქართველთა სალოცავში, იცოდა, რომ ამისთვის საზარელი სასჯელი ელოდა და წირვა-ლოცვას მაინც არ აკლდებოდა, მორწმუნეთა თვალში თანდათან მაღლდებოდა და თანაგრძნობას იწვევდა.

როცა აბო ლოცულობდა, საყდრის კარს კათაკმეველნი მოეკარებოდნენ. მათ შორის ისინიც ერივნენ, ვისაც გულში ჩავარდნოდა ქრისტეს სიყვარული, თავისი ღმერთისთვის ჯერ ვერ ეთქვა [illegible] ბედა, აბოს კი ჩუმად შეჰნატროდა.

მოლაშქრე სარკინოზნი შურტებს ახელებდნენ, რა პირი დაგიღიათ, ცხვირმოუხოცავმა ღლაპმა ლამის მთელი ხალიფატი მოაქრისტიანოს, თქვენ კი შორიდან უყურებთო.

ჰაჯიჯ იბნ-ალ ბაბაქის ნებართვის გარეშე აბოს ხელს ვერავინ ახლებდა. ბაბაქი კი ამირასა და ერისმთავარს ელოდებოდა, ბაბაქი ვითომ მათი ბრძანების აღმსრულებელი იყო. დინჯად ადევნებდა თვალს აბოს საქციელს. სინამდვილეში შორს ჭვრეტდა შურტათმთავარი — ერისმთავრის შეპყრობა ჰქონდა გუნებაში.

სტეფანოზი ხომ ყოფილი ხალიფას გამოგზავნილი იყო ქართლში. თუ ბაბაქი სტეფანოზს ორგულობას დასწამებდა და შეიპყრობდა, ახალი ხალიფა ამას ირწმუნებდა, ბაბაქის სახელი კი განუზომლად გაიზრდებოდა ხალიფას კარზე.

მართალია, აშოტ და ნერსე ერისთავების სასტიკი დამარცხებისთვის ბაბაქმა ხალიფას მადლობა დაიმსახურა, მაგრამ ეს ხომ არ იყო ზღვარი? ახლა სტეფანოზი და იოანე ამოეღო მიზანში, ამიტომ აღარ აღუდგა წინ ახალ ამირას, ალი ჰასანს, ნებაზე მიუშვა, თან მისი გული მოიგო, რა თვინიერი შურტათმთავარი მყავსო, აფიქრებინა. ერისმთავარი ფარვანასებრ თვითონ მიისწრაფოდა ცეცხლისაკენ, ბაბაქს ხელი რატომ შეეშალა? ხომ გამოაშვებინა აბო, თვითონ დაუდგა თავდებად, აბო კი მაჰმადს აღარ დაუბრუნდებოდა. ბაბაქიც ხელახლა შეიპყრობდა და ერისმთავარს დააბრალებდა მის გაქრისტიანებას. თუ ვერ დაუმტკიცებდა, ეჭვს მაინც აღუძრავდა ახალ ხალიფასა და ამირას, ეჭვი კი ხმალზე უფრო სჭრიდა.

გულდაგულ მოამზადა აბოს შემასმენელნი, ათასი დავალება მისცა თითოეულ მათგანს და ამირასთან შევიდა მოთხოვნით, ერისმთავრის თანდასწრებით განესაჯა აბო. როცა ამირამ გაიკვირვა ერისმთავარს ნებართვას რატომ ვთხოვთ, აბო ხომ ქართველი არ არისო, ბაბაქმა მიუგო:

— ხელშემწყობი ის არის, დიდო მსაჯულო, კვალს მისკენ მივყავართ.

ამირა შეაკრთო ამ ამბავმა და საგონებელში ჩაადგო. ერისმთავარი იხმო და აბოს ამბავი ჰკითხა. ერისმთავარი ამირასთან თავისმართლებას მოჰყვა:

— აბო მონასტერშია, ქართლისა მბრძანებელო, ერთი ავადმყოფი
ყმაწვილია, შიში ნუ გაქვთ, გარეთ არ გამოდის... ვინ რა იცის, ვიდრე
აბოს გულში რა უდევს, ნულარ გავჩხრეკავთ მიმქრალ ლამპარს, ნუ
ჯულო ჩვენო... ძლივს ხანძარი ჩავაქრეთ. ვაითუ კვლავ
ჩვენისა უმეცრების გამო... ერისმთავარმა ბაბაქს შეხედა, ბოლო სიტყ-
ვები მას ეკუთვნოდა. ბაბაქს ვითომ არ გაუგონია. შორს იყურებოდა.

შემასმენელი შურტები კარს უკან ჰყავდა დამალული, ამირას ნი-
შანს ელოდებოდა. შურტები ერისმთავარს ხმას გააკმენდინებდნენ. ამი-
რასაც და ბაბაქსაც სახე გაქვავებოდათ, ნელ-ნელა იპყრობდათ მრისხა-
ნება, მაგრამ არ იმჩნევდნენ.

— არ მეგონა, თუ ის თქვენი აბო კიდევ გაბედავდა საყდარში შეს-
ვლას! — უთხრა დინჯად ამირამ ერისმთავარს და მსახურთ გასძახა:—
შემოიყვანეთ!..

პირველი შემასმენელი რიხიანად შემოვიდა, ერისმთავარს წინ და-
უდგა, თვალი თვალში გაუყარა და თითქოს და ბრალს სდებსო, უთხრა:

— თქვენი აბო საპყრობილედან გამოშვების პირველსავე დღეს, რო-
გორც კი გონს მოეგო, იოანესთან ერთად შევიდა ჯაჭვის საყდარში და
ჩემი თვალით ვნახე, როგორ ლოცულობდა, როგორ იწერდა პირჯვარს!

შემასმენელს მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი, ბაბაქს შეხედა, რა
ვქნაო. ბაბაქმა თვალით კარისაკენ ანიშნა. პირველი შემასმენელი გავი-
და, მეორე შემოვიდა. მეორემაც ერისმთავარი ამოიღო ნიშანში. ბრმაც
კი მიხვდებოდა, შემასმენელთ ბაბაქ რომ აგულიანებდა, ერისმთავარ-
თან ასეთ თავხედურ საუბარს ისინი ვერ გაბედავდნენ, უფროსების ნე-
ბართვა რომ არ ჰქონოდათ.

— თქვენი აბო... — დაიწყო მეორემაც. ერისმთავარს ჩაეცინა, აბო
ჩემი კი არა, თქვენიაო. გაიფიქრა გუნებაში, მაგრამ არაფერი უთქვამს,
გაფაციცებული უგდებდა ყურს შემასმენელს. — მე ვნახე სვეტიცხო-
ვლის თორმეტთა მოციქულთა საყდარში. იქ ნერსეს სულისთვის ლო-
ცულობდა, ხსართან ხუცესის მეშვეობით აწირვინა ნერსე ერისთავის
სულისთვის კათალიკოსს.

მეორე შემასმენელიც გავიდა. მესამე შემოვიდა.

— თქვენი მენელსაცხებლე, — უთხრა ერისმთავარს მესამე შემას-
მენელმა — გუშინ, შუადღისას, თავს დაესხა ნერსე ერისთავის სასახ-
ლის მცველთ. ერთ მათგანს მკერდზე ხელი ჰკრა და წააქცია, დანარ-
ჩენებს მახვილი მოუღერა, მოკვლით ემუქრებოდა.

— რაო? — ვეღარ მოითმინა ერისმთავარმა, — თქვენ ამბობთ, რომ
აბო ვიღაცას თავს დაესხა? დაუჯერებელია!

— ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე! — მიუგო შემასმენელმა, — მოწმეებიც მყავს...—შემასმენელმა მოწმეები მოიხმო. ორი მოლაშქრე შემოვიდა და შორიახლოს დადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოლაშქრენო, — ჰკითხა შემასმენელმა მათ, — ხომ თქვენ ამა-ლით ნახეთ, თუ როგორ დაესხა მენელსაცხებლე აბო ნერსე ერისთავის სასახლის მცველთ.

— დიახ, ჩვენი ორივე თვალით ვნახეთ! — მიუგეს მოწმეებმა.

— ხომ გესმით? — ჰკითხა ამირამ ერისმთავარს, — თქვენ კი მიმ-ტკიცებდით, მონასტერშია შემწყვდეული და გარეთ აღარ გამოდისო.

— ბატონო ამირა, — სიტყვა ჩამოართვა ბაბაქმა, — ჰკითხეთ ერთი ერისმთავარს ამ რამდენიმე ხნის წინათ იყო თუ არა ნერსე ერისთავთან და ჰქონდა თუ არა საუბარი სწორედ ამ აბოსთან.

— მერე? — გაოცდა ერისმთავარი, — მე როდის ვმალავ ამას.

— რაზე გქონდათ საუბარი?

— აბო უნდა მიქცეულიყო თავის სჯულზე, — უთხრა ერისმთა-ვარმა.

— თუ პირიქით? ჩვენ მოწმეები გვყავს... — ბაბაქმა ნიშანი მისცა, ორი მოწმე შემოვიდა, ერისმთავარს პირზე დაადგნენ.

— თქვენ და ნერსე ერისთავი შთააგონებდით მენელსაცხებლე აბოს, რომ თავის სჯულზე არ მიქცეულიყო...—უთხრა ერთმა.

— თქვენ თათბირობდით ნერსე ერისთავის აივანზე, — უთხრა მე-ორემ, — ჩვენ ყველაფერი გვესმოდა.

— ეს ცილისწამებაა! — შესძახა სტეფანოზმა.

ბაბაქმა გაიცინა.

— ცილისწამებაა! თმჰუ... თმჰუ... — გაურკვეველი ბგერები ამო-უშვა და გამომცდელად მიაჩერდა სტეფანოზს, — მაჰმადიანი აბო რომ ქრისტიანულ სალოცავებში დადის და ლოცულობს თქვენ ამას უარ-ყოფთ?..

— არა, ამას არა.

— კეთილი, აბომ რომ ხალიფატის დაუძინებელი მტრის ნერსე ერისთავის სულისთვის აწირვინა კათალიკოსს, ეს მიგაჩნიათ ცილის-წამებად?..

სტეფანოზმა იფიქრა, ალბათ ხსართან ხუცესიც აქ ჰყავთო და გაჩუ-მება არჩია. ბაბაქმა არ დააყოვნა და ბრძანა:

— შემოიყვანეთ ხუცესიც!..

აკანკალებული ხსართან ხუცესიც შემოვიდა.

— ხუცესო!— დაუძახა ბაბაქმა, — მოიტანა თუ არა აბომ საყდარში ნერსე ერისთავის სულის მოსახსენებლად წანდილი?

ხსართან ხუცესმა ერისმთავარს შეხედა და დამნაშავესავით სულ-ლუღდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიცრუეს ჩვენი უფალი გვიკრძალავს, ერისმთავარო!.. დიახ, მოიტანა.

ხსართან ხუცესს კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ბაბაქმა ხელით ანიშნა მსახურთ, გაიყვანეთო.

— თქვენი ხუცესისაც არ გჯერათ? — ჰკითხა ბაბაქმა ერისმთავარს. სტეფანოზს ხმა გაეკმინდა და კარისკენ იყურებოდა, კიდევ ვის შემოიყვანენო.

— შემოიყვანეთ იოანე! — ბრძანა ბაბაქმა. ერისმთავარი შეკრთა.

იოანეს არ ეტყობოდა შეკრთომა, თავი ღირსეულად ეჭირა, თითქოს დარბაზობაზე მიიწვიესო, ზედამდგომელთ თავმდაბლად მიესალმა და შორიახლოს დადგა თავმოდრეკილი.

— საპყრობილიდან გამოშვებული აბო, — უთხრა ბაბაქმა იოანეს,— თქვენ წაიყვანეთ მონასტერში. იმავ დღეს მან მოითხოვა საყდარში წასვლა. თქვენ ერთად ილოცეთ ჯაჭვის საყდარში... მართალია ეს?

— დიახ, — მიუგო იოანემ უყოყმანოდ. ერისმთავარი ყურს არ უჯერებდა. გაკვირვებულმა შეხედა მოძღვარს. აბო ხომ მისი თავდებით იყო გამოშვებული, თუნდაც ელოცათ ერთად, სტეფანოზის აზრით, იოანეს ეს არ უნდა გაემხილა, ბერმა უფრო შორსაც შესტოპა.

— მეუფენო ქართლისანო, — დაიწყო მან დინჯად, — სახელისა მიმართ მისისა ყოველი მუხლი მოდრკეს, ზეცისათანი, ქვეყნისათანი, ქვესკნელთანი და „ყოველმან ენამან აღუაროს“ სახელსა მისსა.

კარ ეწოდა, რამეთუ თქვა: „მე ვარ კარი ცხოვართა“. ჭეშმარიტად მორწმუნენი მისნი მის გამო, ვითარცა კარსა მას სასუფევლისასა შევალთ. ცხოვარი აბო, კარსა მას უფლისავე ნებით მიელტვის. ჩვენ, კაცთ, ძალა არ შეგვწევს ღვთის ნების შეცვლის.

— ჩვენ შეგვწევს! — შეაწყვეტინა ბაბაქმა, ისედაც წითური სულ მთლად წამოჭეხდა, მღელვარებისაგან ენა დაება. — მაშ „კარ“ ეწოდა!.. — შესძახა უაზროდ, —ერისმთავარო! — სტეფანოზს მიუბრუნდა აღელვებული. ჩანდა, რომ იოანეს არაკმა გააცეცხლა, — თქვენ, ხალიფას ერთგული მსახური, თავდებად დაუდექით მაწანწალა მენელსაცხებლეს, რატომ? ვინ გაიძულათ?.. „კარ“ ეწოდა! — დაიღრინა ერთხელაც თავისთვის.

— არ მსურს თქვენთან საუბარი, მოწყალეო ხელმწიფევ! — ცივად

მოჭრა ერისმთავარმა, — ხალიფას თვითონ ვეახლები და მოვახსენებ, ვინც მაიძულა.

— ვიცით, უთქვენოდაც ვიცით, ვინც გაიძულათ! — ტქვა მძვინვარედ ამირამ, დავაში ჩარევას თავი აარიდა.

— მონაზონო! — იოანეს მიასო გაავებული თვალები, — თქვენს შეპყრობას დაჟინებით მთხოვდნენ და დღესაც მთხოვენ. მე და ერისმთავარმა დაგიფარეთ, როგორც ჩანს, შევცდით.

— არა, უფალო, არ შემცდარხართ, არ გქონდათ მიზეზი ჩემი შეპყრობისა! — არც აცივა, არც აცხელა, პირში მიახალა იოანემ ამირას.

— ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ თქვენ აფხაზეთში ბრძანდებოდით,— მიეშველა ამირას ბაბაქი, — ისიც ვიცით, რისთვის!..

ერისმთავარმა იოანეს თვალით ანიშნა გაჩუმდიო, არაფერი თქვაო. ზედამდგომელთ მისი ყოველი სიტყვა ლახვარივით ესობოდა გულზე. იოანემ ერისმთავარს არ დაუჯერა, ამოიღო დამამშვიდებელი ეპისტოლე და ამირა ალი ჰასანს წინ დაუდო, თან არაბულად აუხსნა, რა ეწერა შიგ. ეპისტოლე უფლებას აძლევდა ჯვრის მონასტრის მონაზონს, მცხეთას ნაკურთხი მირონი ბიჭვინთას ჩაეტანა.

— ამ მიზნით გახლდით ტაო-კლარჯეთშიც, შავშეთ-ერუშეთშიც, წანარეთსა თუ კახეთ-ჰერეთშიც, — თან ისიც დასძინა, — შეუძლებელია სხვა საბუთი რამ შურტათმთავარს გააჩნდესო...

— შეიპყარით აბო! — რატომღაც დაასკვნა გაცეცხლებულმა ამირამ.

როცა ამირას სასახლიდან გამოვიდნენ, ერისმთავარმა იოანეს უთხრა:

— მე უკვე აღარაფერი შემიძლია... რაც მოგივათ, თქვენს თავს დაბრალეთ!..

იოანე ფიქრობდა, ვიდრე ჩემი ჯორი მცხეთას მიჩაქჩაქდება, შურტები დამასწრებენ და აბოს შეიპყრობენო. ძალიან გაუკვირდა, როცა სენაკში მოფსალმუნე დახვდა. უამბო ყოველივე, რაც ამირას სასახლეში თავს გადახდა და ურჩია:

— ქრისტეს მიერ საყვარელო, შვილო ჩემო, — შეევედრა მოწაფეს, — გეძიებენ შეპყრობად, ტანჯვად და გუემად. განერიდე მცირე ხნით მაინც.

იოანე ხვდებოდა, რომ აბო განგებ არ შეიპყრეს, მათ არ უნდოდათ აბოს სიკვდილით დასჯა, ქრისტესთვის წამებულს ერი მოწამედ შერაცხდა და ამის ეშინოდათ. ქართველებისავე ხელით სურდათ ჭაბუკის მიქცევა მაჰმადის სჯულზე. როცა დაშინებით ერისმთავართან და იოა-

ნესთან ვერას გახდნენ, ხერხს მიმართეს, დააცადეს იოანეს, ამირას სასახლეში თავს გადამხდარს მოძღვარი თავის მოწაფეს უთუოდ უამბობს, მოწაფეც, ეგებ ჭკუას მოეგოს და ქრისტე უარყოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ტანჯვისათვის მზად ვარ, მოძღვარო! — უთხრა იოანეს-ბაბამ. გაუხარდა ფრიად სასჯელი და სალოცავად ჯაჭვის საყდარში კი არა, სვეტიცხოველში წავიდა. იქ, მცხეთაში, სარკინოზების დასანახად, უნდა შესულიყო თორმეტთა მოციქულთა საყდარში და მათ თვალწინ ელოცა. თანამემამულეთათვის ერთხელაც უნდა მიეცა მაგალითი. ხომ ნაბრძანები იყო შეპყრობა, — უფალს ესავდა და აღარ განეშორებოდა.

სვეტიცხოვლის საყდარში კვლავ ზღვა ხალხი ზიმზიმებდა. სამოელ ქართლის კათალიკოსისაგან წმიდა საიდუმლოს ზიარებას ერი, ვით ღვთის წყალობას, მიელტვოდა. სვეტიცხოვლის საყდარი მლოცველთ ვერ იტევდა, გარეთ, სამოთხის ბაღიც ხალხით გავსებულიყო.

სვეტიცხოვლის უბანში აბოს გამოჩენამ მორწმუნენი გაახარა, „აბო მოდის, აბო მოდის!“ — გაისმა ერში ჩურჩული, ჯერ გზა დაუთმეს და თაყვანი სცეს, შემდეგ უკან გამოუდგნენ და საყდრისკენ გაემართნენ. აბოს პირი უცინოდა. თვალები ლხენით ავსებოდა, პირჯვარს იწერდა და მორწმუნეთ წინ მოუძღოდა. სვეტიცხოვლის ღვთის გლახებმა შორიდანვე შეამჩნიეს, რომ ჭაბუკს თავზე ნათელი ედგა, ჩოქვით გამოუდგნენ უკან, ნატერფალს ამბორს უყოფდნენ. ამასობაში აბო სალოცავის კარს მიადგა. კათაკმევლებმა გზა უტიეს მოწამეს. ის-ის იყო ჭაბუკს წმინდა საყდარში ფეხი უნდა შეედგა, იქით-აქეთ შურტები ამოუდგნენ, ხელები დაუჭირეს და გათოკეს. ერი შეჩოჩქოლდა და გოდება აღმოხდა. ცხენოსანი შურტები მათრახების ჟუილით შემოიჭრნენ ხალხში და მორწმუნენი ცემით გარეკეს. გაკოჭილი აბო შუაში ჩაიყენეს და ტფილისის გზას გაუყენეს.

ჭაბუკი ცხენოსნებს მისდევდა, თან აქეთ-იქით იყურებოდა, შურტებისაგან დაშინებული ერისთვანნი შორი-შორს იდგნენ მწუხარენი. უხამური გოგო-ბიჭები მისკენ მორბოდნენ და ხელებს უქნევდნენ, დედანი ღაწვებს იხახდნენ და იცრემლებოდნენ.

— გიხაროდეთ! — ეძახდა აბო შორიდან მორწმუნეთ, — გიხაროდეთ!.. შურტები ჯგროდ მისდევდნენ აბოს უკან, გვერდიგვერდ, და არგნით ემუქრებოდნენ, გაჩუმდიო. აბო მაინც ნირს არ იცვლიდა, ქედს არ იდრეკდა და მხიარული სახით ემშვიდობებოდა ხალხს.

ვიდრე მოწამე სულ მთლად არ მიეფარა თვალს, იდგნენ მცხეთელები მტკვრის სანახებში, პირჯვარს იწერდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ.

ELIBRARY.GE

შეღამებისას ჩამოვიდნენ ტფილისში. ცხენებს გამობმული-აბო კალაუბანში რომ შემოიყვანეს, ძალაგამოლეული უკვე [illegible] ასებდა, დაღლილ-დაქანცული აქეთ-იქით აწყდებოდა. დაეცა კიდეც რამდენიმეჯერ, არავინ შეიბრალა, ჯერ თოკებით ათრიეს, შემდეგ მათრახის ცემით წამოაგდეს ფეხზე, ძლივს გათავდა წყეული გზა. აბოსთვის სულერთი იყო, სად შეაგდებდნენ, რომელ დილეგში, ოღონდ ფეხზე არ მდგარიყო, ოღონდ როგორმე დაედო მიწაზე გაწამებული სხეული. არგნით ცემაც კი ინატრა, ხომ დაწვებოდა მიწაზე, თუნდაც მოეკლათ ცემით, შვებას მოჰგვრიდა ეს ცემა.

თვალი აუხვიეს და კალაუბანში ისე შეიყვანეს, სადღაც-სადღაც ატარეს, ჯიკავ-ჯიკავითა და მუჯლუგუნებით ფერდები დაულებეს, რკინის ურდულები გაარაჯგუნეს, ზურგში ხელი ჰკრეს და წყვდიადში შეაგდეს. აბოს თითქოს ბედმა გაუღიმა, კედელს აღარ მიეხალა ცხვირ-პირით, მიწაზე დავარდა. „მიწა“ გაუელვა თავში. დაემხო თავდაღმა, ფეხები მოკვეთილივით დაყარა გაქვავებულ მიწაზე. სიხარულისა თუ სიმწრის ცრემლი წასკდა. უკეთეს დილეგს ვერც ინატრებდა. ჩაინთქა წყვდიადში, სულ ერთიანად მიეცა, ჩაიძირა უკუნეთში, წყვდიადი განუკურნავდა გაწამებულ სხეულს. თითქოს სიმძიმე დაკარგა და ბნელეთმა წაიღო სადღაც.

უცებ სისხლის სუნი ეცა, სისხლის სუნმა კვლავ „მიწაზე“ დააბრუნა. თბილმა სითხემ დაუსველა ცხვირი, ტუჩები, ღაწვები... „სისხლი“— გაუელვა თავში, სისხლის გემომ მიახვედრა, რაც სჭირდა.

როცა ზურგში ხელი ჰკრეს და დილეგში შემოაგდეს, ხელებშეკრული გამხმარ მიწას დაასკდა ცხვირ-პირით. ცხვირი გაუსკდა თუ ტუჩი, სისხლმა იფეთქა. იმდენად დიდი იყო დაწოლის სიხარული, ტკივილი არც უგრძნია. სისხლი თქრიალით სდიოდა, თავ-პირს უსველებდა, სისხლის გუბე დამდგარიყო, ცხვირპირი შიგ ჰქონდა ჩაყოფილი. თავი წამოსწია, მშრალი ადგილი მოძებნა ცხვირით და იქ დადო.

კვლავ მიეცა წყვდიადით ტკბობას, დაღლილ სხეულს, წყვდიადის კალთაში ასვენებდა. ჩასთვლიმა კიდეც, აღარ ახსოვს, რამდენ ხანს ეძინა. რომ გამოეღვიძა (თუკი შეიძლება ამგვარ ყოფას გამოღვიძება დაერქვას), უკუნეთიდან ადამიანის კვნესა, სუნთქვა, შმაშური შემოესმა, ყურს არ დაუჯერა, წამოსწია თავი, გარინდული ჩააჩერდა წყვდიადს. თითქოს სიბნელეს სული ჩაედგა და მისკენ მოფორთხავდა. ფორთხვისა და ჩუმი კვნესის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. აბო შიშმა შეიპყრო.

ვინ უნდა ყოფილიყო? ვინ ხარ, რა სულიერი ხარო, უნდოდა დაეყვირა, მაგრამ ხმა აღარ ამოსდიოდა, ჩაწყდომოდა ხმა. სიზმარი ყოფილიო, გული დაიმშვიდა. ასეთი რამ სიზმარში ემართებოდა, მაგრამ არა! — სუნთქვა და ფათურისებური შრიალი სულ ახლოს გაისმა, მისკენ — ... თუ ვიღაც მოხოხავდა და... თავზე, კისერზე ხელი მოუსვა იმ ვიღაცამ... ახლა კი საზარელი ხმა აღმოხდა აბოს — „აა!"

— აბო!.. — გაისმა ჩურჩული სიბნელეში, — მე აბოს ვეძებ... აბო ხარ?..

აბოს იმედი მოეცა, ადამიანის ხმა იყო.

— ვინა ხარ? — კანკალით იკითხა.

— ნუ გეშინია, ვააიჰ!..— უთხრა ხმამ სიბნელიდან.

აბო გონს მოეგო. მართლაც და რისი ეშინოდა? სიკვდილის? აკი სიხარულით მოდიოდა სასიკვდილოდ? გაიცხა სუსტი აბო და სულის სიღრმეში მთვლემარე აბოს მოუხმო.

— კარიჭ კარიჭის ძე ვარ, — უთხრა კვლავ იმ ხმამ, — შენ რომ პირველად შეგიპყრეს, მას აქეთ აქ ვგდივარ. დღეში რამდენიმეჯერ შემოდიან და მცემენ. ქრისტე ღმერთი დააგდე და მაჰმადს შეუდექიო, ვააიჰ... პირველად აქ გავიგონე შენი სახელი, თურმე მაჰმადი უარგიყვია და ქრისტე გიწამებია. განა ასეთი რა დაგიშავა საკუთარმა ღმერთმა, რომ სხვისას მიელტვი. შენი გულისთვის მაწამებენ, უნდათ სამაგიერო გადაუხადონ ქრისტიანებს, ვააიჰ!.. ქრისტიანთაგან ვინმეს უნდა დაათმობინონ თავისი სჯული და მაჰმადი აწამებინონ. თურმე ხალიფა მოითხოვს ამას. ეს ვინმე მე აღმოვჩნდი. შემიპყრეს ქუჩაში, ვააიჰ!.. და მტანჯავენ, გინდა თუ არა, მაჰმადი იწამეო. ხომ აბო ხარ, შვილო, ნამდვილად? მითხრეს, ამ საღამოს აქ აბოს შემოაგდებენო...

— აბო ვარ... — ჩურჩულითვე უთხრა აბომ, თუმცა ბნელ დილეგში მათ გარდა არავინ იყო, მათი ხმა არავის ესმოდა.

— თუ აბო ხარ და თუ მართლა გწამს ის ღმერთი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად, კვნესით წარმოთქვამდა სიტყვებს — მიიქეც, შვილო, შენს სჯულზე, ვააიჰ!.. შენც მოისვენებ, მეც მომასვენებ, ბევრ სხვასაც მშვიდ ძილს არ გაუკრთობ... ამბობენ, ვააიჰ... ვააიჰ!.. შენი გულისთვის სხვებსაც სტანჯავენო...

— ჩემი გულისთვის? — შეწუხდა აბო, თავს ძალა დაატანა და წამოჯდა.

— სწორედ შენი გულისთვის, ისეთ ქრისტიანს ეძებენ, ვინც მაჰმადის სჯულზე მიიქცევა და მას საჯაროდ აღიარებს, ვააიჰ!.. ნებით რაკი

არავინ გამოჩნდა, უნდათ ძალით მოაქციონ, ამბობენ, დილეგები სულ ქრისტიანებით აავსესო. ხვალ დილით გაიგონებ მათ კვნესას.

— კეთილო კაცო, — უთხრა აბომ კარიჭ კარიჭისძეს, — ხელები უკან შეკრული მაქვს, მადლი მოიკიდე და შემიხსენ, თოკი მიჭერს...

— ხელებშეკრული შემოგაგდეს? არამზადები!.. ვეღარ გიშველი, ჩემს ხელებს სიბნელეში ფათური შეუძლიათ, სხვა არაფერი... ფრჩხილები დამაღლიტეს წამებაში, სალოკი თითი სულ მთლად მომაგლიჯეს, იარებზე ცეცხლი მეკიდება და ბალღამი მდის... ვააიჰ! ნეტა ქრისტიანი არავინ გამოჩნდება ამ უკუნეთში, რომ მომკლას და მომასვენოს?..

„კარიჭ კარიჭისძე, — გაიმეორა აბომ გუნებაში. — ალბათ მომიგზავნეს ეს კაცი“... — დაასკვნა და გადაწყვიტა ფრთხილად ყოფილიყო, არაფერი წამოცდენოდა. კარიჭ კარიჭისძეც გაჩუმდა რატომღაც. საზარელი ამბავი უთხრა, შენს გამო გვტანჯავენო. სიბნელეში მხოლოდ შმაშური და სუნთქვა გაისმოდა, ალბათ კარიჭ კარიჭისძეც წამოჯდა.

— განა ამათ თავს ვაწამებინებდი, — გამოუტყდა სწრაფად აბოს კარიჭ კარიჭისძე, — ამდენ ხანს შევუდგებოდი მაჰმადს, ჩემი ღმერთის რომ არ მეშინოდეს... თან ღმერთის მეშინია, თან წამებას ვერ ვუძლებ, ვითმენ, მაგრამ მოთმენასაც ხომ აქვს საზღვარი? ვააიჰ! — კიდევ უფრო დაუწია ხმას კარიჭ კარიჭისძემ, თითქოს ღმერთსაც ემალებაო, ამბობენ, დედაწულთაც გვიწიოკებენო. რისთვის ადამის ძეო. ვმარხულობ, ვლოცულობ, ვისთვის რა დამიშავებია? რატომ არ ესმის ღმერთს ჩემი ხვეწნა-ვედრება, რატომ გამწირა ასე სასტიკად? ვაი, დედა! ეგებ ჩვენი მუსლიმანებად ქცევა სწორედ ღვთის ნებაა, ჩვენ კი ვერ მივმხვდარვართ. ღმერთიც ამიტომ მოგვივლენს ტანჯვა-წვალებას.

— არა, ქრისტიანო, ღვთის ნება არ არის, — ჩურჩულითვე მიუგო აბომ, — სატანის ნებაა, სატანა გვტანჯავს და გვაწამებს, ქართლი სატანებს უპყრია, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა სატანათა კერძი გამხდარა, მორწმუნეო, სატანა გალაპარაკებს!

— აბო! — შესძახა სიბნელეს კარიჭ კარიჭისძემ, — განა არ ვიცი, რომ სატანა მალაპარაკებს... თუკი ესეც ღვთის ნებაა? — თუ მე ღირსი არა ვარ ქრისტიანი ვიყო და ღმერთი ნებას მრთავს მაჰმადს შევუდგე?.. ეგებ ასე სჯობდეს, ეგებ მე ეს მიწერია?..

— როგორ, თქვენ, ქრისტიანი, აპირებთ მიიქცეთ მაჰმადის სჯულზე? — ხმას აუწია აბომ.

— დიახ! — შეჰღალადა სიბნელეს კარიჭ კარიჭისძემ. — შენ გელოდებოდი, მოწამევ, — უჰუ-ჰუ-ჰუ!.. მითხრეს, რომ ამ საღამოს აქ მოგიყვანდნენ და დავითმინე... შენა ხარ ჩემი უკანასკნელი იმედი,

თუ მიიქცევი შენს სჯულზე, მე ჩემსაზე დავრჩები, აჰ... ავაჰ... ალარ მაიძულებენ მუსლიმად ქცევას. შენთვის უფრო ადვილია უცხო მიქცევა. შენ ხომ უცხო ყვავილი ხარ, უცხო მიწაზე გადმოტანილი ღმერთი გაპატიებს, შეგივრდომებს, მე კი, მე უბედურს, ჯოჯოხეთის ცეცხლში დანთქმა მელის, წარწყმენდა არ ამცდება.

— მოგაგზავნეს... დინარები ჩაგიჩხრიალეს!.. — ვეღარ მოითმინა აბომ. — იუდა ბრძანებულხარ!.. — აბოს ხმაში მრისხანება გამოკრთა.

— სცდები, ჭაბუკო! იუდას ოცდაათი ვერცხლი მისცეს, ჩვენ გახვრეტილ ყურუშსაც არავინ გვაძლევს, ისე გვაქციეს იუდებად, ჩემისთანები აქ ბევრნი არიან... — ხავილით უთხრა კარიჭ კარიჭისძემ. — მე კი მეტის მოთმენა არ შემიძლია!.. — ხვალიდან მუსლიმი ვარ, ჭეშმარიტი მუსლიმი! სიცოცხლეში ჯოჯოხეთში ყოფნას, ისევ სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთის ცეცხლში დანთქმა მიჯობს. დაე, სიცოცხლეში გაიხაროს ჩემმა ცოლ-შვილმა და საიქიო ცხოვრება თქვენთვის დამითმია!..

— სატანა! ღმერთო ჩემო, ქვეყანას სატანა დაეპატრონა! — შესძახა აბომ და ისევ დაემხო მიწაზე პირქვე.

დილეგში სიჩუმე ჩამოვარდა.

აბომ ლოცვა წამოიწყო. ჩუმად, თავისთვის მიწაზე დამხობილი ლოცულობდა. „უფალო, შემიწყალე ჩვენ, რამეთუ შენ გესავთ... ნუ განმირისხდები ჩვენ ფრიად“... — ბუტბუტებდა გზნებით და წყვდიადში დაეძებდა მხსნელსა და მფარველს, ეგებ წამით მოლანდებოდა განსაცდელის ჟამს, თავდავიწყებით მისცემოდა ლოცვას. „გვიხსენ ჩვენ მტერთა ჩვენთაგან, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩვენი და ჩვენ ვართ ერი შენი“... იოანეს ნასწავლი ლოცვა იყო. მან გადმოიღო ბერძნულითგან და ასწავლა. იოანეს ხატებამ გაირბინა წყვდიადში. გაუხარდა, იმედი მოეცა, უმატა და უმატა ლოცვას.

უცებ ჩურჩული შემოესმა სიბნელეში, ეგონა კარიჭ კარიჭისძე ეძახდა, ლოცვა შეწყვიტა და ყური მიუგდო. კარიჭ კარიჭისძეც ლოცულობდა, ისიც ჩუმად, თავისთვის ბუტბუტებდა „მამაო ჩვენოს“.

აბოს გულზე მოეშვა, გაუხარდა, ღმერთმა დილეგში შემოიხედაო, იმედი მოეცა.

ჩუმად ლოცულობდნენ. დილამდე ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ, ლოცვა-ვედრებაში გაატარეს ის ღამე.

დილით აბო მედილეგეებმა წამოაგდეს ზეზე. წასაყვანად მოამზადეს: ხელები შეუხსნეს, ალბათ ზედამდგომელთან მიჰყავდათ. გამომშვიდობებისას კარიჭ კარიჭისძემ დაადევნა:

— აბო, ილოცე ჩემი ცოდვილი სულისათვის, დღეს მე დღის სინათლეს ვიხილავ...

მედილეგეებმა აბო ჯერ აბანოში წაიყვანეს, შემდეგ [illegible] ბოლოს მედილეგეთუფროსი მოვიდა ათიოდე შუბოსანი—[illegible]. პყრობილი ჩაიბარეს და გზას გაუდგნენ, ჯერ მიწისქვეშეთში მიჰყავდათ, შემდეგ გვირაბივით გასასვლელში გააძვრინეს, მაღალი კიბე აღიმართა მათ თვალწინ, იმ კიბეზე ავიდნენ, ვიწრო დერეფნით ფართო დერეფანს მიადგნენ. „მოჰყავთ, მოჰყავთ!“ — გაისმა აბოს ზურგს უკან. მიხედ-მოხედვის ნება არ ჰქონდა, მაინც მიიხედ-მოიხედა ქურდულად, ამირას სასახლე უნდა იყოსო, გაუელვა გონებაში. მართლაც, სადღაც დიდ დარბაზში შევიდნენ. იქ ერთ კარს ორი მეხრმლე, ორი შუბოსანი და ორიც მშვილდოსანი იცავდა. ვანის მცველებმა აბო გვერდით გაიხმეს და გაჩხრიკეს. თვალის უპეებიც კი გაუსინჯეს.

აბო გაჰკვირდა ფრიად, როცა უთხრეს, რომ ამირასთან მიჰყავდათ, აბოს მსგავსთ, სხვა დროს და სხვათა ქვეყანაში, მუსლიმები პირდაპირ ისტუმრებდნენ საიქიოს. აბო კი ჯერ შურტათმთავარმა დაიბარა, ახლა თვითონ ამირა მოითხოვდა მასთან შეხვედრას. ჩანს, აბო უბრალო მოწამე არ იყო. სარკინოზები მის მოქცევას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე სჯულის უარყოფას ან ახალი სარწმუნოების მიღებას.

აბოს ამირა გაღიმებული შეხვდა. პყრობილი თვალებს არ უჯერებდ, მას შემდეგ, რაც ქრისტე აღიარა, სარკინოზს მისთვის შუბლგახსნილად აღარ შეუხედავს. ვინ გაბედავდა ალაჰისა და მაჰმადის მოღალატისათვის შუბლგახსნილს შეეხედა. როგორც მუხთალს, მუხანათს, არამზადას ისე უყურებდნენ, არგნითა სცემდნენ და აფურთხებდნენ. ამირა მუსლიმთაგან პირველი იყო, ვინც გაუღიმა. რას მოასწავებდა ეს ღიმილი?

აბო ხალიჩაზე დაემხო და ეთაყვანა. შუბოსნები კედელთან აიტუზნენ, კარებშიც ჩადგნენ, ამირას საყოფელში მათ უნებურად ახლა ბუზი ვერ შემოფრინდებოდა და გამოფრინდებოდა.

— შენზე ამბობენ, რომ ნათესავით და ტომით სარკინოზი ხარ,— უთხრა ამირამ ძირს დამხობილს მშვიდი კილოთი, — თანაც ხალიფას მედილეგის შვილი ყოფილხარ...

— კეთილს ბრძანებთ, დიდო მსაჯულო, — მიუგო აბომ, — ვშობილვარ სარკინოზად, განსწავლული ვიყავ სჯულითა მაჰმადისათა...

— დაგიტოვებია მამული, სჯული და ქრისტეს შედგომიხარ, ქრისტიანებს შეუცდენიხარ...

— ეგეც კეთილად ბრძანეთ, რომ მამული, სჯული დამიტოვებია...

„ქრისტიანებს შეუცდენიხარო“, აბომ უპასუხოდ დატოვა. არც კარგი თქვა და არც ავი, თითქოს არ გაუგონია.

— დიდი ერის შვილი ხარ, ჭაბუკო, ჭკუა-გონებით შემკობილი ბი... ხალიფატს სწორედ შენისთანები სჭირდება, უძლეველი ხალიფატი თქვენზე ამყარებს იმედს. შენ კი სხვას შედგომიხარ... ვინც თავის დედულ-მამულს უღალატებს, ის სხვასაც აღარ გამოადგება. არაბი ერი მსოფლიო ერია, თითქმის მთელი ქვეყანა არაბულ ენაზე მეტყველებს, მომავალი არაბისაა! შენ ეს რომ იცოდე, დედულ-მამულს არ უღალატებდი.

ამირა უკვე მღელვარედ ლაპარაკობდა, მოსწონდა თავისი ნამჭევრი და თანდათან უმატებდა ხმას.

— ახალი ხალიფა, მოსე ალ-მუმნი ახალგაზრდა კაცია, გარშემო სულ ჭაბუკები შემოიკრიბა, დიდი ვაზირიც კი ჩვენი ხნისა ჰყავს, — მთლად გაუშინაურდა პყრობილს, — რაკი ასეთი დიდი ნდობა გამოგვიცხადეს ახალგაზრდებს, ჩვენც სისხლის ფასად უნდა გავამართლოთ ეს ნდობა, ხომ ასეა?..

— კეთილს ბრძანებთ, — მიუგო კვლავ აბომ,—მე დიდი ერის შვილი ვარ, ხალიფატს ახალგაზრდები სჭირდება, ვინც მამულს უღალატებს, ის სხვასაც არ გამოადგება, არაბი ერი მსოფლიო ერია, თითქმის მთელი ქვეყანა არაბულ ენაზე მეტყველებს, დიდი ხალიფა მოსე-ალ-მუმნი ახალგაზრდაა, თქვენც ახალგაზრდა ბრძანდებით, რაკი ხალიფამ ნდობა გამოგიცხადათ, თქვენც ერთგულება გმართებთ.

— თუ ეს ყველაფერი იცი, მაშ, სამშობლოს რად უღალატე? წამოდექ, არ მიყვარს დაჩოქილი მუსლიმი!

აბო წამოდგა, რატომღაც შუბოსნებს გახედა ნაღვლიანად და თქვა:

— მე... მოღალატე... არა ვარ, დიდო მსაჯულო.

ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოილუღლუღა. თავდახრილი იყო, თავი მაღლა მაშინაც არ აუწევია, როცა ამირა წამოდგა და ახლოს მივიდა. მძლავრმა თავი აუწია ჭაბუკს და თვალებში ჩახედა.

— როგორ? — გაოცდა ამირა, — მაშ ვინა ხარ?..

— მორწმუნე ვარ, უფალსა ვესავ...

— ვის უფალს, მტრისას?..

— რათა მტრისას, კეთილო პატრონო, ქართველი განა მტერია არაბისა? ქართველი, არაბიელი, სპარსი, იონი, ხაზარი ყველანი ღვთის შვილები ვართ,— ძმანი ხართო უფალმა გვითხრა და სამოთხეში გაგვიშვა.

მოღალატე ის არის, ვინც ღვთის ნებას არ ასრულებს, ვინც მოძმის

ჩაგვრასა და ტანჯვაში თავის ბედნიერებას ხედავს. აღძრულა მთელი ქვეყნის დასაპყრობად, რათა თვითონ იბატონოს, სხვა კი დაიმონოს.

— აბო, შენზე ამბობენ ჭკვიანი ჭაბუკიაო... ნუთუ შეგიერთებია, რომ ღმერთმა მუსლიმი ბატონად გააჩინა და სხვანი კი მონებად.

— კეთილს არ ბრძანებთ, უფალო! ღმერთი სამართლიანია, ღმერთს უსამართლონი არ უყვარან.

არაბიელი აგარის შთამომავალია. მხევალ აგარისაგან ეყოლა აბრაამს ისმაილი. მუსლიმების წინაპარი ისმაილია. ისმაილისა აბრაამი, აბრაამისა სემი, სემისა ნოე, ნოესი მათუსალა, ხოლო ყველანი ადამის შთამომავალნი არიან, ღმერთს დაუდგენია ძედ ადამისად.

როცა ძმა ძმის წინააღმდეგ აღიძვრის, ძმათა სისხლსა ჰღვრის და ძმათა წარსტაცებს დედულ-მამულს, იქ სატანის ხელი ურევია და არა ღვთისა.

მოღალატეც ის არის, ვინც თავის ერს ძმათა სისხლის დასაღვრელად, ძმათა მამულის მისატაცებლად მოუწოდებს.

— ვინ მიგაჩნიათ თქვენ ასეთად, — გამომწვევად ჰკითხა ალი ჰასანმა. მას უკვე იმედიც დაკარგვოდა და მოთმინებაც, ამ ატაცებულ ქრისტიანს რამეს შეასმენდა.

— თქვენ, ხალიფატი! — მოულოდნელად მიახალა პირში ამირას აბომ. ამირა ალი ჰასანი გულის სიღრმეში მოელოდა ასეთ პასუხს. ასეთი პასუხის შემდეგ ამირა ვალდებული იყო მოეხმო ჯალათები და აბოსთვის თავი მოეკვეთა. ალი ჰასანი ამირა საიდას არ ჰგავდა, მსხვერპლს დიდი მოთმენით ელოდებოდა. „უცებ დასჯა“ არ მიაჩნდა ჭეშმარიტი მსაჯულის საქმედ. რაკი მთელი ერის წინამძღოლად და მსაჯულად დაადგინეს, ყოველი მისი ნაბიჯი აქ, ამ უცხოთა ქვეყანაში, მოზომილი, მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი უნდა ყოფილიყო. ძალა მოიკრიფა, სიმშვიდეს მოუხმო და ამ ახირებულ ქრისტიანს ერთხელაც შორიდან მოუარა:

— ცოფი შეგყრია! იქნებ იმის გამო, რომ შეჭირვებულად ცხოვრობდი აქ, უცხოთა შორის, მონა იყავ და ნიჭი და პატივი მოგაკლდა. მე ამა ქვეყნის პატრონი ვარ, მოგცემ ყველაფერს, რასაც ინატრებ, ნიჭსაც და პატივსაც უხვად მოგაგებენ, მოლაშქრეთა ათისთავად დაგაყენებენ, ოქრო და ვერცხლიც გებოძება, ოღონდ ეგ სიშლეგე სხვას არავის უთხრა.

აბომ ჩაიცინა, ალი ჰასანი გაოცდა, რა აცინებსო.

— მე პატივს კაცთაგან არა ვეძიებ, — ჩაიდუდუნა თავისთვის აბომ, — არც ოქრო და ვერცხლი მწადიან — მაქვს ნიჭი ქრისტესმიერი,

პატივი საუკუნოთა ცათა შინა. ოქრო და ვერცხლი თქვენთვის დამორ-
მია წარსაწყმედელად.

— ბორკილები!.. — თქვა ღიმილით ალი ჰასანმა.

„ბორკილები“ — გასძახეს ვანის მცველებმა ერთმანეთს და წინა-
წარ მომზადებული რკინის ხუნდები შემოიტანეს ჯალათებმა. ხელები
და ფეხები შეუკრეს რკინის ხუნდებით და წაიყვანეს. ვიდრე ამირას
საბძანებლიდან გავიდოდა, ამირასა და გარშემო შემოკრებილ სასახ-
ლის მცველთა, ჯალათთა და შურტათა გასაგონად ხმამაღლა თქვა:

„მადლობა შენ, უფალო და მაცხოვარო ღმერთო ჩვენო, იესო ქრის-
ტე, რამეთუ ღირს მყავ განკითხვასა“...

ჯალათები მისცვივდნენ და პირზე ხელი დააფარეს. ქრისტე ღმერთ-
თის ხსენება ამირას სასახლეში ქვეყნის დაქცევას უდრიდა მუსლიმ-
თათვის.

მეორე ღამე

მძიმე ბორკილების ჟღარუნით ნელა მიმოდიოდა სიბნელეში და
რკინის მღერას ყურს უგდებდა. გარეთ დღე იყო, დილეგში კი ღამე.
როცა უფრო ჩამობნელდა საკანში, ყურუმი გახდა სიბნელე, წყვდიადი
გახასხასდა, აბომ გაიფიქრა: „ალბათ დაღამდა“.

პირჯვარი გადაისახა შებორკილი ხელებით, ლოცვაში გაატარებდა
ამ ღამეს, დაელოდებოდა აღსასრულს...

წყვდიადში ჩაიძირა, კარიჭ კარიჭისძე წარმოუდგა თვალწინ...
ფრჩხილებდაღლეტილ კაცზე ფიქრი აეკვიატა. ეგონა, დილეგში დახვ-
დებოდა, აღარ დახვდა. ალბათ განაზრახი აღასრულაო, — გული დაწყ-
და. უფრო სხვების ბედი აწუხებდა, ვიდრე კარიჭისძისა. კარიჭისძეს ვე-
ღარავინ უშველიდა, სული ეშმაკისთვის მიეყიდა. „ამბობენ, ამ დილ-
ეგებში სულ ქრისტიანები ჰყრიანო“, — ჩაესმოდა ყურში კარიჭისძის
ხმა. იმ ქრისტიანთაგან ნუთუ კიდევ გამოერეოდა ვინმე კარიჭ კარი-
ჭისძის მსგავსი?

გული დასწყვიტა კარიჭ კარიჭისძემ. რისთვის მარტვილობდა აბო,
ვისთვის... თუკი ქართველები თვითონ მიატოვებენ თავიანთ სჯულს,
აბოს თავგამოდება დარჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

იქნებ სულ ტყუილად აწამებინებდა თავს, იქნებ მართლა სჯობდა
ჩუმად ჰყვარებოდა იესო ქრისტე, ჩუმად ელოცა მისთვის და პირჯვა-
რიც ჩუმად ეწერა. აბოს ეგონა, რომ ქართველებისთვის და არაბების-
თვის სწირავდა თავს. მისი აზრით, ორი რჩეული ერი იდგა დაღუპვის

პირას. ერთი დაპყრობილი იყო, მონობაში საკუთარი ხახე დაეკარგა, დაჩიავებულ-დაბეჩავებული სულიერ გარყვნას და გახრწნას მისცემოდა, მეორე სხვათა დამონების, ძარცვისა და მიტაცების ვნებას შეეპყრო, გონებადაბნელებულმა თვით არ უწყოდა, რას იქმოდა. აბოს მათთვის გადაედო თავი, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს არათუ ვერ გაეგო ეს თავდადება, თვით ქრისტიანნიც ეჭვით უყურებდნენ საკუთარი ღმერთის უარმყოფელს.

აბომ შეატყო, რომ ეჭვი შეეპარა თავის თავში, მცირედ მორწმუნეობისათვის თავი გაიკიცხა და ღმერთს პატიება სთხოვა. ჩაეფლო წყვდიადში და თავის მოძღვარს დაუწყო ძებნა. ნერსე ამოტივტივდა წყვდიადიდან, გაუღიმა მსახურს ერისთავმა და კვლავ წყვდიადში ჩაინთქა. ეს ღიმილი ხაზარეთიდან ახსოვს აბოს. იქ უთხრეს პირველად ნერსე ერისთავს აბოს ნათლისღების ამბავი. აბო მსახურთა შორის იდგა და შორიდან შესცქეროდა პატრონს, ხომ არ გამირისხდებაო.

— აბო! — დაუძახა ერისთავმა. გვერდით ამოიყენა,—ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, — მხარზე ხელი დაჰკრა. ნერსე ერისთავის ნათელი ღიმილი მზესავით ელავდა წყვდიადში, ტოლივით დაჰკრა მხარზე ხელი თვითონ ნერსე ერისთავმა... რა ბედნიერი იყო მაშინ აბო!

ბედს ახლაც აღარ უჩიოდა, არც ბორკილი აშინებდა, არც დილეგი, სიკვდილისთვისაც მზად იყო, მაგრამ ვაითუ ამაო იყო ყოველი. მარტოკა მარტვილობდა, პირადი ნეტარებისთვის ტანჯვა კი არ ენება, სხვებისთვის ეწამებოდა, მთელი ქვეყნიერებისათვის სწირავდა თავს, თავის ჭკუით. ეს ფიქრი ძალას ჰმატებდა, იმედსა და ნუგეშს აჩენდა. როცა კარიჭ კარიჭისძე შემოიჭრებოდა წყვდიადში, იმედის მომცემი ის ლამაზი ფიქრი უმალ უქრებოდა, ცრემლით აევსებოდა უპენი და სასოწარკვეთას მიეცემოდა.

— აბო! — ეძახდნენ წყვდიადიდან, ლეონ აფხაზთა მთავრის კაცები დარბაზში იწვევდნენ ყმაწვილს. ეს თითქოს დაუჯერებელი იყო — სახელგანთქმული ლეონ მეორე — მპყრობელი აფხაზეთისა, ეგრისისა, ჭანეთისა, არგვეთისა... ვიღაც მენელსაცხებლე აბოს იხმობდა სადარბაზოდ.

კარის საყდარში ძელსა სამგზის სცეს, სასახლის წინ მთავრის მარადი მცველი მონა-სპა გამწკრივდა, აბო თვალსა და ყურს არ უჯერებდა: თურმე ნერსე ერისთავს უთქვამს აფხაზთა მთავრისთვის აბოს ნათლისღების ამბავი, ლეონ აფხაზთა მთავარი მენელსაცხებლის საქციელს აღტაცებაში მოუყვანია, საპატიო სტუმრის მეფურად მიღება უბრძანებია.

წყვდიადიდან აბოს გაბრწყინებული თვალები ანათებდა, პყრობილი აბო იმ ბედნიერ აბოს უმზერდა, აფხაზთა მთავრის სასახლეში ზეიმით რომ შედიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპატიო სტუმრის სანახავად მთელი სასახლე შეკრებილიყო. ყმაწვილს თვითონ მთავარი შემოეგება. აბომ მაშინაც მოჰკრა თვალი ნერსე ერისთავის მცინარე სახეს. პატრონი დარბაზის ერში იდგა და სახე ღიმილით განათებოდა, — ამაყობდა თავისი მსახურით. აბო მთავრის წინაშე დაემხო და კაბის კალთაზე ეამბორა, ლეონმა აბო დარბაზის ერს წარუდგინა. ლეონმა მაშინ თქვა, რომ აბო არის მისაბაძი ყმაწვილი ქართველთათვის და არაბთათვისაც.

აბომ არ იცოდა, დღის სინათლეს იხილავდა თუ არა, რაკი ამირა განურისხდა, ალბათ ამ დილეგიდან ცოცხალი ველარ გამოაღწევდა. ამიერიდან წყვდიადი იყო მისი სამყოფელი. მაგრამ ის ნათელი დღეები თვალთაგან აღარ შორდებოდა, წყვდიადით კი არა, იმ დღეებით ცხოვრობდა აქ, დილეგშიც.

ლეონ აფხაზთა მთავარი აბოს, როგორც ტოლს, დაუმეგობრდა, აბოს რცხვენოდა, არ ჰქონდა ისეთი აღზრდა, მთავარს გაშინაურებოდა. მსახურად იყო გაჩენილი და ყველას სამსახურს სთავაზობდა. ლეონ მეორე კი წარამარა იბარებდა აბოს სასახლეში და ნათლისღების ამბებს ჰკითხავდა. აბოც თავმოდრეკილი უყვებოდა, თუ როგორ აღეძრა სურვილი ქრისტეს შედგომოდა.

აბო აფხაზეთის მთავართან და ნერსე ერისთავთან ერთად დადიოდა ღვთისმშობლის საყდარში და მათთან ერთად ლოცულობდა. აფხაზეთის ეპისკოპოსნი და ხუცესნი აბოს ქრისტესმოყვარეობას მორწმუნეთ ამცნობდნენ და მის სახელს ქადაგებაში მოიხსენიებდნენ.

ყმაწვილი ღმერთსა ჰმადლობდა, რამეთუ იხილა ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწმუნოებითა, ურწმუნოთაგანი არავინ იპოვებოდა მისაზღვრამდე ქალდიისა. „კეთილ არს ბაძვა კეთილისათვის მარადის“, — წმიდისა მოციქულისა სიტყვისამებრ, გარდამეტებულ ღვთისმოყვარე კაცთ მიბაძა, განეშორა ქალაქს და უდაბნოში სამი თვე დაჰყო მარხვითა და დუმილით.

ლეონ აფხაზთა მთავარი აფხაზეთის ეპისკოპოსნი და ხუცესნი უფრო აღივსნენ სიყვარულით ნეტარისა აბოს მიმართ და სთხოვეს მას დარჩენა თავიანთ ქვეყანაში.

— ქვეყანა ქართლისა სარკინოზთა უპყრიეს, — უთხრა გულითადად აფხაზეთის მთავარმა, — შენ ხარ ბუნებით სარკინოზი, მეშინია, ვაითუ

განგდრიკონ სარწმუნოებისაგან უნებლიეთ და ესოდენი შრომა შენი წარსწყმიდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბოს დილეგშიც გარკვევით ჩაესმოდა ლეონ აფხაზთა მთავრის კეთილი ხმა, „ვაითუ განგდრიკონ“.

— ქართლში შემიწყნარა უფალმა ჩემმა, იესო ქრისტემ, — ეს იმ ჭაბუკი აბოს ხმა იყო, აფხაზები ხელისგულზე რომ ატარებდნენ. — იქ განმაშორა ბნელს, უმეცრებას ჩემსას და უკვდავ ნათელს მაზიარა. ვერა განმდრიკოს ვერავინ, ვერცა მაცდუნოს. მომცენ ოქრო-ვერცხლი, გინა ტანჯვითა და გვემით განმიკითხონ, ვერ განმაშორონ უფლისა ჩემის სიყვარულს. გევედრები განმიტევე იქ, საცა უფალმა ჩემმა შემიწყნარა, რათა ეუწყოს ქრისტესმოძულეთ ქრისტიანობა ჩემი.

— შვილო, სარკინოზთა სჯულისკანონი სჯულის უარმყოფელს სიკვდილს მიუსჯის. — უთხრა ბოლოს აფხაზთა ერისმთავარმა მოურიდებლად.

— აბოს არავის დავანებებთ! — უთხრა ლეონს ნერსე ერისთავმა.

აბოს თვალები ცრემლით აევსო. ნერსე ერისთავი დაუდგა თვალწინ, ის ნერსე კი არა, თოკით შეკრული და დაშანთული, თავის აივანზე მოფუსფუსე, სტეფანოზ ერისმთავრის წინ, აბოს გამო, დამნაშავესავით ატუზული წარმოესახა. ვითომ არაფერი იცოდა აბოს ნათლისღებისა, ვითომ პირველად ესმოდა მისი მსახურის ქრისტიანობა. როგორ უნდოდა ჭაბუკს დაემალა, არ ეთქვა, რომ ქრისტიანთა სალოცავში დადიოდა. ახლა დილეგიდან უხდიდა აბო ბოდიშს, საყვარელ პატრონს ვაწყენინეო, გუნებაში დარდობდა.

მაგრამ მთავარი მაინც მოსასხამი იყო! ეგვიპტური ჭრელი მოსასხამი შემოფრიალდა დილეგში.

აფხაზთა მთავარმა აჩუქა გამომშვიდობებისას. როცა ნერსე ერისთავმა თქვა, აბოს ჩვენ არავის დავანებებთო, ლეონმა სტუმრებისათვის საბოძვრის გაცემა ბრძანა: ნერსე ერისთავს დარახტული წყვილი ბედაური მოართვეს და ხალიბური რვალი. ერისთავის ასისთავებსაც ჩამოურიგეს შეკაზმული ცხენები. მსახურს, ქრისტესმოყვარე არაბიელს (ასე გამოუცხადეს მაშინ) ყმაწვილ აბოს ეგვიპტურ მოსასხამს უბოძებდნენ. აბოს ფრთა შეესხა, განუზომელმა სიხარულმა გული აუფრთხიალა. ნერსეს საპატიო ამალაში იდგა თვალებგაფართოებული და მოთმენით ელოდა, როდის მოართმევდნენ ეგვიპტურ მოსასხამს.

ჭრელი, შრიალა მოსასხამი გულში ჩახუტებული ჩამოიტანა თბილისში და იოანეს მიაბარა. მას შემდეგ იქ, მონასტრის სკივრში, თვალისჩინივით ინახავდა ძვირფას საჩუქარს. მასზე ძვირფასი არაფერი

ებადა, სულდგმულივით ეფერებოდა და ეალერსებოდა. აფხაზეთმა გაახსენა მოსასხამი, ისიც ხომ იმ ნათელი დღეების ერთი ნაგლეჯი იყო, ამიტომ ფრიალებდა წყვდიადში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილეგის კედელთან მიყუჟულიყო, ჩამყუდროებული უკეთ წარმოთქვამდა საგალობლებს, ფსალმუნობაში გაათენებდა ღამეს, ჟამიდან ჟამად კი წყვდიადიდან ნათელი დღეები ამოდიოდნენ, ნათელი სახეები ილანდებოდნენ და ღვთაებრივ ტკბობას მიწიერით ცვლიდნენ. ნეტა რა დრო იყო? დრო გადიოდა თუ არ გადიოდა? ყურუმი სიბნელე ჯერ მურუჟღით არ შეცვლილიყო, არც მამლების ყივილი ისმოდა არსაიდან, მამლების ყივილი იქ, ჯოჯოხეთურ მახრჩობელა დილეგში, გაიგონა, აქ რატომ არ უნდა გაეგონა?

— ალბათ ჯერ შორს იყო განთიადი...

უცებ აღმოაჩინა, რომ კარიჭ კარიჭისძე მოენატრა. თვით კარიჭისძეც კი სჯობდა შავ მარტოობას. წყვდიადში დაიწყო ძებნა, ვერ იპოვა. წუხანდელი ღამე გაიხსენა. კარიჭ კარიჭისძის ადგილას სიბნელე იყო, ადამიანის სახე არ ჰქონდა, კარიჭ კარიჭისძე შავ ღრუბელს ჰგავდა, შავ ორმოს... სიშავე ლაპარაკობდა წყვდიადიდან.

შავი ორმო უამბობდა საზარელ ამბებს — შენს გამო დილეგებში ქრისტიანებს აწამებენო, გახვრეტილ ყურუმსაც არავინ გვაძლევს, იუდებად ისე გვაქციესო. ის მოლაპარაკე შავი ორმო ერჩია ურჩხულის ხახასავით ჩაშავებულ დილეგს. ისევ წარსულს მიუბრუნდა, აწმყოსა და მომავალში არაფერი ეგულებოდა ნუგეშის მომცემი. წარსულით უნდა ეცოცხლა, წარსული მხარში ედგა განსაცდელის ჟამს, განუყრელად მასთან იყო თავისუფლებაშიც და პყრობილობაშიც, დილეგში არც აწმყო იყო, არც მომავალი, იდგა მხოლოდ წყვდიადი, მძიმე, შავი მარტოობა ჩამოწვებოდა და აბოს ეგონა, ხანდახან თვითონაც არ იყო აქ, იყო მხოლოდ და მხოლოდ შემზარავი სიშავე, როცა წყვდიადიდან წარსული ამოტივტივდებოდა, მაშინღა გრძნობდა საკუთარ გვამს, საკუთარ არსებობას მაშინღა ამჩნევდა.

სადილეგო ამირას მტკვარს გაღმა ჰქონდა, ქალაქის ბოლოს. დილით, ადრე, სადილეგოს შავით მოსილი მონაზონი მიადგა და ვანისმცველს მედილეგეთა უფროსთან შეხვედრა მოსთხოვა. ვანისმცველმა უფროსი არ არისო, — ცივად მოიშორა კუნკულიანი ბერი. მაშინ მონაზონმა ვანისმცველს მისი შეპყრობა და დილეგში ჩასმა უბრძანა. ვანისმცველი გაოცდა, ყურებს არ დაუჯერა. ალბათ ვინმე ჭკუაზე შემცდარიაო და ხელის კვრით დაუპირა გაგდება სადილეგოდან.

მონაზონი ვანისმცველს გაექცა და პირდაპირ დილეგებისაკენ გაქანდა. ვანისმცველმა ყვირილი ასტეხა. თავიანთი სადგომებიდან გამოცვივდნენ სხვა ვანისმცველნი, მედილეგენი და თვით მედილეგეთუფროსიც გამოჩნდა. ამასობაში მონაზონმა კარღია დილეგი იპოვა და-მიგიმეტა ვარდა.

შეიძრა, შეიყარა სადილეგო, მსგავსი რამ არავის ენახა და არც არავის გაეგონა. ადამიანი თავისი სურვილით ჯდებოდა დილეგში და კარის დაკეტვას მოითხოვდა. ვინ უნდა ყოფილიყო ეს უცნაური, კუნკულიანი მონაზონი? მედილეგეთუფროსი გამუსლიმებული ქართველი ყოფილიყო, იცნო ერისმთავრთა კარის მოძღვარყოფილი — იოანე საბანისძე, გაუკვირდა, შეეშინდა კიდეც, რიდით მიეახლა და ჰკითხა:

— რას მივაწეროთ თქვენი ჩვენთან მობრძანება, მამაო...

იოანეს მოეწონა თავაზიანი კილო და ასევე თავაზით მიუგო:

— კეთილო კაცო, შემიკარით ხელები და წესისამებრ დამატყვევეთ...

— ჩვენ უფლება არა გვაქვს ვინმე შევიპყროთ, მით უფრო — თქვენ, მამაო...

— მაშინ მომიყვანეთ ის, ვისაც ამის უფლება აქვს!..

— დიახ, შევატყობინეთ ვისაც ჯერს არს, მაგრამ ვიდრე მოვლენ, მიბრძანეთ, რით გემსახუროთ, იქნებ გარეთ, სუფთა ჰაერზე გამოსულიყავით და იქ დალოდებოდით უფროსებს.

იოანემ თავაზიან მედილეგეთუფროსს ცივი უარი სტკიცა. სადილეგოს შურტები მოვარდნენ შეშინებულნი. იოანემ ისინიც არ მიიკარა.

— მოვითხოვ შეპყრობას, მე დამნაშავე ვარ! — უთხრა მათაც დაბეჯითებით.

ყველა დილეგს, გარდა მედილეგეებისა და ჯალათებისა, თითო შურტა ჰყავდა მიჩენილი, მათ თავიანთი შურტათუფროსი განაგებდა. სადილეგოს შურტათუფროსი საგონებელში ჩავარდა, ასეთი შემთხვევა არასოდეს ჰქონიათ, არ იცოდნენ რა ეღონათ, რა მოემოქმედათ, ჰაჯიჯ იბნ-ალ ბაბაქისთვის უნდა ეცნობებინათ ეს საკვირველი ამბავი, სხვა გზა არ იყო. ვინ იცოდა, ბაბაქი რა თვალით შეხედავდა სადილეგოს შურტებს ამის შემდეგ.

მედილეგეთუფროსმა მსახური ერისმთავართან გაგზავნა, შურტებმა ჰაჯიჯ იბნ-ალ ბაბაქთან აფრინეს კაცი.

ერისმთავარს ზარი დაეცა, ვერ გაეგო ვერასგზით, თუ რატომ მოითხოვდა საბანისძე შეპყრობას, კიდევ რალაც საშინელებას მიმზადებენო, იფიქრა, მიქაელი იხმო საიდუმლოდ, გაანდო მამამისის საკვირ-

ველი საქციელი. არავის უთხრა, იქნებ ჩავაჩუმოვო, — უჩურჩულა და სადილეგოსკენ გასწია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანოზი და მიქაელი ერთად მივიდნენ სადილეგოში, მაგრამ ანესთან ერისმთავარი შევიდა. მიქაელმა ვერ გაბედა მამას [illegible] და.

ბნელ დილეგში სინათლე ღია კარიდან შედიოდა, კარიც საღორეს ებურად შეებათ საპყრობილისათვის, წელში მოხრილი უნდა შესულიყო ადამიანი. ერისმთავარი შედრკა, დილეგში შესვლა არ შეეფერებოდა მის დიდებულებას. წელში მოხრილმა შეიხედა შიგნით, არაფერი ჩანდა. ერისმთავარს უკან მოსდევდა მედილეგეთუფროსიც. სადილეგოს შურტათუცროსიც. ერისმთავარმა მათ მოხედა.

— შებრძანდით, იქ არისო, — უჩურჩულეს მხლებლებმა. ერისმთავარმა ერთხელაც დაღუნა თავი და დილეგში ჩავიდა. სინათლეში დადგა და სიბნელეში მყოფ იოანეს თვალით დაუწყო ძებნა.

— იოანე! — დაუძახა ხმადაბლა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ერისმთავარო, — სიბნელიდან მოესალმა იოანე, ერისმთავარმა დაინახა, თუ როგორ წამოდგა ფეხზე მოძღვარი. „იჯდა, — გაუელვა თავში სტეფანოზს, — მიწაზე იჯდა მდაბიორივით“.

— წავიდეთ, იოანე, მე ყველაფერს მივხვდი, წავიდეთ!.. — დაუყვავა შორიდანვე ერისმთავარმა, — იქ ვისაუბროთ, სასახლეში...

— უბრძანეთ, უფალო, ბორკილები მოიტანონ! — შეაწყვეტინა ცივად იოანემ.

ერისმთავარი დაფრთხა. „უარს მეუბნება“, — გაუელვა თავში და კილო გამოიცვალა.

— გთხოვთ, წავიდეთ სასახლეში, ვიდრე საამიროში გაიგებენ!.. — ჩურჩულით უთხრა სტეფანოზმა.

— ვერ წამოვალ... უბრძანეთ, მოიტანონ ბორკილები!

— კარგით, მაშინ... — შეყოყმანდა ერისმთავარი, მიიხედ-მოიხედა რატომღაც. დილეგში ჩასასვლელ კიბეზე მოურიდებლად დაჯდა, — ის მაინც მიბრძანეთ, რატომ ისწრაფით ბორკილების დადებას?

— დამნაშავე ვარ, — პირდაპირ დაიწყო საბანისძემ — ვერც მონაზვნობამ მიშველა და ვერც ჩემმა უფალმა იესო მაცხოვარმა. ვერ შევეგუე მძლავრობას ზედამდგომელთა.

— მოძღვარო, — შეაჩერა ერისმთავარმა იოანე, — თქვენ ცოდვილი ყოფილხართ და არა დამნაშავე, საყდარში უნდა მიბრძანდეთ, განა ჩემგან გესწავლებათ; — ერისმთავარს გაუხარდა, გამოსავალი ვიპოვეო— გაიფიქრა.

— არა, ჩემო ხელმწიფევ, სულიერო შვილო ჩემო, ცოდვილი ის გახლავთ, ვინც ღვთის ნებას არ ასრულებს. მე როცა ზედამდგომელთა წინააღმდეგ ბრძოლა მწადიან — ეს ღვთის ნება გახლავთ. ღვთის ნების აღსრულებას კი თქვენი კანონი მიკრძალავს. მე თქვენი კანონის დამორჩილებ ღვევა მიდევს გუნებაში და არა ღვთისა.

— განა ამისათვის დილეგში ჩაჯდომა ერთადერთი გამოსავალია?

— ერთადერთი გახლავთ... — უცებ ხმა გაუტყდა ბერიკაცს, სიბნელიდან გამოვიდა, ერისმთავარს თაყვანი სცა, და შეევედრა, — გემუდარებით, უბრძანეთ ჩემი შეპყრობა, მე ხომ თქვენთვის არაფერი მითხოვია!.. დღის სინათლის ხილვა არ მსურს, მონათა შორის სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს! სიკვდილის ნებას კი ჩემი უფალი არ მაძლევს... ნუთუ მაინც ვერ მიხვდით, ჩემს გულში რა ცეცხლი ტრიალებს! სად არის იმედი და სასოება, ქართლისა პატრონო! პატიოსანმა კაცმა თვალი ვით გაახილოს!.. — ხმას ოდნავ აუწია იოანემ და უღონოდ თავი ჩაკიდა.

საბანისძე მოსული ტანის კაცი იყო, ფართო შუბლითა და ძლიერი სახის ნაკვთებით ყურადღებას იქცევდა. ერთხელ მნახველს მისი სახე არასოდეს დაავიწყდებოდა. დაბალი, გუგუნა ბარიტონი ამოსდიოდა პირიდან, რაც კიდევ უფრო ამშვენებდა მის პიროვნებას. პატიოსანმა კაცმა თვალი ვით გაახილოსო, როცა თქვა, მას მხარბეჭი შეუტოკდა, თავჩარგული იდგა ჩოქზე, პირისახე არ მოუჩანდა, — გაბურდულ თმაწვერს დაეფარა, მხრები უთრთოდა მხოლოდ. ერისმთავარმა ბერიკაცი წამოაყენა:

— ადამიანს საპყრობილეში აგდებენ რწმენისათვის! მე, იმ პყრობილის აღმზრდელს, სულიერ მოძღვარს მისას, უფლება არა მაქვს წინ აღვუდგე ზედამდგომელთა თავგასულობას!..

— ისევ აბო! — შესძახა სტეფანოზმა და კვლავ ჩამოჯდა დილეგის კიბეზე, სასოწარკვეთილმა თავზე ხელები შემოიწყო და გმინვასავით ამოხდა — ვიცოდი, რომ ისევ აბოსთან მივიდოდით!

— დიახ, საყვარელო შვილო ჩემო, ისევ აბოსთან უნდა მივიდეთ, მაგრამ ამჯერად თქვენ არაფერსა გთხოვთ. მე თვითონ ვიცი, რაც მევალება!.. თუ თქვენ ჩემი შეპყრობის ბრძანების ნება არა გაქვთ, სთხოვეთ ამირას, რომ შემიპყრონ და აბოსთან ერთად მეც განმსაჯონ.

— თხოვნა არ დამჭირდება, როგორც კი თქვენს საქციელს გაიგებენ, მაშინვე ამ კარს რკინის ურდულს დაადებენ... მიქაელი გარეთ გელოდებათ... — მიაკერა უადგილოდ ერისმთავარმა.

— არა უშავს, დამელოდოს... — მიუგო ცივად იოანემაც, თითქოს ელოდაო მიქაელის ხსენებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სხვისთვის თავს სწირავთ და საკუთარი შვილი აღარ გახსოვთ?..

სტეფანოზი უკანასკნელ ფანდს სცდიდა, უკანასკნელ მახეს უგებდა იოანეს.

— განა შვილზე უფრო გიყვართ გადამთიელი აბო?.. ერთხელ მაინც დაინდეთ საკუთარი შვილი, იზრუნეთ მის მომავალზე, რაკი თავის გაწირვა გეადვილებათ, შვილისთვის გასწირეთ თავი...

— ჩემო კეთილო, — ჩაიცინა მოულოდნელად იოანემ, წავიდა და კვლავ სიბნელეში დადგა, — მე თავს ვწირავ სწორედ შვილისთვის... შენთვის, ჩემთვის...

ერთ არაკს მოგახსენებ, იქნებ ამ არაკით მოვფინო ნათელი ჩემს ნააზრევს.

ერთი დათვი რკინის გალიაში ემწყვდია. მშიერ-მწყურვალი იყო, მაგრამ ხმას არ იღებდა, თათებზე ედო თავი და ეძინა. რკინის კედლებს მაინც ვერ გავანგრევო, ფიქრობდა. შეგუებოდა ტყვეობას, დღეც ეძინა და ღამეც. ერთი კეთილი კაცი იყო, შეეცოდა დათვი და გალიის კარი გაუღო, დათვი მაინც არ იძვროდა, იმედი არ ჰქონდა თავისუფლებისა, მაშინ კეთილმა კაცმა გაღვიძება დაუწყო, დათვმა გაიღვიძა, გამოიჭრა გალიიდან და პირველად ის კეთილი კაცი დაგლიჯა. წავიდა ტყეში და ძველებურად დაიწყო დათვობა. ეგრეთვე მე და აბომ უნდა გავაღვიძოთ დაძინებული ქართველი. გაღვიძებული ადამიანი, როგორც გაღვიძებული მხეცი, პირველად საშიშია. შესაძლოა, იმ კეთილი კაცის ბედი გვერგოს ორთავეს, მაგრამ გაღვიძებული იმ დათვისა და დათვობისა არ იყოს, ბოლოს და ბოლოს მაინც დაიწყებს ადამიანობას, ჩვენც მეტი არა გვინდა რა...

სტეფანოზი გაბრუებული იჯდა დილეგის კიბეზე, არც არაკი მოუსმენია და არც მისი აზრი გაუგია. სულ იმას ფიქრობდა, რა ეთქვა ამირასთან. საკვირველი და აუხსნელი მაინცდამაინც ჩემს სამთავროში უნდა მოხდესო, ფიქრობდა. არაბი აბოს გულისთვის ქართველი ბერი შეპყრობას და დილეგში ჩაგდებას რისთვის მოითხოვსო, არ იკითხავდა ახალი ამირა? რარიგ აეხსნა, რა პასუხი მიეგო ერისმთავარს?

— რა ვუთხრა ამირას! — ამოიკვნესა ერისმთავარმა და საწყალობელი თვალებით მიაჩერდა მონაზონს.

— უთხარით, რომ შემიპყრონ, როგორც აბოს აღმზრდელი.

იოანე მიწაზე დაჯდა მდაბიორივით, სიბნელემ მისი დიდი, ძლიერი სხეული დააპატარავა, კუთხეში მიგდებულივით იჯდა და გაჩუმებული ჩასცქეროდა მიწას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერისმთავარი დილეგიდან გავიდა, ცოცხალმკვდარი გაეცალა სადილეგოს და მიქაელიც თან წაიყვანა. იოანემ არ ისურვა შვილთან შეხვედრა, მიქაელსაც ეშინოდა მამასთან შეხვედრის. დაჩოქილი ლოდინის შემდეგ მამა-შვილს შორის ცივი კედელი აღიმართა რიდისა. იოანე შვილსაც გაემიჯნა. რაკი მამას არ სურდა შვილის ნახვა, მიქაელს თავშეკავება მართებდა, მამამისს ისეთი რამ განეზრახა, რაც შვილისთვისაც გაუგებარი იყო, აღზრდილისთვისაც და ქვეყნის პატრონისთვისაც.

ერისმთავარმა მედილეგეთ და სადილეგოს შურტებს დაუბარა, ამირას ბრძანებას დაველოდოთ, მე არაფერი შემიძლიაო.

იოანე კარღია დილეგში დატოვეს, ეგებ მოეგუნებოს და გამოვიდესო.

მესამე ღამე. წყალი

„წყალი“... — წრიალებს დილეგში აბო. მესამე დღეა წყალი არ დაულევია. მოსწყურდა, მოსწყურდა, მთელი დღე ითმინა, გუშინაც ითმენდა, აქამდე არ გასჭირვებია მოთმენა. ამ ღამით გაუჭირდა, რატომ გაუჭირდა, რატომ ვერ ითმენს, ნუთუ ხორცმა იმძლავრა! „წყალი!“ — შიგნიდან ეძახის, შიგნიდან ითხოვს ვიღაცა. მაინც რატომ არ მისცეს წყალი, იქნებ სადმე დგას კუთხეში და ვერ იპოვა. დადის, დადის კუთხე-კუთხე, ეძებს, დაფათურობს ბორკილების ჟღარუნით, არ ჩანს, არსად არ არის წყალი. რატომ არ არის? — ეგებ წყურვილით სიკვდილი გადაუწყვიტეს. თუმცა... წყალი იქაც არ იყო... — გაახსენდა მახრჩობელა დილეგი: იქ არ მოწყურებია. რომ მოსწყურებოდა, კედლებს გალოკავდა, წყალი მოჟონავდა. აქ წვეთი არ ჟონავს არსად. კედლებზე აფათურებს ხელებს, აფათურებს გულდინჯად, საქმიანად. ჟამიდანჟამად ბორკილი ჟღარუნებს, ხელების თითები კი გაშმაგებით დაეძებენ წყალს. არა, არსად არ წვეთავს, არსად არ ჟონავს. პირი უშრება, ენა უხმება, ყელი უხმება. ხმობა ტუჩებიდან ეწყება და ყელში გადადის, ყელიდან გულ-ღვიძლს მოედება, იქიდან მთელ სხეულს და როგორც კლდის თავზე მდგარი ხე ხმება უწყლოდ, აბოს სხეულიც ხმება წყვდიადში. „წყალი... წყალი... წყალი“... — გუგუნებენ ყრმის სასმენელნი, „წყალი... წყალი... წყალი“... — ჩურჩუ-

ლებენ კედლები. წყალი კი კარიდან უნდა შემოვიდეს. კარი დიდს რკინის ურდულები ადევს და რკინასავით გაქვავებულია, მედილეგეს ეშინია, კარს არ აღებს. ამ დილით აბოს ყვირილს: „წყალი! წყალი!“ — ჯერ ჯაჯღანით უპასუხა, როცა პყრობილმა ვერ მოისვენა, მედილეგეთუფროსი ახმობინა, მედილეგეთუფროსმა არგნით ცემა ბრძანა. მედილეგე შემოვიდა, ორი ჯალათი შემოჰყვა, წამოაქციეს და სცემეს. „ხომ გეუბნებოდი, გაჩუმდი-მეთქი“, — ბურტყუნებდა მედილეგე, თან არგანს დანდობილად სცემდა. აბოს აზრით მედილეგე კეთილი კაცი უნდა ყოფილიყო, ჯალათები სცემდნენ დაუნდობლად, მედილეგე კი ჯოხს უცაცუნებდა. „აქ დილეგია, ჩემო ძმაო, პურის საჭმელად კი არ მოუწვევიხართ, უნდა მოითმინო... არ მოითმენ? — შენს თავს დააბრალე“ — თავს იმართლებდა მედილეგე. აბოს ყურში ჩაესმოდა იმ მედილეგის გაბზარული ხმა, ამ ხმის იმედი ჰქონდა, ეს ხმა წყალს მოუტანდა. ნაცემ-ნაგვემს ფერდები სტკიოდა, ზურგი და საჯდომი ეწვოდა, მაგრამ „წყალი“ მაინც საბედისწეროდ აკვიატებოდა. რომ მოეკლათ ცემით, წყალი როგორმე უნდა დაელია. სად, როგორ, რა გზით. რა ხერხით უნდა ეშოვა წყალი? — შუალამეს ელოდებოდა. ღამით, როცა უფროსები შინ გაიკრიფებოდნენ, გააღვიძებდა მედილეგეს და წყალს თხოვდა. ითმენდა, ითმენდა, სული კბილებით ეჭირა. „წყალი!“ — გუგუნებდა დილეგი, თითქოს უდაბნოში იყო, ერთი წვეთი წყალი არ იშოვებოდა ქვეყანაზე. ავად ხომ არ იყო? თავქედი ხომ არ შეეყარა? ციებ-ცხელებამ შეიპყრო?.. გულღვიძლი ეწვოდა, შიგ ყიაში ესხა მდუღარე და შიგანს ის უხრუკავდა, შიგნის ცეცხლი მოსდებოდა ყელსა და პირ-ბაგეს, ეს ცეცხლი უხმობდა ყელს, უშრობდა პირს და წყალს თხოვდა. წყალი კი წყვდიადში მიჩხრიალებდა, მიჩხრიალებდა, მიშრიალებდა უხვ ნაკადად, თეთრ ჩქერებად, აბო თეთრ ჩქერებს მისდევდა, მაგრამ ვერ ეწეოდა, როგორც სიზმარში, ადგილზე გარბოდა, წინ, წყლის ჩქერებისაკენ ველარ მიჰქონდა სხეული.

„წყალი! წყალი!“ — თხოვდა გვამის ყოველი ასო. „წყურვილით უნდათ გამტეხონ“, — გაუელვა უცებ თავში. „იციან, რომ ქრისტიანს შიმშილით ვერას დააკლებენ, წყურვილი მომისაჯეს“.

წამოდგა ჯაჭვების ჟღარუნით. იწყო ნელი სვლა სიბნელეში წინ და უკან. რკინის მღერას მიუგდო გულისყური და წყვდიადში ჩქრიალით მომავალ წყლის ნაკადს თვალი მოსწყვიტა. მიდის და მოდის, მიდის და მოდის... დრო კი თითქოს გაქვავდა, აღარ იძვრის, „წყალი!“ — გაიძახის დროც და ერთ ადგილას დგას. როდემდე, როდემდე იბრძოლებს

ასე, როდემდე დათრგუნავს შიმშილს, წყურვილს, სიცივეს, ტკივილს, ავადობას...

გარეთ ალბათ თოვლი დევს, ცივა. დილეგშიც ცივა, [illegible] გარდა წყურვილისა, არაფერი აწუხებს, წყურვილმა [illegible] ცემისაგან დალურჯებული ფერდების ტკივილიც, შიმშილისგან დახრუკული მუცლის გვრემაც და მთლიანად დაეუფლა გვამს. როგორც ნალვერდალი თივაში, უცებ გაღვივდა და კოცონივით აბრიალდა. აბრიალდა, აგუზგუზდა მინავლური წყურვილი სიცოცხლისა, დაჟინებით, ისეთივე ვნებით, როგორც მარტვილობდა, წყალი მოითხოვა.

როგორ მიილტვოდა სიკვდილისაკენ! სიცოცხლე არად მიაჩნდა, ოღონდ ადამიანური ღირსება გადაერჩინა, არ ეღალატა რწმენისათვის, არ ეღალატა თავისი ღმერთისათვის. ვერც ამირა, ვერც ერისმთავარი, ვერც ქრისტეს მესავი, ვერც მუსლიმი წინ ვერ გადაუდგა, ერთხელ არჩეული გზიდან ვერავინ გადაახვევინა და წყალი კი... უბრალო წყალი, ვით წყლისფერი ეშმაკი, უხიაგად წინ გადაეღობა. „წყალი!" — უწოდა სასმენელი და კვლავ წყვდიადში დაეძებდა ხსნას. როგორ დაეთმინა, რა ეღონა, წყვდიადს უნდა გაეცა პასუხი, მაგრამ წყვდიადიც ღალატობდა, — წყვდიადში მძლავრ, თეთრ ჩქერებად მოედინებოდა წყლის ნაკადი და მარტვილს უფრო აწყურებდა. რატომ სწყუროდა ასე გაშმაგებით, რატომ ვერ იოკებდა წყურვილს? წყუროდა და რა ექნა, ვერ უარყოფდა იმას, რაც სჭირდა. ალბათ ესეც განგების ნება იყო. ჩანს, სიკვდილისაკენ სიცოცხლისათვის ილტვოდა. სიკვდილის დათრგუნვაც სიცოცხლისათვის ეწადა.

ფეხაკრეფით წავიდა კარისაკენ. „დროა", გაიფიქრა კართან. ფრთხილად დააკაკუნა, მარტო მედილეგეს უნდა გაეგო. თანდათან მოუმატა რაჯგუნს. ჯერ ხველება მოისმა შორიდან, შემდეგ ფეხის ხმა. გაიტრუნა, ყური მიუგდო ფეხის ხმას. კარს მიღმა მედილეგის ფრატუნ-ფრატუნი ახლა საამოდ ეჩვენებოდა.

ფეხისხმა მიწყდა. „მოადგა კარს... — გაიფიქრა აბომ, — ახლა გაიღებს"...

— რა იყო?.. — დაიხრიწინა მედილეგემ.

„აღარ გააღო", — გული დაწყდა, დილეგიდან ძნელი იყო გულქვა ადამიანის დარწმუნება.

— მამაჩემს გავხართ!.. — აღმოხდა აბოს გულთბილი სიტყვები. — გესმით? — თქვენ მამაჩემს გავხართ!.. — უფრო ხმამაღლა დაუძახა.

— ამისთვის გამაღვიძე?.. — გაავებული ხმა იყო. — არგანი მოგენატრა?..

— ხმით გავხართ მამაჩემს! გეფიცებით, სიმართლეს გეუბნებით! — მამაჩემი მედილეგეა...

— გავაღვიძო ჯალათებიც! — უფრო მკაცრად დაიღრინა მედილეგემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შვილი გყავთ? არ წახვიდეთ, გემუდარებით, არ წახვიდეთ! მიპასუხეთ, გყავთ თუ არა შვილი?..

— მაგ სიტყვებით გულს ვერ მომილბობ, იცოდე!.. ოცი წელია ჩემს საქმეს პატიოსნად ვემსახურები!..

— იმიტომაც დაგიძახეთ, მივხვდი, რომ პატიოსანი კაცი ბრძანდებით...

— რა გინდა, კარს ვერ გავაღებ. მორჩა. ვთქვი და გადავჭერი!

— წყალი... — ხმის კანკალით უთხრა აბომ. თითქმის ყოველი ბგერა ცალ-ცალკე წარმოთქვა, — წ ყ ა ლ ი. — იმდენი სიყვარული, იმდენი ვედრება, იმდენი ტანჯვა ჩააქსოვა ამ ერთ სიტყვაში, მედილეგეს მოეჩვენა, რომ კარი თავისით გაიხსნა, აბოსაც ეგონა, რომ რკინის კარი გალღვა და პირველი სხივი ურთიერთგაგებისა რკინაში გაძვრა.

— ვიხრჩობი, ბატონო... ალაჰი მაინც არ გწამთ?!. — დაადევნა იმ ობოლ სხივს აბომ. დუმილი ჩამოწვა დილეგშიც და დილეგს გარეთაც. აბოს იმედი მოეცა,—მედილეგე ფიქრობდა. რაკი ფიქრი გაბედა, რაკი სხვათა სიტყვები გულთან მიიტანა, ეგებ სიკეთის ქმნის სურვილიც დაბადებოდა.

— სამი შვილი მყავს! — ამოიოხრა მედილეგემ. — იმიტომაც არ მომაქვს წყალი, ლუკმა პურს დავკარგავ... ნუთუ შენ ეს არ გესმის?! — მედილეგემ წყლის ნაცვლად საყვედური და მუქარა ერთად შეუგდო დილეგში აბოს და ჩქარი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას.

— ამას ვერავინ გაიგებს! — სასოწარკვეთით დაადევნა აბომ უკან, მაგრამ მედილეგე აღარ მობრუნებულა.

მწყურვალი, მშიერი, ნაცემ-ნაგვემი აბო, როცა უკანასკნელი სასოებაც გამოეცალა და ფეხისხმაც მიწყდა, დაემხო მიწაზე და ბავშვივით ატირდა. დიდხანს ტიროდა, ცრემლით გული მოიოხა, აბორგებული სული ჩაიწყნარა და კვლავ წყვდიადში ჩაიძირა: არ მიიკარა, არ შეუშვა წყვდიადმა თავის წიაღში. „წყალი!“ — ჩაესმოდა წყვდიადშიც და თხლიშინით მოვარდებოდა დიდი ნაკადი. აბო კი, როგორც სიზმარში, ადგილზე გარბოდა, წინ. წყლის ნაკადამდი ვერ მიჰქონდა გაწამებული სხეული.

ისევ მედილეგეს უნდა ეხსნა. თუ ამ საღამოს ერთ ყლუპ წყალს დალევდა, ხვალ უკეთ შეებრძოლებოდა ბაბაქისა და ამირას კაცებს.

უწყლოდ კი, როგორც ნაპირზე ამოგდებულ თევზს, ამ საღამოს თუ არა, ხვალ გაძვრებოდა სული. დღისით მედილეგენი ახლოს არ მიიკარებდნენ, ამ საღამოს უნდა მოეჯადოვებინა მედილეგენი ეშოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყაყბებს მივცემ, — უცებ გადაწყვიტა. ჩაფიქრდა, დააკვირდა თავისთავს, — ცოდვას ხომ არ ჩავდივარ? — დაეჭვდა. — გასამრჯელოს ვაძლევ", — გაიმართლა თავი და შებორკილი ხელების ფათურ-ფათურით შეატყუპა ყაყბები. ცალი ხელით მარჯვედ აიღო და ამჯერად უფრო თამამად მიადგა დილეგის კარს. მთელი ძალით აუტეხა ჯაჯგური. აჯაჯგურა, აჯაჯგურა და გაილურსა, მედილეგის ფეხის ხმას უგდებდა ყურს. მედილეგემაც აღარ დააყოვნა, მოვიდა, მაგრამ ვაი ამისთანა მოსვლას. იგინებოდა, ილანძღებოდა, იმუქრებოდა, ცოფს ჰყრიდა პირიდან.

— ეშმაკი შეგაჯდა არა მხარზე? სიკვდილის ანგელოზი გესტუმრა და აღარ გაძინებს!.. საიქიოში წასვლა გეჩქარება? მოვიტან კაცპელატს * და ჩაგაყუდებ, შენისთანები ჩამიწვენია!..

— კეთილო კაცო, ყაყაბს მოგცემ...—უთხრა აბომ კვლავ ვედრების კილოთი—ნამდვილი არაბული ყაყაბია ხარის ტყავისა...

— ყაყაბს? — ჩაფიქრდა მედილეგე.

— ჰო, ყაყაბს ხარის ტყავისას, მსუბუქია ვითარცა ბუმბული და გამძლეა ვითარცა ქვა...

მედილეგემ რკინის ურდული გამოსწია. როგორც ცის გახსნა, დილეგის კარი გაიღო და ზღურბლზე მხსნელი გამოჩნდა სანთლით ხელში. აბოს სინათლემ თვალი მოჭრა, შებორკილი ხელები ყაყბებიანად აიფარა. მედილეგემ თავი შემოჰყო დილეგში და აბოს ყაყბები გამოსტაცა. გამოსტაცა და კარიც ცხვირწინ მიუხურა. აბოს იმედი მოეცა, სიხარულმა მოიცვა სულ ერთიანად და მედილეგეს მიაძახა:

— დოქით მოიტანე! დოქით!..

ფეხის ხმა მიწყდა. აბო კართან დადგა, ზედ მიადო ყური რკინას და მედილეგეს დაელოდა. ახლა კი ქამი გაგრძელდა, გაიწელა, ოცნებაც გაუმარტივდა და წყვდიადშიც, გარდა წყლისა, არაფერს ხედავდა. ააღარუნა ბორკილები, ბოლთის ცემას მოჰყვა, ნაბიჯებს ითვლიდა... დაჯდა უეცრად მიწაზე. წამოდგა ისევ, მიადო კვლავ ყური რკინის კარს და გაიტრუნა.

კაცპელატი — „ქუოქელია, კაცს "თასდებეხ და განხერხვენ" (საბა).

ნანატრი ფეხისხმა შემოესმა, აბორგდა ისევ, მოუთმენლობამ შეიპყრო. გაირაჯგუნა რკინის ურდულმა... კარი გაიღო და მედილეგემ ყაყბები შემოაგდო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე პატიოსანი კაცი ვარ, ჩემს უფროსს ვერ ვუღალატებ! — თქვა და კარი თვალისდახამხამებაში ჩარაზა. აბოს ელდა ეცა. მედილეგის ამგვარმა მოულოდნელმა საქციელმა ენა წაართვა და სიტყვა ვერ დაძრა, ღმუილივით აღმოხდა ხმა და ძირს დავარდა. სასო წარეკვეთა, თითქოს ძალაც გამოელია. დაწვა მიწაზე და თვალები დახუჭა. ტირილი უნდოდა და ვერ ტიროდა, ცრემლიც კი გაშრობოდა. ეჭვებმა შეიპყრო, რომ შესცოდა, რომ ვერ დაიოკა ხორციელი სურვილი და გატყდა, სატანა ჩაუვიდა გვამში და მისი მსახური შეიქმნა. „ღმერთო, განმწმინდე მე ცოდვილი...“ — წამოდგა და ილოცა, პატიება სთხოვა უფალს. ლოცვამ სულს სიმშვიდე მოჰგვარა, წყურვილი ვერ გაუქრო, მაგრამ კარისკენ ყურებას თავი მიანება, ბედს შეურიგდა. ხელის ფათურით მოძებნა ყაყბები, ჩაიცვა, კედელთან მიჩოჩდა, წყვდიადს თვალი გაუსწორა და შიგ ჩაინთქა. იოანე ამოტივტივდა წყვდიადში, ჯორს მიუძღოდა წინ. ხელი მოჰკიდა აბოს და მარიამწმიდაში წაიყვანა.

საოსტიგნეში შევიდნენ, იქ მიქაელი და გრიგოლი დახვდნენ. დღეს მოთმენის გაკვეთილები ჰქონდათ. გამოიტანა მოძღვარმა ფეტვით სავსე პატარა ჯამი წყალკურთხევისა. დააპნია ფეტვი სოხანეზე და აბოს უთხრა: აკრიფე და ჯამში ჩაყარე, ერთი მარცვალი არ დაგრჩეს აუკრეფავიო... მიქაელსა და გრიგოლსაც მისცა დავალება და წავიდა.

აბო ნეტარებით შესცქერის საოსტიგნეში ჩაცუცქულ აბოს. რა გულმოდგინედ, რა გაფაციცებით კრეფს ფეტვის მარცვლებს! რა უბრალო რამ ყოფილა მოთმენის სწავლა! იობივით მომთმენი უნდა იყოთო, — უთხრა მოძღვარმა თავის მოწაფეებს. სული უნდა წვრთნან მოთმენისათვის. ერთად მოხვეტის ნება არა აქვს, სათითაოდ უნდა შეავლოს ხელი და ჯამში ჩააგდოს. კი არ სწყინდება, მოსწონს კიდეც ეს საქმე. შორი-შორს გაპნეულან მარცვლები, აკრიფა. აჰა, ესეც უკანასკნელი მარცვალი!..

მოძღვარი შემოვარდა. მიიხედ-მოიხედა. „გიჩქარია“, — ჩაიდუდუნა, კუთხეში ერთი მარცვალი იპოვა. აიღო და აბოს უჩვენა. ახლა უფრო მაღლა ასწია ფეტვით სავსე ჯამი, გადმოაპირქვავა, კვლავ დაპნია სოხანეზე, მარცვლებიც უფრო შორი-შორ მიიპნ-მოიპნენ...

აბო გაწითლდა, შერცხვა. ამჩატებული ვკრეფდი, იმის ბრალიაო, — გაიფიქრა. უფრო გულდინჯად შეუდგა მოკრეფას. მალულად

გრიგოლ და მიქაელისაკენ გაიხედა. ისინი მოძღვარმა სასტიკებულად გაიყვანა. „შეუმცდარად აკრიფეს“, — გაიფიქრა აბომ. ფეტვის მარცვლებმა უთხრეს მაშინ, რომ მოთმენაც უნდა ესწავლა [illegible] თითქოს ასწავლა კიდეც იოანემ. ალბათ ამ დღისთვის [illegible]

— მამაო იოანე! — შესძახა წყვდიადს აბომ. — შევცოდე?.. მითხარით ღვთის გულისათვის, შევცოდე?..

მოულოდნელად რკინის ურდულმა გაირაჯგუნა. აბო ფეხზე წამოიჭრა ბორკილების ჟღარუნით, არ მოელოდა კარის გაღებას. ვინ უნდა ყოფილიყო?.. „გათენდა ალბათ და შურტებთან მივყავართ“. არა!.. გაიჭრიალა რკინის კარმა და ზღურბლზე სანათით ხელში მედილეგე გამოჩნდა.

— ჰა! — თქვა მან და აბოს დოქი გაუწოდა, — ახლავე დალიე, დოქი უნდა წავიღო!

აბო გაშმაგებით დააცხრა დოქს. პირდაპირ ისხამდა ხახაში და თვალებგადმოკარკლული ყლაპავდა. როცა გული იჯერა, დოქის ტუჩს პირი მოსწყვიტა და მედილეგეს უთხრა:

— ღმერთი გადაგიხდის...

— ჩქარა! — შეუღრინა მედილეგემ. — მომეცი დოქი, დაგვინახავენ.

აბომ ერთხელაც მოიყუდა, სამარესავით გაჩუმებულ სადილეგოში დიდხანს გაისმოდა დოქის ყელის რაკრაკი. როგორც იქნა, მოიკლა წყურვილი პყრობილმა და მედილეგეს დოქი გაუწოდა.

— კეთილო კაცო, სახელი მაინც მითხარი შენი... თხოვა აბომ.

— რად გინდა ჩემი სახელი!

— უნდა ვილოცო შენთვის...

— ხოსრო აბუ იუსუფი.

— არაბი ხარ?..

— არა.

— ქართველი?

— მამაჩემი მურვანყრუს ჩამოჰყოლია აქ. წარმოშობით მგონი სპარსელები ვართ... პაპაჩემი ამბობდა სომეხი სპარსელები ვართო. რაც მთავარია, მუსლიმი ვარ, ერთგული მსახური თბილისის ამირასი...

— შინ რა ენაზე ლაპარაკობთ?..

— არაბულად, სპარსული მამაჩემმაც არ იცოდა. მედინაში დაბადებულა და გაზრდილა.

— მეგონა, არაბი იყავი და წყალი იმიტომ მომიტანე... — უთხრა გაოცებულმა აბომ.

— რომ მოკვდე, უარესია ჩემთვის... — ჩაიბუზღუნა მედილეგემ,—დაიწყებენ გამოძიებას. რატომ მოკვდა... როდის მოკვდა, როგორ მოკვდა... შურტები სულს ამომაძრობენ. დილით გამოვიცვლები, სხვა მედილეგე მოვა და იმასთან გინდა მოკვდი და გინდა დარჩი. ჰე... — ჩაიცინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ყაყბები წაიღე...

— არ მინდა ყაყბები. გარეთ თოვს... ფეხშიშველა ცივ მიწაზე გაიყინები. განა უგულო ვარ, მედილეგე რომ ვარ იმიტომ?.. — ეწყინა მედილეგეს, — მართალია ბაბაქი, თქვენი დანდობა არ შეიძლება!..

კარი გაბრაზებით მიახეთქა და ზედ ურდულები გაუყარა. „რამდენი მალაყბა", — შემოესმა აბოს კარს იქიდან.

როცა მედილეგის ფეხის ხმა მიწყდა და დუმილი ჩამოწვა საპყრობილეში, აბომ გაიფიქრა: „ღმერთმა ჩემი ლოცვა-ვედრება შეისმინა". სული იმედით და რწმენით აევსო. ილოცა ხოსრო აბუ იუსუფის სულისათვის. ევედრა ღმერთს ცოდვათა მიტევება.

იოანეს საქციელმა მთელი საამირო შეძრა. სასახლეში კაცი არ დარჩენილა, ჩუმ-ჩუმად არ გამოეკითხა საკვირველი ბერის ამბავი.

ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქი ცოფშეყრილი დარბოდა წინ და უკან, ხან შეპყრობის ბრძანება გასცა, ხანაც ადგილზე მოკვლისა, ხანაც საჯაროდ წამებისა, მაგრამ ამირას დასტური ვერ მიიღო. ამირა უფრო შორს იყურებოდა, ვიდრე შურტათმთავარი. იოანეს დასჯა კეთილ ნაყოფს არ გამოიღებდა. ქართველი ბერი თავს დებდა არაბი ყმაწვილისათვის. იშვიათი შემთხვევა იყო. ხალიფატის ისტორიას არ ახსოვდა, ვინმეს უცხოტომელისათვის თავი გაეწირა. ისე როგორც აბოს მოქცევა იყო გაუგონარი ამბავი, იოანეს საქციელმაც შიშის ზარი დასცა ქართლის მბრძანებელთ.

არაბიელისათვის ქართველი დებდა თავს. განა არაბებს უნდა დაესაჯათ მათთვის თავდადებული ადამიანი? ჯოჯოხეთურად გადაბმოდა ერთმანეთს სიავე და სიკეთე. ამირას უჭირდა გამოსავლის პოვნა, მაგრამ მტკიცედ სწამდა: თუ იოანეს თავს მოჰკვეთდნენ, ხალხი მას წმინდანად შერაცხავდა. წმინდანთა მომრავლებისა თვითონ ხალიფას ეშინოდა. წმინდანი მის გარშემო იკრეფდა მაჰმადის მტრებს. წმინდანის გაჩენა ხალიფატის მტრების გაჩენას უდრიდა. ხალიფა მკაცრად სჯიდა ყველას, ვინც ვერ აღკვეთდა თავის სამბრძანებლოში მოწამეთა მომრავლებას. ამირას ბაღდადის ეშინოდა, თორემ ამდენ ხანს აბოსაც და იოანესაც თავს წააცლიდა და

მოისვენებდა. ჰაჯიჯ იბნ-ალ ბაბაქი ამირას არწმუნებდა, იოანეს თავი ჩუმად მოვკვეთოთ, ამას არავინ გაიგებსო. ამირა ბაბაქს არ ენდობოდა. იცოდა, რომ სწორედ ბაბაქი შეატყობინებდა ალი ჰასანს, ახალი ამირა წინდაუხედავად იქცევა, უდანაშაულო ქართველებს თავს სჭრის, საამიროს თქვენს წინააღმდეგ ამხედრებსო.

ალი ჰასანის მტკიცე მოთხოვნა იყო, შურტებს უფრო გონივრულად და დამარწმუნებლად ემუშავათ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, აბო მაჰმადის სჯულზე მიექციათ, იოანე კი პანღურის კვრით გამოეგდოთ სადილეგოდან.

როცა ამირამ თავისი გადაწყვეტილება ბაბაქს გააცნო, შურტათმთავარმა გაიკვირვა: ასეთი თავხედობა ვიღაც ბერს როგორ ეპატიოსო.

— არამზადა ბერმა არამცთუ ჩვენ გამოგვჭრა ყელი, მე და თქვენ, თვით უძლეველ ხალიფატს ჩასცა ლახვარი. ვერც ერთი მუსლიმი ამას ვერ მოითმენს! — ბორგავდა შურტათმთავარი.

— რას ვიზამთ, ჩვენი ბრალია, რაც მოხდა, — უთხრა ალი ჰასანმა მუქარის კილოთი ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქს, — კერძოდ, თქვენი!.. და თქვენი მუშაკების... როგორც კი გაიგეთ აბოს მოქცევის ამბავი, იმ წამს უნდა გაგექროთ ის ბიჭი. რაკი საქმე აქამდე მიიყვანეთ, ახლა აღშფოთება დაგვიანებულია. ფრთხილი და ჭკვიანური მოქმედება გვმართებს. ყური კარგად დამიგდეთ, ხალიფას სახელით გელაპარაკებით. დღეს ქართლში ცეცხლის ორი კერა აპირებს გაჩაღებას: აბო და იოანე. ორივე უნდა ჩავაქროთ ისე, რომ არავინ გაიგოს. იოანე უნდა დავაბრუნოთ მონასტერში. აბო თავის სჯულზე მოვაქციოთ. იმოქმედეთ!..

დაუჯერებელი რამ ხდებოდა, ეს ყმაწვილი კაცი ხომ თავის ჭკუაზე მართავდა საამიროს, ჯამაათსაც არაფერს ეკითხებოდა, თვით ბაბაქსაც პატარა ბიჭივით დაარბენინებდა. ჰქონდა კი ამდენის უფლება? ალი ჰასანი ხალიფას სახელით მოქმედებდა, ბაბაქი ვიდრე არ შეამოწმებდა ხალიფასა და ალი ჰასანს შორის გადებულ ხიდს, მანამდე უნდა ეთმინა და ალი ჰასანის ბრძანებები უნდა შეესრულებინა, ამას მოითხოვდა წესი და რიგი, ყურანიცა და შარიათიც.

ახალმა ამირამ ბაბაქის ყოვლისშემძლეობას წყალი შეუყენა. თვითონ შურტები შეიპყრო შიშმა, ვაითუ ბაღდადმა ახალი შურტათმთავარი გამოგზავნონო. რაკი ალი ჰასანმა ბაბაქი მოთოკა, სხვა ვერც ვერავინ გაუბედავდა ურჩობას.

თუ ამირა საიდასთან ბაბაქს განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა,

ალი ჰასანმა თვით აიღო ხელში ეს უფლებები. ბაბაქი ბევრს ეცადა, მაგრამ ახალ ხალიფასთან კავშირი ვერ დაამყარა. შენ შენი უფროსი გყავს და იმას მიმართეო. ბაბაქი ხალიფატის შურტათმთავართა მთავარს დღე და ღამ უგზავნიდა ალი ჰასანის სამხილებს, მაგრამ არც შურტათმთავართა მთავარი აბარტყუნებდა ყურებს. დღესავით ნათელი იყო, რომ ხალიფა ალი ჰასანს წყალობდა, ეს იცოდნენ ბალდადში და ბაბაქის სამხილებს არად აგდებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა გზა არ იყო. ბაბაქი ბედს უნდა შერიგებოდა, ძველი პატივი და დიდება დაევიწყებინა და ამირას ყურმოჭრილ მონად ქცეულიყო. გამოხდებოდა ხანი და ძალაუფლებას დაიბრუნებდა, გამოცდილებით იცოდა, დრონი მეფობდნენ და არა მეფენი. ადგა და თვითონ წავიდა სადილეგოში, იოანეს გამოძევებას პირადად უხელმძღვანელა.

შეღამებისას შურტები და ჯალათები ჯიქურ შეცვივდნენ იოანესთან. დილეგის ერთ კუთხეში მიწაზე მჯდარ ბერიკაცს თავზე დაახტნენ. ხელები უკან გადაუგრიხეს, თოკით მაგრად შეუკრეს, თავზე შავი პირსაბური ჩამოაცვეს, ჯიკავ-ჯიკავით გამოაგდეს დილეგიდან, თავისი თეთრი ჯორი მოჰგვარეს, ზედ შესვეს და მცხეთის გზას გაუყენეს. იოანეს ეგონა, რომ შეიპყრეს და საპყრობილეში მიჰყავდათ.

ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქს იოანესთვის ზედ არ შეუხედავს, ისე გაუძღვა წინ თავის კაცებს. კუდგანასკვულ ბედაურზე იჯდა, ჩქარობდა, ამ ღამით უნდა აღსრულებულიყო ამირას ნება, უნდა ჩასულიყვნენ მცხეთაში, ენახათ კათალიკოსი და პყრობილი ჩაებარებინათ. ეს „ჩაბარება“ სამუდამოდ უნდა დამახსოვრებოდა ქართველ მღვდელ-მონაზვნობას. ერთხელ და სამუდამოდ ჭკუა უნდა ესწავლებინათ მათთვის. ბაბაქმა იცოდა, რომ სამოელთან სიტყვით ვერაფერს გახდებოდა, ძალითა და დაშინებით უნდა აელაგმა.

შუაღამე გადასული იყო, როცა საკათალიკოსოს დაესხნენ თავს. მსახურნი გათოკეს, მძინარე კათალიკოსი წამოაგდეს, საკათალიკოსოცა და საყდრებიც მის თვალწინ გაჩხრიკეს. სამოელს ემუქრებოდნენ, უდიერად ექცეოდნენ, ღვთის მსახურთ ეგონათ, რომ დადგა სწორედ აღსასრულის ჟამი, როცა მწყემსმთავარმა აღშფოთების გამოთქმა დაიპირა, მას ავაზაკივით პირი აუკრეს, ხელებზე ბორკილები დაადეს, აქეთ-იქით ამოუდგნენ და გუარამ მამასახლისის ციხე-კოშკისაკენ წაიყვანეს. იქ პალატში მარტო დატოვეს გაფენებამდე.

რიჟრაჟზე მასთან ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქი შევიდა. პირაკრული და ხელებშებორკილი კათალიკოსი რომ დაინახა, აღშფოთდა. თვითონ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავისივე ხელებით შეუხსნა პირსახვევი, ბორკილებიც თვითონ ჩაუყარა
და დამნაშავე შურტების კათალიკოსის თვალწინ გაჯოხვა ბრძანა.
სამოელი თვალსა და ყურს არ უჯერებდა. შურტები [illegible]
მოაქციეს ჯალათებმა და არგნით დაუწყეს ცემა.

— კათალიკოსი ხელშეუხებელია! — გაჰკიოდა ბაბაქი, — მისი შეპყრობის ბრძანება თქვენ არ გქონდათ!.. — ჯორავდა მეთაურ შურტებს და მათ სამსახურიდან გაგდებით ემუქრებოდა. გაოცებული შურტები არაბულად ბურტყუნებდნენ, აშკარა გამოდავებას ვერ ბედავდნენ, მხრების აჩეჩვით და თვალებით გამოთქვამდნენ საყვედურს, უთქვენოდ ჩიტის შეპყრობის ნება არა გვაქვს, კათალიკოსისას როგორ გავბედავდითო.

სამოელს გულწრფელად ეგონა, რომ შურტებმა უფროსების ნებართვის გარეშე ჩაიდინეს უკეთური საქციელი და ბაბაქს მადლობას უხდიდა.

ბაბაქიც თავის მხრით ებოდიშებოდა კათალიკოსს, ძველი ამბებიც გაიხსენა, ჯვრის მონასტრის აკლება ამირა საიდას გადააბრალა, თავი იმართლა. ასეთი კეთილი, სამართლიანი ბაბაქი ჯერ არავის ენახა, ალბათ ჭკუა ასწავლესო, გაიფიქრა სამოელმა. ნაცემი შურტები ნელ-ნელა გაიყვანეს პალატიდან.

დანიშნულ დროს გუარამ მცხეთის მამასახლისი შემოვიდა, იოანე საბანისძეს შემოუძღვა. იოანესთვისაც შეეხსნათ ხელები. კათალიკოსი რომ დაინახა, ბერმა თაყვანი სცა და ხელზე ემთხვია მწყემსმთავარს...

— შემინდეთ, მეუფეო! — შეჰღაღადა.

სამოელმა ჯვარი გადასახა.

ბაბაქმა ღვთის მსახურთა და გუარამ მამასახლისს საიდუმლოდ უთხრა:

— უკანასკნელად გაფრთხილებთ მცხეთელებს და ყველა ქართველს! ბაღდადს მისდის ცნობები, რომ აშოტ ერისთავს საიდუმლო კავშირი აქვს მცხეთასთან, კერძოდ, ქართველ მღვდელ-მონაზვნებთან. თუ ეს კავშირი დადასტურდა, იცოდეთ, ხალიფა სასტიკად იძიებს შურს. ორასათასიანი ლაშქარი მზად არის საქართველოს ასაკლებად.

„ნეტა არსებობდეს ეს კავშირი", — გაიფიქრა სამოელმა და იოანეს გადახედა. იოანემ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ბაბაქმა შეაჩერა:

— თუ ქართველობა ურჩობას არ მოიშლის, იცოდეთ, ახალ ხალიფას საზარელი გეგმა აქვს. ქართველობა უნდა აჰყაროს და სპარსეთის უდაბნოში გაასახლოს, ხოლო ქართულ მიწაზე არაბობა დაამკვიდ-

როს... — მღელვარედ, ვითომ თანაგრძნობით თქვა ბაბაქმა და წასვლა დააპირა:

— ზედამდგომელო! — მიაძახა იოანემ, — მე მოვითხოვ ჩემს შეპყრობას, განა ეს ურჩობაა?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ურჩობა გახლავთ სწორედ, აბო სარკინოზია და თქვენ არავინ გკითხავთ მის დაცვას. — წამით მობრუნდა, მაგრამ თვალი მაინც კარისაკენ ეჭირა, რატომღაც ჩქარობდა.

— მბრძანებელო! — ახლა სამოელმა შეაჩერა ბაბაქი, — არ დაგავიწყდეთ, რომ აბო ჩემი მრევლია, ქართული ეკლესია მარადის დაიცავს მას.

— მე თქვენ ყველაფერი გითხარით, ისიც კი, რისი ნებაც არ მქონდა, თუ წინდახედულებას არ გამოიჩენთ, ქართული ეკლესია შეიძლება ხვალიდანვე აღიგავოს პირისაგან მიწისა. მამასახლისო! — დაუცაცხანა გუარამს ბაბაქმა, — რად გაჩუმებულხართ! დაარწმუნეთ ბერიკაცები, რომ მათ ღვთისმსახურება ევალებათ და არა ხალიფატის წინააღმდეგ ბრძოლა, — განრისხდა შურტათმთავარი და მტკიცე ნაბიჯებით გაემართა კარისაკენ. ყველა კედლიდან შურტები გადმოცვივდნენ. თურმე პალატის კედლებს საგანგებო დატანებული, შეუმჩნეველი კარები ჰქონია. კარს უკან შურტების სამალავი ყოფილა. თვით გუარამისთვისაც კი მოულოდნელი იყო მათი გამოჩენა. კედლებიდან სატანებივით მოხტოდნენ, ზოგს ხმალი ამოეწვადა, ზოგს შუბი შეემართა. უცებ აივსო შურტებით პალატი.

თავზარდაცემული ღვთისმსახურნი გუარამს შესცქეროდნენ — ეს რა ამბავიაო. დაბნეული მამასახლისი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, იატაკიდანაც ხომ არ ამოძვრებიანო. სწორედ იატაკიც გაიხსნა რამდენიმე ადგილას და შუბოსნები იქიდანაც ამოხტნენ.

ბაბაქს უკან არც მოუხედავს. მცირე მცველი მონა-სპა ეზოშიც ელოდებოდა, სწრაფად მოართვეს კუდგამონასკვული არაბული.

გათენებულიყო. ცხენოსანი შურტებით გარშემორტყმული ბაბაქი თბილისის გზას დაადგა.

მეოთხე ღამე, მეხუთე დღე. მამა

მთელი დღის ხაწამები გულწასული ეგდო კუთხეში. ღონემიხდილი კვნესოდა. ნელ-ნელა მოდიოდა გონს. რაც უფრო ფხიზლდებოდა, მით უფრო აუტანელი იყო ტკივილი, კვნესასაც მით უფრო უმატებ-

და. არ უნდოდა გამოფხიზლება, გონწასული უკეთ გაუძლებდა ტკივილს, სიკვდილისებური ძილი, — ბურანი სანატრელი გაუხდა. იქ წყვდიადსა და შავს არაფრობაში ყოფნა ერჩია, მაგრამ ტკივილი აფხიზლებდა, ტკივილი არ აძლევდა წყვდიადში მშვიდად ყოფნის ნებას. „რა მტკივა?“ — ჰკითხა თავისთავს და უცებ სულ მთლად გამოვიდა ძილ-ბურანიდან. მთელი სხეული ტკიოდა. „მცემეს თუ ხორცი დამაგლიჯეს!..“ — ხელი გაატოკა, ალბათ ფერდების მოსაძინჯად, მაშინღა გაახსენდა, რაც სჭირდა.

საზარელი წამები გაახსენდა და ისევ დაკარგა გონება. კარგა ხანს იწვა გაჩუმებული, სუნთქვაც კი შეუნელდა, თითქოს მოკვდა... ნელ-ნელა შეირხა, კვლავ აღმოხდა უსასოო კვნესა... ტკივილმა გამოაფხიზლა. საკვირველი კი იყო, ტკივილი კლავდა და ტკივილი აცოცხლებდა!..

დილიდანვე დილეგში არ მჯდარა, ჩან ერთი შურტა იბარებდა და ხანაც მეორე. ყადისთანაც კი მიიყვანეს. ყველანი იოანეს ამბავს ეკითხებოდნენ. როგორ შეხვდა პირველად, სად შეხვდა და რატომ შეხვდა.

როცა სიცრუე ვერასგზით ათქმევინეს, შურტა გამოუტყდა: თქვი, რომ იოანემ შეგაცდინა და ხელს არ გახლებთო.

— სიცრუეს უფალი მიკრძალავს, — მიუგო აბომ.

— თუ შენს მოძღვარს უფრთხილდები, ნერსე ერისთავს გადააბრალე, ნერსე ერისთავი ხომ მკვდარია!..

— მოგვეხმარე, აბო, — დაუყვავეს შურტებმა, — სიკვდილი არ ავცდება, იცოდე, თუ გაჯიუტდები. თუ ყურს დაგვიგდებ, შენთვისაც უკეთესია და ჩვენთვისაც. არ გინდა მაჰმადის სჯულზე მოიქცე? — კეთილი და პატიოსანი, ის მაინც აღიარე, რომ შეგაცდინეს. თუ აღიარებ, დღის სინათლეს იხილავ...

— თუ არ შევუცდენივართ? თუ ჭეშმარიტების გზაზე თვითონ ღმერთმა დამაყენა?..

ეს იყო და ეს. ღმერთია მოწმე, ამის მეტი არაფერი უთქვამს. შეირყნენ, შეიშალნენ შურტები. ყვიროდნენ, მუშტებს იქნევდნენ, გარბოდნენ და გამორბოდნენ... მოჰქონდათ ჯაჭვები, რკინის სალტეები, ჩუგლუგები, ჩაქუჩები, ნემსები... „რას მიპირებენ?“, — ფიქრობდა აბო და დაფეთებული დასცქეროდა ხელსაწყოებს.

რკინის სალტეებითა და ჯაჭვებით ისე გულდაგულ შეკრეს, სუნთქვა უჭირდა. შებორკილი ხელები და ფეხები შემოუსალტეს, ჯაჭვები შემოახვიეს, შეშასავით დადეს მიწაზე. ჯაჭვებიდან და რკინებიდან

ხელის მტევნები გამოუძვრინეს და გულდაგულ მიუჯდნენ, ფრჩხილებს ქვემოთ მახათის ხელა ნემსები გაუყარეს. ნელ-ნელა უყრიდნენ გულისწამღებად, თითქოს გულში ჩხვლეტდნენ, შიგ გულში ჩუჩუნებენ ფოლადის ნემსებს. როცა ფეხის ფრჩხილებს მიადგნენ, სანამ უკვე ამ ქვეყანას აღარ იყო. თვალთ დაუბნელდა და წყვდიადში ჩაინთქა.

„ფრთხილი წამება“ ალი ჰასანის მოგონილი იყო, ადამიანი ისე უნდა ეწამებინათ, გარედან არაფერი დატყობოდა. თუ მანამ მოწამეს მარწუხებით აგლეჯდნენ ხორცს, ამის ნებას არ იძლეოდა ახალი ამირა.

ადუღებული ზეთის პირში ჩასხმა, ან თავში რკინის სალტის მოჭერა უფრო „კეთილ“ წამებად მიაჩნდა, ვიდრე თვალთა დათხრა ან ასოთა მოკვეთა.

აბომ შურტებისაგან გაიგო ახალი ამირას განაზრახი.

ალი ჰასანის „კეთილ“ წამებას შურტები დასცინოდნენ, მასხარაობდნენ და ლაზღანდარობდნენ, ძველი ერჩიათ, მარტივი იყო, სამუშაოდაც ადვილი.

„რატომ გამწარდნენ შურტები?“ — ფიქრობდა აბო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ფიქრობდა. გაბმული ფიქრის ნებას ტკივილი არ აძლევდა. „იქნებ ნემსები შიგ ჩამიტოვეს...“ შეაკრთო ამ ფიქრმა. ნელა ასწია ცალი ხელი და დაკოდილი თითები ფრთხილად შეახო მეორე ხელის ფრჩხილებს. „არა“, — გაუელვა თავში, იმედი მოეცა, რაკი ნემსები ამოეღოთ, იარებიც მალე მოუშუშდებოდა. „ნეტა ხვალ რა მელის“, — ამოტივტივდა უცებ გონებაში. რაკი ხვალინდელ დღეზე დაიწყო ფიქრი, ეს კარგის ნიშანი იყო. „ტკივილი ხომ არ ჩამიცხრა?“ — ღრმად დააკვირდა თავისთავს და აღმოაჩინა, რომ ტკივილი ოდნავ ჩაცხრობოდა, ტკივილის შიში კი დარჩენილიყო. ეს შიშიც უნდა გაერეკა. შიში ტკივილს აძლიერებდა.

წამოჯდომა სცადა, იდაყვს დაეყრდნო და წამოჯდა. ქუსლები ედგა მიწაზე. ადგომა არც უფიქრია. „ნეტა რა დროა? ჩემს დილეგში ვარ თუ სხვა დილეგში გადამიყვანეს?“ — ხელები მუხლებზე დაიწყო, მტკივანი თითები ჩამოჰკიდა და წყვდიადს მისცა თავი. ტკივილმა არ დაანება უზრუნველი ხეტიალი წყვდიადში, არ აეხილა გულის თვალი. ჩჩუ... საკვირველება! — ფხაკუნი შემოესმა. „დილეგში ჩემ გარდა სხვაც არის... „კარიჭ კარიჭისძე“. სიბნელეს დააყურა. სამარესავით გაჩუმებულ სიშავეში იძვრისი არ ტოკავდა. „მომესმა“.—კვლავ მიუგდო გულისყური სიბნელეს, კვლავ გაფაციცდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიძაგრა. „ვილაც დგას კუთხეში“... — შიშმა აიტანა. ნეტა რისი ეშინოდა! განა ვინ უნდა ყოფილიყო შურტებზე და ჯალათებზე საბაღელი! ხელად მოეგო გონს, გაეღიმა კიდეც საწყალობლად, „მაინც! ... მიანად ვთვლი თავს“...

„ვინა ხარ, რა სულიერი!“ — ჩურჩულით ჰკითხა სიბნელეს. პასუხად სიბნელემ ერთხელაც გაიფაჩუნა და დადუმდა. „თქვი, ვინა ხარ! ჩემსავით ტანჯული იქნები ან მოგზავნილი!..“

კარიჭ კარიჭისძემ ასე გაიფაჩუნა პირველად. დიდხანს უგდებდა ყურს ახალი კარიჭ კარიჭისძის გამოჩენას, მაგრამ ამაოდ... „ნუთუ იქ არავინ დგას...“ ერთ კუთხეს მისჩერებოდა. ჩაყურუმებული ლანდი, მისი აზრით, იქ იდგა. ხმას არ იღებდა?.. ადამიანი არ იყო? მაშ, რა იყო?.. სამარესავით დუმდა დილეგი. ტკივილი გადაავიწყა ამ ფაჩუნ-ფხაკუნმა. ახალი სატანჯველის მოლოდინი უფრო საშიში ყოფილა, ვიდრე უკვე განცდილისა და გამოტანჯულისა. „ურჩხული შემომიგზავნეს ალბათ“, — კუთხეში ჩაყურუმებული ლანდი მანამ თუ ადამიანს ჩამოჰგავდა, ახლა ურჩხულისებურად აიზლაზნა. „ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია... შიშველი ხელებიც არა მაქვს, რომ შევებრძოლო, ხელ-ფეხი წამართვეს, კუნძად მაქციეს, ურჩხული შემომიგზავნეს და ახლა ელოდებიან, როდის გადამყლაპავს“.

აბომ წყვდიადში „ურჩხულის დაღებული ხახაც“ კი დაინახა... თურმე წყვდიადში წასულა, გულის თვალი ჩუმად ახელია და ურჩხულს უმზერდა, ურჩხულთან ელვასავით მოაგდო თავისი თეთრი რაში წმიდა მხედარმა.

აბოს გული სიყვარულით აევსო. ზეციურ მხედარს იმედის თვალით შეხედა. აჰა, იძრო მახვილი წმიდანმა და ურჩხული განგმირა. „წმიდა გიორგი გამომეცხადა“, — გაუხარდა, გული სიამაყით აევსო. რაკი წმიდანმა მოაკითხა, მაშ, მარტვილობას ამაოდ არ ჩაუვლია, სულის მიერ წინაპართათვის ხმა მიუწვდენია, სულს გაუდვია ხიდი წარსულსა და აწმყოს შორის... ეს გამოცხადება სიზმარს ჰგავდა. „სიზმარია“, — დაასკვნა აბომ და გამოეღვიძა.

ჩჩჩ... — კვლავ გაისმა ის მოჯადოებული ფაჩუნი კუთხეში...

— ვინა ხარ?! — ხავილივით ამოხდა შიშისაგან, რაღაც ძალამ უბიძგა და წამოაყენა. ქუსლებზე დადგა, დაეჭიმა, დაეჭიმა კუნთები, დაეჭიმა წინ გაფარჩხული დაკოდილი თითებიც და ტკივილმა მოკრუნჩხა, მარჯვენა ხელის გული მოიშველია და ნელა დაეშვა მიწაზე. „არ შემიძლია... ტკივილი მომკლავს“, — გადაიფიქრა კუთხესთან მისვლა. „რა უნდა იყოს?“ — მოსვენებას არ აძლევდა ფიქრი. „ეგებ

ეშმაკია, წყლისფერი ეშმაკი, გუშინ წყლის სახით ჩაუვიდა გვამში, დღეს სხვა სახე მიიღო, კუთხეში დგას და ფხაკუნობს“.

თითვბი ვერ შეჰყარა პირჯვრის საწერად, მარჯვენა ხელი [illegible] მაღლა, რახან შებორკილი იყო, მარჯვენას მარცხენა [illegible] მაინც გადაისახა ჯვარი... სამჯერ გადაისახა და სამჯერ წარსთქვა: „სახელითა მამისათა“... — მკაფიოდ, ნათლად და ატაცებით.

თითქოს კუთხეში მდგარი ეშმაკის გასაგონად წარმოთქვამდა დაწყებით ლოცვას. ეშმაკი ლოცვით უნდა უკუქცია.

მართლაც მიწყდა ფხაკუნი დილეგის კუთხეში, ეგონა, რომ ეშმაკი დილეგიდან გააძევა. წყვდიადში კვლავ გამოისახა წმინდა გიორგი თავისი უძლეველი მახვილით ხელში. წმინდა მხედარი წყლისფერ ეშმაკს გამოუდგა მახვილშემართული. წმიდა გიორგის თეთრი რაში ეშმაკის დანახვაზე აჭიხვინდა წყვდიადში და ყალყზე შედგა. წმიდა გიორგიმ ეშმაკს მახვილი ჩასცა, მაგრამ წყლისფერი ეშმაკი მახვილჩაცემული გაიქცა და წმიდანს სიცილი დააყარა... „ეს ალბათ სიზმარია“... შიშმა გამოაღვიძა. გამოაღვიძა და თავის შავს დილეგში დააბრუნა, მახვილჩაცემული ეშმაკის ხარხარი მაინც ჩაესმოდა ყურში... უჰ!... თავი შეარხია, სიზმარი ყურებიდან გამოიბერტყა, თვალებდათხრილივით გაიხედ-გამოიხედა. გარემოს შეგრძნება სწყუროდა. დაკოდილი ხელები გააფათურა სიბნელეში.

— ჩუუუ!.. — ფხაკუნი სულ ახლოს გაისმა და შიშველ ფეხებზე ტანტალით გადაურბინა ცოცხალმა არსებამ. „თაგვი!“. — გაუელვა გონებაში, — ჰა, ჰა, თურმე თაგვის ეშინოდა! — გაეღიმა. — ნუთუ ამ ჯოჯოხეთში თაგვი ბინას დაიდებდა? ნეტა რანაირი თაგვი იყო? ეგებ ეშმაკი გამომეცხადა თაგვის სახით? ასეთ ცივ, გაფხეკილ ჯურღმულში თაგვიც კი არ მოიცდის... — კვლავ შეიპყრეს ეჭვებმა.

იმ ერთ წამს იხსენებდა, საკვირველმა თაგვმა შიშველ ფეხზე რომ გადიტანტალა. ლანდისთვისაც კი არ მოუკრავს თვალი, მაგრამ თაგვი ჩვეულებრივზე დიდი მოეჩვენა. „ვირთხა იყო ალბათ“, — წონიდა წარმოდგენაში შიშველ ფეხზე შემხტარ თაგვს. „დილეგის ვირთხა“, — სახელიც გამოუძებნა. სწორედ ამ დროს თავზე დაახტა რაღაცა, ელდანაკრავი წამოვარდა ფეხზე! ახლა კი სულ არ უგრძვნია ტკივილი, ნაბიჯიც კი გადადგა კარისაკენ. „ნეტა რა იყო? ნუთუ ჭერიდანაც ვირთხები მოხტიან?“ — სულ ერთიანად აიტანა შიშმა, „ვირთხების შემოსევა!“ — ყვირილს ავტეხავო, იფიქრა, მაგრამ ამასობაში გონს მოეგო: შემომიყარეს ვირთხებიო, — დაასკვნა და უცებ დამშვიდდა. აბო ღვთის მოშიში იყო, ღვთის გამოგზავნილისა ეშინო-

და, თორემ ადამიანის ვერას დააკლებდა. სულის წარწყმედა არ უნდოდა, სულის გადარჩენისათვის გადაედო თავი, ხორცი კარგა ხანია დაეთმო. „შურტებმა გამოგზავნეს?“ — სიბნელეს გაუგია ხმამაღალი საუბარი. — „მობრძანდით, მობრძანდით“, — ეპატიჟებოდა თაგვებს. ისევ დაჯდა მიწაზე, დაკოდილი ფეხის თითები ისევ ააშვირა მაღლა, ხოლო ხელის მტევნები მუხლებს დააყრდნო და ჩამოჰკიდა. სიბნელეს დააყურა, თაგვებს თუ ვირთხებს ელოდებოდა თავის ჭკუით. დამკბენენ, ჭირს შემყრიან, სულს უფალს მივაბარებ და მოვისვენებო. საკუთარი გვამი თითქოს ხელისგულზე დაიდო და შემოსეულ ვირთხებს შესაჭმელად გაუწოდა. სასწაულიც მაშინ მოხდა, ვირთხებმა პირი იბრუნეს და თავიანთ სოროებში ჩაძვრნენ.

მთელი ღამე ტანჯვაში გაატარა, როგორც კი ბრძოლა შეწყვიტა და უშიშრად დათმო სხეული, თაგვებიც გაქრნენ. „ხმის შეეშინდათ, — გაიფიქრა აბომ, — სიბნელეს საუბარი რომ დავუწყე, მიიმალნენ... ლეშს დაეძებდნენ... ლეში ვეგონე“...

ცისკრისა ილოცა, ყურუმი სიბნელე მურუჟღით შეიცვალა და დილეგის კართან ფეხისხმაც გაისმა. წასაყვანად მოვიდნენ.

არ ეგონა, თუ ნაბიჯს გადადგამდა. დასტაცეს ხელი და გამოათრიეს დილეგიდან. გრძელი დერეფნით წაიყვანეს, ფრთხილად ადგამდა შიშველ ფეხს მიწაზე, მაგრამ მაინც ტკიოდა. ტკივილს ითმენდა შეძლებისდაგვარად, ჩქარ-ჩქარად ადგამდა ნაბიჯებს, თან უკან-უკან იყურებოდა. ჯალათმა ხელი არ მკრასო. თუ ხელს ჰკრავდნენ, თავს ვერ შეიმაგრებდა და დაეცემოდა, თუ დაეცემოდა, ხელებს ხომ ვერ მოიშველიებდა, ცხვირ-პირით დაასკდებოდა გამხმარ მიწას.

დერეფანი მიწის ქვევით იყო თუ მიწის ზევით, კაცი ვერ გაარკვევდა. დღის სინათლე კი აღწევდა საიდანღაც.

ამ დერეფნით ჯერ არ წაეყვანათ, ჯალათებს შეავლო თვალი: გვერდ-გვერდით ორი ლახვაროსანი მოსდევდა, უკანაც ორი მოჰყვებოდა, წინ ერთი მიუძღოდა — ის მედილეგე იყო. ხუთ კაცს მიჰყავდა ერთი პყრობილი. პყრობილს ხელ-ფეხზე ბორკილები ედო, თანაც შებორკილი ხელფეხი ნემსებით ჰქონდა დახვრეტილი. აბოს მთელი გულისყური უკან, ჯალათებისკენ, მიეპყრო, — ხელი არ მკრანო, თან წინ მიმავალ მედილეგეს ხოსრო აბუ იუსუფის ამბავს ეკითხებოდა. მედილეგე გახევებულიყო, ხმას არ იღებდა. დღეს დილით ხოსრო აბუ იუსუფს უნდა ჩაებარებინა ცვლა. აბოს ხოსროსთვის დავალება უნდა მიეცა, რატომღაც სჯეროდა, რომ ხოსრო ღვთისნიერი კაცი იყო და შეუსრულებდა თხოვნას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ხოსრო აბუ იუსუფი ხომ უნდა მოსულიყო ამ დილით? — ეკითხებოდა აბო მედილეგეს, მაგრამ მედილეგე დუმდა.

— არ იცნობთ ხოსრო აბუ იუსუფს?..

მედილეგე დუმდა.

— არ შეიძლება არ იცნობდე... ამოიღე ხმა, კაცი არა ხარ?

მედილეგე დერეფნის ბოლოს შეჩერდა. რკინის გალიას მიადგა. კარი გამოაღო და აბოს ანიშნა, შედიო, აბო შეჩერდა, დაბნეულად გაიხედ-გამოიხედა, უნდობლად გადადგა ნაბიჯი გალიისაკენ. „ნეტა რას მიპირებენ?“ — ჯალათებმა ხელი უბიძგეს და შიგ შეაგდეს. მედილეგემ კარი ჩაკეტა და წავიდა. ჯალათებიც უკან მიჰყვნენ. გალიას კედლებად რკინის ღობურები ჰქონდა. მსხვილი მავთულებისაგან ორფად მოექსოვათ ღობური, ღობურებიდან გალიის მეორე თვალიც მოჩანდა. იქ არავინ იყო. არც დერეფანში ჭაჭანებდა სულდგმული. აბო მარტოკა იყო მხეცივით გამომწყვდეული გალიაში. როგორც კი შიგ შევიდა, მაშინვე იატაკზე დაჯდა, იატაკიო ვამბობ თორემ, სადღა იყო იატაკი! მიწა გადაეფხიკათ და ტკილის ფართო-ფართო ნატეხები და ლოდები დაეგოთ. ქვაზე დაჯდა, დაკოდილი ფეხები შეასვენა, დიდი მანძილი არ გაუვლია, მაგრამ ჭრილობები მაინც ასტკივდა. თავჩარგული იჯდა და ჩასისხლიანებულ ფრჩხილებს ჩასცქეროდა. გალიის მეორე თვალიდან ხმაური შემოესმა. თავი აიღო და გახედა. ვიღაც შემოაგდეს იმ თვალში და ჯალათებიც შემოჰყვნენ. „ალბათ ამისთვის შემომიყვანეს აქ“, — გაიფიქრა თუ არა, — მამაო, — შეჰყვირა მისდაუნებურად. ის კაცი, ვინც მეორე თვალში შემოაგდეს, აბოს მამა იყო. „მამა!“ — რკინის ღობურს მოაწყდა აბო. „შვილო, აბო!“.. — მამამაც შესძახა იქიდან და ახლა ის მოიჭრა მავთულის კედელთან. მათ ერთმანეთისაგან ორფა მავთულის კედელი ჰყოფდა.

— ნუთუ შენა ხარ? როგორ გამოცვლილხარ! როგორ დავაქაცებულხარ!..— მამას ქვედა ყბა უკანკალებდა და სიტყვებს ძლივს წარმოთქვამდა.

— მამა!.. მამა!.. მამა!.. — გაჰყვიროდა აბო და მავთულის ღობურში ფართო სამზერს ეძებდა, მამა უკეთ რომ დაენახა. სიტყვებს ვერ პოულობდა აღტაცება და მწარე სინანული ერთად გამოეხატა, მოზღვავებულ გრძნობას დაემუნჯებინა. მამის სიტყვებმა მოიყვანეს გონს.

— ქუსლებით რატომ დადიხართ... ხელებიც გტკივა?.. რა დაგმართეს, შვილო?!.. რამ დაგამუნჯა! მითხარი რამე...

— ეს არაფერია! — ხელ-ფეხზე დაიხედა აბომ. — თქვენ როგორა ხართ, მამა? დედა როგორ არის, ბავშვები როგორ არიან?..

— ეჰ, ჩვენს ყოფნასაც თუ ყოფნა ჰქვია, მაშინ არყოფნა რაღა არის! ვიფიქრე, ერთი შვილი მაინც გზაზე დავაყენე, გურჯების ხალიფას პირად მსახურს სასმელ-საჭმელი არ მოაკლდება, თავშესაფარსაც და სამოსსაც არ დაუჭერენ, — ადამიანს მეტი რა უნდა! ქვეყნებს ნახავს, კაცი დადგება-მეთქი!.. ეს რა ჩაიდინე, აბო!.. თავი არ გებრალება, მაგრამ ჩვენ რას გვემართლები?.. — მამამ ხელები ასწია და აბოს ბორკილები უჩვენა.

— მაგის ნება არა აქვთ! — შესძახა აბომ, — შენ ხალიფას მედილეგე ხარ!.. ხალიფას ნებართვის გარეშე არ შეიძლება შენი შეპყრობა, ხალიფას მალულად წამოგიყვანეს ალბათ...

— ამათ ყველაფრის ნება აქვთ!.. — ვაი, დაღუპულო შვილო! ვაი, უბედურო ყმაწვილო!.. შენ არ იცი ამათი ამბავი! — დედაშენი, შენი და-ძმანი საპყრობილეში ჰყრიან ალბათ. შენ კი სიკვდილი მოგელის! თუ საჯაროდ არ გაწამეს, დილეგში მოგახრჩობენ.

— სახლ-კარი თავზე დამექცა, ხალხო! ამომიწყდა ტანჯვით შექმნილი ოჯახი!.. — ჯალათებს უთხრა.

— სიკვდილი არაფერია, მამა! — უცებ გამომკვირცხლდა აბო.

— რაო? სიკვდილი არაფერიაო. მართლა თქვი თუ შემომესმა, შვილო?.. ალაჰ, სიკვდილი არაფერიაო! შენ რა იცი, რა არის სიკვდილი! სიკვდილის ამბავი მე მკითხე, მე! მეფურ სიკვდილს ძაღლური სიცოცხლე სჯობია, საუკუნო ძილს — წამიერი თვალის გახელა! არ მოგატყუონ, შვილო, არ წაგაქეზონ! ახლა შენ წამქეზებელიც გეყოლება, ყური არავის დაუგდო, არ დამღუპო! აგერ ამ ჯალათებს უთხარ, რომ შეცდი, რომ ჩვენი ღმერთი ალაჰი იყო, არის და იქნება!

აბო მოწყვეტით დაეშვა ძირს, დაჯდა ქვის იატაკზე და თავი ჩაჰკიდა. გულის სიღრმეში მოელოდა ამ შეხვედრას... რა ეთქვა ახლა, მამა რით ენუგეშებინა?.. უკან დაეხია?.. ვიღაცა ექაჩებოდა უკან, მამა კი არა, გული ექაჩებოდა, გული ეძახდა. აბოს თვითონ არ სჯეროდა საკუთარი გულის ძახილისა. გული ეძახდა თუ დედა, თუ თავისი პატარა და-ძმები... მამაც თითქოს აქ არ იყო ახლა, მამაც ბაღდადიდან ეძახდა, მწუხარე სახით იდგა სადილეგოს წინ და გურჯების ქვეყნისკენ იყურებოდა, შეტოკდა, შეტორტმანდა აბო. მამის დანახვამ სული შეუძრა, შეურყია სული. თითქოს მარტო აბო კი არა, მთელი ქვეყნიერება შეიცვალა იმ ერთ წამს. განა რა უთხრა

მამამ ასეთი, არა, სიტყვის ძალით კი არ შედრკა მოწამე, სიყვარულის ძალამ შეანჯღრია, სიყვარულის ძალა გადაუდგა წინ და შეატორტმანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბო, აბო! — ჩაესმა მამის ხმა, — რად გაჩუმდი, ხმა ამოიღე! შენს ერთ სიტყვას ელოდება მთელი ბაღდადი. თუ ჭკუა სულ მთლად არ დაგიკარგავს, თქვი, რომ შენს ღმერთს აღიარებ და კარს ახლავე გაგიღებენ! აქვე ჩემი თანდასწრებით გამოგიშვებენ, მოგკიდებ ხელს და შინ წაგიყვან!.. იცი, ამისთვის რამდენი ვიწვალე, მე თვითონ ვიყავი ამირასთან, ვევედრე, მუხლები დავუკოცნე და შენი თავი გამოვითხოვე..

მამა მავთულის ღობურს მოებღაუჭა შებორკილი ხელებით და მოუთმენლად დაელოდა პასუხს.

— შენ თვითონ იყავი ამირასთან? მუხლები დაუკოცნე!.. — ჩაიდუდუნა აბომ.

— ჰო, ბაღდადიდან ისე წამომიყვანეს, შენი შეპყრობის ამბავი არც ვიცოდი, მითხრეს, ბიჭმა სჯული შეიცვალა, მამა ხარ და გზაზე დააყენეო. აქ რომ ჩამოვედი, ხელებზე ბორკილები დამადვეს... აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მე ხალიფას მედილეგე ვარ, უფლება არა გაქვთ-მეთქი!.. ხალიფას მედილეგე რომ ბრძანდები, სწორედ იმიტომ უნდა შეგიპყროთ, ხალიფას მედილეგეს მოღალატე შვილი არ უნდა გაგეზარდაო. ამიყვანეს და სასიკვდილე ხაროში ჩამაგდეს. ავტეხე ყვირილი, მაჩვენეთ ჩემი შვილი, ჩემი ხელით გამოვჭრი ყელს-მეთქი!.. ვიღაც კაცები მოვიდნენ და ამირასთან წამიყვანეს. ამირამ მაჩუქა შენი თავი და ახლა შენ იცი, თუ არ წამიჭერ ყელში თოკს... თქვი ჩქარა, რაც საჭიროა და წავიდეთ აქედან...

აბოს ერთი წამით დაუძახა გულმა უკან, მშობლიური ბუდისაკენ, ერთი წამით შედრკა, როგორც კი თავისი მედილეგე მამის ძველი სახე დაინახა, უმალ გამოაძევა გულიდან პირადი, კერძო, მხოლოდ თავისი, ღმერთს პატიება თხოვა იმ წამიერი შებორძიკებისათვის და უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არ წამოხვალ? შენი მშობლიური სახლი არ მოგენატრა? დედა... ძმები... დები...

აბომ თავი ჩაღუნა, არაფერი უთქვამს. გაქვავებული იჯდა ერთ ადგილას.

— დედაშენს ყოველღამე ესიზმრები... თქვი რამე, ბიჭო! რამ გაგიქვავა გული!.. მივყავართ უკვე...

ჯალათებმა პყრობილ მამას ხელი მოჰკიდეს და წაიყვანეს, უკან-

უკან იყურებოდა. აბო ფეხზე წამოდგა, ღობურს მიადგა, ხელის გულები მიადო და ხარბად დაუწყო ყურება მიმავალს. ალბათ უკანასკნელად შესცქეროდა მამის მწუხარე სახეს, უკანასკნელად გაგონა მამის ნაღვლიანი ხმა... რამდენიმე წამში მამა თვალს მიეფარებოდა და საბოლოოდ გაწყდებოდა კავშირი არა მარტო მშობელ მამასთან, მშობლიურ ბუდესთან, დედასთან, და-ძმებთან, ნათესავებთან და ახლობლებთან, თითქოს მამამ ჩამოუტანა დედის ალერსი, მშობლიური სითბო და ახლა უკან მიჰქონდა...

— მამა! — შესძახა აბომ უკანასკნელ წამს — მე თქვენ ყველანი ძალიან მიყვარხართ! მე გული არ გამქვავებია!.. — მავთულის ღობურს მტკივან ხელებს ვერ ჰკიდებდა, ცხვირ-პირით და მკერდით მიაწვა და ცრემლი გადმოყარა. ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები, როცა მამა გაიყვანეს, იქვე ჩაიკეცა ღონემიხდილი.

მეხუთე ღამე. მკვდარი

შუაღამით დილეგში ჯალათები შეიჭრნენ, წამოაგდეს პყრობილი, ყაყბები ჩაიცვიო, უბრძანეს. ფეხი მტკივა, გინდათ მომკალით, ვერ ჩავიცვამო, მიუგო. ყაყბები მხარზე გადაჰკიდეს და ფეხშიშველა წაიყვანეს ბნელი დერეფნით. შენობიდან რომ გავიდნენ, აბომ შიშველი ფეხი მოხრაშუნე თოვლს რომ დაადგა, გაიფიქრა: „სასიკვდილოდ მივყავართ...“

ფეხებზე თითქოს ლოდები დაეკიდა, ვერც აწევა შეძლო, ვერც გადადგმა, შიშველი ქუსლებით ჩაესო თოვლში და გაჩერდა. „ახლა მომკლავენ, ამ მინდვრის ბოლოში“...

ჯალათებმა ზურგზე ხელი ჰკრეს და წინ წაიგდეს, წაბარბაცდა და დაეცა. მოყინული, ხრაშუნა თოვლი ეფინა მიწაზე. ადგომა არ უნდოდა. დასტაცეს ხელი და წამოაყენეს. როცა ზურგზე ჯალათის ტორი მოხვდა, ეგონა მახვილი დაჰკრეს. „უნდა მომკლან“.. — დაჟინებით ფიქრობდა, არ უნდოდა ამაზე ეფიქრა და მაინც ფიქრობდა.

შესცივდა. კანკალი აუტყდა. შიშის კანკალი იყო თუ სიცივის, თვით ვერ გაერკვია. ყინავდა. ციოდა, ფეხები სულმთლად გაეთოშა. ქუსლებს არჭობდა თოვლში და ბორძიკით, ნელა მიდიოდა. ფეხის თითები დასიებოდა, ტკიოდა და ტერფის დადგმა მიწაზე უჭირდა. თოვლი ხან ხრაშუნობდა ფეხქვეშ, ხან არა, ალაგ-ალაგ იდო ალბათ, თოვლში სიარული უფრო უჭირდა, ცივი მიწა ერჩია. უცებ

ჯალათები ერთ ადგილას შეჭუჩდნენ. მიწაზე დაუწყეს რაღაცას ძებნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეხუთეში, მეხუთეში“, — ერთმანეთს გასძახეს არაბუნებრივ ხმაში. ვერაფერი ესმოდა, იგი ყოველ წუთს მოელოდა მახვილის ჩაცემას ან თავის მოკვეთას. სიტყვა „მეხუთეში“ გაიგონა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა. არც დაფიქრებულა იმაზე, თუ რა უნდა ყოფილიყო ის მეხუთე. შენობიდან რაკი გაიყვანეს, აბოს აზრით, ეს უკვე ნაღდი სიკვდილი იყო. ჯალათები იმაზე მსჯელობენ, თავი როგორ მომკვეთონო, ფიქრობდა. სიბნელეში ამოძრავებულ ლანდებს გაფაციცებული შესცქეროდა, ვინმე უკნიდან არ მომეპაროსო.

სიბნელეში მოფუსფუსე ჯალათებს ორნი გამოეყვნენ, მივიდნენ აბოსთან, მოჰკიდეს ხელი და წაიყვანეს. „მორჩა“ გაუელვა თავში აბოს. წარმოდგენით გადაიწერა პირჯვარი, ღმერთი ახსენა და სასიკვდილო ნაბიჯები თამამად გადადგა, „ერთი... ორი... სამი...“ — შესძახეს ჯალათებმა, პყრობილი მიწას მოსწყვიტეს და კუპრივით უფსკრულში ჩაუშვეს. აბოს ეს სიკვდილი ეგონა. ალბათ ასეთი სიკვდილი გადამიწყვიტესო — იფიქრა. როცა მტკივანი ფეხებით უფსკრულის ფსკერს დაახტა, მაშინღა მიხვდა, რომ ხაროში ჩააგდეს. ისე ასტკივდა ფეხები და ხელები, მოიკუნტა და გმინვა აღმოხდა, „სიკვდილ მისჯილთა ხარო“. ასეთი ხარო ბაღდადში ენახა. მამამისის სადილეგოს უკან, მინდორში, გაემართათ სასიკვდინე ხაროები. „აღარ მომკლეს“, — ფიქრობდა გამალებით. „მოკვლის ბრძანება არ ჰქონიათ“. უხაროდა, რომ ხაროში ჩააგდეს და აღარ მოკლეს... ფეხები გულისწამღებად ტკიოდა. ციოდა ხაროში. კედლები ყინვას მოელიპა და უჰაერობა მახრჩობელა საკანს აგონებდა, მაგრამ ხარო მაინც ერჩია იმ საკანს. „არც ისე ღრმაა, ცოტა ხანს მოვფრინავდი“. ხელისგულები მიადო ხაროს კედლებს. გულდაგულ სინჯავდა. ხარო ქვევიდან ზევით ფართოვდებოდა. გრუხუნი და ბრახუნი მოისმოდა ზემოდან. „სარქველი დაარქვეს“. ხაროს ფსკერს დაუწყო სინჯვა ფეხებით. როცა ხაროში ჩამოაგდეს, ძირს დაცემისთანავე რაღაცას წამოედო, ფეხები ისე ეტკინა, თავი დაავიწყა, ახლა ცოტა მოსულიერდა. უნდა გაეგო, რა იდო იქ, ხაროს ფსკერზე. მტკივანი ფეხის ტერფი ფრთხილად მოაფათურა. იქ მართლაც რაღაც იდო. რა უნდა ყოფილიყო? რბილია. სამოსი აცვია... ადამიანია?.. აბო დაიხარა და ხელის შეხება მოიწადინა, ეშინოდა, მაგრამ ფრთხილად შეახო ხელი. „ადამიანია“. დაასკვნა. ჰე, ჰეი! ჰეი! — შეჰყვირა შიშისაგან. ხმა არავინ გასცა. ვინ უნდა ყოფილიყო აქ, ასეთ დროს, ასეთ უფსკრულში!.. „ალბათ

მკვდარია“... ამ აზრმა ტანში გაბურძგლა. ხაროს ფსკერზე ორ ადამიანზე მეტი არც დაეტეოდა. ერთი ძირს ეგდო მკვდარი, მეორე აბო იყო. „ვინ იცის რა ხნის მკვდარია“, — გაიფიქრა. ამან კიდევ უფრო შეაძრწუნა. რა უნდა ექნა? ებღავლა, ვინმე გაიგებდა ამ ღამით ძის ყვირილს? „ეგებ არ არის მკვდარი“... — ახლა ეს ფიქრი აეკვიატა. ფეხის ტერფი მიადო კვლავ. ცალი მხრით მიეყრდნო ხაროს კედელს, სინჯავდა გვამს ტერფით. ვერაფერი გაიგო იმაზე მეტი, რაც უკვე იცოდა. „მაშინებენ“... — გაიფიქრა აბომ და ლოცვას შეუდგა. იმის ძალაც არ ჰქონდა, ატაცებულს ელოცა. ტკივილს, შიმშილს, წყურვილს, სიცივეს ძალა წაერთმია, ძლივს გასაგონად ბუტბუტებდა ლოცვას. სიცივისაგან და შიშისაგან გული უკანკალებდა და აძაგძაგებული, კბილების კაწკაწით წარმოთქვამდა სიტყვებს.

ამ საღამოს ორჯერ მოკვდა. პირველად მაშინ, როდესაც ხეშხეშა თოვლს შიშველი ფეხი დააკარა, მოსაკლავად მივყავართო, გაიფიქრა. მეორედ: როცა ხაროში მასთან ერთად კიდევ იყო ვიღაც და ეს ვიღაც მკვდარი აღმოჩნდა.

ლოცვას მორჩა. ახლა როგორმე ამ მკვდრის ამბავი უნდა გაეგო. გაბედა და მიუცუცქდა პირდაპირ. ხელის გული მოაფათურა სიბნელეში. სამოსზე ხელი შეახო, თავი მოუძებნა, „მოხუცია თუ ახალგაზრდა?“ — გვამი ქვადქცეულიყო, სიბნელეში სიმაგრის მეტს ვერაფერს გაარჩევდა ადამიანი. თავზე ხელი რომ გადაუსვა, გულმა უმატა ძგერას რატომღაც, გულმა რაღაც უთხრა თითქოს, მაგრამ პყრობილმა ვერ გაუგო გულს.

„ალბათ გაიყინა“.. — თვითონაც ძაგძაგებდა სიცივისაგან. შიშველი ფეხები მაინც სულ მოეყინა, ყაყბები მოიძია. როცა ჯალათმა ხელი ჰკრა და დაეცა, ყაყბები დაუვარდა, მაგრამ იქ არ დაუტოვებია, რატომღაც წამოიღო. მაშინ ამისთვის აზრი არ მიუცია, რომ წამოაყენეს, ხელს აჰყვა, მხრიდან გადმოცურებულიყო და თასმით ეკიდა მკლავზე, აღარ დააგდო. ახლა, რაკი აღარ მოჰკვეთეს თავი, სიცივეს უნდა გამკლავებოდა, შიშველი ფეხები რითიმე შეემოსა, უნდა ემარჯვა და ყაყბები ჩაეცვა. ძირს, მკვდრის გვერდით ეგდო მისი ყაყბები. მოძებნა, გაშეშებული ხელების ფათურით ჩაცმა დაიპირა... პირველივე ცდა გულის შეღონებით დამთავრდა. გამწარებული დავარდა ძირს, ზედ დაემხო ყაყბებს აკვნესებული. ხაროს კედლისკენ გაჩოჩდა, მკვდართან წოლას გაყინულ ცივ მიწასთან წოლა ერჩია, მოიკუნტა და ხაროს კედელს მიაწვა. მკვდრის სუნი მაინც სცემდა და მკვდრის სამოსს მაინც ეხებოდა. დაწოლას ისევ ფეხზე

დგომა სჯობდა. დაწოლისას უფრო .სციოდა. ტანჯვითა და კვნესით წამოდგა. ფეხზე დგომა ტკივილმა არ დაანება, ისევ დაწვა. „ნუთუ, უფალო, ასეთ სატანჯველს შინ თვითონ გვიგზავნი ადამიანებს?“ შეჰღაღადა უფალს და უმალ პირზე ხელი მიიფარა. უფალმა უკეთ იცოდა, რასაც იქმოდა. აბოს ევალებოდა მოთმენა, ბუზღუნის ნება არ ჰქონდა. ალბათ წინაპართა ცოდვებს აზღვევინებდა ღმერთი. თვითონ უცოდველი იყო, ვითარცა კრავი. გარდა სიცოცხლის წყურვილისა სხვა ცოდვა არაფერი ედო კისერზე. სიცოცხლე კი ღვთის წყალობა გახლდათ. რახან ღვთის ხელი ერია დედამიწაზე სიცოცხლის სუფევაში, სიცოცხლის წყურვილი ცოდვად არ ჩაეთვლებოდა, მაშ, სხვათა ცოდვებს აზღვევინებდა ღმერთი, სხვისთვის ეწამებოდა. ამ ფიქრმა შვება მოჰგვარა, ძალა შეჰმატა.

როგორ ციოდა, როგორ არაკუნებდა ძვლებს ხაროს ფსკერზე, რა მწარედ სტკიოდა იარები...

„ეს ცხედარი აქ შემთხვევით არ დამხვედრია“, — უცებ გაჰკრა გონებამ. ალმოაჩინა, მიაგნო, რაც ახლა ყველაზე უფრო სჭირდებოდა. მკვდარს ხომ კაბა ეცვა. ფეხებს მაინც თუ ჩაითბუნებდა, ეგებ ეს ჯოჯოხეთური ტანჯვა შენელებულიყო. პირჯვარი გადაისახა, ხომ არ ვცოდავო, მკვდრის სულს ხომ არ შევაწუხებო, დაეჭვებულმა გააცურა ფეხი ცხედრისაკენ, გულდაგულ მიუჩოჩდა მკვდარს, ჯერ დასიებული მტკივანი თითები შემალა კაბის კალთაში. ნელა-ნელა, ფრთხილად კოჭამდე შეჰყო, შემდეგ წვივამდე... შეისვენა, ხელისგულებით მოსინჯა მკვდრის კაბის კალთა სად თავდებოდა, თავისი ფეხები სად იყო, გაშლილი ხელის ზურგი კაბის ქვეშ შეჰყო, აუწია კალთა, კბილებით მიწვდა და მოქაჩა, მუხლამდე შეძვრა შიგ, იმდენი უხერხა, იმდენი უტრიალა, ისე მოიკუნტა, სულ ერთიანად შეუძვრა მკვდარს სამოსში. მოძებნა თავისი ყაყბები, თავქვეშ დაიდო და გაყუჩდა. დაძაბული, დაჭიმული მოქმედებდა სიბნელეში, ხელი არაფერს გავკრა, ფეხზე არაფერი წამომედოსო — შიშობდა, როცა თავი დადო ყაყბებზე, უკვე აღარ კანკალებდა. შეხურებულიყო „მუშაობაში“.

„ნეტა რა დროა? გათენდა თუ ისევ ღამეა?“. ფიქრობდა კატასავით დამრგვალებული და მკვდრის კაბაში შემძვრალი. „ვილოცებ და ლოცვაში დრო სწრაფად გავაო“, — გადაწყვიტა.

გულმა ისევ უმატა ძგერას. ყური მიუგდო გულს. „მამა“, — ეს ერთი სიტყვა გაჩნდა საიდანლაც ხაროში, „სასიკვდინე ხაროში ჩამაგდეს“, — მამის ხმაც ჩამოიჭრა და... მკვდრის კაბიდან უმალ გამო-

ძვრა. „მამა“, — შეიპყრო ეჭვმა. ნამდვილად მამაა. შეშფოთებული აქეთ მიაწყდა, იქით მიაწყდა, ზედ დაემხო ცხედარს და ატირდა: „მე მოგკალი, მამა, მაპატიე, ჩემო საწყალო, ჩემო [illegible]ლო“...—ალალ-მართალი ბღავილი მორთო. დიდხანს ტიროდა, შემდეგ კვლავ ფრთხილად გააცურა ხელი სიბნელეში და სინჯვა დაუწყო: „პატარა კაცია“—გაუჩნდა უცებ იმედი. „არ არის მამა“... მართალია მამამ უთხრა: სასიკვდილო ხაროში ჩამაგდესო, მაგრამ რაკი ეს უთხრა, იმ ხაროს ხომ გადაურჩა? მეორედ არ ჩააგდებდნენ, უკან ბაღდადში გააბრუნებდნენ... ხალიფას მედილეგეს ასე, კატის კნუტივით, ვერ მოგუდავდნენო, ფიქრობდა. ცრემლი მაინც სდიოდა, ეჭვი რჩებოდა. „ეჭვს რომ მოვეკალი, ამისთვის ჩამაგდეს ამ ხაროში“... გაუელვა თავში და ამ ფიქრმა დაამშვიდა, დააწყნარა გული.

არ შეეძლო იმის დაჯერება, რომ მისი გულისთვის მამა მოკლეს და ხაროში ჩააგდეს, მკვდარ მამასთან ერთად იწვა ერთი ღამე. „არა“ — გაჰკიოდა სიბნელეში. „უფალი ამას არ დაუშვებს!..“

მთელი ღამე იბრძოდა, ებრძოდა ეჭვებს, ფიქრებს... ტიროდა, ტიროდა... მოთქვამდა, მკვდარს ხმამაღლა ელაპარაკებოდა.

თანდათან ძალა გამოელია, ხმაც ჩაუწყდა, გულის კანკალმა და ძაგძაგმა უმატა და ღონემიხდილი ჩაიკეცა, ნელ-ნელა მიესვენა ცხედარზე, წყვდიადში ჩაინთქა ერთიანად. ვინ იცის გულწასული რამდენ ხანს ეგდო, არაფერი ახსოვს: რა მოხდა, როგორ ამოიყვანეს ხაროდან, სად წაიყვანეს და რა გადაუწყვიტეს. თვალი რომ გაახილა, ცეცხლის პირას იწვა, თავზე ექიმი ადგა. გულ-მკერდს უზილავდა და ნივრით შეზავებულ თბილ წყალს ასხამდა პირში.

ავადმყოფი გონს რომ მოეგო, ექიმმა ჯალათებს უთხრა. აჭამეთ რამე, თორემ ისევ მოკვდებაო. ჯალათებმა აბო კვლავ ძველ დილეგში შეაგდეს.

შინაყრობილი

ახალი წელი იმ წელიწადს ქართლში დარებით დაიწყო. მართალია, საშობაოდ თოვლი დადო, მაგრამ ნაახალწლევისთვის თოვლი მხოლოდ მთათა ფერდობებს შემორჩა. ღამ-ღამობით ყინავდა. დღით კი მზე ამოდიოდა.

იოანეს ყოველ დილით გამოჰყავდა თავისი ავადმყოფი ცხვარი სუფთა ჰაერზე და ფერდობებზე აძოვებდა. მონასტრის ბერებს ხვასტაგი გაშვებული ჰყავდათ, ხელით პირუტყვს არავინ აძოვებდა. იოანეს

კოჭლ ცხვარს სხვა ტვირთი ეკისრებოდა. ვითომ აძოვებდა იოანე, ძოვება-ძოვებით მტკვრის ნაპირამდე ჩამოდიოდა.

როცა ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქმა იოანე მცხეთაში შეპყრობილი ჩამოიყვანა და კათალიკოსსა და მცხეთის მამასახლისს მუქარით ჩააბარა, იოანე გულში ფიქრობდა: არაფერია, ხვალ თბილისში წავალ, თვითონ ამირას ვესტუმრები და შეპყრობას მას მოვთხოვო.

მეორე დილით მართლაც შეკაზმა თავისი ჯორი და წასასვლელად გაემზადა, მაგრამ მონასტრის ეზოდან ფეხი არ გადმოადგმევინეს. წინ ლახვაროსანნი შურტები გადაუდგნენ და ბაბაქის ბრძანება გადასცეს: ქართლის უმაღლესი მსაჯული ამირა, ყადი და შურტათმთავარი იოანე მონაზონს მონასტრიდან გამოსვლას უკრძალავენო.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ყოველი ცდა მონასტრიდან გამოსვლისა მარცხით მთავრდებოდა. ამიტომ გამოჰყავდა თავისი კოჭლი ცხვარი და სუფთა ჰაერზე ასეირნებდა. ცხვარს მართლაც ტკიოდა ფეხი, მეწველი იყო და იოანე შვილივით უვლიდა. შურტები ბერს ცხვრის ძოვებას ვერ დაუშლიდნენ. ცხვრის მძოვებელ ბერს რას ეტყოდნენ! ცოტა ხანს ადევნებდნენ თვალს, ბეზრდებოდათ და სხვა საქმით ერთობოდნენ. იოანე ამით სარგებლობდა და შორს მიდიოდა, იქნებ გზად მიმავალი ვინმე ვიპოვო და თბილისის ამბები გამოვკითხოვო. ერთხელ ასე ძოვება-ძოვებით მცხეთამდე ჩავიდა, საკათალიკოსომდე მიაღწია, მაგრამ სამოელთან შეხვედრა მაინც ვეღარ შეძლო. თურმე სამოელსაც უკრძალავდნენ საკათალიკოსოდან გამოსვლას. კათალიკოსიც შინპყრობილი იჯდა, იოანე საგონებელში ჩავარდა. ერთადერთი იმედიღა რჩებოდა. ეგებ მიქაელს მამა გაახსენდეს და სანახავად ჩამოვიდესო. მეხუთე დღე იწურებოდა, რაც აბო წაიყვანეს. ვინ იკითხავდა აბოს ამბავს, თუ არა იოანე. ნერსე ერისთავი, აბოს პატრონი, მიწაში იწვა. აშოტ და გრიგოლისაგანაც არაფერი ისმოდა... ქართველ ქრისტიანთა მეთაურიც შინპყრობილ იჯდა საკათალიკოსოში. სტეფანოზ ერისთავთერისთავს აბოს ხსენებაც კი არ უნდოდა. რაკი ასეთ მკაცრ ზომებს მიმართავდნენ, კათალიკოსსაც კი შინპყრობილობა მიუსაჯეს, აბოს ბედი გადაწყვეტილი იყო. სიკვდილი არ ასცდებოდა. ახლა უნდა ამოდგომოდა მხარში ჭაბუკს სულიერი მოძღვარი, რათა არ გადაედრიკათ გზიდან, არ გაეტეხათ. აბო მომზადებული იყო ამისათვის, მაგრამ განსაცდელის ჟამს მრჩეველი და თანამდგომი იმედსა და სიმხნეს ჰმატებდა ადამიანს. ამიტომ წრიალებდა, ამიტომ დაარბენინებდა კოჭლ ცხვარს აღმა და დაღმა. ეგებ მიქაელისათვის მაინც მიეწვდინა ხმა და მოეხმო. მიქაელს აღარ

დასჭირდა მოხმობა, სტეფანოზმა გამოგზავნა მამამისის ცხენა-ვად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანემ შორიდანვე შეიცნო აღმართზე ამომავალი ძველი მეგობარ ნასტრისაკენ არ გადაუხვიოსო, ხელი დაუქნია და დაუძახა. მიქაელმა ფერდობზე გადამდგარ მამას მოჰკრა თვალი და მისკენ გაემართა. იოანემ ცხვარი ჩირგვს გამოაბა, თითქოს ცხვარი ხელს შეუშლიდა საუბარში. აქ, გაშლილ ადგილას, ერჩია შვილთან შეხვედრა, მოდარაჯე შურტას უკეთ შეამჩნევდა.

ორი მოზრდილი ქვა მოაგორა, საცა ცხვარი დააბა, იქ, ვაკეზე ერთმანეთის პირისპირ დაალაგა და გაიხედ-გამოიხედა. შურტები ხომ არ მითვალთვალებენო... ახლო-მახლოს არავინ ჩანდა, მარტო მიქაელი ამოდიოდა ფერდობზე.

მზიანი დღე იყო. იანვრის მზე ცივად და ზვიადად მიზოზინობდა ცაზე. ბერიკაცს მზის გულზე ყოფნა მაინც სიამეს ჰგვრიდა. ცხვარი ბალახის ძირებს წიწკნიდა გალხობილ მიწაზე.

მიქაელმა გზიდან გადაუხვია, პირდაპირ გადმოჭრა ფერდობი, ციცაბოზე იარა, აღმართი თვალის დახამხამებაში ამოათავა, ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა, მამას მღელვარედ უამბობდა თბილისის ამბებს:

— წუხელ ორი ათასი მოლაშქრე ჩამოვიდა ბაღდადიდან... ხუთასი მცხეთაში გამოვგზავნეთ, ათას ხუთასი თბილისელებს ჩავუყენეთ... ყოველ მოსახლეს შინ თითო მუსლიმი მოლაშქრე ჰყავს.

იძულებული გავხდით ზოგან ორ-ორიც ჩაგვეყენებინა. ერი დრტვინავს, ღელავს — არ უნდათ შინ მოლაშქრეთა შეშვება. ხარკის გადახდა ურჩევნიათ. აყრასა და სხვაგან წასვლასაც კი ამჯობინებენ მუსლიმი მამაკაცის დედაწულთან ყოლას.

ერისმთავარი შეშფოთებულია. ერი პირდაპირ მოითხოვს თურმე იმათ დასჯას, ვინც თავისი ურჩობით ხალიფატს ამხედრებს ქართველთა წინააღმდეგ.

იოანე თავის მოტანილ ქვაზე ჩამოჯდა და შვილიც მიიპატიჟა.

— დაჯექი, მიქაელ, დაისვენე... აგერ დაჯექი, მოითქვი სული.

— ფხიზლად იყავითო, შემოგითვალათ ერისმთავარმა, — უთხრა მიქაელმა და ქვაზე დაჯდა, თან სხაპასხუპით ლაპარაკობდა, — შენ და სამოელს შემოგითვალათ. იმასაც ამბობენო, აშოტ ერისთავი იონთა ხელმწიფესთან კავშირს კრავს და ქართლზე სალაშქროდ ემზადებაო. თურმე ხალიფას ყურამდე მისულა ეს ამბავი — აშოტს სიკვდილი არ ასცდებაო, ერისმთავარმა გამანდო საიდუმლოდ.

— აბოსი რა იცით? — შეაჩერა იოანემ მიქაელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არაფერი, — ცივად მიუგო მიქაელმა, — აკი გითხარ, შაგ აბოს გულისთვის ორი ათასი მოლაშქრე გამოგზავნეს-მეთქი!

— აღარ გინახავს აბო?..

— არა.

— შენ ხომ გაქვს სადილეგოში შესვლის უფლება?

— ახლა აბოსთან მისვლის უფლება არავის არა აქვს, მამა! იქ ჩემი მისვლა დაღუპვას უდრის...

— შვილო მიქაელ, უფალი იტყვის „მრავალნი სცდებოდიან და მრავალთა აცთუნებდენ". ვით შეგიძლია შენ, ჩემს შვილს, აბოსთან თანშეზრდილს, შენს სულიერ ძმას ერთხელ მაინც არ მიაკითხო განსაცდელის ჟამს. მოციქული პავლე მიუწერს ტიმოთესა, „ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარემიიქცნენ და ზღაპრებსა მიექცნენ"... ეჰ, შვილო მიქაელ, შენი სასმენელნი დაიხშნენ ჭეშმარიტებისათვის... შენ თვით უფალი ჩვენი, იესო ქრისტე არა გწამს, თორემ მის მოძღვრებას არ გადახვიდოდი.

— მამა! — შესძახა მიქაელმა და მუხლებზე მოეხვია. მამის ფეხებთან დავარდნილმა, პირჯვარი გადაიწერა.

— შემინდე, მამა... მე მჯერა, რომ უფალიც შემინდობს!..

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მამა-შვილს თავზე შურტა დაადგა. ყმაწვილი კაცი იყო. ეტყობოდა, ერბინა, ლოყები ასწითლებოდა, ხშირ-ხშირად სუნთქავდა...

— მე... ნება არა მაქვს, რომ არ მოვიდე... მეც მითვალთვალებენ... — შურტამ მინდვრისაკენ გაიხედა. მართლაც, იქ ვიღაც იდგა. იოანემაც და მიქაელმაც გაიხედეს იქითკენ.

— აი, ხომ ხედავ?... — უთხრა იოანემ შვილს, — განა უმჯობესი არ არის საპყრობილეში ვიჯდე?.. ეს მონასტერი, შენ გგონია, საუფლო სახლია? ცხენები გამორეკეს და შემასმენელებითა და შურტებით აავსეს. ჭეშმარიტი ძმანი, ვინც ამირას დილეგებს გადურჩა, უკან აღარ მობრუნებულან, ზოგმა გარეჯს შეაფარა თავი და ზოგმა მღვიმეს. ჯვრის მონასტერი დარბეულია, მარტო კედლებიღა დგას მთაზე.

— მადლობა ღმერთს, შენ თვითონ ამბობ ამას! — ძალა აღმართსა ხნავს. — მიქაელმა შურტას გახედა მალულად და მამას ხმადაბლა უთხრა: — თუ ქართლისთვის ჭეშმარიტი სიკეთე გვწადიან, უნდა დავემორჩილოთ ამ ძალას, ჩვენს ღმერთსა და შენს თავს ვფიცავ. ეს მე ღრმად მწამს და ხსნას მხოლოდ და მხოლოდ ამაში ვხედავ. ქართველობას მორჩილება დაიხსნის. დრო სჭირდება იმას, რაც თქვენ

განგიზრახავთ. დღეს ჩვენ უხალიფატოდ ერთ თვესაც ვერ გავძლებთ. ან იონნი დაგვიპყრობენ, ან ჰრომნი, ან ხაზარნი, ხალიფატი, უძლეველი ძალაა, ეს ძალა გამოვიყენოთ და შთამომავლობას ... ჩვენი დედულ-მამული.

— ეს ერისმთავრის სიტყვებია! — შეაჩერა მიქაელი იოანემ.

— სწორედ! — მიუგო მიქაელმა ამაყად.

— ყური დამიგდე, მიქაელ, მე მამა ვარ და მევალება გითხრა: მხოლოდ უზნეო ადამიანებს შეუძლიათ დღევანდელს ჩვენს ყოფას შეურიგდნენ. ისინი თავიანთი სილაჩრის გასამართლებლად ყველაფერს კადრულობენ: დამონებას მფარველობას ეძახიან, ძარცვა-გლეჯვას — ძმობასა და მეგობრობას, ტანჯვა-წამებას — მშვიდობიან ცხოვრებას...

ისიც კარგად ვიცი, ჩემო მიქაელ, რომ ჩემი შვილი სუფთაა, ვითარცა მთის წყარო. მის უზნეობას საფუძვლად უდევს სათნოება, — ერისმთავრის სიყვარული. ეს სიყვარული აცდუნებს მას. ეს სიყვარული ალბათ დიდი ერთგულების ღირსიც არ არის, მაგრამ ის მაინც სიკეთეა. კეთილ ნერგზე კი უკეთურება ვერ იხარებს. დღეს იქნება თუ ხვალ, ჩემი შვილი კეთილ გზას დაადგება, მხოლოდღა იმის მეშინია, გვიან არ იყოს...

მიქაელს გული აუჩუყდა, თავი ჩაჰკიდა და გაჩუმდა. მამამ ისეთი სიმართლე უთხრა, ისეთი დიდი გულის საიდუმლო გამოუმჟღავნა, გამოუტანა დღის სინათლეზე, თვალსაც კი ვერ უსწორებდა. თავჩარგული იჯდა და მიწას ჩასცქეროდა. დიდხანს, დიდხანს ისხდნენ მდუმარენი, დუმილით თითქოს უფრო მეტს ლაპარაკობდნენ, უკეთ აგებინებდნენ ერთმანეთს თავიანთ გულის დარდს...

შურტა შორიახლოს სცემდა ბოლთას. ჩირგვზე მიბმულ ცხვარს თოკის გაწვდენაზე ბალახის ძირები ამოეწიწკნა და ახლა მზეზე თბებოდა, ხანდახან გახედავდა მდუმარე პატრონს და მიაბღავლებდა — ხომ არ დაგავიწყდიო.

ბოლოს მიქაელი წამოდგა და უცებ დაეშვა თავდალმართზე სირბილ-სირბილით. მამას გაექცა.

იოანე ფერდობზე გადადგა.

როცა მიქაელმა თავდალმარი ჩაირბინა, უკან მოიხედა და მამას მთელი ხმით ამოსძახა:

— ნახვამდის, მამა!..

იოანემ შვილს ხელი დაუქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბომ დილეგში თავი რომ შეჰყო, სიბნელეში ვიღაცამ ჩაკვნესა. შემდეგ ბორკილების ჟღარუნიც მოესმა.

— სალამ ალეიქუმ... — გაისმა ნაცნობი ხრინწიანი ბანი სიბნელეში.

— ალეიქუმ... — ჩაიდუდუნა აბომ, აღარ დააბოლავა მისალმება, ხმა ეცნო. ვინ უნდა ყოფილიყო?..

— ვინა ხარ? — ჰკითხა სიბნელეს ქართულად.

— ხოსრო აბუ-იუსუფი. — მშვიდად მიუგო სიბნელემ.

— ხოსრო აბუ-იუსუფი?—მედილეგე?..

— ჰო... — თქვა მედილეგემ და ბორკილები ააჟღარუნა. — ჩამაყუდეს, — ჩაიხვიხვინა გულიანად. გაჩუმდა. — ასეა... რას ვიზამთ, ამათ ვერც წაღმა მოფხან და ვერც უკუღმა...

— არაფერი მესმის... — წაილუღლუღა აბომ.

— ჩამაყუდეს-მეთქი, ვთქვი და გადავჭერი!.. იმ ღამეს წყალი რომ მოვიტანე, ხომ გახსოვს? თურმე შურტა მითვალთვალებდა, მტაცეს ხელი და გამკოჭეს.

ხოსრო აბუ-იუსუფი ტანსრული, ბრგე მამაკაცი იყო, ბორკილების ჟღარუნით, სამოსის შარიშურით, ქშენითა და ქსიტინით მიხვდებოდა ადამიანი, რომ დათვივით კაცი დაჯდა მიწაზე. აბოც გულდაგულ მიუჩოჩდა, მოსასმენად მოემზადა.

— პირდაპირ გეტყვი... — უცებ მუქარის კილო გამოკრთა ხოსრო აბუ-იუსუფის ხმაში, ოღონდ აბოს კი არ ემუქრებოდა, ვიღაც სხვას არ უდებდა ტოლს, ვიღაც სხვას ეტაბიკებოდა.

— მე „ამ დილეგების რისხვას, მამალ მგელს“ მეძახდნენ თავის დროზე. პყრობილი კაცის მჭამელი რომ ყოფილიყო, რომ შემგზავნიდნენ, ხელად აბრეშუმად ვაქცევდი, რკინისმკვნეტელები მომიყვანია ჭკუაზე, ქვადქცეული კაცი გამომიტეხია. თვითონ ვთქვი უარი ჩემს ხელობაზე. უბრალო მედილეგეობა ვარჩიე. ახლა რაკი დანაშაულში დამიჭირეს, მაიძულეს ძველი ხელობა გამეხსენებინა. ბორკილები დამადეს და შემომგზავნეს. სულში უნდა ჩაგიძვრე და გამოგტეხო ან სხვა ჯალათური ხრიკი ვიხმარო და მოგაქციო. ჯეელობაში მე ეს შემეძლო, ახლა უკვე ბავშვი აღარა ვარ, არ მსურს უკეთური საქციელი ჩავიდინო. მეყოფა, რაც ჩამადენინეს, უსამართლონი ჩვენს ღმერთსაც არ უყვარს.

წყალი მოგიტანე, სხვა ხომ არაფერი დამიშავებია ღვთისა და

ქვეყნის წინაშე? ამისთვის დაე, დამსაჯონ! რასაც ვაკეთებდი, იმას არ გავაკეთებ, ვთქვი და გადავჭერი!.. იმიტომ კი არა, გულზე რომ მახატიხარ! არა, მეჯავრები, შენ გამო ხიფათს გადავეყარე, დიდი სიამოვნებით მიგახრჩობდი კიდეც, მაგრამ გული უარს მეუბნება. სიბერე შემეპარა ალბათ, ადამიანი მეცოდება... შენ კიდევ ჯალათური ხრიკი გინდა? კაცმა სული რომ შეგიბეროს, წაიქცევი, ნაცემ-ნაბეგვი, უსმელ-უჭმელი შეიძლება შემომაკვდე კიდეც... სიკვდილის ღირსი კი ხარ ნამდვილად, მაგრამ მე არ შემიძლია შენი მოკვდინება... არ მსურს, არ მინდა, ვთქვი და გადავჭერი!

უცებ კარზე ურდულმა გაირაჯგუნა. დილეგის ის კედელი გაიხსნა, სადაც ხოსრო აბუ-იუსუფი და აბო ისხდნენ, ერთდროულად შემოცვივდნენ ჯალათები და შურტები, მედილეგეთ მაშხალები ეკავათ ხელში, ჯალათებს — ტაჯგანაგები და არგნები, შურტები ბრძანებებს იძლეოდნენ.

ხოსრო აბუ-იუსუფმა წამოდგომაც კი ვერ მოასწრო, ჯალათები ჯგროდ მისცვივდნენ, წამოაქციეს, სამოსი შემოაძარცვეს და ტაჯგანაგები და არგნები დაუშინეს.

აბო ჯალათებმა კუთხეში მიაყენეს და განძრევის ნებას არ აძლევდნენ. დილეგი ჯალათებით და შურტებით აივსო. ხოსრო აბუ-იუსუფს ხუთი კაცი იჭერდა, შებორკილი ფეხებითა და ხელებითაც გააფთრებით ებრძოდა ჯალათებს. წაქცეულს იმდენი კაცი მისეოდა, აბო ვერაფერს ხედავდა, მარტოკა ტაჯგანაგებისა და არგნების შხუილი ესმოდა და ხოსრო აბუ-იუსუფის კვნესა და გინება არაბულად. აბო ჯერაც ვერ მოსულიყო გონს. ისე სწრაფად, თავბრუდამხვევად ხდებოდა ყველაფერი, თავი სიზმარში ეგონა. ჯერ იმას ვერ მიმხვდარიყო, რატომ დახვდა დილეგში ბორკილგაყრილი თვითონ მედილეგე, ან რატომ სცემდნენ ასე დაუზოგავად თავიანთ მსახურს, ან რა დავალება ჰქონდა, „შეიძლება შემომაკვდე კიდეცო“ რომ უთხრა.

— გამაგრდი, ძმაო! ნუ გეშინია, ღმერთი გვიყურებს მაღლიდან! — დაუყვირა მისდაუნებურად, ვითომ ხმას მივაწვდენ და გავამხნევებო, იფიქრა. მცველებმა პასუხად წიხლი ამოარტყეს მუცელში და კუთხეში მიაგდეს. ზლაზვნით წამოდგა ფეხზე, იქით იყურებოდა, საცა აბუ-იუსუფს სცემდნენ.

მეარგნე ჯალათები დაიღალნენ ცემით, გვერდით მიდგნენ, მეტაჯგანაგეებს დაანებეს პყრობილის შიშველი სხეული. ასე რიგ-რიგობით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს, ხვითქი გადასდიოდათ შუბლზე და თავზე.

„ჯალათთა ჯალათი!“ — ატყდა უცებ ჩურჩული დილეგში.

კიბეზე მართლაც გამოჩნდა კოხტად ჩაცმული კაცი, ჯალათისა არაფერი ეტყობოდა, მხოლოდ თვალებს აკვესებდა ბოროტად, თვალები იუწყებოდნენ სიავეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილეგში ჩამოდგა ფეხი, შეჩერდა, გაიხედ-გამოიხედა, ჯალათები, შურტებიც კი სმენაზე დადგნენ. მოეცალნენ მიწაზე დაგდებულ შიშველ პყრობილს. ჯალათთა მეუფეს დაუთმეს გზა.

ხოსრო აბუ-იუსუფმა თავი აიღო, რატომ არ მცემენო, გაუკვირდა. ჯალათთა ჯალათი რომ დაინახა, კბილები გაახრჭიალა:

— ააა, მოხველ, სისხლისმსმელო?.. — გაჭირვებით ამოთქვა. თავს ძალა დაატანა, ერთხელაც ასწია თავი და ამოიხრიალა: — სისხლი ალარ მდის, რას დალევ?..

— სისხლს გამოვადენთ, ეგ არაფერია. — თქვა მშვიდად ჯალათთა ჯალათმა, გადახედა აკანკალებულ ჯალათებს და ერთი სიტყვა გადაუგდო: „ურო!“ — შურტებს მიუბრუნდა და მხიარულად უთხრა:

— ამასთან არგნით ვერას გახდებით, ძაღლის ძვალი აქვს! — გაიცინა თავის ხუმრობაზე და მსხვერპლს შემოუარა.

ჯალათთა ჯალათს მიართვეს ურო, მანაც არ დააყოვნა და უმალ დასცხო თავში მიწაში თავდაღმა ჩამხობილს. ჯალათთა ჯალათის ხელის ყოველ განძრევას სიკვდილი მოსდევდა. ეს ახლა აქ, დილეგში, ყველამ იცოდა, უროს თავში ჩაცემასაც, რასაკვირველია, უმალ სულის გატევება უნდა მოჰყოლოდა. ეჭვი ამაში არავის შეჰპარვია. მართლაც ხოსრო აბუ-იუსუფის თავიდან სისხლმა შადრევანივით იფეთქა და დარტყმას საზარელი სკდომის ხმაც მოჰყვა. ჯალათთა გამოცდილი თვალისთვის ნაცნობი სურათი იყო: ოსტატმა თავისი საქმე უნაკლოდ შეასრულა. არავინ განძრეულა, არავის ხმა არ ამოუღია, შესცქეროდნენ თავიანთ მეთაურს, ვისაც ურო უკვე დაეგდო, ცალკე გამდგარიყო, თავისი უპირატესობით გაამაყებული არწივივით დასცქეროდა მსხვერპლს.

სწორედ ამ დროს შეირხა ხოსრო აბუ-იუსუფის სისხლით შეღებილი თავი. შეირხა თუ არა, ჯალათები მისცვივდნენ და არგნები თავში დაუშინეს, მხოლოდ თავში სცემდნენ. ჯალათთა ჯალათმა არ იკადრა მეორედ უროს ხელში აღება, გატრიალდა და გავიდა დილეგიდან.

ჯალათები ისე მისეოდნენ ხოსრო აბუ-იუსუფის დიდ თავს, როგორც უხსენებელს მიესევიან და თავს უჭყლეტენ, თავში სცემენ, რადგან მისი მოკვდინება მხოლოდ ამ გზით შეიძლება. როგორც კი ჯალათთა ჯალათმა ხოსრო აბუ-იუსუფს ურო ჩასცხო, აბოს თვალთ

დაუბნელდა, მცველს გამოუსხლტა და ხოსროსკენ გაქანდა, მარჯვ ხელად შეკრეს, პირში ბურთი ჩასჩარეს, არ იყვიროსო, და მიწაზე დადეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბო გაფართოებული თვალებით შესცქეროდა ხოსროს. ... ფის საზარელ სიკვდილს და მხოლოდღა ყელში ხაოდა.

„მოკლეს“... — დაასკვნიდა აბო გონებაში.

„მოვუღეთ ბოლო“, — დაასკვნიდნენ ჯალათებიც და შეაჩერებდნენ არგანთა ცემას, შეისვენებდნენ, სულს მოითქვამდნენ, სწორედ ამ დროს გაიკლაკნებოდა ბედდამწვარი და ჯალათებიც ახალი ძალით სცემდნენ. ცემით სიკვდილი გადაეწყვიტათ და იარაღს ვერ იხმარდნენ. ჯალათთა ჯალათმა თავისი ნებით ჩასცხო თავში ურო, გამოცდილებით იცოდა, ხოსრო აბუ-იუსუფისთანა „მამალ მგელს“ არგანთა ცემით სულს ვერ ამოხდიდნენ, თუნდაც ორი დღედაღამე ეცემათ. როცა ჯალათებს გაუჭირდათ, თვითონ უფროსმა დაარღვია ბრძანება და ურო მოატანინა. ურის ცემაც ხომ ცემად ჩაეთვლებოდა! ან ვინ გაიგებდა, ამ ღამით რა დაჰკრეს თავში მოღალატე ხოსრო აბუ-იუსუფს. მთავარი ის იყო, რომ სახელდახელო განაჩენი — ცემით სიკვდილი აღასრულეს.

ბოლოს და ბოლოს მიწყდა არგანთა ცემა, ჯალათთა შეძახილები, ქშენა და ღრჭენაც მიჩუმდა. ჩაჭრეს მაშხალები. ხელფეხშეკრული, პირში ბურთჩაჩრილი აბო მიწაზე მდებარე, ხოლო მკვდარი სისხლში მცურავი დატოვეს, გაიხურეს კარი, ურდულები გაუყარეს, ცოცხალიცა და მკვდარიც წყვდიადში დატოვეს და წავიდნენ.

მეოცდა ღამე

დილით გაათრიეს ცხედარი, გამოასუფთავეს დილეგი, აბოს ხელ-ფეხზე შემოჭერილი თოკი შეუხსნეს, პირიდან ბურთი გამოუღეს და ყადისთან წაიყვანეს.

ყადი აბოს მარტოკა ესაუბრა. არც შურტები შეუშვა შიგ, არც ჯალათები. მარტო მცველები იდგნენ კარებში.

დიდი ხნის განმარტოების შემდეგ ყადიმ მცველები იხმო და უბრძანა, აბოსთვის ბორკილი ქედზეც დაედოთ. იმ წამს შემოიტანეს ჯაჭვი და ბრძანება იქვე აღასრულეს. ხელ-ფეხ შებორკილი, ქედზეც ჯაჭვდადებული შეაგდეს დილეგში. აბოს არც ყადის გაავება გაკვირვებია და არც ახალი ჯაჭვის დადება ქედზე. ამდენ ხანს რომ არ

ჰკლავდნენ, ის აკვირვებდა. ნეტა რას უმზადებდნენ? კიდევ რას მო-
ითხოვდნენ ან რას დააბრალებდნენ? ძალაგამოლეულს უკვე ფიქრის
თავიც აღარ ჰქონდა, მთელი დღეები მკვდარივით იწვა. [illegible]
დაძახილზე თავს მაღლა არ სწევდა, ელოდებოდა, როდის დასტა-
ცებდნენ ხელს, როდის წამოაგდებდნენ ფეხზე და ხელის კვრით რო-
გორ გამოაგდებდნენ დილეგიდან. შეჩვეოდა ამგვარ ყოფას...

მეშვიდე ღამეს ასე არ მოხდა. კარი ფრთხილად გაიღო. ვიღაც
შემოვიდა დილეგში. აბოს თავი არ აუწევია. ცოცხალ-მკვდარი ეგდო
მიწაზე.

სხვარიგის ფეხისხმა ჩაესმა, მედილეგისას არ ჰგავდა. ხელიც ალა-
რავინ დასტაცა, ზურგზე მოუთათუნა და ჩასძახა: „აბო!“ — გაოცე-
ბულმა აიღო თავი. მედილეგე მართლაც არ იყო. თვითონ მედილე-
გეთუფროსი მობრძანებულიყო, ხელში სანათური ეკავა და თავზე
დადგომოდა.

— წამოდი, საქმე გვაქვს შენთან! — ჩურჩულით უთხრა.

აბოს გული აუძგერდა. დაუჯერებელიც კი იყო მედილეგეთუფრო-
სი შუაღამისას, დილეგში პყრობილს ადამიანურად აღვიძებდა და
თხოვდა საქმე მაქვს შენთანო. რა საქმე ჰქონდა უფროსს აბოსთან?..
თანაც საჩუმათო! — ალბათ მოსალოდნელი უბედურება თავს ამგვა-
რად უნდა დამატყდესო, გაიფიქრა და ჯაჭვების ჟღარუნით უკან მი-
ჰყვა. გასაკვირი ის იყო, მედილეგეთუფროსს მცველი არ ახლდა,
არც ჯალათი წამოეყვანა. უკან არც იყურებოდა, აბო ძლივს მილას-
ლასებდა, ძალაგამოლეულს ბორკილების თრევაც კი უჭირდა, ცნო-
ბისწადილიც დიდი იყო — სად მიჰყავდა მედილეგეთუფროსს, რა საქ-
მე ჰქონდა, რამე იცვლებოდა მის ყოფაში?.. უკანასკნელ ძალას
იკრებდა და დასიებულ ფეხებს ძლივს მიათრევდა. ძველებურად უკვე
აღარ ტკიოდა ხელ-ფეხი, მაგრამ ყაყბებს მაინც ვერ იცვამდა. სია-
რულიც უჭირდა.

მედილეგეთუფროსი შეჩერდა, აბოს მოჰკიდა ხელი და ჯურღმულ-
ში ჩაიყვანა. შეანათა სანათური და საიდუმლო ოთახში შეუძღვა.
იქ სანთლები ენთო და თბილოდა.

— მიქაელ! — შესძახა აბომ და სიხარულისაგან თვალები გა-
უბრწყინდა.

— ჩუმად! — გააფრთხილა მედილეგეთუფროსმა.

მიქაელმა აბო ვერ იცნო, ცოცხალ-მკვდარი ადამიანი იდგა ფეხზე.
„თვალებიღა დარჩენილა“, — გაიფიქრა მიქაელმა და დალურჯებულ,
დამსკდარ ბალღამით სავსე ფეხებს თვალი მოარიდა, ხელის გაწოდე-

ბაც კი ვერ გაუბედა. გახევებული იდგა და შესცქეროდა, ხმას ვერ იღებდა. „მოუკლავთ კაცი“... რცხვენოდა, თავი დამნაშავედ იგრძნო.

მედილეგეთუფროსი საიდუმლო კარით ფეხაკრეფით [illegible] ხიდან და ჭაბუკები მარტო დატოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბო კიდევ უფრო განცვიფრდა, თვითონ მიეახლა მიქაელს და ხმადაბლა ჰკითხა:

— რას ნიშნავს ყველაფერი ეს?

— ქრთამი ჯოჯოხეთშიც ჭრის, — უთხრა ჩურჩულით, — შემეძლო პირდაპირ მოვსულიყავ, მაგრამ შურტები დამასმენდნენ. ახლა ჩვენს შეხვედრას არავინ გაიგებს, მითხარ სწრაფად, რა გინდა, მამაჩემიცა და კათალიკოსიც შინაპყრობილნი სხედან, ვერაფერს დაგეხმარებიან, მე უნდა მითხრა, თუ რამე სათხოვარი გაქვს, მამამ გამომგზავნა შენთან.

აბოს გაუხარდა, თვალები ცრემლით აევსო, უცებ დაიხარა და ხელზე ემთხვია.

— შემინდე, მიქაელ, შემინდე!.. — შეჰღაღადა სტუმარს.

— ჰო, კარგი, კარგი!.. — უთხრა მიქაელმა და წამოაყენა.

— მამა იოანესთან, ჩემს სკივრში, ეგვიპტური მოსასხამი მაქვს, — დაიწყო ჩურჩულით აბომ, — აფხაზთა მთავრის ნაჩუქარი, იქ არის ჩემი სხვა სამოსელიც. ღვთის გულისათვის, სავაჭროდ გაიტანეთ, მონაგები ფულით სანთელად კერეონები და საკუმეველი მიყიდეთ, დანარჩენი კი ქვრივ-ობლებს დაურიგეთ.

ჩემი სული და გული სანთელივით არის ანთებული ღმრთისა ჩემის სიყვარულითა და სარწმუნოებით. ნათლისღება ახლოვდება. ქრისტიანმა ნათლისღების დღესასწაულს მაცხოვარს სანთელი ვით არ ავუნთო? ეგებ ერისმთავარმა ამირას ნებართვაც გამოთხოვოს... მხოლოდ ერთ ღამეს, ნათლისღების ღამეს ამანთებინონ კერეონები და წესისამებრ მალოცვინონ. უფალს პირნათელი მინდა შევხვდე...

მიქაელი ყველაფერს მოელოდა და ამგვარ სათხოვარს კი არა. ამირასთან აბოს ხსენებას კიდევ ვინღა გაბედავდა!

— იცი, რა, აბო, — აფორიაქდა მიქაელი, — შევეცდები, ძალღონეს არ დავიშურებ... არ ვიცი... ეს როგორ... — ალუღლუღდა საწყალობლად და წასვლა დააპირა.

— ნახვამდის, აბო... გამაგრდი... ნუ გეშინია... — არეულ-დარეულად მიუგდო ეს სიტყვები და კარისკენ გაემართა. უცებ შეჩერდა. თითქოს რაღაც გაახსენდაო. მობრუნდა. შიშითა და კრძალვით მიუბრუნდა და ჰკითხა·

— ეგებ შეგეცვალა გუნება და გრცხვენია, ჰა, აბო?.. მე მითხარი, მარტო მე... შენც გეშველება და ჩვენც, დამიჯერე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბო თავჩარგული იჯდა. მიქაელისთვის არც შეუხედავს, დადგა ელოდა მიქაელი წელში მოხრილი, ეგებ ხმა გაიღოსო, მაგრამ ამაოდ. აბოს ამაზე სიტყვის ჩამოგდებაც კი არ უნდოდა. დუმილმა მედილეგეთუფროსი შემოიყვანა, იფიქრა, ალბათ მიქაელი წავიდაო. მიქაელი მედილეგეთუფროსს დაემშვიდობა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

მედილეგეთუფროსმა აბო იმავე გზით წაიყვანა. ჩანდა, რომ მას აქ ათასი სადუმლო ხვრელი ჰქონდა და მრავალი სხვადასხვა მიზნისა და დანიშნულების ოთახი.

სადილეგოში მართლაც ჩიტი ვერ შეფრინდებოდა. ყოველ საკანსა და დილეგს თავისი მცველი ჰყავდა, თავისი რამდენიმე ჯალათი, მოთვალთვალე შურტა. ღამ-ღამობით მორიგეობა იყო დაწესებული, მედილეგეები ცვლით მუშაობდნენ და მაინც მედილეგეთუფროსმა ისეთი დრო შეარჩია, ისეთი გზით წაიყვანა და უკან დააბრუნა პყრობილი, არავის არაფერი გაუგია. ამის გაკეთება მხოლოდ მედილეგეთუფროსს შეეძლო და მიქაელმაც სწორედ ის გამოძებნა, მას ჩაუჩხრიალა დინარები ჯიბეში და მშვიდობიანად, გულის ხეთქვის გარეშე, შეუსრულა მამას ახირებული სურვილი.

აბო დილეგში დაბრუნდა. მაშინვე დაემხო ცივ მიწაზე და წყვდიადში ჩაინთქა. ხოსრო აბუ-იუსუფისთვის ეს უნდა ეთხოვა. წერილს გაუგზავნიდა იოანეს და სამოსის გაყიდვას თხოვდა. უკვე ნათლად ხედავდა, რომ სამოსი ამიერიდან აღარ დასჭირდებოდა. თუ თავს არ მოჭვეთდნენ ან ძალით არ მოაკვდინებდნენ, მაინც მოკვდებოდა, აქ მოკლავდნენ დილეგში შიმშილით. „შეიძლება ამაღამაც ვერ გავათენო“... — გაიფიქრა ნაღვლიანად, ფეხები ტკიოდა, ნაცემი ფერდები ტკიოდა, ჭიპს ქვემოთ, ჯალათმა ფეხი რომ ჩაარტყა, ის ადგილი ტკიოდა, ყიაში თითქოს ალესილი დანა ედო, შიგანი ტკიოდა, თავი ტკიოდა, თავბრუ ეხვეოდა, თვალებრჭყვიალა ესხმოდა.

მერვე ღამე

მთელი დღე ეგდო დილეგში, არავის მოუკითხავს, არავის გახსენებია. ღამით დააცხრნენ თავზე, ადექიო, უბრძანეს, ვეღარ ადგა, წიხლების ცემით ააგდეს და თითქმის გაათრიეს დილეგიდან. ჯურ-

ღმულში ჩაიყვანეს. ჯურღმული კი არა, ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო. ჯოჯოხეთი სწორედ ამგვარად ესახებოდა. იოანესაგან იცოდა, თუ რა იყო ჯოჯოხეთი, ოღონდ ის ჯოჯოხეთი საიქიოში ეგულებოდა, მკვდრებს ასამართლებდნენ, სააქიოს ჯოჯოხეთი კი ტფილისში, სალილეგოს ქვემოთ, ჯურღმულში გაუმართავთ ზედამდგომელთ და შიგ თურმე ცოცხალ ადამიანებს ასამართლებდნენ, უფრო უკეთ აწამებდნენ, აქ სამართალს არავინ დაეძებდა. სააქაოს ჯოჯოხეთი ჯოჯოხეთზე უფრო დიდი ჯოჯოხეთი უნდა ყოფილიყო...

პირველი, რაც აბოს თვალში ეცა, ბუღი იყო, თვალის გახელა ჭირდა, ისეთი კვამლი და ბუღი იდგა. ჯურღმულში ორად ორი ხარჩამავალი ქვაბი თუხთუხებდა, ერთი კუპრისა, მეორე ზეთისა. ეს ქვაბები აყენებდნენ ბუღს... ჯურღმულის სიღრმეში სახრჩობელები მოჩანდა, რამდენიმე თოკზე კაცი კონწიალობდა.

აბოს ერთი თვალის გადავლებით უნდოდა ყველაფერი დაენახა, ხარბად აცეცებდა თვალებს, სატკივარი დავიწყნოდა.

აქამდე სამოთხეში ვყოფილვარო — გაიფიქრა.

ჯალათებმა აბო შურტას მიუყვანეს. შურტა შემაღლებულ ადგილას იჯდა და გარს ჯალათები ეხვია.

ჯურღმულს სულ სამი ასეთი შემაღლებული ადგილი ჰქონდა, სამგანვე შურტები ისხდნენ და ჯალათები ეხვივნენ.

ერთგან შიშველ ადამიანს ტაჯგანაგებით სცემდნენ...

აბო ხარჩამავალ ქვაბს არ აცილებდა თვალს. იმ ქვაბში ზეთი დუღდა. ადუღებული ზეთის ეშინოდა. სწორედ ეს ქვაბი იდგა ახლოს. შეშინებული შესცქეროდა ჯალათებს. ეგონა, უცებ ეძგერებოდნენ და პირში ადუღებულ ზეთს ჩაასხამდნენ. ასე არ მოხდა, შურტამ ხელი აიქნია და ჯალათები ხელად წავიდ-წამოვიდნენ. ორად ორი ლახვაროსანი დარჩა აბოსთან. „მაშასადამე, მკლავენ", — გაიფიქრა აბომ. მოკვდინებას არ სჭირდებოდა მრავალი ჯალათი.

— გულწრფელად აღიარე დანაშაული და ადუღებული ზეთის პირში ჩასხმა აგცდება, — უთხრა პირდაპირ შურტამ, — აღიარე როდის მოვიდა შენთან აშოტ ერისთავის გამოგზავნილი კაცი და რა მოიტანა?.. — უფრო სწორად, როდის მოვიდა მონასტერში, იოანე ბერთან აშოტ ერისთავის გამოგზავნილი კაცი და რა მოუტანა მას.

ვიმეორებ: თუ სიმართლეს იტყვი, ადუღებული ზეთის პირში ჩასხმა აგცდება...

— ღმერთო! — შესძახა აბომ, მაღლა აიხედა და პირჯვარი გადაისახა. — პირველად მესმის... — ჩაილუღლუღა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა გესმის პირველად? — ჰკითხა ცივად შურტამ.

— რაც თქვენ ბრძანეთ... — შიშისაგან მუხლები აუკანკალდა

— რა ვბრძანე მე...

— ااا... — ენა დაება აბოს.

აბო შურტას მუხლებზე დავარდნილი ელაპარაკებოდა, ახლა სულ მთლად განერთხო მიწაზე. აშოტ ერისთავის გამოგზავნილი კაცის ამბავი გაეგონა, თუმცა თვალით არ ენახა, არც მისი მოტანილი წერილი წაეკითხა. მაშინ აბო საპყრობილეში იჯდა. კაცმა ამბავი ჩამოიტანა, თურმე ცოცხლები არიან და მოღვაწეობას შეუდგნენო, ასე უთხრეს საპყრობილედან რომ გამოვიდა. რა ეთქვა აბოს ახლა? სიმართლე? — არ ივარგებდა.

თუ იტყოდა, ის კაცი რომ ჩამოსულა, მე საპყრობილეში ვიჯექიო, საიდან იცოდი ვიღაც კაცი რომ ჩამოსულაო, — ჩააცივდებოდნენ. ამ კითხვას კიდევ სხვა კითხვა მოჰყვებოდა. ვინ გითხრა ეს ამბავიო, როდის, რომელ დღეს გაიგეო... ვერ იტყოდა სიმართლეს, სიცრუე ეთქვა? — სიცრუე აბოს პირიდან არ ამოდიოდა. ვერც მოიფიქრებდა დამაჯერებელ სიცრუეს. ისევ პყრობილთაგან ათასჯერ აწონილ-დაწონილი, გამოცდილი პასუხი „არ ვიცი“ უნდა მიეგო და თავი მით დაეცვა.

ჩანდა აშოტ ერისთავის გამოგზავნილი კაცის ამბავი შურტებს აქამდე ვერ გაეგოთ. აქამდე აბოსთვის არაფერი უკითხავთ ამაზე. „როდის მოვიდა თქვენთან აშოტ ერისთავის გამოგზავნილი კაცი“... — ეკითხებოდა შურტა, ვითომ დანარჩენი ყველაფერი იცოდა და მხოლოდ და მხოლოდ დრო ჰქონდა დასადგენი. აბოს ამგვარი დაკითხვების გამოცდილება შეეძინა, თუ ფიზიკური გამძლეობა ეყოფოდა, არაფერი დაცდებოდა, ყოველი სიტყვა, რაც აშოტსა და იოანეს შეეხებოდა, შურტასთვის ძვირფასი უნდა ყოფილიყო, — ვერ ეღირსებოდა ვერც ერთ სიტყვას!

— მიპასუხე, როდის მოვიდა მონასტერში იოანე ბერთან აშოტ ერისთავის გამოგზავნილი კაცი... — ჩასძახოდა შურტა დამხობილს. აბო ხმას არ იღებდა და თავსაც არ სწევდა მაღლა. ლახვაროსნებმა აიძულეს თავი აეღო, შურტას მაინც არ შეხედა თვალებში, დამნაშავესავით გვერდით იყურებოდა.

— არ ვიცი! — თქვა ბოლოს ყოჩაღად, ჩანდა, რომ რაღაც დასძლია, რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, — არაფერი არ ვიცი!..

— როგორ, არც გაგიგონია, რომ აშოტ ერისთავმა იოანე ბერს კაცი გამოუგზავნა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა შურტამ მშვიდად, — კეთილი. მაშინ ის მიბრძანეთ, სად არის აშოტ ერისთავი.

— არ ვიცი.

— რატომ არ იცი. შენი ბატონის მეგობარი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ნუთუ ერთხელ არ დაინტერესდი და არ იკითხე?..

— არ მიკითხავს.

— რატომ არ გიკითხავს?..

— მე უბრალო მსახური ვარ...

— მაინც, მაინც სად ბრძანდება, შენი აზრით.

— არ ვიცი.

— რა არ იცი? — გაცეცხლდა შურტა.

— არ ვიცი.

— მოიტანეთ ადუღებული ზეთი! — იყვირა შურტამ.

ჯალათები თვალისდახამხამებაში მოვარდნენ, აბოს მისცვივდნენ და უმალ წამოაქციეს. ქვაბიდან გრძელტარიანი ხაპით გადმოიღეს მოთუხთუხე ზეთი, პირში მახვილი აძგერეს და გააღებინეს. ხაპი ცხვირთან მიუტანეს...

შეყოვნდნენ, შურტა და უფროსი ჯალათი თათბირობდნენ. აბო პირაღმა იწვა, მტკივან შებორკილ ხელებზე და ფეხებზე ჯალათები მუხლებით შემდგარიყვნენ, ზოგი თავს უმაგრებდა,—არ გაინძრესო.

აბოს პირი ღია ჰქონდა, შიგ საყბე გაეჩხირათ. საყბე მოკლედ გადაჭრილი, გათლილი ხის საწამებელი იარაღი გახლდათ. ადუღებული ზეთის ჩასხმის დროს, ადამიანს პირს ხანჯლის წვერით ან მახვილით გაუხსიდნენ და შიგ საყბეს ჩაუდგამდნენ, არ დამუწოსო, ცხელ ზეთს ასხამდნენ ხახაში.

„მერე სულ ვერაფერს გვეტყვის“, — ჩაესმა აბოს არაბულად ნათქვამი. შურტას ხმა უნდა ყოფილიყო. ბჭობდნენ, ჩაესხათ თუ არ ჩაესხათ. „მაშინებენ“ გაუელვა აბოს თავში და იმედი მოეცა. მართლაც, რატომ უნდა ჩაესხათ ადუღებული ზეთი პირში? თუკი მათ აშოტსა და იოანეს შორის კავშირი უნდა დაედგინათ, აბო ცოცხალი უნდა ჰყოლოდათ. თუ ვინმემ იცოდა, ისევ აბომ, რაც მათ სჭირდებოდათ. აბოს შეეძლო ამ კავშირის არსებობა დაედასტურებინა. „არ ჩამასხამენ“, — ფიქრობდა პირდაღებული და მაღლა, ჭერს ქვემოთ ჩამოწოლილ კვამლს და ბუღს გასცქეროდა.

„ყურში ჩავასხათ“, — მიეშველა საგონებელში ჩავარდნილ შურტას ჯალათი.

„ყურში?“ — მოეწონა შურტას ჯალათის ნააზრევი.

აბომ თვალები დახუჭა. „ახლა მტაცებენ ყურში ხელს და ადუღებული ზეთი ტვინს გამიბურღავს...“ ადუღებული ზეთივით ჩაერევარა სულში ცხელი ზეთის შიში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ახლოს ვიღაცას აწამებდნენ. იმ კაცის კვნესაც გულს უწურავდა, პირში გაჩრილი ხის საყბეც ახრჩობდა, იარებიან ფეხებსა და ხელებზე ჯალათები მუხლს აჭერდნენ და სული მაინც არ ძვრებოდა...

„ტაჯგანაგები“, — ჩაესმა აბოს და გულმა უგრძნო, რომ ამ სიტყვას სიკეთე უნდა მოეტანა. მართლაც, შურტამ თავისი გადაწყვეტილება: ადუღებული ზეთის პირში ჩასხმა ტაჯგანაგების ზურგში ცემით შეცვალა.

აბოს პირიდან საყბე გამოგლიჯეს, გააშიშვლეს, პირდაღმა დაამხეს და ტაჯგანაგები დასცხეს. ტაჯგანაგებით ცემა არგნით ცემას სჯობდა, ცემას მიჩვეოდა, ტაჯგანაგების შხუილი დედის ნანასავით ჩაესმოდა. დიდხანს აღარ უცემიათ. წამოაგდეს, თავისი ბრანძიძველები ჩააცვეს და ჯურღმულიდან გაიყვანეს. ერთ ამოშავებულ გვირაბის ყელთან შეაჩერეს: შეძვერიო, უბრძანეს. აბო ოთხზე დაეშვა, წელში მოხრილიც ვერ შეეტეოდა ადამიანი. აბო ხვრელში შეხოხდა. იმ წამს ზურგს უკან გრუხუნი გაისმა და წყვდიადი ჩამოწვა, აბომ უკან მიიხედა, გვირაბს ჯალათებმა სარქველი დაარქვეს, ალბათ ლოდი მოაგორეს და მოაყუდესო — გაიფიქრა. ამგვარი სამწყვდევი აბოს არც გაეგონა. „ნუთუ აქ მამყოფებენ“... — დაჯდომაც კი არ შეიძლებოდა, ან უნდა ეხოხა, ან წოლილიყო ყინულივით ცივ ლოდზე. დაწვა, ვითომ დაისვენა. ტაჯგანაგებით ნაცემ ფერდებსა და ზურგს უკვე არად თვლიდა, ადუღებული ზეთის პირში ჩასხმის შიში გაექრო შავ ხვრელს, მაგრამ ახლა სხვა შიში ჩამდგარიყო სულში. მოლოდინის შიში: რას უმზადებდნენ ამ შავეთში? თუ უბრალოდ აწამებდნენ... „ჩემს ღმერთზე რომ არ ვიფიქრო, სულ რაღაცის მოლოდინში რომ ვიყო, იმიტომ დამატარებენ ჯურღმულ-ჯურღმულ“... — ფიქრობდა მოწამე და სწორედ თავის ღმერთს — ერთადერთ იმედსა და სასოებას ევედრებოდა, დაეხსნა ამ ჯოჯოხეთიდან და წაეყვანა. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტოვებ მე“, — აგონდებოდა წიგნის სიტყვები და მთელი ძალით გრძნობდა ჯვარზე გაკრული იესო ქრისტეს წრფელ სურვილს, ბოლო მოღებოდა სატანჯველს. „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტოვებ მე“, — ბუტბუტებდა წყვდიადში უფლის სიტყვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე საბანისძის დილეგში ძალით შეჭრა და მოფხანა-ბრძოლა
გორც აბოს მოძღვარი შემიპყარითო, არა მარტო მცხეთასა და ტფილისს, სრულიად ქართლს უმალ მოედო. მოძღვრის საქციელმა ბითქმა-მოთქმა გამოიწვია ერში. ზოგი მას გმირად მიიჩნევდა. სულ მთლად განწირული არ ვყოფილვართ, ქართლში კეთილი ზნის ერთი ადამიანი მაინც გადარჩენილაო, ზოგს თავისი სილაჩრე და უზნეობა რომ დაემალა, ხელად თვლიდა, კამეჩის მოჭიდავე ხარსაო, დაბუზღუნებდა და ამტკიცებდა, რომ საბანისძეს შინპყრობილობას არ დააჯერებენ, თავის მოწაფეს მიაყოლებენო. ზოგი იმასაც ამბობდა, იოანე ბერს არც კაცი უყვარს და არც ღმერთი, თავისი ადგილმამულების დაბრუნება სწადიან და მისთვის აღძრულაო.

იოანეს მამულები პირველი შეპყრობისას ჩამოართვეს, თავისუფლება რომ უბოძეს, ბერად აღიკვეცა და საკუთარი მამულისთვის არც უზრუნია. უფრო დიდი საზრუნავი ჰქონდა, უფრო დიდი მამულისთვის იბრძოდა. ავგუსა და ავენა ადამიანები ავ ჭორებს თხზავდნენ, საბანისძის კეთილი საქმენი კი თვითონ ღაღადებდნენ სიმართლეს.

შეპყრობილი იოანე საბანისძე და სამოელ ქართლის კათალიკოსი შურტათმთავარმა მცხეთის მამასახლის გუარამს რომ ჩააბარა, ეს ამბავი ერში ვეღარ დაიმალა. ღამით, საიდუმლოდ, დაატყვევეს იოანეცა და სამოელიც, მაგრამ ჭირმა თავი მაინც იჩინა. იმავ ღამ მთელმა მცხეთამ გაიგო წმინდა მამების შეპყრობა.

ქალებმა გამოიღეს ხელი, მართალია, ქმრებსა და მამებს ვერ უბედავდნენ წაქეზებას, შვილებს კი ჩააგონებდნენ, საბანისძისთვის მიებაძათ.

თვითონ ღმერთმა გამოგვიგზავნა ტარიგი, ტფილის-ქალაქი მისი ცოდვით იწვის, ქართლი კი დუმს, იმის უნარი არ შესწევს, მოწამეს გვერდში ამოუდგეს, საბანისძემ ყველა ქართველი ვაჟკაცის ვალი მოიხადა, საკუთარი სიცოცხლე მიიტანა სამსხვერპლოზე, სასიკვდილოდ განწირულ აბოს მხარში ამოუდგაო — სოფელ-ქვეყანაში ჩურჩულ-ჩურჩულით დადიოდა ამბავი.

გუარამის სასახლე მოექცა ყურადღების ცენტრში, რადგან საბანისძეც და სამოელიც აქ შეიპყრეს, აქედან გავიდა ერში ჭორიცა და მართალიც.

ნათლისღების წინა დღეებში სასახლეში უწყება მოიტანეს, ნათლისღებას ტფილის-ქალაქში აბოს აწამებენ, სრულიად ქართლი იქ უნდა შეიკრიბოსო.

შავით მოსილი ანო კარის საყდარში ჩამოიჭრა, ილოცა აბოს სულისთვის, მოძღვარს აღსარება უთხრა და გულის [illegible] დუმლო გაანდო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამაო, ქრისტემან საპყრობილით ჯოჯოხეთისა აღმოგვიყვანა, ჩვენგან საპყრობილესა მყოფთათანა მისვლასა ითხოვს...

შავ თავსაფარს ქვემოდან დიაცს გიშრისფერი მრგვალი თვალები ჯადოქრულად უბზინავდა და ნელსაცხებლის სუნი ფშოოდა სამოსიდან.

კარის მოძღვარი ხსართან ხუცესი შეცბა. ანოსაგან არ მოელოდა ამგვარ სიტყვებს. მართალია, ანოც, გუარამიც და მამამათიც მისი აღზრდილი იყო, მაგრამ ისინი ხომ სარკინოზებს ემსახურებოდნენ? განა მცხეთის მამასახლისის დას მისცემდნენ უფლებას, ხალიფას ორგული მუსლიმი საპყრობილეში ენახა? დახეთ საკვირველებას! ანომ ერთხელაც შეანათა თავისი გიშრის თვალები ხუცესს და შეჰღაღადა:

— მოწამე აბო ისმაიტელყოფილს ხვალ მოაკვდინებენ, აღასრულეთ ნება ღვთისა, — მე და აბოს ჯვარი დაგვწერეთ!

ხსართან ხუცესმა ყურები დაიცო, შეშინებულმა გაიხედ-გამოიხედა საყდარში, მუხლზე დავარდნილი ასული ფეხზე წამოაყენა და დაუყვავა.

— ილოცე, შვილო, ილოცე... ლოცვა უშველის შენს ვარამს...

— გევედრებით, მამაო, ახლავ წავიდეთ ტფილის-ქალაქს, ჯორები გალავანს გადაღმა გველოდებიან.

ხუცესმა ანოს პირჯვარი გადასწერა.

— ჩუმად! — უჩურჩულა, — თავს იღუპავ და სხვასაც ღუპავ ე მაგ სიტყვებით... გვამში ეშმაკი ჩაგსვლია და ის გალაპარაკებს...

— თვითონ უფალი მირჩევს აბოსთან წასვლას, მამაო, უფლის ნებით ავიდგი ენა... — ანო მოძღვარს ხელზე ემთხვია და კვლავ დაემხო მის ფეხებთან, — უფალი ჩვენი, მაცხოვარი იესო ქრისტე მზეა, — შეჰღაღადა ხუცესს ქალწულმა, — მე და აბო ვით ორი ქვესკნელის პეპელა, მისკენ მივისწრაფით. იმად მივდივარ ტფილის-ქალაქს...

— გაჩუმდი-მეთქი, წერას ატანილო, ქართველი მღვდელ-მონაზვნებისათვის ჯერ იოანეს აღძვრა არ უპატიებიათ, არავინ უწყის ხვალ რას გვიმზადებენ, ახლა კიდევ ეს უცნაური ჯვარისწერა! მოგაკვდინებენ, იცოდე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— დაე, მომაკვდინონ, პაპაჩემის, მამაჩემის, გუარამის, ჩემი ძმის, ცოდვილი სულები უნდა გადავარჩინო.

— გეყოფა! გაჩუმდი!

აზრახდა ხმამაღლა ხუცესი, შერცხვა მაღალი ხმის, მიუბრუნდა დანანებით და ხმადაბლა ჰკითხა:

— ჰყვარობდით ერთმანეთსა?

— არა, საკანში გავეცნობი და ჯვრისწერას შევთავაზებ...

— სიკვდილმისჯილს შესთავაზებ ჯვრისწერას?

ანო უფლის ხატს მიეახლა და პატიება თხოვა მუხლმოყრილმა.

— მიხსენ და მომიტევე, ღმერთო, ცოდვანი ჩემნი ნებსითნი და უნებლიეთნი, საქმითნი, სიტყვითნი, გულის სიტყვითნი და მოგონებითნი, დღისითნი და ღამითნი, გონებით და გულისხმისყოფით, ყოველივე ცოდვანი ჩემნი შემინდევ, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან.

თვალთაგან ცრემლმა იწვიმა.

ხუცესმა ჯვარი გადაწერა.

— ძმისგან მალულად? — დამფრთხალმა ხუცესმა ჩურჩულით ჰკითხა.

— ფარულად ყოველთა, — მიუგო მტკიცე ხმით.

— პყრობილთან გსურს ფარული ჯვარისწერა? — ხსართან ხუცესს თვალები გადმოეკარკლა, — ტიპიკონი გვიკრძალავს! არა! — აზრახდა კვლავ ხმამაღლა ხუცესი, სამკვეთლოში შევარდა უაზროდ, გამოფათურდა იქიდან და ანოს თითქოს პირველად ხედავსო, გონებაამღვრეული მიაშტერდა:

— უნდა განვუდგე ჩემს პატრონს, მფარველსა და მწყალობელს, შენს ერთადერთ ძმას — გუარამს?.. — ღელვისაგან მოხუცს ხელები უთრთოდა და ჯვარს მაღლა-მაღლა სწევდა. თითქოს მართლა ეშმაკეულს ელაპარაკებოდა.

— უფალს, იესო მაცხოვარს განუდგები?! — კითხვას კითხვითვე მიუგო ანომ.

ხსართან ხუცესმა თვალები მაღლა აღაპყრო, პირჯვარი გადაისახა და „სახელითა მამისათა“ წართქვა.

— განუდგები უფლის მცნებათ. მშიერსა ეცით ჭამადი, წყურიელსა ასვით. შიშველი შემოსეთ. უცხო შეიწყნარეთ. სნეულსა მიხედეთ. საპყრობილესა მივედით.

ანო ხუცესს ატაცებული მიჩერებოდა, მოხუცს მისი ეშინოდა და თვალს არიდებდა.

— საბანისძემ, ერთადერთმა ზნეკეთილმა ქრისტიანმა, ალასრულა უფლის ნება, „მივიდა საპყრობილესა“. ჩვენ რასა ვიქმთ! — ერი და ბერი?.. შიშით სოროში ვიმალებით, ვითარცა ქურცინი და ფაფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩურჩულ-ჩურჩულით გამოვიდნენ საყდრიდან. ანო წიხ გაიქცა, კლდის პირზე გადადგა და ხსართან ხუცესს უთხრა:

— აი, ამ კლდიდან თავსა გარდავიქცევ, თუ ახლავ ტფილისის გზას არ დავადგებით.

მცხეთის მამასახლისის სასახლე სამი მხრით გალავნით იყო შემოზღუდული, სალი კლდეები ერტყა, იქ აეგოთ კარის ეკლესიაც, ხუცესს შეეშინდა, ანოს ხელი წაავლო.

— გუარამს, შენს ძმას ვკითხოთ, ღვთის სულო, — შეევედრა მოხუცი, — სხვა რიგ არ ეგების... ჩემს ჭალარას ეცი პატივი...

ანოს მოხუცი შეებრალა, გადაწყვიტა, მარტოკა წასულიყო ტფილისში. მიქაელი მოეძებნა, მისი დახმარებით მღვდელიც ეშოვა და აბოსთანაც შეეღწია.

— მე თქვენთან ლოცვა-კურთხევისათვის მოველ, მამაო, ჭეშმარიტი ქრისტიანი სულიერ მოწაფეს თვისას ბნელში არ დასტოვებს... — უთხრა მბრძანებლის კილოთი, თავსაფრით სულ მთლად დაიფარა პირისახე და გალავნისაკენ წავიდა.

ხუცესი უკან გამოუდგა ლუღლუღით.

— თვით მოწამემ რომ არ ისურვოს ჯვარისწერა? — უკან დაადევნა.

— იყოს ნება მისი... — მოაძახა ანომ მშვიდად და გზა განაგრძო.

— ანო! — დაუძახა ხუცესმა, — მომისმინე!..

— მე ტფილისს მივდივარ, მოძღვარო... ჯორები გალავანს გადაღმა მელოდებიან... — ერთხელაც მობრუნდა ანო.

სასოწარკვეთილმა ხსართან ხუცესმა სასახლისაკენ მიიხედა, გუარამის რიდი ჰქონდა, რას იტყოდა მამასახლისი, მისი და ჯვარს იწერდა სიკვდილმისჯილთან, კარის მოძღვარს ხელი არ შეეშალა?

— ეგებ კათალიკოსს ვკითხოთ, გუარამს თუ არა? — კვლავ შეევედრა ხუცესი, — ღმერთი გვიწყენს თვითნებობას...

— ღვთის ნებით მივდივარ აბოსთან, მამაო, თვით უწმინდესიც ვერ შემაჩერებს, — თქვა ანომ მტკიცედ და ბჭისკარისკენ კი არ წავიდა, საიდუმლო კარს მიადგა. მსახურმა შეთქმულივით სწრაფად გაუღო კარი და სწრაფადვე ჩარაზა, ხუცესმა ძლივს მოასწრო გასვლა.

განა ანოს მიატოვებდა, ჯვარსაც დასწერდა, თუ დასჭირდებოდა,

მისთვის თავსაც დასდებდა, მაგრამ პატრონების უკითხავად არასდროს გადაედგა ნაბიჯი, ყმაწვილის აყოლა არ შეეფერებოდა. ეგებ გზაში დავიყოლიო და უკან გავაბრუნოო, თვისი საქციელი ამართლებლად მოიგონა ეს. გალავნის გადაღმა ანოს შეკაზმული ჯორები და მხლებლები ელოდებოდნენ, სიტყვა არავის უთქვამს. უბრად ამხედრდნენ და ტფილისის გზას დაადგნენ.

ხსართან ხუცესი ფიქრობდა, გზად შემხვედრი მეზუერენი გუარამს შეატყობინებენ დილაადრიან მისი დის საეჭვო მგზავრობას და უკან დაგვაბრუნებენო. აღარ გამართლდა ეს ვარაუდიც. რაკი ჯორებზე ისხდნენ, წესი არ ირღვეოდა. მეზუერენიც არ დაეჭვებულან, ანოსთვის ხელი არ შეუშლიათ ტფილის-ქალაქს ისე ჩავიდნენ, არავის არაფერი უკითხავს სად, რისთვის მიდიხართო.

ერისმთავრის სასახლეს ჯოროსნები რომ მიადგნენ, მსახურთ ერისმთავრის სტუმრები ეგონათ, მცხეთის მამასახლისის და მესტუმრეთ-უხუცესმა იცნო და პატივით გამოეგება.

ანომ მიქაელი იკითხა.

სასახლის მსახურთ გაუკვირდათ, როცა სტუმარმა თავი დაადო და მიქაელის ბინას მიაშურა.

მიქაელი სიხარულით ცას ეწია: თავი სიზმარში ეგონა. ის, რაც თვითონ, ვაჟკაცმა ვერ გაბედა, ასულმა აუცხადა, — თავისი ფეხით მოვიდა!

მიქაელი ჯერ ხსართან ხუცესს ეამბორა ხელზე, ჯვარზე, შემდეგ ანოს ფეხებთან დავარდა და ფეხისტერფებს ზედ დააკვდა. თავის აწევას არც აპირებდა.

— ადექ, ყრმაო, — უთხრა ანომ ცივად, — აბო უნდა ვნახოთ, ახლავე, ამისთვის მოველ!..

მიქაელი არც განძრეულა, არ გაუგია, ანომ რა უთხრა. ერთადერთი სიტყვა ჩაეჭრა სულში უსიამოდ „აბო". ამ სიტყვამ წამოაყენა ფეხზე და ანოს თვალებში ჩახედა.

— მე მინდოდა გუარამთან მოსვლა... მაგრამ... ვერ... გავბედე... დამაგვიანდა... მე... — ალუღლუღდა ვაჟი.

ქალის სიახლოვემ რეტი დაასხა. გაბრუებული იდგა და ხელობდა. ანოსი მხოლოდ ხმა გაიგონა. ამ ხმის სიტკბომ გონება დაუბნელა, ნეტარებას მიეცა, გონწართმეულს ერთადერთი სიტყვა შერჩა ხელთ, იმ ერთადერთმა სიტყვამ დააბრუნა მიწაზე. ჯერ იფიქრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომესმაო, მაგრამ ის სიტყვა დიაცს შუბლზე ეწერა: „აბო“. მეჩვენებაო, თავი გადააქნია.

— წავიდეთ, მიქაელ, — ახლა უკვე გარკვევით ჩაესმოდა ქალს ხმა.

მიქაელი არც წასვლაზე ფიქრობდა, არც დარჩენაზე, გაოცებული შესცქეროდა ანოს, ის ახლა შებრუნებულიყო, კარისკენ მიდიოდა. თავს ზემოთ კი კვლავ გრძელი ასომთავრულით ეწერა „აბო“.

— სსაად წავიდეთ? — ენა დაება მიქაელს. „აბო“ — ახლა უკვე ნამდვილად გაიგონა ყმაწვილმა. ანოს ტუჩებმა წარმოთქვეს ეს სიტყვა. რატომ წარმოთქვეს, სხვა სიტყვები რა თქვა ქალწულმა, მიქაელს კვლავ აღარ გაუგონია. რატომ ახსენებდა წარამარა პყრობილს, სიკვდილმისჯილს ამირას მოხელის და? განა ანო აბოს იცნობდა?.. ბრუდასხმულ მიქაელს ხსართან ხუცესი მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა, გვერდით გაიყვანა და საიდუმლოდ უთხრა:

— ამაღამ როგორმე აბოსთან უნდა შეგვიყვანოთ, სხვა გზა არ არის. ჯვრისწერას მთხოვს...

ხუცესმა არ იცოდა მიქაელის ტრფიალის ამბავი, პირდაპირ მიახალა, რისთვისაც ჩამოვიდნენ მცხეთიდან.

— რა ჯვრისწერას? არ მესმის... ვინ იწერს ჯვარს? — ჰკითხა მიქაელმა.

— ანოსა და აბოს ჯვარი უნდა დავწერო ამაღამ, — მიუგო ხუცესმა.

— ანოსა და... აბოს... — ამოიხრიალასავით მიქაელმა, — ანო! — მიაძახა კარში გასულ ანოს სასოწარკვეთილმა.

ანო ბინაში შებრუნდა.

— ხვალ აბოს სიკვდილით დასჯიან... — უთხრა მიქაელმა თანალმობით, თითქოს აბოს სიკვდილი დაიხსნიდა თავსდატეხილ უბედურებისაგან.

— იმიტომაც ვიწერ ჯვარს, — ამაყად მიუგო ანომ, — ერთადერთი შამაკაცი გვყოლია და ისიც იმ ქვეყანას მიდის... უნდა მოვასწრო, ამაღამ უნდა ჯვარი დავიწერო.

— ხომ იცი ამისთვის რაც მოგელის... გონს მოდი, ანო! — მიქაელი კვლავ დავარდა მის ფეხებთან, — ამაღამვე შეგიპყრობენ, შენ, შენს ძმას გუარამს, მთელ საგვარეულოს!.. ქართველ დედათაგან ჯერ არავის სმენია ასეთი საქციელი.

— დღეიდან ისმინონ! — მიუგო ატაცებულმა, — როცა მამანი მახვილს ძირს ხრიან, დედათა უნდა აღაპყრონ!..

ანომ ზიზღით დახედა ძირს დამხობილსა და გავიდა, მხლებლები გარეთ ელოდებოდნენ.

ეროვნული

მიქაელი მოკლეს, თავის ვიწრო ბინაში, ძირს დამხობილსა. ... ჩასცეს მახვილი და სული გააფრთხობინეს. ქართლსა შინა ერთადერთი მამაკაცი გვყოლია, უნდა მოვასწრო, ამალამ ჯვარი უნდა დავიწეროო — ნუთუ ანომ არ იცოდა, რომ მიქაელს უყვარდა, ნუთუ ამაოდ ყურყუტებდა მისი სასახლის კარიბჭესთან, ნუთუ ტყუილად შესციცინებდა ვითარცა მზეს, ანოც ამაოდ ულიმოდა შავთავსაფარს ქვემოდან და ლერწამტანის ნაზი რხევით ამაოდ უკოდავდა ყმაწვილკაცს გულს.

დამცირებული, მიწასთან გასწორებული, პირქვედამხობილი ეგდო იატაკზე მიქაელი და თავის აწევა არ უნდოდა.

— წავიდეთ, შვილო მიქაელ, ანოს შენი იმედი აქვს... — ზურგზე დაადო ხელი ხსართან ხუცესმა და წამოაყენა.

— მამაო, გადაათქმევინეთ, გემუდარებით, გადააფიქრებინეთ, — ხელები დაუკოცნა ხუცესს მიქაელმა.

— ღვთის ნებას ვასრულებო... არ ისმინა ჩემი სიტყვები... — საიდუმლოსავით უთხრა ხუცესმა.

— მაშ, რა ვქნათ?

— მე ბედს შევურიგდი, სჯობს ამ საქმეს შევეწირო, ვიდრე შემდეგ ცოცხლად ვიარო, — თქვა ნაღვლიანად ხუცესმა.

— წავიდეთ! — უცებ გადაწყვიტა მიქაელმაც, აბოსთვის განკუთვნილ კერეონებსა და საკმევლებს დაავლო ხელი და შლეგივით გავარდა ბინიდან.

მიქაელმა სტუმრები სადილეგოში წაიყვანა. მედილეგეთუფროსი მოძებნა. ქრთამად ათი ვერცხლი მიუტანა, კერეონები და საკუმეველი გადასცა — როგორმე აბოს მიაწოდეთ, თან საკანში შეშვება სთხოვა, ხუცესს და მის ქალიშვილს უნდათ პყრობილის ნახვაო — იცრუა. ჯვარისწერის ამბავი ვერ გაამხილა.

მედილეგეთუფროსი ტფილისში განთქმული ვერცხლისმოყვარე იყო. და ერთი ვერცხლის გულისთვის ქვას გახეთქდა, ცოლ-შვილს გაყიდდა, ერთხელ მიტანილი ქრთამით მედილეგეთუფროსს უამრავ საქმეს აკეთებინებდნენ, მიქაელმა კი ათი ვერცხლი მეორედ მიუტანა. მედილეგეთუფროსს ფრთა შეესხა, ვერცხლი ხომ ვერცხლად ფასობდა, მაგრამ უფრო გასახარელი ის იყო, რომ ქრთამს ქართლის ერისმთავრის მდივან-მწიგნობარი უბრალო მედილეგეთუფროსს აძ-

ლევდა. მიქაელს ყველა სიკეთეს შეჰპირდა, კერეონებსა და საკუმ-
ველს აბოს მე თვითონ გადავცემ, საკანში კი ამ საღამოს ვერავინ
შეგიშვებთო. ხვალ აბო უნდა დასაჯონ, ამაღამ მის საკანს ვერ-
ერებული დაცვა დარაჯობსო.

ხსართან ხუცესი, ანო და მისი მხლებლები მიქაელს სადილეგოს
გარეთ ჰყავდა დამალული. თუ მედილეგეთუფროსი ნებას დართავდა,
მაშინ მათ საიდუმლო გვირაბით შეიყვანდა სადილეგოში. აქაური
ყველა ხვრელი იცოდა, მაგრამ ამ საღამოს ეს ხვრელები საგულდა-
გულოდ დაეგმანათ. რა ეთქვა ანოსთვის? უბრალო შუამავლობაც კი
ვერ შეგძლებიაო, არ ეტყოდა? სადილეგოდან ცოცხალი ვერ გამო-
ვიდოდა, ატაცებულ ანოს პირში ჩალაგამოვლებული ვერ დაენახვე-
ბოდა. მედილეგეთუფროსს დაელრიჯა და ათი ვერცხლი კიდევ და-
პირდა.

— თუ შურტებმა გაგვიგეს, გახსოვდეს, ჩემი სახელი არ ახსე-
ნო! — უთხრა მედილეგეთუფროსმა და მიქაელს წინ გაუძღვა საკნე-
ბისაკენ. მიქაელმა ხსართან ხუცესი, ანო და მისი მხლებლები შემო-
იყვანა, მედილეგეთუფროსმა სტუმრები მიწისქვეშ ჩაიყვანა და ბნე-
ლი გვირაბის გავლით მიადგნენ აბოს საკანს.

— ა, აქედან დაელაპარაკეთ... მეტი არაფერი შემიძლია, —
უთხრა მიქაელს მედილეგეთუფროსმა, ხელისგულისოდენა არმანა გა-
მოაღო და სიბნელეში ჩასძახა:

— აბო!.. აბო!..

სიბნელეში ბორკილების ჟღარუნი გაისმა.

აბო თავის დილეგში ახლახან დააბრუნეს. შიშველ მიწაზე ეგდო სასო-
მიხდილი. თავის სახელი რომ გაიგონა (მედილეგეთუფროსი ჩურჩუ-
ლით ეძახდა), წამოფათურდა და ბორკილები ააჟღარუნა. რაკი ჩურ-
ჩულით ეძახდნენ, კარგის ნიშანი უნდა ყოფილიყო. თავს ძალა და-
ატანა და ლასლასით მოადგა არმანას. მიქაელმა კერეონები და საკუ-
მეველი უმალ გადასცა.

— ნაშუაღამევს, ჯალათები და შურტები როცა დაიძინებენ, —
უთხრა მედილეგეთუფროსმა, — ჩემი მედილეგე მოგაკითხავს, იმას
დაელოდე, კერეონებს ის აგინთებს. — თქვა და უმალ გაუჩინარდა
სიბნელეში.

— მიქაელი ხარ? — ლანდს ჰკითხა აბომ არმანიდან.

— ჰო, ჩვენა ვართ, ხსართან ხუცესი, ანო და მისი მხლებლები.

— ანო? — გაიოცა აბომ.

— ანო... — მოწიწებით წარმოთქვა მეორედ. მიქაელი მოშორდა
არმანას და გვერდით მიდგა. არმანას შუბლი ანომ მიადო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბო... — ამოილუღლუღა ქალმა, დაიბნა, სათქმელი ვერ უთხრა. — თქვენ უთხარით, მამაო... — არმანას მოცილდა

— ამ ჯოჯოხეთში ღვთისმსახურება როგორღა [illegible] ხმა აუკანკალდა ხსართან ხუცესს, — სანთელი მაინც აგვინთონ! მედილეგევ! — გასძახა არაბულად სიბნელეს, საითაც მედილეგეთუფროსი წავიდა. — სანთელი აგვინთეთ!..

— ჩუმად, თორემ ახლავე წაგიყვანთ აქედან! — გაისმა სიბნელიდან.

— ჩუმად! — უბრძანა მიქაელმაც ხუცესს.

— ღმერთო ჩემო, მაპატიე, რას ჩავდივარ, თვითონ არ ვიცი, — დაიწყო ლუღლუღი ხსართან ხუცესმა, არამანას შუბლი მიადო და აბოს ჩასძახა:

— შვილო, აბო, მცხეთის მამასახლისის გუარამის დას, ჩემს ალზრდილს, ღვთისმოსავ ანოს სურს დაწინდება შენთან და გვირგვინის კურთხევას მთხოვს... აგერ დგას ახლა, შენს საკანთან და ტირის, გულისწადილი ვერ გაგიმხილა.

ანო ჩუმად ტიროდა სიბნელეში.

— დაწინდება სურს ჩემთან? — გაისმა არმანიდან აბოს გაკვირვებული ხმა, — მამაო, თქვენ მართლა ხსართან ხუცესი ხართ, თუ ეშმაკეული გამომეცხადა სიკვდილის წინ, მიქაელ, შენ რად დუმხარ, ნამდვილი ხუცესის ბაგენი მაუწყებენ საკვირველ ამბავს?

— გუარამის დას, ანოს სურს შენთან დაწინდება, ხსართან ხუცესს ჯვრისწერას თხოვს, — მიუგო მიქაელმაც.

— დაამთავრეთ, ჩქარა! — გაისმა სიბნელიდან მედილეგეთუფროსის ხმადაბალი ბრძანება. შორიახლოს დარაჯობდა, ღამის სტუმრები შურტებს არ დაენახა.

— თუ თანახმა ხარ, არმანიდან ხელი გამოუწოდე! — შესძახა ხსართან ხუცემა არმანაში აბოს.

— ბორკილი მადევს, მამაო... — გაისმა პასუხად. — მაგრამ... აჰა... — ჯერ ბორკილის ჟღარუნი გაისმა, შემდეგ ხელის მტევანი აფათურდა არმანაში. ხსართან ხუცესმა ანოს ხელი მოჰკიდა, წყვილი შეაერთა, როგორც კი აბომ ქალის ხელის შეხება იგრძნო, ხმის კანკალით ჰკითხა ქალს:

— რისთვის?.. რისთვის?.. მე ხვალ აღარ ვიქნები... ნეტარო ასულო!

— სწორედ ამისთვის... — უჩურჩულა ანომაც.

— დაიწინდვის მონა ღუთისა აბო და ანო სახელითა მამისათა და

ძისათა და წმინდისა სულისათა, აწ და მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუცესმა ჯერ აბოს ჩამოაცვა მტკივან თითზე ოქროს ბეჭედი, შემდეგ ანოს ვერცხლისა.

— დაიწინდვის მხევალი ღუთისა აბო და ანო სახელითა მამისათა. და ძისათა, და წმინდისა სულისათა.

შეერთებულ ხელებს ჯვარი გადასახა. ჯვრისწერის გრძელ წესსა და რიგს ამოკლებდა, უფლისა მიმართ აქ ვეღარ ილოცებდა, ვერც იოანეს სახარებას წაიკითხავდა, რაც აუცილებელი იყო, ის უნდა ეთქვა.

— აკურთხე, უფალო, წინდობაცა მონათა ამათ შენთა აბო და ანო, დაამტკიცე ამათ ზედა აღთქმა სიტყუათა ამათთა და განაძლიერენ ესენი შენმიერითა წმინდა შეერთებითა...

დაამტკიცენ წინდობაო ამათი სარწმუნოებით და ერთობით, ჭეშმარიტებით და სიყვარულით.

მედილეგეთუფროსი სირბილით მოვარდა, მოდიან, ჩქარა, ჩქარაო, — ანოს ხელი აბოს გამოგლიჯა, თითქოს ძალით წაათრია ქვესკნელისაკენ, მიქაელი და ხსართან ხუცესი გააფრთხილა ხელი მომკიდეთ, და ისე მომყევით, თორემ დაიბნევითო. მართლაც, ერთმანეთზე გადაბმულები ჯურღმულში ჩაცვივდნენ, სადღაც სველ გვირაბში შეძვრნენ თაგვებივით. აქ შურტები ალარ ჩავიდოდნენ. ჩქამგაუღებლად ისხდნენ შიგ და სიბნელეს ყურს უგდებდნენ. ჩამიჩუმი არსაიდან ისმოდა. მედილეგეთუფროსი ჩურჩულის ნებასაც არ იძლეოდა, სუ-სუო პირზე აფარებდა ხელს სტუმრებს. დიდი ხნის ყურყუტის შემდეგ წამოდგა, წინ გაუძღვა წელში მოდრეკილ და შიშისაგან გალეულ მექორწილეთ და სამშვიდობოს გაიყვანა.

მიქაელი ღმერთს მადლობას წირავდა, რომ მშვიდობიანად გადარჩნენ. მართალია, ანოს საქციელით გულმოკლული იყო, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა. აბოს ხვალ მოაკვდინებენ, ანოსაც მალე გადაავიწყდება ახირებული ჯვრისწერა და გული ჩემკენ მოუბრუნდებაო, — ფიქრობდა.

აბოს არ სჯეროდა, რაც მოხდა. ანოს თითების სილბო და სითბო დარჩენილიყო საკანში, მას ხომ არასოდეს ენახა მცხეთის მამასახლისის ლამაზი და, მარტო ყური მოეკრა, გაეგონა ანოს სახელი.

ბეჭედს უსვამდა ხელს გაოგნებული. რა გრძნობა იყო ეს? რა დაეუფლა? სიყვარული? არა (ხორციელი სიყვარული ხილული იყო).

თანალმობა და მადლიერების გრძნობა, თუ სიამაყე დაეუფლა მამაკაცური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმალ გონს მოეგო, მიწიერ საქმეთათვის არ ეცალა, უხმა განწმენდილიყო ცოდვათაგან და სულით ზესთას შერთვოდა.

„მიწიერ სიყვარულს არ მოუყვანია ანო ჩემთან“, — უცებ აღმოაჩინა, გულზე მოეშვა, გაუხარდა.

ძირს დაემხო და ილოცა.

აბო ძირს ეგდო ღონემიხდილი, კერეონები და საკუმეველი გულში ჩაიკრა და შუაღამეს ელოდებოდა.

როგორ გაძოათრიეს გვირაბიდან!—რა უწყალოდ ახეთქებდნენ აქეთ-იქით!.. — თავი დასიებოდა გვირაბის კედლებზე ნახეთქები, ცხვირ-პირი და მკლავები დაეტყავებინა ქვებზე ნაპორტყიალები.

წყვდიადში იწვა და იარებს იშუშებდა. ანოზე ფიქრობდა... მიქაელზე... ხვალინდელ დღეზე, ხვალ ნათლისღება იყო. სულის წმინდის გადმოსვლას ყოველთა ზედა წყალთა ქრისტიანი მარხვითა და ლოცვით უნდა შეხვედროდა. აბოს ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული, თორემ სული ხომ თავისუფალი რჩებოდა, სულს ხომ ვერ დაადებდნენ ბორკილებს. თუ სანთლების ანთების ნებას არ მისცემდნენ, სული ილოცებდა, როგორც სხვა ღამეებში, ამ ღამესაც მხოლოდღა სული ილოცებდა. მხოლოდღა სული იფსალმუნებდა.

მაგრამ ლოცვის წინ უნდა განწმენდილიყო. წმინდა გულით უნდა ელოცა, მორიდებოდა ყოველსავე გულისწყრომას, უნდა დაევიწყებინა საპყრობილე, ბორკილები, შურტები, ჯალათები, მისი ფეხით მთრეველნი და არგნით მცემელნი, უნდა ამოერეცხა გულიდან რისხვა, „ნუ ჰრისხავ, არმედ ჰლოცვედ“, აბორგებული სული უნდა ჩაემყუდროვებინა და ღირსებით ელოცა.

მიწყდა სადილეგოში ფაცა-ფუცი და ნაბიჯების ხმა. „ალბათ დადგა ნანატრი შუაღამე“. გაიფიქრა აბომ. სანთლების ლიფლიფი და საკუმეველის სუნი მონატრებოდა, მოუთმენლად მოელოდა იმ წამს, როცა მედილეგე შემოვიდოდა, აუნთებდა კერეონებს, საკუმეველს დაწვავდა და დილეგში საყდრის სუნი დადგებოდა. საღვთო საიდუმლოთ ნაზიარებ ქრისტიანს არ შეეძლო უსაყდროდ, უსანთლოდ და უსაკუმეველოდ ცხოვრება. მართალია, აბოს ცხოვრებას ცხოვრება არც ეთქმოდა, მაგრამ სული ხომ ედგა! ლოცვა იყო სულის პური. სულს სხვა რამ საჭმელ-სასმელი არ სჭირდებოდა, გარდა ლოცვისა. ლოცვას კი სანთელ-საკუმეველი ღვთისკენ მიმავალ გზას უნათებდა.

ვით აკლებული საყდარი, დუმდა სადილეგო. აბო სიჩუმეს უგდებ-
და ყურს და შიშს შეეპყრო: ვაითუ მედილეგე არ მოვიდესო.
უცებ გაიხსნა დილეგის კარი. აბოს ფეხისხმა არ გაუგონია, ისე
ურდულის რაჯგუნი სმენია, მედილეგე ფეხაკრეფით ჩამოვიდა დი-
ლეგში, აქანდაზით ღველფი დადგა ძირს საკუმეველისათვის, აბოს სა-
ნათური მიანათა და უჩურჩულა:

— მომეცი სანთლები!

აბომ კერეონები გაუწოდა, სიჩუმეში ბორკილებმა გაიჟღარუნეს.

— ჩუმად! — უბრძანა მედილიგემ, — ჩუმად, თორემ შურტები
გაიგებენ... ნაბრძანებია ჩუმად ყოფნა...

მედილეგემ სანთლები აანთო და წავიდა. ფრთხილად გაიხურა
დილეგის კარი, ურდულებიც უხმაუროდ გაუყარა და ფეხაკრეფით
გაიპარა.

აბომ მტკივანი თითები შეჰყარა პირჯვრის საწერად, „სახელითა
მამისათა“ შეჰღაღადა უფალს, საკუმეველიც აკმია დილეგის კედლებს.
ანთებული სანთლების წინ დადგა ჩრდილად ქცეული და ფსალმუნო-
ბას მოჰყვა:

„მიწყალე მე ღმერთო, რამეთუ დამთრგუნა კაცმან, მარადღე
ბრძოლითა მაჭირვა, დამთრგუნეს მტერთა ჩემთა მარადღე, რამეთუ
მრავალ არიან რომელნი მბრძვანან მე მაღლით. არა მეშინის მე, რა-
მეთუ შენ გესავ. ღუთისა მიერ ვაქნე სიტყვანი ჩემნი, ღმერთსა ვესავ,
არა შემეშინოს, რა მიყოს მე ხორციელმან...

მახე განმზადეს ფერხთა ჩემთათვის და დაამდაბლეს სული ჩემი,
თხარეს წინაშე პირსა ჩემსა მთხრებლი და იგინივე შთაითხივნეს.
განმზადებულ არს გული ჩემი შენდამი, ღმერთო, განმზადებულ არს
გული ჩემი, გაქებდე და გიგალობდეს შენ დიდებითა ჩემითა. განიღ-
ვიძე, დიდებაო ჩემო, განიღვიძე ფსალმუნითა და ებნითა, მე განვიღ-
ვიძე განთიად. აღგიარო შენ ერსა შორის, უფალო და გიგა-
ლობდე შენ წარმართთა შორის, რამეთუ განდიდნა ცამდე წყალობა
შენი და ღრუბელთამდე ჭეშმარიტება შენი. ამაღლდი ცათა შინა,
ღმერთო, და ყოველსა ქუეყანასა ზედა არს დიდება შენი...“

სულ ზეპირად იცოდა დავითნი, ბეჯითად შეესწავლა მარიამწმი-
დაში, ცრემლის ღვრით გალობდა იმ ფსალმუნებს, როცა უცხო
თესლთაგან შეპყრობილი დავითი ღმერთს ევედრებოდა თავისუფლე-
ბას.

„იხსენ სული ჩემი სიკუდილისაგან, თუალნი ჩემი ცრემლთაგან და
ფერხნი ჩემნი ბრკოლისაგან...

მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე, რამეთუ შენ გესავს სული ჩემი...“

კერეონებს დილეგი გაენათებინათ. აბოს ჩურჩულს დადარაჯებული ყური თუ გაიგონებდა. პირჯვარს იწერდა და ბორკილებსა [illegible] რუნით და ლოცვით ვერ ძღებოდა. თავს ყანას სცემდა [illegible] ღმერთს ელაპარაკებოდა.

ბედნიერი იყო იმ წუთებში, არ ახსოვდა ნაცემ-ნაგვემი სხეული, არც იარები ტკიოდა, არც შიმშილი, წყურვილი, სიცივე აწუხებდა, თითქოს დილეგში კი არა, სადღაც უკიდეგანო სივრცეში ენთო კერეონივით და ზეცას შეერთვოდა.

საკუმევლის სუსტი კვამლი ანთებულ სანთლებს სულივით გარს ეხვია. სულნელიც იქვე, აბოსთან და სანთლებთან ტრიალებდა.

სიჩუმეში ატაცებული ქრისტიანის აღტკინებული ჩურჩული გაისმოდა...

აბომ კარგად იცოდა, რომ მის დილეგს დღე და ღამ უთვალთვალებდნენ. აქ სანთლების ანთება და ლოცვა ფიქრადაც კი არ უნდა მოსვლოდა ადამიანს. მაგრამ რახან მიქაელმა უთხრა, ქრთამი ჯოჯოხეთშიც ჭრისო, რახან თვითონ მედილეგემ აუნთო სანთლები, მთელი სადილეგო მოქრთამული უნდა ყოფილიყო.

აბო ხმადაბლა ლოცულობდა, მთელი გულით, მთელი არსებით განიცდიდა, რასაც მიელტვოდა, რისკენაც მიექცია სული.

განთიადამდე არ დაცხრებოდა. არ ჩაქრებოდა ანთებული სული. ხვალინდელ დღეს კოცონივით აბრიალებული უნდა შეგებებოდა.

გული უგრძნობდა, თითქოს ზეციდან ვიღაც შთააგონებდა, რომ სისხლით უნდა ეღო ნათელი, სასოებით მოელოდა ხვალინდელი დღის გათენებას. ნათლისღებას, მდინარე იორდანის პირას მოხდა სასწაული — კაცობრიობის სულიერი დაბადება. ხვალ, 786 წლის ნათლისღებას, ტფილის-ქალაქში, მტკვრის პირას მენელსაცხებლე აბოს სისხლით ნათლის ღება უნდა მოჰყოლოდა. წინასწარმგრძნობი გული ეუბნებოდა ამას და ჩქარობდა, წუთი არ დაეკარგა. გათენებამდე ელოცა, საუფლო დღესასწაულს სულიერად მომზადებული შეხვედროდა.

იოანე ოქროპირის ლოცვებს ბუტბუტებდა. ეკლესიის დიდი მამა გრიგოლმა შეაყვარა... მისი ყოველი სიტყვა სიყვარულით აღავსებდა, რწმენას უმტკიცებდა... მართლაც რომ ოქროპირი იყო და გულთამპყრობელი. მისი დახმარებით უფალს უკეთ ელაპარაკებოდა.

მოულოდნელად დილეგში, მკვდრულ სიჩუმეში, საყვირის ხმა შემოიჭრა. მორიგე შურტა საყვირს აყვირებდა.

აბოს დილეგი თვალისდახამხამებაში ჯალათებით აივსო. ლოცვა

მაინც არ შეუწყვეტია. სანთლების წინ იდგა, შებორკილი ხელები მაღლა აღეპყრო და ღმერთს პატიებას თხოვდა.

ჯალათებმა კერეონები ჩააქრეს, დაამტვრიეს და ძირს დასვეს. საკუმევლიან აქანდაზს ფეხი ჰკრეს... აბო პირჯვარს იწერდა და ლილეგის ჭერს შესცქეროდა.

ჯალათებსა და შურტებს შორის ის მედილეგეც ერია, ვინც აბოს კერეონები აუნთო, თვითონ მედილეგეთუფროსიც მოსულიყო, შურტებს ეჭვი რომ არ აეღოთ, ბრძანებებს იძლეოდა და აბოს სიკვდილით ემუქრებოდა, მაგრამ მლოცველს ხელს არავინ უშლიდა. ჯალათთა უფროსს ელოდებოდნენ. ასეთ დროს სასჯელი მას უნდა გამოეტანა. ჯალათთა უფროსმაც არ დააყოვნა. ორი მემაშხალე უნათებდა გზას და ლახვაროსნები უკან მოსდევდნენ. დილეგში მედიდურად ჩამოვიდა, შურტებს, ჯალათებს, მედილეგეებს, თვითონ სადილეგოს შურტათმთავარს და მედილეგეთუფროსს ამაყად გადახედა, ახლა ამ წუთას მხოლოდ და მხოლოდ ის იყო მბრძანებელი და ბრძანა:

— ეკლებიანი არგნებით სიკვდილამდე!..

ეკლებიანი არგნებით აბო ჯერ არ ეცემათ, ერთხელაც გადაიწერა პირჯვარი, მოასწრო პირჯვარის გადასახვა. ჯალათებმა მიწაზე დაამხეს, გააშიშვლეს და ეკლებიანი არგნები დასცხეს. რამდენიმე წამში სისხლმა იფეთქა, გადმოაბრუნეს და გულ-მუცელზე დაუწყეს ცემა. ეკლებიანი არგნებით ცემას თავისი წესი ჰქონდა. როგორც კი სისხლი ბარაქიანად დაიწყებდა დენას, გვამის სხვა ნაწილზე გადაინაცვლებდნენ, ყოველი ასო ეკლებით უნდა დაეჩხვლიტათ.

გულ-მუცელიც სისხლით შეეღება და ბარძაყებიც, თავ-პირში დაუშინეს... „აღსრულდა“ გაიფიქრა აბომ.

ისე გაშმაგებით სცემდნენ, სიკვდილის აჩრდილს ჭვრეტდა წყვდიადში. „ეს უკვე ნამდვილი სიკვდილია“... ჩურჩულებდა თავდაღმა დამხობილი, ახლა მუხლებს ქვემოთ სცემდნენ...

სულ მთლად ჩამობნელდა, წყვდიადმა მოიცვა მთელი ქვეყანა, მიწყდა ეკლიან არგანთა შხუილიც, ჯალათთა ქშენა, ფსვიტინი და კბილების ღრჭიალიც ჩაინთქა წყვდიადის მდუმარებაში...

— მოკვდა! — თქვა ჯალათმა და არგნის ცემა შეწყვიტა. დილეგში მყოფნი შეჩოჩქოლდნენ.

— სიკვდილის ნება არა გაქვთ! — თქვა მრისხანედ სადილეგოს შურტათუფროსმა.

— ნუ გეშინიათ, — თქვა ჯალათთა უფროსმა, — ეკლიანი არგანი არ კლავს, მივიდა აბოსთან, გადმოაბრუნა, თვალი ძალით გაუღო,

სისხლიანი ხელი გაიწმინდა და თქვა: ცოცხალია. ჯალათთა უფროსი გატრიალდა, თავისთავში დარწმუნებული, აჩქარებული, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით გავიდა დილეგიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი უმალ გაიკრიფნენ საპყრობილედან, სისხლში მცურავი აბო წყვდიადში დატოვეს.

უკიდეგანო წყვდიადი, ქვესკნელს და ზესკნელს შორის გაწოლილიყო და შავად სუფევდა. მარადიული შავეთი ალბათ ასეთი უნდა ყოფილიყო. სიჩუმეც არ ჰგავდა მიწიერს. წყვდიადის მდუმარება იდგა, სიჩუმესაც მარადიული იერი მიეღო. აბო ამ წყვდიადსაც ხედავდა და ამ მდუმარებასაც ისმენდა, მაგრამ საკუთარ თავს ვერ პოულობდა, შავ მასად ქცეულიყო და წყვდიადს შერთვოდა. რა იყო ეს? ყოფნა თუ არ ყოფნა? საკუთარ თავს დაეძებდა გაფაციცებით, უნდოდა დაეყვირა — აბო! წყვდიადის მდუმარება პირიდან აცლიდა ბგერებსა და ნთქავდა. წყვდიადის მდუმარებით გამოხატავდა თავის ყოფნას. წყვდიადის მარადიული სუფევა თანაარსს გულისხმობდა, აქ საგნებს ერთბამ სახელედებოდა, ერთისა ბუნებისანი იყვნენ. მიწიერს ვერ შეითვისებდა, ვერ მიიღებდა, თუ მარადიულად არ გადაიქცეოდა.

უცებ, ვითარცა ელვამ, უკიდეგანო წყვდიადი სუსტმა სხივმა გააპო და აბოს წინ დაეცა, მოწამემ სხივს ახედა, ზესკნელიდან მოდიოდა, შუაში აპობდა ქვესკნელსა და ზესკნელს შორის ჩაწოლილ წყვდიადს და იქ თავდებოდა, სადაც თვითონ იწვა. სხივს ნათელი ჩამოჰყვა და დილეგში კაშკაშა სინათლედ ჩამოიღვარა. აბოს თვალებს სჭრიდა სინათლე, კაშკაშს ხედავდა და ვერც ხედავდა.

ხილვა იყო წამიერი, წამით გამოჩნდა წყვდიადში და იმ წამსვე გაქრა თუ აბომ დაკარგა ხილვის უნარი...

საკუთარმა გულისძგერამ დააბრუნა მიწაზე, სიცივისაგან ძაგძაგებდა, შიშველ-ტიტველი ეგდო დილეგში და სისხლში ცურავდა. „ნეტა რა იყო, რა სინათლე ჩამოიჭრა ზეციდან“, — ფიქრობდა გამალებით. თავისთავი აღარ ახსოვდა. ატყობდა, რომ სხვაგვარ ყოფაში იყო, წამიერი ხილვაც ამან დაბადა. სიბნელეში ხელის ფათურით მოძებნა სამოსი, სისხლით სველ ტანზე დააპირა ჩაცმა, ვერ ჩაიცვა, მხრებზე შემოიბურა, ოდნავ დაიწყნარა აძაგძაგებული გული, საბოლოოდ „დაბრუნდა“ დილეგში, მშრალი ადგილი მოძებნა, და იქ დაწვა, უღონობისაგან გული ელეოდა, თავბრუ ეხვეოდა...

შეუმჩნევლად მოსულიყო განთიადი. სადილეგო უცებ ახმაურდა. ჯალათებისა და მცველების ფეხების ბრაგუნ-ბრაგუნი და შეძახილები შემოიჭრა დილეგში.

— მენელსაცხებლე აბო ამირასთან! — შემოესმა გონებამიხდილს.

— მპარავთა ჯგუფი შურტათმთავართან!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიგე შურტა თან ზარს რეკავდა, თან დღის განრიგს ამცნობდა სადილეგოს.

— მოლაშქრე იესე ყადისთან!..

„ამირასთან?“ — უცებ გაუნათდა გონება, — ამირასთან იხმობდნენ. ყველა პყრობილი ამირასთან როდი მიჰყავდათ. ამირასთან წასვლა დიდი პატივი იყო. ან თავისუფლებას უბოძებდა ამირა, ან სიკვდილს, სხვა სასჯელისთვის მასთან არ იბარებდნენ.

დილეგის კარი გაიღო, მედილეგე და ჯალათები შემოვიდნენ.

— აბანოში! — გამოაცხადა მედილეგემ. აბოს გაუხარდა, თბილ წყალში ჩაწოლა მოარჩენდა, იარებსაც დაუამებდა და გულსაც გაუთბობდა. რახან ამირასთან მიჰყავდათ, აბანოს სხვა სიკეთეც მოჰყვებოდა. ბორკილებს შეხსნიდნენ და ჩაცმის ნებას მისცემდნენ, მაგრამ წამოდგომას შეძლებდა? ფეხს გადაადგამდა?.. რადაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა წამომდგარიყო, წასულიყო აბანოში, ამირას ჰხლებოდა და ტანჯვა-წვალებისათვის დაესვა წერტილი. წამოიფორხილა, წამობობღდა ბორკილების ჟღარუნით. ერთი ნაბიჯი გადადგა მედილეგისაკენ და დაეცა. მედილეგემ წამოაყენა, ჯალათები მხარში ამოუდგნენ და დილეგიდან გარეთ გაიყვანეს. მეტი ვეღარ შეძლო, დღის სინათლე როგორც კი იხილა, ძირს დავარდა და ვეღარ ადგა. მოიყვანეს ურემი, ზედ დააწვინეს და აბანოში მაინც წაიყვანეს.

ასეთი ნათლისღება ტფილის-ქალაქს არ ახსოვდა. ხალხს საყდრებში ლოცვა და წყლის კურთხევა არ აცალეს, ამირას სასახლის წინა მოედნისკენ გარეკეს. მიერეკებოდნენ ყველას განურჩევლად, დიდსა თუ პატარას, მდიდარსა თუ ღარიბს, ქართველსა თუ არაქართველს, ხალხს საკუთარი თვალით უნდა ენახა, თუ როგორ ისჯებოდა სჯულის უარმყოფელი მუსლიმი.

ქალაქმა კარგა ხანია იცოდა, რომ შურტების ჯურღმულებში იტანჯებოდა ნერსე ერისთავის მსახური, მენელსაცხებლე აბო, მაგრამ მის სიკვდილს არ მოელოდნენ, ფიქრობდნენ, რომ ყმაწვილი, ბოლოს და ბოლოს, გონს მოეგება და თავის სჯულს დაუბრუნდებაო. სარკინოზები ასეთებს არ სჯიდნენ, ხალხს ეუბნებოდნენ: ხომ ხედავთ, მავანი და მავანი მუსლიმი იყო, ქრისტეს შეუდგა, ვერ შეეგუა ცრუმოძღვრებას, კვლავ მაჰმადს დაუბრუნდაო.

როცა ხმა გავარდა, მენელსაცხებლე აბო სიკვდილით უნდა დასაჯონო, ტფილისელები მეტი სიყვარულითა და პატივსცემით განიმსჭვალნენ უცხო ყმაწვილისადმი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასახლის წინა მოედანი ხალხით გაივსო.

ნათლისღების ცივი ამინდი იდგა. თოვლი არ იდო, მაგრამ ყინვას მოედანი მოელიპა, მზეც ხან გამოიხედავდა ღრუბლებიდან და ხან არა.

ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, შემცივნებულები ხელებს იორთქლებდნენ და ქალაქურ ჭორებს ჰყვებოდნენ.

სარკინოზებს ნათლისღება იმისთვის ამოერჩიათ, რომ ტფილისის საყდრებში ამ დღეს უამრავი ხალხი იყრიდა თავს არა მარტო ტფილის-ქალაქიდან, ქართლის ახლომახლო სოფლებიდანაც. სვეტიცხოველი და სიონი იყო ქართლის მთავარი სალოცავი, ხალხიც აქ იკრიბებოდა.

შურტებსა და მოლაშქრეებს მცხეთიდან მღვდელ-მონაზვნობა თავისი მრევლით წინადღით აეყარათ და უკლებლივ აქ ჩამოეყვანათ.

ზოგი აქ, ამირას სასახლის წინ, განაგრძობდა ლოცვა-ვედრებას, პირჯვარსაც მოურიდებლად იწერდა. მწყემს-მთავარი — სამოელ ქართლის კათალიკოსიც აქ იყო და ბერი იოანეც მოეყვანათ. მათთვის მცველები მიეჩინათ და ცალ-ცალკე იდგნენ ხალხში, ახლოს თვით ეკლესიის მსახურთაც კი არ უშვებდნენ. მათი ამგვარი ყოფა მღვდელ-მონაზვნებმაც იცოდნენ და ხალხმაც, ამიტომ შორიდან შესცქეროდნენ, ახლოს მისვლას და ლოცვა-კურთხევის მიღებას არც ცდილობდნენ.

იოანე მიქაელს დაეძებდა თვალით, მაგრამ მიქაელი ხალხში არ ჩანდა. ერისმთავარი სტეფანოზი და მიქაელი სასახლეში იყვნენ. ისინი ჯამაათთან ერთად გამოვიდოდნენ სასახლიდან, როცა ბრალდებულს დასასჯელად გამოიყვანდნენ.

აბო არ იყო ჩვეულებრივი სიკვდილმისჯილი. თვითონ ამირამაც კი არ იცოდა, სიკვდილს გადაუწყვეტდა თუ არა. ამირამ აბოს მოყვანამდე ჯამაათის შეკრება ბრძანა. ერისმთავარი ჯამაათს ესწრებოდა და მიქაელიც თან ჰყავდა.

ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქმა ჯამაათის სხდომაზე აღშფოთება გამოთქვა: ხალხი ორი დღეა ელოდება, როდის მოვიყვანთ სჯულის უარმყოფელსა და შარიათის მიხედვით სიკვდილით დავსჯით, რაღა დროს შეკრება და მსჯელობაო.

ამირა ალი ჰასანმა ჯამაათს გონიერებისაკენ მოუწოდა. ცხრა დღე და ღამე მთელი საამირო მუშაობდა პყრობილთან, ეგებ შედეგი გამოიღო ჩვენმა მცდელობამ და ყმაწვილი სჯულს მიუბრუნდესო. თუ

ეს მოხდება, მით უკეთესი ჩვენთვის, ჭეშმარიტი გამარჯვებაც ეს იქნება, ხალხსაც ამას ვაუწყებთო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირას ყადიმ და ვაზირმა აუბეს მხარი, ერისმთავარმა თავშეკავება არჩია. ბაბაქი დაჟინებით მოითხოვდა სიკვდილს, განსასჯელი შარიათითი ამას იმსახურებსო.

ამირას სიტყვა ჯამაათში შეუცვლელი იყო. აბოს სიკვდილს გადაუწყვეტდა თვითონ ამირა.

ამიდმა ჯამაათის გადაწყვეტილება საჯაროდ გამოაცხადა:

— დიდ არს ალაჰი და ალაჰის სახელით ვიქმთ სიკეთეს. შარიათი ყველა მუსლიმისათვის წმიდათაწმიდა კანონია. შარიათის კანონები ალაჰის კანონებია. ვინც საღვთო კანონებს არ შეასრულებს, შარიათი სიკვდილით სჯის, ალაჰი ბრძანებს ამას და ყველა მუსლიმი ემორჩილება.

დედამიწაზე ალაჰის მოციქული მაჰმადია, მაჰმადის მოციქული — ხალიფა, ხალიფას მოციქული — ამირა.

ამირა სიკეთისმოყვარეა, ალაჰს უყვარან სიკეთის მოყვარულნი! ამირას ნება-სურვილია შარიათის წესისა და რიგისამებრ, მენელსაცხებლე აბო სიკვდილის წინ თვითონ განსაჯოს, თუ განსასჯელი წარსულს უარყოფს და სჯულზე მოიქცევა, აპატიოს დანაშაული.

შარიათი ბრძანებს: ამირა უმაღლესი მსაჯულია.

ამიდმა ჯამაათის გადაწყვეტილება ჯერ სასახლეში შეკრებილთ გამოუცხადა, შემდეგ სასახლის წინა მოედანზე გამოვიდა და ხალხს აუწყა. ყოველი ერი პატივისცემით განიმსჭვალა ახალი ამირასადმი. ყველას ეგონა, რომ აბოს სიკვდილი გადაწყვეტილი იყო, ხალხი ელოდებოდა თუ როდის მოჰკვეთდნენ თავს მოწამეს, ამირამ კი იმედი გააჩინა, თუ აბო სიკვდილის წინ დაფიქრდებოდა, უკანასკნელ წამს მაინც მოუხმობდა გონიერებას და სჯულზე მიიქცეოდა, დანაშაულს აპატიებდნენ, ამაზე დიდი სიკეთე განა რომელიმე ზედამდგომელს ჩაედინა?.. გაავებული ხალხის გული ამირამ ერთის დაკვრით მოინადირა, ასეთ დიდ დათმობას არავინ მოელოდა, იმ ბიჭსაც კეთილი უნდა ენება და სჯულზე მიქცეულიყო, — ასე ამბობდნენ ხალხში.

— მოჰყავთ, მოჰყავთო, — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

სასახლის წინა მოედანზე ჯალათებითა და შურტებით გარშემორტყმული ურემი შემოვიდა. ურემს ხმალამოწვდილი ჯალათი მოუძღოდა წინ. ჯაჭვებით შებორკილი აბო ურემზე თოკით დაეკრათ, გულალმა იწვა ურემზე და განძრევის ჩარა აღარ ჰქონდა.

ხალხი აჩოჩქოლდა, ურმისკენ დაიძრნენ, კისერწაგრძელებულთა დიდი ტალღა მიაწყდა მცველებს.

ცხენოსანი შურტები ტაჯგანაგების ცემით შემოვარღვიეს ხალხი და ურემს გზა გაუკაფეს სასახლისაკენ.

როცა აბო ურმიდან გადმოჰყავდათ, ხალხმა ერთხელაც იხუვლა, მაგრამ ამჯერად შიშის გმინვა და ოხვრა აღმოხდათ, ერთხმად იბრუნეს პირი ზურგს უკან, აბო ყველას გადაავიწყდა — მწყობრი მარშით სასახლისაკენ მოდიოდა ბაღდადიდან ახალჩამოსული დამსჯელი ლაშქარი.

ხალხში ჩუმ-ჩუმი ბურტყუნი, ბუზღუნი, დედის გინებაც კი გაისმა ლაშქრის გამომგზავნთა მისამართით.

დამსჯელი ლაშქარი ქართლში ერთი კვირის წინ ჩამოსულიყო. ტფილისელებმა იცოდნენ ლაშქრის ჩამოსვლის ამბავი, ცალკეული მოლაშქრენი ენახათ ტფილისის ბაზრებში მოსეირნენი, მაგრამ საბრძოლო მწყობრით მომავალთ, ერთად თავშეყრილთ, პირველად ხედავდნენ და გული ბოლმით ევსებოდათ.

ლაშქარი რამდენიმე წამით შეჩერდა ერთ ადგილას. შუა გაიყო და საპირისპირო მხარეს ნელა გაიშალა, გაისმა მეთაურთა შეძახილები არაბულ ენაზე და სასახლის წინ შეკრებილი ეს ზღვა ხალხიცა და თვით სასახლეც თვალისდახამხამებაში ალყაში მოექცა.

ლაშქრის დანახვამ იოანე აღაშფოთა. „ერთი ყმაწვილის გულისთვის — დამსჯელი ლაშქარი!..—მოურიდებლად წამოიძახა ხალხის გასაგონად.—ძლევამოსილ ხალიფატს მენელსაცხებლე აბოსი ეშინია?.. თუ აბო საბაბია და ქართველი ერის პირისაგან მიწისა აღგვის მიზნით სჩადიან ამას“.

„ორი ათასი მშიერი მოლაშქრე! — ახლა თავისთვის ბუტბუტებდა, — ჩანს, ხალიფატს ქართველი ერის შიგნიდან გატეხვა სწადია, შიგ, საკუთარ სახლში შემოგისახლდებიან, ლუკმაპურს წაგართმევენ, საწოლში ჩაგიწვებიან, დედაწულს გაგირყვნიან, ვაჟკაცს თავზე ლაფს დაგასხამენ... ქართველ ერს დედაწულით უდგას სული, დედაწულია მისი მტკიცე ბალავერი. აი, ამ ბალავერს ანგრევს, ამ ბალავერზე მოაქვს იერიში“...

გარშემო შემოკრებილთ გულდაგულ აკვირდებოდა. „ყოველი მეორე კაცი უცხოტომეულია, ან არაბია, ან სპარსი. ტფილისი უცხოტომელებით გაივსო. ზოგი აქ დაბადებული და გაზრდილია, თავის შვილებსაც აქ ზრდის, დაეფუძნა ჩვენს მიწაზე, თავის ქვეყანაში წასვლას არ აპირებს. სამოთხეში დაემკვიდრა, უდაბნოში რისთვის დაბრუნდება!..“.—ჩურჩულებდა გულგასიებული, სამოელისაკენ აპარებდა თვა-

ლებს — ნეტა ქართლის მწყემსი რას ფიქრობსო. ერთადერთი თანამოზიარე შერჩენოდა და იმასთანაც ვერ მივიდოდა, მცველები ნებას არ მისცემდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათალიკოსსაც გულისყური იოანესკენ ეჭირა, არ ეგონა, თუ მოიყვანდნენ.

იოანეს უფრო მკაცრად მეთვალყურეობენო, ფიქრობდა. მასაც ორი ლახვაროსანი ედგა გვერდით, მასთანაც ვერავინ მივიდოდა უნებართვოდ. იოანეს ასეთი ყოფა კათალიკოსს უფრო აწუხებდა, ვიდრე საკუთარი შინპყრობილობა. სამოელი გარე ქრისტიანულ სამყაროს იოანეს მეშვეობით უკავშირდებოდა, ახლა, ამ განსაცდელის ჟამს, იოანეს ანტიოქიაში გააგზავნიდა, ანტიოქელი მამები მთელ საქრისტიანოს დააყენებდნენ ფეხზე — მწყემსმთავრისთვის მწყემსობა დაენებებინათ. იოანე სამოელის მარჯვენა ხელი იყო და სწორედ მარჯვენა მოჰკვეთეს მაგოგებმა. სამოელი თავმოდრეკილი იდგა ხალხში და როგორც კი რისხვა გულში ჩაესახებოდა, პირჯვარს იწერდა და ღმერთს შენდობას თხოვდა. ხალხიც თავის კათალიკოსს ჰბაძავდა, მასთან ერთად „სახელითა მამისათას“ ბუტბუტებდა.

აბო მცველებმა სასახლისაკენ წაიყვანეს. ჭეშმარიტი მორწმუნენი მის ნაფეხურს კოცნიდნენ და ღმერთს ავედრებდნენ. მცირედ მორწმუნენი ირყეოდნენ, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა. ხან აბოს მხარეს იყვნენ, ხანაც ამირას სამართლიანობას და დიდსულოვნებას იწონებდნენ. ურწმუნონი ერთხმად უარყოფდნენ აბოს საქციელს, „გამყიდველს“, „ქართველთა უპირველეს მტერს“ ეძახდნენ.

სასახლის კართან აბო შედგა, ლოცვითა და ფსალმუნობით შევიდა სასახლეში.

მთელი სასახლე მის სანახავად ტალანებსა და დერეფნებში გამოფენილიყო. ჯამაათზე შეკრებილი ხალხი და თვით ჯამაათიც ამირას კარების წინ აბოს ელოდებოდა. ამირას მოწამესთან მარტო შეხვედრა ებრძანებინა.

მცველებმა ამირას დარბაზის კარები გახსნეს. აბომ ჯვარი გადაწერა შესასვლელ კარებს, თვითცა დაიბეჭდა ჯვარი და თვალები სასახლის ჭერს მიაპყრო.

ჯალათებმა შუბები მიაბჯინეს ზურგზე, უბიძგეს და დარბაზში შეიყვანეს, ამირას წარუდგინეს.

აბომ თავი ყანას სცა ბორკილების ჟღარუნით. ყმაწვილისათვის სიკვდილ-მისჯილთა წესისამებრ უმკლავებო ჯვალოს კაბა გადაეცვათ, ბორკილები არ ჩანდა, მხოლოდ ჟღარუნი ისმოდა.

ამირა ალი ჰასანი ოქროს ტახტზე იჯდა და გატანჯულ-გაწამებულ ჭაბუკს მშვიდად ათვალიერებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირას კარის დაკეტვა არ უბრძანებია. იქ ჰაჯიჯ იბნ [illegible] ჯამაათის სხვა წევრებიც იდგნენ.

წესით და რიგით ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქი გვერდით უნდა ჰყოლოდა, მაგრამ ალი ჰასანმა ნება არ დართო, დასაჯა ბაბაქი. ამირას აზრით ბაბაქმა „აბოს საქმეს", საერთოდ „ქართველების საქმეს", თავი ვერ გაართვა, ამიტომ კარებში უნდა მდგარიყო ვანისმცველივით და ეს მთელ სასახლეს უნდა დაენახა.

— სჯულით მუსლიმო! — დაიწყო ალი ჰასანმა ხმამაღლა და მკაფიოდ, რათა მისი ნაუბარი კართან შეკრებილ სასახლის მსახურთ გაეგონათ — შენ აშოტ და ნერსე ერისთავების შეთქმულების ერთ-ერთი მონაწილე ხარ. ნერსე ერისთავს მიეგო საკადრისი სასჯელი. აშოტი კვლავაც განაგრძობს ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლას, კუთვნილი მასაც მიეზღვება, შენ ტომით არაბიელი ხარ და სჯულით მუსლიმი, ვიცი, რომ ქართველებმა შეგაცდინეს, მაგრამ კანონი კანონია, შარიათი შენს საქციელს მიიჩნევს ღალატად და მოკვდინებას ბრძანებს.

— მსაჯულო ამირა, მე ნერსე ერისთავის მსახური ვიყავი მხოლოდ და მხოლოდ... — მიუგო აბომ ჩვეული სიმშვიდით.

— დასტოვე სიცოფე, ყმაწვილო... აშოტ ერისთავი დღესაც აგრძელებს შენთან და შენს მოძღვართან საიდუმლო კავშირს. ჩვენ ეს ვიცით, თავს ტყუილუბრალოდ იკატუნებ.

აბომ თავი ჩაქინდრა. ეს შურტების წამოყენებული ახალი ბრალდება იყო და რა ეპასუხა, არ იცოდა.

— ხალხი და ჯამაათი დიდი ხანია ბეჯითად მოითხოვს შენს მოკვდინებას. მე არ მიყვარს სისხლისღვრა და შფოთი, მე დაგიცავი აქამდე და მომავალშიც დაგიცავ, თუ არ გაჯიუტდები, ყურად იღებ ჩვენს ბრძანებას და დაგვემორჩილები.

— ურჩი არასდროს ვყოფილვარ, დიდო მსაჯულო, ჩემს ღმერთს, ვესავ, სხვა ავი ზრახვა გულში არ მიდევს.

— ყური მიგდე, აბო, აქამდე რაც მოხდა, მოხდა, შენც დაივიწყე და ჩვენც დავივიწყებთ. ყველაფერს გაპატიებთ, ოღონდ ქრისტე უარყავ და სჯულს დაუბრუნდი...

აბო გაჩუმდა. ამირა წამოდგა, თავზე დაადგა ყრმას გულითადობისათვის.

— ქართლის ამირა დახმარებას გთავაზობს, მუსლიმო, ქრისტიანების ნუ შეგეშინდება, როგორც კი ქრისტეს უარყოფ, ბაღდადში გაგა-

ქანებთ, ხალიფას კარზე გამსახურებთ... ეს ხალიფასთან შეთანხმებულია... გესმის, ჭაბუკო, რას გთავაზობთ?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბო კვლავ დუმდა. ამირა ალი ჰასანი კედელს მიეყრდნო ჯალიმ-მხრით და შეგონება განაგრძო:

— ხალიფას ჩირადაც არ ულირს შენი მოკვდინება, გინდა სიკვდილი? საკმაოა ჯალათებს ნიშანი მივცე და თავს უმალ მოგკვეთენ...

აბომ თავი ასწია, ამირას შეხედა და გაულიმა:

— მსაჯულო, ვითარცა კედელსა, რომელსაც მიყრდნობილხარ, ყურთა ჩემთა არ ესმით ცუდნი სიტყვანი შენნი... ჩემი გონება ქრისტესთანა არს, ზეცას.

— ალაჰ, — შესძახა ამირამ და სასახლის ჭერს მიაჩერდა, თითქოს მართლა ალაჰს ელაპარაკებოდა. — მოწმე ხომ ხარ, რომ ყმაწვილი თვით ისწრაფვის სიკვდილისაკენ!.. გესმით, დარბაზის ერნო! — ამირა კართან შეკრებილ ჯამაათის წევრებს და მსახურთ მიუბრუნდა, — ყმაწვილი სიკვდილს არჩევს ჩვენთან ყოფნას...

— აგვევსო მოთმინების ფიალა! — შესძახა ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქმა და ხმალი იძრო. — ნუთუ მუსლიმებს სისხლი წყლად გვექცა! არაბთა დიდებას უჯიშო მედილეგის შვილმა ლაფი უნდა დაასხას?

მოედანზე! დაუყოვნებლივ მოედანზე!..

— სიკვდილი გამყიდველს! — დაიძახა ხალხში ვიღაცამ. აბომ კართან მოჯარული ხალხისკენ გააპარა მზერა. ამათი უფრო შეეშინდა, ვიდრე ამირასი.

— სიკვდილი არაბთა შემარცხვენელს!..

— სიკვდილი, მოღალატეს!..

ისინი შურტები იყვნენ, ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქის კაცები, ამირას ამიდები, მდივან-გამგებლები, მუჰთასიბები, სასახლის მსახურნი, ვანისმცველები, ჯალათები... შუბებს სწევდნენ მაღლა და დამფრთხალ აბოს თვალებს უბრიალებდნენ. ხალხში აბომ ერისმთავარსა და მიქაელს მოჰკრა თვალი. ერისმთავარი პირველ რიგში იდგა ბაბაქისა და ვაზირის გვერდით, მიქაელი ხან გამოჩნდებოდა და ხან არა. როცა სასახლის მსახურებმა ყვირილი ატეხეს, ერისმთავარიცა და მიქაელიც კარს უკან გაუჩინარდნენ.

ამირამ ხელი ასწია და სიჩუმე ბრძანა, კართან აყაყანებული ხალხი უმალ დაწყნარდა.

— მაინც რისთვის იწამე სხვათა ღმერთი, ჩვენს ენაზე ვერ ამიხსნი?.. — მრისხანებას შეეპყრო ამირა, — ეგებ თავის მოკვეთა ჩამოხრჩობით შეგიცვალო?..

— არ აიხსნება, დიდო მსაჯულო, სიტყვებით ვერ გამოვთქვამ იმას, რასაც ვგრძნობ... აი, თქვენ ხომ მჩაგვრელი ხართ... ხომ კმაყოფილი ხართ და ბედნიერი, მე ბორკილგაყრილი ვგრძნობ თავს ბედნიერად. მჩაგვრელად ყოფნა არ მინდა და ვერც მჩაგვრელი [illegible] ვიწამებ. მას შემდეგ, რაც ეს გადავწყვიტე, ჩემი თავის ამირად ვიქეცი...

თუ გინდა ჩაწვდე ჩემს გულს, თუ გსურს, დიდო მსაჯულო, ის ნეტარება იგემო, რაც მე ვიგემე, იწამე მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე და ნათელ იღე მის მიმართ.

დარბაზი კვლავ აჩოჩქოლდა. მენელსაცხებლე აბო კი არ ძრწოდა და პატიებას კი არ ითხოვდა, თვითონ ამირას მოუწოდებდა, სჯული დასტოვე და ქრისტეს შეუდექიო — შარიათით ეს უფრო მძიმე დანაშაული იყო, ვიდრე ქრისტეს აღიარება. ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლებოდა.

ამირა დინჯი ნაბიჯებით გაეშურა ტახტისაკენ, დაჯდა ზედ, ახლა მის ყოველ სიტყვას კანონის ძალა ჰქონდა, გადახედა ხელქვეითთ და ბრძანა: — აღსრულდეს!..

აბოს ჯალათები მისცვივდნენ და უმალ გაიყვანეს დარბაზიდან. დერეფანში სიკვდილმისჯილს ხალხი გამოუდგა. აფურთხებდნენ, თავში სცემდნენ, აგინებდნენ და ხელში რაც მოხვდებოდათ, ესროდნენ. ჯალათები იცავდნენ პყრობილს ხალხისაგან. აბომ კარგად იცოდა, ვინც იყვნენ მოკიცხარნი და მაგინებელნი, მათ სახეებს ცნობდა, მოსწონდა კიდეც რომ ჰნერწყვავდნენ და ჰკიცხავდნენ. ასე უფალი მიდიოდა გოლგოთას გზაზე. „ჯვარი ალბათ ბორკილებია“, — გაიფიქრა ამაყად დერეფანში თავდახრით მიმავალმა. თავიდანვე, ქრისტეს ცხოვრებას რომ გაეცნო, მხოლოდ სიკვდილი შემიძლია ქრისტესებურიო, გაიფიქრა. და გოლგოთისაკენ მიმავალ გზას ვინ იცის, ოცნებით რამდენჯერ შეუდგა ჯვრის თრევით. მალე ოცნება სინამდვილედ ექცა: პირველი შეპყრობა და პირველი შეხვედრა სიკვდილთან, მძიმე ავადობა და შიში მეორედ შეპყრობისა, მეორე შეპყრობა, საზარელი ცხრა დღე და ღამე და ბოლოს ჭეშმარიტი გოლგოთას გზაც, ოღონდ ამირას სასახლიდან, თხემისა ადგილისაკენ მიმავალი. ჯერ სასახლის დერეფნებს არ გასცილებია და უკვე გრძნობს ზეამტაცი წუთების მოახლოვებას. მას სცემენ ყვრიმალებში, თავ-პირში, ჯალათები სიკვდილმისჯილს იფარავენ, მოსეულთ ერეკებიან და ტუქსავენ. ისინი მაინც მოიწევენ მისკენ და გაავებულნი სახეში აფურთხებენ... „სამშობლოს მოღალატეს“ ეძახიან. რამ გააბოროტათ, რამ გაახელათ, ნუთუ მართლა მისმა საქციელმა?

ეგებ მართლა სჯერათ რომ აბო გამყიდველია. არა. თვითონ არიან მოსყიდულნი და თავიანთი უზნეობა რომ დაფარონ, ვითომ სამშობლოსთვის ზრუნავენ. აბო ხედავს რომ სიმართლე იმასთან ერთად, ვისაც აფურთხებენ. უფრო მეტიც! — აგერ კედელთან ატუზულან ასთხი არაბები, ისინი არ ლანძღავენ, არც არაფერს ამბობენ, გულის სიღრმეში მხარს უჭერენ მოწამეს. აბო მათ თვალებში კითხულობს ამ მხარდაჭერას, მათ არ შეუძლიათ არაფერი, ერთ სიტყვასაც კი ვერ წაილუღლუღებენ აბოს სასარგებლოდ. შორს ერისმთავარი დგას თავდახრილი, მიქაელიც აქ არის, შორიდან უმზერს შეშინებული თვალებით, ახლოს მოსვლას ვერ ბედავს. არაფერი არ უნდა გამორჩეს, ვერც სასახლეს, ვერც ამ ხალხს ვერასოდეს იხილავს. ვითომც აქ არაფერიაო, თავდახრილი, ბორკილების ჟღარუნით მიჰყვება ჯალათებს, მაგრამ გული სიყვარულით სავსე აქვს და ზიზღით ჯალათებსაც კი ვერ უყურებს. ახსენდება უფლის სიტყვები: „მამაო, მიუტევენ ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“.

ჯალათებმა აბო სასახლიდან გამოიყვანეს. მორწმუნეები წინ შემოხვდნენ და ნაკურთხი წყალი და ზეთი მიართვეს. აბომ წყლით პირი დაიბანა და ხალხს მიმართა:

— ქრისტიანებო, დღევანდელი დღე ჩემთვის ჭეშმარიტი ნათლისღებაა!..

არ აცალეს სიტყვის თქმა. ჯალათები მისცვივდნენ და პირზე ხელი დააფარეს.

— აცალეთ! ათქმევინეთ! — გაისმა ხალხში. მაგრამ ჯალათებმა წრე შეჰკრეს, აბო შუაში მოიქციეს და მორწმუნენი ახლოს არ მიუშვეს. აბო ჯალათებს შეჰპირდა, კრინტს არ დავძრავ, ოღონდ ქრისტიანეთა წესისამებრ ზეთის წაცხების ნება დამრთეთო. ჯალათებმა დართეს ნება და აბომ ზეთი თავზე წაიცხო, თან ჯალათებს გაუბა საუბარი: მე თვით ვიყავ მენელსაცხებლე, კეთილად შემზადებული სურნელოვან საცხებელთა... — ჯალათები გაკვირვებულნი უყურებდნენ სიკვდილმისჯილს, რაღა დროს ნელსაცხებელზე საუბარიაო, აბო განაგრძობდა: — ამიერიდან აღარა ვიცხო განქარვებადი მწირობისა ჩემისა ზეთი, არამედ ვითარცა „ქებასა შინა ქებათასა ბრძენმან სოლომონმა მასწავლა: „სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი“, ქრისტე. შენ აღმავსე სულნელებითა სარწმუნოებისა...

ჯალათებმა „ქრისტე“ გაიგონეს თუ არა, უმალ სტაცეს ხელი და წაათრიეს სიკვდილის მოედნისაკენ.

— მუსულმანებო, სიკვდილი არაბთა შემარცხვენელს! — დაიძახა

ხალხიდან ვიღაცამ. აბოს ხმა ეცნო. ეს კაცი სასახლის დერეფანში გაჰკიოდა, სიკვდილი არაბთა შემარცხვენელსო.

— სიკვდილი მაჰმადის მოღალატეს!.. — შემოესმა მოწამეს.

ხალხს სწრაფად შეეცვალა გუნება-განწყობა. პირველად ეროვნულ გაკრული შებორკილი კაცი რომ დაინახეს, სიბრალულით განიმსჭვალენ მისდამი. შემდეგ ეს სიბრალული თანდათან გაუქარწყლდათ. ქართველ ქრისტიანებსაც კი გულს ეთანაღრებოდათ, რაკი მუსლიმანები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, ყმაწვილი სამშობლოს მოღალატეაო. რად გვინდა სამშობლოს მოღალატე ქრისტიანი, ადამიანი საკუთარ სამშობლოს ღალატობს, სხვისას როგორღა უერთგულებსო, ბუზღუნებდნენ.

რაც მთავარია, ხალხი დაიტანჯა ლოდინით, ჩამოწყდა ფეხზე დგომით, მცხეთიდან და ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსულნი, ღამენათევნი, შეცივებულნი, გამწარებულნი მზად იყვნენ, ვინც არ უნდა ყოფილიყო სიკვდილმისჯილი თვითონ დაესაჯათ და ბოლო მოეღოთ წამებისათვის.

დამსჯელი ლაშქრის გამოჩენამ ხომ სულ მთლად ააავსო მოთმინების ფიალა. როგორც კი ერთმა ორმა მოსყიდულმა მუსლიმმა დაიძახა: სიკვდილი მოღალატესო, ხალხიც უმალ აჰყვა მას და დასასჯელს ლანძღვა-გინებითა და მუშტების ქნევით მიჰყვა უკან.

აბომ ხალხში იოანეს მოჰკრა თვალი. იოანე თვალებანთებული შესცქეროდა მოწამეს. აბომ მისკენ მიღრიჯა თავი და მთელი ხმით იყვირა:

— ლოცვასა მომიხსენეთ, მოძღვარო!..

იოანეს ცრემლი წასკდა და უნებლიეთ ცრემლის წმენდით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მისკენ.

შურტებმა ხელი სტაცეს მოძღვარს და შეაკავეს. იოანეს გვერდით შავით მოსილი ანო იდგა და მდუმარე ცრემლით ტიროდა. აბო გულით ჩვდებოდა, ცხარედ მოტირალი ანო უნდა ყოფილიყო.

— ნუ სტირით, არამედ გიხაროდეთ! — კვლავ გაისმა აბოს განწირული ხმა, — ჩემს უფალთან მივალ, ლოცვით წარმგზავნეთ!..

იოანემაც, კათალიკოსმაც და ანომაც აბოს ხმა რომ გაიგონეს, პირჯვარი გადაისახეს და უფალს ყმაწვილის თავი შეავედრეს.

გაავებული ბრბო და სარკინოზნი თანდათან მძლავრობდნენ, ჭეშმარიტ ქრისტიან მორწმუნეთ აბოსთან ახლოს არ უშვებდნენ, გზას უღობავდნენ, ერეკებოდნენ. პყრობილს მუშტების ქნევით, გინებითა და ყიჟინით მისდევდნენ, აშინებდნენ, ჩაქოლვით ემუქრებოდნენ.

აბო უშიშრად, ვითარცა ხორცშემოძარცვული, თავაწეული მიაბი-

ჯებდა სიკვდილის გზაზე, ხვირთით მცემელთ, მნერწყვავთა და მოყვინეთ არად თვლიდა, ავად მოზიმზიმედ ჭიაღუად რაცხდა, შორს იყურებოდა: საკუთარ აღსასრულს უმზერდა აქედან, საკუთარ გვამს ეფერებოდა, თითქოს საკუთარ ცხედარს მიაცილებდა გულხელდაკრეფილი, ძუხარე მიჰყვებოდა სამგლოვიარო მსვლელობას და ასმეთვრამეტე ფსალმუნს გალობდა: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან რჯულსა უფლისასა“...

თხემისა ადგილი ანუ სიკვდილის მოედანი, სასახლის წინ, ორმეოც მოწამეთა მიტოვებული მონასტრის ეზოში გაემართათ.

რაკი სამონაზვნო ამირას სასახლესთან ახლოს იდგა, შურტები შეეჩინათ ბერებისათვის, ბერებსაც მუდამდღე რბევა-წიოკობისათვის ველარ გაეძლოთ და გადაკარგულიყვნენ.

მონასტერი იდგა თხემზე. თავის მოკვეთას ყოველმხრიდან დაინახავდა მოჯარული ხალხი.

მთელ საქრისტიანოს იგდებდნენ აბუჩად, წმიდა საყოფელი მონაზონთა თხემისა ადგილად ექციათ. აქ ედგათ კაცპელატი, თავსაც აქ ჰკვეთდნენ დამნაშავეთ და სახრჩობელებიც აქ გაემართათ.

ხალხი მონასტრის ეზოს მიაწყდა, ცხენოსანი შურტები მოვარდნენ ტაჯგანაგების ცემით და ხალხი მიჰყარ-მოჰყარეს. ჯალათებს სარბიელი გაუთავისუფლეს.

თურმე მონასტერში რამდენიმე მორწმუნე წინასწარ შემალულიყო. როცა აბო ჯალათებმა ეზოში შემოიყვანეს, უმალ გამოვიდნენ მონასტრიდან უშიშრად და მოწამეს ეკლესიიდან წამოღებული წმინდა იგი საიდუმლო ხორცი და სისხლი ქრისტესი მოართვეს. ჯალათები ამას არ მოელოდნენ, დაიბნენ, აირივნენ. ვიდრე გაარკვევდნენ, რა ეღონათ, მოწამე ეზიარა, და „მადლობთ შენ უფალო“ — ღმერთს შეჰღაღადა.

ჯალათებმა აბოს ბორკილები შეხსნეს. პყრობილმა თავისუფალი ხელები ლაღად გაშალა, თითქოს თავისუფლებას გაეთამაშაო, პირმომცინარმა გარს შემოჯარულ ხალხს გადახედა, თვით შემოიძარცვა სამოსი, გაშიშვლებულმა პირჯვარი გადაიწერა, შემდეგ ხელები ჯვარის სახედ უკუნისხნა და მახვილს ქედი მოუდრიკა, ვითარცა რკალი.

ჯალათმა მახვილი სცა.

მოწამე ნელა ჩაიკეცა, სისხლი თქრიალით გადმოსდინდა ფერდიდან, მახვილოსანმა ფერდში სცა მახვილი. ძირს დამხობილი მომაკვდავი მეორე და მესამე დაკვრას ელოდებოდა, მაგრამ მახვილოსანი ჯალათი გვერდით მიდგა რატომღაც. ასეთი იყო ბრძანება. სიკვდილის

შიშით ერთხელაც უნდა დაეთრგუნათ სიკვდილმისჯილი და თავი მერე მოეკვეთათ.

სისხლით შეიღება წმინდა გვამი. ის ადგილი, სადაც იწვა, ჯერ ყაყაჩოსფრად შეიფერა, შემდეგ სისხლის გუბე დადგა და გამუქდა. აბომ ნელა ასწია თავი და ჯალათებს მოხედა, რას ელოდებითო...

ჯალათები თავდახრილნი იდგნენ და თავიანთი უფროსის ბრძანებას ელოდნენ.

აბომ უკანასკნელად აიღო თავი და ჩურჩულით წარმოთქვა:

— გმადლობ და გაკურთხებ შენ, სამებაო წმინდაო, რადგან ღირს მყავ მიმთხუევად ღუაწლსა წმიდათა მოწამეთა!

ჯალათთა უფროსმა საყველპურო ქართული იცოდა, სიკვდილმისჯილი კი წიგნის ენაზე მეტყველებდა. წმინდა წიგნთა ენის გაგება მუსლიმებს უჭირდათ. ჯალათთა უფროსი ხვდებოდა, რომ აბო მათდა სასიკეთოდ არაფურს იტყოდა. „სამებაო წმიდაოს“ და „მიმთხუევად ღუაწლსას“ ახსნა მოითხოვა. აუხსნეს. ჯალათთა უფროსმა თავი გადააქნია.

— კუზიანს სამარე გაასწორებს... — ჩაილაპარაკა არაბულად და ქართულად ბრძანა:

— მოჰკვეთეთ თავი!..

ეს ქართულიც მომაკვდავის გასაგონად იყო თქმული. ჯალათებს ორი მეხრმლე მხედრული ნაბიჯით გამოეყო. ამოწვდილი ხმლებით თავზე დაადგნენ სისხლში მცურავს. შეყოვნდნენ რამდენიმე წამით. ხალხმა უკან-უკან იწყო დახევა. ვეღარ გაუძლეს წამების ყურებას. ჯერ ერთმა მეხრმლემ დაჰკრა, შემდეგ მეორემ და თვით ჯალათებმაც კი შვებით ამოისუნთქეს, სიმწრის ოფლი მოიწურეს შუბლიდან, რაკი განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

ხალხმა ნელ-ნელა იწყო დაშლა, დამსჯელმა ლაშქარმა გზები გახსნა. მორწმუნეთა მცირე ჯგუფი დაშლას არ აპირებდა, ორმეოცთა მოწამეთა საყდარში შემალულიყვნენ და გვამს იქიდან დარაჯობდნენ. შურტებს ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ. ბერი იოანეცა და სამოელ კათალიკოსიც თავიანთი მცველებით არ სტოვებდნენ სიკვდილის ეზოს. შურტებმა არ იცოდნენ, რა ეღონათ, ძალა ეხმარათ თუ არა. საკითხავად ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქთან გაემართნენ, ბაბაქიც საგონებელში ჩავარდა, რა მოემოქმედათ მორწმუნეთა წინააღმდეგ? — ალი ჰასანთან შევიდა და მოახსენა:

— ბრძანება აღსრულებულია, დიდო მსაჯულო, მოღალატე მუსულმანი განეშორა წუთისოფელს. კეთილად დამთავრდა ავი საქმე, ოღონდ

მორწმუნენი გვამს არ შორდებიან, ორმეოცთა მარტვილთა საყდარში შემალულან, ჯალათების წასვლას ელოდებიან. სიკვდილის ეზოდან ვერ გამოვაძევეთ სამოელ ქართლის კათალიკოსიც და მისი [illegible] ერიც. მორწმუნეთ ესენი აქეზებენ, ბრძანეთ და შევიპყრობთ!..

— რას აშავებენ მორწმუნენი? — იკითხა ალი ჰასანმა.

— არაფერს. — შედრკა ბაბაქი, — დგანან ერთ ადგილას...

— რას ელოდებიან?..

— დიახ, ამის თქმას ვაპირებდი, — გამომკვირცხლდა მყისვე, — ქრისტიანებს წესად აქვთ: ვინც ქრისტესთვის ეწამება, მის გვამს იპარავენ და პატივისცემით ჩაფლავენ მიწაში, სამოსს, თმას ურთიერთშორისს განიყოფენ და თაყვანსა სცემენ. წმინდა ნაწილებად შერაცხავენ... სასწაულებს მიაწერენ, ვითომ ავადმყოფებს კურნავენ, — ხალხს ატყუებენ. აი, რას ელოდებიან. იოანე ბერი და სამოელ კათალიკოსი ჩვენ მკვდარსაც კი ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენებენ. განა შეიძლება ამას მშვიდად ვუყუროთ?

— კათალიკოსის შეპყრობა ადვილი არ გახლავთ, ბაბაქო!

— მაშინ ნება დაგვრთეთ, გვამი ქალაქგარეთ გავიტანოთ და ცეცხლში დავწვათ, საცთური ქრისტიანეთა ფერფლად ვაქციოთ და ქარს გავატანოთ.

ამირა ალი ჰასანი ჩაფიქრდა. მოეწონა ბაბაქის წინადადება.

— დაწვით ცეცხლში! — მოჭრა მოკლედ.

ბაბაქი ფრთაშესხმული გამოვიდა ამირას დარბაზიდან, ძლივს არ გამონახა საერთო ენა ახალ ამირასთან?! სასწრაფოდ იხმო შურტები, ჯალათები და აბოს გვამის საგოდებელში წაღება და დაწვა ბრძანა.

სიკვდილის ეზოში შეკრებილ მორწმუნეებს არაფერი გაუგიათ თუ რას უმზადებდნენ აბოს გვამს სარკინოზები. მხოლოდ მაშინღა მიუხვდნენ ავ განზრახვას, როცა გუალაგი * მოიტანეს, აიღეს პატიოსანი გვამი და შიგ ჩადეს, სამოსელიც მოკრიფეს ნაგლეჯ-ნაგლეჯ, დანთხეული სისხლიც აფხიკეს მიწიდან, ჭურჭელში ჩაყარეს. ქრისტიანებს კვალიც კი არ დაუტოვეს წმიდანისა. თავმოკრული გუალაგი ურემზე დადეს და საგოდებლისკენ გზას გაუდგნენ.

ტფილისელებს ქალაქთან ახლოს გაემართათ საგოდებელი, აქ ეგულებოდათ წინაპართა საფლავები, თავიანთ ცხედარსაც აქ ჰფლავდნენ, შავით მოსილი დედანი თავიანთ მწუხარებას აქ ჰგოდებდნენ.

გუალაგიანი ურემი დაიძრა თუ არა, მორწმუნენი უკან მიჰყვნენ.

---

* დიდი ტომარა.

ჯალათებმა და ცხენოსანმა შურტებმა მუქარითა და ყვირილით აიძულეს ისინი ურემს შორი-შორ გამოჰყოლოდნენ.

სამოელ კათალიკოსი და იოანე ბერი წინ მოუძღოდნენ. [illegible] მიქაელიც აქ იყო. არ უნდოდა წამოსვლა, ერისმთავარმა [illegible] ვაითუ ეწყინოსო, წუხდა, მაგრამ რა ექნა, მამამისს საფრთხე ემუქრებოდა. სახალხოდ ახლოს მისვლას და ჭკუის სწავლებას ვერ გაუბედავდა, უკან მისდევდა და, თუ შეიპყრობდნენ, ამბავს მაინც მიუტანდა ერისმთავარს.

საგოდებელს რომ მიუახლოვდნენ, ცხენოსანი შურტები ხალხს წინ გადაუდგნენ, შეჩერება უბრძანეს. აბოს გვამი გადმოიღეს ურმიდან, მტკვრის პირას კბოდეზე დადეს. აქ, ახლოს იყო ქალაქის სადილეგოც, სადაც აბო ცხრა დღე და ღამე ეწამა. მოიტანეს შეშა, თივა და ნავთი, დაასხეს წმინდა გუამზე და კოცონი დააგზნეს. კოცონის დიდი წითელი ენა სწრაფად აიჭრა მაღლა.

გაისმა ოხვრა და ვაება. ხალხმა ცეცხლისაკენ ნაბიჯის გადადგმა სცადა, ახლოს მისვლა და თაყვანისცემა ისურვა. ცხენოსანი შურტები, ხმალამოღებულნი დარაჯობდნენ ჯალათთა საქმიანობას. ფეხი წინ არავის გადაადგმევინეს, მორწმუნენი შორიდან შესცქეროდნენ, როგორ ერთვოდა სივრცეებს წმინდანის გვამიდან ამდგარი კვამლი.

ნელ-ნელა ცეცხლის ალი ჩაქრა, ხელახლა დაასხეს ნავთი ჯალათებმა და ცეცხლის ალი ისევ აიჭრა ზეცაში.

საღამომდე გრძელდებოდა ცეცხლით წამება, როცა სულ მთლად ჩაინავლა მეორედ დაგზნებული კოცონი, ჯალათებმა ღველფი რკინის ჯოხებით გაჩხრიკეს, ძვლები ამოკრიფეს, ცხვრის ტყავში გაახვიეს, შეკრეს მტკიცედ, ხიდზე გადადგნენ, სადაც პატიოსანი ჯვარი იყო აღმართული, იქ მტკვარი ღრმა იყო და მდორედ დიოდა, მოწამის ძვლებს მტკვარში გადაუძახეს და ხელების ფერთხვით შეერივნენ ხალხს.

მორწმუნეებმა ქალაქს მოჰფინეს ნეტარი აბოს ცხედრის დაწვის ამბავი, კბოდეზე, იმ ადგილას, სადაც ცეცხლი ენთო, ჯვარი აღმართეს, საკუმეველი აკმიეს და სანთლები აანთეს.

იმავ საღამოს, შემწუხრდა თუ არა, ზეცაში აღმობრწყინდა ვარსკვლავი მოტყინარე და აბოს კბოდეს დაადგა თავზე, მოჩახჩახე ვარსკვლავი თვით არაბებმა შეამჩნიეს პირველად და გაკვირვებულები გამოეფინენ ქუჩებში, რა ამბავიაო.

მალე მთელი ტფილისი დაიძრა მტკვრის პირისაკენ პირჯვრის წერით. ამირამ არაბი ვარსკვლავთმრიცხველები იხმო და საკვირველი

ვარსკვლავის ამბავი გამოჰკითხა. არავის არაფრის თქმა შეეძლო, ასევე, თი დიდი ვარსკვლავი თვით ვარსკვლავთმრიცხველებსაც კი არ ეცნობათ.

— უფალმა გარდმოავლინა ვარსკვლავი,—თქვა ერთმა სოფლის კაცმა ხამ და ეს აზრი ელვის უსწრაფესად გავრცელდა ხალხში.

ვარსკვლავმა კვლავ გაახსენა ხალხს ნეტარი აბო. მორწმუნეებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ვარსკვლავი აბოს სულის უკვდავსაყოფად უფალმა გარდმოავლინა, ურწმუნოები და მცირედ მორწმუნენი შიშს შეეპყრო, ვაითუ უფალი გაგვირისხდეს აბოს წამების გამო და ზეციდან ცეცხლი გამოგვიგზავნოსო.

ვარსკვლავი ნაშუადამევს ჩავიდა, მაგრამ მეორე ღამეს კვლავ ამობრწყინდა. ამან კიდევ უფრო აღავსო რწმენით ქრისტიანენი. აბოს კბოდეს უფრო მოწიწებით შეხედეს. წმინდა ადგილად მიიჩნიეს და საკუმეველიც აკმიეს...

მესამე დღეს აბოს კბოდეზე მოხუცებულები ამოვიდნენ, ხეიბრები და საპყარნიც ამოხოხდნენ ტანჯვით და სანთლები აანთეს, დედებმა ავადმყოფი ბავშვები ამოიყვანეს, ცრემლით დაალტვეს ის მიწა, სადაც აბოს გვამი დაწვეს. უფალს ბავშვების ტანის სიმრთელე და სულის სიმტკიცე შეავედრეს.

ი ო ა ნ ე

სამოელ კათალიკოსმა შეძრწუნებულმა დატოვა ტფილისი, მიჩენილი შურტების თანხლებით მცხეთას გაემგზავრა. როცა აბოს სხეულს ცეცხლი დააგზნეს, სამოელმა გაიფიქრა: ამ ყმაწვილის მარტვილობის ამბავი უნდა დაიწეროსო, თვალით იოანეს დაუწყო ძებნა. მეორე ადამიანი, ვინც ამას დაწერდა, არც ეგულებოდა.

იოანე შორიახლოს იდგა, მაგრამ ვერ მივიდა, ვერც იხმო, ვერც ვერაფერი ანიშნა.

მთელი გზა აბოსა და იოანეზე ფიქრობდა. აბო წმიდანად უნდა შეერაცხათ, ერთი დღე ქართულ საყდრებში მის მოსახსენებლად დაედგინათ. მთავარი იყო წიგნის დაწერა, დანარჩენს თვითონ გაუძღვებოდა. როგორ, სად, რა ხერხით შეხვედროდა იოანეს შურტებისაგან მალულად? იქნებ სჯობდა რომელიმე ხუცესის პირით შეეთვალა განაზრახი?.. ან იქნებ მონასტრის კრებული ერთად ეხმო, ვითომ სათათბიროდ, და შემდეგ იოანე დაემარტოხელებინა? ვერ შეძლებდა ამას, შურტები გაუგებდნენ და იოანეს შეიპყრობდნენ, დილეგში ჯდომას ისევ შინპყრობილება სჯობდა.

წერილის მიწერა გადაწყვიტა.

საკათალიკოსოში კარის მსახურმა ავი ამბავი აუწყა: ეპისკოპოსები ერისმთავარს მიუწვევია და საიდუმლო თათბირი ჰქონიათ.

სამოელი შეკრთა, რა თათბირი უნდა ჰქონოდა ეპისკოპოსებს ერისმთავართან? კათალიკოსს რაღად დაუმალეს? თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. უნდოდა მსახურისათვის ეკითხა: როდის გაიმართა თათბირი, რომელი ეპისკოპოსები ესწრებოდნენ. ვინ ამცნო ეს ამბავი... თავი შეიკავა, არაფერი უკითხავს. გამოკითხვა-გამოძიება კიდევ უფრო დაამცირებდა, მეტი სიდინჯე და შორსმჭვრეტელობა მართებდა, დაე მოსახდენი მოხდესო, დაასკვნა და საქმეს შეუდგა. მაგიდას გულდაგულ მიუჯდა, წერილის წერას მიჰყო ხელი.

შუაღამე გადასული იყო. შურტებს ეძინათ. ეძინა საკათალიკოსოსაც. მხოლოდ სამოელი ფხიზლობდა.

„მე სამოელ, ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოსი, უფალს იოვანეს საბანისძეს წმიდა დედა ეკლესიის სულიერ შვილს, საყვარელ მოძღვარს, უფლისა მიერ ლოცვით მოგიკითხავ“... — დინჯად დაიწყო წერა. თავი აიღო და ფიქრს მიეცა.

სამოელი აბოს წამებას, ყმაწვილის სულიერ სიმტკიცეს, მის უსაზღვრო სიყვარულს უფლისადმი მთელი არსებით შეეპყრო, ლამის თვითონ დაეწერა ეს წიგნი.

აბოს სახე დაუდგა თვალწინ. მისი უკანასკნელი სიტყვები ყურში ჩაესმა: „გმადლობ და გაკურთხებ შენ, სამებაო წმინდაო, რადგან ღირს მყავ მიმთხუევად ღუაწლისა წმიდათა მოწამეთა“... „ნეტა იოანეს ყურთასმენას თუ მიწვდა ეს სიტყვები... — გაიფიქრა სამოელმა, — იოანე შორს იდგა...“

„მშვიდობა იყოს შენზედა, — განაგრძო წერილის წერა, — და ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა“. სადღა იყო ჯვრის მონასტრის სახლის კრებული. მას შემდეგ, რაც მამა ონოფრე სასახლის წინ კატასავით ჩამოახრჩვეს, კრებული დაიშალა, შურტების მიერ შეშინებული ბერები სადილეგოდან აღარ მობრუნებულან, უდაბნოს მიაშურეს და იქ დაემკვიდრნენ.

ახლა იოანესთან ხუთად ხუთი ძმა ცხოვრობდა. იოანეს აფხაზეთში ყოფნის დროს ალიკვეცნენ ბერებად. იოანე ამტკიცებდა, ორი მათგანი ბაბაქის დავალებას ასრულებსო. სამოელმა ამის გამო თავის დროზე იოანე გაიცხა, მაგრამ ახლა თანდათან რწმუნდებოდა ამაში. თვითონაც შეეპყრო ეჭვს.

ეჭვიანობა მანკიერებაა სულისა. თავისთავს ჰკიცხავდა და იოანე-

საც. ბეჭითად დაწერა: „ყოველთა სახლისა შენისა კრებულთა ქრისტეს მიერ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაბმული ხუცურით წერდა. თუ შურტას ჩაუვარდებოდა ხელში, მაინც ვერაფერს ამოიკითხავდა.

„ჩვენ ვუწყით შენი ღმრთივ-მომადლებული მეცნიერება საღმრთოთა წიგნთა, შენ მოვლენილი ხარ კეთილთა საქმეთა მოღუაწებისათვის. შენზე უკეთ ჩვენს ღვთისმსახურთ არავის ძალუძს დაწეროს წმინდა წიგნი ახალ მოწამეზე — წმიდა აბოზე. შენ ყველაზე უკეთ იცნობდი ნეტარ ყმაწვილს, ვინც დღეთა ამათ ჩუენთა იმარტვილა მეოხად ქრისტეს მიმართ, ყოვლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისათვის. მნებავს, დაიწეროს სანატრელისა ამისცა მარტვილობა, ვითარცა პირველ მოწამეთა და დაიდვას იგიცა წმიდასა დედა ეკლესიასა შინა მოსახსენებლად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩუენსა.

დღეხი ჩვენნი შინპყრობილობაში დიან, არც ის ვუწყით, ხვალ რა მოგველის. სწორედ ახლა უნდა დაიწეროს წიგნი ესე, რათა არ ჩაქრეს უცხოტომელი ჭაბუკის მიერ დაგზნებული ცეცხლი.

ხსართან მღვდლის ხელით გიგზავნი ამ წერილს, მიიღე ჩემი ლოცვა და ჯვარის დაწერა შეწევნითა ღმრთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისა და წმიდათა მოციქულთა და მოწამეთა.

აღწერე მარტვილობა წმიდისა მოწამისა ჰაბოისი და აღწერილი ჩუენ მოგვიძღვენ, რათა უმეტესად ლოცვა ვყოთ შენთვის. მადლი უფლისა იყავნ შენ ზედა, ამენ!“

თავიდან გადაიკითხა ნაწერი. თუ ბოლოს და ბოლოს ხელში ჩაუვარდებოდათ შურტებს და რომელიმე იუდა მონაზონს წააკითხებდნენ, ისეთი არაფერი ეწერა, სამოელს თავი ვერ დაეცვა. სხვა ტომის, სხვა სარწმუნოების ადამიანმა თავი დასდო, სისხლი დასთხია ქრისტეანთა მწყემსისთვის, მღვდელმთავარს ევალებოდა თვით აღეწერა ეს იშვიათი მარტვილობა ან ეპოვა აღმწერელი და მისთვის შეეკვეთა. ამაში მას ბრალს ვერ დასდებდნენ. თუ მაინცდამაინც ამ მიზეზით შეიპყრობდნენ, ამისთვის მზად იყო.

საკათალიკოსოდან გამოვიდა. ფეხაკრეფით წავიდა სენაკებისაკენ, ხსართან ხუცესი გააღვიძა.

— ხუცესო, ეს უსტარი იოანეს უნდა გადასცე... — უჩურჩულა კარებშივე.

— ახლავე, უწმინდესო...—სიბნელეში ააფათურა ხელები ხუცესმა. კათალიკოსმა იოანე როგორც კი ახსენა, ხსართანი მიხვდა, რომ საძნელო საქმეს ავალებდა, გაუხარდა, ეამაყებოდა ასეთი დავალება.

— გათენებამდე უნდა მოასწრო... თბილად ჩაიცვი, გარეთ ქარიანია...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— უკვე მზად ვარ, უწმინდესო!..

ხსართან ხუცესმა გრაგნილი უბეში ჩაიდო და სიბნელეს მისცა თავი. სამოელი საკათალიკოსოში შებრუნდა. ხსართან ხუცესი ეჭვმიტანილი კაცი იყო, შურტები უთვალთვალებდნენ. სჯობდა სხვა გაეგზავნა, მაგრამ სხვა არ იყო ისეთი ერთგული, როგორიც ხსართან ხუცესი. სამოელს ერთგულების იმედი ჰქონდა. ერთგულება საიდუმლოსაც უკეთ ინახავს, უფრო გამბედავიც არის და თავგანწირულიც, როცა საქმე ეხება სამშობლოს, ერთგულება უმალ მოსახმობია, მხოლოდ ერთგულთ შეუძლიათ სამშობლოსთვის თავდადება. ერთგულება ზნეკეთილი ადამიანის თვისებაა — ფიქრობდა სამოელი და დასაწოლად ემზადებოდა. ხუცესს შურტებთან ბრძოლის დიდი გამოცდილებაც გააჩნდა. მართალია, ბუნებით არ იყო მებრძოლი და გულადი კაცი, ღამე სიარულისაც კი ეშინოდა, მაგრამ რაკი კათალიკოსი ავალებდა, მოკვდებოდა და შეასრულებდა.

მართლაც, ხსართან ხუცესი უკუნი ღამით, ყინვასა და თოშში ჯვრის მონასტერს ცისკრამდე მიადგა. მონასტერში უდროო დროს ჩიტი ვერ შეფრინდებოდა, კარები ბერებს საიდუმლოდ ჰქონდათ დაგმანული, მაგრამ ხუცესმა ხერხიც იცოდა. სხვა დროსაც სწვეოდა ამგვარი საიდუმლო დავალებით იოანეს. მონასტრის გალავანს იქ მიადგა, სადაც იოანეს სენაკი ეგულებოდა. ხმადაბლა დაუძახა. იოანე თითქოს ელოდაო ხუცესს, ფლარტუნ-ფლარტუნით მოადგა კარს და გაუღო. ხსართან ხუცესმა გრაგნილი გადასცა და უმალ გაუჩინარდა სიბნელეში. მართალია, ძალზე ფრთხილად, ფეხაკრეფით მოადგა მონასტერს, თითქოს ხმადაბლაც დაუძახა დანიშნული ადგილიდან, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. უცებ გატრიალდა და წავიდა. იოანესთვის ყველაფერი გასაგები იყო. წერილის შინაარსსაც კი გულით კითხულობდა წინასწარ. შურტას სენაკისაკენ გაიხედა, ხომ არ გაიღვიძაო. ცივი ქარი გრუხუნ-გრიალით გადარბოდა სახურავებზე. ბერების სენაკებსაც დააყურა. ჩამიჩუმი არსაიდან არ ისმოდა. ხსართან ხუცესის მოსვლა ქარის ხმაურში არ გაუგიათ, გაუხარდა იოანეს და თავის სენაკში შეიმალა, სანთელი აანთო, კითხვას შეუდგა. სულმოუთქმელად ჩაიკითხა. კათალიკოსის უსტარმა ფრთა შეასხა და საპასუხო წერილის წერად დაჯდა ფიცხლად.

„მამა უფალს ჩემსას, მწყემსს ქართული ეკლესიის, — თანდათან გაკრულ ხელზე გადავიდა, გააბუნდოვნა ნაწერი,—მარადის—საწადელი

და თაყვანის-საცემელი ბრძანება უფლისა ჩემისა მივიღე სიწმიდეს-მოყვარე ხსართან მღვდლის ხელით.

მადლს ვწირავ ყოვლად ძლიერს, ქველის-მოქმედს ღმერთს — იესო ქრისტეს, რომელმაც არ დამივიწყა და ღირსი ყოფა ამ-თხვევად წმიდათა ლოცვათა თქვენთა. უფრო მისთვის ვაქებ და ვა-კურთხებ ღვთის მოწყალებას, რომ მან დანერგა თქვენს გულში ბრძა-ნება, რომელი სარგებელი და ნაყოფ სულისა და სიქადული და სიხა-რული ხორცთა მექმნების საუკუნოდა და არგებს სოფელსაც ამას. მძიმე არს ჩემდა ორკერძოვე: უკეთუ ურჩ ვექმნე ბრძანებასა თქვენსა, წერილ არს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო“ და თუ ვის-წრაფი მორჩილებად, ვაითუ ვერ შევქმნა ღირსი წიგნი მოწამისა ამის საუკუნოდ მოსახსენებლად. ამისათვის შიშმან და ზრუნვამ შემიპყრა მე და შეაშფოთა გონება ჩემი. მაგრამ ბოლოს მაინც უმჯობესად შევრაცხე მორჩილყოფა ბრძანებისა უფლისა ჩემისა. თქვენმა ლოცვამ და ჯვარის წერამ გამაძლიერა ულირსი. შთამაგონა ბრძენთა ბრძენი სოლომონის მიერ თქმულმა, „ჰბაძევდ ჯინჭველასა, მედგარო, და იქ-მენ მუშაკ მსგავს მისა“, ვითარცა ჯინჭველა მასზე დიდ მარცვალს იფქლისას შეებას გულმოდგინედ და წაიღოს საზრდელად თვისა. ეგრეთვე მეცა გულმოდგინე ვექმნე ბრძანებასა თქვენსა, აღვწერო ულირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებული მარტვილობაი ჭეშმა-რიტი და უტყუელი წმიდისა მოწამისა ჰაბოისი“. ერთი ამოსუნთქვით დაწერა. თავიდან ჩაიკითხა ყურადღებით. იმაზე ფიქრობდა, ვისი ხე-ლით გაეგზავნა წერილი. ხსართან მღვდელი არ უნდა გამეშვაო, წუხ-და. არ ეგონა, თუ ასე უცებ დაწერდა პასუხს. სამოელს გაახარებდა თავისი თანხმობით. მიქაელს უნდა დალოდებოდა, სხვას ვერავის ენდობოდა. მიქაელი მოაკითხავდა, დღეს თუ არა, ხვალ ამოვიდოდა მამის სანახავად.

ცისკარი სარკმელს მოდგომოდა. წერასა და ფიქრში გათენებუ-ლიყო.

ცისკრისა ილოცა.

იოანე არღვევდა მონასტრის ტიპიკონს. მარტოკა ცხოვრობდა სე-ნაკში და საღმრთო წიგნებს თარგმნიდა. ძმებთან სატრაპეზოდაც კი არ გადიოდა. თუ მზიანი დღე გამოვიდოდა, ხვასტაგი გამოჰყავდა სა-ძოვარზე.

იოანეს მიაჩნდა, რომ მონასტერში ღვთისმსახურობა არ აღმდგარა. წინამძღვარიც კი არ ჰყავდათ სჯულიერი.

ახალმა ამირამ, როცა ჯვრის მონასტრიდან ცხენები გამოდენა,

ბერები საპყრობილედან გამოუშვა, მონასტერში მარტოდმარტო იოანე დაბრუნდა. გაძარცულ საყდარში სენაკებსა და საოსტიგნეში შეშლილივით დარბოდა და კუთხე-კუთხე დაეძებდა ხატებს, ოქროსფერ ჭურჭლებს, ბარძიმ-ფეშხუმებს, სასანთლეებს და წმინდა წიგნებს.

ჯერ ერისმთავარს შესჩივლა თავისი გასაჭირი, შემდეგ ამირასთანაც კი შევიდა და შურტებს სათითაოდ მოატანინა ვერცხლის კოვზები, რვალის საცეცხლურები, ვერცხლის ბარძიმი, მარგალიტითა და მინანქრით მოჭედილი წიგნები.

მღვდელ-მონაზონთა პირადი ქონება ხომ სულ მთლად გაენიავებინათ, არც ერთი სული ხვასტაგი იქ არ დახვედრია, საოსტიგნედან მთელი წლის მარაგი წაუღიათ, ერთი მუჭა იფქლი არსად იპოვებოდა, მოლაშქრეებს ჭამა-სმა ხომ უნდოდათო, აუხსნეს საამიროში, ახალჩამოსული მოლაშქრენი მოსახლეთა შორის უნდა გაგვენაწილებინა, რაკი მონასტრის სურსათ-სანოვაგეს პატრონი არ ჰყავდა, მშიერმა მოლაშქრეებმა უპატრონესო, ამაში მათ ბრალს ვერ დავდებთო. რა ექნა? რახან ვერცხლის ბარძიმი და მარგალიტითა და მინანქრით მოჭედილი სახარება დაუბრუნეს, ხვასტაგისა, სურსათ-სანოვაგის, სამოსის დაკარგვა უნდა დაეთმინა.

მონასტერს თუ რამ ოქროსი ებადა, ისე გაექროთ, იოანემ კვალსაც ვერ მიაგნო. ჩანდა, რომ შურტებს გარდა ოქროსი, თვალ-მარგალიტი არად მიაჩნდათ, ოქროზე ნადირობდნენ.

ბოლოს იოანეს ორი ცხვარიც მისცეს, თქვენი ხვასტაგიდან ეს გადარჩენილაო და გამოისტუმრეს.

მაინც ვერ ისვენებდა ბერიკაცი. დღე მუდამ დაეძებდა მონასტრის ქონებას, ხან ოქროს დიდი ჯვრის (ჯვარცმის გამოსახულობით) კვალს მიაგნებდა და ძირისძირამდე ჩასდევდა. ხან ოქროს სანაწილეზე ეტყოდა ვინმე რამეს და ერისმთავართან გარბოდა, ამა და ამ მოლაშქრეს ჩვენი წმიდა ჭურჭელი ბაზარში გაუყიდიაო.

ერისმთავარი იბარებდა მოლაშქრეს, იბარებდა მათ უფროსს, მაგრამ ჭორი აღმოჩნდებოდა, ან ისეთ სურათს დაუხატავდნენ ერისმთავარს, მოლაშქრე მამა აბრამის ბატკანზე უცოდველი მოეჩვენებოდა.

ასეთი ტანჯვა-წვალებით, წელებზე ფეხების გამობმითა და დღე და ღამე მეცადინეობით იოანემ მარტოკამ გააღო მონასტრის კარები, მარტოკამ შეძლო სამონასტრო ცხოვრების დაწყება. ერთი ახალი ძმაც ამოვიდა და დაეყუდა მასთან ერთად და სწორედ ამ დროს ეს შინპყრობილობა გამოიგონეს ამირას კაცებმა. ერთი ნამდვილი შურტა მიუჩინეს და ერთიც ბერის სამოსელში გახვეული მაბეზღარი დაადგი-

ნეს მონაზვნად. უფრო მეტიც, წინამძღვრადაც იუდაყოფილი მოიყვანეს — ერობაში კარიჭ კარიჭისძე ყოფილიყო, აქ მამა შიოს ეძახდნენ. იოანეს უთხრეს, წილკნელმა ეპისკოპოსმა მამა ეპიფანემ [illegible] იოანე ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა წილკნელს, [illegible] თადმი მისი გადამეტებული ერთგულება არ მოსწონდა, კარიჭ კარიჭისძის წინამძღვრად კურთხევამ საბოლოოდ გაუტეხა გული მონაზონს. რაკი ურჯულოებმა მღვდელმთავარი გადააყენეს, ეპისკოპოსებს უნდა ეყოჩაღათ, ქართული სულის საბრძანებელი არ უნდა შეებილწათ. წილკნელის პირველი ნაბიჯი აღმაშფოთებელი იყო. ქართლში ყველა ქრისტიანმა იცოდა, რომ კარიჭ კარიჭისძემ ქრისტე უარყო და მაჰმადს შეუდგა. სწორედ აბოს შეპყრობის პირველსავე დღეებში გამოიყვანეს სახალხოდ კარიჭ კარიჭისძე და ათქმევინეს, რომ ქრისტე ცრუ ღმერთია, რომ ქართველი ერი ბნელში ზის და ჭეშმარიტ ნათელს ვერ ხედავს. კარიჭ კარიჭისძემ ყველა ქართველს მოუწოდა მისთვის მიებაძათ.

დღეს თუ ხვალ მთელი ქვეყანა მუსლიმის იქნებაო, უმტკიცებდა კარიჭ კარიჭისძე ხალხს, ყოველი ერი დედამიწის ზურგზე მსუფევი ხვალ ერთ ენაზე — არაბულზე იმეტყველებს, დედამიწას ერთი მბრძანებელი ეყოლება — ხალიფა, ქართველი კაცი ვალდებულია ალღო აუღოს ცხოვრებას და მუსლიმი გახდესო.

იოანეს არ სჯეროდა კარიჭ კარიჭისძის ხელახლა მოქცევა, სარკინოზებმა შემოგვიგზავნეს, რათა ეკლესია შიგნიდან დაამხონ, სულის უკანასკნელი თავშესაფარიც მოგვისპონო, ფიქრობდა, მაგრამ ამ ფიქრს ვერავის უმხელდა. მხოლოდღა ის შეძლო, მარტო ყოფნა გამოაცხადა, „ძმებს“ ხმასაც კი არ სცემდა. წინამძღვრისთვის აღსარება ხომ უნდა მიეცა, არა, არ გამოდიოდა თავის სენაკიდან. მონასტერში ასეთი განმარტოება ბერს ეკრძალებოდა, წესდებით იოანეს განკუეთა ეკუთვნოდა, მაგრამ ამას ჯერ ვერავინ გაბედავდა. კარიჭ კარიჭისძე, ახლა უკვე მამა შიო კმაყოფილიც კი იყო მამა იოანეს საქციელით. იოანეს ჩუმად ყოფნა მამა შიოს მოსწონდა, ეშინოდა მისი, საჯაროდ მამხელსო, ფიქრობდა და მასთან შეხვედრას თავს არიდებდა. რახან იოანე დღე და ღამე წერდა, ხელს არ უშლიდა, ძმებს აფრთხილებდა: იოანეს თავი გაანებეთ, როგორც სურს, ისე იცხოვროსო.

იოანემ ფიჩხი მოზიდა. მამა შიოც ამდგარიყო, მონასტრის კართან ქრისტესმიერ ძმას ამწყალობებდა. იოანე თავის წინამძღვარს მიესალმა და სენაკში შეიმალა, ცეცხლი დააგზნო და გათოშილი ხელები მიუფიცხა.

„რისთვის ველოდო მიქაელს... — უცებ აიყალყა აზრი, — მე ხომ უტყუველი წიგნი უნდა დავწერო? „მე, სამოელ, ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი“... — უსტარის პირველი სიტყვები ... ნებაში, სწრაფად წამოდგა, სამოელის უსტარი გვერდით დაიდო და წერას მიჰყო ხელი. გაუხარდა, მოეწონა საკუთარი გადაწყვეტილება, თითქოს ვილაც სხვამ უკარნახა. ასე მოიქეცით, სულმოუთქმელად გადმოწერა სამოელის წერილის დედააზრი, თავისი პასუხი იქვე მიაწერა და შეჩერდა, გადაიკითხა ნაწერი, ამ წიგნის შექმნის აზრი ასე ჩაისახა, ეს ნათლად ჩანდა ამ მიმოწერიდან, ახლა მთავარს უნდა შედგომოდა. საიდან დაეწყო? ვით აღეწერა, რა ხერხი ეხმარა? როგორ დაელაგებინა თხრობა და მოძღვრება? ერთმანეთთან უნდა შეერწყა, შეენივთებინა და ერთად ექცია ქადაგება მარტვილმოყვარეთათვის და აბოს თავგადასავალი.

„ქართლად შემოსვლა და ნათლისღება ნეტარისა ჰაბოისი“, — ეს იქნება პირველი თავი, გაიფიქრა, მაგრამ არაფერი დაუწერია. ცეცხლს შეუკეთა, ციოდა სენაკში. გარეთ ქარი ქროდა და ყინავდა.

გული თხოვდა ხალხთან საუბარს.

თითქოს სვეტიცხოველში ამბიონზე იდგა და ერს მოძღვრავდა:

„ქრისტემოყვარენო, ძმანო ქართველნო!“ — ამდაგვარად უნდა დაეწყო მოთხრობა, უნდა განემარტა ერისთვის, თუ რა ჭირი სუფევდა ქართლში და შემდეგ შედგომოდა აბოს ჩამოსვლისა და ნათლისღების ამბავს.

ბასილი კესარიელის თხზულება მოძებნა, „წმიდათა ორმეოცთა მარტვილთათვის“... სტეფანე პირველ მოწამის მარტვილობასაც ჩაჰკრა თვალი. იაკობ ხუცესი პირდაპირ მოუთხრობდა მორწმუნეთ შუშანიკ დედოფლის წამებას... გაჩაღებულ კერას გარს შემოუარა, ჩაფიქრებული სარკმელს მიადგა და მონასტრის ეზოს გახედა... თითქოს თვალით დაინახა დასაწერი წიგნის ბოლობჭე „ქება სანატრელისა წმიდისა ჰაბოისი“... წიგნი დაწერილია! — გაიფიქრა ატაცებულმა, — ქებით უნდა დავამთავრო!“ — უმალ ფრთას მისწვდა და წერას შეუდგა.

1. ღმრთის მსახურთა და მარტვილთ-მოყუარეთა კრებულისათვის თხრობაი და მოძღვრებაი და ახლისა ამის მოწამისა ჰაბოის ხსენებაი.
2. ქართლად შემოსვლაი და ნათლისღებაი ნეტარისა ჰაბოისი.
3. მარტვილობა წმიდისა ჰაბოისი.
4. ქებაი სანატრელისა წმიდისა ჰაბოისი.

წიგნს ხერხემალი უპოვა, ახლა ხორცი უნდა შეესხა. თითქოს თვითონ უფალი კარნახობდა მაღლიდან, ნიაღვარივით მოედინებოდა ზეცი-

დან სიტყვების ნაკადი. ივსებოდა იოანე ამ ღვთიური ნაკადით, სიტყვათა ნიაღვარს მის ძარღვებში სისხლთან ერთად უნდა ედინა და გულში გაევლო. სისხლად გამონატანი პირველი სიტყვები [illegible] „საყუარელნო მამისანო და მეგობარნო და მონანო ქრისტესანო, [illegible] ღმრთისანო. და სამკვიდრებელნო სულისა წმიდისანო!..“ თითქოს მისდა უნებურად დაიწერა ეს სიტყვები. „ქრისტესმოყვარენო, ძმანო ქართველნო...“ უფრო პირდაპირი იყო, უფრო ომის დამწყები. სჯობდა ნელ-ნელა შეეყვანა მორწმუნე თავის სამყაროში და სათქმელი შემდეგ ეთქვა. წიგნი თუ სარკინოზებს ჩაუვარდებოდათ ხელში, იოანეს ნაფიქრ-ნააზრევი მათაც ძნელად უნდა ამოეკითხათ. სარკინოზებს ქრისტესი ისე არ ეშინოდათ, როგორც „ქართველის“, „საქართველოს“, „ქართული ენის“ ხსენებისა. იოანეც მოერიდა თავიდანვე ქართველის ხსენებას და ქრისტიანული წესისამებრ წინამორბედ მწერალთა მსგავსად მარტვილმოყვარე კრებულის დამოძღვრა მშვიდად განაგრძო:

„გხედავ თქვენ. ვითარცა ღმრთივ-ცნობილთა და ღმრთის მცნობელთა. ამისთვისაცა გარქუ თქვენ მონად და მეგობრად ქრისტესა. მონად ამისა გამო, რამეთუ „პატიოსნითა სისხლითა მისითა სყიდულ ხართ“ თქუენ. ხოლო მეგობრად ამისათვის, რამეთუ მისნი შექმნულნი ვართ და დაბადებულნი და სიყვარულითა მისითა ნათელგვიღებიეს...“

აღარ ახსოვს, რამდენ ხანს წერდა, არც ჭამა მოგონებია, არც სმა, ცეცხლიც ჩაინავლა კერაზე. სენაკის კართან ბერი გაილანდა. იოანეს არც ის ბერი შეუმჩნევია. ბერმა ფრთხილად შემოაღო კარი და დაიძახა: „ალილუია!“ წირვა იწყებოდა. ბერები სალოცავად უნდა წასულიყვნენ. იოანე წამოდგა. ღვთისმსახურობა ბილწი ხელით სრულდებოდა, მაგრამ მაინც უნდა შესულიყო საყდარში. სხვაგან წასვლის ნება არ ჰქონდა და რა ექნა! მამა შიოს აღსარებას მაინც არ მისცემდა, არც ზიარებას მიიღებდა მისგან. ფიჩვი მოისხა და საყდრისკენ ნელა წავიდა.

იმ უცნაური ჯვარისწერის შემდეგ მიქაელი ანოს სიყვარულს უფრო ვერ გაამხელდა. ისლა დარჩენოდა კვლავ გულში ჰყვარებოდა გუარამ მამასახლისის მზეთუნახავი და, კვირა დღეობით მიდიოდა მცხეთაში და სვეტიცხოველში წირვის დამთავრებას ელოდებოდა. საყდრიდან რომ გამოვიდოდნენ, ანო მხევლების თანხლებით შინისაკენ გზას გაუდგებოდა. მიქაელი მიესალმებოდა ანოს, შორი-შორ მიჰყვებოდა და მოწოლილ გრძნობას შორიდან ცქერით იცხრობდა.

დიდმარხვის პირველი კვირა დაწყებულიყო. სვეტიცხოველში

ანდრია კრიტელის საგალობელს გალობდნენ. მიქაელი ანოს სამოთხის ბაღში ელოდებოდა, საყდრიდან გამოსულს თვალს აადევნებდა.

ანოს ძაძები ეცვა, შავი თავსაფრიდან თვალიც არ უჩანდა. ეს ასეთ კანონიერ ქმარს, მისი სიტყვით — დღევანდელს ქართლში ერთადერთ ჰეშმარიტ სიძეს — აბოს გლოვობდა.

მიქაელს ვიდრე მამა შინპყრობილობაში ჰყავდა, ანოსთან შუამავლების მიგზავნას მაინც ვერ გაბედავდა. ვაითუ გუარამს უარი ეთქვა, დაეფრთხო მიქაელის წინადადებას და ანო უცებ გაეთხოვებინა. ითმენდა და ელოდებოდა. სარკინოზები დათმობას და შერიგებას არც ფიქრობდნენ, არც იოანე და სამოელი აპირებდნენ მუცელზე ხოხვას. არავინ უწყოდა, როდემდე გაგრძელდებოდა ასე. აბოს თავის მოკვეთით თითქოს ყველაფერი დამთავრდა, სიმშვიდე და სიწყნარე ჩამოვარდა ქართლში. ერისმთავარი სტეფანოზი ფიქრობდა, რომ კათალიკოსსა და ბერსაც მალე უბოძებდნენ თავისუფლებას, ხალიფატი ქართველებთან ურთიერთობას არ გაამწვავებდა. სტეფანოზმა მიქაელის პირით იოანეს შეუთვალა: ამირა თქვენს განთავისუფლებას აპირებსო. სიკეთის პასუხად იოანემ შვილს აბოს წამების ამბავი დავწერეო, ახარა და კითხვას შეუდგა.

მიქაელს შიშისზარი დაეცა, ყურებს არ დაუჯერა, შეაჩერა ატაცებული მკითხველი, გაიხედ-გამოიხედა სენაკში, სარკმლიდან გაიჭვრიტა, შემოჩენილი შურტა არ მითვალთვალებდესო, გულდაგულ მიუჯდა წიგნს და თვალით ჩაიკითხა თვითონ. ყურადღებით გამოჰკითხა მამას წიგნის დაწერის ამბავი. ერთ კვირაში დაეწერა სენაკში გამოკეტილს. გადაეწერა კიდეც კათილიკოსისათვის და მიქაელს თხოვდა წაეღო და ჩუმად გადაეცა.

მიქაელი ჯერ შეშფოთდა, მამას მწარე სიტყვები აკადრა, — მე ხალიფატს კეთილსინდისიერად ვემსახურები, თქვენს ბნელ საქმეებში ვერ გავერევიო. მაგრამ ბოლოს მაინც დათანხმდა. მამამ დააჯერა: ამას არავინ გაიგებს თუ მე და შენ ჩუმად ვიქნებითო. ჩუმად კი არა ქვას ჩაიდებდა პირში, წყალს დაიგუბებდა, სიტყვა არ დასცდებოდა, მაგრამ ისეთი დრო იყო, კედლებს ყურები ესხა, შურტებს არაფერი დაემალებოდათ.

ბოლოს და ბოლოს საყდარში დასადები წიგნია, — თავს იმხნევებდა მიქაელი, — წელიწადში ერთხელ საწყალ აბოს მოიგონებენ მორწმუნენი, — მამამისის ნათქვამს ატრიალებდა გონებაში ათასჯერ, — ამისთვის ქრისტიანი ბერი რატომ უნდა დასაჯონო.

დაჰყვა მამას, — მართლაც სჯობდა, წიგნი ისევ მას წაეღო, ვიდრე

სხვას. თვითონ უკვეთ შეინახავდა საიდუმლოს, კათალიკოსთანაც მის უფრო ადვილად მიუშვებდნენ, ვიდრე თუნდაც ღვთისმსახურთ. ადგა და თავისი ხელით მიუტანა კათალიკოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ ერთი კვირაც არ იყო გასული, რაც საიდუმლო ძღვენი მიქაელმა კათალიკოსს მალვით მიართვა და უკვე მთელმა მღვდელ-მონაზვნობამ იცოდა აბოს წამების დაწერის ამბავი. ანაფორიანი ვინც შეხვდებოდა, ყველა მოწიწებით კითხულობდა იოანეს ჯანმრთელობას, სათქმელს პირდაპირ ვერ ამბობდნენ, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას უსურვებდნენ მამამისს კეთილი საქმეებისთვის. მიქაელს არ მოსწონდა ასეთი გვერდით გახმობა და საიდუმლო საუბარი. ჩანდა, რომ კათალიკოსი ყველას აკითხებდა ჩუმ-ჩუმად აბოს წამების ამბავს.

რაკი ჩუმი მითქმა-მოთქმა ატყდა, წიგნის დაწერის ამბავი ამირას ყურამდეც მიაღწევსო, ნაღვლობდა მიქაელი და ყოველ მსახურს შიშით შესცქეროდა, მამაზე ახალი არაფერი მითხრასო.

დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ანოც გამოვიდა საყდრიდან. მიქაელს თვალები აენთო და გული აუძგერდა. ახლა ანო ჩაუვლიდა თავისი მხევლებით, მოხედავდა შუქიანი თვალებით და გაუღიმებდა. ამ ნეტარ წამებს ელოდებოდა მოუთმენლად და კისერწაგრძელებული მისკენ იყურებოდა. ყველაფერი გადაავიწყდა, მიწაზე კი არ ედგა ფეხები, ლაჟვარდში ფრინავდა და ანოც იქ ჰყავდა მზესთან ახლოს.

ანომ როგორც კი მიქაელი დაინახა სამოთხის ბაღში მარტო მდგარი, მხევლები მიატოვა და მასთან მივიდა. მიქაელი მის ფეხებთან დაემხო, კაბის კალთას ვეამბორებიო, იფიქრა, მაგრამ ვერ გაბედა. ქალი თავზე დაადგა და საიდუმლო კილოთი უთხრა:

— საყდრის წინ, ღვთის გლახებს შორის, ერთი მთხოველი ზის და შენ დაგეძებს...

მიქაელმა თვალის შევლებაც კი ვერ მოასწრო, ანო სწრაფად გატრიალდა და წავიდა, ვაჟმა მხოლოდ თვალი გაადევნა, ზლაზვნით წამოდგა და საყდრისკენ გაიხედა: ვინ მთხოველი დამეძებს, რა უნდაო.

დიდხანს გასცქეროდა საყვარელ არსებას, ვიდრე თვალს მთლად არ მიეფარა, ფეხი არ მოუცვლია. ბოლოს კვლავ შემოაწვა ნაღველი და საყდრისკენ გასწია. „ნუთუ ღვთის გლახებს და მთხოველებსაც აკითხებენ...“ — გაუელვა თავში და შეცბა. შეაშინა ამ აზრმა. ფეხათრევით წავიდა გლახაკთა რიგისაკენ. ხელგამოწვდილ მთხოველთ თითო ყურუში ჩამოურიგა და ხმადაბლა იკითხა:

— საბანისძეს ვინ დაეძებს?

— მე, უფალო! — ძონძებში გახვეული მთხოველი წამოდგა, აკრი-

ფა თავის ფუთა, ჯოხი, ხელის კანკალით და თავის ქიცინით უკან გამოჰყვა მიქაელს. „ნეტა რა უნდა?“ — ფიქრობდა მიქაელი და ყარიბი საყდრის გადაღმა მიჰყავდა, ეზოსა და ხალხს რომ გასცილდნენ, უცნობმა ხმა გამოიცვალა და მიქაელს საიდუმლოდ უთხრა:

— იოანე უნდა მაჩვენოთ, შვილო ჩემო... დავალებული მაქვს პირადად ვნახო.

— იოანე?.. — შედგა მიქაელი და ყარიბს მიაშტერდა. არ მოეწონა მთხოველის უცნაური შეცვლა, არც ეს „შვილო ჩემო“ იყო გლახაკის ნათქვამი. დაეჭვდა და გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო.

— ღვთის გულისათვის, პირდაპირ მითხარით, ვინა ხართ, რისთვის დაეძებთ მამა იოანეს.

— გრიგოლმა გამომგზავნა, შვილო, მამა ბასილი ვარ, ამათი შიშით მთხოველად ვიქეცი, მონასტერში მაინც ვერ შევაღწიე, რამდენჯერაც კარიბჭეს მივადექ, იმდენჯერ იმ წყეულმა იუდამ კარიჭ კარიჭისძემ გამომხედა, შენ უნდა დამეხმარო და მამა იოანეს შემახვედრო.

— გრიგოლმა გამოგგზავნა?.. — აენთო მიქაელი, — ვერ დაგეხმარები, მამა იოანე და ქართლის კათალიკოსი, სამოელი შინპყრობილნი სხედან. — მიუგო მიქაელმა და წასვლა დააპირა, მთხოველი გამოუდგა.

— მაგას ნუ მკადრებ, შვილო ჩემო, ცხრა მთა გადმოვიარე მამაშენის სანახავად, მეუბნები ვერ დაგეხმარებიო, იოანეს შვილი არა ხარ?.. საბანისძესთა შთამომავალს ასეთი საქციელი არ შეგფერის! წამიყვანე მამაშენთან, სხვას არაფერსა გთხოვ.

— როგორ? მე, ერისმთავრის კაცმა, მთხოველი მონასტერში აგიყვანო?.. ხომ მთელმა ქვეყანამ დაგვინახა, არ მკითხავენ, ვინ არის ეს გლახა, ან მასთან რა კავშირი გაქვსო? ორივეს შეგვიპყრობენ უმალ... — გაცხარდა მიქაელი.

— მამა გრიგოლმა იქიდან დამაბარა, თუ გაგიჭირდეს, მიქაელი მოძებნეო. შენს იქით გზა არა მაქვს...

მიქაელმა შუბლიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა. რა ექნა? ჯერ აბოს წამების დაწერა ვერ მოენელებინა და უკვე ახალი ხიფათი მზადდებოდა. გრიგოლი და აშოტი სასიკეთოს რას შემოუთვლიდნენ ტაოკლარჯეთიდან იოანეს. ალბათ, ამ მთხოველს ახლა შურტები უთვალთვალებენ, ნეტა ფეხი მომტეხოდა და მცხეთაში არ ამოვსულიყავიო, გაიფიქრა. მთხოველმა თითქოს გულისნადები გაუგო:

— თბილისში მოვდიოდი... გრიგოლი შენ იქ — ხანძთას გელოდება... ამბობს, უსათუოდ ჩამოვაო, — უთხრა კვლავ ჩურჩულით, ოღონდ მთხოველივით კი არა, „შვილო ჩემოს“ კილოთი.

„დავუძახებ შურტებს და შევაპყრობინებ, — გაუელვა უცებ თავში მიქაელს, — მამაც გადარჩება და მეც მოვისვენებ“. უფრო აფორიაქა ამ ფიქრმა, უკეთურმა ზრახვამ სული შეუგუბა, ბავშვივით ... გაუწითლდა, თავი ჩაღუნა დამნაშავესავით.

ბიბლიოთეკა

— მე ავალ, მამას ვაცნობებ, — ჩაილუღლუღა მიქაელმა, — თქვენ კვლავ მარტო ამობრძანდით, როგორც ქრისტესმიერი ძმა მოადექით მონასტრის კარიბჭეს, იქ მამა დაგხვდებათ. სხვა არაფერი შემიძლია. ჩვენ ახლა გვითვალთვალებენ, — უთხრა მიქაელმა, გატრიალდა და თითქმის სირბილით გაექცა მთხოველს.

მიქაელი დამფრთხალი ავარდა მონასტერში, მამას ტაო-კლარჯეთიდან კაცის ჩამოსვლა შეატყობინა და სწრაფად გაბრუნდა ტფილისში, იცოდა, რაც მოჰყვებოდა აშოტისა და გრიგოლის გამოგზავნილი კაცის ჩამოსვლას ქართლში. თავი შორს დაიჭირა, არ დაელოდა მთხოველის ამოსვლას. ამბის გაგებაც კი არ მსურსო, მამას დაუბარა და წავიდა.

იოანე მოუთმენლად წრიალებდა სენაკში და თვალ-ყური გალავნის გადაღმა ეჭირა, ხშირ-ხშირად გამოდიოდა სენაკიდან, ხან რას იმიზეზებდა და ხან რას. ვითომ ჯორს ეძებდა მონასტრის შემოგარენში, ვითომ შეშა უნდა მოეხაზირებინა... როგორც იქნა, მოადგა კარიბჭეს მთხოველი და იოანეც იქ დახვდა შეპირებისამებრ. სენაკში შეიყვანა, შურტამ იოანესთან მთხოველის მოსვლა შეამჩნია და სარკმლიდან დამზირა. იოანემ იცოდა, რომ შურტა უთვალთვალებდა, იმარჯვა და გრიგოლის გამოგზავნილი უსტარი შეუმჩნევლად გამოართვა, ცეცხლის პირას დასვა, გაათბო, დააპურა, ვითომ მართლა გლახაკი ყოფილიყო, ძველმანები აჩუქა შურტას დასანახად.

იოანეს და მთხოველს მონასტრის ეზოდან ხმაური შემოესმათ. იოანე სარკმელთან მიიჭრა, გულმა ავი უაზრა, შეშინებულმა მთხოველმაც მიანება ჭამას თავი და ფეხზე წამოდგა. სენაკის კარი ფეხის კვრით შეგლიჯეს და სენაკში შურტები და მოლაშქრენი შემოიჭრნენ. თურმე მთხოველს მთელ გზაზე მოსდევდნენ მალულად. იოანეცა და მისი სტუმარიც უმალ შეკრეს და გაჩხრიკეს. იოანეს უბიდან გრაგნილი ამოუღეს. მამა ბასილის სამოსი სულ შემოაძარცვეს, მაგრამ ვერაფერი უპოვეს. იოანეს თვალწინ გატეხეს ზანდუკები, გაჩხრიკეს განჯინები. კედლიდან ჩამოგლიჯეს ხატები, საღვთო წიგნები ერთად შეაქუჩეს, ხელნაწერები მოკრიფეს, შეკრეს და გაიტანეს. იოანემ ხელნაწერებში ახალდაწერილ აბოს წამებას ჰკიდა თვალი. „კიდევ კარგი, რომ გადავ-

წერე და გავგზავნე“, — გაიფიქრა მწარედ. იოანესაც და მთხოველსაც ხელები თოკით შეუკრეს და პირი აუხვიეს. გვერდით მცველებს ადგნენ და განძრევის ნებას არ აძლევდნენ. მხოლოდღა ფიქრი შეძლეს, ფიქრს ვეღარ აუკრძალავდნენ ჯალათები.

მონასტრის ეზოში შეშინებული ბერები გამოსულიყვნენ და იოანეს სენაკს შორიდან შესცქეროდნენ.

თითქოს მოულოდნელი იქ არაფერი ხდებოდა. დღეს თუ ხვალ იოანეს წაიყვანდნენ, ეს ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ცნობისწადილი მაინც არ ასვენებდათ: ვინ იყო ეს მთხოველი, როდის მოვიდა მონასტერში, რატომ მოვიდა? — ერთმანეთს ეკითხებოდნენ ბერები. თვით მამა შიომაც კი არაფერი იცოდა. მამა შიოს მონასტრის შურტა ყოველ საღამოს მოახსენებდა იოანეს ამბავს, მონასტრის შურტაც სახტად დარჩენილიყო, შორიახლოს იდგა და იოანეს სენაკში გაკვირვებული იყურებოდა.

ხელებშეკრული იოანე პირველი გამოიყვანეს სენაკიდან, მას მამა ბასილიც მოაყოლეს. მახვილოსან-შუბოსანი შურტები და მოლაშქრენიც საქმიანად გამოცვივდნენ მონასტრის ეზოში, ამხედრდნენ თავიანთ ბედაურებზე, პყრობილნი უნაგირის ტახტზე ღვედებით გამოიბეს, წესისამებრ, შუაში ჩაიყენეს და ტფილისის გზას დაადგნენ.

საღამო ხანი იყო. მცხეთაში რომ ჩამოვიდნენ, უკვე ბნელოდა შუკებში. იოანეცა და მთხოველიც შუა ხანს გადაცილებული ბერიკაცები იყვნენ, ცხენების კუდს უკან ძუნძული გაუჭირდათ. უფრო მთხოველი შეეპყრო შიშს, აქეთ-იქით აწყდებოდა და ღმუოდა. მცხეთა ისე გაიარეს გზად ერთი კაცი არ შეხვედრიათ.

ზამთრის პირი იდგა, მცხეთელები ადრიანად შეკეტილიყვნენ თავიანთ მიწურებში და კერის პირას თბებოდნენ. ბნელ შუკებში ცხენების ფლოქვების თქარათქური და არაბული შეძახილები გაისმოდა. ღამის ამგვარ სტუმრებს შეჩვეოდნენ, ალარც კი კითხულობდნენ მათ ვინაობას, იცოდნენ, ვინც იყვნენ.

მცხეთას რომ გასცდნენ, იოანემ შეამჩნია, რომ მთხოველი დაეცა. უკან მომავალმა ჯალათმა დაცემულს მათრახი გადაუჭირა. მთხოველი ვერ ადგა. მათრახის ტყლაშუნმა წინ მიმავალი მხედრის ცხენი დააფრთხო და ძირს დავარდნილი მთხოველი თრევით გაიტაცა. კარგა ხანს მიათრევდნენ პირახვეულ მამა ბასილის. იოანეს უნდოდა დაეყვირა, მაგრამ მხოლოდღა ზმუილისებური კვნესა აღმოხდა. უცებ მთხოველის მთრეველი ჯალათები შეჩერდნენ, ერთად შეჯგუფდნენ და აყაყანდნენ არაბულად. იოანეს ჯალათმაც შეაჩერა ცხენი და მამა ბა-

სილის ჯალათებს გასძახა, რა ამბავიაო. იოანემ გარკვევით გაიგონა არაბულად ნათქვამი: „მოკვდა“. იოანეს ჯალათებმა ცხენები მთხოველის ჯალათებისაკენ შეაბრუნეს, უკან გამობმული იოანეც ცხენებად მიჰყვა მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოხსენი და მტკვარში გადაუძახე! — მისვლისთანავე თქვა იოანეს ჯალათმა, ჩანდა, რომ ის აქ უფროსი იყო.

ძირს დაგდებული მამა ბასილის გვამს ერთი შურტა მიჯდომოდა და აწვალებდა, მართლა მოკვდა თუ იგონებსო. დანარჩენები ცხენებიდან არც ჩამოსულან, ცხენდაცხენ გარშემო უტრიალებდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ და უაზროდ ლაყბობდნენ, ოხუნჯობდნენ. იოანეს ახლოს არ უშვებდნენ გვამთან.

მთვარე ჯერ არ ჩანდა, მაგრამ ამოსვლას აპირებდა, ზეცა გაენათებინა მთვარის შუქს. ამ შუქით იყო განათებული ღამეც. იოანე ყველაფერს ხედავდა: სათრევი ღვედები შეხსნეს, ხელები შებორკილი დაუტოვეს, დასტაცეს ფეხებში ხელები და მტკვრისაკენ წაათრიეს. ორი ჯალათი მიათრევდა ბედშავ მამა ბასილის, უცებ გაუჩინარდნენ თავდაღმართში, იქიდან ჯერ ჯალათების ხმები შემოესმა იოანეს და ბოლოს წყლის ტყაპუნი, — მამა ბასილის გვამმა გამოსცა ეს ხმა.

ჯალათი-შურტები მალე დაბრუნდნენ და იოანეს ჯალათ-შურტებს უთხრეს:

— ესეც შემოგვაკვდება, თუ ცხენზე არ შევსვით... აბო ჭაბუკი იყო, ესენი ბებრებია...

— ნაბრძანებია ცოცხლად მიყვანა! — თქვა იოანეს შურტა-ჯალათმა, — მოიყვანეთ ცხენი...

უბელო ცხენები მარქაფად მოჰყავდათ. იოანესაც შეხსნეს სათრევი ღვედები და ცხენზე შეჯდომა უბრძანეს, ხელებშებორკილმა ვერ შეძლო ცხენზე შეჯდომა. შურტებმა ზედ კუნძივით დადეს და გზა განაგრძეს.

„საბრალო მთხოველი, ნეტა ვინ იყო? სახელის კითხვაც კი ვერ მოვასწარი... — გაიფიქრა იოანემ, — ან იმ უსტარში რა ეწერა? თვალი ჩამეკრა მაინც, ეგებ გამეგო, რას იწერებოდნენ“... გვიანღა იყო, ახლა იმაზე უნდა ეფიქრა, წინ რა მოელოდა, როგორ აწამებდნენ, ან რარიგ მოაკვდინებდნენ. თავის მოკვეთა არ აცდებოდა, ეს კარგად იცოდა, მაგრამ ვიდრე თავს მოკვეთდნენ, მანამ რას შეამთხვევდნენ, რას დასწამებდნენ, ეს უფრო აწუხებდა, ვიდრე თავის მოკვეთა. ჰაჯიჯ იბნ ალბაბაქმა რაკი ბოლოს და ბოლოს ხელში ჩაიგდო იოანე, მარტო მოკვ-

დინებას არ დააჯერებდა. ჯერ ცოცხლად დამარხავდა, რაღაც სამარ-
ცხვინოს დაატეხავდა თავზე და შემდეგ დასჯიდა სიკვდილით!

მთვარე ხან გამოჰყოფდა ღრუბლებიდან თავს, გაანათებდა ქვეყანას
ველებს, ხანაც შეიმალებოდა ღრუბლებში და ბინდი ჩამოწვებოდა.

წინ ორი ჯალათი მიუძღოდა იოანეს, უკანაც ორი მოჰყვებოდა, პყრობილისაკენ თვალყური ამათ ეჭირათ, ხოლო სულ უკან ცხენებს მოაჩაჩქაბდნენ, ხუმრობდნენ და ლაზღანდარობდნენ სხვა შურტები, რომელიღაც ტანდაბალ ჯალათს დასცინოდნენ. დროს კლავდნენ. იოანეს მათი ხორხოცი ჩაესმოდა და გულს უსიებდა. „ადამის ძე თრევით მოკლეს, მიწაც კი არ აღირსეს, უღვთოდ გადააგდეს მტკვარში...“

ფიქრობდა ბერიკაკი, გამართული იჯდა ცხენზე, უკან ხელებშეკრული ქუსლებს აჭერდა მარჯვედ უბელო ცხენს მუცელზე, — არ გადმომაგდოსო, თან მოხორხოცეთ უკან შეუბრუნებლად მთელი ხმით უყვიროდა: „ნაშობნო იქედნეთანო!“ — პირაკრული მხოლოდღა ზმუილს გამოსცემდა ცხვირიდან. მხოლოდღა შიგ სულში ბობოქრობდა ის ორი სიტყვა, გარეთ გამოსვლა მათ არ ეწერათ.

შურტები უდარდელად განაგრძობდნენ სიცილსა და ხორხოცს, გვერდით მიმავალთაც კი არ ესმოდათ პყრობილის ცხვირისმიერი ზმუილი, ან თუ ესმოდათ, ყურადღებას არც აქცევდნენ.

ნაშუალამევს ჩააღწიეს ტფილისში. იოანე გაფაციცდა, ქალაქის სადილეგო იცოდა სადაც იყო, მაგრამ იქით აღარ მიჰყავდათ. სადღაც ბნელ შუკაში ჩამოსვეს ცხენიდან, ახლა თვალიც აუხვიეს, მკლავში ხელი წაავლეს და წაიყვანეს.

იოანე ამჩნევდა, რომ ალმართზე მიდიოდა, შემდეგ საფეხურებზე დაუსხლტა ფეხი, კიბეს არ მოელოდა აქ, წიხლის კვრით წამოაყენეს. სადღაც შეაგდეს. დილეგი უნდა ყოფილიყო. დილეგში ყოფნა ერჩია, დაჯდებოდა მაინც ერთ ადგილას და ბედისწერას დაელოდებოდა.

დილეგის კარი ყოველ წუთს იღებოდა და იხურებოდა, თითქოს შუქიც აანთეს, ფუთფუთი ატეხეს, ბოლოს ბერიკაკს მისცივდნენ, სამოსი შემოაძარცვეს, გააშიშვლეს, თვალისდახამხამებაში წამოაქციეს და არგნები დაუშინეს ზურგზე. გაჰკვირდა პყრობილი: ნება არა გაქვთ, ჯერ მსაჯულს არ უბრძანებიაო... ამოიხავლა უმწეოდ, მაგრამ მისი ღავილ-ხავილი არავის ესმოდა. ჯალათები რიგში ჩამდგარიყვნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ბერიკაკს ხან ზურგში, ხანაც გადმოაბრუნებდნენ გულ-მუცელზე და თავპირზე სცემდნენ დაუზოგავად. ძირსდამხობილი ბობოქრობდა, ბედს არ ემორჩილებოდა, ეგონა, რომ ჯა-

ლათები თვითნებურად სცემდნენ. მსაჯულმა ამირამ ამის თაობაზე არაფერი იცისო,—ედავებოდა ჯალათებს გუნებაში.

ღონე სულ მთლად წაერთვა, დაიღალა უთანასწორო ბრძოლაში, მინებდა არგნის მცემელთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა დღე გათენდა. ჩვეულებრივი ტფილისური კვირა დღე დადგა. ხალხი დილიდანვე დაიძრა ბაზრისაკენ.

კვირაობით ტფილისში დიდი ბაზრობა იმართებოდა. ტფილისის ბაზარი მთელ აღმოსავლეთში იყო განთქმული. არაბებმა თავიანთ ყაიდაზე გარდაქმნეს ბაზარიც კი, თავიანთი მუჰთასიბები * ჩააყენეს და სამუჰთასიბო ხარკი დააკისრეს ქართველ ვაჭრებს. არაბებს კი ქულბაქები ჩაუდგეს რასტიბაზარში და თავისუფალი ვაჭრობის ნება მისცეს, მათ როგორც ბაზრის პატრონებს, ქირას არ ახდევინებდნენ. არაბებსა და ქართველებს გარდა ტფილისში ვაჭრობდნენ სომხები, სპარსელები, ბერძნები, ხატაელები, ასურელები, ხაზარები... მუჰთასიბი ბაზრის ქირას ყველას ახდევინებდა, მაგრამ ქართველებს ყველაზე მეტი ეკისრა. სარკინოზები ამას ასე ასაბუთებდნენ: ადგილობრივ მკვიდრთ საქონლის გადატანა-გადმოტანა არაფერი უჯდებათ, თუ ბაზრის ქირას გავათანაბრებთ, ხატაეთიდან აქ არავინ ჩამოვაო.

ტფილისის ბაზარში აღმოსავლეთის ყოველი კუთხიდან დიდი სიამოვნებით ჩამოდიოდნენ და აქ სარფიანად ვაჭრობდნენ, კმაყოფილნი ბრუნდებოდნენ თავიანთ ქვეყნებში, უკმაყოფილო მხოლოდ ტფილისელები რჩებოდნენ. ტფილისის ბაზარი ტფილისის არ იყო. ბაზარს სხვა დაპატრონებოდა და მოგებაც სხვას მიჰქონდა. და მაინც ტფილისს უბაზროდ ცხოვრება არ შეეძლო. განა მარტო ტფილისს, მთელ ქართლს. მთის, ხევისა თუ ბარის ქართველთ, ყველას სული ტფილისის ბაზარში მოჰქონდა.

იოანეს ამბავი პირველად ბაზარმა შეიტყო.

დილით, როცა დატვირთული აქლემებით, ჩარდახიანი ურმებით, ფარჩეულით, სანოვაგით, მწვანილით, მაწვნის ქილებაკიდებული ჩოჩრიანი ვირებით გაივსო ბაზარი, ვაჭრები სხვადასხვა ენაზე აყაყანდნენ, სხვადასხვა ჰანგზე აღიღინდნენ, გაისმა ქართულ-არაბული, ქართულ-სპარსული, ერთმანეთში არეული სიტყვა-პასუხი, როცა გახურდა ბაზრობა, რასტიბაზარში ცხენოსანი შურტების, ბაზრის მუჰთასიბების თანხლებით ამირას ამიდი შემოვიდა.

---

* ბაზრის მოხელე.

ამირას კაცების მოსვლა ბაზარში ახალი ამბის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო. ხალხი მათ მიეჯარა და გარს შემოერტყა.

— მოქალაქენო! — დაიწყო დინჯად ამიდმა, გრაგნილი გაშალა და ცხენზე მჯდომმა წაიკითხა:

„მეუფება ალაჰისაა. ალაჰი გვაძლევს სიკეთეს. ალაჰია ჭეშმარიტი ერთი ღმერთი. ალაჰის ნაცვალი დედამიწაზე მაჰმადია, მაჰმადის ნაცვალი ხალიფა, ხალიფას ნაცვალი ამირა. მზეთამზე ხალიფას სახელით ალაჰის მეუფების განსამტკიცებლად, ყველა ქართველის გასაგონად ამირა ბრძანებს მორჩილებას, სიმშვიდეს და ურთიერთკეთილგანწყობას საამიროში.

მზეთამზე ხალიფას წყალობით, ამირას ბეჯითი მეცადინეობით, მუსლიმ მოლაშქრეთა თავგანწირვის შედეგად ქართლსა შინა მშვიდობა და ტკბილი ცხოვრება სუფევს. ქართველი ერის დაუძინებელი მტრები კი არ ისვენებენ, გარეგარე დაძრწიან და საამიროს წინააღმდეგ მოკავშირეებს ეძებენ.

აღმოჩენილნი, მხილებულნი და შეპყრობილნი არიან ახალი მეამბოხენი!..

ამიდმა მთელი ხმით, მკვეთრად და ხაზგასმით შეატყობინა ხალხს ახალ მეამბოხეთა შეპყრობა. გაისმა უკმაყოფილო შეძახილები...

ამიდი შეყოვნდა, დააინტერესა მსმენელნი და განაგრძო:

— შეიპყრეს ჯვრის მონასტრის ბერი, ერისთავთ-ერისთავთა მოძღვარყოფილი იოანე საბანისძე, შეიპყრეს აგრეთვე აშოტ ერისთავის მსტოვარი, მამა ბასილი, თვით აშოტ ერისთავი კონსტანტინეპოლს გაქცეულა და იქიდან აპირებს ქართლზე გამოლაშქრებას.

მოსალოდნელი საფრთხის აღსაკვეთად, ჯურზანის დამჭირველი ლაშქრის გასაძლიერებლად, ხალიფა ახალ მოლაშქრეთ გვიგზავნის.

ამირა ბრძანებს: ყოველმა ტფილისელმა ჰაბიბ-იბნ-მასლამას დაცვის სიგელის შესაბამისად ბინა და საჭმელ-სასმელი მისცეს ორ მოლაშქრეს...

ხალხი უცებ აირ-დაირია, ახმაურდა, აზვირთდა. გაისმა უკმაყოფილო შეძახილები, ლანძღვა-გინება ქართულად, არაბულად. ერთმა ყმაწვილმა კაცმა გზა გაიკაფა ცხენოსნებისაკენ და მთელი ხმით შესძახა:

— ხალხნო, ახლაც გაჩუმდებით? ყველა სახრეს კამეჩივით დაითმენთ? არა გრცხვენიათ?.. ორი მოლაშქრე დააბინავეთო, ვითომ ერთი არ გვეყოფოდა? ორი უცხო მამაკაცი, ისიც არაბი მოლაშქრე უნდა შემოვიდეს ჩვენს სახლებში! ხალხო, რას გაჩუმებულხართ, თქვით არა!.. თქვით არა, ცხვრებო, თქვით!..

ხალხი შუაზე გაიყო, კასრი მოუგორეს მოქადაგეს, მოეწონათ ჩახ-
მახივით შემართული ბიჭი, სახელდახელო ტრიბუნა გაუმართეს. ბიჭი
მარჯვედ შეხტა ზედ და ამირას კაცებს თამამად შეუტია:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჩვენ არ შეგვიძლია მოლაშქრეთა მიღება, არა! არ გვჭირდება
დამცველი, სამშობლოს თვითონ დავიცავთ!.. თქვით არა, ცხვრებო,
თქვით! — ხალხს გასძახა ერთხელაც.

ისარი გამოფრინდა საიდანღაც. ხალხს თავზე შხუილით გადაუქ-
როლა და ბიჭს მკერდზე ეძგერა. ამიდის მხლებლებს ხელი არ გაუნძ-
რევიათ, შეშფოთდნენ კიდეც, ეს რა ამბავიაო. ვიღაც სხვამ, ვითომ
უცნობმა ისროლა ისარი. ისარი გავარდა თუ არა, ამიდმა ცხენი მი-
აბრუნა და ბაზრიდან გავიდა, მხლებლებიც უკან მიჰყვნენ. ბიჭი მკერდ-
ში შერჭობილ ისარს დაებღაუჭა გამწარებით, ჯერ კასრზე დაეცა, ვიდ-
რე ვინმე მიეშველებოდა, ძირს მოადინა ზღართანი. სისხლმა იფეთქა
ნაისრალიდან და ნელა გადმოდინდა მკერდიდან მიწაზე. ხალხი შეშინ-
და და უკან-უკან დაიხია.

შუა ბაზარში რომ ეს საზარელი ამბავი ტრიალებდა, ბაზრის ბო-
ლოში ჯერ ბაიბურში არ იყვნენ. მათ არც ამიდის მოსვლა გაეგოთ და
არც ბიჭის უცაბედი მკვლელობის ამბავი. იქ ყველა თავისი საქმით
იყო გართული. ერთ კუთხეში მელო მიმდგარიყო, სამი ბატი და ერთი
ინდაურის ჭუკი მოეყვანა ბაზარში გასაყიდად. გაავებული ეძახდა შვი-
ლებს და შორიდან ემუქრებოდა:

— გულო!.. სადა დამეკარგე, გოგო!.. — უკიოდა და ფეხებს უბა-
კუნებდა შესაშინებლად. — ღერღეტ-ინდაურსა ერთმა ვსდიო? სეირის
საცქერლად გვცალია ჩვენა? თქვე არ დასამიწებლებო, დედის ურგე-
ბებო და სახლის დამაქცევლებო!..

გულო ტიროდა, დედასთან ახლოს ვერ მიდიოდა თუ არ მოდი-
ოდა, ეშინოდა თუ ერიდებოდა, იქვე ტრიალებდა ახლომახლოს, ნიკა-
პი უკანკალებდა, ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე. ნაცემი
ძაღლის ლეკვივით წკმუტუნებდა და იმალებოდა, თითქოს ამ ტირილ-
მალვით დედას საშინელ ამბავს ამცნობდა.

— გულო! — კიოდა ქალი და ბატებსა და ინდაურებს წკნელით
დასდევდა, ერთ კუთხეში ეყენა, ეშინოდა, მარტოკას არ დაფანტვოდა,
შვილებს საშველად უხმობდა.

მელოს არ მოეწონა გულოს საქციელი, შიშმა შეიპყრო, რა ატი-
რებს იმ გოგოს, ან რად გამირბის, რა ჭირი შეეყარა, რა ღვთის წყრო-
მა დაგვატყდა თავზე, ჩვენს თავს რა ამბავიაო, ღერღეტ-ინდაური მი-
ატოვა და გაფართოებული თვალებით შვილს გამოუდგა:

— რა დაგემართა, შე არდასაცალებელო! — მიაკივლა ერთხელაც. გულო ღრიალ-ღრიალით გაქანდა და დაყირავებული ურმის ქვეშ შევარდა. მეურმეს ხარები გამოეშვა, უღელგაყრილი კოფლ ძირზე დაეგდო, ურემი დაყირავებული დაეტოვებინა.

— კეწეწა სად არი, გოგოვ! — შესძახა ურმის ქვემოთ მელომ, გულომ დედა რომ დაინახა, ტირილს უმატა, უმატა და ხელი ჯგროდ თავშეყრილი ხალხისკენ გაიშვირა. მელომ იქით გაიხედა და გაფითრდა, ტანმა უაზრა უბედურება. ეს ამოდენა ხალხი მელოს აქამდე არ შეუმჩნევია, სასოწარკვეთილი გაქანდა იმათკენ. როცა ამირას კაცები ბაზარში შემოვიდნენ და ყველა იქით გაეშურა, მელოს ღერღეტების მუშტარი მოდგომოდა და ევაჭრებოდა. განა ამირას კაცების თავი ჰქონდა!.. არც გაუხედავს იმათკენ. ბავშვებსაც არ გაუშვებდა, თვალთაგან ვერ მოიცილებდა, მაგრამ ვაჭარმა არ მომატყუოსო, აქეთ იყო გაფაციცებული და კეწეწაც გაეპარა და გულოც.

ამირას კაცები არსად ჩანდნენ, ხალხი ერთ ადგილას შეჯგუფულიყო და რა ბიჭი მოკლეს, რა ბიჭი მოკლესო, გაიძახოდნენ დანანებით. დაეჭვებული მელო ხალხში შევარდა, ალქაჯივით აქეთ ეცა, იქით ეცა, და სისხლით შეღებილ საკუთარ შვილს თავზე წაადგა. ვიღაცას მკერდიდან ისარი ამოეგლიჯა და სისხლიანი იქვე ეგდო.

— კეწეწა, შვილო! — შეჰკივლა მელომ და მკვდარს ზედ დაემხო. დიდხანს ქვითინებდა და გულში იკრავდა გაციებულ შვილს, ხანდახან წამოსწევდა თავს და გარშემოჯარულ ხალხს საწყალობელი თვალებით ეკითხებოდა:

— რისთვის მომიკალით, ხალხო, შვილი? რა დაგიშავათ, თქვე უღმერთოებო? — შემდეგ ისევ დაემხობოდა ზედ და ჩუმად ქვითინებდა.

მოვიდნენ ბაზრის მუჰთასიბები. მკვდარზე გადამხობილ დედას წამოყენება დაუპირეს, მელომ მათ მკლავი გამოგლიჯა და იგივე კითხვა გაუმეორა:

— რისთვის მომიკალით შვილი, თქვე უღმერთოებო, მითხარით მაინცა!..

მუჰთასიბებმა ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს არაბულად, წავიდ-წამოვიდნენ, მოიყვანეს ბაზრის ურემი, კეწეწა ზედ დაასვენეს და მელოს ჩააბარეს, მკვდარი შინ წაასვენე და ურემი საღამოს დაგვიბრუნეო — უბრძანეს.

მელომ მუჰთასიბებს წყევლა-კრულვა დააყარა და კვილი მორთო. მკვდარი ბავშვი შინ როგორ მივიყვანოო. მუჰთასიბები გაბრაზდნენ,

ცხედარი ბაზრიდან გაიტანეთ, თორემ როგორც უპატრონოს, დაგრ-
ძალავთო.

მელოს შეეშინდა, მკვდარი მართლა არ წამართვანო, ხარებს წინ
გაუძღვა და ურემი ბაზრიდან გაიყვანა. გულომ ღერღეტები და ინდა-
ურის ჭუკი მოდენა.

მელომ თავსაფარში შემალა თავპირი, ჩუმი მოთქმით გაუყვა გზას
ლეღვთახევისაკენ, უკან ურემი მოჰყვებოდა, ურემზე კეწეწა ესვენა,
სულ უკან თვალცრემლიან გულოს წკნელი ეკავა ხელში და თავის
სამ ღერღეტსა და ინდაურის ჭუკს მიდენიდა შინისაკენ. ასეთი საზა-
რელი სურათი ტფილისელებს არ ენახათ, გულისპირგასისხლიანებული
ჭაბუკი პირაღმა ესვენა ურემზე, ქვეშ თივა ეგო, ჭაბუკის სისხლს თივა
შეეფერა, ბიჭი თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა იქნებოდა, ყვინჩილასა-
ვით წამოჩიტული ურმის მთელ სიგრძეზე გაშოტილიყო, გრძელი
კისერი, წვრილი მხრები, გათეთრებულ საულვაშეზე ქერა ღინღლი
მნახველს ამცნობდა, რომ სარკინოზებს ნორჩი სიცოცხლე მოესპოთ.
გაციებულ შვილის ცხედარს დედა მიუძღოდა წინ, უკან კი და მოტან-
ტალებდა სამი ბატითა და ერთი ჭუკით. დედას ტანჯვით გამოზრდილი
უფროსი შვილი მკვდარი უნდა მიეტანა დასაქცევ გომურ-მიწურში.
რა ეთქვა ბავშვებისათვის? როგორ აეხსნა პატარებისათვის, რომ სარ-
კინოზებმა კეწეწა მოუკლეს... რატომ მოკლეს, რა დააშავა ბიჭმა...
მელოს ხეირიანად არც გამოუკითხავს კეწეწას მკვლელობის ამბავი.
ამისთვის იქ, ბაზარში, მას არ ეცალა. შვილმკვდარ დედას შვილი
უნდა ეტირა, შემდეგ, ცხედარი არ წამართვანო, ურემი შინისაკენ გა-
მოაქანა. ახლა გაუჩნდა ეს ფიქრი, გულოს მოხედა უკან და ქალაქიდან
რომ გავიდნენ, დაუძახა.

მელომ ურემი შეაჩერა, უღელს მკლავებით დააწვა და ზედ თავიც
დაადო, დაღლილს ფეხზე დგომა უჭირდა, დაისვენა. გულომ ღერღე-
ტები ახლოს მიდენა და დედას უამბო კეწეწას მკვლელობის ამბავი.
„თქვით „არა“, ცხვრებო, თქვით „არა“! — ხალხს ეუბნებოდაო, ამა-
ყად უყვებოდა გულო დედას კეწეწას გმირულ საქციელს. მელომ შე-
ატყო რომ გულოს მოსწონდა ძმის საქციელი, ბავშვი თვალებანთებული
ჰყვებოდა, რა არწივივით შეფრინდა კეწეწა კასრზე და სარკინოზები
როგორ დაიფრინა.

მელო იხსენებდა: კეწეწა ერთხელაც ცხვირ-პირ დასიებული დაბ-
რუნდა შინ, თურმე სარკინოზების ჯინაზე არ დაიჩოქეს ბიჭებმა, იო-
ანე მოძღვარს მიბაძეს და ხელისუფალნი გაახლეს, „იმ ანაფორიანმა
დამიღუპა შვილი“, — გაუელვა თავში მელოს და იოანე გაახსენდა.

სხვას ვის შეეძლო ჩაენერგა ყმაწვილისათვის სარკინოზებს წინ ადგომოდა, თუ არა იოანეს.

წკნელივით წვრილ და წვნიკა წვივებიან გულოსაც კი სხვა სხვა ჩასდგომოდა თვალებში და ძმის თავგადასავალს ბავშვივით კი არ ჰყვებოდა: არწივივით შეფრინდა კეწეწა კასრზე და სარკინოზები დაიფრინაო, ბავშვს რატომ უნდა ჰქონოდა ასეთი აზრები, რატომ მოსწონდა ძმის საქციელი, მას ხომ სიკვდილი მოჰყვა. მელო გულოსკენ ეჭვით აპარებდა თვალს, ნუთუ კეწეწამ, იოანეს წყალობით ბალღებიც მომიწამლაო.

ლეღვთახევი რომ გამოჩნდა, მელოს მინდვრებსა და ღელეებში მორბენალი კეწეწა დაუდგა თვალწინ და ხმამაღალი მოთქმა წამოიწყო, ველ-მინდვრებს მოთქმით აუწყებდა კეწეწას დაღუპვის ამბავს.

ერისმთავრის სასახლეში, თვით ამირას მოხელეთა შორისაც იოანეს შეპყრობას არ მოელოდნენ. ამირა ალი ჰასანის გულისყური მიმართული იყო სამოელ კათალიკოსისაკენ, იოანე თითქოს არავის ახსოვდა.

სამოელ კათალიკოსს დიდი გავლენა ჰქონდა ქრისტიანულ სამყაროში. სამოელმა აღმოსავლეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებლები მტკიცედ შემოიკრიბა გარშემო და მონოფიზიტებსა და ხატმბრძოლებს ბრძოლა გამოუცხადა.

მცხეთას დაუმორჩილა ივერიის ძველი ეკლესია-მონასტრები და ქართული წირვა-ლოცვა თითქმის ყველგან აღადგინა.

ანტიოქიასა და კონსტანტინეპოლს ზურგი აქცია როგორც ხატმბრძოლებს და მცხეთა განადიდა.

არა მარტო ქათლის ძენი ეთაყვანებოდნენ მცხეთას, მცხეთაში ეკურთხებოდნენ გუთელი, ხაზარი, ჯიქი მღვდელმთავრები, მათ აღსაყდრებას სამოელ ქართლის კათალიკოსი უნდა დასწრებოდა, სამოელს უნდა დაესხნა ხელნი. თვით არაბი სპარსი თითო-ოროლა ქრისტიანებიც მცხეთას შეჰყურებდნენ იმედის თვალით.

როცა სამოელს შინპყრობილება გამოუცხადეს, პირველად იწყინა და ითაკილა, მაგრამ მალე ბრძოლის ახალი გზა გამოძებნა. ქართული ეკლესია საბოლოოდ უნდა დაეფუძნებინა ეროვნულ ნიადაგზე. ეკლესიიდან ბოლოს და ბოლოს უნდა გაეძევებინათ ხატმებრძოლთა ენა და ჭეშმარიტ ქრისტიანთა ენა — ქართული ენა უნდა დაემკვიდრებინათ. ქართველი ხუცები ჯერაც თავიანთ წმინდა წიგნს ევანგელეს ეძახდნენ, მშვენიერ ქართულ სიტყვას — სახარებას რატომღაც გვერდს უვლიდნენ, სიტყვა ჟამისწირვა დავიწყნოდათ და ბერძნულ ლიტურ-

ღიას ამჯობინებდნენ, საყდარს ეკლესიას არქმევდნენ... ღვთისმსახურების ენა ანკარა უნდა ყოფილიყო, ვითარცა მთის წყარო. ქართულ ენას შეეძლო ღვთისმსახურება, სხვათა დახმარება არ სჭირდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორივე შინპყრობილი — სამოელიცა და იოანეც მართლაც შინპყრობილნი ისხდნენ და წერდნენ: იოანე აბოს წამებას წერდა, — სამოელი კი ქართველი მღვდელ-მონაზვნებისთვის ეპისტოლეებს. ეპისტოლეებში კათალიკოსი, ღვთის მსახურებთან ერთად, მღვდლებსა და დიაკვნებს, მგალობელთა და მკითხველთ ქართულ ენას ასწავლიდა. საყდრების მსახურთ მოუწოდებდა ხატმებრძოლთა სიტყვები ქართული სიტყვებით შეეცვალათ. ყველა ბერძენი არ იყო ხატმებრძოლი, ეს სამოელმა კარგად იცოდა, ბერძენ მართლმადიდებლებს თავის მრევლად თვლიდა კიდეც.

ხანგრძლივ მონობაში ქართველ ხუცებსაც კი დავიწყნოდათ მშობლიური ენა, შეჩვეოდნენ სხვათა სიტყვებს და ვერ ელეოდნენ. ზოგს წირვა-ლოცვა ბერძნული ენის დაუხმარებლად ვეღარც კი წარმოედგინა. ანტიოქელ და კონსტანტინეპოლელ მამათა ხატმებრძოლობა სამოელს სწორად უნდა გამოეყენებინა. ხატმებრძოლთა ენა დაარქვა ბერძნულ ენას და ამით ქართულ ენას ეკლესიაში ფუძე გაუმაგრდა, ხუცებმა მართლაც დაუწყეს გაძევება ბერძნულ სიტყვებს და ძირძველ ქართულ შესატყვისებს დაუწყეს ძებნა.

შურტებმა კათალიკოსის ახალი საქმიანობა შეატყობინეს ამირას, მაგრამ ამირას ძალა არ შესწევდა რამე ეღონა, მპყრობელი საგონებელში ჩავარდნილიყო. არ მოსწონდა კათალიკოსის შინპყრობილობა. ქვეშეცნეულად ქართველთა ღმერთის ეშინოდა, კათალიკოსის შინპყრობილობის დამალვაც შეუძლებელი ჩანდა, დღეს თუ ხვალ მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთი გაიგებდა ამ ამბავს და ხალიფატს სახელი გაუტყდებოდა. შემორიგება გადაწყვიტა, განაზრახი სტეფანოზ ერისმთავარს გაანდო.

სტეფანოზმა უმალ შეკრიბა ეპისკოპოსები და სასიხარულო ამბავი ამცნო: ამირა ალი ჰასანი ქართლის კათალიკოსს შინპყრობილობისაგან ათავისუფლებს და ჯამაათის წევრობას სთავაზობსო. ერისმთავრის აზრით, ეს დიდი პატივი იყო, ქართველ მღვდელ-მონაზვნობას და მათ საჭეთმპყრობელს სამაგიეროდ ეკლესია-მონასტრებში უტყუველი ქრისტიანული წესი და რიგი უნდა დაემყარებინათ, აბოს მაგალითი არ უნდა განმეორებულიყო, წირვა-ლოცვა იმ ენაზე უნდა აღესრულებინათ, რა ენასაც მრევლი მოისურვებდა, ეკლესიის გაერთიანებისთვის

ზრუნვაც არ იძლეოდა სასურველ შედეგს. კათალიკოსის ამგვარი მოღვაწეობა საამიროში შფოთსა და არევ-დარევას იწვევდა და საბოლოოდ ხალიფატის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანოზ ერისმთავარი სულიერ მამებს ამირა ალი ჰასანის სახელით ელაპარაკებოდა და თხოვდა მათ, როგორმე დაეყოლებინათ სამოელი, რათა ქართლში ბოლოს და ბოლოს მშვიდობა და ურთიერთკეთილგანწყობა ჩამოვარდნილიყო.

სტეფანოზ ერისმთავარს, მით უფრო კათალიკოსს, ალი ჰასანის ნამდვილი განზრახვის გაგება არ შეეძლოთ. ალი ჰასანს ჯერ იოანე უნდა ჩამოეცილებინა, ამიტომ ესწრაფოდა სამოელის შემორიგებას. თუ იოანეს სასტიკად დასჯიდა, საბოლოოდ ლახვარს ჩასცემდა ქართველობას და სამოელსაც შიშისქვეშ ამყოფებდა.

ეპისკოპოსებმა ერისმთავრის დანაბარები კათალიკოსს მორიდებით ამცნეს — სამოელმა ჯამაათის წევრობა შეურაცხყოფად მიიღო, ღვთის მსახურს სატანის მსახურებას რად მკადრებენო, მაგრამ წყენა არ გაუმხელია. ამირას მადლობა შეუთვალა თავისუფლებისათვის, ჯამაათის წევრობა კი მღვდელმთავარს არ შეჰფერის, ორთა უფალთა მონებას სჯული გვიკრძალავსო.

სამოელის გამოგზავნილი წიგნი ჯერ ერისმთავარს მიართვეს, ალი ჰასანის შეეშინდათ, ვაითუ გაწყრეს და კათალიკოსი კვლავ შეიპყროსო. სტეფანოზმა გადაიკითხა უსტარი. სამოელი თავმოდრეკილი უხდიდა მადლობას ალი ჰასანს, ეკლესია-მონასტრებში სანიმუშო წესრიგსაც ჰპირდებოდა, ერთგულებასა და თანადგომასაც სთავაზობდა, მაგრამ ჯამაათის წევრობაზე უარს ამბობდა. ერისმთავრის აზრით, ეს უარი არ იყო საშიში. კათალიკოსს მართლა არ შეეძლო ორთა უფალთა მონება, საშიში სხვა რამ ეჩვენა სტეფანოზს. წიგნის ბოლოში სამოელი წერდა: „ვერც ქართულ ენას შევცვლი სხვა ენით, დასაბამიდან ქართლში თვინიერ ქართულისა, სხვა ენა არა იზრახებოდაო“.

ერისმთავარმა ამ წინადადების შეცვლა მოითხოვა. სამოელის გამოგზავნილი კაცები უკან გაბრუნდენ და კათალიკოსს ერისმთავრის სურვილი გადასცეს. სამოელმა უარი თქვა წინადადების შეცვლაზე. ერთ კვირას გრძელდებოდა მიწერ-მოწერა და მისვლა-მოსვლა კათალიკოსსა და ერისმთავარს შორის. ბოლოს სამოელმა მაინც თავისი გაიტანა, წიგნი ამირას იმ სახით მიართვა, როგორც პირველად დაწერა. სამოელს თავისუფლება მაინც ებოძა.

სტეფანოზ ერისმთავარი სამოელის თავისუფლებამ, ამირა ალი ჰასანის კეთილმა დამოკიდებულებამ ქართველი ერისადმი დააიმედა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აფხაზეთში კაცები გაგზავნა დედაწულის ჩამოსაყვანად, ოგონა, რომ ქართლში ნანატრი მშვიდობა საბოლოოდ დამყარდაო.

სწორედ ამ დროს შეიპყრეს იოანე.

სტეფანოზ ერისმთავარი სასახლეში დაიბარეს და გრიგოლს გამოგზავნილი უსტარი წააკითხეს. ჭაბუკი ხუცესი თავის მოძღვარს სწერდა, თუ როგორ ექციათ უდაბნოდ სარკინოზებს ქართველთა ძველისძველი სამკვიდრო, როგორ აღადგინეს ღვთის მსახურება ქართულ ენაზე ოპიზას, ხანძთას... რა წვალებით აღაშენეს ძელის საყდარი ხანძთის უდაბნოში, არ გააჩნდათ ცული და წერაქვი, არც სხვა სამუშაო სახმარი... ისე ააგეს სენაკები ძმათათვის და საოსტიგნე...

შემდეგ გრიგოლი აშოტ ერისთავის ამბავს იწერებოდა: სული ჩაუდგა თურმე თავის მამულს, აღაშენა, მკვდრეთით აღადგინა ციხე-ქალაქი არტანუჯიო.

გრიგოლი აშოტ ერისთავს გმირად სახავდა, იწერებოდა, რომ ის ამჟამად ბიზანტიაში იყო წასული, იქიდან ლაშქარმრავალი დაბრუნდებოდა და ქართლს გაათავისუფლებდა.

„მამაო, გადაეცით ქართველ ძმებს, — წერდა ბოლოს გრიგოლი, — სარკინოზების დღეები დათვლილია, მესია ტაო-კლარჯეთიდან მოევლინება თბილისსა და მცხეთას!..“

იმ უსტარში მიქაელიც იყო ნახსენები, გრიგოლი მიქაელს დამხმარედ იხმობდა ტაო-კლარჯეთში.

სტეფანოზ ერისმთავარი ცოცხალ-მკვდარი კითხულობდა საზარელ სტრიქონებს, კითხვა ჯერ არ დაემთავრებინა, ამირამ წინ სხვა წიგნი დაუდო. ეს კიდევ რაღააო, გაავებულმა ჩაიხედა შიგ: „წამებაი წმიდისა და ნეტარისა“... ხმადაბლა დაიწყო კითხვა, უცებ გაჩუმდა ელდანაკრავივით და „ჰაბოისი“ ამოიკითხა ხმამაღლა, ამირას შეხედა შეშფოთებული თვალებით.

— შემთხვევით იპოვეს იმის სენაკში... — უთხრა ამირამ.

სტეფანოზი წიგნს ჩაუჯდა და ჩუმად წაიკითხა, ოფლს ხშირ-ხშირად იწურავდა შუბლიდან და ამირას დამნაშავესავით შესცქეროდა ყოველი გვერდის შემდეგ.

— თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა ეკუთვნის ამის დამწერს! — ბოლოქრობდა ამირა, დაადგებოდა თავზე ერისმთავარს და ადგილებს თვითონ უკითხავდა, ქართული კითხვა არ იცოდა, მაგრამ მცოდნეთ ჩაენიშნათ ავი გვერდები, ზეპირად კითხულობდა საეჭვო ადგილებს, შეუმცდარად ადებდა თითს, სადაც, მისი აზრით, უგვანი სიტყვები ეწერა: „... ესე ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქუაშე დამონებულნი და

ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა ოკონითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი...“ — ამის დამწერი ხალიფატს ძირს არ უთხრის, ერისმთავარო? — გააფთრებული ეუბნ ... ლობდა ამირა, — ასეთი წიგნები იწერება თქვენს ეკლესია-მონასტრებ ... ში... დაუძახეთ ერისთავებს, შეკრიბეთ ერი, ხვალვე სიკვდილის მოედანზე ჩამოვახრჩობთ საბანისძეს.

სტეფანოზ ერისმთავარს ერთი სიტყვა არ დასცდენია, გაჩუმებული, თავდახრილი იდგა გაცეცხლებული მბრძანებლის წინაშე, თითქოს თვითონ დაეწერა შავი წიგნი. რა უნდა ეთქვა, რა ჰქონდა სათქმელი... მწუხარე დაბრუნდა სასახლეში, მოხელენი იხმო, იოანე საბანისძის შეპყრობის ამბავი დარბაზის ერს აუწყა და ერისა და ერისთავების ტფილის-ქალაქში შეკრება ბრძანა.

იოანე დიდხანს აღარ უწამებიათ. ამირა მზად იყო შეპყრობისთანავე თავი მოეკვეთა ბერიკაციისათვის. ამირას აზრით, იოანეს ავკაცობას თვით მისი ხელით ნაწერი წიგნი ღაღადებდა. მსჯავრდებული ხალიფატს ებრძოდა, შარიათი ასეთ „მებრძოლთათვის“ სიკვდილს ბრძანებდა. დღესავით ნათელი იყო საბანისძის საქმე, დაყოვნება სიკეთეს არ მოიტანდა. კანონი დროზე უნდა აღსრულებულიყო.

მაგრამ ვიდრე საბანისძეს თხემისა ადგილისაკენ წაიყვანდნენ, ყოველი ქართველი მის მტრად უნდა ექციათ. ამირა ალი ჰასანსაც და ჰაჯიჯი იბნ ალ-ბაბაქსაც ასეთი ბრძოლის დიდი გამოცდილება შეეძინათ. მათ წინასწარ დასახული გეგმა ჰქონდათ და იმ გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. ჯერ თვით საბანისძე უნდა გამოეცხადებინათ ქართველი ერის მოღალატედ. შემდეგ ერი უნდა აეფორიაქებინათ, გაეწამებინათ ისე, თავმობეზრებულს თვითონ დაესაჯა თავისი შვილი.

მთელ ქართლს, ტფილისსა და მის შემოგარენს რაზმებად მოედვნენ. ამირასა და ერისმთავრის კაცები, შურტები, მავალები, საარაბო ხარკის ამკრეფი მოხელენი სათითაოდ ყველა სახლში შედიოდნენ და ამოწმებდნენ, გადახდილი ჰქონდათ თუ არა ხარკი, არჩენდნენ თუ არა ორ მოლაშქრეს. ხარკი ვისაც არ გადაეხადა, ძალით ართმევდნენ, ვისაც ერთი მოლაშქრე ეყენა, მეორეს უსახლებდნენ. ამირასა და ერისმთავრის კაცების გამოჩენას უბანში წივილ-კივილით ხვდებოდნენ, მოხელეთ ნაბრძანები ჰქონდათ, რაც უფრო დიდ წინააღმდეგობას გაუწევდნენ მოხარკენი, მით უცრო დაეწიოკებინათ და დაეშინებინათ.

ტფილის-ქალაქს ორ დღესა და ღამეს არ ეძინა. არ დარჩენილა

არც ერთი ბინა, არც ერთი ჭიშკარი, სადაც შურტები და მავალები არ შევარდნილიყვნენ მუქარითა და დედის გინებით. რაკი ხელისფალთაგან ნებართვა აიღეს, შურტებმა, მავალებმა და მოლაშქრეებმა ტფილისი და ახლომახლო დაბები მოითარეშეს, გაძარცვეს, გაიტაცეს, რისი წაღებაც და გატაცებაც შეეძლოთ, ზოგან სისხლიც კი დაინთხა.

მეორედ მოსვლას ქართლში ამ ჟამისათვის მწიგნობარნი არ ვარაუდობდნენ, მეორედ მოსვლა დამდგარიყო.

ერის განუსჯელად ძარცვა-დაწიოკებას იოანე საბანისძის დასჯა დაერთო, ტფილისის ახლომახლო მცხოვრებთ, ყველა ტფილისელთ ებრძანათ აკლებული სახლ-კარის მიტოვება და მოედანზე შეკრება.

აბოს წამების საცქერლად ხალხი შურტებმა ძალით გამორეკეს შინიდან, ამჯერად ძალადობა არ დასჭირვებიათ, სულერთია შინ მაინც არ დაგვაყენებენო, თავიანთი ნებით დაიძრა ხალხი ამირას სასახლისაკენ.

ამირამ იოანეს დასჯა ჯამაათის თანდასწრებით ისურვა.

აბო არაბიელი იყო დედულ-მამულით, გამოუცდელი, გულუბრყვილო ჭაბუკი, მისთვის განაჩენის გამოტანა ალი ჰასანს არ გასჭირვებია, იოანეს კი ბრძოლის დიდი გამოცდილება გააჩნდა. იოანესთან სხვაგვარად უნდა ემოქმედა. ჯამაათი ზურგს გაუმაგრებდა, ჯამაათის თანდასწრებით განსჯიდა ტყვედქმნილს.

ამირა ალი ჰასანი მამა ბასილის სიკვდილმა აღაშფოთა. გაბოროტებულმა შურტების ასისთავს სამკლავურები ააგლიჯა და სამსახურიდან დაითხოვა.

მამა ბასილი იყო ერთადერთი ცოცხალი მოწმე, ვინც იოანესა და აშოტის საიდუმლო კავშირს დაამტკიცებდა. ეს მოწმე აღარ ჰყავდათ. ხომ შეიძლებოდა იოანეს გრიგოლის გამოგზავნილი უსტარი უარეყო, ეთქვა: არავითარი უსტარი არ მიმიღია, ყველაფერი შურტების მოგონილიაო?..

ამირამ ჯამაათი ჯერ საიდუმლოდ შეკრიბა, ორივე წიგნი, იოანეს ორი ძირითადი სამხილი ჯამაათის წევრებს გაატნო და მამა ბასილის დაღუპვაც აცნობა. სათითაოდ შეამზადა ყველა, ვის რა ბრალი დაედო პყრობილისათვის.

ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქს ფაქტებით უნდა ელაპარაკა, მოწმე შურტები მოეყვანა და საჭიროების შემთხვევაში დაეპირსპირებინა.

ვაზირს ჯამაათისთვის უნდა განემარტა, თუ რა ზარალი მიაყენა ხალიფატს იოანემ, აბომ, ნერსე და აშოტ ერისთავებმა, ეანგარიშა, რა

უჯდებოდა ხაზინას იოანეს დასჯა. რამდენი ადამიანი იძიებდა მის საქმეს და რამდენს უხდიდა მათ ამირას ხაზინა.

ყადი ბრალს დასდებდა იმაში, რომ ის ხელს უშლიდა ქართველთა გამაჰმადიანებას. ქართველ ერს სურდა მაჰმადს შედგომოდა, მაგრამ იოანე და მისი მსგავსნი აიძულებდნენ ერს სიბნელეში ყოფნას.

ერისმთავარი სტეფანოზი ჯამაათს უამბობდა, თუ როგორ წაიყვანა მან ერთხელ იოანე და ერი დაჰკითხა: ხალიფატის მფარველობა სურდათ თუ თავისუფლება. ერისმთავარი ახლა საჯაროდ დაუმტკიცებდა იოანეს, რომ ქართველმა ერმა თავისი ბედი თავისი ნებით სამუდამოდ დაუკავშირა ხალიფატს და არავის ჰქონდა უფლება წინაპართა ანდერძი დაერღვია.

ამირა ჯამაათის წევრებისაგან მოითხოვდა მთავარს: იოანე საბანისძისთვის ბრალად დაედოთ სამშობლოს ღალატი. ყველას ეს უნდა ემტკიცებინა და მსჯავრიც ღალატის შესაფერი გამოეტანათ.

ამირას მიაჩნდა, რომ ეს სამსჯავრო უფრო სახალხოდ უნდა გამართულიყო, ვიდრე აბოს სამსჯავრო იყო. მთელ ქართლს უნდა გაეგო იოანე საბანისძის დასჯის ამბავი, ხოლო ტფილისსა და მის შემოგარენში მცხოვრებთ საკუთარი თვალით ეხილათ ხალიფატის ურჩის მოკვდინება.

ჯამაათი დილით ადრე შეიკრიბა. ამირას სასახლე შურტებით, მცველებით, ჯალათებით, ამირას და ერისმთავრის კაცებით, ჩამოსული ერისთავებით და მათი მხლებლებით, სასახლის მოხელეებითა და მათი ახლობელ-მეგობრებით გაიჭედა. სასახლის წინა მოედანი მტკვრის ნაპირამდე ზღვა ხალხით გაივსო, დაიკეტა ქუჩებიბ, ბაზრები, სახელოსნოები, სავაჭროები, საბაჟოები, მთელი ტფილისი სასახლის წინ გამოეფინა.

ისე, როგორც აბოს დროს, როცა ხალხის დენა შენელდა, მოლაშქრეთა ასეულები გამოჩდნენ. მწყობრი ნაბიჯებით, არაბული შეძახილებითა და ამოწვდილი ხმლების კაშკაშით ჩამოუარეს სასახლეს, დალაგდნენ ოცეულებად, ხან განზე გაიშალნენ, ხან ჯაჭვისებურად გადაეპნენ ერთმანეთს და ქალაქის გალავნისაკენ გაემართნენ, გალავნის გაყოლებაზე გაიშალნენ და მთელს ქალაქს გარს შემოერტყნენ, შემოესალტნენ. მოლაშქრეთა განლაგება ტფილისის გარშემო დიდხანს გრძელდებოდა, ცხენოსანთა ასეულები ქალაქისაკენ ყოველისმხრიდან დაიძრნენ, თითქოს არაბთა შემოსევაა, ხალხი შიშმა აიტანა, ბოლმა გულში ჩაიხვია, გამწარებული მიეჯახა სასახლეს და მოთმინებადაკარგული დაელოდა იოანე ბერის გამოჩენას.

სასახლის წინ ხალხი შეჩოჩქოლდა, რა ამბავიაო, ყველა იქით მიაწყდა. იქ, ცხენზე ამხედრებული ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქი იდგა და ყველები გარს ეხვია. რა მოხდა, რა მოხდაო, ერთმანეთს ეკითხებოდნენ ცნობისმოყვარენი. ბაბაქს წინ გაუძღვნენ ხმალამოწვდილ [illegible] და ხალხში გზა გაუკაფეს. ბაბაქი ქალაქის დასათვალიერებლად გამოსულიყო, ხალხის მზადყოფნას ამოწმებდა, ბაბაქს უკან მოსდევდნენ ტაჯგანაგებით მცემელნი. ეს ჩამოვლაც ერის შესაშინებლად გამოეგონათ. ერიც შეჩვეოდა სარკინოზთა ხრიკებს. კარგად იცოდნენ, რომ ვიღაცას უეჭველად სცემდნენ ან შეიპყრობდნენ რამდენიმე საათით და საპყრობილეში ჩააგდებდნენ. დამნაშავე რომც ვერ ეპოვათ, უდანაშაულოს მოსდებდნენ შარს. ბაბაქი ხალხში ისე არ გაივლ-გამოივლიდა, რამე არ შეემჩნია. ხალხმა ეს იცოდა და გატრუნული ხვდებოდა მბრძანებელს.

ბაბაქსა და მის მხლებლებს შორს წასვლა არ დასჭირვებიათ, სასახლის წინა მოედანს რომ გასცდნენ, დუქანსა და დუქანს შორის მოფარებულში ცეცხლი შეამჩნიეს. ხელოსნებს ცეცხლი დაენთოთ და ეფიცხებოდნენ. ბაბაქს თვალი მოჰკრეს თუ არა, ცეცხლი უმალ ჩააქრეს, მაგრამ გვიანღა იყო. შურტათმთავარმა ცეცხლის დამგზნებთა შეპყრობა ბრძანა. ვინ იტყოდა, ცეცხლი მე დავაგზნეო! ვინც ახლომახლო იდგა, ყველანი შეიპყრეს და ტაჯგანაგების ცემით საპყრობილისაკენ გარეკეს. შეპყრობილთ შორის მთლად უდანაშაულონიც აღმოჩნდნენ.

— მიშველეთ, ხალხო! — გაჰკიოდა ერთი პყრობილი, — არაფრისთვის მღუპავენ, ჩემს ღმერთს გეფიცებით... შეიბრალეთ ჩემი ცოლშვილი, ხალხო!.. — სასოწარკვეთილი ფეხებს ფშეკდა და მიწაზე წვებოდა, წასვლა არ უნდოდა. გაჯიუტებული იქვე წამოაქციეს, საჯაროდ გაჯოხეს და საპყრობილეშიც წაათრიეს. უდანაშაულოდ შეპყრობილებს ქომაგნიც გამოუჩდნენ. ხალხსა და შურტებს შორის ხელჩართული ომი გაჩაღდა. მოვარდნენ ცხენოსანი მოლაშქრენი შურტების დამხმარედ და მიჯარული ხალხი ხელად მიჰფანტ-მოჰფანტეს. თავგატეხილნი, მკლავამოგდებულნი, დასისხლიანებულნი, ჭიდაობაში სამოსშემოძარცულნი უშვერად, მოურიდებლად ლანძღავდნენ სარკინოზებს და გაჩენის დღეს იწყევლიდნენ, ღმერთსაც კი სცოდავდნენ, უსამართლობას საყვედურობდნენ.

ბაბაქმა შემოვლა დაამთავრა.

აბოჟირებული ხალხი მოედანზე დარჩა. დიდხანს გაისმოდა ყაყანი და დავა ცეცხლის დამგზნებთა გამო. ზოგი სარკინოზებს ამტყუნებდა,

ზოგი—ცეცხლის დამგზნებთ. ჩვენა ვართ უწესონი, არც ისე ცივდა, ვერ მოგვეთმინა, ამირას სასახლის წინ ცეცხლის დაგზნება ვინ გაიგონაო — თავს იმტყუნებდნენ მხცოვანნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად იყო ცეცხლი, ფიჩხს მოუკიდეს ბიჭებმა, ამისთვის ხალხის დაწიოკება მართლა ურჯულოთა საქმეაო, დაობდნენ ყმაწვილნი.

— მოჰყავთ, მოჰყავთ! — გაისმა ხალხში. ზღვა უცებ აზვირთდა და სასახლის კარიბჭისაკენ იწყო დენა. ხალხის დიდ ნაკადს წინ მოლაშქრენი და სასახლის მცველნი გადაეღობნენ, ნაკადმა გეზი იცვალა და ახლა სხვა მხარეს მიაწვა.

— შეჩერდით, ხალხნო! — დაიძახა ვიღაცამ, — ერთმანეთს გავთელავთ!..

ხალხი მართლაც წამით შედგა. შურტებით და ჯალათებით გარსშემორტყმული იოანე გამოჩნდა სასახლის წინ, ჭაღარაშერეული წვერი მკერდამდე სცემდა, ბორკილებს მოაჟღარუნებდა და ხალხს ხარბად შესცქეროდა, ალბათ მიქაელს ეძებდა ან სამოელ კათალიკოსს. ისინი ხალხში იდგნენ ცალ-ცალკე და იოანეს გამოჩენას მოუთმენლად ელოდებოდნენ, როცა ხალხის ნაკადი იოანესკენ დაიძრა, ისინიც იქით მოაწყდნენ, მაგრამ შურტები და ჯალათები წინ კლდესავით აღიმართნენ და არ გაუშვეს. იოანემ ჯერ მიქაელი იპოვა, შორს იდგა, აქედან ვერაფერს ანიშნებდა, ვერც დაუძახებდა. სათქმელი არაფერი ჰქონდა, მაგრამ შვილთან მაინც ახლო ყოფნა ერჩია განსაცდელის ჟამს. ვერც მეგობარს მიაწვდინა მზერა, ჯალათები შუბის ბიძგებით ანიშნებდნენ, უკან ნუ იყურებიო. იოანე მიქაელზე ფიქრობდა. აბოს სამსჯავროზე მიქაელი ხალხში არ იდგა, სამსჯავროზე იყო. „ახლა ჩემ გამო არ შეუშვეს სასახლეში“ — გაიფიქრა პყრობილმა.

მიქაელისათვის არავის უთქვამს, სასახლეში ნუ შემოხვალო, უნებურად აღმოჩნდა გარეთ. რაც იოანე შეიპყრეს, ერისმთავარი დაუმძრახდა, ისე აუვლიდა და ჩაუვლიდა, თითქოს ქვეყანაზე არ იყო, არც ავს ეუბნებოდა და არც კარგს, მიქაელიც თავს არიდებდა, არ ეჩხირებოდა თვალში.

ჯამაათს მიქაელი ყოველთვის ესწრებოდა, ერისმთავრის უკან იდგა ამალაში, დღეს ერისმთავარმა არ იახლა, ალბათ მეც შეპყრობას მიპირებენო, ფიქრობდა შეშინებული, საცოდავად მობუზული იდგა შორს, ხალხში და სიკვდილმისჯილი მამის მხოლოდღა ჭაღარა თავს ხედავდა.

სამოელ კათალიკოსისათვის, მართალია, თავისუფლება ებოძათ, ახლა მის გვერდით, შურტების ნაცვლად, წილკნელი და ალავერდელი

წმიდა მამები იდგნენ, მაგრამ უმეთვალყუროდ მათ არავინ დატოვებდა. მოლაშქრეთა ოცეული მიეჩინათ, ვითომ წესრიგს იცავდნენ, წმინდა მამებს უკან დასდევდნენ და მათ ყოველ ნაბიჯს შურტებს სცემდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე სასახლის კიბეზე რომ გამოჩნდა, სამოელმა პირჯვარი გადასახა შორიდან, წმიდა მამებმაც შეხედეს მაღლა ღმერთს და „სახელითა მამისათა“... წაიდუდუნეს.

იოანეს პყრობილის ჯვალოს კაბა ეცვა. სიმაღლეს მატებდა ეს გრძელი და სრული კაბა. თავი ღირსეულად ეჭირა, არც სიხარული ეხატა სახეზე და არც შიში. მძიმე ნაბიჯი ჰქონდა და ფიქრიანი სახე. სასახლეში რომ შევიდა, შეძახილები შემოესმა, ისე წაეღო ფიქრს, რომ გვიან მიხვდა, მას რისხავდნენ და ღაღადყოფდნენ. „მოღალატე... მოღალატე!..“ იოანეს ღიმილს ჰგვრიდა დაქირავებულთა ძალად ბანრისხებული სახეები. მაშინაც, როცა ნერსე ერისთავთან ერთად პირველად შეიპყრეს, ამ მერყევმა და ურწმუნო თავყბებმა დაუძახეს „მოღალატე, მოღალატე“... რატომ ეძახდნენ? განა მართლა სწამდათ, რასაც როტავდნენ. არა, ამ ერთი სიტყვის წამოძახებისათვის დინარებს იჯიბავდნენ, ხომ ყველამ იცოდა, რომ ეს ასე იყო. ის ერთი სიტყვა, დროულად და მარჯვედ დაძახებული, თავის საქმეს მაინც აკეთებდა. ერთ-ორ ადამიანს მაინც არწმუნებდა, რომ მავანი და მავანი მართლა მოღალატე იყო.

იოანემ სასახლეში როგორც კი შემოდგა ფეხი, მოეჩვენა, რომ აქ მას მომხრე ერთი ადამიანიც არ ჰყავდა, სასახლის გარეთ კი სიკვდილის მოედანზე შეკრებილი მტკვრის პირამდე გაშლილი ეს ზღვა ხალხი, მის სიყვარულს მოეყვანა აქ. საკმარისი იყო იოანეს საერო სამოსი ჩაეცვა, ხელში ხმალი აეღო, ერი უყოყმანოდ გაჰყვებოდა ბრძოლის ველზე. სახელდახელოდ, სასახლის დერეფანში მოღალატეო რომ დაუძახეს, მაშინ შეთხზა ეს აზრი, სულს ძალა შესძინა ამით, გაიმხნევა თავი და ჯამაათს თავმოდრეკილი წარუდგა. ლახვაროსნები და შუბოსნები გვერდით მიდგნენ.

ადრე ჯამაათს ყადი იწყებდა. დღეს სხვა დღე იყო. ამგვარი ჯამაათი ტფილისში არც შეკრებილა. ამირა თვითონ იყო მსაჯული, სამსჯავროც მას უნდა წარემართა. ალი-ჰასანი აყოვნებდა, ღელავდა. წინ დაილაგა იოანეს სენაკიდან წამოღებული გრიგოლის გამოგზავნილი უსტარი, იოანეს ხელით ნაწერი წიგნები და ამღვრეული თვალები მიაპყრო განსასჯელს:

— შეჰფიცეთ სამსჯავროს, რომ არ იცრუებთ, გულწრფელად

იტყვით სიმართლეს!.. — თქვა ამირამ და ამბიონისაკენ გაიხედა, იქ ყურანი იდო. განსასჯელი წესისამებრ უნდა მისულიყო ყურანთან, ზედ ხელი დაედო და შეეფიცა ალაჰისათვის, რომ სიმართლეს იტყოდა. ამ წესს ყველა ასრულებდა, სიმართლის თქმა ჰქონდა თუ არა გუნებაში მაინც.

იოანე აღარ წავიდა ამბიონისაკენ. თავჩაკიდული იდგა და არ იძროდა. ამირა გაოცებული მიაჩერდა პყრობილს, „ნუთუ უარს იტყვის ფიცზე?“ — გაუელვა თავში ამირას. თუ უარს იტყოდა, ამირას რა უნდა ეღონა? დაიბნა წამით და ჯამაათს გადახედა.

— შეფიცეთ სამსჯავროს, რომ არ იცრუებთ, — გაუმეორა ამჯერად უკვე თხოვნის კილოთი ამირამ.

იოანე ოდნავ შეირხა. თავი აიღო, ჯამაათს გადახედა, სათქმელი ენის წვერზე დაიჭირა და გულმოკლული კაცის ღიმილი გადაეფინა გაბურდულ თმა-წვერზე.

ამირას აღშფოთებისაგან თვალები გადმოეკარკლა. ხალხმა და ჯამაათმაც ამოიგმინა. ერთკვირიანი სამზადისი წყალში უნდა გადაეყარათ. თითქოს ყველაფერი წინასწარ აწონ-დაწონეს, იცოდნენ რა ეთქვათ, საით წარემართათ სამსჯავრო, რა სასჯელი გამოეტანათ... როგორ აღესრულებინათ განაჩენი... თუ პყრობილი ფიცზე უარს იტყოდა, წინასწარ ეს არავის უფიქრია.

— წესს თუ არ დაემორჩილებით, ამისთვის ცალკე სასჯელი მოგელით! — ხმა გაუტყდა ამირას.

ბაბაქს თავის შეკავება გაუჭირდა, წამოდგა, ერისმთავართაი ძივიდა და რაღაცას ხმადაბლა უმტკიცებდა. ვაზირმა ყადისკენ მიაბრუნა პირი. ჩურჩულმა გაირბინა ამირას დარბაზში.

— ჰფიცავთ თუ არა?! — მოთმინება დაეკარგა ამირას.

— ისმინეთ კეთილმორმწუნე ბერის მართალი სიტყვა, მსაჯულო ამირა, — ხმა გაიღო იოანემ, დინჯად და დამარწმუნებლად საუბრობდა: — ისმინეთ ჯამაათო და დარბაზის ერნო!.. — ქართლის მიწაზე გარდმოვარდა ვეშაპი იგი დიდი გუელი, რომელი აცთუნებს ყოველსა სოფელსა... მოვიდა და დაემკვიდრა „ზღვით ამომავალი მხეცი, რომელსა აქუნდეს ათნი რქანი, შვიდნი თავნი“... დაბნელდა მზე ქართლისა და თაყვანსა სცემენ მხეცსა...

ამბობენ: „ვინ არს მსგავს მხეცისა მის? ვინ შემძლებელ არს ბრძოლად მისა?“

ყოველნი, რომელთა არა თაყვანი სცენ ხატსა მხეცისასა, მოიკლნენ“...

განა ცხადი არ არის, ჩემი მოკვდინება მხეცის მსახურთაგან საწადელია. აიღეთ ბოძალი და მომაკვდინეთ! სრულ კაცთაგან ეარ ჭვრ
არს მოტყუება სხვისა და თავისა. დაე, აღსრულდეს უთქმელი!

ჯამაათი და ხალხი აჩოჩქოლდა:

— საქმეზე ილაპარაკოს!

— პასუხი აგოს!..

— ჭკუის სწავლებას თავი გაანებოს!..

ამირამ ხელი ასწია, სიჩუმე მოითხოვა.

— ბობოქრობს მხეცი იგი არა მხოლოდ ქართლსა შინა, — ინდის ხეობიდან ვიდრე ისპანიამდე! — კვლავინდებურად დინჯი კილოთი განაგრძო იოანემ. — ხოლო წერილ არს: „როცა ზღვით აღმომავალი მხეცი ქვეყნიერებას დაეუფლა, უფალმა გულისწყრომით შვიდნი ლანკნაი* აავსო, შვიდ ანგელოზს მისცა და უბრძანა, დასთხიეთო.

ერთი წავიდა და დასთხია ღვთის გულისწყრომით სავსე ლანკნაი თვისი ქვეყანასა ზედა და იქნა შალვაი ბოროტი კაცთა ზედა, რომელთაცა აქუნდა ბეჭედი იგი მხეცისაი და თაყუანს სცემდეს ხატსა მისსა.

მეორემან ანგელოზმან დასთხია ზღუისა ზედა. ყოველი სული, რომელი იყო ზღუისა შინა, მოკუდა.

მესამემან დასთხია მდინარეთა და წყაროთა ზედა და გარდაიქცეს წყალი სისხლად.

მეოთხემან ანგელოზმან დასთხია ლანკნაი თვისი მზესა ზედა. დაიწუნეს კაცნი სიცხითა დიდითა.

მეხუთემან დასთხია საყდარსა მას ზედა მხეცისა მის და იქმნა მეუფებაი მისი დაბნელებულ.

მეექუსემან დასთხია მდინარესა ზედა დიდისა ევფრატისა და გახმა წყალი მისი.

მეშვიდემან ანგელოზმან დასთხია ლანკნაი ჰაერსა ზედა... და იქმნეს ელვანი და ქუხილნი და ხმანი ძვრაი დიდი... და სეტყუაი დიდი მოვიდა ზეცით...

გეშინოდეთ ღვთის გულისწყრომის, ქართლისა მპყრობელნო!

ქართლისა და ქართველი ერის წამებას უფალი არ გაპატიებთ. ქართველი ერი უფლისმიერი მირონცხებული ერია.

გეშინოდეთ ქართველი ერის გულისწყრომის!

— გაჩუმდი, ღრიანკალო!.. — შეჰყვირა ამირამ. შუბოსნები და ლახვაროსნები ამოძრავდნენ. ჯალათებმა რკინის კვერთხი შემოიტანეს.

---

* კალათა.

„ღრიანკალი“ ამირას შემთხვევით არ წამოცდენია. გააფთრებულ ქამს ამბობდა ამ სიტყვას.

ამირას უფლება ჰქონდა თვითონ მოეკვდინებინა განსასჯელი ერთი დაკვრით ამთავრებდა სამსჯავროს. მაშინ სხვა სიტყვას ვარ-მოთქვამდა: „ღრიანკალის“ ხსენება იმას მოასწავებდა, რომ განსასჯელი ქვეწარმავალივით თავის გაჭეჭყას იმსახურებდა. რკინის კვერთხიც ამიტომ მოჰქონდათ.

წამით საზარელი სიჩუმე ჩამოწვა. ამირამ კვერთხი ხელთ იპყრა და წამოდგა.

— უკანასკნელად გაფრთხილებ, დაემორჩილე სამსჯავროს! წინ მიდევს შენი ხელით დაწერილი შავი წიგნი!.. ეს წიგნი გეყოფა, რომ ჩამოგახრჩო, წიგნი თვითონ ღალადებს შენ უკეთურებას, ძირს უთხრი ხალიფატს, მოღალატე ხარ ქვეყნის, აი, ეს წიგნი გდებს ბრალს! ამაზე რად დუმხარ?..

— იმას მოგახსენებთ სწორედ, დიდო მსაჯულო! — შეაგება იოანემ შეცვლილი კილოთი, — ინდის ხეობიდან ისპანიამდე წყვდიადი თქვენ, სარკინოზებმა დაამკვიდრეთ ქვეყანაზე. და აი, ამ წყვდიადში აინთო ერთი სანთელი — წმინდა მოწამე აბო! ვინც უარი თქვა მჩაგვრელობაზე და ჩაგრულთა ღმერთს შეუდგა. თქვენ ეს სანთელიც ჩააქრეთ. ეს წიგნი მართლა ბრალდება გახლავთ, მაგრამ არა ჩემდა მომართ, არამედ თქვენთვის. თქვენ ერებს მოევლინეთ მჩაგვრელად და თქვენი სამსჯავროც აქ უნდა გაიმართოს, ტფილისში, სადაც მრავალი ერი ჩამოასახლეთ ჩვენდა წასალეკად. ეს წიგნი დაგდებთ სწორედ თქვენ ბრალს, ბრალმდებელი იქნება იოანე საბანისძე, ხოლო მთავარი მსაჯული — ქართველი ერი!..

ამირამ კვერთხი მსახურთ გადაუგდო. შებრუნდა, თავის ადგილას დაჯდა, ჩანდა, ახალი ზრახვა გაუჩნდა.

— ჯამაათო! — მიუბრუნდა ჯამაათს, — ეს კაცი თავისმა ერმა განსაჯოს!..

იოანეს კვერთხისკენ ეჭირა თვალი, სწყუროდა კვერთხის ქვეშ მოკვდინება, აქ, პირისპირ ბრძოლაში ერჩია სიკვდილი ავაზაკივით მოედანზე თავის მოკვეთას. თავისმა ერმა განსაჯოსო, ლახვარივით ეცა გულზე. არ მოეწონა, თუ შეეშინდა, თუ დაიბნა, აირ-დაირია, დაკარგა გეზი, რა ეწადა ამირას? რა განიზრახა?.. დაბნეული თვალები ერისმთავარს მიაპყრო. ცოცხალ-მკვდარი სტეფანოზი თავს მაღლა ვერ სწევდა ინახით მჯდომარე.

ჯამაათსა და ხალხს, ამირას პირად მცველებს დარბაზის ლახვარო-

სან და შუბოსან მსახურთ, თვით ჯალათებს სახეზე გაოცება და გაკვირვება ეხატათ. ამგვარი სამსჯავრო, ასეთი განაჩენი ჯერ არავის გაეგონა ამირას კარზე. ჩუმი ჩურჩული ნელ-ნელა ჩოჩქოლად ვადიდ იზარდა.

ბიბლიოთეკა

— ერისმთავარო! — გაისმა კვლავ ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ამირას მჭექარე ხმა, — წაიყვანეთ და თქვენ თვით განსაჯეთ!..

მხოლოდ ჰაჯიჯ იბნ ალ-ბაბაქი იჯდა მშვიდად. ბაბაქმა და მისმა კაცებმა კარგად იცოდნენ, რაც ხდებოდა ამირას სასახლეში. ერმა განსაჯოსო, ამირას უნდა ეთქვა ბოლოს, როცა განსასჯელს დაუმტკიცებდნენ სამშობლოს ღალატს და სიკვდილის განაჩენს გამოუტანდნენ. „მოთმინება აღარ ეყო“, — გაიფიქრა ბაბაქმა, მაგრამ ამირას ამჯერად აღარ ამტყუნებდა, აღშფოთებული იყო ბერის საქციელით. ბაბაქის აზრით, სიკვდილის განაჩენი ბერისთვის უკვე გამოტანილი იყო, ერისმთავარს მისი აღსრულება ევალებოდა.

გაფითრებული სტეფანოზი ფეხზე წამოდგა, ზარდაცემული იყო, გაოგნებული. მსგავსი რამ წინასწარ თათბირზე ამირას არ ეთქვა. ახლა რა ეღონა, როგორ მოქცეულიყო. იოანე გაეყვანა მოედანზე და თავი მოეკვეთა? თუ ახალი სამსჯავრო მოეწყო? ასე უეცრად? მოუმზადებლად?.. დაბნეულმა ერთხელაც შეხედა ამირას, რჩევას ითხოვდა.

— გაიყვანეთ! — ბრძანა ზიზღით ამირამ და მცველებმა იოანე წინ გაიგდეს. დამფრთხალი სტეფანოზი ჯერ უკან მისდევდა ჯალათებს, შემდეგ გონს მოეგო, თავი გაიმხნევა, წინ გაუძღვა განსასჯელს, სასახლიდან გაიყვანა, ზღვა ხალხის წინაშე პირისპირ რომ აღმოჩნდა, გაიფიქრა: „გაძევებას მოვითხოვ“. ფრთა შეასხა ამ აზრმა, უცებ იპოვა გამოსავალი, თითქოს ხალხმა შთააგონაო იოანეს გაძევება. დიდი ვახტანგის სამართალი სამშობლოს მოღალატეს გაძევებითაც სჯიდა. ამირამ რაკი იოანეს განსჯა ქართველ ერს მიანდო, სრული უფლება ჰქონდა ქართული სამართლით ეხელმძღვანელა. ერს ამცნობდა ამირასა და ჯამაათის გადაწყვეტილებას და იოანეს სამშობლოდან გაძევებას მოითხოვდა. მოატანინებდა სამართლის წიგნს, აქვე საჯაროდ წაუკითხავდა ერს.

თუ სარკინოზნი წინ აღუდგებოდნენ, ფარნავაზის სამართალსაც მოაძებინებდა მსახურთ. ქართული სამართლით ოდითგანვე სამშობლოს მოღალატეთათვის ორი უმძიმესი სასჯელი იყო დაწესებული: მოკვდინება და სამშობლოდან გაძევება.

რაკი იოანე ღმერთს მსახურობდა და არა ერს, რაკი ასაკოვანი

გახლდათ, უყმო და ულაშქრო, მისი ქმედება ხალიფატს დიდ ზიანს ვერ მიაყენებდა. ამიტომ, მისი აზრით, სამშობლოდან სამუდამო გაძევება სამართლიანი, და, ამავე დროს, მიუკერძოებელი სასჯელი იქნებოდა იოანესათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე სტეფანოზისგან წყალობას არ მოელოდა. ძალაუფლება წართმეულ ერისმთავარს, გულით რომ ნდომოდა, სასჯელს ვერ შეუმსუბუქებდა.

და მაინც იოანე გრძნობდა, თითქოს გული ეუბნებოდა, რომ სტეფანოზი მას არ მოაკვდინებდა. არ იცოდა, რა გზით, როგორ შეძლებდა ამას ერისმთავარი, გულით კი თავისი მოძღვრის სიკვდილი სტეფანოზს არ სურდა, ეს სახეზე ეხატა მას.

იოანე ხალხში მიქაელს დაეძებდა. მიქაელი არ ჩანდა. სამოელ კათალიკოსი კი შეამჩნია ხალხში, თავდახრილი იდგა. გატეხილი მოეჩვენა მწყემსმთავარი, გული ეტკინა. „მიქაელი ალბათ სულ მთლად უიმედოდაა...“ გაჰკრა ფიქრმა იოანეს. „ჩემი სიკვდილით უნდა მოვგვარო სიმხნე ერს“, — უცებ გაუელვა ამ აზრმა და ამაყად გაიმართა წელში.

საქციელწამხდარი ერისმთავარი მსახურთ დავალებებს აძლევდა. ხალხი ღელავდა და ბობოქრობდა. სიკვდილმისჯილი ჯალათებს უნდა გამოეყვანათ სასახლიდან, წაეყვანათ თხემისა ადგილზე და მოეკლათ ან ჩამოეხრჩოთ. ასეთი იყო წესი. ეს წესი ირღვეოდა. შურტები და ჯალათები ხალხს ერეკებოდნენ და სასახლის წინა მოედანს ათავისუფლებდნენ. სამსჯავრო აქ შუაგულ ხალხში უნდა გამართულიყო. ამ ამბავმა ხალხი კიდევ უფრო ააღელვა.

მოთმინებადაკარგულნი აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ილანძღებოდნენ და იგინებოდნენ.

როგორც იქნა, სასახლის წინ სახელდახელოდ გამართულ სამსჯავროზე მსაჯულის ადგილი დაიკავა ერისმთავარმა და ხალხს გააცნო ამირას გადაწყვეტილება:

— ერო ჩემო! თესლ-ტომნო ქართველთა, მკვიდრნო და ღვიძლნო იბერთა მიწისა! კეთილისმომქმედი და კეთილისმსურველი ამირა ბრძანებს: ქართველ ერისმთავართა ყოფილი მოძღვართმოძღვარი, ამჟამად ჯვრის მონასტრის ბერი, — იოანე საბანისძე, ბრალდებული ჩვენი დიდი სამშობლოს, მთელი ხალიფატის ღალატში, თვით ქართველმა ერმა განსაჯოსო.

იოანე საბანისძეს თქვენ კარგად იცნობთ...

— ხიდის ყურში! — დაიძახა ვიღაცამ ხალხიდან. სტეფანოზმა ვერ

გაიგო რა დაიძახეს, იმაზე ფიქრობდა, როგორ, რა სიტყვებით გამოეთქვა სათქმელი და საბანისძე სიკვდილს გადაერჩინა.

— ხიდის ყურში! — გაისმა კვლავ ერთგან, მეორეგან. ხალხი ჩოჩქოლდა, ვიღაც გზას მოიკვლევდა ბრბოში, ხელების ქნევით ხიდისაკენ ოდა ერისმთავრისკენ.

— მოგვეცით დამნაშავე! ერმა განსაჯოსო, ერი თქვენ არა ხართ!. — გაჰკიოდა კაცი.

— ერთი ურჩის გულისთვის მთელ ერს გვაწიოკებენ!.. სანამდე ველოდოთ ამათ, ხალხო! — დასჭექა ვიღაცამ ბოხი ხმით და მოულოდნელად სამსჯავროზე აიჭრა. მცველები წინ გადაუდგნენ და პყრობილი არ დაანებეს. თითქოს წინასწარ დათქმული ჰქონდათო, ხალხმაც იხუვლა და სამსჯავროს მიაწყდა.

— შეჩერდით! მოითმინეთ! ჯერ მსჯავრი არ გამოგვიტანია! — გაჰყვიროდა ერისმთავარი, მაგრამ მისი სიტყვები არავის ესმოდა.

— ხიდის ყურში! ხიდის ყურში! — გაიძახოდნენ ყოველისმხრიდან, მუქარითა და ყიჟინით მიიწევდნენ პყრობილისაკენ.

— ცხენოსანი შურტები მიხმეთ! — გაიძახოდა ერისმთავარი, — მოლაშქრეთ დამიძახეთ, ჩქარა!..

ერისმთავარს თავისი მარადის მცველი რაზმის მხოლოდღა მცირე სპა შერჩენოდა. დანარჩენები: შურტები, ჯალათები, მეტაჯგანაგენი, მეარგნენი, ვისაც ევალებოდა სამსჯავროსა და პყრობილის დაცვა, თვალს და ხელს შუა გაპარულიყვნენ. ერისმთავრის რამდენიმე მხლებელი და პირადი მცველი ზღვა ხალხს ვერ გაუმკლავდა.

აბობოქრებულმა ბრბომ იხუვლა, გადაქელა სამსჯავრო, გაიტაცა პყრობილი და აზავთებულმა მტკვრის სანახებისკენ გააქანა თავდაღმართში.

აღშფოთებული ერისმთავარი სასახლეში შებრუნდა, რათა პასუხი მოეთხოვა შურტათმთავრისთვის, ერისმთავრის აზრით, ჰაჯიჯ იბნ-ალ-ბაბაქმა და მისმა კაცებმა ვერ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა და ვერ უზრუნველყვეს პყრობილის დაცვა. ერისმთავარი ამირას აღელვებული ამცობდა მოედანზე მომხდარ ამბავს.

— დამშვიდდით, ერისმთავარო, ყველაფერი ისე ხდება, როგორც ალაჰს სწადიან... — უთხრა დინჯად ამირამ, — მე თქვენ გითხარით, ერმა განსაჯოს-მეთქი. დაე, განსაჯოს ერმა!.. დაიკავეთ თქვენი ადგილი. ჯამაათი მუშაობას განაგრძობს...

სტეფანოზს ეგონა, იოანე ხალხმა გაიტაცა. „ხიდის ყურში, ხიდის ყურშიო“, რომ გაიძახოდნენ, ახლაღა ჩაწვდა ამ სიტყვების აზრს.

ერისა და ქვეყნის მოღალტე უძველესი ქართული ხალხური ჩვეულებისამებრ სჯულისა, ხიდის ყურში ქვით უნდა ჩაექოლათ.

ნუთუ ჩასაქოლად წაიყვანეს მოხუცი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს მდუღარე გადაასხესო, გაწითლდა, შერცხვა თავისი თავის, ჯამაათის წევრებს შორის ჩაჯდა და სიმწრის ოფლი მოიწმინდა შუბლიდან.

„ხიდის ყურში! ხიდის ყურში!“ — გამუდმებით ჩაესმოდა ხალხის ხმა. „მოგვეცით დამნაშავე! ერმა განსაჯოს! ერი თქვენ არა ხართ!“ — თვალწინ ედგა იმ ადამიანის სახე, ვინც ამ სიტყვებს გაჰკიოდა ხალხში.

„ნუთუ ყველაფერი ეს წინასწარ შემზადდა“, — ფიქრობდა სტეფანოზი და ბაბაქს უმზერდა დაჟინებით.

ბაბაქი ერისმთავარს არც ამჩნევდა. ვეზირს უგდებდა ყურს, ვეზირი ჯამაათს ხაზინის ავლას აღუწერდა, ამირას უმტკიცებდა, რომ საკუთარი დამღით შეეძლოთ ფულის მოჭრა.

ისე საქმიანად, გულდინჯად ირჩეოდა ხაზინის ავლა, სასახლეში ისეთი სიმშვიდე სუფევდა, თითქოს გარეთ ადამიანს ქვით კი არ ქოლავდნენ, დაფნის გვირგვინით ამკობდნენ.

სტეფანოზს ბოღმით ევსებოდა გული: რა არ ენახა, რა არ გადაეტანა და განეცადა ერისმთავრობის ჟამს, მაგრამ რაც ახლა ხდებოდა მის გარშემო, როგორც ახლა გააცურეს და პირში ჩალა გამოავლეს, ასე არასდროს გაუცუცურაკებიათ.

„ნუთუ მართლა ჩაქოლავენ?..“ — ფიქრობდა ჩუმად სტეფანოზი. „განტვინვა“, — გაიმეორა ჩურჩულით, „ქვებს დაუშენენ და ტვინს დაანთხევენ... ხალიფას მოახსენებენ, რომ ქართველმა ერმა თვითონ ჩაქოლა ხალიფატის ურჩი მოძღვარი“...

სტეფანოზს ბოღმისაგან გული გასიებოდა, ფიქრისაგან თავი ტკიოდა. უკვე უაზროდ შესცქეროდა ამირას, გულისყური ხალხისკენ მიეპყრო, იქნებ გარედან ვინმემ ამბავი შემოიტანოსო.

ხიდის ყურშიო რომ დაიძახეს, იოანე იმ წამს მიხვდა ამ სიტყვების აზრს, ჩასაქოლად მიხმობენო, — გაუელვა თავში, ყურებს არ დაუჯერა. ჯერ იფიქრა მაშინებენო, შემდეგ ეჭვი შეეპარა, შურტები ხომ არ შეთქმულანო. დააკვირდა აბობოქრებულთ — ქართველებს ჰგავდნენ, ქართულ ენაზე იზრახვიდნენ, „ჩემი გატაცება უნდათ, სარკინოზებს ატყუებენ, ხიდის ყურში ალბათ გამიშვებენ“, — დაასკვნა საბოლოოდ და ბრბოს მხიარული სახით, ამაყად გაჰყვა. მოსალოდნელი თავისუფლება კი არ ახარებდა, ერის ასეთი თავგამოდება, დარაზმვა და ერთ მუშტად შეკვრა მოსწონდა და იმედს აძლევდა.

ბრბომ იოანე წინ გაიგდო, ჯერ შორი-შორ მისდევდნენ ლანძღვითა და გინებით. ხელის კვრით, ხვირთის ცემით მიაქანებდნენ თავდალმართში. ზოგნი ჰნერწყვავდნენ, ზოგნი წიხლავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანეს ჩქარი სიარული არ შეეძლო, პყრობილის ჯვალოს კაბის ქვემოთ ბორკილები ედო ხელებზე, ფეხებსა და ქედზეც.

ბრბოს წინ ბერიკაცი მიუძღოდა და იოანე იმას მიჰყავდა. ზოგჯერ ბრბო აზვავდებოდა, ბერიკაცს ხელიდან გამოგლეჯდნენ იოანეს, ცემა-ტყეპით გაიგდებდნენ წინ, ჩქარა იარეო, უბრძანებდნენ. იოანე ნაღვლიანად მოხედავდა მათ, აღარ შემიძლია ჩქარი სიარული, ჯვალოს ქვემოთ ბორკილები მადევსო, ხელით ანიშნებდა აყაყანებულთ. მაშინ წიხლის მცემელნი იმძლავრებდნენ და გამეტებით სცემდნენ.

ცემა-ტყეპასა და შეხლა-შემოხლაში იოანე დაბარბაცდა და დაეცა. გზის პირას გუბე ყოფილიყო, იმ გუბეში ჩავარდა. ხალხი ზედ მიაწყდა.

— აქვე ჩავქოლოთ! სად მიათრევთ ამ ბებერს! ასეთები სარკინოზზე უარესები არიან, ხალხნო! — გაახელა ბრბო ერთმა ახმახმა კაცმა.

— მოითმინეთ, მამა-პაპური წესითა და რიგით ჩავქოლოთ! — ბრბოს წინ აღუდგა ბერიკაცი. დაცემულს მივარდნენ და ცემით წამოაგდეს. ლაფში ამოგანგლული ზლაზვნით წამოდგა, უკან-უკან იყურებოდა და ეჭვი იპყრობდა: „ნუთუ ესენი ქართველები არიან?“... „გადაცმული შურტები მცემენ და მნერწყვავენ“... ამ ფიქრს სხვა ფიქრი მოსდევდა, მაცდური ფიქრი: „ჩამიყვანენ ხიდის ყურში და გამიშვებენ“...

იოანეს არ შეეძლო იმის დაჯერება, რომ ქართველი კაცი, ვისაც სულიერი საზრდო სვეტიცხოველში მიეღო, ქრისტეს მცნებას ნაზიარები ქართველობა წარმართ წინაპარივით ხელში ქვას აიღებდა და თავის მოძღვარს ჩაქოლავდა. „მაშ, ქართველ წმიდა მამათა და მოწამეთა, გამომეტყველთა და მწიგნობართა ჯაფა წყალში ჩაყრილა, — ფიქრობდა ბერიკაცი, — ამაოდ დამშვრალან ქართველთა დიდი მეფენი: ფარნავაზი და ვახტანგი, წმინდა მოციქულები ანდრია და სვიმონ, მოციქულთა სწორი წმიდა ნინო განმანათლებელი, იაკობ ხუცესი... არა, შეუძლებელია. დღეს ქართველი კაცი მოყვასის, თუნდაც მტრის ჩასაქოლად ხელში ქვას არ აიღებს“...

— აქეთ წამოიყვანეთ, აქეთ! — შემოესმა იოანეს. — ის ბერიკაცი წელან რომ ხალხი შეაჩერა, წინ გარბოდა და მტკვრის პირას, რიყეზე ხშირქვიან ადგილს ეძებდა.

ბრბომ იხუვლა და იქით გაქანდა. იოანე ხედავდა, როგორ ჭიმავდნენ ქვებს მის თვალწინ და კალთაში როგორ იყრიდნენ. რიყეზე ვერ ეტეოდნენ და გრძლად გაიშალნენ მტკვრის გაყოლებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ნუთუ ჩამქოლავენ? — ერთხელაც გაიფიქრა და სწორად ამ დროს მოხვდა ქედში ქვა. უნებლიედ მოტრიალდა, პირველი ვინ მესროლაო. იმის გაგება თუ ეწადა. მეორე ქვა, უფრო მარჯვედ ნასროლი, შუბლში მოხვდა და თვალთ დაუბნელდა. ნელა ჩაიკეცა და იგრძნო, რომ ღაწვებზე თბილი სისხლი ჩამოეღვარა. სასოწარკვეთილი ხმა ჩაესმა საიდანღაც: „შეჩერდით, ბრმებო!.. რას ჩადიხართ! მოტყუებულებო! დაღუპულო ერო ჩემო!.. შეჩერდით, შეჩერდით! გონს მოდით!..“

სამოელის ხმა იცნო. ამ ხმას სეტყვასავით მოჰყვა ქვების ჯერი. საამო ხმაც უმალ მიწყდა, ქვების ზუილ-შხუილსა და ჩახა-ჩუხში ჩაინთქა.

წყვდიადი ჩამოწვა.

ქვებში ჩაემხო თავდაღმა, სისხლი დაინთხა თეთრ ქვებზე... ქვების სეტყვამ ზურგზე, კეფაზე გადაურბინა და ბერის გვამზე ქვების ბორცვი აღიმართა.

სისხლმა მაინც გამოჟონა ქვების გროვიდან და თეთრ ბორცვს ფერდზე ჭრილობასავით დააჩნდა წითლად.

არც მიქაელს, არც სამოელს ერთი წუთით არ უფიქრიათ, თუ იოანეს ჩაქოლავდნენ. აზვირთებული ხალხის ტალღას მოჰყვებოდნენ და მტკიცედ სჯეროდათ, რომ ოანეს სწორედ ხიდის ყურში გაუშვებდნენ.

როცა ბერიკაცი მტკვრის პირას ჩაიყვანეს და ვითარცა ცოფშეყრილ ძაღლს, ქვები დაუშინეს, სამოელს დაავიწყდა, რომ კათალიკოსი იყო, წმიდა მამებს გაექცა და ქვაშემართულ ერს წინ აღუდგა, „შეჩერდით, ბრმებოო“ — მთელი ხმით შესძახა, აღტკინებული ბრბო ვერ შეაჩერა, მის თვალწინ დააყარეს იოანეს ქვები. სამოელი წახდა, ხმა აუკანკალდა „მოტყუებულებო, დაღუპულო ერო ჩემო“,—კვნესასავით ამოხდა და იქვე ჩაიკეცა. წმიდა მამები ამოუდგნენ მხარში და წაიყვანეს.

მიქაელს თვალებზე აეფარებინა ხელისგულები, წელში მოხრილი იდგა ხალხში და ღრიალებდა მოურიდებლად. ვიღაცამ იცნო და მიაძახა: ეს მისი ლეკვია, ესეც ჩავქოლოთო.

ამ სიტყვებმა თითქოს გონს მოიყვანეს, დავარდა მიწაზე, თავი ქვებს დაუშინა და ყვირილი ასტეხა: ჩამქოლეთ, ჩამქოლეთო!.

მიქაელისთვის არავის ეცალა. ჩაქოლვის ვნებით ატანილი ბრბო

იოანეს გვამს მისეოდა, ქვების დაკრების ჟინი ვერ დაეცხრო, მტკვრის პირას ქვებს რომ ვერ პოულობდნენ, წყლიდან ამოჰქოლდათ და იოანეს გვამზე დაყრილ ქვის გროვას ჩახა-ჩუხით ავლიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეც ჩამქოლეთ, მეც ჩამქოლეთ! — გამვლელ-გამომვლელთ ეხვეწებოდა მიქაელი.

ძირს დავარდნილ ჭაბუკს აცრემლებული ხსართან ხუცესი დაადგა თვზე. წამოყენება მოუნდომა.

— კათალიკოსი გიხმობს, შვილო... — ცრემლნარევი ხმით უჩურჩულა.

მიქაელი წამოდგა.

— მე უნდა წავიდე!.. თქვა გადაჭრით, ადგილს მოწყდა, გაიქცა, შლეგივით გარბოდა და უკან-უკან იყურებოდა...

ხსართან ხუცესი დიდხანს გასცქეროდა და პირჯვარს იწერდა... ბიჭი სულ მთლად თვალს რომ მიეფარა, ხუცესი სიონისაკენ შებრუნდა. იქ კათალიკოსი ელოდებოდა, იოანესთვის პანაშვიდი უნდა გადაეხადათ.

მიქაელი დიდხანს გარბოდა უგზო-უკვლოდ. მტკვარს მიჰყვებოდა ალმა. ტფილისს რომ გასცდა, დაუღამდა, ღამეშიც ბევრი იარა უმიზნოდ, ბოლოს რატომღაც მცხეთისკენ გაუწია გულმა, იქ მამის სენაკში გაათევდა უკანასკნელ ღამეს და ხვალ ტაო-კლარჯეთის გზას დაადგებოდა. ახლა ერთადერთი ნუგეში გრიგოლი იყო, გრიგოლს ჩააკითხავდა ხანძთას, მოძებნიდა აშოტ ერისთავს და თავის დღე და წუთისოფელს სარკინოზებთან ბრძოლაში გალევდა.

გამთენიისხანს ჩავიდა მცხეთაში. მამისეულ სენაკში იბორიალა, იბორიალა, ვერც დაიძინა, ვერც დაისვენა. თანამგრძნობი ბერთაგანი არავინ მიიკარა. ინათლა თუ არა, მოძებნა მამამისის თეთრი ჯორი, შურისძიებით სავსე, თავზეხელაღებული კაცის გუნება-განწყობით ამხედრდა ზედ და გზას კლარჯეთისას დაადგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

მოთხრობები. ნოველები 5
დავით აღმაშენებლის ქვა 7
ლობიოჭამიების სასიძო 70
ბარკლაი დე ტოლის სიზმრები 94
ციცერონა 115
ჩემი ცაუ 133
შეჩვევა 151
ობოლი ბიჭი ქიტუა 168
სისატურა 184
წვეულება 199
აბრაგიას სიკვდილი 213
ტელემაყურებელი 221
ბებია ელპიტეს თვითმკვლელობის ამბავი 231
ღვაწლი და წამება აბოსი და იოანესი 235

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ირ. არაბული
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორები: ე. ჟვანია, ნ. თავაძე
გამომშვები ნ. მანაგაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. ბ № 1493

გადაეცა წარმოებას 25.I.82. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.VII.82.
საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29,06.
პირ. საღ.-გატ. 29,36. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 27,27.
უე 00074. ტირაჟი 15000. შეკვეთა № 151.

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР, по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЦУЛЕЙСКИРИ НОДАР АЛЕКСАНДРОВИЧ
С И С А Т У Р А
Рассказы, новеллы,
повесть

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5.
1983

ეროვნული
ბიბლიოთეკა